სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი

სახელმძღვანელო



უაკ (UDC) 343
ს 575

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო კურსის მიხედვით. ამის შესაბამისად ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის თეორიის ფუნდამენტური ცნებები და ინსტიტუტები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი, გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, სასჯელის მიზნები, სახეები და სხვ.

სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების და სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული პირებისთვის.

რედაქტორები: პროფესორი გურამ ნაჭყებია;
ასისტენტ-პროფესორი ირაკლი დვალიძე.

ავტორები:

ა. გაბიანი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი – XXII თავი;
ნ. გვენეტაძე, ასოცირებული პროფესორი – XVIII, XIX, XX თავები;
ი. დვალიძე, ასისტენტ-პროფესორი – XI, XIII, XXIII თავები;
ნ. თოდუა, ასოცირებული პროფესორი – XIV, XXI თავები;
მ. ივანიძე, ასოცირებული პროფესორი – III თავის 1-ლი პარაგრაფი,
გ. მამულაშვილი, სრული პროფესორი – XV თავი;
გ. ნაჭყებია, სრული პროფესორი – II თავი, III თავის მე-2 პარაგრაფი, IV თავის მე-6 პრაგრაფი, XII თავი;
გ. ტყეშელიაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი – I თავი, IV თავის 1-დან მე-5 პარაგრაფის ჩათვლით, V, VI, IX, X, XVI თავები;
გ. ხუროშვილი, სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი – VIII, XVII თავები

რეცენზენტი: მერაბ ტურავა, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007

ISBN 99940-46-92-6

წინასიტყვაობა

საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კოლექტიური სახელმძღვანელო, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის ქოფილმა კათედრამ საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად მოამზადა, 2004 წელს გამოიცა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში როგორც ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური, ისე საკანონმდებლო სფეროშიც. ახლებურად დადგა დანაშაულობათა წინააღმდეგ სისხლის-სამართლებრივი ბრძოლის პრობლემაც. ყოველივე ამის გამო, სისხლის სამართლის თეორიის საპროფესორის წინაშე დადგა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს გადამუშავებისა და მისი ახალი გამოცემის პრობლემაც. ხსენებული სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში გათვალისწინებულია რიგი ახალი საკითხებისა, მაგალითად, პოლიტიკა სისხლის სამართალში და სისხლის სამართლის თეორია, ე.ი. სისხლის სამართლის მეცნიერება და სისხლის სამართლის ფილოსოფია, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა და სხვ.

ახალ გამოცემაში ასახულია არამარტო სისხლის სამართლის დარგში საკანონმდებლო ნოვაციები, არამედ ამ ნოვაციებთან დაკავშირებული სერიოზული თეორიუ-

ლი და პრაქტიკული პრობლემები. ეს იმასაც ადასტურებს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო სისხლის სამართლის კანონმდებლობით კი არ იფარგლება, არამედ მეცნიერული კვალევა-ძიების შედეგსაც წარმოადგენს. ცხადია, აღნიშნული სახელძღვანელი ცალკეული ნაკლოვანებებისგან დაზღვეული არ არის, მაგრამ იგი შემდგომ გამოცემებში კიდევ უფრო დაიხვეწება.

გურამ ნაჭყებია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის თეორიის საპროფესორის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

I თავი

სისხლის სამართლის ცნება, მეთოდი, სისტემა, მიზნები, სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

სიკეთესა და ბოროტებას შორის გამუდმებული ბრძოლა სულ სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს. ერთ-ერთია სისხლიანი ომები სახელმწიფოთა შორის. იგი ბოლოს და ბოლოს მთავრდება და დროთა განმავლობაში მეომარ სახელმწიფოთა შორის შეიძლება მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდეს. ეს არ ითქმის ინდივიდის ან ინდივიდთა დანაშაულზე, რაც ზოგჯერ შკიდურესად საშიშ ხასიათს და მასშტაბებს იძენს, ზოგჯერ კი მცირდება, მაგრამ არა ისე, რომ დანაშაულის ჩადენა შეწყდეს და ამის წყალობით საზოგადოებაში სრული სიმშვიდე და ჰარმონია დამკვიდრდეს. ამიტომ ყველგან და ყოველთვის საზოგადოება სოციალური კონტროლის სხვადასხვა ფორმით, ხოლო სახელმწიფო სასჯელის საშუალებით საპასუხო რეაქციას მიმართავს იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ჯეროვნად არ ემორჩილებიან სოციალური წესრიგის (მართლწესრიგის) მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული, ცხადია, ზოგადად მაინც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რატომ იპყრობს დანაშაული და სასჯელი ყველა საზოგადოების შეუნელებელ ყურადღებას. მართლაც, ყოველდღე შეუძლებელია ადამიანმა არ გაიცადოს დანაშაულით გამოწვეული იმ დრამატული, მძაფრი მოვლენის ხეგავლენა, რასაც თან ახლავს მართლმსაჯულების ორგანოს ამოქმედება, იქნება ეს სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის, ღირსების თუ პატივის, სხვისი ქონების ხელყოფა. თავის მხრივ, ამ ორგანოთა ამოქმედება არსებითად გლინდება ანალოგიურ აქტში „ თავისუფლების აღკვეთისა ან სხვა სასჯელთა სახით. ნათელია, ყველაფერი ეს ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის წარმოდგენებსა და გრძნობებზე.

რატომ ხდება ადამიანი ბოროტმოქმედი? როგორია მისი ფსიქიკური განცდები, როგორ ისახება დანაშაულის ჩადენის განსრახვა და როგორი ვითარდება იგი? როგორია ის გარემო და პირობები, რაც ხელს უწყობს დამნაშავის და დანაშაულის არსებობას? ეს საკითხები ყოველ გონიერ ადამიანს აინტერესებს. ბევრი დიდი მწერალი დაინტერესებულა დამნაშავის ფსიქოლოგიით, დაკვირვებია იმ რთულ პროცესს, რომელსაც ადამიანის ფსიქიკაში გაივლის დანაშაულებრივი განზრახვა ჩასახვიდან მის აღსრულებამდე. საკმარისია გავიხსენოთ

შექსპირის „მაკბეტი", დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი", დრაიზერის „ამერიკული ტრაგედია", ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზე" და სხვა.

რასაკვირველია, ასეთი შეუნელებელი ინტერესის ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართალს, რომელიც პრაქტიკულად უნდა ამოქმედდეს, თუ აღმოჩნდება, რომ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში (ოჯახი, სკოლა, წარმოება, ეკლესია და სხვა) მოქმედი სოციალური ნორმები უძლურია ჯეროვანი წესრიგის დაცვისათვის.

დანაშაულისა და სასჯელის ცნებები სისხლის სამართლის ფუნდამენტური ცნებებია. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზოგიერთ ევროპულ ენაზე სამართლის ამ დარგს ორგვარი სახელწოდება აქვს იმისდა მიხედვით, თუ რა იდეაა წინა პლანზე წამოწეული. თუ ასეთად დანაშაულის ცნებაა მიჩნეული, მაშინ მისი სახელწოდება წარმოდგება ლათინური „Crimen"-დან. ამის შესაბამისად მას უწოდებენ „Criminal law" (ინგლისურ ენაზე), ფრანგულ ენაზე „droit criminal" ხოლო გერმანულ ენაზე – „Criminalrecht". თუ აქცენტი კეთდება სასჯელის ცნებაზე, მაშინ მას შესაბამისად ეწოდება „poenal faw" (ინგლ.) „droit penal" (ფრანგ.),„Srafrecht" (გერმან.).

ქართულ ენაზე სახელწოდება „სისხლის სამართალი" უკავშირდება მისი განმსაზღვრელი ტერმინის „სისხლის" პირდაპირ მნიშვნელობას."სისხლი" პირველყოფილი საზოგადოებიდან მომდინარეობს. ამ საზოგადოებაში შურისძიება გამოიხატებოდა სისხლის აღებით, რაც დროთა განმავლობაში სისხლის აღება ქონებრივი სახდაურით (კომპოზიციით) შეიცვალა, თუმცა ტერმინი „სისხლი" ისევ დარჩა. ასე რომ, „სისხლის სამართალი" „დასჯის სამართალს" ნიშნავს. სასჯელზეა გადატანილი აქცენტი აგრეთვე სისხლის სამართლის რუსულ სახელწოდებაში „Уголовное прово" „Отвечать головой". საქმე ისაა, რომ, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, აქ სასჯელი თავდაპირველად ბოროტმოქმედისათვის თავის მოკვეთას ნიშნავდა („Отвечать головой").

სისხლის სამართლის ეს ფუნდამენტური ცნებები (დანაშაული და სასჯელი) ანარეკლია იმ ისტორიული სინამდვილისა, როდესაც მრავალი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა სისხლისსამართლებრივი იძულების მექანიზმი. მისი წარმოშობისას სათვალავში იღებდნენ არა მარტო ისტორიულ, ეროვნულ, ეთნიკურ, ტერიტორიულ, კულტურულ და სხვა ტრადიციებს, არამედ აგრეთვე კრიმინალური პრობლემის პროფესიულ თავისებურებებს. ჩვეულებითი (დაუწერელი) სამართლისა და დაწერილი სამართლის ცალკეული ფრაგმენტების საფუძველზე თანდათანობით იქმნებოდა მყარი სამართლებრივი სისტემა, რომელმაც,

საბოლოო ჯამში, ერთგვარი ანარეკლი შინაარსი შეიძინა.

თავდაპირველად სისხლის სამართლის ნორმები გაბნეული იყო ზოგადი ხასიათის სამართლებრივ აქტებში. ასეთი აქტები შეიცავდა ნორმათა განსაზღვრულ ერთობლიობას, რომელთა მიზანს ადამიანთა მრავალფეროვან ურთიერთობათა რეგულირება წარმოადგენდა. საამისო მაგალითად ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი გამოდგება.

დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთობ გაფართოვდა კრიმინალურ ქმედებათა მასშტაბები. ასეთმა ვითარებამ აუცილებელი გახადა სამართლის ცალკე, სპეციფიკური დარგის - სისხლის სამართლის წარმოშობა. სწორედ ამ დარგის ფუნქციად იქცა დანაშაულებრივი კონფლიქტების აღკვეთა და მოწესრიგება. ნათელია, სისხლისსამართლებრივი რეგულატორის წარმოშობა და განვითარება ობიექტური აუცილებლობით იყო პირობადებული. იგი, ასე ვთქვათ, ოფიციალური „შურისმაძიებლის“ როლში მოგვევლინა. ამასთან, საზოგადოების ზოგადი და, კერძოდ, სამართლებრივი კულტურის განვითარების კვალობაზე სისხლისსამართლებრივი სისტემა შეივსო ჰუმანური დებულებებით, რომელთაც თემიდას ტაძრის მკაცრ ლაბირინთებში ცივილური სულისკვეთება შეჰქონდათ.

ამრიგად, სისხლის სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება შეიძლება სამ ოვისებრივად განსხვავებულ ეტაპად დავყოთ.

პირველ ეტაპზე, როდესაც სახელმწიფო ჯალიბდებოდა, დანაშაულებრივ ქმედებებს ებრძოდა კერძო „შურისმაძიებელი“, რომელიც სვეულებებით და ტრადიციებით ხელმძღვანელობდა.

მეორე ეტაპზე მოქმედებდა როგორც დაუწერელი (ჩვეულებითი), ისე დაწერილი სამართალი.

მესამე ეტაპზე, რომელიც ამჟამადაც გრძელდება, მოქმედებს მხოლოდ დაწერილი სამართალი, უფრო ზუსტად - კოდიფიცირებული სამართალი.

სისხლის სამართალი სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ამის გამო მას ახასიათებს საზოგადოდ სამართლისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მაგალითად, ნორმატიულობა, შესრულების სავალდებულობა და ა.შ. ყველა ნიშანი, თავად სამართალი, მოიცავს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალს. კერძო სამართალი ადამიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს, ხოლო საჯარო სამართალი აწესრიგებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო ხელისუფლების აღსრულებასთან. სისხლის სამართალი სწორედ საჯარო სამართალს მიეკუთვნება, რადგან აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხარეთა თანასწორუფლებიანობას, რაც დამახასიათებელია კერძო სამართლისათვის, არამედ სა-

მართლებრივ ნორმებში ახახული სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას. აქ უნდა გავიხსენოთ ის, რომ სამართლის მიზანს წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგება ანუ ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. სამართალი შემოფარგლავს სახელვარს, რომლის ფარგლებში ადამიანს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს. სახელვრის გადასვლა აკრძალულია. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა ის, რომ ძველ ქართულ სამართალში, რაკი შჯული, კანონი და წესი უცოთმელი და სამართლიანი მოქმედების სახელვრად იყო მიჩნეული, ამიტომ ამ ცნებათა დამრღვევი მოქმედება სახელვრისა, თუ კანონისა ან წესისა, გინდა მცნების „გარდასვლად“ იყო მიჩნეული. ამისდაგვარად, ვინც კანონის ან განწესებათა თუ წესის დამრღვევი აღმოჩნდა, კანონისა და წესების „გარდამავალი“ იყო. თვით საქციელი, რომელიც შჯულისა თუ სამართლის, თუ წესის „გარდასვლას“ წარმოადგენდა, „გარდამავლობითი მოქმედება“ ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვილი), სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით დანაშაული „შეცილებას“, ესე იგი არს შავად ქმნას საქმისა ნიშნავდა“.

სისხლის სამართლის ცნება ორი მნიშვნელობით იხმარება: 1) სისხლის სამართალი, როგორც კანონმდებლობის ერთ-ერთი დარგი და 2) სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი. ამასთან, სისხლის სამართალი იურიდიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილია. ამ სახელწოდებით იურიდიულ სასწავლებლებში იკითხება, როგორც მაპროფილებელი დისციპლინა.

სისხლის სამართალი, როგორც კანონმდებლობის დარგი, წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს - პარლამენტის მიერ დადგენილ ნორმათა სისტემას, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს, დანაშაულად გამოცხადებულ ქმედებებს, მათთვის დაწესებულ სასჯელის სახეებსა და ოდენობას, სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომწურავადაა გათვალისწინებული ხსენებულ კოდექსში. ამის გამო ახალი სისხლისსამართლებრივი ნორმა უსათუოდ შეტანილი უნდა იქნეს ამ კოდექსში. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით საკითხის ასეთი გადაწყვეტა კანონიერების პრინციპის დადასტურებაა. ამით ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი განსხვავდება მრავალი უცხო სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან. ამ ქვეყნებში სისხლის სამართალი, საერთო წესისამებრ, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს კოდიფიცირებულ კანონ-

მდებლობას და სისხლის სამართალს ფართო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს მრავალ არაკოდიფიცირებულ სისხლისსამართლებრივ ნორმას. ეს ნორმები ასახულია სამართლის სხვა დარგების აქტებში, ეკოლოგიურ, მიწის, ახალგაზრდობის და სხვა საკითხების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებში. მაგალითად, გერმანიაში სისხლის სამართალი მოიცავს ორ ქვესისტემას [1] სისხლის სამართლის კოდექსს (შტრაფგესეტბუხ) და დამატებით სისხლის სამართალს (ნებენგესეტზენ), ასეთი დამატებითი აქტების რაოდენობა საკმაოდ ბევრია. მათი რაოდენობა ათასს აჭარბებს. აქტების ასეთივე გაორებით ხასიათდება საფრანგეთის კანონმდებლობაც. აქ 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გარდა მოქმედებენ ნორმები სისხლისსამართლებრივი დარღვევების შესახებ. ამდაგვარი ნორმების მიღების უფლება აქვს იქაურ მთავრობას.

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის სისტემის შემადგენელი დარგი, როგორც ქვესისტემა, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ თვალსაზრისით სისხლის სამართალი მოიცავს შესაბამის კანონმდებლობას, აგრეთვე კანონშემოქმედებასა და სამართლის შეფარდებასთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს. ამდაგვარი ურთიერთობანი მოქმედებას იწყებენ კანონის ძალაში შესვლისთანავე.

სისხლის სამართლის კანონით ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამით სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ გაიგონ, რომ ზოგიერთ ქმედებას მართლწესრიგი განსაკუთრებით საშიშად თვლის და ამიტომ სახოგადოებამ ასეთი ქმედების მიმართ შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიკავოს. მერყევი ადამიანებისათვის დანაშაულისაგან თავის შეკავების მძლავრ სტიმულს ის წარმოადგენს,რომ ქმედების აკრძალვა სასჯელის მუქარით არის განმტკიცებული. სწორედ ამის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება.

ამრიგად, კოდექსით კანონშეფარდება სისხლისსამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთ ეტაპადაა მიჩნეული. სისხლის სამართლის კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშობა ზოგადად რეგულირებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ამ ურთიერთობის მონაწილენი არიან სახელმწიფო და ყველა ის მოქალაქე, რომლებიც შეიძლება იქცნენ დანაშაულის სუბიექტები. საკუთრივ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ

ზოგადად რეგულირებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის უარყოფის გამო.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაული, აწესებს სასჯელებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დამნაშავის მიმართ. მაშასადამე, საკანონმდებლო საქმიანობა არის სისხლის სამართლის საგანი. სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოიცავს ოთხ ინსტიტუტს: 1) დანაშაული, 2) სასჯელი, 3) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და 4) სასჯელისაგან გათავისუფლება. ეს ინსტიტუტები სისტემატიზებულია სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებში. ეს ნაწილები შეიცავენ უფრო დაკონკრეტებულ ინსტიტუტებს და ნორმებს.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულისა და სასჯელისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. ცალკეულ დანაშაულთა და სასჯელთა სპეციფიკა ასახულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. კოდექსის ამ ორ ნაწილს შორის ორგანული კავშირი არსებობს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის პირველ კარში გათვალისწინებული ნორმები სისხლის სამართლის კანონის შესახებ ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ყველა დანაშაულის შემადგენლობასა და სანქციაზე. მეორე კარით („დანაშაული“) გათვალისწინებული ნორმები კერძო ნაწილში დაკონკრეტებულია დანაშაულთა შემადგენლობების სახით. მესამე კარში („სასჯელი“) განსაზღვრულია სასჯელის სისტემა და სახეები, რომელთა მიხედვითაც აგებულია ცალკეულ დანაშაულთათვის გათვალისწინებული სანქციები. ცალკეა გამოყოფილი მეოთხე კარი, რომელშიც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები და პირობები. ამ კარში ასახული ნორმები გამოიყენება კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა მიმართ. ზოგად ნაწილში, მეხუთე კარად ცალკეა გამოყოფილი ნორმები არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. დასასრულ, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეექვსე კარში განსაზღვრულია ნორმები სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებების სახეების, მათი გამოყენების საფუძვლისა და წესის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწყება მეშვიდე კარით. კერძო ნაწილი შეიცავს რამდენიმე კარს, რომლებიც ასახავენ ნორმებს ამ კარებში გათვალისწინებულ დანაშაულთათვის.

მთლიანად სისხლის სამართლის კოდექსი შედგება თხუთმეტი კარის,49 თავისა და 415 მუხლისაგან.

სამართლის სისტემის დიფერენციაცია, უპირველეს ყოვლისა, პირობადებულია იმ ურთიერთობის ხასიათით, რომელსაც სამართლის შესაბამისი დარგები არეგულირებენ. სამართლის დარგის რეგულირების საგანია იმ მსგავს ურთიერთობათა ჯგუფი, რომლებიც მოითხოვენ რეგულირების სპეციფიკურ მეთოდს. მაშასადამე, სამართლის სისტემის დიფერენციაციის მეორე დამოუკიდებელი ნიშანია რეგულირების მეთოდი ე.ი. ზემოქმედების იურიდიულ საშუალებათა ერთობლიობა, რასაც სახელმწიფო იყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისათვის. სამართლის თეორიაში სამართლებრივი რეგულირების მრავალ კომპონენტს ასახელებენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: 1) უფლება-მოვალეობათა დადგენის წესი; 2) სუბიექტებისათვის მინიჭებული უფლებები და ავტონომიურობის ხარისხი; 3) იმ იურიდიული ფაქტების შერწყმა, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობენ; 4) ამ სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი; 5) უფლებათა უზრუნველყოფის გზები და საშუალებანი.

მოხსენიებული მახასიათებლების მიხედვით განასხვავებენ სამართლებრივი რეგულირების სამ მეთოდს: ნებართვა, მოთხოვნა და აკრძალვა. პირველი – ნებართვა დამახასიათებელია სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირებისათვის, მეორე – მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას ახასიათებს, მესამე ‹ აკრძალვას უკავშირებენ სისხლის სამართალს.

ასეთი ტრადიციული კლასიფიკაცია სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ, ვთქვათ, ნებართვა ახასიათებს მხოლოდ სამოქალაქო სამართალს, მოთხოვნა ‹ ადმინისტრაციულ სამართალს, ხოლო აკრძალვა ‹ სისხლის სამართალს. სინამდვილეში სამართლებრივი რეგულირების ყველა ეს სამივე ტიპი მეტ-ნაკლებად ახასიათებს სამართლის სხვადასხვა დარგს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მოხსენიებულ მეთოდთაგან ერთს წამყვანი ადგილი უკავია, ხოლო სხვა მეთოდები დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. მაგალითად, აკრძალვა დამახასიათებელია სისხლის სამართლისათვის, მაგრამ სამართლის ამ დარგისათვის უცნობი არაა ისეთი მეთოდი, როგორიცაა ნებართვა. ამის მაგალითად გამოდგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი, რომელიც აუცილებელ მოგერიებას ითვალისწინებს. ამ მუხლის ნორმა, პირს უფლებას აძლევს მოიგერიოს საშიში თავდასხმა.

სისხლის სამართალი მჭიდრო კავშირშია სამართლის სხვა დარგებთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კავშირს კონსტიტუ-

ცოურ სამართალთან, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის შინაარსსა და სისტემას, ითვალისწინებს იმ სოციალურ პრიორიტეტებს, რომელთა დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

სისხლის სამართალი დაკავშირებულია განსაზღვრულ პროცედურულ წესებთან: ამა თუ იმ შემადგენლობის ნიშნების მიხედვით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და სისხლის სამართლის საქმის წარმოება; ბრალდების წაყენება; აღმკვეთი ზომის შერჩევა; ბრალეულობის დასამტკიცებლად შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა; სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა; გამამართლებელი ანდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და სასჯელის შეფარდება. ჩამოთვლილი მოქმედებანი განეკუთვნება სისხლის სამართლის პროცესს. იმავდროულად პროცესუალური მოქმედებანი ექვემდებარება ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივ შეფასებას. ფილოსოფიური თვალსაზრისით აქ საქმე გვაქვს შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის დიალექტიკასთან. სისხლის სამართლის პროცესი პირის ბრალეულობის დადგენის თავისებური ფორმაა.

სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულებითი სამართლის კავშირი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება იმით, რომ ამ უკანასკნელის არსებობა პირობადებულია სისხლის სამართლის ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ სასჯელის დანიშვნის საფუძველს, ფარგლებს, პირობებსა და წესებს. სასჯელის აღსრულების წესი და პირობები მოწესრიგებულია სასჯელაღსრულებითი სამართლის ნორმებით. სასჯელის მიზნების შემდგომი რეალიზაცია ხორციელდება სასჯელაღსრულებითი სამართლის მოქმედების პირობებში. სამართლის ამ დარგების კავშირი განსაკუთრებით თავს იჩენს სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას.

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კავშირი განსაკუთრებით საგრძნობია დანაშაულისა და ადმინისტრაციული გადაცდომის ნიშნების გამოჯვნისას.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირობებში უფრო მჭიდრო და თანაც გართულებული კავშირი აქვს სისხლის სამართალს სამოქალაქო სამართალთან. ეს განსაკუთრებით შეეხება ქონებრივ დანაშაულთა და იმ სამოქალაქო დელიქტების გამოჯვნას, რომელთაც უპირატესად ქონებრივი ხასიათი აქვთ. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქონებრივი სანქციების ეფექტურობის შესწავლას. ეს ხელს შეგვიწყობს სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენაში.

ახალი კანონმდებლობის მოქმედების პირობებში უფრო მჭიდრო გახდა სისხლის სამართლისა და სამეწარმეო სამართლის ურთიერთშემოქმედება ეკონომიკურ დანაშაულთა სფეროში. აქ იგულისხმება ქონებრივი უფლების სხვადასხვა სახეები, უკანონო ვაჭრობა, სამხედრო დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკეა გამოყოფილი მეათე თავი, რომელიც ითვალისწინებს ნორმებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. აქ საქმე ეხება ეკოლოგიურ დანაშაულს. ამ თავში გათვალისწინებული ნორმების უმრავლესობა ბლანკური ხასიათისაა, ე.ი. მიუთითებენ სამართლის სხვა დარგებზე, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ეკოლოგიური მართლწესრიგის დარღვევისათვის.

სისხლის სამართალი ასევე უკავშირდება შრომის სამართალს. ეს ითქმის მოქალაქეთა შრომით უფლებებზე, საწარმოო ტექნიკის გამოყენების პროცესში მათი უსაფრთხოების დაცვაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ სისხლის სამართლისა და სატრანსპორტო კანონმდებლობის ურთიერთობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე კარის 34-ე თავში გათვალისწინებულია ნორმები, რომლებიც ამ სახის დანაშაულისათვის სხვადასხვა სახის სასჯელებს ითვალისწინებენ.

ცხადია, დავას არ იწვევს სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთობა. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს სისხლის სამართლის კანონის მოქმედებისას. კერძოდ, ის ითქმის სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების, უცხოელ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის, დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემის, სისხლის სამართლის კანონების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანის, დანაშაულთა კოდიფიკაციის საკითხებზე.

დასასრულ, მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის ურთიერთობა კრიმინოლოგიასთან. კრიმინოლოგია შეისწავლის დანაშაულობას, მის მიზეზებს, დამნაშავის პიროვნებას. კრიმინოლოგია ცალკე კურსადაა გათვალისწინებული იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში. ასევე ცალკე გათვალისწინებულია სამართლებრივი სტატისტიკა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულისა და დამნაშავე პიროვნების შესახებ.

II თავი

სისხლის სამართლის პრინციპები

§1. ზოგადი დებულებანი

„პრინციპი“ ლათინური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს პირველსაწყისს, სახელმძღვანელო იდეას, ქცევის ძირითად წესს, რითაც ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ თუ თეორიულ საქმიანობაში. ამგვარი ზოგადი საწყისები და ამოსავალი იდეები გამოხატულებას პოულობენ სახოგადოების ნორმატიულ სისტემებშიც. ზნეობა, რელიგია, პოლიტიკა, სამართალი უეჭველად გულისხმობს როგორც უზოგადეს, ისე თითოეულისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრინციპებს. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ამგვარ პრინციპებს ნორმატიული ბუნება აქვთ და შესაბამის სუბიექტებს ავალდებულებენ. მოიქცნენ მათი მოთხოვნების მიხედვით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ამ პრინციპების გამოვლენის თავისებურებაც. მაგალითად, ზნეობაში ადამიანთა საქციელი ამგვარი ზოგადი პრინციპების მიხედვით ფასდება, მაშინ როდესაც სამართალში პრინციპი გაშუალებულია შესაბამისი ნორმატიული აქტებით. კერძოდ, სამართლის პრინციპები წინ უსწრებენ ნორმატიული აქტების შემუშავებას და შესაბამისად განსაზღვრავენ კანონშემოქმედებით საქმიანობას. მაშასადამე, სამართლის პრინციპები მიმართულნი არიან სახელმწიფოზე ან მის ორგანოებზე, რათა ნორმატიული აქტები ამ პრინციპების შესაბამისად შემუშავდეს. ამიტომაა, რომ თითოეული ნორმატიული აქტი, თავის მხრივ, უფრო კონკრეტულად გამოხატავს სამართლის ამა თუ იმ დარგის პრინციპებს, კერძოდ, მის ნორმებსა და ინსტიტუტებში.

ნათქვამი უეჭველად ეხება სისხლის სამართალსაც. ეს უკანასკნელი სამართლის დამოუკიდებელი, ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია, რომელიც პრაქტიკულად სახოგადოების ნორმატიულ სისტემაში მოქმედებს. ამიტომაა, რომ სისხლის სამართალში თავისებურად ვლინდება როგორც სახოგადოების ნორმატიული სისტემის ზოგადი, ისე თავისი საკუთარი პრინციპები. ხშირია ამ პრინციპთა აღრევა. კერძოდ, იმის გამო, რომ სისხლის სამართალში სპეციფიკურად ვლინდება სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა, როგორც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხების ერთიანობა, პოლიტიკის პრინციპები სისხლის სამართლის პრინციპებთან არც თუ იშვიათადაა გაიგივებული. ეს განსაკუთრებით საგრძნობი

იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, რადგან ამ სისტემაში პოლიტიკური ღირებულება ღირებულებათა იერარქიის სათავეში მოექცა და მან ზნეობრივი ღირებულებაც კი განსაზღვრა. რეალურ სინამდვილეში კი, პირიქით, სიკეთეზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს და, მაშასადამე, ზნეობრივი ღირებულება ამ თვალსაზრისით განმსაზღვრელია. ამიტომაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად აღიარებულია ადამიანი (მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და ა.შ.) მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველესი ობიექტი გახლდათ სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი.

ცხადია, პოლიტიკასაც თავისი საკუთარი პრინციპები აქვს და ზოგიერთი მათგანი სისხლის სამართალშიც ვლინდება. მაგალითად, დემოკრატიზმი პოლიტიკის პრინციპია, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობას, რათა საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანმა წევრმა ნებაყოფლობით იკისროს სისხლის სამართლის კანონის აღსრულების პასუხისმგებლობა. სამაგიეროდ, კანონიერება სამართლის ზოგადი პრინციპია, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, რადგან კანონიერების გარეშე არც პოლიტიკური საქმიანობა არსებობს. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ პოლიტიკა ზემოქმედებს სამართალზე, მაგრამ ამ უკანასკნელსაც გააჩნია პოლიტიკაზე უკუზემოქმედების უნარიც.

მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კრიმინალიზაციის პოლიტიკური საწყისები და საკუთრივ სისხლის სამართლის საწყისები. კერძოდ, პოლიტიკური მიზანშეწონილობის გარეშე ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადება შეუძლებელია, ხოლო სისხლის სამართლის პრინციპები კრიმინალიზაციის პროცესის მომწესრიგებელი ნორმატიული მოთხოვნებია, რომელსაც კანონმდებელი უნდა დაემორჩილოს, რათა სისხლის სამართლის კანონი ამ მოთხოვნების მიხედვით აიგოს. მაგალითად, კანონიერების პრინციპი გულისხმობს მოთხოვნას, რომ დანაშაული და სასჯელი გათვალისწინებული იქნეს სისხლის სამართლის კანონში. სისხლის სამართლის ყველა პრინციპი ამ მიმართებით კანონმდებლის საქმიანობას განსაზღვრავს. ამიტომაა აუცილებელი, რომ ერთმანეთში არ აგვერიოს სისხლის სამართლის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებას და ამ პრინციპების გამოვლენა ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის ეტაპზე. სამწუხაროდ, ამგვარი ადრევა ხდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და იგი არც სადღეისოდაა

ითვალისწინებს. მართლაც, უმთავრესი დანიშნულება სისხლის სამართლის პრინციპებისა არის სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობის მოწესრიგება, ხოლო თუ სისხლის სამართლის კანონი ამ პრინციპების შესაბამისად შემუშავდა, მაშინ სასჯელის დანიშვნის პრობლემაც იოლად გადაწყდება, რაკი სისხლის სამართლის პრინციპები სისხლის სამართლის კანონში გამოიხატებიან.

ამრიგად, სისხლის სამართლის პრინციპების ანალიზისას მოსალოდნელია სამი შეცდომა: 1. კრიმინალიზაციის ზოგადი პრინციპებისა და პოლიტიკური პრინციპების აღრევა; 2. კრიმინალიზაციის ზოგადი პრინციპებისა და სისხლის სამართლის პრინციპების აღრევა; 3. სასჯელის დანიშვნის ძირითად საკითხებზე სისხლის სამართლის პრინციპების დაყენება. ამ უკანასკნელის მიზეზია დღემდე გაბატონებული დებულება, რომლის თანახმად, სისხლის სამართალი დანაშაულის ჩადენის გამო წარმოშობილ ურთიერთობას აწესრიგებს. ამ დებულების ლოგიკით, დანაშაულის ჩადენა წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ როდესაც, პირიქით, ჯერ სისხლის სამართლის კანონი მოქმედებს და მხოლოდ შემდეგ ხდება ამ კანონის საწინააღმდეგო ქმედება. ცხადია, რომ დანაშაულის ჩადენის გამო ურთიერთობის შესახებ შეხედულების ლოგიკით სისხლის სამართლის პრინციპები სასჯელის დანიშვნის პროცესს აწესრიგებენ. ამ თვალსაზრისში, რომელიც თავისთავად მიუღებელია, დაკვწყებულია სისხლის სამართლის პრინციპების წარმოშობა-განვითარების ისტორია. კერძოდ, ცნობილია, რომ ფეოდალური თვითნებობის პირობებში სამართლის ზოგადი პრინციპების წარმოდგენაც კი შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ იყო, რომ ამგვარი პრინციპები წამოყენებული იქნა ანტიფეოდალური რევოლუციების ეპოქაში. ამგვარ ზოგად საკითხებს, თავის მხრივ, ნაადრევი მოუმზადეს ე.წ. განმანათლებელთა გამოხენილმა წარმომადგენლებმა საფრანგეთში (დიდრო, ვოლტერი, რუსო, მარატი). ისიც ცნობილია, რომ განმანათლებლობამ დიდი გავლენა მოახდინა სამართლებრივ იდეებზეც, მათ შორის სისხლის სამართლის პრინციპების ჩამოყალიბებაზე და მათ შემდგომ განვითარებაზეც. კერძოდ, იტალიელმა კრიმინალისტმა ჩეზარე ბეკარიამ თავის სახელგანთქმულ ნაშრომში („დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ") ჟან-ჟაკ რუსოს პროგრესიულ შეხედულებათა ზეგავლენით ჩამოაყალიბა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები, რომელთაც არა მარტო ანტიფეოდალურ ეპოქებში, არამედ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მაგალითად, კანონიერების პრინციპი ჩეზარე ბეკარიას მიხედვით ნიშნავდა სახელმწიფოს, როგორც სუვერენული სუბიექტის, მტკიცე დავალდებულებას, რომ დანაშაულებრივი ქმე-

დება და სასჯელი ამ ქმედებისათვის გათვალისწინებული ყოფილიყო სისხლის სამართლის კანონით.

მოკლედ განვიხილოთ სისხლის სამართლის პრინციპები.

§2. კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი სამართლის ზოგადი პრინციპია, მაგრამ იგი სპეციფიკურად ვლინდება სისხლის სამართალშიც. კერძოდ, აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ანალოგიის აკრძალვას და ლეგალობის პრინციპის დამკვიდრებას. მართლაც, კანონიერების პრინციპის თანახმად, ყველა ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს, გათვალისწინებული იქნეს სისხლის სამართლის კანონში. ეს დებულება გამოთქმული გახლდათ ლათინური ტერმინოლოგიით (Nullum crimen sine lege) ე.ი."არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე". მეორე დებულება, რომელიც კანონიერების პრინციპს სასჯელის ასპექტით გამოთქვამს, შემდგომში მდგომარეობს (Nulla poena sine lege) ე.ი. „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე."

ამრიგად, კანონიერების პრინციპის თანახმად, ყოველი ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს და ყოველი სასჯელი ან ზემოქმედების სხვა სახე, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს, გათვალისწინებული იქნეს სისხლის სამართლის კანონში. სამწუხაროდ, ამ მხრივ გამონაკლისი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი, სადაც სისხლის სამართლის სფეროში დაშვებული იყო ანალოგიის პრინციპი, ე.ი. სისხლის სამართლის იმ ნორმის გამოყენება, რომელშიც ჩადენილი ქმედება პირდაპირ და უშუალოდ არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ეს ქმედება რაიმე ნიშნებით ემსგავსებოდა ნორმით გათვალისწინებულ ქმედებას. ამ პრინციპს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელეებით ამართლებდნენ, მაშინდელს, რომელსაც და ცვალებად ვითარებაში, თითქოს შეუძლებელი გახლდათ ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონში. ცხადია, სისხლის სამართლის კანონში ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინება იოლი საქმე არაა, მაგრამ აღნიშნული ანალოგია მაინც პოლიტიკური მიზანშეწონილობით უფრო აიხსნებოდა, ვიდრე არსებული ვითარების ცვალებადობით.

ცხადია, ანალოგიის დაშვება არ გამორიცხავს თვითნებობას და უკანონობას, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საბაბით ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების უხეშ დარ-

ღვევას. ამიტომ იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის პროგრესულად მოაზროვნე კრიმინალისტები (მათ შორის იყო პროფ. თ. წერეთელი) ყოველნაირად ასაბუთებდნენ ანალოგიის გაუქმების აუცილებლობას. ანალოგია საბჭოთა კავშირში გაუქმდა 1958 წელს, როდესაც მიიღეს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“, რომლის მე-7 მუხლში ჩაიწერა: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება...“ ამ დროიდან ანალოგია აიკრძალა და დამკვიდრდა ლეგალობის პრინციპი, რომლის თანახმად, დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. ცხადია, რომ სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ანალოგია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ასპექტით გამორიცხულია, რადგან სწორედ სისხლის სამართლის კერძო ნაწილშია გათვალისწინებული ცალკეული დანაშაული (მკვლელობა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, გენოციდი და ა.შ.) და მათი შესატყვისი შემადგენლობანი.

ნორმის გამოყენება ანალოგიის წესით არაა გამორიცხული სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, როდესაც საქმე ეხება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცალ-ცალკე არაა გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ გარემოებათა დადგენას. თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს უნდა მიეცეს შეზღუდული ახსნა-განმარტება, შემამსუბუქებელ გარემოებას, პირიქით, ფართო ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს, რაც თავის მხრივ, ანალოგიის წესით კანონის ნორმის გამოყენებასაც გულისხმობს (მაგ. საქ. სსკ 32-ე და 38-ე მუხლები).

კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში ვლინდება არა მარტო დანაშაულის ასპექტით, არამედ სასჯელის ასპექტითაც. კერ-

ძოდ, სასჯელს ან ზემოქმედების სხვა ზომებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადგენს მხოლოდ სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი. გარდა ამისა, სასჯელის სახეები ზუსტადაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში (მუხ. მე-40). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჩამონათვალში მოუხსენიებელი სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ოთოეული დანაშაულებრივი ქმედების აღწერასთან ერთად გათვალისწინებულია შესაბამისი სასჯელები, რაც სასამართლომ კანონის ფარგლებში და შესაბამისად შეიძლება გამოიყენოს. დაუშვებელია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლით გაუთვალისწინებელი სასჯელის გამოყენება.

კანონიერების პრინციპი გამოხატულებას პოულობს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებშიც. კერძოდ, ამ კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს ის, რომ, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი კანონი. გამონაკლისია სისხლის სამართლის კანონის უკუძალა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ნიშნავს ახალი კანონის გავრცელებას ამ კანონის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედების მიმართ, თუ ეს ახალი კანონი აუქმებს ძველი კანონით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობას, ე.ი. როდესაც ახალი კოდექსი დანაშაულად არ აცხადებს მას, ან ახალი კანონი ძველ კანონთან შედარებით ამსუბუქებს სასჯელს. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი კანონის გამოყენების მოთხოვნა კანონიერების პრინციპის თავისებური გამოვლენაა, რადგან სუბიექტი (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) უნდა იქცეოდეს მოქმედი კანონის შესაბამისად. რა თქმა უნდა, კანონიერების პრინციპი სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებშიც გამოიხატება, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ კანონიერების პრინციპის შინაარსობრივ მხარეს, რადგან არ არის გამორიცხული სისხლის სამართლის საკანონმდებლო შემადგენლობისადმი ჩადენილი ქმედების ფორმალური შესაბამისობა, როდესაც ამ ქმედებას არ გამოუწვევია დანაშაულისათვის ნიშანდობლივი ზიანი ან არ შეუქმნია ამგვარი ზიანის საფრთხე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი). აშკარაა, რომ კანონთან ქმედების ფორმალური შესაბამისობა ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. კერძოდ,

კრიმინალიზაციის ობიექტია არა პიროვნება ან მისი შეხედულებანი, აზრთა წყობა თუ ხასიათი, არამედ ქმედება, როგორც პიროვნების აზრთა წყობის გამოხატვის კონკრეტული ხერხი. იგულისხმება, რომ ნების გარეგანი აქტის გარეშე დანაშაულებრივი ქმედება შეუძლებელია. დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის გზით, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგულისხმება ქმედების გარეგანი აქტი, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე. ცხადია, დებულება, რომ დანაშაული ადამიანის ნების გარეგანი აქტია, არ ნიშნავს სუბიექტისათვის ამ დანაშაულებრივი ქმედების სასურველობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სუბიექტი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. იგულისხმება, რომ დანაშაულებრივი ქმედება სუბიექტის ნებელობითი საქციელისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ კრიმინალიზაციის ობიექტია არა მარტო ნების გარეგანი აქტი, არამედ სუბიექტის ქცევის ფსიქიკურ საზრისში გამოხატული მისი უპასუხისმგებლობაც, რადგან სისხლის სამართლის სუბიექტი არა მარტო ვალდებულია მოიქცეს სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად, არამედ მოწოდებულია სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის ვითარებაში ადასრულოს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება. მაშასადამე, კრიმინალიზაციის ობიექტია შერაცხადი პირის ქმედება. შემთხვევითი არაა, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია სწორედ ისეთი ქმედება, რომლის ჩადენა შესაძლებელია ბრალეულად. ამიტომაა, რომ შეურაცხადობასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვეტილია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში და არა კერძო ნაწილში.

ამრიგად, სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები მეტი თუ ნაკლები სისრულით აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. უფრო სწორად, დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაულის ამ ნიშნებში უპირველესია დანაშაულის შემადგენლობა. როგორც ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა. დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში (დაუმთავრებელი დანაშაულისა და როლების განაწილებით დანაშაულში თანამონაწილეობისას), მაგრამ დანაშაულის შემადგენლობა არსებითად აღწერილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა დანაშაულობათა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლაში კანონიერების საგარანტიო ფუნქციას ასრულებს. სამწუხაროდ,

საბჭოთა კავშირში უკანონობას და სრულიად გაუმართლებელ რეპრესიებს სწორედ ის განაპირობებდა, რომ არსებითად გვერდს უვლიდნენ იმ საკანონმდებლო შემადგენლობებსაც კი, რაც იმ დროის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასე თუ ისე არსებობდა. გარდა ამისა, პოლიტიკური თვალსაზრისით იყო გამართლებული ისეთი აბსტრაქტული შემადგენლობის შექმნა, როგორიც იყო ე.წ. ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, როგორც განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ნაირსახეობა, რომელიც ფაქტობრივად დისიდენტობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ნიშნავდა სასჯელს აზრისათვის, შეხედულებისათვის.

წარსულის ამ მწარე გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა გადადგა არსებითი ნაბიჯი წინ, როდესაც მასში ნაცადია დანაშაულთა ბუნების შესაბამისი შემადგენლობების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ ჩადენილი ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად. ეს ბუნებრივია, რადგან ამ კოდექსში შესაბამისად გათვლილია დანაშაულის ჩადენის ყველა შესაძლო ვარიანტი, რის გამოც კანონიერების პრინციპის უხრუნველყოფა არსებითად შესაძლებელი ხდება.

ამრიგად, სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპი ნიშნავს არა მარტო ქმედების ფორმალურ შესაბამისობას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან, არამედ თვით ამ ქმედების ზუსტ საკანონმდებლო აღწერას და მის სისხლისსამართლებრივ შეფასებას.

§3. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ერთ-ერთი კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც გამოხატულებას სისხლის სამართალშიც პოულობს. ამ პრინციპს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კატეგორიულად კრძალავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ადმსრულებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო (საქ. სსკ 142-ე მუხლი).

აშკარაა, რომ ამ მუხლში გათვალისწინებულია ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის ყველა შესაძლებელი ვარიანტი, ე.ი. ამ ნიშნების მიხედვით რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება ან პირიქით, შეზღუდვა, რაც არსებითად ხელყოფს ადამიანის უფლებას. (რასობრივი დისკრიმინაციაა – საქ. სსკ 142[1]-ე მუხლი) აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის პირის უფლების დაცვაზე უარის თქმა (142[2]-ე მუხლი). 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტი ამძიმებს პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო, რომ არაფერი ვთქვათ გენოციდზე (მუხლი – 407-ე). აქედან გამომდინარე, კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. ეს ეხება იურიდიულ პირსაც, რომლის რაიმე ნიშნით დისკრეტიზაციაა ან, პირიქით, მისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია. სისხლის სამართალში ეს იმას ნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყველა დელიქტუნარიანი პირისათვის (აგრეთვე იურდიული პირისათვის) თანაბარად სავალდებულოა. თანაბრად აკრძალულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ვალდებულებისადმი სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლური დამოკიდებულებაც, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ერთ-ერთი პირობა. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ობიექტია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორც მართლწესრიგის შექმნის პირობა. ბუნებრივია, თუ ნეგატიური პასუხისმგებლობის ობიექტია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ე.ი. დანაშაული. მაშასადამე, კანონის წინაშე თანასწორობის საგარანტიო ფუნქციას ასრულებს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. ამგვარი ქმედების ჩამდენი პირი უნდა მიექცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში ამ მხრივ აღიარებული იყო კლასობრივი პრინციპი, რომლის თანახმად, უფრო მკაცრად ისჯებოდა ე.წ. ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენელთა მიერ დანაშაულის ჩადენა მაშინ, როდესაც ამ მხრივ არსებითი შეღავათები ენიჭებოდათ მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლებს. ამგვარი მიდგომა სადღეისოდ არ არსებობს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა პირი თანაბრად უნდა დაისაჯოს. ჯერ ერთი, პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია. მეორეც, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი საქმის ვითარების იურიდიულ მხარეს გამოხატავს მაშინ, როდესაც არსებობს ადამიანთა შორის ფაქტობრივი განსხვავება, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება უფლება-მოვალეობათა განსხვავებაშიც. ამიტომაა, რომ პასუხსაგებ თანამდებობაზე მყოფ მოხელეს მეტი მოეთხოვება,

ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ქალებს, როგორც წესი, უფრო მსუბუქად სჯიან, ვიდრე მამაკაცებს; უცხოელს შეიძლება რაიმე შეღავათი გაუწიოს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც კარგად იცის საქართველოს კანონმდებლობა, სახელმწიფო ენა და ა.შ. მაგრამ ეს საკითხი სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს უკავშირდება და ოდნავადაც არ არყევს პრინციპს, რომლის თანახმად, ყველა პირი კანონის წინაშე თანასწორია სისხლის სამართალშიც, ხოლო ამ მხრივ თანასწორობის გარანტიას სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს.

§4. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის მონაპოვარი და მაჩვენებელია. მართლაც, ცნობილია, რომ დაბალი სამართლებრივი კულტურის ტომებსა და ხალხებში ასამართლებდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსა და საგნებსაც კი. სინამდვილეში დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. დანაშაული, როგორც უკვე ითქვა, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მაშასადამე, ბრალი დანაშაულის მესამე ნიშანია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე. ამ დებულებას თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში არავინ უარყოფს, თუმცა ზოგიერთი გამონაკლისიც არსებობს. კერძოდ, ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში, მართალია, არ უარყოფენ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ ზოგჯერ, პრაგმატისტული ფილოსოფიის ზეგავლენით, უშვებენ ბრალეულობის პრეზუმფციას, რომლის თანახმად, ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში სუბიექტის ბრალი თითქოს ყოველთვის ივარაუდება. ბრალეულობის პრეზუმფციის დაშვება, ამ იდეის ავტორთა აზრით, არსებითად ამცირებს მტკიცების ტვირთის უზარმაზარ ხარჯებს. სინამდვილეში კი მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს ბრალის გარეშეც. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანის ქმედება მიმართულია გარესამყაროზე და მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვშია ჩართული. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოებისათვის საზიანო შედეგი შეიძლება გამოწვეული იქნეს სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ. ცხადია, „ნება“ აქ არ გულისხმობს სუბიექტის მხოლოდ სურვილს, არამედ მას-

ში იგულისხმება სუბიექტის ცნობიერი აქტივობაც. კერძოდ, როდესაც სუბიექტს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ქმედების მავნე შედეგისა, უპასუხისმგებლობა არ გამოუნახია, იგი მოქმედებს ბრალის გარეშე, თუმცა ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

ამრიგად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს ბრალის გარეშეც. ამიტომ დებულება, რომ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში სუბიექტის ბრალი ყოველთვის უნდა ივარაუდებოდეს, არსებითად სწორი არ არის. პირიქით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სუბიექტს განხორციელებული აქვს დანაშაულის რომელიმე შემადგენლობა, რომლის მართლწინააღმდეგობა ეჭვს არ იწვევს, სუბიექტი მაინც არაბრალეულია, ვიდრე მისი ბრალი დადგენილი არ იქნება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. მაშასადამე, სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, მაშინ როდესაც სამოქალაქო სამართალში, როგორც წესი, პირიქით, დამზიანებლის ბრალი ყოველთვის ივარაუდება, ვიდრე იგი თვითონ არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს და არა ბრალდებულს. ბრალდებულის ფიგურა კი ბრალთან რაიმე შეხების გარეშე შეუძლებელია. ამიტომაა, რომ სისხლის სამართალში ბრალის ცნებასა და ფორმებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მიმართულია კანონმდებელზე, რათა ამ უკანასკნელმა სისხლის სამართლის კანონშივე გადაწყვიტოს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის განხორციელების ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრის საკითხი. ამ მხრივ უპირველესია სუბიექტური შერაცხვის პრინციპის საკანონმდებლო გადაწყვეტა. იგულისხმება შერაცხადობის ცნება, როგორც სპეციალურ-იურიდიული ფენომენი ანუ სუბიექტის უნარი პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის (ე.ი. შერაცხადობა ასაკისა და სულიერი ჯანმრთელობის გამო (სსკ-ის 33-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად). სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე შეზღუდული შერაცხადობის ცნებას (სსკ-ის 35-ე მუხლი), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.

კანონმდებელს მხედველობიდან არ რჩება ერთ შემადგენლობაში ბრალის ორი ფორმის შესაძლებლობაც (სსკ-ის მე-11 მუხლი), აგრეთვე შეცდომასთან დაკავშირებული ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხი (სსკ-ის 36-ე მუხლი), მათ შორის ბრძანების ან განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებული (სსკ-ის 37-ე მუხლი) და ბრალის გამომრიცხავი ზეკანონიერ გარემოებათა საკითხიც (სსკ-ის 38-ე მუხლი).

ამრიგად, შერაცხადობა, როგორც სპეციალურ-იურიდიული ცნება, სუბიექტის ასაკზე ან სულიერ ჯანმრთელობაზე არ დაიყვანება. ამიტომაა, რომ საერთოდ შერაცხადი, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად, პათოლოგიური აფექტის ან პათოლოგიური სიმთვრალის ვითარებაში), მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ შეურაცხადია. უფრო მეტიც, არსებობს ე.წ. კაზუსი ანუ შემთხვევა, რომელიც დანაშაულებრივი დაუდევრობის ზღვარზეა, როდესაც სუბიექტი არ არის ვალდებული აცნობიერებდეს ქმედების მართლწინააღმდეგობას ან მას არ შეუძლია მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში იმოქმედოს სხვაგვარად.

გარდა შერაცხადობისა, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი თავად ბრალის ცნებასა და ფორმებსაც გულისხმობს. სამწუხაროდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბრალის ფორმები ბრალის ცნების გარეშეა განმარტებული, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ბრალი წარმოდგენილია შინაარსის გარეშე, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსებში საზოგადოდ ბრალის ცნების განმარტება იშვიათია. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 პარაგრაფი, რომელშიც ბრალის ცნება სუბიექტის უპასუხისმგებლობად იქნა წარმოჩენილი. ეს არსებითად რომ ვთქვათ, ფრიად საინტერესოა. კერძოდ, არსებობს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, როგორც ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რომელიც მართლზომიერი ქმედების პირობაა. ამ პოზიციიდან ლოგიკურია დასკვნაც, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ანუ ბრალის შედეგია. ცხადია, ბრალი არაა მოწვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ ბრალის ცნება ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე არ დაიყვანება. აქედან გამომდინარე განსხვავება (სსკ-ის მე-9 მუხლი) და გაუფრთხილებლობა (სსკ-ის მე-10 მუხლი)[1]. სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენის ფორმებია. თუ განსხვავება არის პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის შეგნებული უარყოფა,

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში ნათქვამია, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. მოხდა ისე, რომ ამ კოდექსის კერძო ნაწილში ბრალის გაუფრთხილებელი ფორმა საერთოდ იქნა ამოგდებული, რის გამოც შექმნილია აშკარად უხერხული ვითარება, რაც პრაქტიკულადაც დაუშვებელია.

გაუფრთხილებლობა ამ პასუხისმგებლობის უგულებელყოფით ვლინდება. ამიტომ შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსებში ბრალის ცნების განსაზღვრებაც, რაც ბრალის ფორმებს თავის საკუთარ შინაარსს მიანიჭებდა. კერძოდ, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალის ფორმების დადგენა ბრალდების საფუძველია, მაშინ როდესაც ბრალის ფორმებიდან ბრალზე უკუდასკვნა ინდუქციურია, ე.ი. საეარაუდოა. ამიტომაა, რომ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ბრალის დადგენა მხოლოდ სასამართლოს (მოსამართლის) საქმეა.

ამრიგად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ პირობებზეა დამოკიდებული. ჯერ კიდევ იმას, რომ ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უნაკლოა (მით უმეტეს, რომ მასში ბრალის ცნება განმარტებული არ არის), მაგრამ მასში მაინც მოიპოვება ისეთი ნორმატიული გადაწყვეტა, რომელსაც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ესება აგრეთვე იურიდიულ პირსაც, რადგან იურიდიული პირის ფორმაში, მისი სახელით ან ინტერესებში მოქმედი ფიზიკური პირი (პირები) იურიდიული პირის დამაფუძნებელი ხელშეკრულებით, წესდებით ან დებულებით ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად და მოწოდებულია ამ ვალდებულებას ეკიდებოდეს პასუხისმგებლურად. მაშასადამე, იურიდიული პირი შეიძლება მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ, როდესაც აღნიშნული ფიზიკური პირი აღდგება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას. იურიდიული პირი შეიძლება მოქმედებდეს ბრალეულად, თუ არნიშნული ფიზიკური პირი (პირები) მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდება უპასიხისმგებლოდ, ნაცვლად იმისა, რომ მოჰკიდებოდა პასუხისმგებლურად. მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია და ბრალის ხინინიმია.

§5. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი

სისხლის სამართალში მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის ყოველი სუბიექტი ინდივიდუალურადაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე მართლწესრიგის დაცვისათვის. ეს დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილიდან. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. მართალია, შესაძლებელია ამ მხრივ ჯგუფური პასუხისმგებლობაც, როდესაც ე.წ. დანაშაულთან სახახლვრო სიტუაციაში პირთა განსახღვრული ჯგუფი (მაგალითად, მახობრივი არეულობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად) იღებს პასუხისმგებლურ გადაწყვეტილებას, რომ არ აჰყვეს პროვოკაციას, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის პირად ხასიათს. მეორეც, ჩადენილი ბრალეული ქმედებისათვის ნეგატიური წესით პასუხს აგებს მხოლოდ მისი ჩამდენი პირი და არა მისი მშობელი,[1] ახლობელი და ა.შ. როგორც ეს შეიძლება მოხდეს სამოქალაქო სამართალში ან ნაწილობრივ [ადმინისტრაციულ სამართალში. ცხადია, შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მშობლები ზნეობრივ პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევენ, მაგრამ ეს სხვა საკითხია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი მკაცრად პერსონალურია. ეს აიხსნება არა იმდენად ბრალის პერსონიფიკაციით, არამედ თვით ნეგატიური პასუხისმგებლობის ბუნებით. კერძოდ, დანაშაულში თანამონაწილეობისას ადგილი აქვს ბრალის განსახღვრულ ერთიანობას ანუ თანაბრალეულობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა კოლექტიურია ან სოლიდარულია. საქმე ისაა, რომ დანაშაულში თითოეული თანამონაწილე სხვასთან თანაბრალეულობის მიუხედავად, პასუხს აგებს საკუთარი ბრალის ხარისხის შესაბამისად. მაშასადამე, ერთია ბრალის ცნება და მეორეა ნეგატიური პასუხისმგებლობა, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპში

[1] საქ. სსკ 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული გადახდისუუნაროა, მაშინ ჯარიმის გადახდა დაეკისრება მის მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. სამწუხაროდ, აღნიშნული ნორმა ერთდროულად ქმნიადმღუგება როგორც პირადი, ისე ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. კერძოდ, ჯარიმა სასჯელია და მაშინ ის უნდა შეეფარდოს იმ პირს, ვინც დანაშაული პირადად ჩაიდინა. ცხადია, ჯარიმის, ასე ვთქვათ, უდანაკარგოდ აძოღების ინტერესიც გასაგებია, მაგრამ ამ ინტერესს სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის, პრინციპები არ უნდა შეეწიროს.

გადადის. იგივე ითქმის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებაც. კერძოდ, ყოველი იურიდიული პირი თავისი დამაფუძნებელი დოკუმენტებით, საქმიანობის წესით და სხვა პირადი მახასიათებლით პერსონალურია და ამ თვალსაზრისით პირადი პასიხიმგებლობის პრინციპი არც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას ირღვევა. სხვა საკითხია, თუ შესაძლებელია იურიდიული პირების თანამონაწილეობა დანაშაულში ან იურიდიული და ფიზიკური პირის თანაბრალეულობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც პერსონალური იქნება ბრალის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად.

§6. პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი

პასუხისმგებლობა არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, რომელსაც გარდუვალობა ბუნებრივად ახასიათებს. გარდუვალია არა მარტო ნეგატიური პასუხისმგებლობა უკვე ჩადენილი ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის, არამედ პოზიტიური პასუხისმგებლობაც, ე.ი. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულებაც. თუ სუბიექტი თავის მოვალეობას პასუხისმგებლურად არ მოეკიდება,მაშინ ის უპასუხისმგებლობის ვითარებაში აღმოჩნდება, ხოლო ამგვარ უპასუხისმგებლობას გარდუვალად მოჰყვება ნეგატიური პასუხისმგებლობა, როგორც უპასუხისმგებლო ანუ ბრალეულ ქმედებაზე შესაბამისი ინსტანციის (მაგალითად, სახელმწიფოს მხრივ) უარყოფითი რეაქცია. მაშასადამე, ადამიანი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა: ის ან პოზიტიური პასუხისმგებლობის სუბიექტია ან, პირიქით, ნეგატიური პასუხისმგებლობის სუბიექტი. გამონაკლისი ამ მხრივ არის შემთხვევა, როდესაც სუბიექტმა ჩაიდინა უპასუხისმგებლო ქმედება, ე.ი. როდესაც იგი თვითნებურად გავიდა პოზიტიური პასუხისმგებლობის ფარგლებიდან, მაგრამ ნეგატიურ პასუხისგებაში მიცემული არ არის. ამ ვითარებაში სუბიექტი პასუხისმგებლობის ორივე ასპექტის გარეთაა, რაც დაუშვებელია, მოუმენელია, რის გამოც აუცილებელია ნეგატიური პასუხისმგებლობის პრაქტიკული ამოქმედება.

პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპს სისხლის სამართალში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია ჩეზარე ბაკარიას გამონათქვამი იმის შესახებ, რომ დანაშაულთა თავი-

დან აცილებაში მთავარია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდუვალობა. ეს დებულება არსებითად სწორია, ოღონდ იმ შესწორებით, რომ „პასუხისმგებლობა“ და „სასჯელი“ ერთი და იგივე არ არის. კერძოდ, გარდუვალია, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა, როგორც ბრალეულ ქმედებაზე სახელმწიფოს უარყოფითი რეაქცია. თუ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში პასუხისმგებლობა გარდუვალი გახდა, ე.ი. არც ერთი ბრალეული ქმედება სახელმწიფოს მხრივ სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩება, მაშინ სახოგადოების მერყევი ელემენტები დანაშაულის ჩადენისაგან თავს შეიკავებენ.

სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის გარდუვალობა არ ემთხვევა სასჯელის გარდუვალობას. ცხადია, სასჯელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა და, მაშასადამე, სასჯელიც ამ აზრით გარდუვალია, მაგრამ ჯერ ერთი, არსებობს სასჯელის ეკონომიის პრინციპიც, რომლის თანახმად, სასჯელი ზედმეტად უნდა გამოვიყენოთ. ადამიანი, როგორც ფ. დოსტოევსკი იტყოდა, ყველაფერს ეჩვევა. მაშასადამე, იგი სასჯელსაც შეეჩვევა. ამ პირობებში სასჯელი ეფექტური ვერ იქნება. ამიტომაა აუცილებელი, რომ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში გამოვიყენოთ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ზომა, ვიდრე სასჯელი. მეორეც, არსებობს პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების წესი და პირობები, რაც იმას ადასტურებს, რომ სათანადო სახელმწიფოებრივი რეაგირების გარეშე არც ერთი დანაშაული არ უნდა დარჩეს, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ ზემოქმედების რა ზომა იქნეს გამოყენებული, წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

§7. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სისხლის სამართალში სასჯელთა დიფერენციაციის გზით ხორციელდება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელთა სახეებისა და სისტემის მკაცრად განსაზღვრის შემდეგ (ე.ი. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში) სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, თითოეული დანაშაულის ხასიათის მიხედვით, დიფერენცირებულია სასჯელი. სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა შეარჩიოს ისეთი სასჯელი, რომელიც ყველაზე უფრო ადეკვატურად გამოხატავს როგორც დანაშაულის ბუნებას, მისი ჩადენის გარემოებებს და ბრალეულის პიროვნებას. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის მოქ-

მედ კოდექსში, როგორც წესი, თავიდანაა აცილებული აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში დაწესებულია სასჯელის მაქსიმუმი ამაც დანაშაულისათვის იქვე სასჯელის მინიმალური ზომის განსაზღვრის გარეშე. მაგალითად, 118-ე მუხლში ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დაწესებულია გამასწორებელი სამუშაო ვადით თვრამეტ თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსაღობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლში არა მარტო დიფერენცირებულია სასჯელი, არამედ განსაზღვრული სასჯელის მხოლოდ მაქსიმუმი, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს მოახდინოს არა მარტო სასჯელის ყველაზე ოპტიმალური სახის შერჩევა, არამედ კანონის ფარგლებში სასჯელის მინიმალური ზღვარის განსაზღვრაც.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გამსჭვალულია პედაგოგიური სულისკვეთებით. როგორც აღვნიშნეთ პრობლემა სწორად ვერ გადაწყდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ისე პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. მით უმეტეს, რომ სასჯელის მიზანი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, არის არა მარტო სამართლიანობის აღდგენა, არამედ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენაც, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ ┌ პოზიტიური პასუხისმგებლობის აღზრდაც. დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნება მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე არ დაიყვანება. ამიტომ სასამართლო ვალდებულია ღრმად შეისწავლოს ბრალეულის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, განსაკუთრებით ┌ მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანის, შეურიგდეს დაზარალებულს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილი).

სასჯელის ინდივიდუალიზაცია განსაკუთრებით აქტუალურია დანაშაულში თანამონაწილეობისას, რადგან ამ შემთხვევაში საქმე შეეხება ორი ან მეტი პირის მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელებას თანაბრალეულობის ვითარებაში. ამიტომაა აუცილებელი ზუსტად იქნეს დადგენილი ამ ერთიანი უმართლობის განხორციელებაში თითოეული თანამონაწილის, აგრეთვე ამსრულებლის როლი, ამის შესაბამისად თითოეული მათგანის ბრალის ხარისხი. სასჯელის ინდივიდუალიზაცია ეხება იურიდიულ პირსაც, ამ უკანასკნელის მიერ

ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მისი ჩადენის გარემოებებს, ბრალის ხარისხს და სხვა კრიტერიუმებს.

ამრიგად, სასჯელის ინდივიდუალიზაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის არსი განსაზღვრულია თვით სასჯელის მიზნებით. თუ სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაულისათვის, მაშინ გასაგებია, რომ სასჯელისაგან უნდა მივიღოთ პრაქტიკული სარგებლიანობის მაქსიმუმი ¹ აღვადგინოთ დარღვეული სამართლიანობა, მივაღწიოთ დანაშაულთა თავიდან აცილებას როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრივ, გამოვადვიძოთ ან აღვზარდოთ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული აღსდგეს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში და სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში.

§8. სამართლიანობის პრინციპი

სამართლიანობა ეთიკის კატეგორიაა და სპეციფიკურად ვლინდება სამართალშიც, მათ შორის ¹ სისხლის სამართალშიც. განსხვავებით სიკეთის კატეგორიისაგან, რომელიც უპირობო და უნაცვალგებოა, ე.ი. აბსოლუტური ღირებულებაა, სამართლიანობა ნაცვალგების პრინციპზეა აგებული. ამ პრინციპის თანახმად, ყველას დამსახურებისამებრ უნდა მიეზღოს. ამის გამო იქმნება იმის საშიშროება, რომ სამართლიანობის პრინციპი სისხლის სამართალში ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვის პრინციპში გადაიზარდოს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სასჯელის თეორიაში სამაგიეროს მიზღვის მოთხოვნას თავი ვერ დააღწიეს ისეთმა დიდმა ფილოსოფოსებმაც კი, როგორებიც იყვნენ კანტი და ჰეგელი. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სასჯელი, მართალია, დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ იგი მიზნად ისახავს ისეთ შედეგებს, რომელთაც სამაგიეროს მიზღვის პრინციპთან საერთო არაფერი აქვთ. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

აშკარაა, რომ დანაშაულებრივი ქმედება არა მარტო მართლსაწინააღმდეგოა, არამედ უსამართლობის აქტიც. რა თქმა უნდა, „დანაშაულის“ ჭეშმარიტი უსამართლობა არსებითადაა დამოკიდებული

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობაზე. მონათა და გლეხთა აჯანყებანი უკიდურესი უსამართლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. აშკარად უსამართლობის აქტები გახლდათ საბჭოთა კავშირში და საერთოდ კომუნისტურ რეჟიმში განსახორციელებელი რეპრესიებიც. თანამედროვე სახელმწიფოებში კი, მეტ-ნაკლები ხარისხის დემოკრატიზმის ვითარებაში, დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვა სამართლიანიცაა და, მაშასადამე, ამ აკრძალვის დარღვევა ┌ უსამართლობის აქტიც. რა თქმა უნდა, ამ უსამართლო აქტის ჩამდენის დასჯა სამართლიანობის აღდგენასაც მოასწავებს. მაგრამ ამ მიმართებით სახელმწიფომ ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის საკითხი. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონში უნდა იქნეს გათვალისწინებული ყოველი დანაშაულისა და მისი შემადგენლობის შესატყვისი სასჯელები ამ დანაშაულის სიმძიმის ანუ კატეგორიის, მისი ჩადენის გარემოებებისა და მისი შესაძლო ჩამდენი პირის თავისებურებათა გათვალისწინებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სასამართლომ შეძლოს დანიშნოს სამართლიანი სასჯელი. თუ დანიშნული სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შედარებით აშკარად ლმობიერია ან, პირიქით, აშკარად მკაცრია, მაშინ გამამტყუნებელი განაჩენი ამ მხრივ შესწორებას მოითხოვს.

სასჯელის სამართლიანობა, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ გრძნობას, მართლშეგნებას, რომ დანაშაულის ჩადენით ხელყოფილი სამართლიანობა აღდგენილი იქნა, ხოლო მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის მხრივ სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავებას. ცხადია, სასჯელში გამოხატული სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა არ შეიძლება დაყვანილი იქნეს საზოგადოების ზოგიერთი ფენისათვის დამახასიათებელ შურისგებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა საზოგადოებრივი აზრისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. სასჯელის სამართლიანობა ამგვარი შურისგების გრძნობას კი არ აკმაყოფილებს, არამედ სწორედ სამართლიანობის გრძნობას, რომელიც საზოგადოებრივი მასშტაბით უეჭველად დიდი ძალაა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. რა თქმა უნდა, სამართლიანობის თვალსაზრისით დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობა ობიექტურია და ამიტომაა, რომ სასჯელი, მისი მიზნების მიუხედავად, დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის. ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩამდენმა პირმა შეიგნო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, გულწრფელად მოინანია იგი და, მაშასადამე, გამოსწორებას სისხლისსამართლებრივი გაგებით არ საჭიროებს, ის მაინც დაისჯება, თუმცა დანაშაულისადმი დამოკიდებ-

ულების გათვალისწინებით. ამიტომ აქაც უნდა განვასხვაოთ სამაგიეროს მიზღვა, რომელიც, ზოგჯერ თვითგასწორების აქტშიც ვლინდება და სამართლიანობა, რომლის ობიექტური კრიტერიუმი ხადგინილი დანაშაული და მისი ხამდენი პირია.

სამართლიანობის პრინციპი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სასჯელის სამართლიანობით. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზემოქმედების სხვა ზომებსაც. (მაგალითად, პირობითი სასჯელი), რომელთა გამოყენება სამართლიანობის მოთხოვნას უნდა პასუხობდეს. ამ მხრივ გამონაკლისი არაა არც პასუხისმგებლობისაგან და არც სასჯელისაგან გათავისუფლების წესი და პირობები.

სამართლიანობის პრინციპთანაა დაკავშირებული ერთი დანაშაულისათვის ერთჯერადი პასუხისმგებლობის პრინციპიც (non bis in idem) რაც გამოხატულებას პოულობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლშიც. ცხადია, მკაცრ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმსახურებს პირი არაერთგზისი ან რეციდივული დანაშაულისათვის, დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობისას, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

ერთი დანაშაულისათვის ერთჯერადი პასუხისმგებლობის პრინციპი არ გამორიცხავს განმეორებით სასამართლო პროცედურას, რომელსაც სასამართლო ბრალდებულის მიმართ იყო უსამართლო ან პირი პასუხისგებაში მიცემული იყო მისი დასჯის ნამდვილი მიზნის გარეშე. სამწუხაროდ, ვიტყვით იმას, რომ დანაშაულის ხამდენი ირიდიული პირის დასჯა ყოველთვის სამართლიანია. მაგალითად, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას უსამართლოდ ისჯებიან იურიდიული პირის ფორმაში მომუშავე ფიზიკური პირები, რომლებიც კარგავენ სამუშაოს, ოლახება მათი ღირსება და პატივი სწორედ იმ შემთხვევაში, როცა ამ ადამიანებს წარმოდგენა არა აქვთ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაში მოკალათებულ კრიმინალებზე და მათ დანაშაულებრივ საქმიანობაზე.

§9. ჰუმანიზმის პრინციპი

„ჰუმანიზმი“ ნიშნავს ადამიანის სიყვარულს, მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, მისივე ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლების დაცვა-გათვალისწინებას. რეალურ სამყაროში ადამიანზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს. ამიტომაა აუცილებელი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების, გათვალისწინება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ადამიანის პიროვნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო

თეორიული იდეაა, არამედ იგი უაღრესად პრაქტიკულ შედეგებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ადამიანის პიროვნებისადმი მაღალზნეობრივი დამოკიდებულება დანაშაულთა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორია. არსებითად ცდებოდნენ მართლმსაჯულების ის წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც წესი, განსაკუთრებით დანაშაულის ჩადენისათვის სამოხრჩობის საჯარო დემონსტრაციას მოსახლეობის დაშინების გზით და დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით ეწეოდნენ. ჯერ ერთი, სიკვდილით დასჯა, რა ფორმითაც არ უნდა აღსრულდეს იგი, არ შეიძლება სასჯელად ჩაითვალოს. სასჯელი დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელი სუბიექტმაც (მსჯავრდებულმაც) უნდა აღიქვას და განიცადოს, რაც სიკვდილით დასჯის შემთხვევაში გამორიცხულია. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში გამორიცხულია მსჯავრდებულის რაიმენაირი გამოსწორების იდეაც. მეორეც, ჩამოხრჩობის საჯარო დემონსტრაციისას მხედველობიდან რჩებოდათ ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში სახრჩობელაზე ეკიდა მსჯავრდებული, როგორც ქუჩის მაწანწალა ძაღლი, რომელსაც არავითარი ადამიანური ღირებულება არ გააჩნდა და, მაშასადამე, ამით საზოგადოდ ეცემოდა ადამიანისადმი პატივისცემითი დამოკიდებულების სულისკვეთება და მკვიდრდებოდა სისასტიკის საშიში ტენდენცია. ამ ვითარებაში დანაშაულთა თავიდან აცილება კი არ ხდებოდა, არამედ, პირიქით, მკვიდრდებოდა გაუფასურებული ადამიანის წინააღმდეგ ნებისმიერი ძალადობის გამოვლენის ტენდენცია. ამიტომაა აუცილებელი ჰუმანიზმის იდეის არა მარტო თეორიული პროპაგანდა, არამედ მისი პრაქტიკული დამკვიდრება. ამ მხრივ საქართველოში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა, როგორც „სასჯელის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიება". მაშინ როდესაც, როგორც უკვე ითქვა, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება სასჯელად ჩაითვალოს. იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვის უკიდურესი გამოვლინებაა და თავის მხრივ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სისასტიკის მაჩვენებელია. ისიც ცნობილია, რომ სიკვდილით დასჯას არასოდეს მოუტანია დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის სასარგებლო შედეგები, მით უმეტეს მკვლელობის თავიდან აცილების საქმეში.

სიკვდილით დასჯის პრობლემა დღემდე სადავოა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ სიკვდილით დასჯის ექვივალენტად დააწესა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც, თავისთავად ადებული, მეტად მკაცრია და მისი ფილოსოფიური დასაბუთება არც თუ ისე იოლია. კერძოდ, ფილოსოფიაში ადამიანის არსებით ნიშნად მიჩნეულია მისი თავისუფლება. მაშა-

სადამე, არის თუ არა ადამიანი ის, ვისაც მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა? საბედნიეროდ, ამ დილემიდან გამოსავალიც იქნება ნაპოვნი, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა“.

ამრიგად, აშკარაა, რომ თავისუფლების უვადოდ აღკვეთის შეფარდების შემთხვევაშიც არაა გამორიცხული მსჯავრდებულის გამოსწორების იდეა. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართალში ჰუმანიზმის მთავარი ნიშანია არა იმდენად პასუხისმგებლობის ნეგატიური ასპექტის ჰუმანიზაცია, რამდენადაც დანაშაულთა თავიდან აცილება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ კოდექსის მიზნადაა მიჩნეული. ამ მიზნისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ადამიანი სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველეს ობიექტად გამოაცხადა. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში დირებულებათა ამგვარი გადანაწილება უეჭველად პასუხობს არა მარტო ჰუმანიზმის იდეას, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ამკვიდრებს ადამიანისადმი პატივისცემით დამოკიდებულებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, დანაშაულთა თავიდან აცილება ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ დგება საკითხი ჩადენილი დანაშაულისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის ჰუმანიზაციის შესახებ. ჯერ ერთი, ადამიანის აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და, მაშასადამე, დანაშაული ადამიანთა სრული თვითნებობის შედეგი არაა. არსებობს დანაშაულთა მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების რთული კრიმინოლოგიური პრობლემა, რომელიც ჩადენილი დანაშაულისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის ჰუმანიზაციის ერთერთი აუცილებელი პირობაა. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილში სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისთა შორის მოხსენებულია დანაშაულის ჩამდენი პირის წარსული ცხოვრება, მისი პირადი და ეკონომიკური პირობებიც. არ იქნება უხერხო მატერიალიზმის ადიარება იმისი თქმა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ პირობებს დანაშაულთა მიზეზებში განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ. ჩადენილი დანაშაულისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის ხასიათისა და ზომის

განსაზღვრისას ამ პირობების გათვალისწინება უადრესად აუცილებელია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოების წევრებისათვის ცხოვრების მინიმალური პირობების შექმნა სახელმწიფოს მოვალეობაა. ამ ვითარებაში სასჯელზე სახელმწიფოს უფლება არსებითად ფარდობითია.

შეიძლება ითქვა, რომ დანაშაულისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობა სამაგიეროს მიზღვას სრულიად არ წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა დაცული იქნეს ჰუმანიზმის პრინციპის ისეთი არსებითი ასპექტი, როგორიცაა ბრალეული პირისადმი დამოკიდებულება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, „სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.“ ჯერ ერთი, ფიზიკური სასჯელები, რომლებიც ნაწილობრივ მოქმედებენ ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოებში, საქართველოში გამორიცხულია. მეორეც, მართალია, სასჯელი მსჯავრდებულში იწვევს მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რაც სასჯელის ობიექტური ნიშანია და არა მისი მიზანი. მესამე, დაუშვებელია დანაშაულის ჩამდენი პირის ღირსების დამცირება. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი, ამორალური აქტიცაა და, მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პირის მორალური ღირსება ისედაც შელახულია, რომ მას ზედ დაემატოს მისი ღირსების შემლახველი ქმედებანი. მართალია პრაქტიკაში ეშვიათი არ არის უბოროტესი დანაშაული, რომელიც ყველა ნორმალური ადამიანის უკიდურეს აღშფოთებას იწვევს, რის გამოც ძნელია თავშეკავება და ამგვარი პირებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების შენარჩუნება. მაგრამ, როგორც ო. დოსტოევსკი იტყოდა, ადამიანურ მოპყრობას შეუძლია შემოაბრუნოს ღვთის პირიდან გადავარდნილიც კი. ამ თვალსაზრისით ისიც შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს გამოუსწორებელი „დამნაშავე“ ყოველთვის უნდა დავიტოვოთ იმის იმედი, რომ მსჯავრდებული გამოსწორდება. როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი ითვალისწინებს მსჯავრდებულში პოზიტიურ პასუხისმგებლობის აღდგენას, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ ამ პასუხისმგებლობის ნაწილობრივ აღზრდასაც.

არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დაცვისა და პასუხისმგებლობის პრობლემას, ამ ასაკის შესაბამისად ყველა საშეღავათო გარემოებას, მათ შორის აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს. ამ კოდექსში ყურადღება ეთმობა ორსულ და ბავშვიან ქალებს, მოხუცებისა და უმწეო მდგომა-

რეობაში მყოფი პირების სისხლისსამართლებრივ დაცვას, რაც ჰუმანიზმის თავისებური გამოვლინაა. ცხადია, ჰუმანიზმი სრულიად არ ნიშნავს ცალმხრივ დათმობებს და ზღვარგადასულ მომტეგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ამინისტიისა და შეწყალების შესაძლებლობას. ამით ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ მკაცრად უნდა დაისაჯოს ის პირები, რომლებიც აბუჩად იგდებენ ადამიანს, არად აგდებენ ქალებს, მათ შორის ორსულებსაც, დრმად მოხუცებსა თუ უმწეო მდგომარეობაში მყოფთ.

ამრიგად, ჰუმანიზმი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი არც ისაა, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს არაერთგზის გაუღაშქრიათ ბრალდებულთა წამების, მსჯავრდებულებისადმი სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ჰუმანიზმის პრინციპი მოქმედებს არა მარტო სისხლის სამართალში, ან სისხლის სამართლის პროცესში წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე, არამედ სასჯელის აღსრულების პრაქტიკაშიც. უფრო მეტიც, როგორც იტყვიან, ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ სასჯელის აღსრულებაში დაშვებული იქნა ჰუმანიზმის საწინააღმდეგო აქციები, რამაც მსჯავრდებულთა გამოსწორების ნაცვლად, პირიქით, მათი გაბოროტება შეიძლება გამოიწვიოს.

III თავი

პოლიტიკა სისხლის სამართალში და სისხლის სამართლის თეორია

§1. პოლიტიკა სისხლის სამართალში

ცნობილია, რომ ტერმინი „პოლიტიკა“ წარმომდგარია ძველი ბერძნულიდან („polis“ ანუ „ქალაქი სახელმწიფო“), „politea `ანუ კონსტიტუცია), „politikos „სახელმწიფო მოღვაწე და სხვა). ოფიციალურად იგი გამოიყენა და განმარტა კიდევ დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ. იგულისხმებოდა საზოგადოების ორგანიზებული მართვა-გამგეობა, რაც ყველაზე ადექვატურად სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისა და ორგანიზების სფეროში გამოიხატა. ეს ბუნებრივია,რადგან სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. ცხადია, რამდენადაც სახელმწიფო სამართლის გარეშე არ არსებობს, სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა სამართლის სფეროშიც ვლინდება. ამდენად, პოლიტიკა საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სფეროა, რომელიც სპეციფიკურად ვლინდება საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროებში ამ შკანასკნელთა სპეციფიკის შესაბამისად, მათ შორის, ცხადია, სამართალშიც. მართალია,'პოლიტიკა „ფართო აზრითაც ესმოდათ, როგორც მთელი საზოგადოების სინონიმი, მაგრამ სადღეისოდ დავას არ იწვევს ის დებულება, რომ პოლიტიკა სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია, რადგან იგულისხმება, რომ პოლიტიკა საზაგადოების მართვის ხელოვნებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა და მისი ეფექტური ორგანიზაცია საზოგადოების ეფექტური მართვის მიზნებით,- პოლიტიკური საქმიანობის ძირითადი სფეროა. მაშასადამე, სახელმწიფო და სამართალი პოლიტიკური ასპექტების მქონე მოვლენებია, იმის მიუხედავად, რომ ამ მოვლენების წმინდა იურიდიული ბუნებაც არსებობს. ამიტომაც არის რომ სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფია იურიდიული მეცნიერებაა. მიუხედავად ამისა, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სამართალი ვლინდება კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში, რომლებშიც გამოხატულია არა მარტო სამართალი, ამ ტერმინის ვიწრო იურიდიული გაგებით, არამედ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკაც, სინთეზურად. ამ მხრივ გამონაკლისი არც სისხლის სამართალია. შემთხვევითი არ არის, რომ სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოვლენის სპეციფიკური პრობლემები

დიდი ხანია კვლევის დამოუკიდებელი სფეროა. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანი ისტორიული და პოლიტიკური პროცესების მონაწილეა და ეს პროცესები ადამიანზე აქტიურად ზემოქმედებს, გარკვეულწილად სცვლის და აყალიბებს მას პიროვნებად (არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ვითარც პოლიტიკურ ცხოველს). ამიტომაა, რომ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში ბუნებრივად დგება დღის წესრიგში სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისა და მისი ორგანიზაციის, საკანონმდებლო საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მსგავსი საკითხები, რომელთაც უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ასე, რომ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში პოლიტიკური პროცესებისაგან თავის დაღწევა ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ იყო, რომ ამა თუ ინ ეპოქის ფილოსოფოსები თუ სხვა სახის საზოგადო მოღვაწეები პოლიტიკური სასიათის ტრაქტატებსაც წერდნენ (მაგალითად, მაკიაველი, რომელმაც პოლიტიკური თვალსაზრისით გაამართლა მიზნის მიღწევის ნებისმიერი საშუალება). სისხლის სამართლის სფეროში სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის გამოვლენის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია იტალიელი კრიმინალისტის ჩეზარე ბეკარიას სახელგანთქმულ ნაშრომში („დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ") გამოხატული დებულება, რომ უმჯობესია დანაშაული თავიდან ავიცილოთ, ვიდრე დავსაჯოთ მისი ჩამდენი პირი. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილში გამოხატულია დანაშაულთა თავიდან აცილების იდეა ("ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა."). ეს დებულება თავისებურად განსაზღვრავს საქართველოში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთიანობას. ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულობათა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა არაა მხოლოდ კერძო პირების საქმე, არამედ იგი მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა. ეს კარგად იყო გაცნობიერებული ქართული სამართლის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე, განსაკუთრებით ვახტანგის სამართალში, რომელშიც მაღალ დონეზეა გამოხატული იურიდიული და პოლიტიკური აზროვნების სინთეზი, აგრეთვე მომდევნო ეპოქებშიც, იმის მიუხედავად, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში მოხდა სამწუხარო წყვეტა რუსეთის იმპერიის გამოისობით.

ლიტერატურაში ხშირადაა ლაპარაკი „სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, „ან სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე" რაც პირობითი და არაზუსტია, რადგან პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო ფართო სფეროა, ვიდრე სამართალი. ამიტომ პოლიტიკა შესაბამ-

ისად ვლინდება სამართალშიც, ისევე როგორც, მაგალითად, ეკონომიკურ ან სხვა სფეროში. სამართალის სფეროში პოლიტიკა ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციით, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში პოლიტიკური და იურიდიული ურთიერთების სინთეზური გამოხატულებაა, რადგან სამართლის სისტემის საწყის და უმაღლეს საფეხურს კონსტიტუცია წარმოადგენს. ეს, ცხადია, ეხება საქართველოს კონსტიტუციასაც, რომელშიც გამოხატულია სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების იდეა. გასაგებია, რომ კონსტიტუცია სამართლის ნებისმიერი დარგის იურიდიული ბაზა და საფუძველია, მათ შორის, ცხადია, სისხლის სამართლისათვის. ეს დებულება თავისებურადაა გამოხატული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილში, რომლის თანახმად, „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს."

ის ფაქტი, რომ სისხლის სამართალში თავისებურად ვლინდება სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა, დახასიათებულია საქ. სსკ პირველი მუხლის პირველ ნაწილში. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას."

გასაგებია, რომ ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაციაა, ესე იგი დანაშაულად ოფიციალური სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციაა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური აქტია, რადგან სახელმწიფოებრივი პოლიტიკისაგან მოწყვეტით ეს საქმე ვერ განხორციელდება. ბუნებრივია, თუ არსებობს პოლიტიკური მიზანწარიმართულობის, პოლიტიკური ნებისა და სტრატეგიის, აგრეთვე ტაქტიკის ცნებები, რომლებიც მოქმედებენ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროშიც. საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდგომ ეტაპზე არსებითად შეიცვალა დანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა, სახელმწიფომ ახალ პირობებში გამოხატა ჭეშმარიტი პოლიტიკური ნება კორუფციის, ქურდული მენტალიტეტისა და სხვა მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მრივ მოქმედმა კანონმდებლობამ, მათ შორის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, თუმცა რეფორმები ამ მხრივ ჯერ არ დასრულებულა. სახელმწიფოებრივი რეაგირების გარეშე არ უნდა რჩებოდეს არც ერთი სამართალდარღვევა, რათა მთ თავიდან აცილების მიზანი უფრო ეფექტურად განხორციელდეს. სხვა საკითხია, თუ სახელმწიფო აწესებს სხვადასხვა საშუალებათ პირობებს, რათა

პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან არა მარტო მატერიალურ სისხლის სამართალში, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც (მაგალითად, საპროცესო შეთანხმება).

პოლიტიკა საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში იმაშიც იჩენს თავს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს, მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებას. ეს შეიძლება გამოიხატოს იმაშიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ იგი სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოხატვის საქმეში უმაღლესი იურიდიული ბაზაა, უზრუნველყოფს პოლიტიკისა და სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, ერთიანობას; ამ თვალსაზრისით ორიენტირადაა აღებული სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. მით უმეტეს, რომ საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. გასაგებია, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება უნა ჩაითვალოს აღნაშაულად სისხლის სამართლის კანონში, რა წესითა და ხერხით უნდა მოხდეს ჩადენილი ქმედების გამოძიება (საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას), და, ბოლოს, სასაამრთლო განხილვა ანუ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება. გარდა ამისა, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ამრიგად, პოლიტიკურად ნეიტრალური კანონი, მით უმეტეს, სისხლის სამართლის სფეროში, შეუძლებელია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკა ცალსახად და უპირობოდ უნდა განსაზღვრავდეს სისხლის სამართლის კანონს და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან გამორიცხული სულაც არაა პოლიტიკური მიზნებით და დანაშაულობათა წინაღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის საბაბით სრულიად დაუშვებელი უკანონო რეპრესიები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დიქტატორულ რეჟიმების სახელმწიფოებში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამიტომ საჭიროა დავიცვათ პოლიტიკისაგან სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელსაც პოლიტიკა, როგორც წესი, ზემოქმედებს სამართალზე, მაგრამ, მეორე მხრივ, სამართალსაც აქვს პოლიტიკაზე უკუზემოქმედების უნარი. ეს ბუნებივ-

ია, რადგან პოლიტიკური გადაწყვეტილება და საქმიანობა მკაცრი კანონიერების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. ბოლოს, იურიდიული მეცნიერება პოლიტიკის მეცნიერებას სრულიადაც არ წარმოადგენს, როგორც ეს ესმოდათ ყოფილ საბჭოთა კავშირში, რადგან მაშინ არ არსებობდა პოლიტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება პოლიტიკის შესახებ. ამიტომ იურისტები სრულიად გაუმართლებლად აცხადებდნენ სამართლის შესწავლასთან ერთად პოლიტიკის შესწავლის პრეტენზიას. ცხადია, იურისტი პოლიტიკურადაც უნდა აზროვნებდეს, მაგრამ ეს სხვა საკითხია. მეცნიერი ლოგიკურადაც უნდა აზროვნებდეს, მაგრამ ლოგიკა ერთ-ერთი ფილოსოფიური მეცნიერებაა, ისევე, როგორც იურისტი ფილოსოფიურადაც უნდა აზროვნებდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იურიდიული მეცნიერება ფილოსოფიას შეისწავლის.

სადღეისოდ კი იურიდიული მეცნიერება უნდა სარგებლობდეს პოლიტოლოგიის მიღწევებით, ხოლო იურიდიული მეცნიერებისა და პოლიტოლოგიის ურთიერთობა ფილოსოფიაში გადადის. სხვა საკითხია, თუ არსებობს პოლიტიკის ფილოსოფიაც, რომელიც სამართლის ფილოსოფიასაც უკავშირდება.

§2. სისხლის სამართლის თეორია

სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის, პრაქტიკული დანიშნულებისა და ეფექტურობის დადგენა სისხლის სამართლის თეორიის საქმეა. სისხლის სამართლის თეორიას წინ უსწრებს სისხლის სამართლის დოგმატიკა, როგორც სისხლის სამართლის ნორმების გარეგანი აღწერის, მათი კლასიფიკაციისა და პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციების სისტემა. ნაწილობრივ დოგმატურია სისხლის სამართლის კანონის განმარტებისა და მისი მეთოდების სისტემა, რადგან ამ შემთხვევაში შემეცნების ხერხად გამოყენებულია ფორმალურ-დოგმატური მეთოდი, ცხადია, კანონმდებლის აზრის რაც შეიძლება უფრო ღრმა და ადექვატური გაგება შემეცნების უფრო ღრმა სახეობას მოითხოვს, რაც უკვე სცილდება დოგმატიკის სფეროს და სისხლის სამართლის თეორიაში გადადის. თუმცა ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ფორმალურ-დოგმატური მეთოდი გამოყენებული გახლდათ არა მარტო იურიდიულ დოგმატიკაში საზოგადოდ, არამედ სისხლის სამართლის თეორიაშიც კი. იგულისხმება, მაგალითად, იურიდიული პოზიტივიზმი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე

ნახევრიდან გავრცელდა პოზიტივისტური ფილოსოფიის საფუძველზე. პოზიტივიზმი ფილოსოფიაში არის კერძო მეცნიერებაზე ფილოსოფიის დაყვანა, რაც დაუშვებელია. პოზიტივისტური მსოფლმედველობა იურისპრუდენციის წმინდა ფორმალისტურ ხასიათს ამტკიცებდა, რის გამოც იურიდიული ცოდნის მეცნიერულობა ფრიად საეჭვო ხდებოდა.

სიხლის სამართლის თეორია, თავის მხრივ, იყოფა სისხლის სამართლის კერძო მეცნიერებად და სისხლის სამართლის ფილოსოფიად. სისხლის სამართლის მეცნიერება არის ერთ-ერთი კერძო, დარგობრივი, იურუდიული ცოდნის სისტემა, რომელიც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ამოცანებით განისაზღვრება. იგი, ერთი მხრივ, კანონმდებელს ეხმარება ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული სისხლის სამართლის კანონშემოქმედების სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, – სისხლის სამართლის ნორმაშეფარდების პრაქტიკას. მეცნიერება საზოგადოდ, როგორც ეს იმანუელ კანტმა დაადგინა, არის საყოველთაო და აუცილებელი მსჯელობების სისტემა, რომელიც ამა თუ იმ მეცნიერების საგნით, ამ საგანში მოქმედი კანონზომიერებით და ცნებათა (კატეგორიების) სისტემით განისაზღვრება.

სისხლის სამართლის მეცნიერებას, ისევე როგორც სხვა მეცნიერულ თეორიას, აქვს თავისი საგანი, ესე იგი სინამდვილის განსაზღვრული სფერო, რომელიც სპეციფიკურ შემეცნებას მოითხოვს. სისხლისსამართლებრივი აზრის ისტორიაში ხშირად ამტკიცებდნენ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია დანაშაული და სასჯელი, ცხადია, დანაშაულისა და სასჯელის შესახებ აზრის ლოგიკური ფორმები ანუ ცნებები სისხლის სამართლის თეორიის ნაწილია, მაგრამ აქმე ისაა, რომ დანაშაული და სასჯელი მოვლენებია, ხოლო მეცნიერებას აფუძნებს არა მოვლენათა სამყარო, არამედ სინამდვილის კანონზომერებანი და კანონები.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის გასაგებად მივმართოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, „განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.“ გასაგებია, რომ სისხლის სამართლის დარგში კანონმდებელი სახელმწიფოა (საქართველოს პარლამენტი), მაგრამ საზოგადოებისაგან მოწყვეტით იგი სისხლის სამართლის კანონს ვერ შეიმუშავებს და განსაზღვრულ ქმედებას დანაშაულად ვერ დააკვალი-

ფიცარებს. ამიტომაა, რომ დემოკრატიზმი ერთ-ერთი პრინციპია, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განსაზღვრულ თანაფარდობას გამოხატავს. ამ მიმართებით იქმნება სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა საზოგადოებას, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის. საზოგადოება სახელმწიფოსაგან მოითხოვს, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედება დანაშაულად გამოცხადდეს და სასჯელის მუქარით აიკრძალოს, სახელმწიფო თავისი პოლიტიკური მოტივაციის გათვალისწინებით იღებს საზოგადოების ამ დაკვეთას, ხოლო პიროვნება აქტიურად მონაწილეობს სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში (განსაკუთრებით სისხლის სამართლის კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვაში მონაწილეობის გზით).

გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა ობიექტურია და ამდენად განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობა მოწესრიგებულია, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის პრინციპებით, საქართველოს კონსტიტუციით (რომელსაც სისხლის სამართლის კანონი შეესაბამება), ხოლო მეორე მხრივ,-საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრონციპებითა და ნორმებით (საქ. სსკ პირველი მუხლის მეორე ნაწილი). აქედან გამომომდინარე, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა აპირობებს სისხლის სამართლის მეცნიერების წარმოშობას და შემდგომ განვითარებას. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა არის სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. ცხადია, რომ სისხლის სამართლის კანონის შემუშავება ამ კანონის მოქმედების მექანიზმის გათვალისწინებასაც მოითხოვს. იგულისხმება სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოიშობა. ეს დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილით, რომლის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. ეს ბუნებრივია, რადგან სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იქმნება სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, აგრეთვე სახელმწიფოსა და განსაღვრული ტიპის იურიდიულ პირებს შორის, რათა დანაშაულებრივი ქმედება თავიდან იქნეს აცილებული. ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს წინაშე ვალდებული არიან, იმოქმედონ მართლზომიერად, და მოწოდებული – მართლზომიერი ქმედების მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდონ.

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერ-

თება მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მექნიზმთან ანუ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასთან. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი (სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა) და სისხლისსამართლებრივი რეგულირების (მოწესრიგების) საგანი ანუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ერთიანია. ამ ერთიანობაზეა აგებული სისხლის სამართლის მეცნიერება.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა ლოგიკურად აღძრავს სისხლის სამართლის მეცნიერების მთლიანლოგიურ პრობლემატიკას. „მეთოდი" თეორიულ შემეცნებაში არის უმოკლესი გზა საგნის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნისაკენ. არსებობს თეორიული შემეცნების ორი ძირითადი წესი, რომელიც დიალექტიკური და მეტაფიზიკური აზროვნების სახით გამოიხატება. დიალექტიკური აზროვნების წესი წამყვანია და ნიშნავს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების საფეხურში წინააღმდეგობათა, დაპირისპირებათა ერთიანობას, რომელიც, თავის მხრივ, ახლის ქნადობის, განვითარების წყაროა. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონს სახელმწიფო შეუმუშავებს, მაგრამ სახელმწიფო ამ საქმეში მარტო არ არის. როგორც უკვე ითქვა, ამ საქმეში მონაწილეობს როგორც საზოგადოება, ისე პიროვნებაც. მათ შორის არის როგორც წინააღმდეგობაც, ისე ერთიანობაც, ხოლო ეს დიალექტიკური აზროვნების წესით შეიძლება იქნეს შემეცნებული.

დიალექტიკური აზროვნების წესი არსებითად განსხვავდება მეტაფიზიკური აზროვნების წესისაგან. ტერმინი "მეტაფიზიკა" თვალხილული სამყაროს მიღმა არსებულ უცვლელ სუბსტანციასაც ნიშნავს და ფილოსოფიის სინონიმადაც გამოიყენება, მაგრამ ამჯერად უმთავრესად იგულისხმება შემეცნების სპეციფიკური მეთოდი, აზროვნების წესი, რომელიც საგნის ანალიზური დაშლის გზით მოქმედებს და ქმნის ნიადაგს ცნობიერი ანუ დიალექტიკური აზროვნებისა და დასკვნებისათვის. მაგალითად, დანაშაულის ცნება შეიძლება დავშალოთ მისი შემადგენელი ელემენტების (ქმედების შემადგენლობის, მისი მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის) მიხედვით ანალიზისათვის, რათა შემდგომ გავაკეთოთ synthesis დასკვნა დანაშაულის ცნების, როგორც განსაზღრული სისტემის, დასაბუთებისათვის.

სისხლის სამართლის მეცნიერება საჭიროებს ისეთ მეთოდებსაც, როგორიცაა სოციოლოგიური კვლევა, რადგან უამისოდ სისხლის სამართლის წარმატებული კანონშემოქმედება შეუძლებელია. ამ ასპექტით იკვეთება კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართებაც, რადგან იგულისხმება დანაშაულობის მდ-

გომარეობის, დინამიკისა და სტრუქტურის ცნებები, რომელთა გარეშე სისხლის სამართლის კანონსმოქმედებას აზრი არა აქვს.

სისხლის სამართლის მეცნიერება გვერდს ვერ აუვლის ისეთ მეთოდს, როგორიცაა აქსიოლოგიური მიდგომა ანუ შეფასებით-დირებულებითი დამოკიდებულების ამოცნობის ხერხი. ამ მეთოდის გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის მეცნიერების ისეთი ცნებების აგება, როგორიცაა, მაგალითად, „ქმედების შემადგენლობა", „მართლწინააღმეგობა," „კვალიფიკაცია" და სხვა. ამ მეთოდთანაა დაკავშირებული ე. წ. გაგებითი შემეცნება, რომლის საგანია საზრისი. ამ მეთოდის გამოყენებით უფრო ადექვატურად შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის, ისე სისხლის სამართლის სუბიექტების დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოკური საზრისი (მოტივი და მიზანი).

სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდთა სისტემაში გამოყენებული უნდა იქნეს ე. წ. ფიქციის მეთოდიც, რომელსაც საქმის ფაქტობრივი მხარე შეცვლილია პრაქტიკულად საზრისიანი გამონაგონით, თითქოს ეს ესაა. მაგალითად, შეალობითი ამსრულებლობისას ფაქტობრივად წამქეზებელი ოურიდიულად ამსრულებელია, რადგან ეს უკანასკნელი დანაშაულის ჩასადენად აგულიანებს შეურაცხად პირს, რომელიც დანაშაულებრივი განსრახვის განხორციელების იარაღია ან შერაცხად პირს უკანასკნელის შეცდომაში შეყვანის გზით ჩადენინებს გაუფრთხილებელ დანაშაულს.

სისხლის სამართლის მეცნიერებას სჭირდება ლოგიკური მეთოდების მთელი სისტემაც (დედუქცია ანუ ზოგადიდან კერძოზე დასკვნის ხერხი, ინდუქცია ანუ კერძოდან ზოგადი დასკვნების მიღების ხერხი, ანალოგია და შედარება, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობა და ა. შ.).

სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემატიკა თავისი არსით ფილოსოფიურია, რადგან მეცნიერებათა ურთიერთობის პრობლემა ფილოსოფიის საგანია. მართალი, სამართლის თეორიას ოურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში განსაზღვრული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სამართლის თეორიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ურთიერთობის პრობლემა საბოლოოდ მანც ფილოსოფიაში გადადის, რადგან სამართლის თეორია ერთ-ერთი კერძო მეცნიერებაა. ყუჯყ

სულ სხვაა ამ მხრივ სისხლის სამართლის ფილოსოფია, როგორც სამართლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი. იგულისხმება სისხლის სამართლის ძირითადი პრობლემატიკის მსოფლმხედველობრივი ანალიზი. კერძოდ, სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა ფი-

ლოსოფიურ დასაბუთებას მოითხოვს, ხოლო დანაშაულებრივი ქმედება მსოფლმხედველობრივად უსარისკო და დირებულებათ არჩევანში დაშვებული შეცდომის შედეგია ანუ დანაშაული არის მსოფლმხედველობრივი ცდომილების ნაირსახეობა. დანაშაულისა და სასჯელის ამგვარი მსოფლმხედველობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს უფრო კრიტიკულად მოვეკიდოთ სასჯელზე სახელმწიფოს უფლებას, რაც წარმატებული სისხლის სამართლის კანონშემოქმედების წინაპირობაა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების ფილოსოფიური კრიტიკა. თავის მხრივ, კიდევ უფრო ღრმად ააშკარავებს დანაშაულის უსარისკობას, დანაშაულის ჩამდენი პირის საკუთარ თავთან დაპირისპირების ტრაგიზმს.

თუ სისხლის სამართლის მეცნიერება დანაშაულის ცნებით იწყებს და სასჯელის ცნებით ამთავრებს, სისხლის სამართლის ფილოსოფია, პირიქით, სასჯელის ცნებით იწყებს (სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთება-უარყოფით) და დანაშაულის ცნებით ამთავრებს, რადგან იგი კრიტიკულად განიხილავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულად სახელმწიფოებრივ კვალიფიკაციას იმსახურებს (სისხლის სამართლის კანონის ფორმაში). მართალია, სისხლის სამართლის ფილოსოფია ძირითადად მიზნად ისახავს, წარმოსახოს სისხლის სამართალი სამართლებრივი იდეალების მიხედვით, ესე იგი ისე, როგორც ის უნდა იყოს, მაგრამ იგი ამავე დროს ხელს უწყობს უფრო პროგრესული ტიპის სისხლის სამართლის დამკვიდრებას, მაშასადამე, უფრო პროგრესული ტიპის სისხლის სამართლის მეცნიერების დამკვიდრებასაც. ეს იმისი თქმაც არის, რომ ფილოსოფია სისხლის სამართლის სფეროში ორმაგად სახარგებლოა და, მაშასადამე, ფილოსოფიის შებულებულობა ასევე ორმაგად საზიანოდ უნდა ჩაითვალოს.

IV თავი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მის საფუძველი – დანაშაული

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება

ნებისმიერი პასუხისმგებლობის,მათ შორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არსი პირობადადებულია ადამიანის ყოფიერების შემადგენელი სამი ფაქტორით. ესენია: პიროვნება, სახოგადოება და სახელმწიფო. ამის კვალობაზე ნებისმიერი ადამიანი საკუთარ თავზე განიცდის საკუთარი ცნობიერების, ასევე სახოგადოების ზემოქმედებას და სახელმწიფოს ზეგავლენას.

ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ ადამიანი, რომელსაც არ ესაჭიროება ადამიანთა სახოგადოება, არ არის ადამიანი, იგი ან ცხოველია ან ღმერთი. ადამიანი სწორედ სახოგადოებაში იძენს დამოუკიდებლობას. მისი თავისუფლება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ანიჭებს მას სახოგადოება დამოუკიდებლობას. შემთხვევით არ იყო ის, რომ უძველეს ხანაში ტომიდან განდევნა უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა.

სახელმწიფო უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე, უპირველეს ყოვლისა, როგორც მოქალაქეზე. გარდა ამისა, ადამიანზე სახელმწიფო ზემოქმედებს სახოგადოების, თანამოქალაქეთა საშუალებით. აქ საოცალავშია მისაღები ის გარემოება, რომ ადამიანის სრული გაიგივება სახოგადოებასთან და აგრეთვე სახელმწიფოსადმი მისი სრული დაქვემდებარება დაუშვებელია, ასეთ შემთხვევაში ადამიანი დაკარგავდა ყოველგვარ დამოუკიდებლობას, იგი აღარ იქნებოდა პიროვნება: დემოკრატიულ-სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანი თავისუფალი პიროვნებაა, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან. ცხოველისაგან ადამიანს განასხვავებს გონება, ხოლო თავისუფლება ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის საფუძველია თავისუფალი ნება. სწორედ თავისუფალი ნების არსებობის პირობებში შეიძლება მოეთხოვოს ადამიანს ანგარიში მისი ქცევის გამო.

ნება და თავისუფლება ერთმანეთს ავსებს. ნება თავისუფლების გარეშე უაზროობაა, ხოლო თავისუფლება აზრსა და მნიშვნელობას იძენს როგორც ნება, როგორც პიროვნება.

სწორედ ნების ინტენსივობას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ქცევის შერჩევაზე. ნებისყოფას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ქცევის

შერისხვაზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობით. სწორედ უარყოფითი, გასაკიცხი ქცევის ნაღდება წარმოშობს პასუხისმგებლობის საკითხებს.

საზოგადოება, სახელმწიფო მოქალაქეს, აგრეთვე იურიდიულ პირებს, განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის წარმოიშობა პასუხისმგებლობა, ეს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს მორალური ან სამართლებრივი.[1] საზოგადოდ, პასუხისმგებლობა, მისი ნეგატიური ასპექტით, გულისხმობს იმ უარყოფით შედეგებს, რასაც გამოიწვევს მორალის ან სამართლით გაკიცხული ქცევა.

სამართლის გასაკიცხ ქმედებას მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობის სახეებია: სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა. ასეთ პასუხისმგებლობას აწესებს დანაშაულის ნაღდების გამო სისხლის სამართლის კანონი. პასუხისმგებლობა გამოიხატება იმ სისხლისსამართლებრივ ძალებაში, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენის მიმართ. ეს კი მდგომარეობს დანაშაულის ჩამდენის სახელის ფორმით გაკიცხვასა და მის ძალებაში შეასრულოს სამართლებრივი მოვალეობა, ე.ი. საკუთარ თავზე გაიცადოს პირადი და ქონებრივი შეზღუდვები. ასეთ კითარებაში წინა პლანზე გამოდის დამნაშავის მოვალეობები, ხოლო მისი უფლებები მოვალეობისადმი მიმართებაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. ეს იმით აიხსნება, რომ თავად დამნაშავეს მოქმედებაში მოყავს სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს დამნაშავის სამართლებრივ მოვალეობაზე შეურიგდეს მისი სამართლებრივი სტატუსის შეზღუდვას, მოიხადოს სასჯელი, აანაზღაურებს მიყენებული ზიანი. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავიგოთ დებულება იმის შესახებ, რომ, პასუხისმგებლობა დამნაშავის ქცევის შინაგანი რეგულატორია. ამით კი ვლინდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი

---

[1] ფილოსოფიურ ლიტერატურაში პასუხისმგებლობის ცნება ორი ასპექტით განიხილება: რეტროსპექტული (პასუხისმგებლობა წარსულისათვის) და აქტიური (პასუხისმგებლობა მომავლისათვის). მეორე ასპექტით პასუხისმგებლობა ფპირატესად გამოიყენება ეთიკის,მორალის სფეროში. სწორედ ასეთ პასუხისმგებლობას გულისხმობენ,როდესაც ლაპარაკობენ ბავშვების აღზრდისათვის მშობლების პასუხისმგებლობაზე. აქ იგულის ხმება პასუხისმგებლობა როგორც ქცევის შინაგანი რეგულატორი, რომელიც თან ერწყმის მის მოვალეობას.

ფუნქცია „ეფექტური ზეგავლენა მოახდინოს დამნაშავის ცნობიერებაზე,ფსიქიკაზე რათა შესაძლებელი გახდეს დამნაშავის გარდაქმნა.

ამრიგად,შეიძლება დავასკვნათ: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. ასეთი პასუხისმგებლობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან. სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში და კანონის ფარგლებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანო უარყოფითად აფასებს დამნაშავის ქმედებას. ამის გამო ხდება დამნაშავის სამართლებრივი სტატუსის შეზღუდვაც. ეს კი აკისრებს მას მოვალეობას საკუთარ თავზე განიცადოს პირადი ან ქონებრივი ხასიათის შეზღუდვები. აქედან წარმოდგება დაზარალებულის კანონიერი უფლებების აღდგენისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანი.

§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი ასეთ ფუძემდებლურ ნორმას შეიცავს: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით.“

ამდენად სწორედ ხსენებული მე-7 მუხლის მიხედვით იქნება განხილული დანაშაულის ცნება.

1. საბჭოურ ლიტერატურაში ერთხმად იყო აღიარებული დანაშაულის კლასობრივი ბუნება. ეს მოსაზრება დღეს სადავოა, უფრო ზუსტად,ნაწილობრივ არის მისაღები.

რასაკვირველია, დანაშაულის ისტორია კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებიდან იწყება. კერძო საკუთრების წარმოშობა, ფართო მასების ექსპლოატაცია გაჭირვებისა და სიღატაკის მიზეზად იქცა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ექსპლოატირებულნი ქონებრივ დანაშაულს ჩადიოდნენ. ეს კი მოუთმენელი იყო მონათმფლობელური სახელმწიფოსათვის, რომელიც არსებული ხელისუფლების ინტერესებს იცავდა. ქურდი, რომელსაც დანაშაულის ადგილზე შეიპყრობენ, ვამოხრჩობილი და მოკლული უნდა იქნეს „აწესებდნენ ებრაული და

მუსლიმური კანონები, ჰამურაბის კანონები განსაკუთრებით მყარველობდა კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების ხელყოფისათვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯის სხვადასხვა სახე (წვალში დახრჩობა, დაწვა, ჩამოხრჩობა და სხვა). წინასწარი შეცნობით ნაქურდალის შესყიდვაც კი სიკვდილით ისჯებოდა. „სიკვდილით დაისჯება ყოველი არასრულწლოვანი, ვინც დამე გუთნის შემწეობით ფარულად ამოჭრის ამოსულ ნაყოფს“ – ნათქვამი იყო რომაულ XII ტაბულის კანონებში.

მონათმფლობელურ სახელმწიფოში დანაშაულის კლასობრივი ხასიათი განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება იმითაც, რომ მონათმფლობელის მიერ საკუთარი მონის მკვლელობა შეფასებული იყო როგორც საკუთარი ქონების მართლსაწინააღმდეგო მოსპობა.

მონების ბრძოლა თავის მბაგვრელებთან უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. დაშინების მიზნით სისხლისსამართლებრივი რეპრესია გამოიყენებოდა მონათა მთელი ჯგუფების წინააღმდეგ, თუნდაც დანაშაულის ჩამდენი ამ ჯგუფიდან ერთი ყოფილიყო. ცნობილია, რომ რომში ერთმა მონამ ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა პრეფექტი. სენატმა დაადგინა, რომ დამნაშავესთან ერთად სიკვდილით დაესაჯათ პრეფექტურის ყველა 400 მონა.

ფეოდალური იუსტიციაც შეუნიღბავი თვითნებობისა და ძმების უუფლებობით ხასიათდებოდა. კლასობრივ-წოდებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი ფართოდ იყო ახახული „რუსკაია პრავდაში“, მეფე ალექსი მიხეილის ძის საკრებულო დებულებაში (1649 წ.). ეს დებულება სხვადასხვა საზღაურს აწესებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანთა ღირსების შელახვისათვის. მაგალითად, თუ წარჩინებული ადამიანი თავისი ღირსების შეურაცხყოფისათვის ღებულობდა 100 მანეთს, ასეთივე დანაშაულისათვის სახელმწიფო თანამების და სახახლის გლეხებს შეეძლოთ მოეთხოვათ 1 მანეთი.

ძველი ქართული სამართალიც აშკარა წოდებრივ პრინციპზე იყო აგებული და ფეოდალთა სადარაჯოზე იდგა. ვახტანგ VI სამართლის წიგნით სასჯელის განსაზღვრისათვის მოსამართლეს ასეთ სახელმძღვანელო მითითებას აძლევდა: „როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ცხოთა, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუსად მოკიდებით ამაღლდების, სისხლი გაუდიდდების ისე გაერითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების“ (მუხ. 23). ამრიგად, რაც უფრო შეძლებული იყო ადამიანი, რაც უფრო დიდი თანამდებობა ეკავა მას, რაც უფრო მაღალი თანამდებობის პირთან იყო იგი დაკავშირებული, მით უფრო მეტად ფასობდა მისი სისხლი, მით უფრო მეკიცევე იცავდა მას სამეფო ხელისუფლება. ვახტანგის სამართლის წიგნის 95-ე მუხლში ნათქვამია, რომ კაცის მიერ თავისი ქმის მოკვლა ბატონისა

და კათალიკოსისათვის „საწყისი არის", მაგრამ თუ, პირიქით, ქმა თავის ბატონს მოკლავს, მაშინ კანონმდებელი შესაძლებლადაც კი არ თვლის სისხლის ფასის წინასწარ განსაზღვრას, რადგან მას ასეთი ქმედება უაღრესად მძიმე დანაშაულად მიიჩნია.

მონათმფლობელური და ფეოდალური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც არ შეიცავდა დანაშაულის ზოგად ცნებას, ბურჟუაზიულმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ შეიმუშავა ეს ცნება. ფრანგულიდან დაწყებული სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულად მიიჩნევენ ქმედებას, რომელსაც სასჯელის მუქარით კრძალავდა სისხლის სამართლის კანონი. ასეთი განსაზღვრებით, რომლის მიხედვითაც დანაშაულად მიჩნეული იქნა მხოლოდ ქმედება და არა აზრი, ადიარებული იქნა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა დამოუკიდებლად კლასობრივი ან წოდებრივი კუთვნილებისა. იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის უდიდეს მიღწევას. მასში ითხოვა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ოცნება. ამ მიმართულებით უაღრესად დემოკრატიულ დებულებებს შეიცავდა საფრანგეთში 1789 წელს მიღებული „ადამიანის და მოქალაქეთა უფლებათა დეკლარაცია". დეკლარაციის მე-5 მუხლით დადგინდა, რომ „კანონს შეუძლია აკრძალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც საშიშია საზოგადოებისათვის. არ შეიძლება ხელი შეუშალოთ იმას, რაც კანონით არაა აკრძალული და არავინ არ შეიძლება აიძულოს გააკეთოს ის, რასაც არ მოითხოვს.

ფრანგული კანონმდებლობის მსგავსად ანალოგიურ განსაზღვრებებს შეიცავდნენ მაშინდელი კოდექსები.

2. სისხლისსამართლებრივი ნორმა მოქალაქისაგან, აგრეთვე ოფიციალურ პირისაგან, მოითხოვს ან განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავებას ან, პირიქით, განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. პირველ შემთხვევაში სისხლის სამართლის ნორმის დარღვევა გამოიხატება ნორმის საწინააღმდეგო გარეგან კონკრეტულ მოქმედებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში ნორმით დადგენილი მოქმედების შეუსრულებლობაში. ამისდა შესაბამისად სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის პირველად ნაშნად აცხადებს ადამიანის ძცევის კონკრეტულ, გარეგან გამოვლინებას. ამის გარეშე ე.ი. კონკრეტული ქმედების გარეშე, რომელიც საფრთხეს უქმნის ან ვნებს მართლწესრიგს, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველოს სისხლის სამართლისათვის არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „ლიტონი ბრალისათვის" ან „ანტისოციალური ფსიქიკური განწყობისათვის", რომელიც კონკრეტული საშიში ქმედებით არ გამოვლენილა. სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობა ნიშნავს პასუხისმგებლობას ქმედებისათვის და არა ადამიანის პირადი საშიშროებისათვის.

3. დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია მართლწინააღმდეგობა. მართალია, დანაშაულის ნიშნად მართლწინააღმდეგობის და არა საზოგადოებრივი საშიშროების აღიარებამ დიდი დავა გამოიწვია საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენისას. პროექტის შემმუშავებელმა კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მართლწინააღმდეგობაზე მითითება.[1]

რასაკვირველია, არავინ არ უარყოფს საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას, მაგრამ დამნაშავეს ბრალებრივად არ მოეთხოვება საზოგადოებრივი საშიშროების გაცნობიერება. საკმარისია, თუ მას გაცნობიერებული აქვს ის, რაც ქმედებით აკრძალულია ანუ მართლსაწინააღმდეგოა.

თავის მხრივ მართლწესრიგი საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილია. მართლწესრიგი ყალიბდება სხვადასხვა სოციალურ ნორმათა განსორციელების შედეგად. ეს ნორმები ადამიანის ქცევაზე ზემოქმედებს სპეციალური ფორმებით (ნეკულება, მორალის ნორმა, ორგანიზაციის საქმიანობის მომწესრიგებელი შინაგანი წესები და სხვ). მართლწესრიგს არეგულირებს მოცემულ სახელმწიფოში მიღებული სამართლებრივი ნორმები.

4. მართლწინააღმდეგობა ქმედების ობიექტური დახასიათებაა. იგი არსებობს რეალურ სინამდვილეში და გამოხატავს იმ ურთიერთობას, რომელიც პირის ქმედებასა და მართლწესრიგს შორის არსებობს. აქედან სრულიად ნათელია, რომ დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ფიქრობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის, სინამდვილეში კი ეს მისი წარმოდგენა ქმედების ობიექტურ თვისებებს არ შეესაბამება. მაგალითად, პირი უკიდურესი უგუნებობისა და ცრურწმენის გამო დანაშაულის ჩასადენად შელოცვას მიმართავს. ამდაგვარი სახის უგარგისი მცდელობა არ ისჯება, რადგან თავად ქმედება (შელოცვა) არ არის დასჯადი.

მართლწინააღმდეგობა ქმედების ობიექტური მხრით ახასიათებს. სწორედ ამის გამო ქმედება არ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, როდესაც პირს მის მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაული ჰგონია, ხოლო სინამდვილეში ეს ქმედება დანაშაული არ არის. ასეთ ვითარე-

---

[1] ის. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გამო. კრებ. „ადამიანი და სისხლის სამართალი და კრიმინოლოგიის პრობლემები" 2000, №13 თბ. გვ. 22-24. მ. ტურავა. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2000, გვ. 30,31

ბაში საქმე გვექნება მხედველობით დანაშაულთან, რომელიც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შეიძლება მოხდეს პირიქით, როდესაც პირი ჩადენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ მის მიერ ჩადენილი ქმედება ბრალის გარეშეა ჩადენილი. სწორედ ამის გამო შეურაცხადი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთი პირის მიმართ გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლი). იგივე უნდა ითქვას 14 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიმართ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებით ღონისძიების გამოყენების შესახებ.

დებულება იმის შესახებ, რომ მართლწინააღმდეგობა არ შეიცავს ბრალის მომენტს, დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლების ანალიზითაც. კერძოდ, მე-9 მუხლის თანახმად, ქმედება პირდაპირ განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. აქედან სრულიად ლოგიკურია დავასკვნათ: ბრალი არ არის მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. როგორ შეიძლება მართლწინააღმდეგობა იყოს ფსიქიკური დამოკიდებულება თავად მართლწინააღმდეგობისადმი ანუ თავის თავისადმი. ნათელია, ბრალი ნიშნავს ფსიქიკურ დამოკიდებულებას მართლწინააღმდეგობისადმი. ბრალი გულისხმობს მართლწინააღმდეგობის შეგნებას იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მისგან დამოუკიდებელი ცნებაა.

5. ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში შეტანილი უნდა იქნეს ბრალეულობის ნიშანი. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედება. ქმედებასთან განსაზღვრული ფსიქიკური დამოკიდებულის გარეშე არ არსებობს დანაშაული.

ამრიგად, მართლწინააღმდეგობა ქმედებას ახასიათებს ობიექტური მხრივ, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა დანაშაულის აუცილებელი სუბიექტური ნიშნებია. ბრალი, უპირველეს ყოვლისა, შეფასებითი ცნებაა. ამასთან ერთად იგი აღწერილობით მომენტსაც შეიცავს. ბრალი, როგორც უკვე აღინიშნა, პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ასახავს. ასეთი დამოკიდებულების გარეშე არ არსებობს ბრა-

ლი. ამასთან ერთად ბრალის ცნებაში მოაქვთ არა აღწერა, არამედ ამ აღწერილობის შეფასება, გაკიცხვა.

6. ჩვენ უკვე მითითებული გვქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ დებულებაზე, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამ მუხლის ანალიზისას მოკლედ დავახასიათეთ დანაშაულის სამი ნიშანი: 1) ქმედება, 2) მართლწინააღმდეგობა და 3) ბრალეულობა. მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გარდა ხსენებული ნიმუშისა მითითებულია იმაზეც, რომ დანაშაული არის ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობა. ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს, ამით არღვევს სისხლის სამართლის ნორმას. მეორე ნაწილში გათვალისწინებულია განსაზღვრული სასჯელი ამ ქმედებისათვის. მაშასადამე, სისხლის სამართლის ნორმის საწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს ემუქრება სასჯელი. დანაშაული იმავდროულად დასჯადი ქმედებაა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქმედების დასჯადობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს დანაშაულის ფაქტობრივი დაუსჯელობა სპობს ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს. დანაშაული დანაშაულად რჩება მაშინაც, თუ პირი პირობით გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან ან თუ იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დამნაშავის თავდებობით და ა. შ. დასჯადობა ნიშნავს იმას, რომ დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც აკრძალულია სასჯელის მუქარით.

7. ქმედება შეიძლება ფორმალურად შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში იმდენად მცირემნიშვნელოვანი იყოს, რომ დანაშაულად არ ჩაითვალოს. ამის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი ასეთ დებულებას შეიცავს: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთ ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“.

ზოგადად ცნობილია, რომ კანონმდებელი რაიმე ქმედების დანაშაულად აღიარებისას ითვალისწინებს ამდაგვარ ქმედებათა საშიშროების განსაზღვრულ ხასიათს, რაც მოითხოვს მასთან ბრძოლას სისხლისსამართლებრივი სანქციის მეშვეობით. მაგრამ შესაძლებელია, რომ ასეთი ქმედების საშიშროების ხარისხი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ აღწევდეს იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია მისი ჩადენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

ქმედების საშიშროების დადგენისათვის მნიშვნელობაშია მისაღები: ხელყოფის ობიექტის დირებულება, ხელყოფის ინტენსივობა, მისი განხორციელების სტადია (მომზადება, დამთავრებული დანაშაული), პირის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულში (აქტიური მონაწილე- ამსრულებელი, ორგანიზატორი ან მეორეხარისხოვანი დამხმარე), ზიანის მოცულობა (ხელყოფა მცირე ღირებულება ქონებაზე, თუ დიდი ოდენობით ქონების გაცემება), დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, პირობები და ა.შ.

ყველა აღნიშნული მომენტი ერთობლიობად უნდა იქნეს გათვალისწინებული და არა იზოლირებულად.

უფრო ხშირად მუ-7 მუხლის ნაწილი შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაშაულის მომზადებისა და მეორეხარისხოვან თანამონაწილეობისას. ნათელია, ეს მუხლი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, თუ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო დიდი მოცულობის ზიანის მიყენებაზე, მაგრამ ეს მიზანი მიღწეული ვერ იქნა დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

§3. ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია

როგორც უკვე ითქვა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ხოლო თავად დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ შესაბამისი ქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით. ეს ნიშანი პირდაპირ დაკავშირებულია კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პროცესთან.

კრიმინალიზაცია ნიშნავს, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ქმედების დანაშაულად მიჩნევას, ე.ი. ამ ქმედების ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. დეკრიმინალიზაცია კი ნიშნავს კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისთვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს ქმედების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პრობლემის მნიშვნელობა. ეს პრობლემა არსებითად დაკავშირებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებასთან. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის კანონით რაიმე ქმედების აკრძალვა უცვლელი არ არის. ცხოვრებას მასში აუცილებელი კორექტივები შეაქვს. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა თავს იჩენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის დროს. თანაც კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პროცესები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

კრიმინალიზაციის ძირითად ფაქტორად ითვლება საშიშროება. კანონმდებლობა ისეთ ქმედებას აცხადებს დანაშაულად, თუ იგი არსებით ზიანს იწვევს ან შეიცავს რეალურ საფრთხეს პიროვნების, საზოგადოების ან სახელმწიფოსათვის. გარდა ამისა, სათვალავში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ რამდენად გავრცელებულია შესაბამისი ქმედება. წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული კრიმინალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების თანაფარდობა. სათანადოდ უნდა შეფასდეს სისხლისსამართლებრივი იუსტიციის პრაქტიკული შესაძლებლობანი და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კრიმინალიზაცია შეიძლება გამოწვეული იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგებით, რასაც შეუძლია მავნე ზეგავლენა მოახდინოს ეკოლოგიურ პროცესზე, გარემოზე, ადამიანის ცხოვრების პირობებზე. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 297-ე მუხლი სავანგებოდ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მიწის გაუფარგისებისათვის.

ქმედების კრიმინალიზაცია შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებით და საზოგადოების მიმდინარე რეფორმებით. მაგალითად შეიძლება დავახასიათოთ ის სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც მიმართულია დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლების დაცვისაკენ. ისინი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარში.

§4. დანაშაულის კლასიფიკაცია

ყველა დანაშაულისათვის საერთო ნიშნებზე, რაგორც უკვე ითქვაშმითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში. მაგრამ დანაშაულთა ერთი ჯგუფი საშიშროების ხასიათისაა და ხარისხით შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს სხვა დანაშაულთაგან. თავისთავად ცხადია, რომ მაგალითად, ქურდობა საშიშროების მიხედვით ძირეულად განსხვავდება მკვლელობისაგან და ა.შ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, სწორედ სასჯელის სიმძიმის მიხედვით განასხვავებენ სხვადასხვა დანაშაულის სამართლებრივ შედეგებს.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ცალკეამე-12 მუხლში ითვალისწინებს ნორმებს დანაშაულის კატეგორიების შესახებ. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სისხლის სამართლის კანონის მიხედვით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) მძიმე დანაშაული; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მოხსენიებული მუხლის მომდევნო, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით განსხვავებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის, მძიმე დანაშაულისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ცნებები. მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილით მძიმე დანაშაულად მიჩნეულია განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილით განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ისეთი განზრახი დანაშაულია, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უფრო თავისუფლების აღკვეთა.

დანაშაულთა კატეგორიზაცია სათვალავში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველისა და სასჯელის შედეგების განსაზღვრისას. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5

მუხლის მეორე ნაწილში. ამავე კოდექსის მე-17 მუხლში ცალკეა გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით დაწესებულია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის. 51-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. 59-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის წესებს დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თუ საქმე ეხება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთ. ცალკეა გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესი, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს. დანაშაულთა კატეგორიზაცია თავს იჩენს აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას (იხ.: 68-ე,71-ე,72-ე,76-ე,79-ე,88-ე,98-ე მუხლები).

ზემოთ განხილული იყო დანაშაულთა კატეგორიზაციის საკითხი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მიხედვით. გარდა ასეთი კლასიფიკაციისა, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული სხვაგვარი კლასიფიკაცია ანუ დანაშაულთა ცალკეულ ნაწილებად დაყოფა ხელეოფის ობიექტის მიხედვით. ამის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იყოფა კარებად და თავებად.

კერძო ნაწილის სისტემაში, პირველ ყოვლისა, მოხსენიებულია დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (კარი მეშვიდე). ეს კარი თავის მხრივ მოიცავს დანაშაულს სიცოცხლის წინააღმდეგ,დანაშაულს ჯანმრთელობის წინააღმდეგ და ა.შ. ცალკე თავებადაა ასევე დაყოფილი კარი,რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ დანაშაულს და ა.შ.

დანაშაულთა კლასიფიკაცია სასჯელადსრულების სამართალში აგებულია დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაციის მიხედვით და ამასთან განსაზღვრულია სასჯელის აღსრულების ორგანიზაციის თავისებურებანი.

დანაშაულთა კლასიფიკაცია სისხლის სამართლის პროცესში უპირატესად დამოკიდებულია ქვემდებარეობაზე. კრიმინალისტიკაში დანაშაულთა კლასიფიკაცია დამოკიდებულია დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკასა და ტაქტიკაზე.

რასაკვირველია, ამ კლასიფიკაციებს სპეციფიკა ახასიათებს, ამასთან მხედველობაში ღებულობენ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ კლასიფიკაციას.

§5. დანაშაული, არადანაშაულებრივი სამართალდარღვევა და ამორალური ქცევა

პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათად წამოიჭრება დანაშაულის სხვა სახის სამართალდარღვევისაგან გამიჯვნის საკითხი. ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის, შრომის, საჰაერო, საფინანსო და ა.შ. სამართალში.

დანაშაულისა და არადანაშაულებრივი სამართალდარღვევათა გამიჯვნა ხორციელდება სამი ძირითადი კრიტერიუმის: 1) ობიექტის, 2) საზოგადოებრივი საშიშროების და 3) მართლწინააღმდეგობის სახეობის მიხედვით.

დანაშაულის ობიექტად ზოგჯერ მიჩნეულია ისეთი სიკეთე, რომლის დაცვა მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმებით ხორციელდება. მაგალითად, კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები ან კაცობრიობის მშვიდობაა და უშიშროება. ამასთან აღსანიშნავია სისხლისსამართლებრივად დაცულ ურთიერთობათა სიმრავლე, მაგალითად, მმართველობისა და ქონებრივ ურთიერთობათა მართვის წესი, თანამდებობრივი მოვალეობის განხორციელების სფერო, ეკოლოგია, პიროვნების ინტერესები. ასეთია მეტად ზოგადად სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულ დირებულებათა სფერო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ობიექტია პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები.

დისციპლინური გადაცდომა სკლეროზს სახელმწიფო და სამსახურებრივ დისციპლინას, იგი იწვევს დისციპლინურ სახდელს (საყვედური, დათხოვნა, ჯარიმა და ა.შ.) შეყვარდებას. ეს სახელები გათვალისწინებულია კანონებში, ქვეკანონიერ აქტებში, კომპეტენტური თანამდებობის პირთა ბრძანებებში.

დანაშაული სხვა არადანაშაულებრივი სამართალდარღვევებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას (დანაშაულს) გაცილებით უფრო მეტი საშიშროება ახასიათებს, ვიდრე არადანაშაულებრივ სამართალდარღვევებს.

როგორც კანონმდებელი, ისე სახამართლოები ყოველთვის ცდილობენ დანაშაულისა და გადაცდომის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ასეთი გამიჯვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ზიანის მოცულობას, რომელსაც სამართლით დაცული ინტერესები განიცდის.

დანაშაულის სუბიექტური ელემენტებიდან კანონი უფრო ხშირად ახასიათებს სუბიექტების მხარის ფორმას, მოტივებსა და მიზნებს. მაგალითად, სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება-დანაშაულია, ხოლო სხეულის ასეთი დაზიანება გაუფრთხილებლობით გადაცდომაა.

~~დახასრულ~~, შემდეგი ნიშანი, რომლითაც დანაშაული არადანაშაულებრივი სამართლებრივი დარღვევისაგან განსხვავდება, არის მართლწინააღმდეგობის ხარისხი და მასთან დაკავშირებული სახქცეის სახე. დანაშაულს კრძალავს სისხლის სამართლის კანონი სახჯულის მუქარით. სასჯელის მოხდის შემდეგ პირი ითვლება ნასამართლევად. არადანაშაულებრივი სამართლებრივი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობა რეგულირდება შრომის, საოჯახო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ა.შ. კანონმდებლობით და ქვეკანონიერი ნორმატიული აქტებით. ამ დარგებით გათვალისწინებული სანქციები გაცილებით უფრო მსუბუქია, ვიდრე სისხლისსამართლებრივი სასჯელები.

დანაშაული ყოველთვის ქმედებაა, ამორალურად კი შეიძლება მიჩნეული იქნეს არა მარტო ქმედება, არამედ აზრი, მისი გამჟღავნება. ნათელია, ამორალური ქცევა გაცილებით ნაკლებ საშიშია, ვიდრე დანაშაული.

დანაშაულის და ამორალური ქცევის გამიჯვნა ხორციელდება აკრძალვის ხასიათის მიხედვით. დანაშაული აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით, ამორალური ქცევა საერთოდ არ რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით.

ამრიგად, დანაშაული არადანაშაულებრივი სამართლებრივი დარღვევისაგან განსხვავდება იმით, რომ 1) საერთო ობიექტი სისხლის სამართალში გაცილებით უფრო ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში; 2) დანაშაული დიდი საშიშროების შემცველია, ვიდრე სხვა სამართალდარღვევები; 3) სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ქვენა ხასიათის მოტივაციას, ქმედების ჩადენის საშიშ ხერხს, საშუალებას, სუბიექტის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის და იარაღის გამოყენებას.

§6. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პიროვნება, ესე იგი ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირიც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17[1] მუხლის მეორე ნაწილში იურიდიული პირი უკვე იყო მოხსენიებული რეკეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, ხოლო 2006 წლის 25 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების თანახმად (იხ. საქ. სსკ VI[1] კარი), იგი არსებითად გახდა პასუხისმგებელი სისხლისსამართლებრივი წესით იმ დანაშაულისათვის, რაც ზუსტად არის ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კოდექსში და რომლის ჩადენა იურიდიულ პირს, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია. ასეთია, მაგალითად, ტრეფიკინგი, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ტერორიზმი და ზოგიერთი სხვა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ცრცელ მსჯელობას მოითხოვს, ხოლო ამჯერად მას მოკლედ შევეხებით.

იურიდიული პირის ცნება და ნიშნები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (იხ. მეორე კარი). ამ კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და სასამართლოში შეუძლია გამოვიდეს მისარჩელედ ან მოპასუხედ.

იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ფაქტია. ნაკლებად პრობლემურია იურიდიული პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (მაგალითად, ეკოლოგიური სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება). იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა კი გაცილებით რთული და, როგორც წესი, პრინციპულად სადავოა, თუმცა რიგმა სახელმწიფოებმა (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები) ეს პრობლემა დადებითად დიდი ხანია გადაწყვიტეს. მოგვანებით ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა საფრანგეთმაც. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას, როგორც წესი, მიაწერენ პრაგმატისტულ მსოფლმხედველობას (განსაკუთრებით ინგლისში). იგულისხმება სარგებლიანობის პრინციპი, რომლის თანახმად, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებთან თანხმობაში

შეიძლება არც იყოს, მაგრამ რამდენადაც იგი პრაქტიკულად სასარგებლო და მიზანშეწონილია, ამდენად ეს უკანასკნელი მხედველობაში უნდა მივიღოთ.

იურიდიული პირის ზოგადი სახელი ამ სასელმწოფოებში არის „კორპორაცია," როგორც განსაზღვრული ორგანიზაციული წარმნაქმნი. იგი უცხო არც საქართველოშია. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას. ამდენად, იურიდიული პირის სინონიმად, განსაზღვრული აზრით და ნაწილობრივ შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი" კორპორაცია."

იურიდიული პირის, როგორც ხელოხურად შექმნილი ორგანიზაციული წარმოხნაქმნის, შესახებ არაერთი თეორიაა ცნობილი. ერთ-ერთი არის ე. წ. ფიქციის თეორია, რომლის თანახმად, იურიდიული პირი არის ფიქცია, ესე იგი არარეალური, ხელოვნური გამოხაგონი, თითქოს იგი პირია, სამართლის სუბიექტია, პასუხისმგებელია და ა. შ. ამ პოზიციიდან იგულისხმება, რომ ფიზიკური პირის თვისებები ხელოვნურადაა გადატანილი ორგანიზაცია-დაწესებულებაზე, მაშინ როდესაც რეალურად მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური პირი, თუმცა ორგანიზაცია-დაწესებულების ფორმის გამოყენებით. ცხადია, ფიქციას, როგორც ურთიერთობის მოწესრიგების ერთ-ერთ სპეციფიკურ ხერხს, სამართალშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მაგალითად, შეალობითი ამსრულებლობის დროს ფაქტობრივად წამქეზებელი იურიდიულად ამსრულებელია, იგი დანაშაულს თითქოს საკუთარი ხელებით ასრულებდეს. მაშასადამე, იურიდიული პირის ცნებაში და ფუქციონირების მექანიზმში ფიქციის მეთოდი უეჭველად მონაწილეობს, რადგან „პირის „ცნება მიეწერება კორპორაციას, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. მაგრამ იურიდიული პირის ცნება მხოლოდ ფიქციის მეთოდით ვერ აიგება, რადგან სამართლებრივი მოწესრიგების სხვა მეთოდიც არსებობს. მით უმეტეს, რომ იურიდიული პირის პრაქტიკულ მოქმედებაში პერსონიფიცირებულია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით ანდა მის სასარგებლოდ მოქმედი პასუხისმგებელი პირი (საქ. სსკ 107[1]-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამიტომაა, რომ საკმაოდ გავრცელდა იურიდიული პირის დაფუძნების ე. წ. ნებისეოფის თეორია. იგულისხმება, რომ იურიდიული პირის ფორმაში პერსონიფიცირებულ პირთა ნება, ცალ-ცალკე აღებული, ინდივიდუალურია და ამიტომ იურიდიული პირის ცნებას ვერ ესადაგება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ პირთა ნების ერთიანობას, მაშინ გასაგებია, რომ იურიდიული პირი ამ ორგანიზაციულ-სამარლებრივ ფორმაში გაწევრიანებულ

პირთა ნების ერთიანობით გამოიხატება. მაგრამ საკითხავია: რას ნიშნავს ნება თუ ნებისყოფა? ამ ცნებებს ფსიქოლოგიურად ხშირად აიგივებენ, მაშინ როდესაც მათ შორის სხვაობა თვისებრივია. კერძოდ, „ნებისყოფა „არის ფიზიკური პრის უნარი მართოს საკუთარი ქმედება, მიიღოს პასუხსაგები გადაწყვეტილება და პრაქტიკულად ადასრულოს ის ან თავი შეიკავოს უპასუხისმგებლო ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენისაგან. რაც შეეხება „ნებას," ის უფრო ეთიკურ-სამართლებრივი ცნებაა, რადგან იგულისხმება ნების შეფასება სიკეთე-ბოროტების მიხედვით. იგულისხმება აგრეთვე გარესინამდვილისადმი ადამიანის დირებულებითი დამოკიდებულების ბუნება და ხასიათი. უფრო მეტიც, „ნება, „ფართო გაგებით, პიროვნების ცხოვრების წესია, მისი მსოფლმხედველობაც კი. ამიტომ სწორად გერ ჩაითვლება ნორმატივიზმი (განსაუთრებით ჰ. კელზენის თეორიის ტიპისა), რომელიც სინამდვილისაგან სამართლის მოწყვეტის დამანგრეველი შედეგების შესარბილებლად ქმნის ნებისყოფის ნორმატიულ, არაფსიქოლოგიურ, ცნებას, რომელიც ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ცნებასთან არავითარ კავშირში არ არის. ამიტომაა, რომ ნორმატივიზმში ფიზიკური პირი არის სამართლებრივ ნორმათა სპეციფიკური სისტემა, რომელიც სრულიადაც არაა დამოკიდებული სუბიექტის ფაქტობრივ მდგომარეობაზე, მის უნარზე, პასუხისმგებლობაზე და ა. შ.

ირიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საინტერესოდ მსჯელობენ საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღანელოს ავტორები.[1] აქ ნანვნებია იურიდიული პირის სისხლისსამათლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების სიძნელეები და შესაძლებლობაც.

მიუხედავად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე თეორიების სიმრავლისა, ერთი კი მაინც ცხადია: საზოგადოების, სახელმწიფოსა და პიროვნების მიმართების შესახებ ადრინდელი ტრადიციული შეხედულება იმდენად აბსტრაქტული და უსიცოცხლოა, რომ იგი სადღეისოდ ანაქრონიზმადაც გამოიყურება. იგულისხმება ის, რომ საზოგადოება, თუნდაც სტრუქტურული თვალსაზრისით, მრავალფეროვანია. ამ მიმართებით მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა ფორმალურ-იურიდიული გაერთიანებანი, საზოგადოებანი, რომელნიც თავისუფლურად ეხიდებიან, ერთი მხრივ, საზოგადოებისა და პიროვნების, მეორე მხრივ კი — სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას. გასაგებია, რომ იურიდიული პირის საქმიანობა უჭველად სახარგებლოა (მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობის სფეროში

[1] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი 2006, გვ. 11-17.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად) და ამიტომ მისი სამართლებრივი ბუნების პრობლემა, მით უმეტეს, სისხლის სამართალში, ფრიად აქტუალურია. იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელმაც შეიძლება პასუხი აგოს სისხლისსამართლებრივი წესითაც. გამონაკლისის წესით არაა გამორიცხული საჯარო სამართლის (არასახელმწიფოებრივი გაერთიანებანი) იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. მაგალითად, სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი რომელიმე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია აფინანსებს ტერორისტულ საქმიანობას.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საწინააღმდეგოდ მოჰქონდათ რამდენიმე არგუმენტი. პირველი ამ მხრივ არის სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის პირადი ხასიათი, თუმცა ეს პრინციპი უკვე საეჭვოდ იქცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის დამატებით. კერძოდ, ამ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული გადახდისუუნაროა, მაშინ სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ამის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი სისხლის სამართლის პრინციპებთან დაკავშირებით (იხ. სახელმძღვანელოს მეორე თავი). მაგრამ საქმე ისაა, რომ პასუხისმგებლობის პირადი ხასიათის პრობლემა დგას არა მარტო იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკაში, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაშიც. დანაშაულში ყოველი თანამონაწილე, მათ შორის ამსრულებელიც, პასუხს აგებს საერთო დანაშაულებრივ ქმედებაში შეტანილი წვლილისა და საკუთარი ბრალის ხარისხის შესაბამისად. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას კი თითქოს სახეზეა კოლექტიური პასუხისმგებლობა, რადგანაც, პასუხს აგებს, ერთი მხრივ, იურიდიული პირის ორგანოდ წოდებული ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა გაერთიანება, ხოლო, მეორე მხრივ, - საკუთრივ იურიდიული პირიც. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველი იურიდიული პირი, თავისი დებულებით, წესდებით, თუ დამფუძნებელი ხელშეკრულებით, ანდა კანონით, საქმიანობის წესით და ა. შ. ფრიად უნიკალურია და, მაშასადამე, ამ მხრივ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის პერსონიფიკაცია დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679,9 პრიმა მუხლის თანახმად, იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე სასამართლო განხილვის დროს აღინიშნოს იურიდიული პირის დასახელება, იურიდიული მისამართი. ცხადია, შესაძლებელია იურიდი-

ულ პირთა თანამონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებაში, მაგრამ პასუხისმგებლობა მაინც პერსონალური იქნება თითოეული იურიდიული პირის ქმედების ხასიათისა და ბრალის ხარისხის შესაბამისად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ერთი არსებითი ხასიათის გარემოება: იმისათვის, რომ იურიდიულმა პირმა პასუხი აგოს სისხლისსამართლებრივი წესით, იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი უნდა მოქმედებდეს იურიდიული პირის წესდებით ან დებულებით ანდა დამაფუძნებელი ხელშეკრულებით თუ კანონით დადგენილი კომპეტენციის მიხედვით. მაგალითად, თუ ეს ფიზიკური პირი გასცდა იურიდიული პირის კომპეტენციას და მან ჩაიდინა, ვთქვათ, მკვლელობა, გაუპტიურება ანდა დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, მაშინ სისხლისსამართლებრივი წესით პასუხს აგებს არა იურიდიული პირი, არამედ მხოლოდ ფიზიკური პირი.

გარდა ამისა, ფაქტობრივად მოქმედებს არა იურიდიული პირი, როგორც ასეთი, არამედ იურიდიული პირის ფორმაში, ან მისი სახელით ანდა მის ინტერესებში მოქმედი ფიზიკური პირი (ფიზიკური პირები). სწორედ ამ პირებს შესწევთ უნარი თავიანთი ქმედებით გამოიწვიონ მართლსაწინააღმდეგო და სახიფათოებრივად საშიში შედეგი. საგანგებოდ აღნიშნავენ იურიდიული პირის ბრალის დასახასიათებლის სიძნელეს, მით უმეტეს, თუ ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას გავიზიარებთ. მართლაც, როგორაა შესაძლებელი იურიდიული პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი? მაგრამ თუ გავიზიარებთ დებულებას, რომ ბრალი პოზიტიური პასუხისმგებლობის საპირისპიროა, ესე იგი სუბიექტის უპასუხისმგებლობაა, რომელსაც სამართლის სუბიექტი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება და ამის გამო იწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგებს, მაშინ იურიდიული პირის ბრალის პრობლემა უფრო ადვილად გვარდება. მით უმეტეს, რომ კანონმდებელი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნებისას (საქ. სსკ 107-ე მუხლის მეორე ნაწილი), ლაპარაკობს იმაზე, რომ ფიზიკური პირი პასუხისმგებელია იურიდიული პირის ფორმაში, მისი სახელით ან მის სასარგებლოდ მოქმედებისათვის. იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიური პასუხისმგებლობა. თუ ამ მიმართებით ფიზიკურმა პირმა (რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების შემდეგაზე უფლებამოსილი პირია, ანდა იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრია) იმოქმედა უპასუხისმგებლოდ, მაშინ ის მოქმედებს ბრალეულად.

ამრიგად, უპასუხისმგებლოდ ანუ ბრალეულად მოქმედებს ის ფიზიკური პირი, რომელიც ეფარება იურიდიული პირის სახელს ან დანაშაულებრივად იყენებს ამ უკანასკნელის ორგანიზაციულ ფორმას ანდა იღებს ამ უკანასკნელის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. მართალია, იურიდიული პირი სისხლისსამართლებრივი წესით შეიძლება იყოს პასუხისმგებელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც იურიდიული პირისათვის პასუხისმგებელი ფიზიკური პირი არ არის დადგენილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარი ფიზიკური პირი რეალურად არ არსებობს და ამიტომ ზიანი მხოლოდ იურიდიულმა პირმა, როგორც ასეთმა, გამოიწვია. გარდა ამისა, შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც თვითმმართველობის ან დაუქვემდებარებლობის სახით უგულებელყოფილია სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობა. მით უმეტეს არაა გამორიცხული იურიდიული პირის ორგანოს მოსამსახურეთა იერარქიაში სამსახურებრივი გულგრილობა ზემდგომი ინსტანციის მხრივ ქვემდგომი ინსტანციის საქმიანობის მიმართ ან, პირიქით, ქვემდგომი ინსტანციის სამსახურებრივი გულგრილობა, რომელმაც იურიდიულ პირს ზიანი მიაყენა. მაგრამ ამ მიმართებით პასუხისმგებელია მხოლოდ ფიზიკური პირი, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში იურიდიული პირი პასუხისმგებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის.

ქართული სამართლებრივი ტრადიცია, ალბათ, ვერ გაიზიარებს საერთო სამართლის ქვეყნებში (მაგალითად, ინგლისში) დამკვიდრებულ ე. წ. მკაცრი ან აბსოლუტური პასუხისმგებლობის თეორიას, რომლის თანახმად, ბრალი იგარაუდება, თუ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ან აუცილებელი არ არის და, მაშასადამე, შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბრალის გარეშეც.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ახც ცალსახა არ არის და იგი უსამართლობის ზოგიერთ მომენტს უეჭველად შეიცავს. მაგალითად, იურიდიული პირის ფორმაში მოღვაწე უბრალო ადამიანებს, როგორც წესი, წარმოდგენა არა აქვთ იურიდიული პირის მართვის ორგანოებში მოკალათებულ ხელმძღვანელ პირთა კრიმინალურ საქმიანობაზე. და თუ იურიდიული პირის საქმიანობის შეწერება ან სულაც მისი ლიკვიდაცია მოხდება, მაშინ გასაგებია, თუ რა უსამართლოდ ისჯებიან ეს უბრალო ადამიანები. მაგრამ იურიდიული პირის დაუსჯელობა მეორე უკიდურესობა იქნებოდა, რადგან პრაქტიკამ ეს საკითხი უკვე დააყენა საქართველოშიც. ცხადია, სხვას რომ თავი დავანებოთ, სასჯელის გამაფრთხილებელი ფუნქცია იურიდიული პირის მიმართაც ვრცელდება. იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პრო-

ცესუალური ფორმის საკითხები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679-ე მუხლის დამატებაში, მაგრამ ამ საკითხებს ამჯერად არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ოურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის წარმოებისას უნდა დადგინდეს რამდენიმე არსებითი გარემოება (მაგალითად, ნადენილია თუ არა ქმედება ოურიდიული პირის სახელით, ან მისი მეშვეობით, ესა თუ ის გამოძენებით ანუ ოურიდიული პირის ფორმაში; არის თუ არა აღნიშნული ქმედი ანილი, ბრალდებული ან განსახჯელი ის ფიზიკური პირი, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსკ 107[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ზოგიერთი სხვა).

ოურიდიული პირის დანაშაულებრივი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შემდეგი სახჯელები: ლიკვიდაცია (საქ. სსკ 107[4]-ე მუხლი) როგორც მხოლოდ ძირითადი სახჯელი; საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (107[5]-ე მუხლი), აგრეთვე, როგორც ძირითადი სახჯელი; ჯარიმა (107[6]-ე მუხლი) როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სახჯელის სახით; ქონების ჩამორთმევა 107[7]-ე მუხლი), როგორც მხოლოდ დამატებითი სახჯელი.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ ეს სახჯელები ოურიდიულ პირს არ ათავისუფლებს მისი დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებისაგან.

ბოლოს, თუ დადგინდა ოურიდიული პირის ფორმაში მოქმედი ფიზიკური პირის ქმედების მართლწინააღმდეგობის ან მისი ბრალის გამომრიცხავი გარემოებანი, მაშინ ოურიდიული პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

V თავი

სისხლის სამართლის კანონი

სახელგადოდ მოძღვრება ეურიდიული კანონის შესახებ სამართლის თეორიის საგანია, ხოლო სისხლის სამართლის მეცნიერება ძირითადად აკონკრეტებს სამართლის თეორიის დებულებებს ნორმატიული ეურიდიული აქტების შესახებ. იმავდროულად სისხლის სამართლის კანონს ახასიათებს სპეციფიკური ნიშნები. უპირატესად სწორედ ამ ნიშნებს განვიხილავთ წინამდებარე თავში.

§1. სისხლის სამართლის კანონის ცნება და მისი ნიშნები

სისხლის სამართლის კანონი არის საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ეურიდიული ნორმების შემცველი ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის „ქ“ პუნქტის თანახმად სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებულ კომპეტენციას. ხსენებული საკონსტიტუციო დებულება ასახულია საქართველოს კანონში ნორმატიული აქტების შესახებ.[1] ამ კანონის „ი“ პუნქტით დადგენილია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით.

ზემოთ მოყვანილი საკანონმდებლო დებულების შესაბამისად საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 22 ივლისს მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს.

საქართველოს სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა სისხლის სამართლის კანონი, არც ერთ სხვა აქტში არ შეიძლება გათვალისწინებული იყოს სისხლისსამართლებრივი ნორმა. ამასთან, სა-

[1] იხ. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბ., 1998, გვ. 239.

ქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულადაა კოდიფიცირებული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სწორედ ეს კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს სასჯელს ან სხვა სახით სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

სრული კოდიფიკაცია უსათუოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. ჯერ ერთი, სრული კოდიფიკაცია შესაძლებელს ხდის საკანონმდებლო მასალის დალაგებას დაცული ობიექტების ღირებულების მიხედვით. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს ხდის დაწესდეს სანქციები აკრძალული ქმედების საშიშროების ხარისხის მიხედვით. დასასრულ, ამით პრაქტიკოს მუშაკებს უადვილდებათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება. ასეთი კომპაქტური კანონმდებლობა ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა კოდიფიცირებულია ზოგიერთ უცხო სახელმწიფოში.

ამ უკანასკნელ წლებში სისხლის სამართლის კოდექსები მიიღეს შვეიცარიაში (1965 წ.), უნგრეთში (1978 წ.), საფრანგეთში (1992 წ.), ამასთან, ევროპის მრავალ სახელმწიფოში კოდიფიკაცია სრული არაა. ამ სახელმწიფოებში მიღებულია და მოქმედებს კანონები ცალკეული სახით დანაშაულთათვის. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გარდა 1987 წ. რედაქციით 1871 წლის კოდექსისა მოქმედებს ცალკე კანონები. შვეიცარიაში მოქმედებს 1968 წლის კანონი ნარკოტიკების შესახებ, 1960 წ. კანონი კონტრაბანდის შესახებ და სხვ.

§2. სისხლის სამართლის წყაროები

სამართლის თეორიაში სამართლის წყაროებს ორ ჯგუფად ყოფენ: სამართლის მატერიალური წყარო და სამართლის ფორმალური წყარო. მატერიალურ წყაროდ მიიჩნევენ იმ ძალებს, რომლებიც ახორციელებენ კანონის წარმოშობას, იმ მასალებს, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამის კანონმდებლობას.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის განკუთვნილ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში სისხლის სამართლის წყაროების შესახებ გამოთქმულია შეხედულება, რომ სისხლის სამართლის მატერიალურ და არა ფორმალურ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ რუსეთის კონსტიტუცია. ამ შეხედულების ავტორია

პროფ. ზ. ნუნამოვა. იგი აღნიშნავს, რომ კონსტიტუცია არ შეიცავს სისხლისსამართლებრივ ნორმებს, კონსტიტუცია განაპირობებს ნორმებს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ასეთებია მაგალითად, კანონის მოქმედება სივრცეში პირთა წრის და სხვ. ხსენებული ავტორი დაასკვნის, რომ რუსეთის კონსტიტუცია წარმოადგენს იმ მატერიალურ წყაროს, რომლითაც ხდება სისხლისსამართლებრივი ნორმების, შინაარსის დადგენა.[1]

ვფიქრობ, ეს შეხედულება ყურადსაღებია. სწორედ ამ აზრით უნდა განვმარტოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომ „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას".

სწორედ საქართველოს კონსტიტუციაში ასახულმა დებულებამ პიროვნების ინტერესების დაცვის პრიორიტეტის შესახებ ბევრად განაპირობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სტრუქტურა. კერძო ნაწილში პირველ ადგილზეა წამოწეული დანაშაული არა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ადამიანის წინააღმდეგ, თუმცა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე სხვა, ნებისმიერი, თუნდაც კონკრეტული ადამიანის საწინააღმდეგო დანაშაული.

საქართველოს კონსტიტუციის დებულებებმა ასევე ბევრად განსაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ნორმების შინაარსი.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის კოდექსის სწორედ მატერიალური წყაროა.

ხსენებული მატერიალური წყაროს მსგავსად ასეთივე წყაროა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ". აქ საუბარია შემდეგი გარემოება: საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც სისხლისსამართლებრივ ნორმას შეიცავს, მისთვის დამახასი-

[1] იხ.: „Уголовное права. М., 1997, გვ. 25-26.

ათებული სპეციფიკის გამო, პრინციპში არ შეიძლება პირდაპირ მოქმედებდეს საქართველოს ტერიტორიაზე. საქმე ისაა, რომ არა ყველა საერთაშორისო კონვენცია შეიცავს დანაშაულებრივი ქმედების განსაზღვრებას. არცთუ იშვიათად მათში ასახულია მონაწილე სახელმწიფოთა სურვილი ებრძოლონ საშიშ ქმედებას. გარდა ამისა, თუნდაც კონვენცია შეიცავდეს ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს, მაგრამ არ აწესებდეს სასჯელს ამდაგვარი ქმედებისათვის. საამისო მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ 1970 წლის კონვენცია საჰაერო ხომალდის უკანონო მიტაცების შესახებ. ამ კონვენციაში მითითებულია,რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია ასეთი დანაშაულისათვის გამოიყენოს მკაცრი სასჯელები. ზოგჯერ საერთაშორისო კონვენცია შეიცავს მითითებას სასჯელზე ზოგადად. მაგალითად,1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ აწესებს, რომ შესაბამისი დანაშაულისათვის შეფარდებული უნდა იქნეს საპყრობილეში მოთავსება ან თავისუფლების აღკვეთის სხვა სახე. რასაკვირველია ასეთი სანქცია შეიძლება შეფარდებული იქნეს,რადგან მითითებულია — შეძარებით განსაზღვრული სანქცია.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები დიდ ზეგავლენას ახდენს საქართველოს სისხლის სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაზე. საერთაშორისო კონვენციები უშუალო მიზეზია ჩვენს კანონმდებლობაში სისხლის სამართლის ახალი ნორმების შეტანისა. მაგალითად, საქართველოს შეერთებამ ერთიან კონვენციასთან ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ და კონვენციასთან ფსიქიატრიული ნივთიერების შესახებ განაპირობა ის,რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავადაა გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ასეთ დანაშაულთათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ მიუთითებს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე. ასეთ მითითებას შეიცავს მაგალითად, ხსენებული კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-4 მუხლის მე-სამე და მეოთხე ნაწილები,მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები,მეექვსე მუხლის პირველი ნაწილი. კოდექსის კერძო ნაწილის მეთორმეტე თავი „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“, სხვა კარის ზოგიერთი მუხლი ასევე ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

§3. სისხლის სამართლის კოდექსის სტრუქტურა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ორი ნაწილისაგან შედგება: ზოგადი ნაწილისა და კერძო ნაწილისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი შეიცავს ცნებებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ყველა დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობისათვის, სასჯელის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლებისათვის.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ექვსი კარისაგან შედგება. თითოეული კარი იყოფა თავებად. პირველი კარი „სისხლის სამართლის კანონი“ ორი თავისაგან შედგება: „სისხლის სამართლის კანონმდებლობა“ და „სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები“. მეორე კარი „დანაშაული“ მოიცავს შვიდ თავს. ესენია: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები.“ერთიანი დანაშაულის სახეები“. „დანაშაულის სიმრავლე“. „დაუმთავრებელი დანაშაული“. „დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულის თანამონაწილეობა“, „მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი“. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი: მეხუთე კარი „სასჯელი“,სამი თავისაგან შედგება: „სასჯელის მიზნები და სახეები“, „სასჯელის დანიშნა“, „პირობითი მსჯავრი“ მეოთხე კარი „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება“ სამ თავად იყოფა: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება“, „სასჯელისაგან გათავისუფლება“,,,ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა“. მეხუთე კარი „არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ ორი თავისაგან შედგება, ესენია: „არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება“, „არასრულწლოვანის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან“. დასასრულ, მექვსე კარია „სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და წესი“. კარი შედგება ერთი თავისაგან „სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულთა სახეები და მათთვის დაწესებული სასჯელის სახეები და ზომები. კერძო ნაწილიც ასევე შეიცავს კარებსა და თავებს. კერძო ნაწილი იწყება მეშვიდე კარით. (მე-7 პრომი კარი ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ

პასუხსმგებლობას). კერძო ნაწილის კარებად დაყოფას საფუძვლად უდევს დანაშაულის ობიექტი.

კერძო ნაწილის სისტემა აგებულია დაცვის ობიექტების ღირებულების მიხედვით. ამიტომ კერძო ნაწილი იწყება მეშვიდე კარით, რომლითაც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. მომდევნო კარია „ეკონომიკური დანაშაული“, მეცხრე კარში გათვალისწინებულია „დანაშაული საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგის წინააღმდეგ“, მეათე კარში „დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით წინააღმდეგ“, მეთორმეტე კარში „დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ“, მეცამეტე კარში „დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ“, მეთორმეტე კარში „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“.

როგორც ზოგადი ისე კერძო ნაწილები შედგება მუხლებისაგან, ამ მუხლების ნუმერაცია ერთიანია. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების უმრავლესობა იყოფა ნაწილებად. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლი იყოფა პუნქტებად, რაც აღნიშნულია ასოებით.

§4. სისხლისსამართლებრივი ნორმის სტრუქტურა

სისხლისსამართლებრივი ნორმა წარმოადგენს ქცევის წესს, რომელიც მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს ანიჭებს უფლებებს და აკისრებს მოვალეობებს. ამ ნორმის დარღვევა ან შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენებას. მაშასადამე, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში წერილობითაა ასახული სისხლისსამართლებრივი ნორმა. ამასთან, შეიძლება სისხლისსამართლებრივი ნორმა და სისხლის სამართლის კანონის მუხლი ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ. საერთოდ კი მათი თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინდეს:

1. სისხლისსამართლებრივ ნორმას შეიცავს კანონის ერთი მუხლი. ამის მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი. ეს მუხლი შეიცავს ერთ ნორმას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შესახებ.

2. სისხლისსამართლებრივ ნორმას შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი. საამისოდ მაგალითად მოვიყვან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 110-ე, 111-ე, 112-ე,

113-ე მუხლები, რომლებიც შეიცავენ ნორმას პირის განზრახ მკვლელობის შესახებ.

3. სისხლის სამართლის ერთი მუხლი შეიცავს ორ ან მეტ სისხლის სამართლებრივ ნორმას. ასეთია, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლი.

სტრუქტურულად სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლები განსხვავდება მისი ზოგადი ნაწილის მუხლებისაგან, ამ უკანასკნელთ არა აქვთ სანქცია. კერძო ნაწილის მუხლები ორი ნაწილისაგან შედგება ⌜ დისპოზიციისა და სანქციისაგან. ჰიპოთეზა სისხლისსამართლებრივ ნორმაში ტექსტუალურად არაა ასახული. იგი იგულისხმება მაგალითად ასეთი ფორმაში „თუ ვინმემ ჩაიდინა მკვლელობა". ამის შემდეგ დისპოზიციაში განსაზღვრულია მკვლელობის ცნება.

დისპოზიცია ეწოდება კერძო ნაწილის მუხლის ნაწილს, რომელიც შეიცავს მასში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების განსაზღვრას. დისპოზიცია ოთხი სახისაა„მარტივი, აღწერილობითი მათითებითი და ბლანკეტური.

მარტივ დისპოზიციაში დასახელებულია მხოლოდ ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), მაგრამ არ არის განსაზღვრული მისი ნიშნები. მაგალითად, ასეთია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის დისპოზიცია – ქრთამის მიცემა. ასეთი დისპოზიცია მაშინ გამოიყენება, როდესაც დანაშაულის აზრი საკმაოდ ნათელია მისი აღწერის გარეშე, ანდა კოდექსის 255-ე მუხლი, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადების ან გასაღებისათვის. პორნოგრაფიის ცნების შესახებ არ არსებობს ერთიანი აზრი. ამის გამო ეს ცნება კანონში არ არის განსაზღვრული.

ზემოაღნიშნული ნაკლი არ ახასიათებს აღწერილობით დისპოზიციას. ეს ისეთი დისპოზიციაა, სადაც არა მარტო დასახელებულია დანაშაული, არამედ აღწერილია მისი ძირითადი ნიშნები. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ქურდობა ნიშნავს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხოლო 179-ე მუხლით ყაჩაღობა ნიშნავს თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობით მუქარით.

მითითებითი დისპოზიციაა მაშინ არის, როდესაც დანაშაულის ნიშნებით დასადგენად კანონმდებელი მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლზე. ასეთია, მაგალითად, 126-ე მუხლი, რომელიც

ასე განმარტავს წამებას: „სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი". ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დანაშაულის ნიშნების დახადგენად აუცილებელია იმის დადგენა, რომ წამებას არ მოჰყოლია მითითებულ მუხლებში გათვალისწინებული შედეგი.

ბლანკეტურად ჩაითვლება ისეთი დისპოზიცია, როცა უშუალოდ სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების დასადგენად საჭიროა სამართლის სხვა დარგების შრომის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და ა.შ. ნორმების მიშველება. სწორედ ბლანკეტური დისპოზიციის სახითაა გათვალისწინებული, მაგალითად, ეკონომიკურ დანაშაულთა, აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დიდი ნაწილი. ბლანკეტურია, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევისათვის. ეს წესი თავად სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული არაა. იგი დადგენილია მთავრობის, სამინისტროების, უწყებების დადგენილებებით, შრომის კანონთა კოდექსით. ამის გამო ამ დანაშაულის ნიშნების დასადგენად აუცილებელია შრომის სამართლის შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოყენება. ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბლანკეტური დისპოზიციაა, როგორც წესი, შედეგს გულისხმობს. ამაზე პირდაპირ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევა მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ამ ქმედებამ გამოიწვია ხსენებულ მუხლებში მითითებული შედეგი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება. სწორედ ამ ნიშნით ხსენებული დანაშაული განსხვავდება შრომის სამართლით გათვალისწინებული შრომის დაცვის წესის დარღვევისაგან.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები თავად სისხლის სამართლის კანონში უნდა იყოს აღწერილი. ამის გამო ბლანკეტური დისპოზიცია პრინციპში მიუღებელია, რადგან დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობის განსაზღვრება სისხლის სამართლის კანონის ამოცანაა. ამის მიუხედავად ბლანკეტური დისპოზიცია არ შეიძლება უარყოფილი იქნეს. ეს იმით აიხსნება, რომ ეკონომიკის სფეროში მოქმედებს დეტალიზებული ნორმატიული აქტები, რომლებიც ითვალისწინებენ შესაძლებელ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ძალიან ფართო წრეს. ამასთან ერთად ეს წესები

ხშირად იცვლება, რაც პირობადადებულია მადალი მოთხოვნებით, რომლებიც დაცული უნდა იქნეს სხვადასხვა მექანიზმებისა და დანადგარების ექსპლოატაციისას. ასეთ ვითარებაში სისხლის სამართლის კანონებით შეუძლებელია ზუსტად აისახოს შეხაბამისი დანაშაულის ობიექტური მხარე.

ბლანკეტური დისპოზიციების არსებობა აისხნება იმითაც, რომ სისხლის სამართალი სამართლის სისტემაში გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი დაცვის ფუნქციით. სისხლის სამართლის დაცვითი ფუნქციის დადახტურებაა ბლანკეტური კანონები, რომლებიც მიმართულია სამართლის სხვა დარგების ნორმათა დაცვისაკენ.

ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი შეიცავს როგორც აღწერილობითი, ისე ბლანკეტური დისპოზიციების ნიშნებს. ასეთია, მაგალითად 162-ე მუხლი, რომლითაც დანაშაულადაა მიჩნეული არრეკვნებში, რეფერენდუმში ან პლებისცისტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

სანქცია ეწოდება სისხლისსამართლებრივი ნორმის ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის სახესა და ზომას დისპოზიციაში გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

განასხვავებენ სანქციის ორ სახეს: 1) მიმართებით- განსაზღვრული და 2) აბსოლუტურად განსაზღვრული.

მიმართებით-განსაზღვრული სანქცია ითვალისწინებს სასჯელის კონკრეტულ სახესა და მის ფარგლებს. ასეთი სანქცია სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, რათა დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების საშიშროების მიხედვით დანიშნოს სამართლიანი სასჯელი.

მიმართებით-განსაზღვრული სანქცია სამი სახისაა: ა) სანქცია, რომელიც აწესებს სასჯელის უმდაბლეს ზღვარს („თავისუფლების აღკვეთა სამი წლიდან"). მისი მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებით; ბ) სანქცია, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის მაქსიმალურ ზღვარს („თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე"). მინიმალური ზღვარი სასჯელის მოცემული სახისათვის განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებით; გ) სანქცია, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის როგორც უმდაბლეს, ისე მაქსიმალურ ზღვარს („თავისუფლების აღკვეთა სამიდან 10 წლამდე"). მოქმედი კოდექსის კერძო ნაწილში ყველაზე მეტად გამოიყენება სანქციის სწორედ ეს მესამე სახე. აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია ითვალისწინებს როგორც სასჯელის სახეს, ისე მის ზომას. მოქმედი კანონმდებლობა, როგორც წესი, არ ითვალისწინებს აბსოლუტურად განსაზღვრულ სან-

ქცია, რადგან იგი არ იძლევა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით. ამ მხრივ გამონაკლისია საქ. სსკ 88-ე მუხლი. რომლის თანახმად, ოქმსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს განაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლები ალკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს თხუტმეტი წლისა.

ალტერნატიული სანქცია შეიცავს მითითებას სასჯელის არა ერთადერთ, არამედ რამდენიმე სახეზე („თავისუფლების ალკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე").

§5. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში

1. დემოკრატიული პრინციპი: არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე თანმიმდევრულად არის ასახული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მისედვითაც „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს".

ამ კანონის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია დავადგინოთ, თუ რომელი კანონი ითვლება მოქმედად დანაშაულის ჩადენის დროს და რადის ითვლება ჩადენილად დანაშაულებრივი ქმედება.

2. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შეიძლება მოქმედებდეს ამა თუ იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი მხოლოდ ერთი კანონი. ეს შეეხება სისხლის სამართლის კანონსაც, რომელიც ქმედების დანაშაულობასა და დასჯადობას განსაზღვრავს.

სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის საკითხი რეგულირდება ორგანული აქტების შესახებ საქართველოს 1996 წლის კანონით. ამ კანონის 37-ე მუხლის მიხედვით საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე. ამის შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიღების დღეა 1999 წლის 22 იულისი. სწორედ ამ დღეს მიიღო პარლამენტმა ხსენებული კოდექსი.

საქართველოს პრეზიდენტი კანონპროექტს ხელს აწერს და მას აქვეყნებს 10 დღის ვადაში. ხელმოწერილი ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს მისი ხელმოწერიდან 7 დღის ვადაში. ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის გამოქვეყნება „საქარ-

ველის კანონმდებლობის მაცნეში". საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი „საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში" გამოქვეყნდა 1999 წლის პირველ ნომერში.

არსებობს კანონის ძალაში შესვლის ორი წესი: ჩვეულებრივი (ორდინარული) და არაჩვეულებრივი (ექსტრაორდინალური). კანონით ნორმატიული აქტების შესახებ დაწესებული, რომ საკანონმდებლო აქტი, ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ეს არის კანონის ძალაში შესვლის ჩვეულებრივი წესი. არაჩვეულებრივი (ექსტრაორდინალური) გათვალისწინებულია იმავე მუხლით, რომლის მიხედვითაც კანონით შეიძლება სხვა ვადა იქნეს გათვალისწინებული. სწორედ სხვა ვადა იქნა გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ასამოქმედებლად. ეს კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს, ხოლო ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან. ასეთი ვადის გახვლა კოდექსის გამოქვეყნების დღიდან მისი ძალაში შესვლამდე პირობადებულია იმით, რომ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ კანონს, რათა შეუთანხმონ თავიანთი მოქმედება მის მოთხოვნებს, ხოლო კანონის შემფარდებელ ორგანოს საშუალება მიეცეს შეისწავლონ კანონი მისი სწორად შეფარდების მიზნით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს ახალი კანონით განსაჯოს ქმედება, რომელიც ჩადენილია დროის იმ მონაკვეთში, როცა ახალი კანონი გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული. სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს, როდესაც მას გააუქმებს ან შეცვლის ახალი კანონი.

კანონის დროში მოქმედების საკითხი თითქოსდა არ მოითხოვს კომენტარს. სინამდვილეში ეს საკითხი მარტივია, თუ საკითხი შეეხება მარტივ დანაშაულს. მართლაც, ძნელად წარმოსადგენია, მაგალითად ჯიბის ქურდობა, რომელიც ჩადენილი იქნა ძველი და ახალი კანონის მოქმედების დროს. მაგრამ დანაშაულთა დიდი უმრავლესობის ჩადენა მომენტალურად არ ხდება, მისი ჩადენის დრო თვეებით და ხოგჯერ წლობით გრძელდება. ასეთ შემთხვევაში დროში ჩადენის საკითხის გადაწყვეტა გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. ამ სირთულის დასაძლევად უნდა გვახსოვდეს, რომ ფორმალური შემადგენლობის მქონე ქმედებათა მიმართ დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების განხორციელების დრო. რაც შეეხება მატერიალურ დანაშაულს, ამ დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება არა შედეგის დადგომის მომენტი, არამედ თავად ქმედების ჩადენის დრო. მაგალითად, მკვლელობისას თუ აღხრულებითი მოქმედება ჩადენილია ერთი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს, ხოლო დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა უფრო გვიან, დანაშაულის ჩადენის დროდ ჩაითვლება არა

შედეგის (დაზარალებულის სიკვდილის) განხორციელების მომენტი, არამედ ქმედების (საწამლავის მიცემის და ა.შ.) ხადენის დრო.

ზოგჯერ კანონმდებელი დანაშაულის საშიშროების გათვალისწინების საფუძველზე მას დამთავრებულად მიიჩნევს მისი მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ხადენის დროდ მიიჩნევა ასეთი დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადია.

განგრძობადი დანაშაული ხადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც შესრულებული იყო უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტი. თანამონაწილეობით დანაშაულის ხადენის დროდ ხაითვლება ამსრულებლისათვის თავის აღსრულებითი მოქმედების ხადენის დრო, ხოლო თანამონაწილეთათვის მათი საკუთარი მოქმედების ხადენის დრო. ამიტომ, თუ დანაშაულისკენ წაქეზებისას ერთი სისხლის სამართლის კანონი მოქმედებდა, ხოლო დანაშაულის აღსრულების დროს კი ახალი სისხლის სამართლის კანონი მოქმედებს, წამქეზებლის მოქმედება ხადენილად ხაითვლება ძველი კანონის მოქმედების დროს, ხოლო ამსრულებლის მოქმედება – ახალი კანონის მოქმედების დროს.

თუ დანაშაული შეწყვეტილი იქნა დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, დანაშაულის ხადენის დროდ ხაითვლება დანაშაულებრივი აქტის აღკვეთის ან შეწყვეტის მომენტი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ხადენის დროს. ამ დებულებიდან სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულია გამონაკლისი, კერძოდ, ის, რომ „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს“.

კანონმდებელმა შეიძლება გააუქმოს ქმედების დანაშაულებრიობა ან იმიტომ, რომ ქმედება შეცვლილ გითარებაში აღარ ხასიათდება საშიშროებით, ან იმიტომ, რომ ქმედების წინააღმდეგ ბრძოლველად საკმარისად მიაჩნია სხვა სახის სამართლებრივი ღონისძიებანი, მაგალითად, ადმინისტრაციული სახდელი ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. რასაკვირველია ასეთი ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს და ამასთან მიზანშეწონელიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის კანონად, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ისეთი კანონი ითვლება, რომელიც სრულიად აუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რაიმე ქმედებისათვის. საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის კოდექსით მრავალი ქმედება იქნა დეკრიმინალიზებული. გარდა ამისა, შესაძლებელია ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია დისპოზიციაში დამატებითი ნიშნების შეტანით ან, პირიქით, წინა კანონში მითითებული ნიშნების გამორიცხვით. ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებში ცვლილებების შეტანით. მაგალითად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით სისხლისსამართლებრივი დაწესებული იყო პასუხისმგებლობა ყველა განსრახი დანაშაულის მომზადებისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით კი პასუხისმგებლობას იწვევს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება. ამრიგად, კანონმდებელი დანაშაულად აღარ მიიჩნევს ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის მომზადებას.

თუ დანაშაული მისი ჩადენის მომენტში უფრო მკაცრად ისჯებოდა, ხოლო ახალმა კანონმა მისთვის უფრო მსუბუქი სასჯელი გაითვალისწინა, ასეთ შემთხვევაში ძველი, უკვე გაუქმებული კანონის გამოყენება აშკარად უსამართლო და მიზანშეუწონელი იქნებოდა. უფრო ლმობიერად ჩაითვლება კანონი, რომლითაც სასჯელის ამა თუ იმ სახის (ზომის) მაქსიმალური და მინიმალური ფარგლები უფრო დაბალია, ვიდრე წინანდელი კანონისა. ასევე ლმობიერად მიიჩნევა კანონი, რომელიც ითვალისწინებს ალტერნატიულ სანქციას, თუ ეს ალტერნატივა შესაძლებლობას იძლევა დაინიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი. დასასრულ, უფრო ლმობიერად მიიჩნევა კანონი, რომელიც უცვლელად ტოვებს ძირითად სასჯელს, მაგრამ აუქმებს დამატებით სასჯელს.

თუ ახალი კანონი ერთსა და იმავე დროში ამძიმებს და კიდევაც ამსუბუქებს სასჯელს, მაგალითად ითვალისწინებს უფრო დაბალ მაქსიმუმს, ვიდრე ძველი კანონი, მაგრამ იმავდროულად უფრო მაღალ მაქსიმუმს ანდა პირიქით, გამოყენებული უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც ყველა, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინებით შესაძლებლობას იძლევა დაინიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი.

ზემოთ განხილული იყო სისხლის სამართლის კანონის უკუძალის მარტივი სახე, ე.ი. ისეთი შემთხვევა, როდესაც ახალი, უფრო მსუბუქი სისხლის სამართლის კანონი ვრცელდება ისეთ დანაშაულზე, რომლის მიმართაც განაჩენი ძალაში არ შესულა. ამასთან ერთად არსებობს კანონი უკუძალის სარევიზიო ნაირსახეობა, ე.ი. ისეთი შემთხვევა,

რომელსაც ახალი, უფრო მსუბუქი სისხლის სამართლის კანონი ძალაში შევიდა და დამნაშავე იხდის მისთვის შეფარდებულ სასჯელს. ასეთ ვითარებაში სისხლის სამართლის საქმე გადასინჯული უნდა იქნეს, ხოლო წინა განაჩენი „რევიზიას“ ექვემდებარება. ახალი, კანონის ძალაში შესვლისას, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას და დასჯადობას, სასჯელის მომხდელი მსჯავრდებული გათავისუფლდება და ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ ამ კანონის ძალაში შესვლის დროიდან.

თუ სისხლის სამართლის ახალი კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე სასჯელს იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში (სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი).

დანაშაულის ჩადენიდან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვამდე კანონი შეიძლება შეიცვალოს, ამასთან შუალედში გამოცემული კანონი შეიძლება უფრო ლმობიერი იყოს, ვიდრე წინა კანონები. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა გამოიწვევდა იმას, რომ დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრება დამოკიდებული იქნებოდა ისეთი შემთხვევითი გარემოებებისაგან, როგორიცაა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის დამოკიდებულება განაჩენის გამოტანის დროზე და სხვ.

განსხვავებულად რეგულირდება ადმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გამოიყენება მხოლოდ ის კანონი, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

§6. სისხლისსამართლებრივი კანონის მოქმედება სივრცეში

სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში რამდენიმე პრინციპს ეფუძნება. ამათგან უპირატესია ტერიტორიულობის პრინციპი, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტის რეალური გამოხატულებაა. ეს პრინციპი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში: „იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით".

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია მოიცავს ხმელეთს, წყლებს, წიაღსა და საჰაერო სივრცეს საქართველოს სახელმწიფო სახღვრის ფარგლებში."საქართველოს სახელმწიფო სახღვრების შესახებ" საქართველოს 1999 წლის კანონის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო სახღვარი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული სახღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო სახღვრისაგან, რომელიც განსახღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო სახღვარს საქართველოს ნაწილში.

ჩვენი ქვეყნის სახმელეთო ტერიტორია მოიცავს მატერიკის ნაწილს საქართველოს სახელმწიფო სახღვრის ფარგლებში.

საქართველოს წყლის ტერიტორიას შეადგენს ტერიტორიული და შიდა წყლები.

საქართველოს შიდა წყლებს მიეკუთვნება: ა) მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსაცავების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად საქართველოს ეკუთვნის; ბ) შავი ზღვის ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; გ) საქართველოს პორტის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას) მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 სახღვაო მილი და რომლითაც აითვლება ამ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო სახღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის)

სიგანე შეიძლება დადგინდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ხოლო ასეთის არარსებობისას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოქმედებს მაშინაც, როდესაც დანაშაული ჩადენილია კონტინენტურ შელფზე. კონტინენტური შელფი განსაზღვრულია კანონში „საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ".

კოდექსი ვრცელდება იმ დანაშაულზეც, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. მისი სამართლებრივი რეჟიმი ანალოგიურია კონტინენტური შელფის რეჟიმისა.

თანახმად ხელშეკრულებისა, კოსმიური სივრცის გამოკვლევისა და გამოყენებისას სახელმწიფოების საქმიანობის შესახებ, მაშასადამე საქართველოც, თავის იურისდიქციას ახორციელებენ მათ მიერ კოსმიურ სივრცეში გაშვებულ ობიექტებსა და მათ ეკიპაჟებზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. მაშასადამე, ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრისას ადიარებს „სუბიექტივობის" (ანუ „საყოველთაოობის") თეორიას.

ამრიგად, ტერიტორიალობის პრინციპის შესაბამისად ექვემდებარება პირს, მათ შორის უცხოელ მოქალაქეს (ქვეშევრდომი) და მოქალაქეობის არმქონეს დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ამ ზოგადი წესიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით დაშვებულია გამონაკლისი იმ პირების მიმართ, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ.

თუ უცხო ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, აგრეთვე სხვა პირმა, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინეს, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისაგან დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, შეიცავს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. ამ აქტებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ვენის 1961 წლის საერთაშორისო კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, ვენის 1962

წლის კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, ვენის 1975 წლის კონვენცია უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოთა წარმომადგენლობის შესახებ.

დიპლომატიურ წარმომადგენლებად, რომლებიც დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ, ითვლებიან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელები, ელჩები, დესპანების ან საქმეთა რწმუნებულთა რანგით, აგრეთვე წარმომადგენლობათა დიპლომატიური პერსონალი: მრჩეველები, საგანგრო წარმომადგენლობა და მათი მოადგილეები: სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშე და მათი თანაშემწენი. პირველი, მეორე და მესამე მდივანი, ატაშე და მდივანი-აქთვარიუსები, აგრეთვე მეთაურთა და დიპლომატიური პერსონალის ოჯახების წევრები, თუ ისინი ცხოვრობენ სამოთხლილ პირებთან ერთად და არ არიან საქართველოს მოქალაქენი.

დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციების წევრები, აგრეთვე ნაცვალგების საფუძველზე უცხო სახელმწიფოთა დელეგაციების თანამშრომლები, რომლებიც სამოდიან საქართველოში საერთაშორისო მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის ან სხვა ოფიციალური დავალებით, იმავე მიზნით ტრანზიტით საქართველოს ტერიტორიის გავლით. ამ უფლებით სარგებლობენ მოხსენიებულ პირთა ოჯახის წევრები, თუ ისინი არ არიან საქართველოს მოქალაქენი. საერთაშორისო ხელშეკრულებით, თუ მისი მონაწილეა საქართველო, დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების თანამდებობის პირები და ამ ორგანიზაციებთან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი პრაქტიკულად, იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ იმ განსხვავებით, რომ ვრცელდება მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობის აღსრულებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენაზე.

დიპლომატიური იმუნიტეტი ადგილსამყოფელი ქვეყნის იურისდიქციისაგან ნიშნავს იმას, რომ ასეთი იმუნიტეტის მქონე პირს დანაშაულის ჩადენისათვის არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოცემული ქვეყნის კანონების მიხედვით. ჩვეულებრივად ასეთი პირი ცხადდება პერსონა ნონ გრატად (არასასურველ პირად) და გაძევებული უნდა იქნეს მისი ადგილსამყოფელის ქვეყნიდან. მაგრამ დანაშაულის საქართველოში ჩამდენმა შეიძლება პასუხი აგოს მისი წარმომგზავნი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. ამასთან, ვენის კონვენციით წარმომგზავნმა სახელმწიფომ შე-

იძლება უარი თქვას ასეთ იმუნიტეტზე. ასეთ შემთხვევაში პირს შეიძლება დაეკისროს ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მან დანაშაული ჩაიდინა.

სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის თვალსაზრისით სახელმწიფო ტერიტორიასთან გათანაბრებულია საჰაერო, სამდინარო, სადღვაო ხომალდები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო ალმით ანდა ამოსაცნობი ნიშნით ანდა ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. საქართველოს სსრ კოდექსისაგან განსხვავებით მოქმედი კოდექსი არ განასხვავებს სამოქალაქო და სამხედრო ხომალდებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით აქ მოქმედებს სუვერენიტეტის პრინციპი. საქართველოს სახელმწიფო ალმით ან მისი ამოსაცნობი ნიშნით უცხოეთის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს ხომალდზე ვრცელდება როგორც საქართველოს, ისე იმ ქვეყნის იურისდიქცია, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. ასეთი უფლებით სარგებლობენ აგრეთვე მოსამართლეები: საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლით დაუშვებელია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

1998 წლის 17 ივნისის „საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო სტატუსით“ არც შიდასახელმწიფოებრივი და არც დიპლომატიური იმუნიტეტი არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ პირებისა, რომლებმაც ჩაიდინეს შემდეგი 4 სახის დანაშაული: 1. გენოციდი; 2. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; 3. ომის დანაშაული; 4. აგრესია.

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიული პრინციპი მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი პრინციპია. ამ პრინციპის გარდა ცალკე გამოყოფენ მოქალაქეობის ანუ აქტიური პერსონალობის პრინციპს. ეს პრინციპი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში: „საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც სახლვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფო კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით“.

მოქალაქეობის პრინციპის არსებობა პირობადებულია იმით, რომ საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს კანონები, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, თუნდაც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. იმავდროულად საქართველო იცავს და მფარველობს მათ უცხოეთში ყოფნისას.

გასათვალისწინებელია ის, რომ ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზე იქნა ასეთი პირის მიერ დანაშაული ჩადენილი, უფლება აქვს დააკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. თუ იგი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით არ დასჯილა, იგი არ გადაეცემა სხვა სახელმწიფოს და მას სასჯელი დაენიშნება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეების პრინციპი გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, თუ რაიმე მიზნებით არ გამოიყენება ტერიტორიულობის პრინციპი.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ 1993 წლის კანონით საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ ექვსი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე.

ბ) საქართველოში დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და ამჟამად ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

გ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი არის ის, რომელსაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არა აქვს და მუდმივად ცხოვრობს საქართველოში.

ამრიგად, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, სადაც არ უნდა ჩაიდინონ დანაშაული, შეეფარდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი. ეს კოდექსი არ შეიცავს დათქმას, რომ თუ ისინი მსჯავრდებულნი არ ყოფილან უცხოეთის სახელმწიფოში. მაგრამ საქართველოს სათანადო სასამართლოს უფლება აქვს გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ უცხოეთის სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაულისათვის პირმა უკვე მოიხადა სასჯელი და სათანადოდ შეუმსუბუქოს მას სასჯელი ან სრულიად გაათავისუფლოს იგი სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლი კანონის სივრცეში მოქმედების ორ პრინციპს ითვალისწინებს: რეალობის ანუ დაცვის პრინციპს და უნივერსალობის პრინციპს.

მე-5 მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც სახლვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. კანონმდებლის ეს დებულება რეალობის (დაცვის) პრინციპს გამოხატავს, იმავე მუხლის მეორე ნაწილით ასეთივე პასუხისმგებლობა წარმოიშვება. თუ ეს დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. რეალობის (დაცვის) პრინციპს და უნივერსალობის პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი. ამ მუხლით სახლვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ამ მუხლებით გათვალისწინებული უნივერსალობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო-სა-

მართლებრივი მოვალეობებიდან. ეს პრინციპი გამონაკლისია სივრცეში სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიული პრინციპიდან. პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემა მისი ქვეყნის კანონმდებლობით იმისდა მიუხედავად, სადაა ჩადენილი დანაშაული და რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა იგი. ამ პრინციპის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, პირობადებულია საერთაშორისო დანაშაულთან და საერთაშორისო ხასიათის ზოგიერთ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებლობით, რომელთა აღკვეთა შესაბამისი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მოვალეობაა. ასეთი კონვენციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: კონვენცია იმ პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ, კონვენცია საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებასთან ბრძოლის შესახებ, ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესახებ, ერთიანი კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულია დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიქცია. ამ მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება იყვნენ ექსტრადირებულნი სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსით ჩვენი მოქალაქის გადაცემა შეიძლება მოხდეს საერთაშორისო სასამართლოსათვის, თუ საქმე ეხება ომის დანაშაულს: გენოციდი, აგრესია, ომის დანაშაული, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მისდევით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილია: „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით".

§7. სისხლის სამართლის კანონის განმარტება

კანონის განმარტება ნიშნავს მისი შინაარსის, მასში ასახული კანონმდებლის ნების დადგენას. სისხლის სამართლის კანონის განმარტება განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სამართლის ნორმის ზოგადი ხასიათით, მასში გამოყენებული სპეციალური იურიდიული ტექნიკით (ბლანკეტური, დისპოზიცია, შეფასებითი ცნებები და სხვ). გარდა ამისა, განმარტება პირობადადებულია სისხლისსამართლებრივი ნორმების სისტემატურობით, მათი ურთიერთკავშირით სამართლის სხვა დარგის ნორმებთან.

სათვალავში ისიც უნდა მივიღოთ, რომ განმარტება უზრუნველყოფს სამართლის ნორმების ერთგვაროვან გამოყენებას, კანონის ნაკლის გამოვლინებასა და აღმოფხვრას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი კანონის განმარტება, რადგანაც ჯერ კიდევ არაა თეორიულად გააზრებული და პრაქტიკით განმტკიცებული.

განასხვავებენ განმარტების სხვადასხვა სახეს. მათ დაყოფას სხვადასხვა კლასიფიკაცია უდევს საფუძვლად. განმარტების ეს სახეებია: ა) განმარტება სუბიექტის მიხედვით; ბ) განმარტების ხერხების მიხედვით; გ) განმარტების მოცულობის მიხედვით.

სუბიექტის მიხედვით განმარტება შეიძლება იყოს: ა) ლეგალური; ბ) სასამართლო; გ) დოქტრინალური (მეცნიერული). ლეგალურია განმარტება, რომელსაც იძლევა კანონით სპეციალურად საამისოდ უფლებაადჭურვილი ორგანო. სასამართლო განმარტება გულისხმობს განმარტებას, რომელსაც იძლევა სასამართლო სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის განხილვისას.

კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს და, მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონის განმარტებას, რომელსაც იგი შეიცავს, სავალდებულო ძალა აქვს მოცემული საქმისათვის. ამასთან ერთად სათვალავშია მისაღები საზოგადოდ სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. საქართველოს ორგანული კანონის მესამე მუხლით საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ დადგენილია: „უზენაესი სასამართლო პალატას საქმის განმხილველ შემადგენლობას მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ: ა) საქმის განხილვას გადამწყვეტი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ახლებურ განმარტებას;

გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას“.

კანონის დოქტრინალურ განმარტებას ახორციელებს მეცნიერების წარმომადგენელი. ასეთი განმარტებით საგანი შეიძლება იყოს კონკრეტული საქმე, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის განზოგადებული მასალები. ასეთ განმარტებას ოფიციალურად არა აქვს სავალდებულო ძალა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის სწორად გაგებისა და შეფარდებისათვის.

დოქტრინალური განმარტებისაგან უნდა განვასხვაოთ ხელისუფლებრივი, საყოფაცხოვრებო განმარტება, რომელსაც არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა. ასეთი განმარტება ხელს უწყობს მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლებას.

განმარტების ხერხების მიხედვით განასხვავებენ კანონის გრამატიკულ, ლოგიკურ სისტემატურ და ისტორიულ განმარტებას.

კანონის ტექსტის გრამატიკული განმარტება ხორციელდება გრამატიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის წესების საფუძველზე. ამასთან მხედველობაში მიიღება თითოეული სიტყვა, კავშირი სიტყვებს შორის და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილით „წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად“. ამ წინადადებაში ზმნა „დაიყოლია“ წარსულ დროს გულისხმობს („დაიყოლია“). აქედან დავასკვნით, რომ წამქეზებელად შეიძლება მივიჩნიოთ პირის საქმიანობა წარსულში, ამიტომ დანაშაულის ჩასადენად პირის დაყოლიების ცდა განიხილება არა როგორც წამქეზებლობა, თანამონაწილეობა, არამედ, როგორც დანაშაულის მომზადება (მუხ. 18).

ლოგიკური ეწოდება განმარტების ისეთ ხერხს, როდესაც კანონის შინაარსის დადგენა ხდება ლოგიკის კანონების საფუძველზე მისი ტექსტის ანალიზის გზით.

კანონის სისტემატური განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის შინაარსის დადგენას, მის განმარტებას სხვა ნორმებთან მისი კავშირის დადგენით.

ისტორიული განმარტება გულისხმობს იმ მიზეზების დადგენას, რომლებმაც განაპირობეს სამართლებრივი ნორმის მიღება, ასევე მიზნების, ვითარების ნათელყოფას.

იმ ქმედებათა მიხედვით, რომლებზეც ვრცელდება განსამარტავი სისხლისსამართლებრივი ნორმის მოქმედება, განასხვავებენ განმარტების სახეებს მოცულობის მიხედვით: სიტყვა-სიტყვითი ანუ ადეკვატური, განვრცობითი და შეზღუდვითი.

სიტყვა-სიტყვითი ანუ ლექსიკური ნიშნავს კანონის განმარტებას მისი ტექსტის ზუსტი შესაბამისობით.

განვრცობითია ისეთი განმარტება, რომლის შედეგიც კანონი გამოიყენება ისეთი შემთხვევის მიმართ, რომელიც კანონის ტექსტში უშუალოდ დახასიათებული არაა.

შეზღუდვითი განმარტება ისეთი განმარტებაა, როდესაც განსამარტავი ნორმის შინაარსი უნდა გავიგოთ უფრო ვიწროდ, ვიდრე მისი ტექსტია. აქ სისხლის სამართლის კანონი გამოყენებული უნდა იქნეს არა ყველა შემთხვევის მიმართ, რომლებიც ამ კანონის ტექსტშია მოხსენიებული.

VI თავი

საქართველოს სისხლის სამართლის ისტორია

1. ქართული სამართლის ისტორია ერთ-ერთი იურიდიული დისციპლინაა, რომელსაც იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსიდანვე სწავლობენ.[1] ამის გამო წინამდებარე ნაშრომში ხსენებული თემა შედარებით შეკუმშულად არის განხილული.

უპირველეს ყოვლისა უსათუოდ აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლის ისტორიის კვლევა-ძიებაში ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის დიდ ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს. მან დრმად გამოიკვლია ქართული სამართლის პრობლემები.[2] რასაკვირველია, ცალკე აღნიშვნის ღირსნი არიან ქართული სამართლის ისტორიის მკვლევრები [1] პროფ. ალ. ვანეიშვილი, პროფ. იც. სურგულაძე, პროფ. ი. დოლიძე, პროფ. გ. ნადარეიშვილი, პროფ. მ. კვაჭაძე, პროფ. ვ. მეტრეველი, დოც. ნ. კორძაია-სამადაშვილი, პროფ. ბ. ზოიძე და სხვები.

ქართული სისხლის სამართლის ისტორია ფეოდალური ხანიდან იწყება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ადრინდელ ფეოდალურ ხანაში, V-VI საუკუნეების სამართლებრივ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ნარატიული და სხვა არაიურიდიული წყაროების საშუალებით მიახლოებით შესაძლებელია ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი სისხლისსამართლებრივი პრაქტიკისა და კულტურის შესახებ. ამ კულტურის დონის მანვენებელია, უპირველეს ყოვლისა ის, რომ V საუკუნეში სამართალში დამუშავებულია სისხლის სამართლის ისეთი ფუნდამენტური ცნება, როგორიცაა ბრალის ცნება.

ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების შემდეგ ბიზანტიური წარმომავლობის საეკლესიო სამართალმა ზეგავლენა მოახდინა ყველა ქრისტიანული ქვეყნის და, მაშასადამე, ქართული სამართლის კანონმდებლობაზე. მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებს ისეთივე სავალდებულო იურიდიული ძალა ჰქონდა, როგორც საერთო კანონმდებლობას. უცხოური საეკლესიო კანონებიდან უნდა მოვიხსენიოთ „დიდი სჯულის კანონი“ და „მცირე სჯულის კანონი“. „დიდი სჯულის კანონი“ შედგენილია უცნობი ავტორის მიერ. იგი ქართულად თარგმნა არსენ იყალთოელმა XII საუკუნის

[1] იხ. მეტრეველი ვ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 21.02.

[2] იც. ჯავახიშვილი თხზ., 12 ტომად, ტ. VI.

დასაწყისში. ეს ძეგლი შეიცავდა სისხლისსამართლებრივ საკითხებსა და მრავალ იურიდიულ ტერმინს.

რაც შეეხება „მცირე სჯულის კანონს", იგი ბერძნულიდან თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა. მან სიტყვასიტყვით კი არ თარგმნა ეს კანონი, არამედ კომენტარი დაურთო და ისე მიუსადაგა იმდროინდელ ქართულ სინამდვილეს.

ლიტერატურაში უკვე გამორკვეულია, რომ ექვთიმე განასხვავებდა ბრალის ფორმებს: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ამათგან ცალკე გამოყო შემთხვევა. ექვთიმე მთაწმინდელი განზრახ ბრალს უკავშირებდა ნებელობას. რაც შეეხება ბრალის მეორე ფორმას — გაუფრთხილებლობას, იგი ბრალის ამ ფორმას თვლიდა უნებლიე მოქმედებად. ბრალის ამ ფორმებს ექვთიმე მთაწმინდელი განასხვავებდა კონკრეტული შემთხვევის გარჩევის გზით.

საზოგადოდ ცნობილია, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრისას სრულიად არ ეებულობს სათვალავში ადამიანის ქმედების შინაგან, სუბიექტურ მხარეს: დასჯადობის ერთადერთ საფუძვლად ამ ხალხისათვის მოქმედებით გამოწვეული გარეგანი შედეგი, მატერიალური ზიანია. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმ თვალსაზრისის გაბატონებას, რომ გამოწვეული მატერიალური ზიანი საკმარისი არ არის პირის დასჯისათვის. ამასთან ერთად აუცილებელი იყო იმის გამორკვევა, თუ რა სულიერმა განწყობამ განაპირობა კონკრეტული მოქმედება. ამ საკითხის წამოჭრა ნიშნავდა ძველი, ობიექტური საფეხურის დაძლევას და ახალი, სუბიექტური ბრალეულობის, სუბიექტური შერაცხადობის პრინციპის აღიარებას.

სისხლის სამართლის ცალკეულ საკითხებზე მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავდნენ ადგილობრივი, ქართული საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები. მაგალითად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103წ.) დადგენილებით აიკრძალა საეკლესიო ნივთების პირადი მოხმარება და ხელყოფა, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა ეოველგვარ გარყვნილებას, სოდომურ ცოდვებს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ „კათალიკოსთა სამართალი". ეს ძეგლი შეიცავდა კანონებს, რომლებიც მიიღო დასავლეთ საქართველოში XV საუკუნის შუა წლებში გამართულმა საეკლესიო კრებამ. ამ კრების უმთავრესი მიზეზი იყო დასავლეთ საქართველოში იმ ხანად გავრცელებული ისეთი უმძიმესი დანაშაულთან ბრძოლა, როგორიც იყო ჩვილ ბავშვთა და საერთოდ ადამიანთა მოტაცება და თურქეთში გაყიდვა. ამ დანაშაულმა რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ გენოფონდს.

ხსენებულ ძეგლებში ასახულია დანაშაულის ისეთი სახეები,როგორიცაა: მეფის ღალატი, მკვლელობა, კაცის მოტაცება და გაყიდვა, ქალწისის გატეხვა, ქურდობა, რძლის შერთვა და სხვ. აქვე დაწესებულია სასჯელის ისეთი სახეები, როგორებიცაა: სიკვდილით დასჯა, ხელის მოკვეთა, გაძევება, შენვენება და სხვ. ამ კანონმა, რომელმაც მკაცრად დაგმო ტყვის მოტაცება და გაყიდვა, პირდაპირ დააწესა, რომ ის, ვინც ყმას მოიტაცებდა, ვინც არ უნდა იყოს მომტაცებელი, უნდა ჩამოხრჩობილი ყოფილიყო.

ამ ხანის საკანონმდებლო ძეგლების ცალკე ჯგუფს შეადგენდა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ძეგლები. აქ უნდა მოვიხსენიოთ ბაგრატ კურაპალატის სამართალი,რომელიც საქართველოს გაერთიანების ხანას მიეკუთვნება (1027-1072 წ.წ.)ეს ძეგლი უპირატესად სისხლისსამართლებრივ ნორმებს შეიცავდა. მასში მოხსენიებული იყო მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, ძარცვა, ქურდობა, ხელო სასჯელთაგან – სიკვდილით დასჯა, დასახიჩრება, დატუსაღება,დამნაშავის გადაცემა დაზარალებულისათვის და სხვ.

XIV საუკუნის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალემ შეძლო საქართველოს გაერთიანება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თვალსაჩინო იყო ხელისუფლების უმოქმედობა და სრული ანარქია. ამის შედეგად თავს არიდებდნენ ლაშქარში წასვლას, ხდებოდა მასობრივი მკვლელობები, ქურდობა, ყაჩაღობა და ა.შ.

გიორგი V ასეთი საგანგაშო მდგომარეობის მიზეზად კანონიერების არქონა მიიჩნია. ამიტომ თბილისში გამართულმა საკანონმდებლო კრებამ მიიღო კანონი ანუ „ძეგლის დადება“. ეს ძეგლი უმთავრესად სისხლისსამართლებრივ ნორმებს შეიცავდა. მასში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დანაშაული და შესაბამისი სასჯელები : გაძევება,მამულის ჩამორთმევა, ჯარიმა, ფულადი გადასახადი, ბეგარა. კანონმა ქურდობა მძიმე დანაშაულად გამოაცხადა. მისთვის სასჯელად დაწესდა ნაქურდალის სამკერადი გადახდევინება.

ბექასა და აღბუღას კანონები შედგენილია XIII-XIV საუკუნეებში. მისი შემდგენელი არის ბექა I მანდატურთუხუცესი ჯაყელი (1-65 მუხლები) და აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარი. ეს ძეგლი უპირატესად სისხლისსამართლებრივ ნორმებს შეიცავს. მასში გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მკვლელობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის, ცილისწამების, ქალის მოტაცების, გაძარცვის, ქურდობის, მექრთამეობის და სხვა დანაშაულისათვის. სასჯელად დაწესებულია ნაქურდალის ანაზღაურება, მოპარულის ორმაგი გადახდევინება, გამასწორებელი სახდელები, გაძევება, დამნაშავის გადაცემა დაზარალებულისათვის სრულ განკარგულებაში მამულით,თანამდებობაზე ჩამოქვეითებით.

ფასდაუდებელია ღვაწლი ვახტანგ ბატონიშვილისა,თავისი ხანმოკლე გამგებლობის პერიოდში (1703-1711), დაუცხრომელი შემოქმედებით მოღვაწეობით მან დიდი ეროვნული საქმეები გააკეთა. ამ საქმეებიდან გამორჩეული ადგილი უკავია ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას კანონმდებლობის დარგში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შედგენილი იქნა ქართული სამართლის სამი დიდი ძეგლი: „დასტურლამალი“ „სამართლის წიგნის კრებული“ და „სამართალის წიგნთა კრებული ბატონიშვილს ვახტანგისა“.

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ სამართლის სხვა დარგებთან ერთად ითვალისწინებს ნორმებს სახელმწიფოსა და ეკლესიის მმართველობის წინაალმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ, ახასიათებს ბრალის ფორმები, აწესებენ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს, პასუხისმგებლობას 10 წლის ასაკიდან. იქვე ცალკეა გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, თანამონაწილეობა და მცდელობის საკითხები.

კანონმდებელი ანსხვავებს ბრალის ორ ფორმას: განზრახ დანაშაულს და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულს. ცალკეა ასახული ფაქტორები,რომელიც შემთხვევას გამოხატავს.

ვახტანგ VI სამართლის წიგნი დანაშაულის შინაგანი სუბიექტური ელემენტების დახასიათებისას არ კმაყოფილდება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განმარტებით. ამასთან ერთად მოიხსენიება ჩადენილი დანაშაულის მოტივიც. კანონმდებელმა კარგად იცის, რომ განსრახვას იწვევენ სხვადასხვა გრძნობები, რომ ადამიანი დანაშაულს ჩადის სხვადასხვა შინაგანი მიზეზების გამო. ამის გამო კანონმდებელი ავალებს მოსამართლეს გამოიკვლიოს, თუ რამ განაპირობა ესა თუ ის კონკრეტული დანაშაული.

ძველი ქართული სამართლისათვის ცნობილი იყო თანამონაწილეობის ინსტიტუტი. დანაშაულის ჩასადენად ურთიერთშეთანხმებას „შებრალება“ ეწოდებოდა. შესაბამისად თითოეულ მონაწილეს „თანამზრახველი“ ანუ „თანაგანზრახი“ ეწოდებოდა.

ძველი ქართული სისხლის სამართლით სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვა იყო მიჩნეული. იმდროინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა საჯარო ხასიათის სასჯელის სისტემას. ესენია: სიკვდილით დასჯა, ახო-მიღება, ექსორია და გაძევება, თავისუფლების აღკვეთა, გვემით სასჯელი, ქონების კონფისკაცია, მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევა.

ზოგიერთი დანაშაულისათვის დაწესებული იყო ქონებრივი სახდაური, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა დაზარალებულისა და მისი ნათესავებისათვის, აგრეთვე სასამართლოს სასარგებლოდ.

რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის დასაწყისისათვის დაიპყრო ქართული სამეფო-სამთავროები. ამის შედეგად საქართველოში რუსული კანონმდებლობა ამოქმედდა. მოქმედება შეწყვიტა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნმა. მოგვიანებით ამოქმედდა 1845 წლის დებულება სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ, ხოლო შემდეგ 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება.

2. 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. დაიწყო ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობა. თავდაპირველად მოქმედებდა ძველი, რუსული კანონმდებლობა. ამასთან, ერთად მიიღეს რიგი აქტებისა, რომლებიც უპირატესად ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად.

სამწუხაროდ, 1918 წელს დაფუძნებულმა საქართველოს დამოუკიდებლობამ მცირე ხანს (1921 წლის 25 თებერვლამდე) იარსება. რასაკვირველია, ასეთ მცირე ხანში სისხლის სამართლის კოდექსის შექმნა და დამტკიცება შეუძლებელი იყო.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთიდან შემოჭრილმა კომუნისტურმა სამხედრო ძალამ დაამხო. ოკუპაციის პირველი დღიდანვე საქართველოში ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს (რევკომს).

რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოს ძველი სასამართლო სისტემა ერთბაშად არ გაუქმებულა. სასამართლო სისტემის გაუქმება განხორციელდა ეტაპობრივად სამი დეკრეტით. საქართველოს 1921 წლის 3 აპრილის დებულებით შეიქმნა რევოლუციური ტრიბუნალები. ცალკე ჩამოაყალიბეს საგანგებო-საგამომძიებო კომისიები.

საკუთრივ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ 1921 წლის 5 მარტს მიღებული „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები". ამ აქტს საფუძვლად დაედო 1919 წლის „რსფსრ-ის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები". იგი რვა თავს შეიცავდა. ეს თავებია: 1. სისხლის სამართალი, 2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება. 3. დანაშაული და სასჯელი. 4. დანაშაულის განხორციელების სტადიები. 5. თანამონაწილეობა. 6. სასჯელის სახეები."სახელმძღვანელო დებულებებმა" ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსის შესამუშავებლად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული იქნა 1922 წლის 24 მაისს, ამოქმედდა 1922 წლის 1 ივლისს. იგი შედგებოდა ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. კოდექსი ეფუძნებოდა აშკარა კლასობრივ პოლიტიკას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ასე განისაზღვრებოდა: „დანაშაულად მიიჩნევა ყოველი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“. ამ კოდექსით ნებადართული იყო ანალოგიით კანონის გამოყენება. ამით სამართალგამომყენებელ ორგანოებს პრაქტიკულად განუსაზღვრელი უფლება ჰქონდათ მინიჭებული ნებისმიერი ქმედება დანაშაულად ეცნოთ და ასეთი ქმედების ჩამდენის მიმართ სასჯელიც შეეფარდებინათ.

1922 წლის მაშინდელი სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად გამოიცა რიგი სისხლის სამართლის კანონი. ესენია: სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წ. ძირითადი საწყისები; 1924 წლის დებულება სამხედრო დანაშაულის შესახებ; 1927 წლის დებულება სახელმწიფო კონტრრევოლუციის დანაშაულთა და მმართველობის საწინააღმდეგო განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა შესახებ.

ძირითად საწყისებში განსაზღვრული იყო იმდროინდელი კანონმდებლობის ამოცანები, ამ კანონმდებლობის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები. ამავე აქტით გამიჯნული იყო კომპეტენცია სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ძირითადი საწყისები უშვებდა ანალოგიით კანონის გამოყენებას, არ შეიცავდა ნორმას მხოლოდ კონკრეტული დანაშაულისათვის მსჯავრდების შესახებ. უფრო მეტიც, ძირითადი საწყისები უფლებას იძლეოდა გამოეყენებინათ გადასახლება და გასახლება არა მარტო კონკრეტული დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა მიმართ, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც საზოგადოებრივად საშიშად მიიჩნეოდნენ მოცემული ადგილის დანაშაულებრივ გარემოსთან კავშირის გამო.

ძირითადი საწყისების მიღების შემდეგ აუცილებელი გახდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაში მოეყვანათ საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან. საქართველოს სსრ ახალი სამართლის კოდექსი მიღებული იქნა 1928 წლის 28 მარტს, ხოლო ძალაში შევიდა იმავე წლის 1 მაისს. ამ კოდექსის ზოგად ნაწილში ასახულ დებულებებს საფუძვლად დაედო 1924 წლის

ძირითადი საწყისები. ამ აქტის ძირითადი დებულებების ნაწილი აისახა კოდექსში. იმავდროულად უფრო დაკონკრეტდა ძირითადი საწყისები, ზოგიერთი დებულება, ზოგიერთი კი დაემატა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში მოცემულია დანაშაულის ცნების განსაზღვრება, რაც ძირითად საწყისებში ასახული არ იყო. ეს ცნება ასეა განსაზღვრული: „საზოგადოებრივად საშიში ქმედებად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საბჭოთა წყობილებას ან ხელყოფს მართლწესრიგს, რაც დადგენილია მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წყობილებაზე გარდამავალი ხანის პერიოდისათვის“. ამრიგად, ამ განსაზღვრებაში თითქმის ტექსტუალურად არის ასახული საქართველოს სსრ 1922 წლის კოდექსში მოცემული დანაშაულის ცნების განსაზღვრება. გარდა ამისა, ისევ ნებადართული იყო ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის გამოყენება. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ისევ შეიცავდა მითითებას სისხლის სამართლის კლასობრივ საწყისებზე. იგი ხელისუფლებამ არასაკმარისად მკაცრად მიიჩნია. ამიტომ მისი მიღების შემდეგ მასში მრავალი ცვლილება თუ დამატება შეიტანეს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან უარყოფდნენ პირის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს და ამით კიდევ უფრო აფართოებდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცულობასა და მის ფარგლებს. 1934 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს მუხლი, რომლის მიხედვითაც სამშობლოს ღალატისათვის მსჯავრდებულის ოჯახის არასრულწლოვან წევრებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მასთან ერთად ცხოვრობდნენ, უნდა ჩამორთმეოდათ საარჩევნო ხმის უფლება და ხუთი წლით გაესახლებინათ ციმბირის შორეულ რაიონებში.

1934 წლის დადგენილებით „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული სათათბიროს შესახებ“ გათვალისწინებული იყო სასჯელი იმ პირთა მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივად საშიშად იქნებოდნენ ცნობილი, პატიმრობის გამოყენება ხუთ წლამდე ვადით შრომა-გასწორების ბანაკებში.

იმდროინდელმა სისხლის სამართალმა საბედისწერო როლი შეასრულა იმ ტრაგედიაში, რაც სოფლად კოლექტივიზაციასთან იყო დაკავშირებული. ამ მიმართულებით მოსახსენებელია 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვის და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ. ამ კანონის დარღვევისათვის მიუხედავად გატაცებულის ღირსებისა, გათვალისწინებული იყო დახვ-

რეტა ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებებში თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე. ამ კანონის რეპრესიულ ხასიათს პასუხობდა 1935 წლის 7 აპრილს მიღებული საკავშირო კანონი, რომლითაც ზოგიერთი დანაშაულისათვის, მათ შორის ქურდობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა 12 წლის ასაკიდან, თანაც არასრულწლოვანებზე გრცელდებოდა სისხლის სამართლით გათვალისწინებული ყველა სასჯელი, მათ შორის სიკვდილით დასჯა.

წინანდელ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შედარებით უფრო დემოკრატიული იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წ. საფუძვლები. საფუძვლებით ადარ იყო გათვალისწინებული ანალოგიით კანონის გამოყენება, კანონმდებელმა აღიარა დემოკრატიული პრინციპი „არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონში მითითებულად". საფუძვლებთან ერთად მიღებული იქნა კანონი „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და კანონი „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის შესახებ". ხსენებული კანონები ასახავდა დემოკრატიის დაწყებულ პროცესს. სისხლის სამართლის 1958 წლის საფუძვლების შესაბამისად მიიღეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მესამე კოდექსი. ეს კოდექსი სრულად შეესაბამება 1958 წლის საფუძვლებს, თუმცა მისმა შემდგენლებმა, ცნობილმა მეცნიერებმა პროფ. თ. წერეთელმა და ვ. მაყაშვილმა მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რათა კოდექსში ორგანული და ჰუმანური ნოველები შეეტანათ. ეს კი ცენტრის დიდ წინააღმდეგობას იწვევდა. იმ პერიოდში ვერ მოხერხდა ისეთი დებულებების შეტანა, რომლებიც ადამიანის დირსებისა და უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტების მოთხოვნების შესაბამისი იქნებოდა.

3. 1991 წლის 9 აპრილს ჩვენმა ხალხმა უდიდესი ენერგიის წყალობით შეძლო სანუკვარი ოცნების ხორცშესხმა ! მან ისევ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დღის წესრიგში დადგა დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების საკითხი. ეს კოდექსი უნდა შემუშავებულიყო არა საბჭოურ ხანაში მოქმედი კოდექსების ახალი რედაქციის სახით, არამედ როგორც პირველი და თავისთავადი სისხლის სამართლის პირველი კოდექსი. ამ კოდიფიკაციის პროცესში გადასაწყვეტი აღმოჩნდა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორებიცაა:

ა) იმ ფუნდამენტური პრინციპებისა და დებულებების განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულობასთან ბრძოლის საფუძველს.

ბ) იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრის დადგენა, რომლებიც დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული (კრიმინალიზაცია) და წარსულში დანაშაულად გამოცხადებული ზოგიერთი ქმედების ამორიცხვა დანაშაულის კატალოგიდან (დეკრიმინალიზაცია).

გ) დანაშაულთა დასჯადობის ხასიათისა და აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების პირობების დადგენა (პენალიზაცია და დეპენალიზაცია).

სწორედ მოხსენიებული პრობლემების გადაწყვეტის სულისკვეთებით მოქმედებდა საკოდიფიკაციო კომისია, რომლის დაძაბული შრომა დამთავრდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენით. იგი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს, ხოლო ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან.

წინამდებარე სახელმძღვანელო სწორედ ხსენებული კოდექსის მიხედვითაა შედგენილი.

VII თავი

დანაშაულის შემადგენლობა

§1. დანაშაულის შემადგენლობის ცნება და მნიშვნელობა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ქმედება რომ დანაშაულად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. სწორედ ამ ნიშნების არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ დანაშაული გავმიჯნოთ სხვა სამართალდარღვევისაგან, რომელიც არაა დანაშაული, მაგრამ ერთი დანაშაულის მეორისაგან განსასხვავებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას გათვალისწინებულია თუ არა ჩადენილი ქმედება კოდექსის შესაბამისი მუხლით. უპირველეს ყოვლისა, სწორედ აქ წამოიჭრება დანაშაულის შემადგენლობის საკითხი იმის შესახებ, ვთქვათ, ჩადენილია ქურდობა თუ გაუპატიურება, ძარცვა თუ ხულიგნობა.

სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის შემადგენლობას განსაზღვრავენ როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ მოცემულ ქმედებას როგორც კონკრეტულ დანაშაულს. დანაშაულის შემადგენლობის ცნება მოიცავს ოთხ ჯგუფის ნიშანს, რომელთაც ეწოდება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები. ესენია: ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

1. დანაშაულის ობიექტია სისხლის სამართლის კანონით დაცული სიკეთე, ინტერესი, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიაყენებს ან შეიძლება მიაყენოს ზიანი. როგორც ვნახეთ, სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში კანონმდებელი არ მიუთითებს ობიექტზე. იგი განისაზღვრება მოცემული ნორმის ადგილით სისხლის სამართლის სხვა ნორმათა სისტემის ან მისი შინაარსის ლოგიკური, აზრობრივი ანალიზის საშუალებით. დასასრულ, ობიექტი შეიძლება დადგინდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სახელწოდებით. ზოგჯერ დანაშაულის ობიექტი სისხლის სამართლის კანონის განმარტებით დგინდება. დანაშაულის ცალკეული შემადგენლობის შექმნით კანონმდებელი მიზნად ისახავს სავსებით განსაზღვრული სიკეთის, ინტერესის დაცვას. სისხლის სამართლის კოდექსის

კერძო ნაწილის მუხლებით დაცულია ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი, ოჯახისა და არასრულწლოვანის ინტერესები. ასევე დაცულია საკუთრება, სახელგადებრივი უშიშროება და წესრიგი, გარემო, კონსტიტუციური წყობილება, უშიშროება და ა.შ.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობას ორი ობიექტი აქვს. მაგალითად, სსკ-ის 179-ე მუხლით ქალაღობის ობიექტს წარმოადგენს როგორც საკუთრება, ისე ადამიანი.

ასეთი შემადგენლობებისაგან უნდა განვასხვავოთ შემადგენლობები, რომელთაც ალტერნატიულად ორი ან მეტი ობიექტი აქვთ. ასე მაგალითად, 307-ე მუხლით სახელმწიფო ღალატის ობიექტი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საგარეო უშიშროება, თავდაცვისუნარიანობა, კონსტიტუციური წყობილება და ა.შ.

2. დანაშაულის ობიექტური მხარე შეიცავს ქმედების გარეგან დახასიათებას, რაც გამოიხატება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სამართალსაწინააღმდეგო ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში), რომელიც ზიანს აყენებს დანაშაულის ობიექტს ან ქმნის მისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს. სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დანაშაულის ობიექტურ მხარეს, უპირველეს ყოვლისა. შემადგენლობის ძირითად ბირთვს, ქმედებას, რომლის გარშემო თავმოყრილია შემადგენლობის დანარჩენი ნიშნები. საერთოდ კი ობიექტურ მხარეს, გარდა მოქმედებისა, უმოქმედობისა და შედეგისა, მიეკუთვნება აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება და იარაღი, მისი ჩადენის დრო და ვითარება.

3. დანაშაულის სუბიექტია როგორც ფიზიკური შერაცხადი, ასევე იურიდიული პირი. მითითებას დანაშაულის სუბიექტზე შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი. კერძო ნაწილში არაფერია ნათქვამი დანაშაულის სუბიექტზე. ამიტომ იგულისხმება, რომ შესაბამისი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს იმ პირმა, რომელსაც ზოგადად ახასიათებს დანაშაულის სუბიექტის ნიშნები. ამასთან ერთად, ზოგიერთი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრული თვისებებით აღჭურვილი პირი. ასეთია სამოხელეო დანაშაული, რომლის ამსრულებლის ნიშნების შესახებ მითითებულია 332-ე მუხლში, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე ანდა კიდევ, სახელმწიფო ღალატი (სსკ-ის 3.2-ე მუხლი)

შეიძლება ჩაიდინოს საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა.

რასაკვირველია, ამდაგვარ დანაშაულობებში თანამონაწილე შეიძლება იყოს ის პირიც, რომელსაც ამხრულებლისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნები არ ახასიათებს.

4. განსხვავებით ობიექტური მხარისაგან, დანაშაულის სუბიექტური მხარე შეიცავს ნიშნებს, რომლებიც ასახავენ დანაშაულის შინაგან შინაარსს. ესენია ბრალის ფორმები [1] განზრახვა და გაუფრთხილებლობა. გარდა ამისა, ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს მითითებას განსაზღვრულ მიზანზე. ასე მაგალითად, ტერორისტული აქტის აუცილებელი ნიშანია მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზანი (მუხ. 323-ე მუხლის პირველი ნაწილი). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმას, ხსენებული დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს პოლიტიკურ მოტივს ან საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მიზანს. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს განსაზღვრული მოტივი ანუ შინაგანი მამოძრავებელი ფსიქიკური მიზეზი. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, მკვლელობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ანგარება. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ასახულია, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში. ამასთან ერთად, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება ყველა ან მრავალი დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე კარში გათვალისწინებულია ნორმები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დანაშაულის კატეგორიების შესახებ, მეშვიდე კარში ასახულია ნორმები დანაშაულის ამხრულებლობასა და დანაშაულში თანამონაწილეთა შესახებ, მეცხრე კარი შეიცავს ნორმებს ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ.

§2. დანაშაულის შემადგენლობის სახეები

დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება დაიყოს საშიშროების მიხედვით. ასეთი დაყოფისას საფუძვლად ედებულობენ სელექციის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. კანონმდებელი ერთ ან რამდენიმე ნიშანს საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს და ამისდა მიხედვით განასხვავებენ დანაშაულის შემადგენლობის სამ სახეს: ა) დანაშაულის შემადგენლობის მარტივი ანუ ძირითადი სახე. ასეთი შემადგენლობა არ ითვალისწინებს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. კანონმდებელი ამდაგვარ შემადგენლობას ჩვეულებრივად ასახავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლში ან მუხლის ნაწილში. ასეთია, მაგალითად, ამ კოდექსის 108-ე მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე; ბ) დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიციური სახე ანუ შემადგენლობა დამამძიმებელი გარემოებებით. ასეთია, მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლი. ამ მუხლით გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; გ) დანაშაულის შემადგენლობა შემამსუბუქებელი გარემოებით. ეს არის შემადგენლობა ისეთი გარემოებით, რომელიც წარმოადგენს საფუძველს საკანონმდებლო წესით სასჯელის ზომის მნიშვნელოვანი შემცირებისათვის, ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებულ სასჯელთან შედარებით. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე მკვლელობის ნაღუნისათვის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით სასჯელით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. იმავე დანაშაულის ნაღუნა აუცილებელი მოგვრიების ფარგლების გადაცილებით სსკ-ის 113-ე მუხლით იწვევს სასჯელის მკვეთრ შემცირებას, კერძოდ, გამასწორებელი სამუშაოს ვადით ორ წლამდე და თავისუფლების შეზღუდვას სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე. ამ დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობას შემამსუბუქებელი გარემოებებით.

დანაშაულის შემადგენლობები მათი სტრუქტურის მიხედვით იყოფა მარტივ და რთულ ანუ შენადგენ შემადგენლობებად. მარტივი შემადგენლობა პირველად ადგენს ქმედების დანაშაულებრიობას. მოცემული შემადგენლობის გარეშე შესაბამისი ქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება. სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე შენადგენ დანაშა-

ულში. შენადგენი დანაშაული გვაქვს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედება ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვა, მესამე ერთიან დანაშაულს ქმნის. ამდაგვარი დანაშაულის მაგალითია: ყაჩაღობა, ყაჩაღობის შემადგენლობა მოიცავს ორი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობას. ესენია: 1) პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა და 2) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ლიტერატურაში[1] რთული დანაშაულის სახელებად აგრეთვე ასახელებენ ალტერნატიულ შემადგენლობასა და კუმულაციურ შემადგენლობას. ალტერნატიული შემადგენლობა ხასიათდება იმით, რომ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისია კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ნიშნის არსებობა. საამისო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რომლითაც პასუხისმგებლობა დაწესებულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგიის ან პრეკურსორის უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაგზავნის ან გასალებისათვის. საკმარისია, თუ სუბიექტი ერთ-ერთ ამ მოქმედებას ჩაიდენს.

კუმულაციური შემადგენლობის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 117-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელსაც შეიძლება გაუფრთხილებლობით მოჰყვეს დაზარალებულის სიკვდილი.

§3. დანაშაულის შემადგენლობის აღწერილობითი და შეფასებითი ნიშნები

ყოველი დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს ცალკეულ ნიშნებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის განსაზღვრული ტიპის დანაშაულებრივ ქმედებას.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად კატეგორიად: აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად. აღწერილობითი ისეთ ნიშნებს ეწოდება, რომლებიც დანაშაულის ფაქტობრივ მხარეს აღწერენ, რომლებიც, მაშასადამე, დროსა და სივრცეში არსებობენ და შეიძლება აღქმული იქნენ გრძნობების მეშვეობით. ეს ნიშნები ჩვეულებრივად მიზეზობრივად არიან დაკავშირებული ქმედებასთან. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, ადამიანის სიკვდილი მკვლე-

[1] ის. მაგ: ო. წერეთელი,გ. ტუღუშელიაძე,მოძღვრება დანაშაულზე,თბ.,1998,გვ. 121.

ლობის დროს, ქონების დაზიანება ქონების დაზიანების შემადგენლობაში. არსებობს შემადგენლობის ისეთი ნიშნებიც, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული ქმედებასთან, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს ეკუთვნიან, ე.ი. ჩვენი გრძნობების მეშვეობით აღიქმებიან. ასეთია, მაგალითად, ნიშანი „ნივთი“ ქონების ხელყოფის შემადგენლობაში, ქალის „ორსულობა“ ორსული ქალის მკვლელობის შემადგენლობაში და ა.შ.

აღწერილობითი ნიშნების მიმართ მოსამართლეს ევალება მხოლოდ დაადგინოს, ნამდვილად არსებობს თუ არა ეს ნიშანი. მაგალითად, ნამდვილად გატაცებულია თუ არა ქონება ან მოკლულია თუ არა ადამიანი, ნამდვილად იყო თუ არა ორსულად ქალი და სხვ.

აღწერილობითი ნიშნებისაგან განსხვავებით შეფასებითია ისეთი ნიშნები, რომლებიც არ შეიძლება აღქმული იქნეს ჩვენი გრძნობების მეშვეობით და რომელი არსების დადგენა შეიძლება მხოლოდ ნორმის შემფარდებლის შეფასებითი მსჯელობის მეშვეობით, ე.ი. აზრის გარკვეული ოპერაციის შედეგად ანუ „გონების თვალით“. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, ნიშანი „სხვისი“ სსკ-ის 145-ე მუხლში, ნიშანი „განსაკუთრებული სისასტიკით“ სსკ-ის 109-ე მუხლში (განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), ნიშანი „გარეგნილი ქმედება“ (სსკ-ის 141-ე მუხლში) და ა.შ.“სხვისი“ შეიძლება დადგინდეს იმ სამართლებრივი ნორმების მეშვეობით, რომლებიც აწესრიგებენ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საკითხი – ნადენილია თუ არა მკვლელობა „განსაკუთრებული სისასტიკით“ არის თუ არა ქმედება „გარეგნილი“ – ყოველივე ეს შეიძლება დადგინდეს ხნეობის თვალსაზრისით შეფასების მეშვეობით.

როგორც ამ მცირე მაგალითით ჩანს, დანაშაულის შემადგენლობის „შეფასებითი“ ნიშნები ნაკლებად ზუსტი, ნაკლებად განსაზღვრულია. ამიტომ მათი დადგენა არ ხდება მათი არსებობის უბრალო კონსტანციის მეშვეობით, არამედ მოსამართლეს უხდება გარკვეული ნორმებით (სამართლებრივი თუ ხნეობრივი) ან ეკონომიკური თუ სხვაგვარი კრიტერიუმების მოშველიება მათი არსებობის გასარკვევად. მაშასადამე, ამ ნიშნების დადგენისას მოსამართლის მიხედულებას ეროგვარი გასაქანი ეძლევა. ამიტომ კანონმდებელს ასეთი ნიშნები მხოლოდ მაშინ შეაქვს დანაშაულის შემადგენლობაში, როცა შემადგენლობის დახასიათება წმინდა აღწერილობითი ნიშნებით შეუძლებელია ან მეტად ძნელია.

ხაზგარეთ დანაშაულის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის ხშირად მერეობს. ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება აღწერილობითიც იყოს და შეფასებითიც. ამის მაგალითია სიტყვა „დოკუმენ-

ტი". ისეთი ნიშნები, როგორებიცაა ქალალდის შტამპი, ხელმოწერა, შეიძლება აღქმული იქნან გრძნობების მეშვეობით, ხოლო დოკუმენტის ის თვისება, რომ მას შეუძლია ფაქტების დადასტურება, აღიქმება მხოლოდ გონების თვალით.

§4. დანაშაულის კვალიფიკაცია

დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა ერთ-ერთი რთული პრობლემაა სისხლის სამართალში. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება გამოძიებისა და სასამართლო განხილვისათვის.

ტერმინი „კვალიფიკაცია" წარმოსდგება ლათინური ცნებებისაგან: „ქუალის – ხარისხი და ფაციო – კეთება. ჩვენს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ეს ნიშნავს რაიმე მოვლენის, პროცესის ხარისხობრივ შეფასებას, მისი არსებითი ნიშნების გარკვევას სხვა ისეთ მოვლენებთან შედარებით, რომელთა სოციალური მნიშვნელობა უკვე ცნობილია. დანაშაულის კვალიფიკაცია ნიშნავს ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი ნიშნებისა და სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნის ზუსტი შესაბამისობის დადგენას.

დანაშაულის კვალიფიკაცია ქოველთვის არის ფაქტობრივი გარემოებების სისხლისსამართლებრივი შეფასება. ფაქტობრივი გარემოებების სწორი და ამომწურავი დადგენა სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი პირობაა. თითოეულ დანაშაულს თან ახლავს სულ სხვადასხვა გარემოებანი. ამ გარემოებებიდან ყველას რიდი აქვს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც იმავდროულად შესაბამისი შემადგენლობის ნიშნებს წარმოადგენენ.

დანაშაულის კვალიფიკაციის ცნების ძირითადი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ სწორედ იგი წარმოადგენს ობიექტური ფაქტის არსებობის ობიექტურ დადასტურებას, სწორედ ეს ქმნის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობას. სწორი ობიექტური კვალიფიკაციის წინამძღვრებია:

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებების ზუსტი და ამომწურავი დადგენა;

2. მათი პროცესიულად ღრმა შესწავლა;

3. იმ საჭარაუდო ნორმების დადგენა, რომელთა მოქმედების არეში ეძცევა ჩადენილი ქმედება;

4. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებში მითითებული დანაშაულის ნიშნების შედარება ჩადენილი ქმედების ნიშნებთან;

5. მომიჯნავე დანაშაულთა შემადგენლობების ერთმანეთისაგან განსხვავების დადგენა.

6. სწორი დასკვნის გაკეთება და მისი ასახვა პროცესუალურ დოკუმენტში, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, ამავე დოკუმენტში დადგენილი ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე. საამისო პირობების არსებობისას მითითება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლზე. (დაუმთავრებელი დანაშაული, თანამონაწილეობა, დანაშაულის სიმრავლე და სხვ). ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის ნიშნების ზუსტ სამართლებრივ შეფასებას.

VIII თავი

დანაშაულის ობიექტი

დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა ან შეიძლება მიადგეს ზიანი.

დანაშაულის ობიექტის ნიშნებია:

1. დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე ან პირის ინტერესი, რომლითაც იგი მონაწილეობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, დ.-მ. ჟ-ს მოჰპარა ავტომანქანა. დანაშაულის ობიექტი არის ჟ-ს საკუთრების უფლება ავტომანქანაზე. მკვლელობის დროს დანაშაულის ობიექტია ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, სიცოცხლე და არა ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელშიც მონაწილეობს ადამიანი. ამიტომ დანაშაულის ობიექტის ტრადიციული განმარტება, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ობიექტად ითვლება სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობა, არ შეიძლება ყოვლისმომცველად ჩაითვალოს.

დანაშაულის ობიექტად ჩაითვლება მხოლოდ ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად ადგება ზიანი ანუ იგი არის სისხლის სამართლის დაცვის ობიექტი. ერთი და იგივე სიკეთე ხელყოფის ხასიათისა და საშიშროების შესაბამისად შეიძლება სამართლის სხვადასხვა დარგით იყოს დაცული. მაგალითად, სამოქალაქო სამართალი საკუთრებას იცავს ნაკლებად საშიში ხელყოფისაგან (სესხებისას ფულის დაუბრუნებლობა), ხოლო სისხლის სამართალი საკუთრებას იცავს ყოველგვარი დანაშაულებრივი (სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული) ხელყოფისაგან (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი და ა.შ.).

2. დანაშაულის ობიექტად ჩაითვლება სამართლებრივი სიკეთე, იმისდა მიუხედავად მიადგა თუ არა მას ზიანი, მთავარია, რომ მის მიმართ განხორციელდეს დანაშაულებრივი ხელყოფა. მაგალითად, დაუმთავრებელი მკვლელობის დროს, მართალია, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არ ხდება, მაგრამ მის მიმართ ხორციელდება დანაშაულებრივი ხელყოფა და ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს მკვლელობის მცდელობის ან მომზადების ობიექტს. იგივე შეიძლება ითქვას ფორმალური და კონკრეტული საფრთხის დანაშაულის შემადგენლობაზე, როცა დანაშაული დამთავრებულად ითვლება არა უშუალოდ შედეგ-

ის (ზიანის) დადგომიდან, არამედ ქმედების განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.

3. დანაშაულის ობიექტი ქმედების ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. არ არსებობს არც ერთი დანაშაული (მკვლელობა, ბანდიტიზმი, საბოტაჟი და ა.შ.), რომელსაც არ ჰქონდეს ხელყოფის უშუალო ობიექტი.

დანაშაულის ობიექტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციისათვის. დანაშაულის გვარეობითი ობიექტი არის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემის აგების ძირითადი საფუძველი.

დანაშაულის ობიექტის სწორი დადგენით შესაძლებელი ხდება დანაშაულის გამიჯვნა სხვა სახის სამართალდარღვევებისაგან თუ ამორალური ქცევისაგან.

დანაშაულის ობიექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციისათვის, რათა ერთი დანაშაული გაყმიჯნოთ მეორისაგან და სწორად გადავწყვიტოთ პასუხისმგებლობის საკითხი, მაგალითად, ნივთის დაზიანება ან განადგურება შეიძლება გავმიჯნოთ საბოტაჟისაგან. თუ ნივთის დაზიანების ან განადგურების დროს დანაშაულის ძირითადი ობიექტია სხვისი საკუთრება, საბოტაჟის დროს დანაშაულის ობიექტი არის სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ტრადიციულად ერთმანეთისაგან გამიჯნავენ დანაშაულის ობიექტის შემდეგ სახეებს: ზოგადი, გვარეობითი, სახეობითი და უშუალო ობიექტი.

დანაშაულის ზოგადი ობიექტი არის იმ საკეთოთა (ინტერესთა) ერთობლიობა, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. სისხლის სამართლის ახალი კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა წინამორბედისაგან განსხვავებით ახლებურადაა აგებული. ჯერ დაცულია ადამიანის ინტერესები (სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით იწყება), შემდეგ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები (წინათ მოქმედ კოდექსში პრიორიტეტული იყო მიწნეული სახელმწიფოს ინტერესები). ამრიგად, დანაშაულის ზოგადი ობიექტი არის ის საკეთო, რომლის ნაწილობრივი ხელყოფა მაინც ხორციელდება ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის დროს.

დანაშაულის გვარეობითი (სპეციალური) ობიექტი არის ზოგადი ობიექტის ნაწილი, ერთგვაროვან საკეთოთა (ინტერესთა) ერთობლიობა, რომელსაც ხელყოფს ერთგვაროვან დანაშაულთა ჯგუფი. დანაშა-

ულის გვარეობითი ობიექტი არის სისხლის სამართლის კოდექსის კარებად დაყოფის საფუძველი.

დანაშაულის სახეობითი ობიექტი ‹ არის ერთგვაროვანი სიკეთის (ინტერესის) ცალკეული მხარეები,რომელსაც ხელყოფს დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს.

დანაშაულის სახეობითი ობიექტის ცალკე გამოყოფა განპირობებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კარების თავებად დაყოფით. სწორედ დანაშაულის სახეობითი ობიექტი არის სსკ-ის თავებად დაყოფის საფუძველი, მაგალითად, დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ,დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

იმ შემთხვევაში, თუკი სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კარი შედგება მხოლოდ ერთი თავისაგან დანაშაულის გვარეობითი და სახეობითი ობიექტი ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად კარი X ‹ დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესის წინააღმდეგ. თავი XXXVI. დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ.

დანაშაულის უშუალო ობიექტი ‹ ეს არის ის სიკეთე, რასაც ხელყოფს კონკრეტული დანაშაული. დანაშაულის უშუალო ობიექტი ყველა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ელემენტია. სწორედ უშუალო ობიექტის მიხედვით ხდება დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია,მისი გამიჯვნა სხვა დანაშაულისაგან.

დანაშაულის უშუალო ობიექტი ასევე შეიძლება იყოს ძირითადი და დამატებითი. ეს ეხება ე.წ. ორობიექტიან დანაშაულებს, რომლებიც ერთდროულად ხელყოფენ ორ სიკეთეს. მაგალითად, ყაჩაღობისას ძირითადი ობიექტია საკუთრება (ვინაიდან ყაჩაღობა სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კარშია გათვალისწინებული,ხოლო დამატებითი ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

დამატებითი ობიექტი კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს აუცილებელი (სავალდებულო) და ფაკულტატური. მაგალითად, იგივე ყაჩაღობის დროს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა აუცილებელ დამატებით ობიექტს წარმოადგენს, რადგან ყაჩაღური თავდასხმა არ არსებობს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ან ასეთის მუქარის გარეშე. ხოლო თუ დამატებითი ობიექტი კანონში მითითებულია არა სავალდებულო, არამედ ალტერნატიული ფორმით, მაშინ სახეზეა ფაკულტატური დამატებითი ობიექტი. მაგალითად, გამოძალვის დროს ფაკულტატური (დამატებითი) ობიექტია ადამიანის პატივი და ღირსება ან სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

4. დანაშაულის საგანი ‒ არის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მატერიალური ნივთი, რომელზეც ზემოქმედების გზითაც დამნაშავე ხელყოფს დანაშაულის ობიექტს.

მაგალითად, ტელეფონის ქანაღური თავდახსმით დაუფლებისას ტელეფონი არის დანაშაულის საგანი, ხოლო ობიექტი არის სხვისი საკუთრების უფლება ტელეფონზე.

დანაშაულის საგანი ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში იგი უშუალოდ გავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საგნის მომეტებული საფრთხიდან გამომდინარე კვალიფიცირდება სსკ-ის 237-ე მუხლით, როგორც საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არა, როგორც ქურდობა. ზოგიერთ დანაშაულს საგანი საერთოდ არ გააჩნია, მაგალითად, გაუპატიურებას, ცილისწამებას, დეზერტირობას.

ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის საგნის მიხედვით მძიმდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, საბაჟო წესის დარღვევისას შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიული ნივთიერებების უკანონო გადატანა ან გადმოტანა განიხილება, როგორც კვალიფიცური შემადგენლობა.

ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისას პირი ზიანს (მორალურს, ფიზიკურს, ქონებრივს) აყენებს პიროვნებას და მას დანაშაულის მსხვერპლი ეწოდება. მსხვერპლის პიროვნების შესწავლას ახორციელებს ვიქტიმოლოგია ‒ რომორც კრიმინოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება (ვიქტიმოლოგია ‒ არის მოძღვრება მსხვერპლის შესახებ). ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში, მსხვერპლს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მკვლელობისას და გაუპატიურებისას ხელყოფა მცირეწლოვანზე განიხილება, როგორც დამამძიმებელი გარემოება. 16 წელს მიუღწეველთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კონტაქტიც დანაშაულად არის მიჩნეული და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ხშირად დანაშაულის მსხვერპლის მიერ ხდება დანაშაულის პროვოცირება. ასეთი ქმედება კვალიფიცირდება როგორც დანაშაულის პრივილეგირებული შემადგენლობა. მაგალითად, ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობისას აფექტის წარმოშობის მიზეზი შეიძლება იყოს მსხვერპლის მხრიდან დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება. ზოგიერთ შემთხვევაში

კი მსხვერპლის პიროვნებას განიხილავენ როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას. მაგალითად, დანაშაულის ნადენა არასრულწლოვანის მიმართ დანაშაულის ნადენა ორსული ქალის მიმართ.

დანაშაულის საგნისაგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულის იარაღი და საშუალება, ასევე ის საგნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნან დანაშაულის ნადენის საშუალებად. დანაშაულის ნადენის იარაღი და საშუალება ეს არის ის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც პირი ნაიდენს დანაშაულს და ზემოქმედებს დანაშაულის საგანზე. მაგალითად, ძალაყინის (იარაღი) მეშვეობით პირმა გატეხა მანქანა (საგანი). ერთი და იგივე საგანი შეიძლება იყოს როგორც დანაშაულის ნადენის იარაღი, ასევე დანაშაულის საგანი. მაგალითად, მკვლელობისას რევოლვერი არის დანაშაულის იარაღი, ხოლო ქურდობისას დანაშაულის საგანი.

IX თავი

დანაშაულის ობიექტური მხარე

§1. დანაშაულის ობიექტური მხარის ცნება და მნიშვნელობა

საზოგადოდ ადამიანის ქცევა და კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედება მრავალი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნით ხასიათდება. ეს ნიშნები ახასიათებს დანაშაულის ობიექტურ მხარეს. ეს ნიშნებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, დანაშაულის ხელის ხერხი, იარაღი და საშუალება, ადგილი, დრო და ვითარება.

დანაშაულის ობიექტური მხარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი და თანაც მნიშვნელოვანი წანამძღვარია. საქართველოს სისხლის სამართალი დანაშაულად მიიჩნევს ადამიანის არა იდეებსა და აზრებს, არამედ ამ კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.

დამნაშავის ზრახვებისა და მიზნების, დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმია დანაშაულის ობიექტური მხარე. სწორედ ამის გამო სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან სასამართლო განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ადგენენ დანაშაულის ობიექტურ მხარეს, ხოლო დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნების დაუდგენლად არ წარმოიშობა სუბიექტური მხარის საკითხი, რადგან მეორე არ არსებობს პირველის გარეშე. დანაშაულის ობიექტური მხარე მტკიცე საფუძველს ქმნის თვითნებობისა და სუბიექტურობის აღსაკვეთად საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების საქმიანობაში.

დანაშაულის ობიექტური მხარე განსაკუთრებით სრულადაა ახახული სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორიცაა ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა ასეა განსაზღვრული საქართველოს სსკ-ის 142-ე მუხლში: „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ადმსრულებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელ-

ყო ადამიანის უფლება". ობიექტური მხარის ქვედა ნიშანს არა აქვს თანაბარი მნიშვნელობა. ქვედა დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა). დანარჩენ ნიშნებს ფაკულტატური მნიშვნელობა აქვთ. ე.ი. ზოგიერთი შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანია, ხოლო ზოგი კი არა. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ადგილს მნიშვნელობა არა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, თუ ამის შესახებ მითითებული არ არის სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, მაგრამ დანაშაულის ჩადენის ადგილის დადგენა აუცილებელია, მაგალითად მუ-300 მუხლით (თევზის ან წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმთა უკანონოდ მოპოვება). სხვა დამატებითი ნიშნები, რომლებიც ისინი გათვალისწინებული არ არის მოცემული სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, სათვალავში მიიღება სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს. ამასთან ერთად მათ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვთ.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი დაყოფილია ცალ-ცალკე კარებად (სპეციალური) ობიექტის მიხედვით, ამ ნიშნით ცალკე კარად გათვალისწინებული დანაშაულთა შემადგენლობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. საქმე ისაა, რომ სწორედ ობიექტური მხარის ნიშნების დადგენა ჩვეულებრივად ხელს უწყობს შესაბამისი დანაშაულის სპეციფიკური საშიშროების დადგენას.

დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნები შესაძლებლობას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ არა მარტო სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციებში ასახული სხვადასხვა ქმედებანი, არამედ დანაშაულის შემადგენლობა და ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვა სამართალდარღვევები. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლი ითვალისწინებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. თუ ასეთ ქმედებას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზიანი, მაშინ ასეთი ბოროტად გამოყენება არ ითვლება დანაშაულად და მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

§2. მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა)

1. ადამიანის კონკრეტული ქმედება ის ძირითადი ნიშანია, ურომლისოდაც არ არსებობს დანაშაული და ამიტომ გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადამიანი ისჯება მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის და ამის შესაბამისად ქმედება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებით პირობას და ამ პასუხისმგებლობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ნიშანს.

დანაშაულებრივი ქმედების ასეთი მნიშვნელობის გამო სისხლის სამართალში დამკვიდრდა დანაშაულებრივი ქმედების ისეთი ცნება, რომელიც მოიცავს დანაშაულის ყველა სახესა და გამოვლინებას, იქნება ეს დადებითი მოქმედება თუ მოქმედებისაგან თავის შეკავება, როგორც განზრახი ქმედება, ისე გაუფრთხილებლობითი, როგორც დაუმთავრებელი, ისე დამთავრებული დანაშაული და ა.შ.

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედების ასეთი საერთო ცნება არის ქმედება როგორც ადამიანის შეგნებული და მიზანდასახული ქცევა. სამართლებრივი ნორმები ადამიანებს მიმართავენ და მათგან მოითხოვენ ნორმის შესაბამის ქცევას. სამართლის ნორმის ადრესატია ადამიანი, როგორც ცნობიერი არსება. მას მოეთხოვება, რომ თავისი ქცევა მართლწესრიგის მოთხოვნების მიხედვით წარმართოს. აქედან გამომდინარეობს, რომ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ადამიანის არა ყოველგვარ მოქმედებას, არამედ მხოლოდ მის შეგნებულ, მიზანდასახულ ქცევას. ასეთი ქცევის ჩადენისას ადამიანი გვევლინება გონიერ არსებად, რომელსაც ძალუძს აღიქვას და განახორციელოს მართლწესრიგის მოთხოვნები.

სწორედ შეგნების მომენტის წყალობით კავშირი გარე სიტუაციის იმპულსებთან უშუალო კი არ არის, არამედ გაშუალებულია შეგნების მომენტით. ადამიანში წარმოშობილი აქტუალური მოთხოვნილება ნებელობითი აქტის დროს უშუალოდ არ გადადის მოძრაობაში.“ნებისყოფა მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას სხვა წყაროებში პოულობს და არა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უშუალო იმპულსში. ნებელობითი აქტის ჩადენის დროს ადამიანი ჯერ შეიგნებს ამ მოთხოვნილებას, განსაზღვრავს თავისი მოქმედების მიზანს, დახარავს გზებს მის მისაღწევად, შეაფასებს ამ გზებს და ბოლოს მოქმედებს ამ შეფასების შედეგების შესაბამისად. გარესამყაროს მოვლენები ადამიანზე უშუალოდ კი არ მოქმედებენ, არამედ მოტივად გარდაქმნილ წარმოდგენათა მეშვეობით. ადამიანი აფასებს ამ მოტივებს, შეგნებულად

აწონ-დაწონის მას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს"[1].

ადამიანს შეუძლია ნებელობითი ქცევის საშუალებით დაუსხლტეს უშუალო სტუაციის ზეგავლენას და თავისი მოქმედება დაუმორჩილოს საზოგადოებრივი ნორმის მოთხოვნებს. ამდენად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს მის ნებელობით ქცევას. აქედან გამომდინარეობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაუკავშირდეს რეფლექტორულ მოქმედებას, რომელიც ადამიანის ცნობიერი კონტროლის გარეშე ხორციელდება. ასევე გამორიცხულია ნებელობითი მოქმედება დაუძლეველი ძალის დროს (ე.წ. Vis absoluta). ასეთ შემთხვევაში ადამიანი ისეთ სხეულებრივ მოძრაობას ასრულებს, როდესაც იგი გარეგანი ძალის უნებისყოფო იარაღია.

სხვაგვარად წყდება საკითხი ფსიქიკური ძალადობის დროს (ვის ცთომულიწა). აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მაძულებელი უშუალოდ კი არ ზემოქმედებს სუბიექტზე, არამედ ფსიქიკური მუქარის საშუალებით მაიძულებელი განაპირობებს იმას, რომ ეს სუბიექტი მისთვის სასურველი მიმართულებით მოქმედებდეს.

მართებულად შენიშნავს პროფ. თ. წერეთელი, რომ ფსიქიკური იძულება არ გამორიცხავს მოქმედების ნებელობით ხასიათს, არამედ ქმნის უძლიერეს მოტივს გარკვეული მოქმედების სასარგებლოდ. ამავე პირს მაინც რჩება შესაძლებლობა უძლიერეს მოტივს (შიშის სახით) დაუპირისპირეთ სხვა მოტივი – ვთქვათ მოვალეობის გრძნობა და ამის გამო არ ჩაიდინოს მოქმედება. ფსიქიკური ძალადობის ზეგავლენით ნებისყოფის მომენტი აბსოლუტურად გამორიცხული არ არის, თუმცა მოტივაციის პროცესი შეზღუდულია."ამიტომ თუ ფსიქიკური ძალადობით ჩადენილმა მოქმედებამ უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე დააზიანა, ვიდრე ის სიკეთე, რომელსაც მოძალადე ემუქრებოდა, ასეთ შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობის არარსებობის გამო, პირი არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.[2]

რასაკვირველია, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური იძულება სუბიექტს არ უხსნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ სასჯელის დანიშვნისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი მოქმედება წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო აქტიურ ქცევას.

---

[1] თ. წერეთელი, ა. ბეჟანიშვილი, მოძღვრება დანაშაულზე. თბ. 1969. გვ. 167

[2] თ. წერეთელი, ა. ბეჟანიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 174

ცნობილია, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს არა მარტო მოქმედებას, არამედ უმოქმედობას.

საქმე ისაა, რომ განსახღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავება ისევე შეიძლება იყოს ნებელობითი იმპულსის გამოვლინება, როგორც დადებითი მოქმედება, უფრო მეტიც, პირველმა შეიძლება ნებელობითი ენერგიის მოტივებით უფრო დიდი ძალისხმევა მოითხოვოს, ვიდრე პირველმა.

უმოქმედობა არ გულისხმობს სრულ აბსოლუტურ უმოქმედობას, არამედ გულისხმობს თავის შეკავებას განსახღვრული მოქმედებისაგან, რაშიც შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილება, არამედ იმავდროულად წარმოადგენდეს ზემოქმედებას ობიექტურ ვითარებაზე. ასეთ შემთხვევაში იქმნება პირობები განსახღვრული შედეგის მისაღწევად. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ფიზიკური აზრით პირი მოქმედებდა აქტიურად, მაგრამ იმავდროულად არ შეასრულა განსახღვრული მოვალეობები და ამით დაარღვია სისხლისსამართლებრივი აკრძალვა. აქ საქმე გვაქვს სისხლისსამართლებრივ უმოქმედობასთან. მაგალითად, პირი მოწმის სახით უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე სასამართლოში (საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლი) და იმავდროულად თავის ბოსტანში მუშაობს. ფიზიკური აზრით იგი მოქმედებს, მაგრამ სისხლისსამართლებრივად პირი უმოქმედობით თავს არიდებს მოწმედ სასამართლოში გამოცხადებას.

საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „უმოქმედობა იმ შემთხვევაში ნაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, რომელსაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და საჭიროებულია და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული“.

მოტანილი საკანონმდებლო დებულებიდან ნათელია, რომ უმოქმედობა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად მაშინ, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა უმოქმედა და შეეძლო კიდეც შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

პირის მოქმედების მოვალეობა შეიძლება პირობადებული იყოს სხვადასხვა საფუძვლით: ა) კანონით (მაგალითად, არასრულწლოვანი შვილისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება. ამ მოვალეობის ჯეროვნად თავის არიდებისათვის პირი ისჯება საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხ-

ლით. ბ) სამსახურებრივი ან პროფესიული მდგომარეობით (მაგალითად, რკინიგზის მეიხრის მოვალეობით დროულად გადაიყვანოს ისარი ანდა ექიმის მოვალეობით დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს); გ) წინა მოქმედებით, რომელმაც შექმნა მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა (მძღოლი, რომელმაც თუნდაც ბრალის გარეშე გადაურა ქვეითად მოსიარულეს, მოვალეა აღმოუჩინოს მას დახმარება). უმოქმედობა არ წარმოადგენს ნებელობით აქტს, თუ პირს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემოქმედა (მაგალითად რკინიგზის მეიხრე ბოროტმოქმედებმა გაითოკეს და ამიტომ მან ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი მოვალეობა).

§3. დანაშაულის შედეგი

ადამიანის ქცევის ცნება უნდა განვასხვავოთ შედეგისაგან. ადამიანის ქცევა გამოიხატება გარემომცველ ობიექტურ გარესამყაროზე ზემოქმედებაში. ქცევა, მოქმედება სრულდება იმ მიზნით, რომ განსაზღვრული ცვლილებები შეიტანოს ობიექტში. შედეგად ითვლება გარესამყაროში ადამიანის მოქმედებით გამოწვეული ცვლილება.

სისხლის სამართალში შედეგი არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც სპეციალურად აღნიშნულია სისხლის სამართლის ნორმით დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი.[1] დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: მატერიალური და არამატერიალური. თავის მხრივ მატერიალური შედეგი იყოფა ქონებრივი ხასიათის შედეგად (მაგალითად, ქონების გატაცება, განადგურება, დაზიანება და ა.შ.) და ზიანის მიყენება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის დაზიანება და სხვა). მეორე, არამატერიალური შედეგი მდგომარეობს საწარმო-დაწესებულებათა ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში (სამოხელეო დანაშაული, მმართველობის საწინააღმდეგო დანაშაული, ხულიგნობა და სხვა) და მოქალაქის პატივისა და ღირსების, მისი არაქონებრივი უფლებების ხელყოფაში.

დანაშაულის ობიექტში ქმედებით გამოწვეული მავნე ცვლილებების მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული

[1] ფართო და ვიწრო მნიშვნელობის დანაშაულის შედეგის შესახებ იხ: ო. წერეთელი-ა. ბურდული-ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 197-200.

მუხლების დისპოზიცია დანაშაულის ობიექტური მხარე ორგვარად ყალიბდება. ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონით დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნევა ქმედება კანონში მითითებული შედეგების დადგომისას. ასეთ დანაშაულს უწოდებენ დანაშაულს მატერიალური შემადგენლობით. კანონმდებელი მატერიალური, შედეგიანი დანაშაულის კონსტრუქციას მაშინაც მიმართავს, როდესაც ობიექტისათვის ზიანის მიყენება დაკავშირებულია დანაშაულის საგანზე ზემოქმედებასთან, რაც შეიძლება აღქმული იქნეს ადამიანის გრძნობების მეშვეობით. ასეთია, მაგალითად, ხელყოფის დაზიანება, ქონების განადგურება, მითვისება და ა.შ. ასეთი დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც განხორციელდა შესაბამისი სისხლის სამართლით გათვალისწინებული ცვლილება.

მატერიალური შედეგით დანაშაულს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შემადგენლობები, რომლებიც დამთავრებულად ითვლებიან ზიანის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.

ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონით დანაშაული დამთავრებულად ითვლება აკრძალული ქმედების ჩადენისთანავე და არ მიუთითებს შემდგომ შედეგებზე, როგორც მის აუცილებელ ელემენტზე. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (განსაცდელში მიტოვება). დამთავრებულად ითვლება, დამოუკიდებლად იმისა, ავად გახდა თუ გარდაიცვალა დაზარალებული, ან გადაარჩინეს. აქ შედეგი შემადგენლობის გარეთაა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება განსაცდელში მიტოვების გამო. ასეთ დანაშაულს სისხლის სამართლში უწოდებენ ფორმალურ დანაშაულს.

ფორმალურ, შედეგგარეშე შემადგენლობებს კანონმდებელი მაშინ აყალიბებს, როდესაც:

ა) შედეგი გარდუვალად ხორციელდება განსაზღვრული მოქმედების შესრულებასთან ერთად და ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა შეუძლებელია. ასეთია, მაგალითად თავისუფლების უკანონო აღკვეთა, დეზერტირობა;

ბ) როდესაც განსაზღვრულმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დანაშაულებრივი შედეგები და ამის გამო მათი კონკრეტიზაცია კანონში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული;

გ) კანონით დასაცავი სიკეთე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი შეუძლებლად თვლის დანაშაულის დამთავრება ნამდვილი ზიანის დადგენას დაუკავშიროს. ამგვარი დანაშაულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ბანდი-

ტიზმი. ბანდიტიზმი დამთავრებულად ითვლება თავად შეიარაღებული ჯგუფის შექმნის მომენტიდან. შედეგიანი დანაშაულის და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დანაშაულის დროს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მიზეზობრივი კავშირის საკითხს. შედეგი მხოლოდ მაშინ შეერაცხება პირს, როდესაც მისი გამომწვევი მიზეზი მისი მოქმედება ან უმოქმედობა იყო.

§4. მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი მატერიალური დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია. მის გარეშე შეუძლებელია პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ეს იმას ნიშნავს, რომ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი აუცილებლად მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს პირის მიერ ჩადენილ ქმედებასთან.

მიზეზობრივი კავშირის პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ეს პრობლემა საგანგებოდ გამოიკვლია პროფ. თ. წერეთელმა.[1] ჩვენ უპირველესად სწორედ მის შეხედულებებს შევეხებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უცხოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ყველაზე მეტად პოპულარულია როგორც მეცნიერებაში ისე სასამართლო პრაქტიკაში ორი თეორია: პირველი – ეს არის ეკვივალენტობის ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია და მეორე – ადეკვატური თეორია.

ეკვივალენტობის თეორიის წარმომადგენელთა აზრით მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის ყოველთვის არსებობს, რადგანაც ეს მოქმედება ამ შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო. მათ ყველა წინა პირობა თანაბარმნიშვნელოვან პირობად მიაჩნიათ. სწორედ ეს თეზისია მიუღებელი. იგი არ იძლევა შესაძლებლობას ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ დანაშაულის მომზადება და მცდელობა. საქმე ისაა, რომ თუ შედეგის წარმოშობის ყველა პირობა თანაბარ როლს ასრულებს, მაშინ არავითარი საფუძველი არ არსებობს ობიექტურად მეტი ობიექტური მნიშვნელობა მივანიჭოთ მოქმედებას, რომლითაც იწყება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება, ვიდრე მოსამზადებელ მოქმედებას. ხსენებული თეორიით შეუძლებელია ობიექტური ნიშნის მიხედვით ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს თანამონაწილენი.

---

[1] იხ.: **Перетели Т.В.** Причинная связ в уголовном праве. М., 1963.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ყველა პირობა მიზეზობრიობის თვალსაზრისით თანასწორუფლებიანია, მაშინ მიზეზობრივი კავშირი არ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ ქმედების დასჯადობის დროს. გამოდის, რომ დასჯადობა დამოკიდებული ყოფილა მხოლოდ პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძველზე.

მიზეზობრიობის ადეკვატური თეორიის მიხედვით პირობათა ტოლფასოვნება მართებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე კონკრეტულ მიზეზობრივ კავშირს შეეხება, მაგრამ ამ თეორიის მიმდევართა აზრით, კონკრეტული მიზეზობრივი კავშირი მიუღებელია, რადგან იგი მეტად აფართოებს პასუხისმგებლობას და არ იძლევა საქმის სამართლიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას. მეცნიერებამ განსზე უნდა დატოვოს მიზეზობრიობის ფილოსოფიური გაგება, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ მიზეზობრიობასთან და უნდა გამოიყენოს აბსტრაქტული მიზეზობრივი კავშირი, რომელიც სამართლის განმახოგადებელ ტენდენციას შეესაბამება.

ნათელვყოთ ამ თეორიის გამოყენების უმართლობა ბრალეული პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. დამნაშავემ თავისი ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად ისარგებლა მხოლოდ მისთვის ცნობილი ინდივიდუალური გარემოებებით და ისეთი საშუალება გამოიყენა, რომელიც სახოგადოდ ხელს არ უწყობს შედეგის განხორციელებას. მაგალითად, დამნაშავემ იცის, რომ დაზარალებულმა თავის ტვინის დაავადება გადაიტანა. ამან კი გამოიწვია თავის ტვინის ისეთი დაავადება, რომ საკმარისია მსუბუქი დარტყმა თავში და იგი მოკვდება. ბოროტმოქმედმა რომელმაც იცის ეს, თავში მსუბუქად ჩაარტყამს ხიბუხს და მოკლავს კაცს.

ადეკვატური თეორიის თვალსაზრისით მოტანილ მაგალითში უარყოფილი უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირი ბოროტმოქმედის მოქმედებასა და ადამიანის სიკვდილს შორის. თუ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, მაშინ არც ბრალის საკითხი წარმოიშობა და, მაშასადამე, ბოროტმოქმედი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. როგორც დავრწმუნდით თუ მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობა არაადეკვატური იყო, მაშინ ამ თეორიას არ ძალუძს პასუხისმგებლობის დასაბუთება.

საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურასა და ასევე სასამართლო პრაქტიკით კარგა ხანია შესამჩნევი გახდა მიზეზობრივი კავშირი ცნების შეზღუდვის ტენდენცია. ამ ტენდენციის დამადასტურებელია მიზეზობრიობის ცნების შეზღუდვა „აუცილებელი“ ან „პირდაპირი“ თუ უშუალო მიზეზობრივი კავშირით. მიზეზობრივ კავშირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის გადაჭარბებული

მნიშვნელობა ეძლევა. მიზეზობრივი კავშირის საშუალებით ცდილობენ მიიღონ სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება, მაგრამ საქმე ისაა, რომ მხოლოდ მიზეზობრიობით არ შეიძლება გადაწყდეს ხისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ჩვენ დასაბუთებულად მიგვაჩნია პროფ. თ. წერეთლის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თუ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ე.ი. თუ მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო მართლსაწინააღმდეგო შედეგის წარმოშობას, ეს საკმარისია ვცნოთ მიზეზობრივი კავშირის არსებობა ადამიანის ქმედებასა და შედეგს შორის. სწორედ ეს თვალსაზრისია ასახული საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილში: „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“.

პროფ. თ. წერეთელი თავს არ არიდებს იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ როგორ უნდა დადგინდეს, რომ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა იყო? მისი აზრით, ადამიანის ქცევა მაშინ უნდა ჩაითვალოს ასეთი შედეგის აუცილებელ პირობად, როდესაც ქმედების გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა. იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა შედეგი ...,შეიძლება გამოვიყენოთ ქმედების აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი, ე.ი. ჩვენს წარმოდგენაში დავუშვათ, რომ ეს ქმედება ადამიანს არ ჩაუდენია. თუ ასეთი აზრობრივი გამოთიშვისას აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც დადგებოდა, თანაც დადგებოდა სწორედ იმ დროს და იმ სახით, როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედება არ ყოფილა მიზეზობრივ კავშირში შედეგით, ხოლო, პირიქით, თუ აღმოჩნდება, რომ მოქმედების არარსებობის შემთხვევაში შედეგი ან სრულიად არ დადგებოდა ან სხვა დროს თუ სხვა წესით დადგებოდა, ვიდრე იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანის მოქმედება იყო სახიფათოდ საშიში შედეგის აუცილებელი პირობა“[1].

ნათელია, ზოგჯერ იმის დადგენა, განხორციელდებოდა თუ არა შედეგი ადამიანი ქმედების გარეშე, ერთობ კი ძნელია. გამოძიების ორგანო და სასამართლო ასეთ შემთხვევაში მიმართავს ექსპერტს, რომ-

[1] იხ. თ. წერეთელი,გ. ტყეშელიაძე. დასახ. ნაშრ.,გვ. 266.

ელსაც სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მეოხებით შეუძლია პასუხი გასცეს საძიებელ კითხვაზე.

§5. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, საშუალება, იარაღი, ხერხი

ამ პარაგრაფის სათაურში მოხსენიებული ნიშნები დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიეკუთვნება. მათი მნიშვნელობა ბევრადაა დამოკიდებული შესაბამისი კანონის დისპოზიციის სტრუქტურაზე.

დანაშაულის ჩადენის ადგილი ეს არის განსაზღვრული ტერიტორია, სადაც იქნა ჩადენილი დანაშაული. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის მე-300 მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში, განსაკუთრებული ეკონომიკურ ზონაში ან შიდა წყლებში.

დანაშაულის ჩადენის დრო [1] ეს არის დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც შეიძლება ჩადენილი იქნეს დანაშაული. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 163-ე მუხლით ისჯება საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა. ეს დანაშაული გულისხმობს ამ ქმედების ჩადენას არჩევნებისას ან რეფერენდუმის ჩატარებისას.

ნათელია, რომ კანონით გათვალისწინებული ამდაგვარ შემთხვევებში ქმედების ჩადენის დრო შესაბამისი დანაშაულის ნიშნებს წარმოადგენენ.

დანაშაულის ჩადენის ვითარება [1] ეს არის ის ობიექტური პირობები, რომელთა არსებობისას ხდება დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის ჩადენის ვითარებამ შეიძლება უშუალოდ იმოქმედოს ქმედების საშიშროებაზე. მაგალითად, სსკ-ის 410-ე მუხლის პირველი ნაწილით დაჭრავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან სამხარ მოქმედებაში მკაცრ სასჯელს იწვევს. აქ სასჯელის გამკაცრებაზე იმოქმედა შექმნილმა ვითარებამ, ამ შემთხვევაში კონფლიქტმა, სამხარმა მოქმედებამ. სსკ-ის მეცამეტე კარში, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულს სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული, თუ შესაბამისი დანაშაული ომის დროს ან საბრძოლო ვითარებაშია ჩადენილი. დანაშაულის ჩადენის საშუალება და იარაღი ამძიმებს პასუხისმგებლობას. მათმა გამოყენებამ შეიძლება უფრო საშიში გახადოს ქმედების საშიშროება. ზოგჯერ მას კანონმდებელი

სწორედ ამის გამო ცალკე გამოყოფს და გაძლიერებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისშეტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის.

დასასრულ, კანონმდებელი ითვალისწინებს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებსაც დამნაშავე იყენებს დანაშაულის ჩასადენად. საზოგადოდ, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ჩადენის ხერხი სხვადასხვაგვარადაა ასახული. ზოგჯერ კანონმდებელი მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ერთ ხერხზე, ზოგჯერ ჩამოთვლილია დანაშაულის ჩადენის რამდენიმე ან სანიმუშო ხერხები. ხდება ისეც, რომ დანაშაულად ითვლება მისი ნებისმიერი ხერხით ჩადენა.

X თავი

დანაშაულის სუბიექტური მხარე

§1. დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნება და მნიშვნელობა

დანაშაულებრივი ქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმ ობიექტური პროცესების მხრივ განიხილება, რომლებიც პირის ნებით იქნა გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს იმ კავშირის დადგენა, რომელიც პირის ნებელობით ქცევასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს, იმისდა მიუხედავად ითვალისწინებდა თუ არა იგი ამ ქმედების დანაშაულებრივ ანდა შეეძლო თუ არა გაეთვალისწინებინა ეს შედეგები.

დანაშაულებრივი ქმედება გარდა მოხსენებული ობიექტური პროცესებისა, განიხილება მოქმედი პირის ნების შინაარსის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში გამოსარკვევია იმ წარმოდგენებისა და ემოციების შინაარსი, რომლებიც თან ერთვის ნების გარეგან გამოვლინებას ანუ აქ იგულისხმება ის პროცესები, რომლებიც პირის ფსიქიკაში მიმდინარეობს.

ადამიანის ფსიქიკა წარმოადგენს მისი ცხოვრების შინაგან შინაარსს, მის აზრებს, გრძნობებს, განსრახვას, ნებელობას. ფსიქოლოგიაში ფსიქიკურ პროცესებს ჩვეულებრივად შემდეგნაირად ყოფენ: ინტელექტუალური (შემეცნებითი), ემოციური და ნებელობითი. ნათელია, ასეთ დაყოფას პირობითი ხასიათი აქვს. ეს პროცესები ერთმანეთთან ორგანულ კავშირში არიან. სწორედ ამ ერთიანობას ასახავს ადამიანის ფსიქიკა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარის შინაარსი და მნიშვნელობა ფსიქიკის მოხსენიებული ელემენტების ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს.

რასაკვირველია, დანაშაულის სუბიექტური მხარის შემადგენელი ნიშანი თავისებურად ასახავს დანაშაულის ფსიქიკურ შინაარსს. როგორც განსრახი ისე გაუფრთხილებლობითი ბრალის განსაზღვრებისას სათვალავში მიღება ფსიქიკის ორი ელემენტი – ინტელექტუალური და ნებელობითი. ბრალის ფორმების განსაზღვრისას არ მიუთითებენ ფსიქიკური პროცესების ემოციურ შინაარსზე. ზოგჯერ დამნაშავის ემოციური მდგომარეობა (მაგალითად, აფექტი, ანუ პირის ძლიერი ემოცია, გათვალისწინებულია ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში. მაგალითად, ასეთია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

111-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – განზრახ მკვლელობა უკიცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. დანაშაულის მიზნის შინაარსი ამოიწურება ინტელექტითა და ნებელობით.

სწორედ ქმედების სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნები ქმნის საფუძველს ბრალეული პასუხისმგებლობისათვის. ბრალის გარეშე არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან ერთად, ბრალის ცნება შეიცავს არა მარტო შესაბამის ფსიქიკურ ნიშნებს (ბრალის აღწერილობითი მომენტი) არამედ პირის შეფასების ანუ გაკიცხვის მომენტს (ნორმატიული მომენტი). ამ ორი მომენტის სინთეზის საფუძველზე ბრალის ცნება შეიძლება ასე განისაზღვროს: ბრალი არის პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და მისი შედეგისადმი.

როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კანონი შეიცავს ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტებს. ამ მომენტების შინაარსისა და თანაფარდობის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ განზრახ დანაშაულსა და გაუფრთხილებლობით დანაშაულს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები). თავის მხრივ განზრახ დანაშაული იყოფა ორ სახედ – პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა, ხოლო გაუფრთხილებლობას ასევე ორი სახე აქვს: თვითმყოფობა და დაუდევრობა.

ბრალის ფორმებად დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ბრალის ფორმა ნათელყოფს ქმედების საშიშროების ხარისხს და შესაძლებელს ხდის დანაშაულებრივი ქმედების გამიჯვნას არადანაშაულებრივი ქმედებისაგან. მაგალითად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ კანონმდებელმა დანაშაულად მიიჩნიოს ქმედება, რომელიც განზრახი ბრალით ხასიათდება. ამდაგვარი ქმედება, რომელიც გაუფრთხილებლობით იქნება ჩადენილი, დანაშაულად არ ჩაითვლება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის, გულისხმობს მხოლოდ განზრახ ბრალს. ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ბრალის ფორმას კანონმდებელი ითვალისწინებს დანაშაულთა კლასიფიკაციისას. მაგალითად გაუფრთხილებლობითი დანაშაული არ შეიძლება მიეკუთვნოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჯგუფს (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი). საყვალავში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ბრალის ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

§2. განზრახვა და მისი სახეები

განზრახვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი. ხსენებული მუხლის მეორე ნაწილში პირდაპირი განზრახვა ასეა განსაზღვრული: „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას“.

ამრიგად, კანონმდებელი პირდაპირი განზრახვის განსაზღვრისათვის, ისე როგორც ბრალის სხვა ნაირსახეობისათვის, იყენებს ფსიქიკის ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს. სახელდობრ, ეს ელემენტები ასეა ჩამოყალიბებული:

1) პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება;

2) მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობა ანდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა;

3) მათი განხორციელების სურვილი.

პირველი ორი ნიშანი ახასიათებს სუბიექტის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს და შეადგენს პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტს.

მესამე ნიშანი, რომელიც გამოიხატება შედეგის სურვილში, შეადგენს პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტს.

პირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენისას ინტელექტუალური მომენტი გამოიხატება იმაში, რომ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ითვალისწინებს მისი მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას ან გარდუვალობას. მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება ნიშნავს იმას, რომ იგი ითვალისწინებს ამ ქმედებას როგორც ფაქტობრივ ისე მის სოციალურ ხასიათს.

მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინება ნიშნავს იმას, რომ პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, რაც უნდა მოჰყვეს მის მიერ ჩადენილ ქმედებას.

კანონის შესაბამისად პირდაპირი განზრახვისას გაცნობიერებას შეიძლება ორი განსხვავებული ხასიათი ჰქონდეს – პირი შეიძლება ითვალისწინებდეს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების ან შესაძლებლობას ან გარდუვალობას. შედეგის განხორციელების აუცილებლობას პირი ითვალისწინებს მაშინ, როცა მისი აზრით იყენებს

აბსოლუტურად საიმედო საშუალებას, ვთქვათ მსხვერპლის ორგანიზმში შეჰყავს ისეთი საწამლავი, რომელმაც, როგორც ოვითონ ფიქრობს, უცილობლად უნდა მოკლას ადამიანი. ასეთ შემთხვევაში სუბიექტის ცნობიერება გამორიცხავს რაიმე ისეთ გარემოებას, რომელიც შეუძლებელს გახდის სასურველ შედეგს.

თუ მართლაწინააღმდეგო შედეგის მიმართ ყოველთვის საკმარისია მისი განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინება, შემადგენლობის სხვა ნიშნების მიმართ ხოგჯერ საჭიროა პირმა დანამდვილებით იცოდეს ამ ნიშნების არსებობა. მაგალითად, იმისათვის, რომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით „დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობისათვის“, საჭიროა იგი დარწმუნებული იყოს ქალის ორსულობაში.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა ისეა აგებული, რომ კანონში მითითებულია მხოლოდ მოქმედება (უმოქმედობა) და მითითებულია მხოლოდ ის თვისებები, რომლებიც მას დანაშაულებრივ ხასიათს აძლევენ, ხოლო შედეგის შემდგომი განხორციელება ამ დანაშაულის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს. ასეთი დანაშაულის განზრახ ჩადენისას პირის წარმოდგენა უნდა გრცელდებოდეს თავად ქმედებაზე და კანონში მითითებულ მის თვისებებზე და არა შედეგზე, რომელიც მას შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლში გათვალისწინებული ცრუ დასმენის ობიექტური მხარე აღწერილია როგორც დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა. ამ დანაშაულისათვის საკმარისია თავად ფაქტი ცრუ დასმენისა და მისთვის საჭირო არ არის ზიანის მიყენება მართლმსაჯულების ან დაზარალებულის პირადი ინტერესისათვის, ანდა ასეთი ინტერესის დაზიანების რეალური საშიშროების შექმნა. მთავარია, თავად სუბიექტს გაცნობიერებული ჰქონდეს დასმენის ცრუ ხასიათი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის არა მარტო ფაქტობრივი გარემოებანი, არამედ შეფასებითი ნიშნები. რა თქმა უნდა, შეუძლებელია დამნაშავეს ზუსტად ჰქონდეს გაცნობიერებული შეფასებითი ნიშნის სრული შინაარსი. ამიტომ განზრახვის არსებობისათვის საკმარისია უფრო შეზღუდული წარმოდგენა ასეთი ელემენტის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი განასხვავებს განზრახვის ორ სახეს: პირდაპირსა და ევენტუალურს. განზრახვის ამ ორ უმნიშვნელოვანეს სახეს კანონი განსაზღვრავს – ინტელექტუალურ და ნებელობით ნიშნებზე მიუნიშნებს.

პირდაპირი განზრახვის ნებელობითი მომენტი ხასიათდება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების სურვილით. შედეგისადმი ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შედეგის განხორციელება სუბიექტის უშუალო მიზანს წარმოადგენს. მაგალითად, იგი შურისძიების მოტივით ცეცხლს წაუკიდებს მტრის სახლს.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება სუბიექტის უშუალო მიზანს არ წარმოადგენს. ამის მიუხედავად ასეთი ქმედება მაინც პირდაპირ განზრახვას მიეკუთვნება. მართალია, ასეთ შემთხვევაში სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას არა აქვს ისეთი მკვეთრად გამოხატული ემოციური ხასიათი, როგორც პირველ შემთხვევაში, გარკვეული შედეგის განხორციელებას იგი მიიჩნევს რომელიც საშუალებას იმ ძირითადი მიზნის მისაღწევად. საამისო მაგალითად, შეიძლება ასეთი დანაშაული მოვიტანოთ: პირს სურს თავი გაითავისუფლოს ალიმენტის გადახდისაგან, ამის გამო მან მოკლა შვილი, თუმცა იგი, რასაკვირველია, ამჯობინებდა შვილი ბუნებრივი სიკვდილით დაღუპულიყო და არა მისი ხელით.

პირდაპირ განზრახვად ჩაითვლება აგრეთვე სუბიექტის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება თანამდევ შედეგთან, თუკი ეს შედეგი მის წარმოდგენაში განუყოფლადაა დაკავშირებული მის მიერ უშუალოდ ნასურვებ შედეგთან. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი ითვალისწინებს, რომ მის ქმედებას უცილობლად მოჰყვება თანამდევი შედეგი. ვინაიდან ეს თანამდევი შედეგი განუყრელადაა დაკავშირებული დამნაშავის მიერ დასახულ მიზანთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს დამნაშავის ისეთ ნებელობასთან, რომელიც ერთობლივობად მოიცავს დამდგარ შედეგს, რომლის განხორციელება მას გარდაუვლად მიაჩნდა. ვთქვათ, პირი განიზრახავს სახლის გადაწვას. პირის ნება აქ მოიცავს ამ მოქმედებასთან განუხრელად დაკავშირებულ შედეგს | იქ მყოფ იმ პირთა დაღუპვას, რომელთაც არ შეუძლიათ თავის გადარჩენა, ძვირფასი ნივთების დაღუპვას და ა.შ. ცხადია ეს თანამდევი შედეგი მხედველობაში მიიღება ნებელობითი გადაწყვეტილებით და ამიტომ მოცულია პირდაპირი განზრახვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არაპირდაპირია განზრახვის ის სახე, როდესაც პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვა მსგავსია პირდაპირი განზრახვისა ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, კერძოდ იმით, რომ აქაც კანონით აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება. მაგრამ, ინტელექტუალური ელემენტის მეორე ნიშნის – მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის მიხედვით არაპირდაპირი განზრახვა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირდაპირი განზრახვის შესაბამისი ნიშნისაგან. უპირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი განზრახვისას გამორიცხულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების აუცილებლობის გაოვალისწინება, რადგანაც ასეთი გაოვალისწინება წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დამახასიათებელ ნიშანს. საგულისხმოა ისიც, რომ თუ პირდაპირი განზრახვისას სუბიექტი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ალბათობის უფრო მაღალ ხარისხს, არაპირდაპირი განზრახვისას ითვალისწინებს უფრო მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ალბათობით მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელებას. მაგალითად, სუბიექტმა გადაწვა თავისი მეგობრის სახლი. იგი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ითვალისწინებდა დიდი მატერიალური ზიანის მიყენებას. იგი ვერ შეაჩერა იმან, რომ სახლში იმყოფებოდა სახლის მეპატრონის მოხუცი დედა. მოცემულ შემთხვევაში ეს პირი უშვებდა დედის სიკვდილს, მაგრამ იმავდროულად უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ამ მოხუც ქალს შეეძლო თავი გადაერჩინა. იგი დაიღუპა, მისი სიკვდილის მიმართ ეს სუბიექტი არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა.

კანონი არ ითვალისწინებს განსხვავებულ სასჯელს პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით. მოქმედი პირისათვის. ამის მიუხედავად განზრახი ბრალის ამ ორი სახის გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ხოგჯერ ქმედების შეფასება სხვადასხვანაირია იმის მიხედვით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა პირი თუ ევენტუალური განზრახვით. საქმე ისაა, რომ ხოგიერთი ქმედება შეიძლება სადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირ განზრახვით, რადგან ასეთია თავად ჩადენილი დანაშაულის ბუნება და იმიტომ, რომ კანონის რედაქცია ითვალისწინებს შესაბამისი ქმედების პირდაპირი განზრახვით ჩადენას. მაგალითად თუ კანონში მითითებულია ქმედების მიზანზე, ასეთი დანაშაული ევენტუალური განზრახვით არ შეიძლება ჩადენილი იქნეს. ავტორთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადება და მცდელობა არ შეიძლება.

ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი შეიძლება სხვადასხვა მიზნით მოქმედებდეს, ეს მიზანი შეიძლება ან მართლზომიერი იყოს, ან დანაშაულებრივი. თუ მიზანი დანაშაულებრივია, ასეთ შემთხვევაში

საქმე გვექნება ორი სახის განზრახვის კომბინაციასთან: პირდაპირი განზრახვისა იმ ძირითადი დანაშაულებრივი შედეგის მიმართ, რომლის განხორციელებაც სურს დამნაშავეს და ევენტუალური განზრახვისა, რომლის განხორციელებასაც უშვებს იგი. მაგალითად, შურისძიების მოტივით პირი თავს ესხმის თავის მეზობელს ოთახში, სადაც ბევრი ხალხია. იგი ითვალისწინებს, რომ შეიძლება ტყვია სხვასაც მოახვედროს, ასეთ შედეგს შეგნებულად უშვებს. ასეთი შედეგი მართლაც განხორციელდა და გარეშე პირი მართლაც დაიჭრა. ეს თანამდევი შედეგი ჩაითვლება ევენტუალური განზრახვის ნადენილ მკვლელობად, ხოლო მეზობლის მკვლელობა პირდაპირი განზრახვით ნადენილ მკვლელობად.

ევენტუალური განზრახვის ძირითადი ნიშანია ის, რომ პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებლობა გულისხმობს სხვადასხვა შინაარსის ფსიქიკურ დამოკიდებულებას. ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოვლინებაა ის შემთხვევა, როდესაც პირი შეგნებულად უშვებს თანამდევ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რადგან ერიგდება მისი დადგომის შესაძლებლობას. ე-მ გააუპატიურა უგრძნობლად მთვრალი მ., შემდეგ გაიტანა ოთახიდან და დააგდო იატაკზე დერეფანში, სადაც 24 გრადუსიანი ყინვა იყო. დაზარალებული სხეულის გაყინვისაგან გარდაიცვალა. სასამართლომ ამ საქმის განხილვისას მიუთითა, რომ როდესაც ე-მ დაზარალებული უგრძნობ მდგომარეობაში ცივ დერეფანში დატოვა, იგი შეგნებულად უშვებდა მისი სიკვდილის შესაძლებლობას.

ევენტუალური განზრახვით ნადენილ ქმედებად ჩაითვლება ის შემთხვევაც, როდესაც პირი გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ასეთ შემთხვევაში იგი ინდეფერენტულია მოსალოდნელი შედეგის მიმართ.

ამგვარად, ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირის ფსიქიკური მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ იგი ითვალისწინებს თავის ქმედების მართლწინააღმდეგობას, ითვალისწინებს ასეთი შედეგის შესაძლებლობას ანუ კანონის სიტყვებით „შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“.

კანონმდებელი იყარგლება განზრახვის მხოლოდ ორ სახეზე პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვაზე მითითებით, მაგრამ სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია განზრახვის სხვა სახეებიც. სახელდობრ, ესენია წინასწარ მოფიქრებული განზრახვა და უეცრად წარმოშობილი განზრახვა.

წინასწარ მოფიქრებული განზრახვა არსებობს მაშინ, როცა პირი მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში ფიქრობდა დანაშაულის შესახებ, ასევე წინასწარ ფიქრობდა დანაშაულის განხორციელებაზე,

ამუშავებდა დანაშაულის ჩადენის გეგმას, ხერხებს (დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, იარაღი, საშუალებანი და ა.შ.). ამდაგვარი განზრახვა წარმოშობისთანავე არ ხორციელდება. რასაკვირველია ბევრ შემთხვევაში წინასწარ მოფიქრებული განზრახვა უფრო საშიშია, კიდრე უცრად წარმოშობილი განზრახვა. ამასთან ერთად წინასწარ მოფიქრებული განზრახვა შეიძლება მოწმობდეს პირის გაუბედაობას, შინაგან სულიერ განცდებს. შეიძლება საპირისპირო შემთხვევაც იყოს, როდესაც პირი ყოველგვარი შეყოვნების გარეშე მომენტალურად ჩაიდენს დანაშაულს. საამისო მაგალითად მოვიყვანოთ ის შემთხვევა, როდესაც დაზარალებული უარს ეუბნება დამნაშავეს მისცეს ამ უკანასკნელს მოსაწევად პაპიროსი. საპასუხოდ დამნაშავე კლავს დაზარალებულს. სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა განიხილება ხულიგნური ქცევაგრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობად (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მხოლოდ ორ შემთხვევაში მიიჩნევს უცრად წარმოშობილ განზრახ ჩადენილ დანაშაულს ნაკლებად საშიშად. მხედველობაშია გვაქვს აფექტში ჩადენილი მკვლელობა. ასე, უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა, აგრეთვე ასეთივე მდგომარეობაში ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე და 121-ე მუხლებით გაცილებით უფრო ნაკლებ სახჯელს ოწვევს.

ზემოთ დახასიათებული განზრახვის სახეები განზრახვის წარმოშობის მხედვითაა კლასიფიცირებული. ცალკე გამოყოფენ განსაზღვრულ და განუსაზღვრელ, არაკონკრეტიზებულ განზრახვას. პირველ შემთხვევაში პირი უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელსაც ნათლად და საკმაოდ მკაფიოდ ითვალისწინებს. ამასთან განსაზღვრული განზრახვა შეიძლება იყოს მარტივი, როდესაც პირი ითვალისწინებს ერთი განსაზღვრული შედეგის დადგომას და ალტერნატიული, როდესაც იგი ითვალისწინებს ორი ან მეტი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას. მაგალითად, მკვლელი მოქმედებს განსაზღვრული განზრახვით, თუ იგი ითვალისწინებს დაზარალებულის სიკვდილს გულში დანის ჩარტყმით. ხოლო, ის, რომელმაც დაზარალებულს დანა მუცელში ჩაარტყა, მოქმედებს ალტერნატიული განზრახვით, რადგანაც იგი ითვალისწინებს ამის შედეგად ან დაზარალებულის სიკვდილს ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან სურს ანდა შეგნებულად უშვებს ერთ-ერთი ამ შედეგის განხორციელებას.

განუსაზღვრელი განზრახვისას მართალია პირი ითვალისწინებს დანაშაულებრივ შედეგს, მაგრამ ეს შედეგი მის ცნობიერებაში არაა კონკრეტიზებული სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრას მოითხოვს ფაქტობრივად მიყენებული შედეგების მიხედვით, რადგანაც დამნაშავე ითვალისწინებდა ნებისმიერი ამ შედეგის დადგომას, სურდა ან შეგნებულად უშვებდა მის დადგომას.

§3. გაუფრთხილებლობა და მისი სახეები

სასამართლო პრაქტიკას უმთავრესად საქმე აქვს განზრახ დანაშაულთან, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო გავრცელებულია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გაუფრთხილებლობითი ბრალის ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე განზრახი ბრალისა. ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედება არ შეიძლება ჩადენილი იქნეს გაუფრთხილებლობით ან კანონის პირდაპირი მითითებით ან შესაბამისი ქმედების ბუნების გამო. მაგალითად, კანონი გამორიცხავს პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის გაუფრთხილებლობით. ასევე კანონი არ ცნობს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. ამასთან ერთად, კანონმდებლობა იცნობს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთა ჩადენა მხოლოდ გაუფრთხილებლობით შეიძლება, მაგალითად სამსახურებრივი გულგრილობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი).

გაუფრთხილებლობა ბრალის განსაკუთრებული, სპეციფიკური ფორმაა. გაუფრთხილებლობით შეიძლება ჩადენილ იქნეს ის დანაშაული, რომელიც მატერიალურ შემადგენლობას შეიცავს, ე.ი. დანაშაული, რომლის ობიექტური მხარე შეიცავს კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი ითვალისწინებს გაუფრთხილებლობითი ბრალის ორ სახეს ^ თვითიმედოვნებასა და დაუდევრობას. მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

კანონის მიხედვით თვითიმედოვნების ინტელექტუალური მომენტი წააგავს განზრახი ბრალისათვის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდა-

პირი განზრახვისათვის დამახასიათებელ ინტელექტუალურ მომენტს. ორივე ამ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, მაგრამ პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინების ცნება არსებითად განსხვავდება გაუფრთხილებლობითი ბრალის ორივე სახისათვის დამახასიათებელი გათვალისწინებისაგან.

ევენტუალური განზრახვისას პირს გაცნობიერებული აქვს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოდ ასეთ ქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ასეთი შედეგი, მაგრამ, მისი აზრით, მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში საფრთხის რეალიზაცია გამორიცხულია. მაგალითად ავტომანქანის მძღოლი მოძრაობის წესების დარღვევით მართავს ავტომანქანას. იგი საერთოდ ითვალისწინებს, რომ ამით იგი შეიძლება ადამიანს შეეჯახოს. მას გათვალისწინებული აქვს არა კონკრეტული, არამედ ზოგადი აბსტრაქტული საშიშროება. პირი, რომელიც ითვალისწინებს შედეგის დადგომას საერთოდ პრინციპში გამორიცხავს შედეგის დადგომას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. იგი თვლის, რომ ასეთი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ხორციელდება მსგავსი გარემოებების არსებობისას, რაცა მანქანას სხვა მძღოლები მართავენ, მისთვის ამდაგვარი შედეგის დადგომა გამორიცხულია, რადგანაც ფიქრობს, რომ იგი გამოცდილი მძღოლია და ამიტომ, მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამორიცხულია.

ძირეული განსხვავება ორითომედოვნებისა განზრახვის, პირველ რიგში არაპირდაპირი განზრახვისაგან ნებელობით მომენტისაგან წარმოდგება. არაპირდაპირი განზრახვისას პირი იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ორითომედოვნებისას პირი ქით, პირი გადაწყვეტს იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, რადგან იმედოვნებს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან აიცდენს. სწორედ პირის შინაგანი რწმენა, რომ შედეგი არ განხორციელდება, წარმოადგენს ერთ-ერთ მოტივს, რაც განაპირობებს მის მიერ ქმედების ჩადენას. არაპირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით ორითომედოვნებისას დამნაშავის ნება მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებისაკენ. იმედი, რომელიც ახასიათებს ორითომედოვნებას, არ ნიშნავს ორითონ განზრახვას, იგი ემყარება კონკრეტულად განსაზღვრულ ფაქტებს, სუბიექტის პირად თვისებას ან გარეგან ძალებს. რომლებსაც დამნაშავის რწმენით შეუძლია ხელი შეუშალოს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. საქმე ისაა, რომ ასეთი პირის გარაუდი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი

და ზერელე ხასიათს ატარებს. იგი შეცდომას უშვებს მიზეზობრივი კავშირის განვითარების წარმოდგენისას, გადაჭარბებულად აფასებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის ხელისშემშლელ გარემოებას.

გაუფრთხილებლობითი ბრალის მეორე სახეა დანაშაულებრივი დაუდევრობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

დაუდევრობა და თვითმედოვნება ბრალის ერთი ფორმის გაუფრთხილებლობის სახეებია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ამ სახეების ერთმანეთთან გარკვეული მსგავსება. საქმე ისაა, რომ მათ ფსიქოლოგიური და სოციალური ფესვები ერთნაირი აქვთ. ამ ერთიანობას აპირობებს პიროვნების ისეთი უარყოფითი ნიშნები, როგორიცაა საზოგადოებაში მოქმედი წესების უგულებელყოფა, დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობებისადმი. ამასთან ერთად, დაუდევრობა განსხვავდება როგორც თვითმედოვნების, ისე განზრახვისაგან იმით, რომ პირი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. რასაკვირველია, მართლსაწინააღმდეგო შედეგის გაუთვალისწინებლობა არ გამორიცხავს მის გაკიცხვას, თუ ეს შედეგი იყო კანონის მოთხოვნების, წინდახედულობის ნორმების მოთხოვნების შეუსრულებლობისა. პასუხისმგებლობა დაუდევრობისათვის ეფუძნება იმას, რომ პირს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა გაეთვალისწინებია თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

ამრიგად, დაუდევრობის დროს საქმე გვაქვს ინტელექტუალურ ელემენტთან. პირი არ ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა, იგი. განსხვავებით თვითმედოვნებისაგან, დაუდევრობისას პირის წინაშე სრულიად არ წარმოიშვება საკითხი ამ შედეგის შესახებ, შედეგის გაუთვალისწინებლობა დაუდევრობის დროს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ პირს გაცნობიერებული არ აქვს თავისი ქმედების ფაქტობრივი თვისებები. მაგალითად, სამედიცინო დამ გ-მ გამოიღო აფთიაქის კარადიდან ბოთლი უფერული სითხით, არ დაუხედავს ეტიკეტისათვის დარწმუნებულმა რომ ეს იყო ბრომი, შეუშხაპუნა ვენაში ავადმყოფს, სითხე ძლიერად მოქმედი შხამ-დიკაინი აღმოჩნდა. ამის შედეგად ავადმყოფი გარდაიცვალა.

შეიძლება მოხდეს ისეც, რომ პირს სწორად აქვს გათვალისწინებული თავისი ქმედების ფაქტობრივი ნიშნები, მაგრამ არ ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას მოჰყვება მართლსაწინააღმდეგო შედეგი, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო ეს შედეგი გაეთვალისწინებინა.

დაუდევრობის ნებელობითი ელემენტი ხასიათდება იმით, რომ ნებელობით ხასიათს ატარებს პირის მიერ ნადენილი ქმედება. ამასთან გამორიცხულია ქცევის ნებელობითი აქტი, რომელიც მიმართული იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილებისაკენ.

კანონმდებელი დანაშაულებრივი დაუდევრობის განსაზღვრებას შკავშირებს ორ კრიტერიუმს. პირველი კრიტერიუმი ობიექტურ კრიტერიუმადაა მიჩნეული („გათვალისწინება ვალებოდა"), ხოლო მეორე კრიტერიუმი მიჩნეულია სუბიექტურ კრიტერიუმად („გათვალისწინება შეეძლო კიდეც").

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დაუდევრობისათვის აუცილებელია რომ პირმა დაარღვიოს წინდახედულობის მოვალეობა. ეს მოთხოვნა ასახულია მე-10 მუხლის მეორე ნაწილის სიტყვებით „ამის გათვალისწინება მას ეკალებოდა". წინდაუხედაობა ნიშნავს იმას, რომ პირი თავისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან პროფესიული საქმიანობისას, ანდა ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იცავს წინდახედულობის ნორმებს, რომლებიც გამომდინარეობს წერილობითი ან დაუწერელი, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში დამკვიდრებული წესებიდან. ეს ნორმები მოითხოვენ პირისაგან, რათა თავიდან აიცილოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ნათელია, იმის დასადგენად იცავდა თუ არა პირი წინდახედულების ნორმის მოთხოვნას, სასამართლომ საფუძვლიანად უნდა მიიღოს საქმის ყველა კონკრეტული გარემოება.

წინდახედულების ხარისხი სხვადასხვა იქნება პირის სამსახურებრივ და საზოგადოებრივი მდგომარეობის, მისი პროფესიის მიხედვით. განსაკუთრებით რთულია ისეთი შემთხვევები, როდესაც დარღვეულია ისეთი წინდახედულების დაუწერელი ნორმა, რომელიც საყოფაცხოვრებო ურთიერთობებს შეეხება. დასავლეთ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ შემთხვევაში მიუთითებენ საშუალო ადამიანის კრიტერიუმზე, აქ მხედველობაშია ის, რომ კონკრეტულ ადამიანს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობა აქვს მაშინ, როდესაც ასეთ ვითარებაში ეს შედეგი შეეძლო გაეთვალისწინებია საშუალო ადამიანს. თუ ეს შეეხება სპეციალური ცოდნის სფეროს, შედეგი შეეძლო გაეთვალისწინებია „საშუალო სპეციალისტს", რომელიც ფლობს მოცემული პროფესიისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას („საშუალო ექიმი", „საშუალო ინჟინერი და ა.შ.).

მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმის დადგენა საკმარისი არ არის იმ ფსიქიკური ურთიერთობის არსებობისათვის, რომელიც ახასიათებს დაუდევარ ბრალს. აუცილებელია სუბიექტური კრიტერიუმის დადგენა ანუ იმის დადგენა, რომ მოცემულ პირს ჰქონდა უნარი გაეთვალისწინებია მართლსაწინააღმდეგო შედეგი. აქ მხედველობაშია უნდა მივიღოთ ის, რომ პირს თავისი პერსონალური თვისებების, კვალიფიკაციისა და შექმნილი ვითარების თავისებურებათა გამო შეეძლო გაეთვალისწინებია მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობა. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირმა ვერ შეძლო გამოეჩინა სათანადო წინდახედულება ქმედების ჩადენის მომენტში არსებული განსაკუთრებული ან ფსიქიკური მდგომარეობის ან საზოგადოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალურ თავისებურებათა გამო, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით მთლიანად ნათელი არ არის დებულება, რომელსაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში".[1]

დანაშაულებრივი დაუდევრობისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. შემთხვევა ანუ ბიანის არაბრალეულად მიყენება. შემთხვევად ითვლება ისეთი ხიტუაცია, რომლისაც ქმედების ჩამდენ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა და საქმის გარემოებების მიხედვით არ შეეძლო გაეცნობიერებია თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და საქმის გარემოებების მიხედვით არ შეეძლო მისი გათვალისწინება ან არ უნდა გაეთვალისწინებია მისი განხორციელება.

შემთხვევას ახასიათებს ან დანაშაულებრივი დაუდევრობის ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების ან ერთ-ერთის ამ კრიტერიუმის არარსებობა. ასეთი ვითარებაში პირი განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაშია. აქედან წარმოდგება ის, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

[1] მ. ტურავა. „სისხლის სამართალი" ზოგადი სამართლის მიმოხილვა, თბ., 2002, გვ. 46,47.

§4. დანაშაული ბრალის ორი ფორმით

ჩვეულებრივად დანაშაულის ჩადენა ბრალის ერთი ფორმით, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ხდება. ამასთან ერთად ზოგჯერ კანონმდებელი ქმედების ნიშნებს ისე აყალიბებს, რომ აუცილებელი ხდება ბრალის ორი ფორმის დადგენა. ასეთ შემთხვევაში ცალკეა დასადგენი ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) და ცალკე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი. ასეთი მდგომარეობა შემოიფარგლება ისეთი შემთხვევით, როდესაც ძირითადი შემადგენლობის შემცველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახი ბრალის ერთ-ერთი ფორმით, ხოლო ფსიქიკური დამოკიდებულება ამ დანაშაულით გამოწვეული შედეგისადმი შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობითი მისი ერთ-ერთი სახით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი. ამ მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. კანონმდებელი აწესებს, თუ როგორც უნდა იყოს ბრალი ძირითადი შემადგენლობის მიმართ (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება), ასევე მითითებულია ამ ძირითად შემადგენლობასთან დაკავშირებულ ბრალზე მძიმე შედეგის სახით (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა).

ბრალის ორი ფორმით ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლში: 1."თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. 2. განზრახ დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა". ამრიგად, ხსენებული მუხლით პასუხისმგებლობა მაშინაა დასაშვები, როცა დამნაშავეს მძიმე შედეგის მიმართ აქვს გაუფრთხილებლობითი ბრალი. მაშასადამე, მე-11 მუხლი არ უშვებს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშე, ობიექტურ შერაცხვას.

დანაშაულს ბრალის ორი ფორმით ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ა) ორი შედეგი დანაშაულის ჩადენის შედეგად.

ბ) ბრალის სხვადასხვა ფორმის არსებობა ამ ორი შედეგის მიმართ;

გ) ბრალის ორი ფორმა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კვალიფიციური შემადგენლობის მქონე დანაშაულის ნადენისას.

დ) გაფრთხილებლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მაკვალიფიცირებელი ნიშნების მიმართ.

ე) კანონმდებელი დანაშაულს ბრალის ორი ფორმით თვლის განზრახ დანაშაულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ნორმას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის, რადგანაც შესაძლებელს ხდის გავმიჯნოთ განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული. მაგალითად, ბრალის ორი ფორმა სახიკვდილო შედეგით ჯანმრთელობის დაზიანების შემადგენლობაში (მუხ. 117-ე) შესაძლებელს ხდის ეს შემადგენლობა გავმიჯნოთ ერთი მხრივ, განზრახი მკვლელობისაგან, ხოლო მეორე მხრივ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისაგან. განზრახი მკვლელობისაგან ამ დანაშაულის შემადგენლობას განასხვავებს დამდგარი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება: განზრახი მკვლელობისას გვაქვს სიკვდილის განზრახვა, ხოლო 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს განზრახვას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისადმი, ხოლო სიცოცხლის მოსპობის მიმართ გაუფრთხილებლობას. სიცოცხლის მოსპობისაგან (მუხ. 116-ე) ეს შემადგენლობა განსხვავდება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვით, რაც არ ახასიათებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას.

ის გარემოება, რომ ბრალის ორი ფორმით ნადენილ დანაშაულს კანონმდებელი განზრახ დანაშაულად თვლის, უსათუოდ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი შეფასება აუცილებელია, მაგალითად იმისათვის – მიეკუთვნება თუ არა ამდაგვარი დანაშაული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას. როგორც ცნობილია, ასეთად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილით ითვლება ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ნადენისათვის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით და უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ბრალის ორი ფორმით ნადენილი დანაშაულის განზრახ დანაშაულად მიჩნევას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რეციდივისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივის, ასევე თანამონაწილეობის, პირობითი მსჯავრის, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხების გადაწყვეტისათვის.

§5. დანაშაულის მოტივი და მიზანი, ემოცია

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დანაშაული ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. სწორედ ამიტომ დანაშაულის მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნება ემყარება ზოგადფსიქოლოგიური მოტივის ცნების განსაზღვრებას.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის მოძღვრების თანახმად თავის თავისა და თავისი ქცევის ობიექტივაციის უნარის გამო, ადამიანი თავის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით კი არ მოქმედებს, არამედ თავისი მეს მოთხოვნების მიხედვით. გადაწყვეტის აქტი ქცევის იმ სახეობის მონახვას ნიშნავს, რომელიც მას თავისთვის შესაფერისად მიაჩნია.

ამრიგად, გადაწყვეტის აქტს ყოველთვის წინ უსწრებს ყველა შესაძლებლობის აწონდაწონა. ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს თუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რამეს გადაწყვეტდეს, მან სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყოს. გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უსწრებს წინ. მოტივსა და ქცევას შორის ეროგვარი ხლვარია. საქმე ისაა, რომ ქცევა სხვაა და მოტივი სხვა.[1]

ადამიანის ქცევის ძირითადი კატეგორიის – მისი მოთხოვნილების, დანაშაულის სუბიექტური მხარის შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ გარემოებანი, რომელშიც ადამიანი აღმოჩნდება, სხვადასხვაგვარად, მოქმედებს მასზე. ერთ შემთხვევაში ეს გარემოებანი აღუძრავს მას მოქმედების სტიმულს, სხვა შემთხვევაში, პირიქით ამ სტიმულს, ახშობენ.

ამა თუ იმ ფაქტორის მიჩნევა ნებელობის აღმძრელად არ ნიშნავს ადამიანის ქცევის შინაგანი მექანიზმის დადგენას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, რატომ და როგორ მოხდა ის, რომ ეს ფაქტორი კერძოდ მოთხოვნილება, ინტერესი მოტივად იქცა. მოტივმა რომ ქმედება გამოიწვიოს, საჭიროა განსაზღვრული მოტივის შესაბამისი მიზნის დასახვა.

მოტივისაგან განსხვავებით მიზანი ის საბოლოო შედეგია, რომლის მიღწევასაც ცდილობს დანაშაულის ჩამდენი პირი. სწორედ მიზანი გადააქცევს ადამიანის მისწრაფებებს, მიზნებს მოქმედ მოტივად. მიზანის და მოტივის ცნებები ერთმანეთს არ ემთხვევა. მიზანი და მოტივი სხვადასხვანაირად ახასიათებს დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დამდგარი შედეგისადმი. მოტივის მიმართ შეიძლება

[1] იხ. დ. უზნაძე, ტომი III, IV ფსიქოლოგია, თბ., 1964, 203-223.

დავსვათ საკითხი – რატომ ჩაიდინა პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზნის მიმართ საკითხი ასე დგება – რისკენ მიისწრაფვის დამნაშავე.

მოტივსა და მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მოტივი და მიზანი შეიძლება დანაშაულის შემადგენლობის ძირითად ნიშნებს წარმოადგენდეს. ამ ნიშნების არარსებობა მომასწავებელი იქნება იმის, რომ მოცემულ შემთხვევაში პირის ქმედება არ შეიცავს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობას. სხვა შემთხვევაში შეიძლება მოტივი და მიზანი დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნებს წარმოადგენდეს. მაგალითად, შურისძიების ან ეჭვიანობის მოტივით ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, როგორც მარტივი მკვლელობა. თუ მკვლელობა ჩადენილია ხულიგნური ქვენაგრძნობით, ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი). ამ კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებაში განსხრახ მკვლელობად ითვლება მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით.

არც თუ ისე იშვიათად კანონმდებელი თუმცა კანონის ტექსტში არ მიუთითებს, მაგრამ იგულისხმება განსაზღვრული მოტივის და მიზნის არსებობა. მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორიცაა: ქურდობა, თაღლითობა, გაძარცვა, ქაჯალობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი სხვა დანაშაული უსათუოდ გულისხმობს ანგარებითი მიზნის არსებობას.

მოტივისა და მიზნის მნიშვნელობა ვლინდება აგრეთვე სასჯელის დანიშვნის სტადიაზეც. აქ მოტივი და მიზანი ჩადენილი დანაშაულისა და მისი ჩამდენის პიროვნების გათვალისწინებით შეიძლება მიჩნეულ იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად.

გარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, მოტივსა და მიზანს მნიშვნელობა აქვს როგორც მტკიცებულებას სისხლის სამართლის პროცესში. მოტივის და მიზნის დადგენა აუცილებელია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. მოტივის დადგენის გარეშე გამომძიებელი და მოსამართლე ვერ შეძლებენ გააკეთონ კატეგორიული დასკვნა, თუ კონკრეტულად რა დანაშაულია ჩადენილი. საამისო მითითებას შეიცავს პროცესუალური კანონმდებლობა.

2. ემოცია გამოხატავს ადამიანის გრძნობებსა და განცდებს, ემოცია აუცილებლად ახასიათებს ადამიანის ნებისმიერ, მათ შორის დანაშაულებრივ საქმიანობას. მაგრამ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს აფექტს ანუ უცვრად წარმოქმნილ, სწრაფად წარმავალ და უკიდურესად ინტენსიურ ემოციას, რომელიც მისი განცდის მომენტში აუფლებს პირს და წარმართავს ქცევას. ფიზიოლოგიური აფექტი ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე,ასუსტებს,მაგრამ არ გამორიცხავს თვითკონტროლისა და გარემოში სწორად ორიენტირების უნარს. ასეთი აფექტი ანუ ფიზიოლოგიური აფექტი ამსუბუქებს,მაგრამ არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ფიზიოლოგიური აფექტი უნდა განვასხვაოთ პათოლოგიური აფექტისაგან, რომლის დროსაც ადამიანს ეკარგება უნარი გააცნობიეროს თავისი ქმედების მნიშვნელობა, შეგნებული არა აქვს, ის, თუ რას აკეთებს და უხელმძღვანელოს ამ ქმედებას. ასეთი პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან იგი შეურაცხადია.

სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის კერძო ნაწილში პირის ემოციური მდგომარეობა სამ შემთხვევაშია გათვალისწინებული 1) აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა, რაც გამოიწვია მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ (111-ე მუხ.); 2) დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისა ან უშალვე მშობიარობის დროს (112-ე მუხ.); 3) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება შეცარი,ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხ. 121-ე).

ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა მხოლოდ მაშინ განისილება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, როდესაც იგი გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით. თუ დაზარალებულის მოქმედება მართლზომიერი იყო ან აფექტი გამოწვეული სხვა პირის ქცევით,ანდა სხვა მიზეზით,მაშინ პასუხისმგებლობა არ შემსუბუქდება.

XI თავი

დაუმთავრებელი დანაშაული

§1. დანაშაულის ჩადენის სტადიის ზოგადი ცნება და სახეები

დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არა მარტო იმ პირთა დასჯა, ვინც უკვე დაბზიანა სამართლით დაცული სიკეთე, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება იმ პირთა მიმართ, რომლებიც საკუთარი ქმედებით საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ ცალკეულ ინდივიდთა კანონიერ ინტერესებს. სსკ-ის კერძო ნაწილში დანაშაულები დასრულებული სახითაა გათვალისწინებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღრე დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდება, მანამდე ამგვარი ქმედება სისხლის სამართლისათვის ირელევანტურია. ზემოაღნიშნული პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში დამთავრებული დანაშაულის დასჯადობასთან ერთად განსაზღვრავს ამ დანაშაულთა მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის კრიტერიუმებს. დანაშაულის განვითარების სტადიების შესახებ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული, რომელიც თავის მხრივ ტრანსფორმაციას განიცდიდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აზრის თავისუფლების შეზღუდულობის გამო მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო განსხვავებებს, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ცენტრის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისაგან. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლები". ამ უკანასკნელში ახალი მომზადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობის, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების კრიტერიუმები ზუსტად აისახა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედმა კოდექსმა, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს, მის წინამორბედთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დაუმთავრებელ დანა-

შაულსა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, რასაც შემდეგ განვიხილავთ.

დასმული პრობლემების კვლევისას მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ ტერმინის შინაარსში. კერძოდ, გამოსარკვევია, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ტერმინები – დაუმთავრებელი დანაშაული და დანაშაულის ჩადენის სტადიები? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან დანაშაულის ჩადენის სტადიები უფრო ფართოა დაუმთავრებელ დანაშაულთან შედარებით როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნის მიხედვით. დაუმთავრებელი დანაშაული, როგორც გვარეობითი ცნება, სსკ-ის VI თავის მიხედვით ალრთიანებს მის ორ სახეს: დანაშაულის მომზადებასა და დანაშაულის მცდელობას, რომელსაც წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობასაც უწოდებენ.

ობიექტური თვალთახედვით დანაშაულის ჩადენის სტადიები დაუმთავრებელ დანაშაულთან შედარებით რაოდენობრივად უფრო მეტ საფუძველს გულისხმობს, ხოლო სუბიექტური ნიშნის მიხედვით თუ დაუმთავრებელ დანაშაულზე მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულზე შეიძლება საუბარი, დანაშაულის განვითარების სტადიებს არაპირდაპირი განზრახვითაც და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულშიც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის განვითარების სტადიები, არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა განვითარების სტადიების იდენტურია, რადგან დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნებაზე, მომზადებასა და მცდელობაზე, როგორც დანაშაულის ჩადენის სტადიებზე, საუბარი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებთან მიმართებით შეიძლება. ამიტომ დასმულ პრობლემას სწორედ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის კვალობაზე განვიხილავთ. მაგალითად, თუ ადამიანს განზრახული აქვს კაცის მოკვლა, ამისათვის მან შეიძლება შეიძინოს იარაღი, მივიდეს მსხვერპლის ადგილსამყოფელში და მოკლას იგი. დანაშაულებრივი შედეგის დადგომამდე გარკვეული ეტაპები შეიძლება განხორციელდეს გაუფრთხილებელი დანაშაულის დროსაც. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო დანაშაულს შეიძლება წინ უძღოდეს შემდეგი მოქმედებები: პიროვნების მიერ ალკოჰოლის მიღება, მგზავრის ჩასმა მანქანაში, წითელ ნიშანზე გავლა, რითაც დაირღვა საგზაო მოძრაობის წესები, ამან კი გამოიწვია მძღოლის მხრიდან მგზავრებისათვის სიცოცხლის მოსპობა.

დანაშაულის ჩადენის სტადიების ამგვარი განხილვა აუცილებლად მოითხოვს ყურადღება მიექცეს შემდეგს: – დანაშაულის ჩადენის სტა-

დიებიდან, რომელია სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი, ანუ რომელი სტადიების განხორციელებას უკავშირებს კანონმდებელი დასჯადობას?

ტრადიციულად გამოიყოფა დანაშაულის ჩადენის ოთხი სტადია: 1) განზრახვის გამომუშავება; 2) დანაშაულის ჩადენისათვის პირობების შექმნა, მომზადება; 3) პირდაპირ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყება (მცდელობა); 4) დამთავრებული დანაშაული. პირველ სტადიას შეიძლება ჰქონდეს კრიმინოლოგიური მნიშვნელობა, რამდენადაც განზრახვის დროულად აღმოჩენის შედეგად გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებები დანაშაულთა თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არადანაშაულებრივ განზრახვასაც, რადგან ერთი შეხედვით, სოციალურად სახარგებლო მიტივით წარმოშობილი განზრახვა შეიძლება საკმაოდ მძიმე დანაშაულის საწინდარი აღმოჩნდეს, ამიტომ მისი აღკვეთა უსათუოდ მიზანშეწონილია. მაგალითად, თუ უგონოდ მთვრალ მამას სურს შვილის მანქანით სახლში მიყვანა, მისი განზრახვა დანაშაულებრივი არაა, თუმცა ასეთ მდგომარეობაში მყოფის განზრახვის რეალიზაციისათვის ხელის შეშლა, ბუნებრივია, სოციალურად სახარგებლოა.

მოქმედი სსკ-ით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ გარკვეული მოქმედების განხორციელებას უკავშირდება. განზრახვის გამომჟღავნება, არასოდეს იწვევს დასჯადობას. დასახული დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გაწეულ საქმიანობაზე სისხლისსამართლებრივი რეპრესია ვრცელდება მომზადების სტადიიდან, რა დროსაც გარკვეული ქმედების შესრულებას აქვს ადგილი.

ფართო გაგებით განზრახვა დანაშაულის ჩადენის ყველა სტადიაზე ვლინდება. თუმცა, პირველი სტადიისაგან განსხვავებით უკანასკნელ სამ სტადიაზე განზრახვის გამომჟღავნებას თან ახლავს ობიექტურ გარესამყაროში გამოვლენილი ქმედებები.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენის სტადიები, არის ეტაპები, რომლის კანონზომიერი განვითარება იწვევს დანაშაულის შედეგს ფართო გაგებით.

როგორც წესი, დანაშაული რაც უფრო მძიმე ან რთული განსახორციელებელია, წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობა მით უფრო მრავალეტაპიანი და ხანგრძლივი პროცესია. მაგალითად, ბანკის გაქურდვას შეიძლება დასჭირდეს: ბანკის შენობის გეგმის მოპოვება, შენობაში შესვლის გეგმის დამუშავება, შესაბამისი ხელსაწყოებისა და სპეციალისტების შეგროვება და ა.შ. ცხოვრებაში ხდება საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც დანაშაული უცერად ხორციელდება

და არავითარ მოსამზადებელ მოქმედებებს არა აქვს ადგილი. მაგალითად, აფექტში მყოფმა იარაღის უცვარი გასროლით მოკლა ადამიანი. მაშასადამე, აუცილებელი არაა, რომ ყოველმა დანაშაულმა გაიაროს თითოეული სტადია გამოკვეთილად.

როგორც ცნობილია, ნორმათა კონკურენციის ერთ-ერთ ნაირსახეობას მთელის და ნაწილის კონკურენცია წარმოადგენს. მთელის და ნაწილის კონკურენციას ვხედებით დანაშაულის განვითარების სტადიებშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ კვალიფიკაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უკანასკნელ სტადიას ენიჭება, რადგან ყოველი შემდეგი სტადია მოიცავს მის წინამორბედ სტადიას. მაგალითად, დამთავრებული მკვლელობა მოიცავს მკვლელობის მომზადებას და მცდელობას, ხოლო ეს უკანასკნელი თავისთავად მოიცავს მომზადებას. დანაშაულის ნადენის ყოველი გვიანდელი სტადია უფრო სრულია მის წინამორბედებზე, რის გამოც კვალიფიკაცია მხოლოდ ამ უკანასკნელზე მითითებით ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ერთი და იგივეა, ისინი ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება: პირველი, დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობაში ობიექტური და სუბიექტური მხარეები სრულად არის რეალიზებული, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის დისპროპორცია შეინიშნება, რადგან სუბიექტური მხარე უფრო მეტია, ვიდრე ობიექტური. ე.ი. დაუმთავრებელ დანაშაულში ადგილი აქვს შემადგენლობის ნაკლულობას, რამდენადაც დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილი შედეგი არ დამდგარა ან ქმედება სრული მოცულობით არ განხორციელებულა. მეორე, დამთავრებული დანაშაული დაუმთავრებელ დანაშაულთან შედარებით უფრო საშიშია სოციალურად. დაბოლოს, დამთავრებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი არ ვრცელდება.

ამრიგად, დაუმთავრებელი დანაშაული გულისხმობს მომზადების ან მცდელობის ეტაპზე შეწყვეტილ პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებას.

წინა სსკ-ისაგან განსხვავებით საქართველოს მოქმედ სსკ-ში დაუმთავრებელ დანაშაულს ცალკე მუხლი აქვს მიძღვნილი, სადაც დასჯადად არის აღიარებული მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება; ახლებურად არის მოაზრებული მომზადებისა და მცდელობის ცნებები; სსკ-ის მე-20 მუხლით საკანონმდებლო დონეზე პირველადაა აღიარებული აბსოლუტურად უვარგისი საშუალების

გამოყენებისას ქმედების დაუსჯელობა; დეტალურადაა აღწერილი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის ნიშნები. დაბოლოს, სიახლეს წარმოადგენდა სსკ-ის 56-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის სასჯელის აუცილებელ შემცირებას, თუმცა 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ამოიღო კანონმდებელმა. აღნიშნულ ნოვაციებს დეტალურად შესაბამის პარაგრაფებში განვიხილავთ.

§2. დამთავრებული დანაშაული

დაუმთავრებელი დანაშაულის ობიექტურ ბუნებაზე საუბარი შეუძლებელია, თუ თავიდანვე არ განვსაზღვრეთ დამთავრებული დანაშაულის ცნება. მართალია, მომზადება და მცდელობა წინ უსწრებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, თუმცა მეთოდოლოგიურად ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ჯერ დავახასიათოთ მომზადება და მცდელობა, ხოლო შემდეგ დამთავრებული დანაშაული.

დასმული პრობლემისადმი ასეთი მიდგომა ნაკარნახევია შემდეგი მოსაზრებით: სიტყვა „დაუმთავრებელი“ ფარდობითი ცნებაა, რომელიც განისაზღვრება იმ მოვლენასთან, ფაქტთან მიმართებით, რაც ადამიანის მიერ დასრულებულად არის მიჩნეული. თუკი ვსაუბრობთ რაიმე მოვლენის დაუმთავრებლობაზე, ლოგიკურად ეს იმას მიშნავს, რომ წინასწარ განსაზღვრულია და ვიცით ამ მოვლენის დასრულებული სახე. მაგალითად, თუკი ადამიანზე ვამბობთ, რომ მას თვალი ან ხელი აკლია, ასეთ დასკვნას იქედან გაკეთებთ, რომ რომ ჩვენ ვიცით ადამიანის სხეულის სრული სტრუქტურა. ანალოგიურად, შეიძლება ითქვას დანაშაულზეც: დაუმთავრებელია დანაშაული მის დასრულებულ საკანონმდებლო კონსტრუქციასთან მიმართებით. კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის შექმნისას, ამა თუ იმ დანაშაულთან ბრძოლის ინტენსივობის გაძლიერების მიხედვით იძლევა „იურიდიულად“ დასრულებული დანაშაულის შემადგენლობას. კანონმდებლის აღნიშნულ საქმიანობაში მეორე მომენტი ქმედების სწორ კვალიფიკაციასთან არის დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც ქმედების სწორი კვალიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ნორმის დადგენას და შემდეგ ქმედების ნორმასთან შესაბამისობის დადგენას. მაშასადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია მოითხოვს დანაშაულის შემადგენლობის ცოდნას (რომელიც ყოველთვის დასრულებული

სახითაა მოცემული), შემდეგ განხორციელებული ქმედების მასთან შესაბამისობის კვალობაზე უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადების საკითხი. აქედან გამომდინარე, დამთავრებული დანაშაულის იურიდიული დახასიათება ლოგიკურად განიხილვის პირველად საგანს წარმოადგენს."რომ იცოდე რა გაკლია, უნდა იცოდე, რა გაქვს"[1] ანალოგიური ვითარებაა მოცემულ შემთხვევაშიც: – რომ ვიცოდეთ, თუ რა არის დაუმთავრებელი დანაშაული, უნდა ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაული. სამწუხაროდ, საბჭოთა და ახლანდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ გაიხილავენ მომზადებას, შემდეგ მცდელობას, დაბოლოს, დამთავრებულ დანაშაულს, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციაა, ჩვენ მიერ დასაბუთებული პოზიცია გაზიარებული ჰქონდათ მაგ.: პროფ. დურმანოვს[2], პროფესორ თ. წერეთელს: – „დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა შემადგენლობის ჩვეულებრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო მცდელობა და მომზადება მისგან არის ნაწარმოები."[3]

დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადება დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის სახეზე, ანუ კანონმდებლის ნებაზე, თუ რა მომენტიდან მიიჩნევს დანაშაულს დასრულებულად. დანაშაულის შემადგენლობები, იმისდა მიხედვით ვიწრად გაგებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია თუ არა, ორი სახისაა: შედეგიანი და შედეგგარეშე.[4] ნებისმიერი დანაშაული გარკვეულ შედეგს იწვევს ფართო გაგებით. ამიტომ დანაშაულის შემადგენლობათა ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ვიწროდ გაგებული დანაშაულის შედეგი, რომელიც ობიექტურ გარესამყაროში სამართლით დაცული სიკეთისათვის ზნეობრივ-პოლიტიკურთან ერთად, მატერიალური ხასიათის მიყენებით გამოიხატება. შედეგიან შემადგენლობებს მიეკუთვნება კონკრეტული საფრთხის დელიქტებიც, ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შედეგგარეშე დანაშაულებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთ პოზიციას იზიარებენ რიგი ქა-

---

[1] გ. ნანეიშვილი. სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992. გვ. 150.

[2] **Н. Д. Дурманов,** стадии совершения преступления по советскому уголовному праву. М., 1955. стр. 3

[3] თ. წერეთელი. დანაშაულის მომზადება და მცდელობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961, გვ. 47.

[4] ჩვენ ტერმინოლოგიურად მართებულად მიგვაჩნია დანაშაულის შემადგენლობებისათვის შედეგიანი და შედეგგარეშე წოდება, რამდენადაც ტერმინები: „ფორმალური" და „მატერიალური" შემადგენლობები საკმაოდ პირობით ხასიათს ატარებს. ამგვარ სახედ დაყოფა დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში ვიწროდ გაგებული შედეგის კონსტიტუციურ ნიშნად არსებობა-არარსებობას ემყარება.

რთველი მეცნიერებისა[1]. "საკითხი ამგვარადაა გადაწყვეტილი საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია, ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს, ან საფრთხეს შორის". მიზეზობრივი კავშირის დადგენა მხოლოდ შედეგიანი დანაშაულის განხორციელებისას უნდა დადგინდეს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ კანონმდებლის მოთხოვნა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი არა მარტო ქმედებასა და შედეგს, არამედ ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის იძლევა საფუძველს მივაკუთვნოთ კონკრეტული საფრთხის დელიქტიც შედეგიან დანაშაულს.

შედეგიანი დანაშაული დამთავრებულად ითვლება კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობის მქონე დამნაშავის სასურველი შედეგის ან კონკრეტული საფრთხის არსებობის შემდეგ. შედეგის დადგომა აუცილებელია, მაგალითად, მკვლელობისას (სსკ-ის 108-ე, 109-ე, 110-ე, 111-ე მუხლები და ა.შ.), ჯანმრთელობის დაზიანებისას (სსკ-ის 117-ე, 118-ე, 119-ე მუხლები და ა.შ), ქურდობისას (სსკ-ის 177-ე მუხლი და ა.შ.).

კონკრეტული საფრთის შექმნა დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშნად გათვალისწინებულია, მაგალითად, სსკ-ის 288-ე მუხლში (გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი, ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა). კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად: „ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი, ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის, ან გამოყენების დროს, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება, ან სხვა მძიმე შედეგი". როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, მუხლში საუბარია „შესაძლო" ალტერნატულ შედეგებზე, რომლის გამოწვევის კონკრეტული საფრთხე შექმნა მოცემული წესების დარღვევამ.

შედეგიანი დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადებისათვის აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის სრულად განხორციელება და არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუკი დამდგარი შე-

[1] მაგ: მ. ცერცვაძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1982, გვ. 5; ო. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 204.

დეგით დამნაშავე კმაყოფილი არ აღმოჩნდება,რადგან საწადელ მიზანს ვერ მიაღწია. მაგალითად ა-მ მოკლა ბ. იმ მიზნით, რომ მემკვიდრეობა მას დარჩენოდა,მაგრამ მემკვიდრეობა ვერ მიიღო.

შედეგიანი დანაშაულის დამთავრების მომენტი არა მარტო იურიდიული, არამედ მეცნიერების სხვა დარგების განვითარებასთან ერთად სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. მაგალითად, მკვლელობა დამთავრებულად ითვლება სიკვდილის მომენტიდან. განასხვავებენ კლინიკურ და ბიოლოგიურ სიკვდილს. კლინიკური სიკვდილი დგება გულის გაჩერების შემდეგ. დღესდღეობით სიკვდილის მომენტად ითვლება ბიოლოგიური სიკვდილი, რომლის დროსაც „წყდება ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება და თავის ტვინის ქერქში ხდება ცილოვანი სხეულების შეუქცევადი დარღვევა, რის გამოც ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა შეძლებელია“.[1] ოქმება,ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილს ან ქსოვილის გამოყენებასთან დაკავშირებული კომერციული საქმიანობის გავრცელებასთან ერთად, მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას ამ მომენტის გადახედვის შესახებ.[2]

შედეგგარეშე დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქმედების განხორციელების მომენტიდან. შედეგგარეშე დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენს შედეგი. შედეგგარეშე შემადგენლობებს შეესაბამება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები. მაგალითად, სსკ-232-ე (ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება),224-ე (ბანდიტიზმი) მუხლები, სსკ-ის 280-ე მუხლის პირველი ნაწილი (ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა) ა.შ.

საფრთხის დელიქტებში არის ისეთი შემადგენლობებიც, სადაც ობიექტურ მხარესა და სუბიექტურ მხარეს შორის დისპროპორციაა. კერძოდ, სუბიექტური მხარე დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს სცილდება. მაგალითად, მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტია ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი), დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, დამნაშავე დაეუფლა თუ არა ქონებას.

საფრთხის შემქმნელ დელიქტებს „შეკვეცილ შემადგენლობებსაც“ უწოდებენ. ტერმინი „შეკვეცილი“ საკმაოდ ფარდობითი ცნებაა,რაც გამოიხატება დანაშაულის ობიექტურად და ფაქტობრივად დამთავრების

---

[1] Комментарий к уголовному кодексу Российской федерации, под общей редакцией **Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева.** М., 1996, გვ. 224.

[2] Цит:: Уголовное право Российской федерации, Особенная часть. Отв. редактор **Б. В. Здравомыслов.** изд. «Юристь», М., 1996, გვ. 21.

მომენტების ურთიერთმიმართებით. ბინდინგის აზრით, არსებობს დელიქტები, რომელიც დამთავრებულად ითვლება ფორმალურად, კანონის მიხედვით, თუმცა ბუნებრივად ისინი ჯერ დამთავრებული არ არის[1].

სისხლის სამართლის გერმანული დოქტრინა განასხვავებს დამთავრებული დანაშაულის ორ სახეს: განხორციელება (Beendigung) და ფაქტიური დამთავრება (Vollendung). პირველ შემთხვევაში დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადებისათვის საკმარისია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის შესრულება, მეორე შემთხვევაში ხდება ობიექტის რეალური ხელყოფა. ზოგჯერ ორივე სახე ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად ა-მ ესროლა ბ-ს და მოკლა. ასეთი დამთხვევა ყველა შემთხვევას არ ახასიათებს. მაგალითად, ასეთია დენადი დანაშაული ან ისეთი დელიქტი, რომელიც რამდენიმე ერთგვაროვანი მოქმედებისაგან შედგება. მაგალითად, ყაჩაღება.[2]

ამგვარ დაყოფას საკმაოდ დიდი იურიდიული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი) დამთავრებულად ითვლება მყარი შეიარაღებული ბანდის, ჯგუფის შექმნის მომენტიდან. თუმცა, დახმარება ბანდიტიზმში ამის შემდეგაც შეიძლება[3]. ასევე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობების სწორად განსაზღვრისათვის დანაშაული იურიდიულად არის დამთავრებული თუ ფაქტობრივად. მაგალითად, ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან. თუმცა, აუცილებელი მოგერიების უფლება ადამიანს მაინც აქვს, ვიდრე ყაჩაღური თავდასხმა გრძელდება.

„შეკვეცილ შემადგენლობებს" კანონმდებელი სხვადასხვა მოსაზრების გამო მიმართავს. უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის რეპრესიის გაძლიერების მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონმდებლის ამგვარი ნაბიჯი სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების პირობებში, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების დასჯადობას (სსკ-ის მუ-18 მუხლის მე-2 ნაწილი) ამასთან სსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილით აკრძალულია უვადო თავისუფლების დანიშვნა მომზადებისა და მცდელობისათვის. დანაშაულის იურიდიულად დამთავრების მომენტის ფაქტობრივად დამთავრებული დანაშაულის მომენტიდან მის

[1] იხ. თ. წერეთელი, დასახ. ნაშ., გვ. 54.

[2] Уголовное право зарубужных государств, Общая часть, под ред. проф. **И. Д. Козочкина**. М., 2001, გვ.395

[3] Курс советского уголовного права, в шести томах, т. 2., М., 1970, გვ. 414

წინარე, ადრეულ ეტაპზე გადმოტანით, თავიდან იცილებს ქმედების დაუსჯელობას. გარდა ამისა, დაცული სამართლებრივი სიკეთე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი მისთვის საფრთხის შექმნასაც კი დამოუკიდებელ დანაშაულად აკვალიფიცირებს. მაგალითად, ბანდიტიზმს (სსკ-ის 224-ე მუხლი) კანონმდებელი სჯის მანამდე, ვიდრე მისი წევრები საკუთარ ზრახვებს განახორციელებენ.

დამთავრებული დანაშაული ზოგჯერ სხვა დანაშაულის მომზადებას წარმოადგენს. ვთქვათ, ა-მ ო-ს თავისუფლება აღუკვეთა იმ მიზნით, რომ შემდეგ მის მეგობარ გ-ს ო. გაუპატიურებინა. ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ-ის 143-ე მუხლი) დამთავრებული სახით და გაუპატიურების მომზადება (სსკ-ის მე-18 და 137-ე მუხლები).

გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება ერთიანი დანაშაულის დამთავრების მომენტის განსაზღვრა.

დენადი დანაშაულის დამთავრების მომენტის განსაზღვრისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განვიხილოთ მოცემული პრობლემა ორი ასპექტით: იურიდიული და ფაქტობრივი თვალსაზრისით. დენადი დანაშაული იურიდიულად დამთავრებულია ნორმის მოთხოვნის დარღვევიდან. იურიდიულად დამთავრების მომენტს მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიკაციისათვის. დენადი დანაშაულის ფაქტობრივად დამთავრების მომენტს მნიშვნელობა ენიჭება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშებისათვის. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ დენადი დანაშაულები სამ ტიპად შეიძლება დავყოთ: 1) დანაშაულები, რომელთა იურიდიული და ფაქტობრივი დამთავრება გარკვეულ ვადებს უკავშირდება, მაგალითად, სსკ-ის 388-ე მუხლის (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული იურიდიულად დამთავრებულად ითვლება კანონში მითითებული შესაბამისი სამხედრო ადგილის ორ დღე-ღამეზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს ათი დღე-ღამის დატოვებისას, ხოლო ფაქტობრივად აღნიშნული დანაშაული დაუმთავრებული იქნება, ვიდრე არსებობს კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვალდებულება (კერძოდ, სამხედრო წვევამდელად პირი ითვლება 27 წლამდე); 2) დანაშაულები, რომელთა იურიდიულად დამთავრება კანონით დადგენილ ვადებს არ უკავშირდება და ქმედების განსორციელების მომენტიდან დამთავრებულად ითვლება, ხოლო ფაქტობრივად დამთავრებულად ითვლება კანონით განსაზღვრული მომენტიდან. მაგალითად, სსკ-ის 356-ე მუხლით (წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება) გათვალისწინებული და-

ნაშაული იურიდიულად დამოკიდებულად ითვლება წეგვამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებიდან, ხოლო ფაქტობრივად დასრულებულად ითვლება წეგვამდელის მიერ 27 წლის ასაკის მიღწევიდან; 3) დანაშაულები, რომელთა იურიდიულად და ფაქტობრივად დამოკიდებული არ არის გარკვეულ ვადებთან. იურიდიულად აღნიშნული ტიპის დანაშაულები დამთავრებულად ითვლება ქმედების განხორციელების მომენტიდან, ხოლო ფაქტობრივად წყდება ან საკუთარი ნებით ან მისგან დამოუკიდებელი გარემოების გამო, რომელიც ორი სახის შეიძლება იყოს: პირველი დაკავშირებულია იურიდიულ ხდომილებასთან, ხოლო მეორე უკავშირდება ადამიანის ნებას. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა იურიდიულად დამთავრებულია მისი უკანონოდ შენახვის მომენტიდან, ხოლო ფაქტობრივად შეიძლება შეწყდეს იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებით, ან დამნაშავის გარდაცვალებით ან იარაღის დაკარგვით (იურიდიული ხდომილება). დაბოლოს, იარაღის ჩამორთმევით.

განგრძობადი დანაშაული დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიზნად დასახული საბოლოო შედეგის მიღწევის მომენტიდან. მაგალითად, თუ დამნაშავეს სურს ავტომობილის აწყობა და მისი შემდგომი რეალიზაცია, რისთვისაც მას ქარხნის ტერიტორიიდან გამოაქვს ავტომობილის ნაწილები, მის მიერ ჩადენილი დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მისთვის სასურველი უკანასკნელი დეტალის გამოტანის მომენტიდან.

ერთიანი რთული შემადგენლობის ნაირსახეობას წარმოადგენს დანაშაული ალტერნატიული ქმედებით და ალტერნატიული შედეგით, რომელიც დამთავრებულად ითვლება დისპოზიციაში მითითებული ერთ-ერთი ქმედების ან შედეგის განხორციელების მომენტიდან. მაგალითად, სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) დამთავრებულად ჩაითვლება აღნიშნული მუხლის დისპოზიციაში მითითებულ ნივთიერებათა ან დამზადების, ან შეძენის და სხვა მოხსენიებულ ქმედებათაგან ერთ-ერთის განხორციელების მომენტიდან. ხოლო სსკ-ის 117-ე მუხლის მიხედვით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება დამთავრებულად ითვლება ერთ-ერთი შედეგის განხორციელების შემდეგ.

რაც შეეხება ერთიანი დანაშაულის სხვა სახეებს, მათი დამთავრების მომენტი არავითარი სპეციფიკურობით არ გამოირჩევა, ამიტომ მათზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

მაშასადამე, დანაშაულის იურიდიულად დამთავრებულად მიჩნევისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ დანაშაულის შემად-

გენლობის ტიპი, რომელსაც კანონმდებელი ქმნის მის წინაშე დასმული მიზნების რეალიზაციისათვის. დანაშაული, რომ დამთავრებულად ჩაითვალოს, აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის განხორციელება. ამასთან, დამთავრებული დანაშაულის ცნება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს გულისხმობს, რადგან არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი და გაუფრთხილებლობითჩადენილი დაუმთავრებელი დანაშაული ურიდიულად წარმოუდგენელია.

§3. დანაშაულის მომზადება

დაუმთავრებელი დანაშაულის ერთ-ერთ სახეს მომზადება წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა". მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, წინა სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, დასჯადად აცხადებს მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებას. ამგვარი პოზიცია აიხსნება შემდეგი მოსაზრებების გამო: პირველი, დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება საკმაოდ შორსაა დანაშაულის ბოლომდე მიყვანამდე, ამიტომ მომზადება არ ქმნის ობიექტის დაზიანების რეალურ საფრთხეს, რის გამოც ეს ეტაპი მცირე მნიშვნელობისაა. მეორე, მომავალში დანაშაულის ჩადენისათვის პირის მიერ გარკვეული საქმიანობა ხშირად არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს, ანუ დამნაშავეს ჯერ კიდევ არა აქვს დასუსტებული სამოქმედო გეგმა. მაგალითად, თუკი პირი მოამზადებს ხელსაწყოებს, რომ შემდეგ შეკვეთის მიღებისას გააყალბოს დოკუმენტები, არ იძლევა საფუძველს პირის მიმართ გამოვიყენოთ სისხლისსამართლებრივი რეპრესია. მიუხედავად ამისა, კანონმდებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვისას ადარ ელოდება მისთვის უშუალო საფრთხის შექმნის მომენტს და ამ მოსაზრებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებას დასჯადად აცხადებს. ამასთან, მომზადების სრული დაუსჯელობა სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ფარგლებს გარეთ დატოვებდა უშედეგო ვაქცებას და დახმარებას, რომელიც დანაშაულის ხასიათნად პირობების განზრახ შექმნად ითვლება.

კანონმდებელი არ აკეთებს სანიმუშო ჩამონათვალს, რაშიც შეიძლება გამოიხატოს მოსამზადებელი მოქმედება, არამედ მხოლოდ იყენებს განზოგადებულ ცნებას – „პირობების განზრახ შექმნა". პირობების

შექმნა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვავოთ განზრახვის გამომჟღავნებისაგან. განზრახვის გამომჟღავნება შეიძლება გამოიხატოს გამოთქმით, წერილობით ან ჟესტიკულაციით, მაგრამ მას თან არ უნდა ახლდეს ქმედება, რომელიც დამნაშავის განზრახვის სისრულეში მოყვანის ერთ-ერთ აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს. რამდენადაც ჭართული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ანუ კრიმინალიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგნულად გამოხატული ქმედება, ამდენად განზრახვის გამომჟღავნების დასჯადობის აღიარება დემოკრატიულ პრინციპებზე ხელის აღება იქნებოდა. სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება მუხლები, რომლებიც ერთი შეხედვით განზრახვის გამომჟღავნებას ჰგავს (მაგალითად, სსკ-ის 150-ე (იძულება) და 151-ე (მუქარა) მუხლები). მუქარა (რომელიც იძულების განხორციელების ხერხადაც გვევლინება) განზრახვის გამომჟღავნება არ შეიძლება იყოს, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მუქარა ყოველთვის მისაწვდომია იმისათვის, ვისაც ემუქრებიან, ხოლო სხვა დანაშაულის ჩადენის განზრახვა შეიძლება მუქარის ობიექტისათვის არც იყოს მისაწვდომი.

ადამიანის მოკვლის განზრახვის გამომჟღავნება, რომელიც წინ უსწრებს მკვლელობას, შეიძლება დაზარალებულისათვის არც იყოს მისაწვდომი. მუქარის დროს დამნაშავე ყოველთვის ცდილობს მისმა მუქარამ მიაღწიოს დაზარალებულამდე. მეორე, მუქარის ობიექტი ყოველთვის არის ადამიანის უფლება და თავისუფლება, რომელიც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ან საკუთრების უსაფრთხოებას გულისხმობს. ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის განზრახვა სწორედ იმ სამართლებრივ სიკეთეს უპირისპირდება, რაც პირის მიზანს შეადგენს.

მოსამზადებელი საქმიანობა სხვადასხვა ქმედებით შეიძლება გამოვლინდეს, რაც დამოკიდებულია არა მარტო დანაშაულის ობიექტურ ბუნებაზე, არამედ მისი განხორციელების კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ მრავალ ფაქტორზე, რომელიც ობიექტური, ან სუბიექტური ხასიათის შეიძლება იყოს. განვიხილოთ აღნიშნული დებულება სსკ-ის 228-ე მუხლის (მკობრეობა) მაგალითზე. მკობრეობის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე მისი განხორციელება ამსრულებლის მიერ მხოლოდ წყალში მყოფ მცურავ საშუალებაზე შეიძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყლის ტერიტორიაზე მისვლა ამსრულებლისათვის აუცილებელია დანაშაულის ჩასადენად. მკობრეობის ჩასადენად დამნაშავეს შეიძლება დასჭირდეს ნავის შეძენა, იარაღის დამზადება, თანამზრახველების მოძებნა, რაც ყოველთვის შექმნილ ვითარებაზეა დამოკიდებული. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მოქმედებანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად, თუ მათი განხორციელება სწორედ დანაშაულებრივი განზრახვითაა განპირობებული.

მაგალითად, ხანჯლის დამზადება შეიძლება იყოს როგორც მართლსაწინააღმდეგო. დანაშაულის მომზადებაა თუ ხანჯალს პირიქნება ამზადებს ადამიანის მოკვლის მიზნით.

დანაშაულის ნადენის გაადვილების მიზნით ხშირია დანაშაულის თანამონაწილეობით განხორციელება. ბუნებრივად ისმის კითხვა: გამოირჩევა, თუ არა რაიმე სპეციფიკურობით თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედებანი ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებებისაგან მომზადებისა და მცდელობასთან მიმართებით? ამგვარი სპეციფიკურობა განპირობებულია თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ამსრულებელზეა დამოკიდებული. მაგალითად, ა-მ წააქეზა ბ. მოეკლა ს., ხოლო რ.-მ ბ-ს გადასცა იარაღი მკვლელობისათვის. ბ-ს ნასროლი ტყვია ასცდა ს-ს. ამსრულებელი ბ. და თანამონაწილეები ა. და რ. დაისჯებიან მკვლელობის მცდელობისათვის. მაგრამ თუ ბ. მკვლელობას არ განახორციელებს, მაშინ ა. და რ. წაქეზების მცდელობისა და დახმარების მცდელობის გამო (როგორც უშედეგო მოქმედებები) დაისჯებიან მკვლელობის მომზადებისათვის, რადგან არც ერთის მოქმედება არ შედის მკვლელობის შემადგენლობაში. დანაშაულის შემადგენლობას თავიდან ბოლომდე მხოლოდ ამსრულებელი ასრულებს. ამიტომ თანამონაწილეთა მოქმედება არ შეიძლება პირობების განზრახ შექმნის ფარგლებს გასცდეს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვხვდება ისეთი დანაშაულის შემადგენლობანიც, რომელიც თანამონაწილის მოსამზადებელ მოქმედებას დამოუკიდებელ დანაშაულად აცხადებს. მაგალითად, ა-მ ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა იმ მიზნით, რომ ბ-ს მკვლელობაში დახმარებოდა. ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა უკვე დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, რომელიც თავის მხრივ ამ მაგალითში, მკვლელობის მომზადებას წარმოადგენს. ამრიგად, მოსამზადებელი ქმედებები შეიძლება გამოიხატოს იარაღის, საშუალების ან რაიმე საგნის დამზადების, შეძენისა და მოპოვებაში, დაბრკოლებათა თავიდან აცილებას, პირთა შორის შეთანხმების მიღწევასა და სხვა მისთ. ქმედებებში. მაგალითად, ქურდობის ნასადენად – სიგნალიზაციის გამორთვა, მკვლელობისათვის – იარაღის შეძენა, საპატიმრო ადგილიდან გაქცევისას – გვირაბის გათხრა და ა.შ.

მომზადების საკანონმდებლო დეფინიციიდან შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს დანაშაულის განხორციელება ჯერ კიდევ არ არის დაწყებული. „...დანაშაულის ნადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“, ერთი შეხედვით, იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ პირობების შექმნა დანაშაულის ფარგლებს გარეთ მოიაზრება. მაგრამ სწორი იქნება,

თუ ვიტყვით, რომ კანონმდებელი აქ („დანაშაულის ხადენისათვის“) გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობას ვიწრო გაგებით. პირობები განზრახ იქმნება სწორედ ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად.

ადამიანის საქმიანობა გარკვეული მიზნის მისაღწევად თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დანაშაულის ხასადენად ხშირად საჭიროა არა ერთი, არამედ რამდენიმე პირობის არსებობა. კანონმდებელი შემთხვევით არ ხმარობს სიტყვა „პირობას“ მრავლობითში მომხადების ცნების განმარტებისას, რამდენადაც მომზადება დასრულებულად უნდა ხაითვალოს რამდენიმე ქმედების განხორციელებით, რაც საბოლოოდ დანაშაულის განსახორციელებლად პირობათა ერთობლიობას ქმნის. მაშასადამე, მომზადება შეიძლება იყოს ორი სახის: დამთავრებული და დაუმთავრებელი. მაგალითად, ბანკში შეღწევისათვის სიგნალიზაციის გამოსართავად შეიძლება საჭირო იყოს რამდენიმე ოპერაციის განხორციელება, ვთქვათ, ორი ან მეტ ადგილზე სიგნალიზაციის გამოსართავი კოდის შეყვანა. შეიძლება ბოროტმოქმედებმა დაბრკოლებათა გადასალახად ბანკის თანამშრომლებს საჭმელში ძილის წამალი შეურიონ და ა.შ. თუ რომელიმე პირობას ვერ განახორციელებენ, მაშინ ადგილი ექნება დაუმთავრებელ მომზადებას. ასეთ დაყოფას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულებრივი ქმედების ობიექტურად განსხვავებულ ეტაპებს. ამიტომ ობიექტისათვის შექმნილი საფრთხის სხვადასხვა დონის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაციაც უნდა მოხდეს.

§4. დანაშაულის მცდელობა

დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე და, მომზადებასთან შედარებით, უფრო საშიშ სახეს მცდელობა წარმოადგენს. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახ ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ხასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. დანაშაულის მცდელობას, როგორც დანაშაულებრივი ქმედების მეორე სტადიას, აქვს მისთვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, რომლებიც საშუალებას იძლევა დანაშაულის მცდელობა განვასხვავოთ დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულისაგან. დანაშაულის მცდელობა დანაშაულის

მომზადების და დამთავრებული დანაშაულის შეალედური რგოლია. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა იმ დანაშაულის მცდელობა შეიძლება, რომელიც მომზადების სტადიას გაიარის, ანდა, ყველა იმ დანაშაულის მომზადება შეიძლება, რომლის მცდელობაც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, სრულიად წარმოუდგენელია აფექტში ნადენილი მკვლელობის მომზადება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია. აღნიშნულ და სხვა დანაშაულის თვრიდიულ ბუნებას, რომლის მომზადება და მცდელობაც არ შეიძლება, დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსში. ჩვენ არ შევწერდებით გრამატიკულ ცვლილებებზე. ყურადღებას გავამახვილებთ თვრიდიული ხასიათის ცვლილებაზე, რომელიც მოქმედი სსკ-ში მცდელობის საკანონმდებლო დეფინიციის დირსებად უნდა ჩაითვალოს. მცდელობის ერთ-ერთი კონსტიტუციური ნიშანი ისაა, რომ დანაშაული არ მთავრებულა სისრულეში ანუ არ დგება დანაშაულებრივი შედეგი. წინა სსკ-ის 17-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული იყო: „...თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.). მაშასადამე, მცდელობას მხოლოდ მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ შედეგი სწორედ დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დადგა, ხოლო თუ დამნაშავის მიზანმიმართული ქმედება შეფასდებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, მაშინ ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ არც მცდელობას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა.

მოქმედი სსკ-ის 19-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადარაფერს ამბობს იმაზე, თუ კინ, ან რამ განაპირობა შედეგის არ დადგომა. ამგვარი პოზიცია მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან საკითხის სწორად დასმა მოითხოვს ერთმანეთისაგან განვასხვაოთ დასჯადი და არადასჯადი მცდელობა. სწორედ ამ კუთხით საკითხის განუხილველობამ შეიყვანა შეცდომაში წინამორბედი სსკ-ის კანონმდებელი და ათქმევინა, რომ თუ ქმედება არ ისჯება, მაშინ არც მცდელობაზე არ შეიძლება საუბარი. რეალურად საქმის ვითარება სულ სხვაგვარად არის. კერძოდ, როგორც მომზადებას, ისე მცდელობას ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით არ დადგა დანაშაულებრივი შედეგი. მეორე საკითხია უნდა დაისაჯოს თუ არა ადამიანი. მაგალითად, თუ ა-მ დაუმიზნა თოფი ბ-ს მოკვლის მიზნით, მაგრამ პოლიციამ დროულად განაიარაღა, ა. დაისჯება მკვლელობის მცდელობისათვის, ხოლო თუ ა-მ ნებაყოფლობით აღარ განახორციელა გასროლა, მაშინაც ადგილი

აქვს მცდელობას, მაგრამ ამ მცდელობის დაუსჯელობას განაპირობებს სისხლის სამართალში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა. წინა სსკ-ით კი ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ შეიძლება გვესაუბრა მცდელობის არსებობაზე, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასმული პრობლემისადმი არასწორი მიდგომის შედეგია.

თუკი დანაშაულის მომზადებისას იქმნება პირობები დანაშაულის ჩასადენად, დანაშაულის მცდელობისას უკვე იწყება ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს უშუალო საფრთხე ექმნება. სწორედ, უშუალო საფრთხე არის მცდელობის ის კონსტიტუციური ნიშანი, რომელიც მას განასხვავებს მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულისაგან. საფრთხის შინაარსის გარკვევა მიზანშეწონილია ისეთი ფილოსოფიური კატეგორიების საფუძველზე, როგორიცაა შესაძლებლობა და სინამდვილე. აღნიშნული კატეგორიები არსებობის განსხვავებული ტიპებია. თუ შესაძლებლობა არსებობს ნაწილობრივ, ტენდენციის ანუ ალბათობის გარკვეული ხარისხის შემცველ სინამდვილედ გადაქცევის ფორმით, სინამდვილე ვიწრო გაგებით არსებობს განხორციელებული სახით.

შესაძლებლობის ორი სახე არსებობს: ფორმალური და რეალური. სისხლის სამართალს აინტერესებს რეალური შესაძლებლობის კატეგორია, რომელსაც სინამდვილედ გადაქცევის რეალური კანონზომიერებანი უდევს საფუძვლად. რეალური შესაძლებლობა, თავის მხრივ, ორი სახისაა: აბსტრაქტული და კონკრეტული. აბსტრაქტული რეალური შესაძლებლობისას ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობები, რომელიც მას სინამდვილედ გადააქცევს, ხოლო კონკრეტული რეალური შესაძლებლობისას არსებობს ქმედითი, კონკრეტული პირობების ერთობლიობა, რომელმაც შესაძლებლობა ალბათობის მაღალი ხარისხით სინამდვილედ უნდა აქციოს. აქედან დასკვნა, რომ საფრთხე მით უფრო ქმედითია, თუ იგი სინამდვილედ გადაქცევის რეალური კონკრეტული შესაძლებლობის პირობებს შეიცავს.[1]

დანაშაულის მცდელობისას სამართლით დაცულ ობიექტს ექმნება რეალური საფრთხე, რამდენადაც ადამიანი უკვე ახორციელებს მის მიერ ნაფიქრებული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული დანაშაულის ობიექტურ მხარეს, რადგან ამ თვალსაზრისით ერთი და

[1] შესაძლებლობის სუბიექტურ-იდეალისტური გაგების კრიტიკა და მისი განსაზღვა დიალექტიკურ-მატერიალისტურ დაყრდნობით იხილეთ თ. წურწუმელთან. დასახ. ნაშრომი. გვ. 102-117.

იგივე მოქმედება შეიძლება იყოს ან არ იყოს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნაწილი. ამიტომ ნადენილი ქმედება სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს ან მომზადებად ან მცდელობად. მაგალითად, ბინაში შეღწევა ქურდობის მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობად, მაგრამ იგივე მოქმედება მკვლელობის მიზნით ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად.

კანონმდებელი მცდელობის განსაზღვრისას მიუთითებს „დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობაზე“, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ დანაშაულებრივი შედეგის გარდა ადამიანმა ყველაფერი განახორციელა, არამედ შესაძლებელია ქმედება სრული მოცულობით არ ჰქონდეს შესრულებული. მაგალითად, თუ დამნაშავის ნასროლი ტყვია დაზარალებულს ასცდა, შედეგის გარდა მკვლელობის შემადგენლობის ობიექტური მხარის ყველა ნიშანი განხორციელებულია, ე.ი. ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას, მაგრამ თუ თოფის დამიზნებისას მას იარაღი წაართვეს, მკვლელობის შემადგენლობაში სრულიად არ განხორციელებულა შედეგი და ნაწილობრივ არ შესრულებულა ქმედება, რადგან დამნაშავეს ხელი არ გამოუკრია სასხლეტისათვის, ე.ი. სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, დანაშაულის დამთავრების მომენტის განსაზღვრა მის საკანონმდებლო კონსტრუქციაზეა დამოკიდებული. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ „დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობაზე“, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს დანაშაული შედეგიანი თუ შედეგგარეშე შემადგენლობითაა ასახული სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, ვინაიდან მკვლელობა შედეგიან დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, მანამდე შეგვიძლია ვისაუბროთ მის მომზადებასა ან მცდელობაზე, ვიდრე სიკვდილი არ დადგება, ე.ი. ვიდრე მკვლელობა ბოლომდე არ განხორციელებულა. შედეგგარეშე დანაშაულის მცდელობისას ადგილი აქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნაწილობრივ განუხორციელებლობას. მაგალითად, გაუპატიურების მცდელობად დაკვალიფიცირდება ქმედება, თუ ბოროტმოქმედმა ვერ შეძლო სქესობრივი აქტის დამყარება.

ადამიანის განზრახვის მიმართულების მართებულად გადაწყვეტას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება „დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობის“ დასადგენად იმდენად, რამდენადაც განხორციელებული ქმედება შესაძლებელია შეიცავდეს დანაშაულის შემადგენლობას დარღვებული სახით, მაგრამ პიროვნების მიზნის განსაზღვრა შესაძლებელს ხდის ვამტკიცოთ, რომ ადგილი აქვს არა დამთავრებულ დანაშაულს, არამედ დანაშაულის მცდელობას. მაგალითად, ა-მ ესროლა ბ-ს, რის შედეგადაც ბ-ს სხეული მძიმედ დაუზიანდა. სწორი კვალიფი-

კაციისათვის აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნით მოხდა გასროლა, რადგან თუ დადგინდება, რომ ა.-მ ბ-ს ესროლა მოკვლის მიზნით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობად და არა დამოუკიდებელ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად.

დაუმთავრებელი დანაშაულისას განსრახვა არავითარი სპეციფიკური თავისებურებებით არ გამოირჩევა დამთავრებული დანაშაულისას არსებული განსრახვისაგან. რადგან პიროვნების მიზანი მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, ამიტომ იგი უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს. მაგალითად, თუ ბოროტმოქმედმა არ იცის ქალის ორსულობა და მას მოკვლის მიზნით ცარიელიდან ესვრის, მაგრამ დაზარალებული გადარჩება, ქმედება დაკვალიფიცირდება არა ორსული ქალის მკვლელობის მცდელობად, არამედ ქალის მკვლელობის მცდელობად. ასევე შეიძლება ითქვას მიზანსობრივ კავშირზეც. „მიზანსობრივი კავშირის გათვალისწინება, – წერს თ. წერეთელი, – არ გულისხმობს მისი ყოველი რგოლის დეტალურად წინასწარ განჭვრეტას. განზრახვის დროს პირი უნდა ითვალისწინებდეს მიზანსობრივი კავშირის განვითარების ძირითად მომენტებს.

თუ ასეთი სახის გათვალისწინებას ადგილი არა აქვს, არ შეიძლება ვილაპარაკოთ განზრახვაზე კონკრეტულად განხორციელებული შედეგის მიმართ. მაგალითად, თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა თავის მტერს და დაჭრა იგი, ხოლო ეს უკანასკნელი დაიღუპა საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის გამო, აქ არა გვაქვს მავნე შედეგის გათვალისწინება... მაშასადამე, პირმა შეიძლება პასუხი აგოს არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის“.[1]

განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი, როგორც ცნობილია, არის მართლწინააღმდეგობის შეგნება. ამიტომ, ამ უკანასკნელის არარსებობა გამორიცხავს ადამიანის დანაშაულებრივ განზრახვას, რაც იმას, ნიშნავს, რომ არც დანაშაულის მცდელობაზე შეიძლება მსჯელობა. მაგალითად, თუ ა.-ს ჰგონია, რომ საკონყურენციო დარბაზში დალაგებული წიგნებიდან ერთ-ერთის წაღება ნებადართულია და წიგნის გატანისას მას წიგნს ჩამოართმევენ, არ შეიძლება მისი ქმედება დანაშაულის მცდელობად შეფასდეს.

განზრახვის მიმართულების საკითხი დეტალურად უნდა შეფასდეს იურიდიული და ფაქტობრივი შეცდომის ინსტიტუტთან მიმართებაშიც, ამ საკითხზე ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით. რადგანაც ამის შესახებ საუბარი იქნება შესაბამის თავებში.

[1] თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ. გვ. 137.

ამრიგად, იმის დასადგენად, დანაშაული დამთავრებულია თუ დაუმთავრებელი, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის განზრახვას, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნებს მოიცავდა.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა შესრულებული შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება, მცდელობა ორი სახისაა: დაუმთავრებელი და დამთავრებული. ამგვარ დაყოფასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის თეორიაში ორი საკითხი ისჭრება თავს: პირველი, გამართლებულია თუ არა მცდელობის აღნიშნულ სახეებად დაყოფა და თუ შესაძლებელია, აქვს თუ არა მას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა. მეორე, მცდელობის დამთავრებულ და დაუმთავრებელ სახეებად დაყოფას ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმი უნდა დაედოს საფუძვლად.

ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობა რთული პროცესია, რომელიც განვითარების განსხვავებულ ეტაპებს მოიცავს. გამონაკლისს ამ მხრივ არც დანაშაულის განხორციელება წარმოადგენს, რომელიც უმეტესწილად მრავალ დანაშაულებრივ ქმედებებს აერთიანებს. სწორედ ამ ქმედებებზე დაყრდნობით გამოიყოფა სისხლის სამართლის თეორიაში დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა. პრაქტიკული თვალსაზრისით მცდელობის ამგვარ სახეებად დაყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის დანიშვნის დროს. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებელი სამართალშემფარდებლისაგან მოითხოვს სასჯელის დანიშვნისას სხვა გარემოებებთან ერთად გაითვალისწინოს „...მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი...“. ე.ი. მოსამართლემ კანონით დადგენილ ფარგლებში უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა დანიშნოს დაუმთავრებელი მცდელობისათვის დამთავრებულ მცდელობასთან შედარებით, რადგან სამართლით დაცულ სიკეთეს დაუმთავრებელი მცდელობისას უფრო ნაკლები საფრთხე ექმნება.

ჩვენი აზრით, მცდელობის სახეებად დაყოფას საფუძვლად ობიექტური კრიტერიუმი უნდა დაედოს, რადგან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები არა ადამიანის სუბიექტური მოსაზრებანი, თუ როდის თვლის იგი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისათვის მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს საკმარისად, არამედ რეალურად ჩადენილი ქმედებები, რომელიც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობასთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს ან დაუმთავრებელ ან დამთავრებულ მცდელობად.

მაშასადამე, დაუმთავრებელი მცდელობისას ჯერ კიდევ არ არის ყველა მოქმედება შესრულებული, რამაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა გამოიწვიოს. მაგალითად, მკვლელმა იარაღი დაუმიზნა, მაგრამ ადარ ესროლა მსხვერპლს,ბოროტმოქმედმა ნავთი მიასხა მანქანას,მაგრამ ცეცხლი ადარ წაუკიდა და ა.შ.

დამთავრებულია მცდელობა, როდესაც შესრულებულია ყველა ის მოქმედება, რაც ტიპურად დანაშაულებრივ შედეგს იწვევს, მაგრამ შედეგი არ დგება ამა თუ იმ ხელშემშლელი გარემოების გამო. შესაძლებელია დაისვას კითხვა: თუკი დანაშაულის შედეგი არ დადგა,მაშინ რა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ყველა მოქმედებაა შესრულებული დანაშაულებრივი შედეგის დასადგომად? მაგალითად, მსხვერპლი გასროლილი ტყვიისაგან იმიტომ გადარჩა, რომ მას ბოროტმოქმედმა კარგად ვერ დაუმიზნა, ან დაზარალებულს „პორტსიგარის" კოლოფში მოხვდა ტყვია, ან მან გადახტომა მოასწრო. ამ მაგალითის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეს ყველაფერი არ გაუთვლია წინასწარ, ანუ ყველაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ აღნიშნული დაბრკოლებები აეცილებინა თავიდან. ამგვარ შეკითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით: პირველი, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ყველაფერს აკეთებს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, იმისათვის, რომ შედეგი დადგეს, მაგრამ შედეგი არ დგება. მაგალითად, ა.-მ ცეცხლი წაუკიდა სახლს და მაშინვე ჩააქრო. მეორე, სიტყვაში „ყველაფერი გააკეთა" იგულისხმება, რომ ასეთი მოქმედებები ტიპურად იწვევს დანაშაულებრივ შედეგს. მაგალითად, ა.-მ საკონცერტო დარბაზის აფეთქების მიზნით შენობაში შეიტანა ბომბი, მაგრამ ბომბის მექანიზმი დანიშნულ დროს არ ამოქმედდა.

ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „ე.წ. ფორმალურ დანაშაულთა დროს თითქოს შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობა; თუ სუბიექტის მიერ მოქმედება,რომელიც თავისთავად დასჯადია, უკვე შესრულებულია, აღგილი ექნება დამთავრებულ დანაშაულს"[1]

სინამდვილეში ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დანაშაულებშიც შეიძლება აღგილი ჰქონდეს დამთავრებულ მცდელობას. მაგალითად ა. დაჭირდა ბ.-ს,რომ მის მიერ მოცემულ ქრთამს მიუტანდა თანამდებობის პირს,მაგრამ ა.-მ ქრთამის სახით მისაცემი თანხა მითვისა.

ტრადიციულად სისხლის სამართლის თეორიაში ცალკე განხილვის საგანია ე.წ. „უვარგისი მცდელობის" პრობლემა,რომელსაც გერმა-

[1] იხ. ო. წერეთელი,დასახ. ნაშრ. გვ. 153.

ნულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში პირველად დიდი ყურადღება ა. ფოიერმახმა დაუთმო.

ტერმინი „უვარგისი მცდელობა“ საკმაოდ პირობითია, რამდენადაც ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მცდელობის სტადიაზე შეწერდა, „უვარგისია“ ფართო გაგებით შედეგის გამოუწვევლობის გამო. ჩვენი აზრით, „უვარგის მცდელობას“ სისხლისსამართლებრივი გაგებით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განხორციელებულ ქმედებას თავიდანვე არ გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში სინამდვილედ გადაქცევის შინაგანი ტენდენცია. მაგალითად, დაზიანებული იარაღის კაცისათვის დამიზნებას და ჩახმახისათვის თითის გამოკვრას დასაწყისშივე არ ძალუძს სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა გადააქცეოს სინამდვილედ ანუ გამოიწვიოს სიკვდილი.

„უვარგისი მცდელობა“ თავისი ბუნებით უკავშირდება ფაქტობრივი შეცდომის ინსტიტუტს, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება. ამისდა შესაბამისად, უვარგისი მცდელობის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს მცდელობა უვარგის ობიექტზე. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამგვარ მცდელობას უწოდებენ უვარგის საგანზე მცდელობას[1] ან არარეალურ ობიექტზე მცდელობას[2]. უფრო მისაღებია ტერმინი „უვარგის ობიექტზე“ მცდელობა, რადგან დანაშაული ურიდიული გაგებით ხელყოფს სამართლებრივ სიკეთეს და არა საგანს. რაც შეეხება ტერმინს „არარეალური ობიექტი“, მიუღებელია იმ თვალსაზრისით, რომ ობიექტი, ანუ სამართლებრივი სიკეთე შეიძლება არსებობდეს რეალური ფორმით.

„უვარგის ობიექტზე“ მცდელობისას ხელმყოფი მცდარად აღიქვამს თავდასხმის ობიექტს. მაგალითად, ა.-მ გაიტაცა საბრძოლო მასალა, რომელიც სინესტის გამო საერთოდ უვარგისი იყო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. მეორე მაგალითი: თუ ბ. ესვრის გვამს, რომელიც ცოცხალი ეგონა, ქმედება უნდა შეფასდეს მცდელობად.

უვარგისი ობიექტისაგან უნდა გავმიჯნოთ ადგილზე არმყოფი ობიექტი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სუბიექტი თავდასხმას ახორციელებს მისი წარმოდგენით სასურველ ობიექტზე, რომელიც სინამდვილეში ხელყოფის ადგილზე არ არის. მაგალითად, ავტომანქანის გატაცების მიზნით გარაჟის გახსნა, სადაც ავტომანქანა არ აღმოჩნდა. სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც ბოროტმოქმედი

---

[1] Курс советского уголовного права. Часть 3. изд. Ленинградского университета, том I, 1968, გვ. 566

[2] იხ. მაგ.: **Дурманов Н.Д.** Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, გვ. 153.

აფეთქებს სახლს ადამიანის მოკვლის მიზნით, მაგრამ დაზარალებული სახლში არ აღმოჩნდება. ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაში, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქმედება შესაბამისი დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდეს.

როდესაც ვსაუბრობთ უვარგისი საშუალებით მცდელობაზე, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „საშუალება“ ფართო გაგებით მოიაზრება და გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაულის ჩასადენად გამოიყენება არამარტო ისეთი საშუალება სისხლისსამართლებრივი გაგებით, არამედ იარაღი, საგანი, მეთოდი თუ მოქმედება, რომელსაც ობიექტურად არ შეუძლია დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა. იმისდა მიხედვით, გამოყენებული საშუალებით კონკრეტულ ვითარებაშია შეუძლებელი, თუ საერთოდაა შეუძლებელი მოცემული დანაშაულის განხორციელება, „უვარგისი საშუალება“ ორი სახისაა: „აბსოლუტურად უვარგისი“ და „შეფარდებით უვარგისი“. ასეთ დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. აბსოლუტურად უვარგისია საშუალება, თუ მას არა მარტო მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, არამედ საერთოდ არ ძალუძს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა. აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენება არათუ საფრთხეს არ უქმნის სამართლით დაცულ ობიექტს, არამედ დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნადაც არ შეიძლება შეფასდეს. მაშასადამე, აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენება მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ისჯება. სწორედ ამ შემთხვევას გულისხმობს სსკ-ის მე-20 მუხლი, რომელიც სიახლეს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. აღნიშნული მუხლის თანახმად: „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი“.

აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით მცდელობის დაუსჯელობის მიზანშეწონილობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ხელყოფა მოკლებულია მართლსაწინააღმდეგობას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, უვარგისი საშუალების გამომყენებელი არაა საშიში პიროვნება, რადგან გამორიცხული არ არის მან მომავალში დანაშაულის ჩასადენად სავსებით ვარგისი საშუალება გამოიყენოს. სსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით უვარგისი საშუალების გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ან პირის უმეცრებით ან სხვა პიროვნული ნაკლით. პირის

უმეცრებაში იგულისხმება არა მარტო საერთოდ გაუნათლებლობა და გაუთვითცნობიერებლობა, არამედ გარკვეული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული უვიცობაც. მაგალითად, 3 კმ-ის სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავისათვის სანადირო თოფის სროლა მისი ჩამოგდების მიზნით, ანდა ცოლი ტახტზე წამოწოლილ ქმარს ბალიშს ესვრის მოკვლის მიზნით. პირთვნების უმეცრებას მიაწერენ შემთხვევას, თუ მოკვლის განზრახვით ადამიანს დაწყვლიან.

პირთვნულ ნაკლში იგულისხმება არა მარტო ფსიქიკური მდგომარეობის გამო გამოწვეული შეურაცხაობა, არამედ სხვა პირთვნული თვისებებიც, რაც შეუძლებელს ხდის დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, თუ უხინათლო ან უხელო პირი თვითმფრინავში ჩაჯდება მისი გატაცების მიზნით.

შეფარდებით უვარგისი საშუალებით თავდასხმისას პირი იყენებს ისეთ საშუალებას, რომელსაც მოცემული დანაშაულის განხორციელებისას დაკარგული აქვს ის თვისება, რაც ამ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას უზრუნველყოფს. მაშასადამე, აქ საუბარია ისეთ საშუალებაზე, რომლითაც შეიძლება გარკვეული დანაშაულის ჩადენა, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში ეს საშუალება არ იმყოფება ნორმალურ მდგომარეობაში, რის გამოც დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ობიექტურად შეუძლებელი ხდება. მაგალითად, მკვლელობის მიზნით დაუტენავი იარაღის სახსნელტისათვის ხელის გამოკვრა, ანდა კოკისპირული წვიმისას ნათესების გადაწვის მცდელობა.

დანაშაულის მომზადების და მცდელობის გამოყენების სფერო შეუზღუდავი არ არის, რაც ცალკეულ დანაშაულთა თვრიდითული ბუნებითა და მათი განხორციელების ფორმითაა განპირობებული. ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქმედების მართებული კვალიფიკაციისათვის. ამიტომ აღნიშნულ პრობლემას ცალკე პარაგრაფად განვიხილავთ.

§5. ზოგიერთი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის თავისებურებანი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადება და მცდელობა განზრახ შეიძლება განხორციელდეს. მაშასადამე, შეუძლებელია გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში მომზადების ან მცდელობის დასჯა. აღნიშნული მუხლების მიხედვით ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაპირდაპირი განზრახვით საგანებით შესაძლებელია მომზადების ან მცდელობის განხორციელება. თუკი პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმის, გარეგნული მოქმედებების მიხედვით შევადარებთ არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებს, აღმოჩნდება, რომ ყოველი დანაშაული გარკვეული ეტაპების, ანუ ცალკეული მოქმედებებისაგან შედგება. მაგალითად, პირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა შეიძლება განვითარდეს შემდეგნაირად: იარაღის მოძებნა, მისი ხელში აღება, მსხვერპლისათვის დამიზნება, დაბოლოს იარაღის გასროლა, რასაც სიკვდილი მოჰყვა. ანალოგიური ეტაპები შეიძლება ბრალის სხვა სახით განხორციელებულ დანაშაულშიც გამოვყოთ. მაგალითად, ა-ს სურს ბ-ს შეშინება მეგობრული გამასხარავების მიტივით და ამისათვის ა-მ იარაღი მოძებნა, მოიმარჯვა, დაუმიზნა და გაუფრთხილებელი გასროლით ბ-ს სიცოცხლე მოუსპო.

ახლა გამოსარკვევია ის არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლება ეგენტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებლობით, დანაშაულის მომზადება ან მცდელობა. რამდენადაც ადამიანის ნებისმიერი მოქმედება მიზანმიმართულ საქმიანობას წარმოადგენს, ამდენად მისი მისწრაფება ყოველთვის მიმართულია რაიმე შედეგისაკენ, რომლის მიღწევა მის დაკმაყოფილებას იწვევს. ე.ი. ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმისათვის ემზადებოდეს ან იმას ცდილობდეს, რაც მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ამგვარი საქმიანობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვისას შედეგის დადგომამდე ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს შკმე განხორციელებული მოქმედების მიხედვით განვსაზღვროთ, თუ რის მომზადებას ან მცდელობას აქვს ადგილი. ასეთი დასკვნის გამოტანა სრულად შეუძლებელია არაპირდაპირი განზრახვის ან გაუფრთხილებლობისას, სადაც დამდგარი შედეგი სრულად არ შეესაბამება დამნაშავის მიზანს. ეგენტუალური განზრახვისა და თვითმეფდევნებისას დამდგარი შედეგი გათვალისწინებულია

როგორც თანამდევი, ხოლო დაუდევრობისას დამდგარ შედეგს ადამიანი საერთოდ არ ითვალისწინებს. პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას ჩადენილი ქმედების შეფასება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით ხდება, რადგან მანამდე შეუძლებელია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. მაგალითად, თუ ა-ს სურს ხალხმრავალ ადგილზე იარაღის უმისამართოდ გასროლა, ან უგონოდ ნასვამ მძღოლს საჭესთან დაჯდომა და მგზავრების გადაყვანა, მაგრამ არც ერთს ნანაფიქრის განხორციელების საშუალება არ მისცემენ, მაშინ არაპირდაპირი და გაუფრთხილებლობით მომზადებისა და მცდელობის მომხრეებმა უნდა აღიარონ, რომ ამგვარი მოქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს კვალიფიციური მკვლელობის მომზადებად (შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებებით), რადგან დაუმთავრებელი დანაშაულისას კვალიფიკაცია უმძიმესი დანაშაულის მიხედვით ხდება. ამასთან, ამას უნდა დაემატოს სხვა დანაშაულის მომზადებაც, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს შეუქმნა საფრთხე.

ამრიგად, შეუძლებელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმის მომზადება ან ცდა, რაც ადამიანის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევის გზაზე სხვა თანამდევ შედეგებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბოლოო შედეგთან შედარებით, რომელიც ადამიანის მოქმედების შეფასების კრიტერიუმია, რადგან მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ მომზადება და მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

როგორც უკვე აღინიშნა, ქმედების დაუმთავრებელ ან დამთავრებულ დანაშაულად ცნობისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განზრახვის მიმართულებას, რადგან შესაძლებელია ერთი რომელიმე დანაშაულის შემადგენლობა მთლიანად იყოს განხორციელებული, მაგრამ დამნაშავის მიზანზე დაყრდნობით ქმედება დაუმთავრებელ უფრო მძიმე დანაშაულად უნდა შეფასდეს. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი ალტერნატიული განზრახვისას, როდესაც ადამიანი რამდენიმე შედეგს ითვალისწინებს. მაგალითად, ა-მ მთიდან დააგორა ბ. იმ მიზნით, რომ ბ. მიიღებდა ჯანმრთელობის რომელიმე ხარისხის დაზიანებას ან მოკვდებოდა. თუკი ბ. გადარჩება, მიუხედავად მიღებული დაზიანებისა, ქმედება მკვლელობის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

მართალია, მომზადება და მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაპირდაპირი განზრახვით ან წინდახედულობის ნორმის დარღვევით შედეგის დადგომამდე არავითარი საფრთხის შექმნა არ შეიძლება. თუ კანონმდე-

ბელი ამგვარ ქმედებაში რეალურ საფრთხეს ხედავს, მაშინ დანაშაულის შემადგენლობის ახალ კონსტრუქციას ქმნის და შედეგის დადგომამდე დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს. ასეთი გაუფრთხილებელი დანაშაულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 288-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა), რომელიც საფრთხის შემქმნელ დელიქტად გვევლინება. არაპირდაპირი განზრახვით ნადენილი დანაშაულებიდან, ამ მხრივ, მაგალითად გამოდგება სსკ-ის 127-ე მუხლი (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაგდება) ან 128-ე მუხლი (განსაცდელში მიტოვება). ეს მუხლები კანონმდებელმა შექმნა იმ მოსაზრებით, რომ სიცოცხლე საკმაოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეა და ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის გამო სიცოცხლე დაუცველი რჩება. ამიტომ ამგვარი ქმედება უკვე ადრეულ ეტაპზე ისჯება, როგორც დამთავრებული დანაშაული. თუ ასეთ ქმედებას შედეგი მოჰყვა, მაშინ კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ის 108-ე ან 109 მუხლით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არის ისეთი შემადგენლობანიც, რომელთა მომზადება შეუძლებელია დროებითი შეზღუდული შერაცხაობის გამო. ასეთი დანაშაულის შემადგენლობა სულ სამია სისხლის სამართლის კოდექსში. ესენია: განზრახ მკვლელობა უცვარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 111-ე მუხლი), დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 112-ე მუხლი) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უცვარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 121-ე მუხლი). აფექტი ისეთი ემოციური მდგომარეობაა, რომელსაც ადამიანი ხელოვნურად კი არ უქმნის თავის თავს, არამედ იქმნება უცვრად შექმნილი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. მართალია, აღნიშნულ დანაშაულთა მომზადება შეუძლებელია, მაგრამ მცდელობა სრულიად დასაშვებია. მაგალითად, აფექტურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ნახროლი ტყვია ასცდა მსვერპლს.

მომზადებისა და მცდელობის საკითხი ასევე განსხვავებულად წყდება იმ დანაშაულთა მიმართ, რომელთა შემადგენლობების ობიექტურ მხარეთა კონსტრუქცია შეუძლებელს ხდის მომზადებას ან მცდელობას ან დამთავრებულ მცდელობას, ან საერთოდ გამორიცხავს დაუმთავრებელ დანაშაულს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შედეგგარეშე დანაშაულის შემადგენლობაში მომზადების ან მცდელობის დაშვების საკითხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ეტაპიდან ითვლება დანაშაული დამთავრებულად, ვინაიდან სსკ-ის კერძო ნაწილში შედეგგარეშე შემად-

გენლობანი მრავლადაა, აქ ვხვდი დასმული პრობლემების ზოგადი დახასიათებით დავკმაყოფილდებით.

დანაშაულთა შემადგენლობების გარკვეული ნაწილი იმგვარად არის კონსტრუირებული, რომ შეუძლებელია მათი მომზადება და მცდელობა, რადგან ფაქტობრივად მოსამზადებელი მოქმედება შკვე დამთავრებულ დანაშაულს ქმნის. მაგალითად, სსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით აკრძალული ომის დაგეგმვა ან მომზადება ისჯება, როგორც დამთავრებული დანაშაული. ამ ტიპის დელიქტებიდან უნდა გამოვყოთ ისეთი შემადგენლობები, სადაც ქმედებათა ერთობლიობა ქმნის დამთავრებულ დანაშაულს. მაგალითად, ბანდიტიზმის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია, რადგან მის შემადგენლობაში ახახულ სხვა დანაშაულთა მოსამზადებელი ქმედებები შკვე დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს. თუ განხორციელდა ბანდიტიზმის შემადგენლობაში მოცემული ერთ-ერთი მოქმედება, ადგილი ექნება არა ბანდიტიზმის შემადგენლობაში შემავალ მოქმედებას, არამედ რომელიმე სხვა დანაშაულის მომზადებას, რადგან ბანდიტიზმი, როგორც ასეთი, დამნაშავეთა საბოლო მიზანი არ არის. მაგალითად, თუკი შეიქმნება მყარი ბანდა, რამდენიმე ქანაღობის განსახორციელებლად, რომელსაც იარაღი ჯერ არ შეუძენია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ქანაღობის მომზადებად.

ხისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება სხვა ტიპის შკვეცილი შემადგენლობაც, რომლის საკანონმდებლო აღწერილობა მხოლოდ დამთავრებულ მცდელობას გამორიცხავს. მაგალითად, ქაჩაღობა (სსკ-ის 179-ე) თავდასხმის და არა ქონების დაუფლების მომენტიდან ითვლება დამთავრებულად.

რაც შეეხება ისეთ შედეგგარეშე ანუ ფორმალურ შემადგენლობებს, სადაც ქმედების სრულად განხორციელება შედეგსაც გულისხმობს ფართო გაგებით, აქ მცდელობა შეუძლებელია, თუ ქმედების პირველი აქტით დანაშაული დამთავრებულად ცხადდება, მაგალითად, ცრუ დასმენა (სსკ-ის 373-ე მუხლი). ხოლო ისეთ შედეგგარეშე შემადგენლობებში, სადაც დანაშაულს დამთავრებისათვის ქმედების სრულად განხორციელებაა საჭიროებული, როგორც მომზადება, ისე მცდელობა სრულიად შესაძლებელია. მაგალითად, თუ დაზარალებულმა წინააღმდეგობის გაწევით არ მისცა ბოროტმოქმედს გაუპატიურების საშუალება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურების მცდელობად.

შედეგგარეშე შემადგენლობათა რიცხვიდან ცალკე უნდა გამოიყოს წმინდა უმოქმედობის დელიქტები, რომლის დამთავრება დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობით ხდება. მოვალეობის შესრულების მო-

მენტის დადგომამდე ნებისმიერი მოქმედება მხოლოდ პირობებს ქმნის დანაშაულის ჩასადენად, ხოლო მოვალეობის დადგენილი დროისათვის შეუსრულებლობა უკვე დამთავრებულ დანაშაულს ქმნის. სწორედ, ამიტომაა, რომ წმინდა უმოქმედობის დელიქტების მცდელობა გამორიცხულია. მაგალითად, ალიმენტისათვის ჯეროვნად თავის არიდება (სსკ-ის 176-ე მუხლი), განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა (სსკ-ის 381-ე მუხლი) და სხვ.

დანაშაულის მომზადება და მცდელობა წარმოუდგენელია თუ ქმედების დასჯადობა გარკვეული შედეგის დადგომასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სსკ-ის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული მოქმედება არსებითად ხელყოფს ადამიანის უფლებას. გამორიცხულია მცდელობა თუკი კანონმდებელი სსკ-ის შესაბამისი მუხლის კვალიფიციური შემადგენლობით ქმედებას დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს, ხოლო აღნიშნული შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის არარსებობისას ანუ ფაქტობრივად მისი მცდელობისას აღნიშნული ქმედება მუხლის 1-ლი ნაწილით ისჯება. მაგალითად, ასეთია სსკ-ის 131-ე მუხლის მე-2 ნაწილი (სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა).

წარმოუდგენელია ასევე მომზადება და მცდელობა მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, სადაც ყველაზე ნათლად ვლინდება ორმაგი ანუ რთული ბრალი. აღნიშნული ტიპის დანაშაულის შემადგენლობების მიხედვით განზრახვა არსებობს ძირითადი შედეგის (ან ქმედების) მიმართ, ხოლო შედეგი გაუფრთხილებლობით დგება. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით (სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6, მე-8 ნაწილები), გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტი) და სხვ.

სპეციფიკურობით გამოირჩევა განგრძობადი დანაშაული მომზადებისა და მცდელობასთან დაკავშირებით. ფაქტობრივი თვალსაზრისით განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი თითოეული მოქმედება გაივლის მომზადების და მცდელობის სტადიებს. მაგალითად, პიროვნებას განზრახული აქვს კომპიუტერის გატაცება, რისთვისაც იგი ყოველდღე იპარავს კომპიუტერის ნაწილებს, რათა შემდეგ აიწყოს კომპიუტერი. აღნიშნულ მაგალითში ბოროტმოქმედი ყოველი ნაწილის მოპარვისას, რა თქმა უნდა, გაივლის მომზადებისა და მცდელობის სტადიებს. თუმცა, სისხლისსამართლებრივი გაგებით, განგრძობადი დანაშაულის მომზადებას მხოლოდ პირველი აქტის შესრულებამდე აქვს ადგილი, ხოლო მცდელობა გრძელდება საბოლოო მოქმედების დასრულებამდე.

დაბოლოს, საყურადღებოა წინა სსკ-ისათვის უცნობი სსკ-ის 25-ე მუხლი. მოცემული მუხლის მე-7 ნაწილი ეძღვნება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის.

სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით: „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად". კანონის ამ ტექსტში ყველაზე ნათლად ვლინდება, რომ სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა აღიარებს თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, რომლის მიხედვითაც თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამსრულებლის მიერ განხორციელებულ თანამონაწილეებთან შეთანხმებული დანაშაულის მიხედვით, რადგან დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ მხოლოდ ამსრულებელი ასრულებს. სწორედ ამიტომაა, რომ თანამონაწილეთა მიერ შესრულებული მთლიანი საქმიანობა დანაშაულის მომზადების სტადიას ვერ გასცდება, ვიდრე ამსრულებელი არ დაიწყებს დანაშაულის ობიექტური მხარის შესრულებას. ზემოაღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მაგალითად, ა. გაემგზავრა ბ-ს მოსაკლავად, ა-სთან ერთად მკვლელობის თანამონაწილეები პასუხს აგებენ მომზადებისათვის, ხოლო თუ ა.-მ ტყვია ააცილა – ყველა პასუხს აგებს მცდელობისათვის. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მეორე წინადადება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც წამქეზებელი ვერ დაარწმუნებს პირს ჩაიდინოს დანაშაული. ასეთ ვითარებაში წამქეზებლის მცდელობის უშედეგობა განიხილება, როგორც მომზადება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დამხმარესაც მომზადებისათვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მისი დახმარება უშედეგო აღმოჩნდება, ანუ მისი მოქმედება ვერ ჩაერთო მიზეზობრივ კავშირში. მაგალითად, ა-მ იცის, რომ ბ-ს განზრახული აქვს მკვლელობა. მკვლელობის გაადვილების მიზნით ა-მ ბ-ს ყარაულად იარაღი ჩაუდო ჩემოდანში, მაგრამ ბ-მ იარაღი მკვლელობისათვის არ გამოიყენა.

§6. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების მეთოდსაც, რომელიც დამნაშავისათვის სასიკეთო შედეგს იწვევს, თუ იგი კანონით დათქმულ პირობას შეასრულებს. დარწმუნების მეთოდი ე.წ. წამახალისებელ ნორმებშია გათვალისწინებული. წამახალისებელი ნორმები სისხლის სამართალში ორი სახისაა: პირველი, რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება. კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება, ე.წ."პოსტკრიმინალური წამახალისებელი" ნორმა. ეს უკანასკნელი, ქონებრივი ხასიათის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში შენიშვნის სახითაა მოცემული, მაგალითად: თუ პირმა უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი ან სხვა საბრძოლო საშუალება, სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნით გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ საჯაროდ ორგანოებს ნებაყოფლობით ჩააბარებს აღნიშნულ საგნებს და სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის მის ქმედებაში.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი „პოსტკრიმინალური წამახალისებელი" ნორმებისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გამოიყენება ცალკეულ დანაშაულთა მიმართ, რაზეც სისხლის სამართლის კანონში სპეციალურადაა მითითებული, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიყენება ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, სადაც ეს იურიდიულად შესაძლებელია.

სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად„პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი". ამ ნორმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ისევე როგორც დაუმთავრებელი დანაშაულისას არ გვაქვს დანაშაულებრივი შედეგი. თუმცა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დანაშაულის განმახორციელებელი თავადვე სპობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რითაც მთლიანად ქრება განხორციელებული ქმედების სოციალური საშიშროება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც აღინიშნა, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ეს ინსტიტუტი მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. პირველ შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი თავიდანვე სახარგებლოა მართლწესრიგისათვის, მეორე შემთხვევაში, ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაწყებიდან ითვლება არაბრალეულად. რაც შეეხება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, იგი თავიდანვე დანაშაულებრივ ხასიათს ატარებს და მხოლოდ შემდეგ ქარწყლდება მისი მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა.

სახელმწიფო, ანსელმ ფოიერბახის თქმით, ამ ინსტიტუტის დაწესებით დამნაშავეს უგებს „ოქროს ხიდს“, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი შანსია. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმეტესწილად, და არა ყოველთვის, მეტყველებს პირის სახოგადოებრივი საშიშროების არარსებობაზე. მაგალითად, თუ პირი დანაშაულზე ხელს აიღებს იმ მოსაზრებით, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას მთელი სიცოცხლე შეაწუხებს ჩადენილი (ვთქვა ღვთის წინაშე, მაშინ იგი ადარ არის საზოგადოებისათვის საშიში პირი, ხოლო თუ დანაშაულზე ხელის აღების მიტივი იქნება სასჯელის შიში, მაშინ პირი კვლავ რჩება საზოგადოებისათვის საშიშ პირად.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელია სამი პირობის არსებობა: 1) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს განხორციელებული (თუ რიდის ითვლება დანაშაული დამთავრებულად ამაზე ზემოთ იყო საუბარი); 2) ნებაყოფლობითობა და 3) საბოლოობა.

ადამიანის ნებაყოფლობით მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა მიმდინარეობს მისი სურვილის შესაბამისად. თუ მოქმედების გადაწყვეტილებას პირი გარეგანი ფაქტორების იძულების შედეგად იღებს, მაშინ თავისუფალი ძალება გამორიცხულია.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მიტივი შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს. მაგალითად, დაზარალებულის სიბრალული, კანონის შიში, ღვთის შიში, დაზარალებულისადმი სიმპათიით განწყობა და ა.შ. ნებაყოფლობით ხელის აღების გადაწყვეტილება არაა აუცილებელი, რომ თვით დამნაშავეს წარმოეშვას, შესაძლებელია ასეთი ინიციატივა დამნაშავეს გაუღვიძოს მისმა თანამონაწილემ, დანაშაულის შემსწრემ, დაზარალებულმა დ ა.შ. აქ მთავარია ერთი მომენტი: მიზნის

მიღწევაზე უარის თქმის მოტივის ნამოყალიბებისას პირს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მას აქვს ობიექტური შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. მაშასადამე, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი იძულებითია, მაშინ „ნებაყოფლობითობაზე" საუბარი გამორიცხულია. მაგალითად, თუ პატიმარი მომზადებულია გაქცევისათვის, მაგრამ შეიტყობს, რომ საპატიმრო დაწესებულებაში დაცვის გაძლიერებული რაზმი დააყენეს და ამის გამო გაქცევაზე უარს იტყვის, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება. წინააღმდეგობა შეიძლება თვით დანარალებულიდან მომდინარეობდეს. მაგალითად, თუ ა-მ. ბ. ვერ გააუპატიურა, რადგან ბ-ს ფიზიკური ძალადობა ვერ გადალახა, ადგილი აქვს გაუპატიურების მცდელობას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია, თუ დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია ობიექტში ან საგანში შეცდომით. მაგალითად, თუ ა.-ს სურს სამხედრო ტერიტორიიდან საბრძოლო მასალის გატაცება, მაგრამ საწყობში მხოლოდ სამხედრო ტანსაცმელი აღმოჩნდება, სახეზეა მცდელობა.

საგანში შეცდომა, როგორც ცნობილია, არის ორი სახის: თვისობრივი და რაოდენობრივი. პირველი სახის შეცდომა გვექნება, თუ ა. აფთიაქში შევა ნარკოტიკების გატაცების მიზნით, მაგრამ ნარკოტიკის ნაცვლად სხვა სამკურნალო მედიკამენტი აღმოჩნდება. რაოდენობრივ შეცდომას ადგილი აქვს, თუ, მაგალითად, დამნაშავე სეიფს გააღებს იმ მიზნით, რომ გაიტაცოს 5000 დოლარი, მაგრამ სეიფში აღმოჩნდება 5 ლარი. ორივე შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია.

ასეთივე სიტუაცია არის უფარგის ობიექტზე ან ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაშიც. მაგალითად, თუ ა. მიდის ბ-ს მოსაკლავად, მაგრამ ბ. სახლში არ იქნება, დამნაშავის შკან გამობრუნება არ განიხილება ნებაყოფლობით ხელის აღებად. ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის დასრულების ობიექტურად არსებულ შეუძლებლობას.

სსკ-ის 21-ე მუხლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება, როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან აცილებას. მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღების არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციას, თუ როდის ითვლება დანაშაული ფორმიდულად დამთავრებულად. მაგალითად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პირს არ შეუძლია სსკ-ის 224-ე მუხლით

(ბანდიტიზმი) ან სსკ-ის 404-ე მუხლის I-ლი ნაწილით (აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება) გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელებისას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულში მომზადების ან დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე პასიური მოქმედებით გამოიხატება. შეიძლება პირი აქტიურ მოქმედებას ახორციელებდეს, მაგრამ აქ მთავარია სისხლის სამართლისათვის მნიშვნელობის მქონე მოქმედების არგანხორციელება. სწორედ, ამ მხრივ ფასდება პირის ქცევა უმოქმედობად. მაგალითად, ა.-მ ბ.-ს დაუმიზნა იარაღი, მაგრამ ბ-ს მოკვლა გადაიფიქრა და იარაღი ძირს დაუშვა. ა-ს მოქმედება განიხილება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად.

ვერ გავიზიარებთ პროფ. თ. წერეთლის პოზიციას, რომელიც მომზადებისა და დაუმთავრებელი მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღებას მხოლოდ პასიური მოქმედებით თვლის შესაძლებლად, ხოლო დამთავრებული მცდელობისას მხოლოდ აქტიური მოქმედებით[1].

რამდენადაც „წმინდა“ უმოქმედობისას მხოლოდ დანაშაულის მომზადებაა შესაძლებელი, ამდენად ამ დელიქტის განხორციელებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ მომზადების სტადიაზე უნდა განხორციელდეს ან მოქმედებით ან უმოქმედობით. მაგალითად, მოწმე სასამართლოში არ გამოცხადების მიზნით საზღვარგარეთ გაემგზავრა, მაგრამ დანაშაულის ჩადენაზე უარი თქვა და შკან დაბრუნდა. აღგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით. თუ ბილეთებს იყიდის, მაგრამ არ წავა საზღვარგარეთ, მაშინ სახეზეა უმოქმედობით ხელის აღებაც.

შერეული უმოქმედობის დელიქტებში ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით შეიძლება. აღნიშნულ დელიქტებში ორი ვარიანტი იწყნს თავს: I) როდესაც მომზადება და დაუმთავრებელი მცდელობა მოქმედებით ხორციელდება და ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით ხდება. მაგალითად, თუ რკინიგზის მეისრე ალკოჰოლურ სასმელს მიიტანს პოსტზე, რომ მისი დალევის შედეგად უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მატარებლის მარცხი გამოიწვიოს, მაგრამ შემდეგ აღარ დალევს, იქნება მომზადების სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით. თუ სასმელის მიღებას დაიწყებს, მაგრამ შემდეგ შეწყვეტს, მაშინ დაუმთავრებელ მცდელობის სტადიაზე იქნება დანაშაულის ნებაყოფლო-

[1] თ. წერეთელი, დასახ. ნაშ., გვ. 149 და გვ. 223.

ბით ხელის აღება უმოქმედობით; 2) რომელსაც მომზადება და დაუმთავრებელი მცდელობა უმოქმედობით ხორციელდება, მაგრამ მასზე ნებაყოფლობით ხელის აღება მოქმედებით ხორციელდება. მაგალითად, თუ მამა ხედავს, რომ 13 წლის ბავშვს იარაღი მოაქვს თავის მეზობლის მოსაკლავად და მასაც სურს მეზობლის მოკვლა და ამ მიზნით იგი ხელს არ უშლის ბავშვს. თუმცა, შემდეგ ბავშვს იარაღს წაართმევს, ადგილი ექნება დანაშაულის მომზადების სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით. თუ ძიძა ხედავს, რომ 10 წლის ბავშვი იარაღს უმიზნებს საკუთარ ძმას, მაგრამ ძიძა მკვლელობის სურვილით ხელს არ უშლის მას. თუმცა, შემდეგ შეეშინდება პასუხისმგებლობის და იარაღს წაართმევს, მაშინ ადგილი ექნება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით.

დანაშაულის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ შეიძლება ზოგიერთ შედეგბარეშე შემადგენლობის მქონე დანაშაულებში. მაგალითად, ცრუ დასმენაზე (სსკ-ის 373-ე მუხლი) ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მხოლოდ მომზადების სტადიაზე.

საყურადღებოა სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაზე დამთავრებული მცდელობისას. აღნიშნულ მუხლში ნათქვამია: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგების განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი". ამგვარი შესაძლებლობის გამოყენება გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, შეეძლებელია ე.წ. „შეკვეცილ შემადგენლობაშიც". მაგალითად, ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) დამთავრებულად ცხადდება თავდასხმის და არა ნივთის მითვისების მომენტიდან, რის გამოც ყაჩაღობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე.

შედეგიან დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობისას (ე.ი. როდესაც დამნაშავე ყველაფერს გააკეთებს რაც მასზე დამოკიდებულია იმისათვის, რომ შედეგი დადგეს, მაგრამ შედეგის დადგომის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს)როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით საგსებით დასაშვებია. მაგალითად, ა-მ ცეცხლი წაუკიდა მეზობლის სახლს, მაგრამ ცეცხლი დროის მცირე მონაკვეთში ჩააქრო. ან კიდევ: ა-მ გადააგდო ბ. წყალში, მაგრამ შემდეგ დახრჩობისაგან იხსნა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობისას, რაც უკანასკნელ მაგალითებშიც ნათლად ჩანს, როგორც წე-

სი, აქტიური მოქმედებით ხდება, მაგრამ არაა გამორიცხული ამ დროს უმოქმედობით შედეგის თავიდან აცილება. მაგალითად, ა-მ ბავშვი ჩააგდო წყალში, მაგრამ მისმა ძაღლმა ბავშვი ნაპირზე გამოიყვანა, ხოლო ა-მ ძაღლს ხელი არ შეუშალა, რადგან ბავშვი შეეცოდა.

თუკი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, რამდენიმე ცალკეული აქტის კუმულაციურად განხორციელებითაა შესაძლებელი, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია უკანასკნელი აქტის განხორციელებამდე. მაგალითად, დაზარალებულს საწამლავი მცირე დოზებით ეძლევა. აქ ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის განზრახვას, რამდენადაც, თუ ცალკეული დოზა მას მომაკვდინებლად მიაჩნდა, მაშინ ადგილი აქვს მცდელობის არაერთგზისობას. მაშასადამე, თუ პირი ასეთ შემთხვევაში უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტის განხორციელებაზე უარს იტყვის, მაშინ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გავრცელდება მხოლოდ ამ უკანასკნელზე და არა მის წინა დანაშაულებრივ ქმედებებზე. ამიტომ პირი პასუხს აგებს არაერთგზისი მკვლელობის მცდელობისათვის, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ორი ან მეტი მცდელობა უსწრებდა წინ.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, ვიდრე დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, ანუ ქმედების პროცესი კვლავ მიმდინარეობს და მისი სხვა გზით წარმართვა არაა გამორიცხული. მაგალითად, თუ ა-მ ბ-ს მოკვლის მიზნით ტყვია ერთხელ ესროლა და დაზარალებულის სიბრალულის გამო მეორედ აღარ ესროლა ტყვია მოკვლის მიზნით, პირის მოქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს.[1] ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ განზრახვის შინაარსს: თუ პირველი მოქმედების განხორციელებამდე პირის განზრახვა თავიდანვე მოიცავდა იმ გარემოებას, რომ დანაშაულის ბოლომდე განხორციელება რამოდენიმე დამოუკიდებელი მოქმედებით შეიძლებოდა, მაშინ ყოველ შემდგომ მოქმედებაზე უარის თქმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს. მაგალითად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ექნება ადგილი, თუ პირი პირველი მოქნევით ადამიანს ხმალს ააცილებს და მეორე დარტყმას აღარ განახორციელებს იმის მიუხედავად, რომ მას მეორე მოქმედებით შეეძლო თავდაპირველი განზრახვის სისრულეში მოყვანა. სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი. საწინააღმდეგო ვითარება იქნება თუ პირმა თავდაპირველი

[1] მსგავსი მოსაზრება აქვს განვითარებული მ. ტურავას, რომელიც დასაშვებად თვლის ასეთ სიტუაციაში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. იხ: მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2000, გვ. 81.

განზრახვით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და შემდგომ წარმოშობილი განზრახვის ხასრულებაში მოქვანაზე იტყვის უარს. მაგალითად, თუ პირმა აფეთქებით ვერ მოუსწრაფა სიცოცხლე ადამიანს და შემდეგ შეიტყობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს საავადმყოფოში შეიპაროს და აფეთქებით დაზარალებული მოკლას, მაგრამ სიბრალულის გამო განზრახვის განხორციელებაზე უარს განაცხადებს, პირი მკვლელობის მცდელობისათვის უნდა დაისაჯოს, რადგან პირველი განზრახვა ასეთ შესაძლებლობას არ მოიცავდა და შესაბამისად, ნებაყოფლობით ხელის აღება პირველ განზრახვას არ შეხებია.

როგორც ვხედავთ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას მთავარია შედეგის აცილება, რომლის განხორციელება დამნაშავეს შესაძლებლად მიაჩნია. ამიტომ უნდა დავადგინოთ, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელია ობიექტურად არსებული აბსოლუტური თუ შეფარდებითი დაბრკოლების გამო. ობიექტურ ფაქტორთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულებაც ამ დაბრკოლების მიმართ. თუ დამნაშავე აბსოლუტურ დაბრკოლებას აღექვატურად აღიქვამს, ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია. მაგალითად, ა-მ დაინახა ღია მანქანა და მისი გატაცება გადაწყვიტა. მაგრამ ახლოს რომ მივიდა, მანქანაში პოლიციელი და ძაღლი შენიშნა. თუ აბსოლუტურ დაბრკოლებას დამნაშავე არაადექვატურად აღიქვამს, ე.ი. მან არ იცის დაბრკოლების შესახებ ნებაყოფლობით ხელის აღება სრულიად დასაშვებია. მაგალითად, ა-მ განიზრახა ც-ს ტელევიზორის მოპარვა, მაგრამ ბინის კარებთან, რომ მივიდა გადაიფიქრა ქურდობა. თუმცა, ც-ს ტელევიზორი სველისანთან ჰქონდა წაღებული.

შეფარდებითი დაბრკოლება ართულებს, მაგრამ შეუძლებელს არ ხდის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, ა-მ ხელი აიღო ბ-ს გაუპატიურებაზე მას შემდეგ, როდესაც შეიტყო რომ ისფიქციური დაავადება (დიფტერია, ბოტკინი, შუნი და სხვ.) გადაედებოდა; ან ქვენრიული სენით (ათაშანგი, რბილი შანკრი და სხვ.) დაავადდებოდა; ან ქალისგან შეიტყო, რომ მას მენსტრუაცია აქვს. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ საქმე ეხება განუკურნავ დაავადებას. მაგალითად, თუ ბორტმოქმედი გაუპატიურებაზე ხელს აიღებს იმის გამო, რომ ქალი შიდსითაა დაავადებული, მაშინ მისი მოქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად არ ჩაითვლება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შეფარდებითი დაბრკოლება ყველასათვის და ყოველთვის ერთნაირ პირობას არ წარმოადგენს. შეფარდებითი დაბრკოლების საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტის თვისებების, მდგომარეობის, შესაძლებლობისა და

სხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, ქალის შიდსით დაავადება არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს იმ პირისათვის, ვინც თვითონაა შიდსით დაავადებული. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე შეცდომით აფასებს შექმნილ სიტუაციას და დაბრკოლება მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს."მოჩვენებითი" დაბრკოლებისას ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია. მაგალითად, ა-ს ჰგონია, რომ ავტომანქანის გატაცება შეუძლებელია, მასში ჩამონტაჟებული დამცავი სიგნალიზაციის გამო. ეს შემთხვევა არ უნდა გავუთანაბროთ იმ სიტუაციას, როდესაც დანაშაულის ჩადენა არ შეუძლია პირს უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო (იხ. სსკ-ის მე-20 მუხლი), მაგრამ იგი წყვეტს ქმედების განხორციელებას. მაგალითად, თუ ა. 3 კმ-ის სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავის ჩამოგდებაზე ხელს აიღებს, ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ საკითხი საერთოდ არ უნდა დაისვას, რადგან პირის არც ერთი მოქმედება არაა დანაშაულებრივი.

დაბოლოს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება პირმა არა მარტო საკუთარი ძალებით, არამედ სხვისი დახმარებითაც განახორციელოს. მაგალითად, ექიმის, მეხანძრის და სხვათა გამოძახება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ მაშინ გაათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ნებაყოფლობით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმა უნდა იყოს არა დროებითი, არამედ მუდმივი. მაგალითად, თუ ა.-მ ქურდობის განხორციელება გადადო იმ მოსაზრებით, რომ მომავალ დღეს ავტომანქანას გამოიყენებდა ტვირთის გადასაზიდად, არ გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

კონკრეტულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ ქმედებისათვის, რომელიც დამნაშავის დასახული მიზნის განხორციელებამდე უკვე დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს. სწორედ ასე უნდა გავიგოთ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც: „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს", მაგალითად, ა. გაიქცა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან ბ-ს მოსა-

კლავად, თუმცა აღარ მოკლა, რადგან ბ-ს ცოლ-შვილი შეებრალა. ა. გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მომზადებისათვის და პასუხს აგებს თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის (სსკ-ის 399-ე მუხლი).

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული დანაშაულისას შეიძლება, რადგან მომზადება და მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ და გაუფრთხილებლობით დანაშაულებში შედეგის დადგომამდე პირის ქმედებას არავითარი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს. მაშასადამე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში არც ნებაყოფლობით ხელის აღებაზე შეიძლება საუბარი, რადგან დანაშაულებრივი ქმედება არ გვაქვს.

თუ დანაშაული თანამონაწილეობით ხორციელდება, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ამსრულებლისა და ყოველი თანამონაწილისათვის იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში. პირიქით, თუ რომელიმეს თავისი წვლილი არ შეუტანია დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში, მაგრამ შედეგი სხვა თანამონაწილეების მცდელობით არ დადგა, იგი პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის.

ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის კატეგორიასაც, რადგან სსკ-ით მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება ისჯება (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწ).

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა“. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამონაწილეებმა ყველაფერი გააკეთეს დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ საკუთარი ინიციატივით დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა. ამგვარი ინიციატივა შეიძლება გამოიხატოს: 1) ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის გადარწმუნებაში. მაგალითად, წამქეზებელმა ურჩია ამსრულებელს არ ჩაედინა ქალაღება, ან ორგა-

ნიზატორმა წამქეზებელი გადაარწმუნა ადარ გადმოებირებინა ვინმე ქურდობის ჩასადენად და ა.შ.; 2) ხელისუფლების ორგანოში ინფორმაციის მიწოდებაში. ასეთებია, ძირითადად სამართალდამცავი ორგანოები, მაგალითად, პოლიცია, პროკურატურა, უშიშროების სამსახური და. ა.შ. შესაძლებელია შეტყობინება მიეწოდოს პარლამენტს, მერიას, და ა.შ.; 3) სხვაგვარად ხელის შეშლაში იგულისხმება ნებისმიერი მოქმედება, რაც გამორიცხავს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, თანხის გადახდა, შეპყრობა, საძილე წამლის მიცემა და ა.შ. თანამონაწილეთა ინიციატივის გარდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის თანამონაწილეებს (გარდა ფიზიკური დამხმარისა) მეორე აუცილებელ პირობად მოეთხოვებათ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება.

საყურადღებოა, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის 3-ე ნაწილის მეორე წინადადება ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფიზიკურ დამხმარეს აღნიშნული მეორე პირობა, ე.ი. დანაშაულის შედეგის თავიდან აცილება არ მოეთხოვება იმისათვის, რომ მისი ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვალოს. კანონში ამის შესახებ ნათქვამია: „დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება“. როგორც ვხედავთ აქ ორი შემთხვევაა: 1) დამხმარის უარი შეპირებული ქმედების შესრულებაზე ნათქვამი უნდა იყოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე. მაგალითად, ა-მ განუცხადა თავის მეგობრებს, რომ ქურდობის ჩასადენად იგი ფაბრიკის კარებს ღიას დატოვებდა, მაგრამ დანაშაულის ჩადენამდე უარს განაცხადებს შეპირებული ქმედების შესრულებაზე; 2) ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე დამხმარე უკან იბრუნებს მის მიერ მიცემულ იარაღს ან საშუალებას. მაგალითად, ა-მ ბ-ს დაუმზადა ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ამ იარაღის მიმცემმა წაართვა იარაღი.

როგორც ვხედავთ, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ ათავისუფლებს თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთივე ვითარება იქნება იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილეთა ნებას არ შეეწეროდა ამსრულებელიც. მაგალითად, თუ წამქეზებელი ეტყვის ამსრულებელს, რომ მან ადარ ჩაიდინოს მკვლელობა, რადგან ეს ცოდვაა და ამსრულებელიც დაეთანხმება, ორივეს მხრიდან ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. თუ წამქეზებელი ამსრულებელს იარაღზე

ხელს აუკრავს და ამით მკვლელობას გადაარჩენს პირს, მაშინ წამქეზებლის მოქმედება შეფასდება ნებაყოფლობით ხელის აღებად, ხოლო ამსრულებლის მოქმედება მკვლელობის მცდელობად.

რამდენადაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანი დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაა, ამდენად თანამონაწილეთა მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობას შეამსუბუქებს. თუ მათი მოქმედების მიუხედავად დანაშაული მაინც დასრულდა. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად“.

დანაშაულის დამთავრების შემდეგ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება შეიძლება გახდეს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, თუ იგი აკმაყოფილებს ქმედითი მონანიების პირობებს (სსკ-ის 68-ე მუხლი). დანაშაულის დამთავრების შემდეგ დამნაშავის პოზიტიური მოქმედება, რომელიც სსკ-ის 54-ე მუხლშია (სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას) გათვალისწინებული, დამნაშავეს აუცილებლად შეუმსუბუქებს სასჯელს, თუ არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი. კერძოდ, სსკ-ის 54-ე მუხლში ნათქვამია: „თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს“.

XII თავი

დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, დანაშაულის შემხებლობა

§1. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულში თანამონაწილეობა ამსრულებლის ცნების დადგენით იწყება. ეს იმით აიხსნება, რომ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის ე.წ. რთული ფორმა, ე.ი. თანამონაწილეობა როლების განაწილებით ანუ ვიწრო აზრით. ამ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეებად ითვლებიან ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, ე.ი. ის, ვინც სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ, თავისი საკუთარი გონებითა და ხელებით, ახორციელებს, დანაშაულში თანამონაწილედ არ ითვლება. მაშასადამე, დანაშაულის უშუალო ამსრულებელი არც ორგანიზატორია, არც წამქეზებელი და არც დამხმარე და ამ თვალსაზრისით იგი თანამონაწილედ არ შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, არსებობს დანაშაულში თანაამსრულებლობაც, რომელსაც ერთი და იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებაში მონაწილეობს ორი ან მეტი ამსრულებელი. ამ თვალსაზრისით თანაამსრულებელი დანაშაულში თანამონაწილეა, მაგრამ ეს მაინც არ აუქმებს ამსრულებლის განსაკუთრებულ როლს დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაში, განსაკუთრებით როლების განაწილებით ჩადენილ დანაშაულში.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეებად, ამ ცნების ვიწრო გაგებით, ითვლებიან ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. ამიტომაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში ამსრულების ცნება ცალკეა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით ანალიზი დანაშაულის ამსრულებლობის ცნებით უნდა დაგვწყო, მაგრამ ამ მხრივ გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, დანაშაულის უშუალო ამსრულებელი განსხვავდება ინდივიდუალური, ერთპიროვნული ამსრულებლისაგან, რომელსაც დანაშაულში თანამონაწილეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მეორეც, ამსრულებლობის სახეები (უშუალო, თანაამსრულებლობა და შუალობითი) შეიძლება უკეთ იქნეს გაგებული იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველად განვიხილავთ დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას, დანაშაულში

თანამონაწილეობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების თავისებურებას. მაგალითად, თუ წინასწარ არ იქნა გარკვეული დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის თავისებურება, მაშინ შეცდომაში შეყვანის გზით შეიძლება ამსრულებლობის დასაბუთება შეუძლებელია, რადგან არასაპატიო შეცდომა გაუფრთხილებლობას სრულიადაც არ გამორიცხავს, ხოლო თუ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია გაუფრთხილებლობითაც, მაშინ შეცდომაში შეყვანის გზით შეიძლება ამსრულებლობა შეუძლებელი გახდება. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები თანამონაწილეობის ბუნებისა და ფორმების პრობლემაც.

ამრიგად, დანაშაულში ამსრულებლობის ცნების ანალიზს ლოგიკურად წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულში თანამონაწილეობის ცნების ანალიზი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

ცნობილი ფაქტია, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს არა მარტო ერთპიროვნულად მოქმედი პირის მიერ, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმითაც, ორი ან მეტი პირის გაერთიანებული ძალებით. ამასთან, დადგენილია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობას, ინდივიდუალურ, ერთპიროვნულ, ამსრულებლობასთან შედარებით, ახასიათებს მთელი რიგი თავისებურება, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ეს ბუნებრივია, რადგან ორი ან მეტი პირის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობა ე.წ. ჯგუფური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებით ხასიათდება. სოციალურ ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ ორი ან მეტი პირის ერთობლივი საქმიანობა ამ პირთა ანალოგიური სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნებითაა განპირობებული. რაიმე მიზნის, ფსიქიკური განწყობის ერთიანობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია. გარეგანი, შემთხვევითი კავშირის ნიადაგზე დანაშაულში თანამონაწილეობა იშვიათია. მით უმეტეს შეუძლებელია ორგანიზებული დანაშაული ამგვარი შემთხვევითი და გარეგანი კავშირის საფუძველზე. არც ისაა სადავო, რომ ერთი ადამიანის ჯგუფში შემოერთებაც კი გარკვეულწილად ცვლის ამ ჯგუფს, ხოლო ამ ვითარებაში ინდივიდზე ჯგუფის არსებითი ზეგავლენა მით უფრო ცხადია. დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაც ადასტურებს, რომ დანაშაულებრივ ჯგუფში მოქმედი პირი უფრო გაბედული, სასტიკი და დაუნდობელია. ჯგუფის წევრი, როგორც წესი, მზადაა ჩაიდინოს ისეთი ქმედებაც, რომელსაც იგი დამოუკიდებლად არ ჩაიდენდა. ეს განსაკუთრებით

ითქმის დანაშაულებრივ ჯგუფში არასრულწლოვანთა და შედარებით ახალგაზრდა ასაკის პირთა მოქმედების შესახებ. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, მოზარდებს და ახალგაზრდებს აქვთ მიდრეკილება, რომ ე.წ."ავტორიტეტის" წინაშე გამოიჩინონ თავი ძალადობით, სისასტიკითა და დაუნდობლობით ეს არის გაუკუღმართებული ცნობიერება, რომელიც ამგვარი „ავტორიტეტების" მორალურად გამხრწნელი ზეგავლენის შედეგია. ჯგუფური ქცევის თავისებურებას კარგად გამოთქვამს ქართული ანდაზაც: „ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის ან ზნესაო".

დანაშაულში თანამონაწილეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური კრიმინოლოგიური თავისებურებები საფუძვლად უდევს ამ პრობლემატიკის სისხლისსამართლებრივ ასპექტებს. გასაგებია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა ქმნის მასთან ბრძოლის ურთულეს პრობლემებს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, დანაშაული მასში თანამონაწილეობის ფორმით, როგორც წესი, უფრო საშიშია, ვიდრე ერთპიროვნული დანაშაულებრივი ქმედება. ცხადია, შესაძლებელია, რომ ერთმა პირმა უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინოს, ვიდრე პირთა ჯგუფმა, მაგრამ ეს გამონაკლისი კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ადასტურებს იმ ზოგად წესს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა უფრო საშიშია, ვიდრე ერთპიროვნული დანაშაულებრივი ქმედება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა საშიშია მასში მოზარდების, ახალგაზრდების, საზოგადოების მერყეული ელემენტების ჩაბმის თვალსაზრისით, იგი განსაკუთრებით საშიშია დანაშაულებრივი ქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის თვალსაზრისითაც. პირთა ჯგუფი გაერთიანებული ძალებით, დანაშაულებრივი როლების განაწილებით და მათი განხორციელების თვალსაზრისით უფრო ადვილად ახერხებს დანაშაულებრივ განზრახვას, გადაილახება დანაშაულის გზაზე დაბრკოლებანი და ა.შ.

პრაქტიკა ადასტურებს იმასაც, რომ დანაშაულში თანამონაწილენი, როგორც წესი, გულმოდგინედ მალავენ დანაშაულის ორგანიზატორებს ან „ავტორიტეტებს", რომელთა ზეგავლენით მათ ჩაიდინეს დანაშაული და „ჩავარდნის", მხილების შემთხვევაში პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ, როგორც დანაშაულის ვითომდა ერთპიროვნული ამსრულებელნი. ამას თან ერთვის თანამონაწილეთა დაფარვისათვის მატერიალური სახდაური ან სხვა ამგვარი ანტისაზოგადოებრივი წახალისებანი, რომელნიც აფერხებენ დანაშაულში თანამონაწილეობასთან სისხლისსამართლებრივ ბრძოლას.

ერთი სიტყვით, დანაშაულში თანამონაწილეობა პრაქტიკულად და თეორიულად რთული პრობლემაა. საბედნიეროდ, ქართული იურიდიული მეცნიერება ამ მხრივ საკმაოდ გამოირჩეულია. კერძოდ, ამ პრობლემას მიეძღვნა პროფ. თ. წერეთლის ერთი[1] და პროფ. ო. გამყრელიძის ორი მონოგრაფია, ამ უკანასკნელის სხვა სამეცნიერო ნაშრომებიც. ამ ნაშრომებზე დაყრდნობით შევეცდებით მოკლედ, მაგრამ არსებითად გადმოვცეთ ამ თემის ძირითადი საკითხები.

დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა არის დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციფიკური ფორმა. თანამონაწილეობა ყოველთვის ნიშნავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ჯგუფურად განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფურ დანაშაულს თავისი სპეციფიკა აქვს. ლაპარაკია იმაზე, რომ ორი ან მეტი პირი ერთობლივად ახორციელებს ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულის შემადგენლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის პირველი ელემენტია, როგორც „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება". დანაშაულის მეორე ელემენტია ქმედების მართლწინააღმდეგობა, ხოლო მესამე ელემენტს ბრალი წარმოადგენს. გასაგებია, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ჯერ კიდევ არ უდრის დანაშაულის ჩადენას, რამდენადაც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენით შემდეგ დადგენილი უნდა იქნეს ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია არა „საერთოდ" ან „ზოგადად", როგორც ასეთი, არამედ ამა თუ იმ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების გზით. მაგალითად, მარტივი მკვლელობა (საქ. სსკ 108-ე მუხლი) ერთ შემთხვევაში ხორციელდება ეჭვიანობის ნიადაგზე, მეორეში [შურისძიებით, მესამეში] სისხლის აღებით, მეოთხეში [ხსუბის ნიადაგზე... კიდევ უფრო დიფერენცირებულია მკვლელობის მაკვალიფიცირებელი შემადგენლობანი (საქ. სსკ 109-ე მუხლი), როგორიცაა, ორი ან მეტი პირის მკვლელობა, მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით, ხულიგნური ქვენაგრძნობით და და ა.შ. მაშასადამე, ხორციელდება არა მკვლელობა საზოგადოდ, არამედ მკვლელობის რომელიმე კონკრეტული შემადგენლობა (მაგალითად, მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით). ცხადია, შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე შემადგენლობის განხორციელებაც მაგალითად, მკვლელობა ანგარე-

[1] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965.

ბით ან შეკვეთით, ნადენილი ჯგუფურად, მაგრამ ეს არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ დანაშაულის ნადენა შესაძლებელია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების გზით.

დანაშაულის შემადგენლობა ^ ესაა სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა, რომელიც ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის საფუძველია. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში იგულისხმება ქმედება. ე.ი. მოქმედება ან უმოქმედობა, დანაშაულებრივი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დრო, ადგილი, ხერხი, საშუალება, ვითარება. ამ მხრივ გამონაკლისი არც დანაშაულში თანამონაწილეობაა, თუმცა ამ უკანასკნელს თავისებურებაც ახასიათებს. ცნობილია, რომ დანაშაულთა დიდი ნაწილი აქტიური მოქმედებით ხორციელდება. ცხადია, არსებობს უმოქმედობის გზით ნადენილი დანაშაულიც, როდესაც სუბიექტი არ ასრულებს მართლსაწინააღმდეგო შედეგებს.

დანაშაულში თანამონაწილეობა, როგორც წესი, ხორციელდება თანამონაწილეთა აქტიური მოქმედებით. დანაშაულში თანამონაწილენი, თავიანთი როლების მიხედვით, ახორციელებენ ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის ფუნქციებს სწორედ აქტიური მოქმედების გზით, ისევე როგორც შესაძლებელია დანაშაულში თანაამსრულებლობა აქტიური მოქმედებით. ცხადია, აქტიურია მოქმედება ჯგუფურ დანაშაულშიც.

გამონაკლისის სახით არაა გამორიცხული თანამონაწილეობა უმოქმედობის გზითაც, როდესაც ორი ან მეტი პირი ერთობლივად არ ასრულებენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ვალდებულებას და ამდენად იწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგებს. მაგალითად, მშობლები სპეციალურად არ კვებავენ ახალშობილს, რათა იგი შიმშილით დაეღუპოს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მკვლელობაში თანაამსრულებლობის ფორმით, უმოქმედობის გზით. რაც შეეხება თანამონაწილეობას როლების განაწილებით, მისი უმოქმედობის გზით განხორციელება შეუძლებელია. ორგანიზატორი აქტიური მოქმედების გარეშე შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია წამქეზებელი აქტიური წამქეზებლური საქმიანობის გარეშე. მით უმეტეს შეუძლებელია დახმარება თუნდაც წინასწარი შეპირების გარეშე, რომ იგი თავისი უმოქმედობით ხელს შეუწყობს ამრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას, თუმცა დახმარება შესაძლებელია უმოქმედობითაც.

დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც ე.წ. ფორმალურ, ისე მატერიალურ შემადგენლობებშიც, აგრეთვე საფრთხის შემქმნელ დელიქტებში. ამ მხრივ თავისებურება ახასიათებთ დენად და განრძობად დანაშაულში თანამონაწილეობას, რომელსაც შემდგომ განვიხილავთ.

მეტად თავისებურია დანაშაულში თანამონაწილეობისას ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის საკითხიც. ამ მხრივ განსაკუთრებულია თანამონაწილეობა ვიწრო აზრით ანუ როლების განაწილებით. კერძოდ, ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის მოქმედება დანაშაულებრივ შედეგთან დაკავშირებულია მხოლოდ ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით. ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულებრივი შედეგი უშუალოდ ამსრულებლის ნახელავია. ცხადია, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის ამ შემთხვევაში განსხვავებულია თანამონაწილეებისა და ამსრულებლის განსხვავებული როლების შესაბამისად. ამიტომაა, რომ პირობათა ე.წ. ტოლფასოვნობის თეორია მიუღებელია, რადგან ამ თეორიის ლოგიკით ობიექტურ სფეროში ორგანიზატორის მოქმედება მიზეზობრიობის თვალსაზრისით არაფრით განსხვავდება დამხმარის მოქმედებისაგან. ეს კი დანაშაულში თანამონაწილეთა და ამსრულებლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას შეუძლებელს გახდიდა.

დანაშაულებრივ ქმედებასა და შედეგს შორის უშუალო მიზეზობრივი კავშირი არსებობს დანაშაულში თანაამსრულებლობის შემთხვევაში, როდესაც ყველა თანამონაწილე მეტ-ნაკლები ხარისხის აქტივობის გზით იწვევს დანაშაულებრივი ქმედების შედეგებს. რაც შეეხება შუალობით ამსრულებლობას, აქ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი გაშუალებულია „იარაღად" გამოყენებული ან შეცდომაში განგებ შეყვანილი პირის მოქმედებით, რაც უშუალო მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ დანაშაულებრივ შედეგთან.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობისას მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის მეტად თავისებურია. მაგრამ საკმარისია თუ არა მიზეზობრივი კავშირი დანაშაულში თანამონაწილეობის (ფართო გაგებით) ობიექტური მხარის დასაფუძნებლად? ქოფილ საბჭოთა კავშირში ამ საკითხზე დადებითად პასუხობდნენ. ამ კითხვას დადებითად პასუხობდა პროფ. თ. წერეთელიც, მაშინ როდესაც პროფ. ი. გამყრელიძე ამ მხრივ ტრადიციულ თვალსაზრისს არ ეთანხმება. მისი აზრით, დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტურ მხარეს შეადგენს ერთიანი უმართლობა. უფრო სწორად, თანამონაწილენი ერთობლივად ახორციელებენ ერთიან უმართლობას და სწორედ ეს

უმართლობა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს.[1]

უმართლობა არის ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა. დანაშაულის შემადგენლობა, როგორც უკვე ითქვა, დანაშაულის პირველი ნიშანია. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ტიპურად მართლსაწინააღმდეგოა, თუ არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებანი. (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება). მაშასადამე, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ქმედების მართლწინააღმდეგობასთან კავშირში ქმნის სისხლისსამართლებრივ უმართლობას, რომელიც განსხვავებულია თითოეული დანაშაულის შესაბამისად. ამიტომაა, რომ არსებობს ქურდობის, ყაჩაღობის, მკვლელობის და ა.შ. უმართლობები. აქედან გამომდინარე, უმართლობა დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველია, რადგან უმართლობის ცნება ბრალს არ შეიცავს.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობისას ხორციელდება ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობა, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ უმართლობის ტიპზე დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტური მხარის დაფუძნება წინგადადგმული ნაბიჯია ამ მხრივ მიზეზობრიობის პრინციპთან შედარებით. დანაშაულში ყველა თანამონაწილე, მათ შორის ამსრულებელიც, ერთიან სისხლისსამართლებრივ უმართლობას ახორციელებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაძლებელია ქმედების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია. მაგალითად, გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც ქმედების მოტივების მიხედვით ერთ თანამონაწილეს შეერაცხოს მარტივი მკვლელობა, ხოლო მეორეს [1] მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მაგალითად, ანგარებით), როდესაც ეს მოტივი სხვა თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის ცნობილი არ იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლელობის ტიპური უმართლობა მაინც არსებობს და, მაშასადამე, არსებობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი.

მიუხედავად ამისა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტური მხარე მიზეზობრივ კავშირზე საერთოდ არაა დაფუძნებული. არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე, რომლის ერთ-ერთ ელემენტს ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს. ეს მიზეზობრივი

[1] ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ., 1989.

კავშირი არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის შემთხვევაშიც სპეციფიკურად. როგორც ითქვა, რიცხობრივად მინიმუმ ორი პირის მონაწილეობის შემთხვევაში დანაშაულებრივ შედეგთან მიზეზობრივი კავშირი გაშუალებულია ამსრულებლის მოქმედებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია დამდგარ დანაშაულებრივ შედეგთან. ჯგუფურ მოქმედებაში კი არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი, მაშინ როდესაც შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევაში შედეგი გაშუალებულია იარაღად გამოყენებული ან შეცდომაში განგებ შეყვანილი პირის მოქმედებით.

დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტურ მხარეში შედის სხვა ნიშნებიც (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და ა.შ.), რომელთაც აქ დაწვრილებით არ განვიხილავთ, რადგან ეს ნიშნები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემატიკაში სხვადასხვა ასპექტით განიხილება და ამიტომ არ გავიმეორებთ. მაგალითად, საქართველოს სისხლის კოდექსის მე-2 მუხლში გათვალისწინებულია დრო სისხლის სამართლის კანონის მოქმედების პრინციპი, რომლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე, ანდა უნდა ემოქმედა მას. ცხადია, რომ აქ იგულისხმება თანამონაწილეობა როლების განაწილებით. შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც ამსრულებელს დაუყოვნებლივ მოჰყავს სისრულეში თანამონაწილეთა ჩანაფიქრი და მაშინ აქ ამსრულებლობას და თანამონაწილეობას შორის არსებული დროის მონაკვეთი რაიმე პრობლემას არ ქმნის. მაგრამ არ არის გამორიცხული შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ჩასადენად შეთანხმება შედგა დროის ერთ მონაკვეთში, ხოლო ამსრულებელი მოქმედებდა დროის სხვა მონაკვეთში, როდესაც მოქმედებას იწყებს სისხლის სამართლის ახალი კანონი. ცხადია, რომ აქ საქმე შეეხება კანონის უკუძალის პრობლემას, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად უნდა გადაწყდეს.

არ არის გამორიცხული ამ მხრივ ის პრობლემაც, როდესაც დანაშაული მომზადდა საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო ამსრულებელმა დანაშაული ჩაიდინა საზღვარგარეთ, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ექსტრადიციის პრობლემასთან (საქ. სსკ მე-6 მუხლი). გარდა ამისა, შესაძლებელია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი იყენებს თანამონაწილეებთან შეუთანხმებელ საშუალებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას (საქ. სსკ 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი). იგივე შეიძლება ითქვას დანა-

შაულის ჩადენის ხერხზეც, ვითარებაზეც და ა.შ. მაგალითად, ამსრულებელმა თანამონაწილეებთან შეუთანხმებლად დანაშაული ადასრულა საზოგადოებრივი უბედურების (მიწისძვრის, წყალდიდობის და ა.შ.) გამოყენებით ან საგანგებო მდგომარეობის ვითარებაში. ბოლოს, არაა გამორიცხული შემთხვევა, როდესაც ამსრულებელმა იმოქმედა უკვე შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, რის გამოც პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არა მარტო ამსრულებელი, არამედ თანამონაწილეც (საქ. სსკ 70-ე მუხლი). თუ ამსრულებელმა დანაშაული ადასრულა არსებითად შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც პასუხისმგებლობა, პირიქით, მკაცრდება სისხლის სამართლის კანონის გამკაცრების გარეშე, მაშინ უფრო მკაცრად დაისჯება (ცხადია, კანონის ფარგლებში) ამსრულებელი. რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული ახალ ვითარებაში პასუხისმგებლობის გამკაცრების შესაძლებლობა.

დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი. მოტივი არის გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი, სუბიექტის ქცევის ფსიქიკური სახრახი, რისი გულისთვის გადაწყდა ამა თუ იმ ქმედების ჩადენა. მიზანი არის დანაშაულებრივი შედეგის აზრობრივი მოდელი, სწრაფვა ამ შედეგისაკენ, როგორც ინტელექტუალური პროცესი, მაშინ როდესაც მოტივი ნების ფენომენთანაა დაკავშირებული. ინტელექტისა და ნების კავშირი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოტივისა და მიზნის კავშირს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში მოტივსა და მიზანს თანაბარი მნიშვნელობა აქვს. მიზანი მონაწილეობს ქმედების მოტივაციაშიც, მაგრამ მიზანს მოტივისაგან განსხვავებული ფუნქციაც გააჩნია. ჯერ ერთი, თუ მოტივი მხოლოდ ფსიქოლოგიური ცნებაა, მიზანი, მართალია, ფსიქიკურიც არის, მაგრამ თავისი არსით სცილდება ფსიქიკურის სფეროს და ღირებულებითი ურთიერთობის სფეროში გადადის. იგულისხმება ადამიანის ქმედების შეფასება მიზნის, საშუალებისა და შედეგის მიხედვით. ამიტომაა, რომ ობიექტური მხრივ ანალოგიური შემადგენლობანი (მაგალითად, ნივთის დაზიანება ან განადგურება) არსებობს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულში და საბოტაჟის შემადგენლობაშიც (საქ. სსკ-ის 318-ე მუხლის მესამე ნაწილი). ეს ბუნებრივია, რადგან თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში მოტივი არის შურისძიება, საბოტაჟის შემთხვევაში სუბიექტს ამოძრავებს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლის ძირის გამოთხრის მიზანი.

აშკარაა, რომ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში მიზანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მით უმეტეს, რომ მიზანი

სუბიექტური მხრივ განმსაზღვრელია დანაშაულში თანამონაწილეობის შემთხვევაშიც. კერძოდ, შეუძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობა, თუ სუბიექტებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ. თუ, მაგალითად, ერთ პირს ამოძრავებს შურისძიების მოტივი, ხოლო მეორეს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლისადმი ძირის გამოთხრის მიზანი, მაშინ ერთიანი უმართლობა შეუძლებელია და, მაშასადამე, შეუძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობაც.

ამრიგად, სუბიექტური მხრივ დანაშაულში თანამონაწილეებს ამოძრავებთ მიზნის ერთიანობა. ამ პირობებში გამორიცხული არ არის თანამონაწილეთა, მათ შორის ამსრულებლის, ქცევაში მოტივთა სხვაობამ ქმედების განსხვავებული კვალიფიკაცია შეიძლება გამოიწვიოს.

დანაშაულში თანამონაწილეთა მოქმედებაში მიზნის ერთიანობა, თავის მხრივ, მეტყველებს სისხლისსამართლებრივი უმართლობის მიზნობრივ ელემენტზე, რადგან უმართლობის სუბიექტურ ელემენტად მიზანი დიდი ხანია დაადგინეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრალის პრობლემის გადაწყვეტას. ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულის შემადგენლობის ეტაპზე ბრალი ჯერ კიდევ არ არსებობს, მართალია, სუბიექტს შეგნებული აქვს დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ქმნის „განზრახვას", როგორც ბრალის ფორმას. ამ უკანასკნელისთვის კი აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებაც. ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულის შემადგენლობა ფაქტის მსჯელობაა, ხოლო ამ ფაქტის შეგნება განზრახვის აუცილებელი, მაგრამ საკმარისი არ არის. აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებაც. მართლწინააღმდეგობის შეგნება კი განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, შინაარსს შეადგენს. აქედან გამომდინარე, საქმე შეეხება სისხლისსამართლებრივი უმართლობის შეგნებას. თუ უმართლობა არის ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა, მაშინ ამ ერთიანობის შეგნება განზრახვის კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს. იგულისხმება, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა ბრალის განზრახი ფორმითაა შესაძლებელი. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში „განზრახვა" ორჯერაა მოხსენიებული. ჯერ ერთი, დანაშაულში თანამონაწილეობა არის განზრახ ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობა. იგულისხმება, რომ დანაშაულში თანამონაწილეებს შეგნებული აქვთ ეს თანამონაწილეობა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი შეთანხმებაც, მაგრამ წინასწარი შეთანხმება ყოველთვის აუცილებელი არ არის. მაგალითად, შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობა შეკვეთაზე დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებაში შემოერთებით, ამ დანაშაულის

დამთავრებამდე. დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაში „შეთანხმების თეორია“ კრიტიკის საგანი არაერთგზის გამხდარა. აუცილებელი არ არის, რომ დანაშაულში ყველა თანამონაწილე ერთმანეთს იცნობდეს: თანამონაწილეობისათვის საკმარისია, თუ ამსრულებელმა იცის, რომ იგი მარტო არ მოქმედებს. არც ისაა სავალდებულო, რომ დანაშაულში მით უმეტეს, რომ დანაშაულის ორგანიზატორები კონსპირაციის მიზნით არცნაკ იშვიათად ჩნდებიან. ცხადია, ორგანიზატორის ფუნქცია ამ მხრივ „საქმის კურსში“ ყოფნას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან იცის დანაშაულებრივი ჯგუფის მთავარი წევრების შესახებ, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ ჯგუფის ყველა წევრს იგი პირადად იცნობდეს. წამქეზებლობა კი შესაძლო ამსრულებელთან პირდაპირი კავშირის გარეშე შეუძლებელია. რაც შეეხება დამხმარეს, მისთვის საკმარისია, თუ იცის ამსრულებელი, რომელსაც იგი ფიზიკურ ან ფსიქიკურ დახმარებას უწევს.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის საკმარისია იმის შეგნება, რომ ისინი მარტო არ მოქმედებენ. ესაა ის მინიმუმი, რომლის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია. სხვა საკითხია, თუ ხშირ შემთხვევაში თანამონაწილენი და ამსრულებელი მჭიდროდ შეკავშირდებიან ერთმანეთს და, მაშასადამე, განზრახ ერთობლივად მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში. მეორე მხრივ, დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია განზრახ დანაშაულში. სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა გაითვალისწინა ძველი კოდექსის (1960 წლისა) ნაკლი, როდესაც არ იყო დათქმა იმის შესახებ, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია განზრახ დანაშაულში. ამიტომაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლით დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულში გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას გამორიცხავს. ეს პოზიცია სავსებით სწორია, რადგან გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა შეუძლებელია. ამ მხრივ არაერთგზისი მცდელობა, რომ დასაბუთდეს დანაშაულში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა, დღემდე გრძელდება, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. შესაძლებელია ორი ან მეტი პირის მიერ გაუფრთხილებელი ქმედებით გამოწვეული ზიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში გამორიცხულია პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობის წესით, რადგან არ არსებობს იმის წინასწარი შეგნება, რომ ადგილი აქვს ერთობლივ მონაწილეობას ქმედების ჩადენაში. შეიძლება ქმედებას გაუფრთხილებლობით მიაყენეს უფრო მძიმე შედეგი, რომელსაც არ მოიცავდა თანამონაწილეთა განზრახვა, მაგრამ ამ შემ-

თხვევაში პასუხისმგებლობა უფრო მძიმე შედეგისათვის დაკისრება არა თანამონაწილეს, არამედ ამსრულებელს ან იმ თანაამსრულებელს, რომლის ქმედებასაც ეს მძიმე შედეგი მოჰყვა.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში გაუფრთხილებლობა (საქ. სსკ მუ-10 მუხლი) სწორადაა დაკავშირებული წინდახედულობის ნორმებთან. საკუთნოვანი მწარე პრაქტიკული გამოცდილების შედეგად დადგინდა დაუწერელი ქცევის არაერთი წესი, რომელიც სუბიექტს განსაკუთრებული ყურადღებისა და პასუხისმგებლობის გამოვლენას ავალებს. გაუფრთხილებლობა წინდახედულობის ნორმებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია. თუ თვითმედოვნებისას სუბიექტი უპასუხისმგებლოდ იმედოვნებს მართლსაწინააღმდეგო შედეგების თავიდან აცილებას, დაუდევრობისას ამ შედეგებს წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებს. აშკარაა, რომ წინდახედულების ნორმებისადმი დამოკიდებულება მკაცრად პერსონალურია და, მაშასადამე, ამ ნორმებისადმი ჯგუფური დამოკიდებულება შეუძლებელია. იგულისხმება, რომ წინდახედულობის ნორმისადმი დამოკიდებულების ხასიათი განისაზღვრება არა მარტო კონკრეტული ვითარებით, რომელშიც სუბიექტი იმყოფება, არამედ თვით სუბიექტის პროფესიული ან სხვა თვისებითაც. ამიტომაა, რომ წინდახედულობის ნორმა შეიძლება ერთისთვის საკმაებით მახლობელი და, მაშასადამე, ადვილად დასაცავი აღმოჩნდეს, ვიდრე მეორისათვის, რომელსაც ამგვარი პროფესია თუ უნარ-ჩვევები არა აქვს. გარდა ამისა, ობიექტურად ერთსა და იმავე ვითარებაში ერთმა პირმა შეიძლება აშკარად გაითვალისწინოს მართლსაწინააღმდეგო შედეგების დადგომის გარდუვალობაც კი, მაშინ როდესაც მეორე იგივე ვითარებაში ამას არ ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, გაუფრთხილებლობის საწყისი წინდახედულობის ნორმისადმი დამოკიდებულების ხასიათშია, ხოლო წინდახედულობის ნორმისადმი დამოკიდებულება მკაცრად პერსონალურია და არა ჯგუფური ანუ კოლექტიური. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ დანაშაულში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობა. შემთხვევითი არც ისაა, რომ შეალობითი ამსრულებლობა შეიძლებელია სხვა პირის შეცდომაში შეყვანით, როდესაც შეალობითი ამსრულებელი მოქმედებს განზრას, მაშინ როდესაც მის მიერ არაპატიო შეცდომაში შეყვანილი პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

ამრიგად, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულში. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილენი, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ განზრახ და ამასთან განზრახ დანაშაულში, როგორც წესი, იგულისხმება პირდაპირი განზრახვა. ამ დებულებაზე ისიც მიუთითებს, რომ დანაშაულში თანამონაწილეებს ერთიანი მიზანი ანუ მიზნის ერთიანობა ახასიათებთ. მაგრამ შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობა ევენტუალური განზრახვითაც. მხედველობაშია ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებული ვითარება. როდესაც ამსრულებელს ეძლევა მოქმედების თავისუფლება. იგულისხმება, რომ დანაშაულის თანამონაწილეებს არა აქვთ დაზუსტებული ამსრულებლის მოქმედების ფარგლები. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილენი უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას და, მაშასადამე, თანამონაწილენი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით, მაშინ როდესაც ამსრულებელი ამ ვითარებაში მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ამ შემთხვევაში ამსრულებლის ექსცესი გამორიცხულია, რაკი თანამონაწილენი შეგნებულად უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია, როგორც წესი, პირდაპირი განზრახვით, მაგრამ არაა გამორიცხული ევენტუალური განზრახვითაც, როდესაც თანამონაწილენი შეგნებულად უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

§2. დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება

დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნების შესახებ ტრადიციულად ცნობილია ორი ძირითადი პრინციპი: თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპი და აქცესორობის პრინციპი. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია თითქმის გაბატონებული გახლდათ ქოფილი საბჭოთა კავშირის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. ამ თეორიის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი ქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის იმის მიუხედავად, თუ რა ქმედება ჩაიდინა ამსრულებელმა. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, უარყოფილი იყო დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორიული თეორია. "აქცესორული" ლათინური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს „მიერთებითს", „დამატებითს", „დამოკიდებულს". ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დანაშაულში

თანამონაწილის მოქმედებას ამსრულებლის მოქმედებისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თანამონაწილეობა ქმედების კვალიფიკაცია ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში აღიარებული იყო თანამონაწილეობა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია და, როგორც წესი, უარყოფილი გახლდათ აქცესორული თეორია, როგორც „ბურჟუაზიული“ სისხლის სამართლის რეაქციული პრინციპი, რომელიც თითქოს ძირშივე ეწინააღმდეგება დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ თანამონაწილის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია და მისი თანმიმდევრული დაცვა შეუძლებელია. მართლაც, ამ თეორიაში, ერთი მხრივ, უარყოფდნენ თანამონაწილის მოქმედების ამსრულებლის მოქმედებაზე დამოკიდებულ ხასიათს, ხოლო მეორე მხრივ, იძულებული ხდებოდნენ ეღიარებინათ ეს დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელმა ხელი აიღო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისაგან ან იგი შეწერდა მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. ამის უარყოფა შეუძლებელია, რაც იმას ადასტურებს, რომ თანამონაწილის „დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის“ თეორია არსებითად სწორი არ არის.

საბჭოთა კრიმინალისტმა პროფ. მ. კოვალიოვმა თავის ორტომიან გამოკვლევაში დაასაბუთა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა, თავისი ბუნებით, აქცესორულია. ავტორი აღნიშნავდა, რომ ამსრულებლის გარეშე არ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობა: "თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს, – წერდა ავტორი, – დანაშაულში თანამონაწილე ყველა პირთა მოქმედების ერთიანობა წარმოადგენს. ამ ერთიანობის ღერძი [1] ამსრულებელია".[1]

მ. კოვალიოვის ამ პოზიციას მხარი დაუჭირა პროფ. თ. წერეთელმა, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი სიცხადით დაასაბუთა, რომ არსებობს აქცესორობის რამდენიმე სახე. კერძოდ, არსებობს ლოგიკური აქცესორობა, რომლის თანახმად, არ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობა ამსრულებლის ფიგურის გარეშე. ამ თვალსაზრისით ამსრულებელი მართლაც ღერძია, რომლის გარშემო თავს

[1] **М. И. Ковалев**, Соучастие в преступлении; Часть первая, Свердловс, 1960, გვ. 74.

იურიან დანაშაულში თანამონაწილენი. მაშასადამე, ლოგიკური აქცესორობის აღიარების გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობის თეორიის ლოგიკური აგება შეუძლებელია. მაგრამ ირკვევა, რომ არსებობს ე.წ. ჰიპერაქცესორული თეორიაც, ე.ი. უკიდურესი აქცესორობა, რომელიც დანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს მართლაც საფრთხეში აყენებს. აქედან პროფ. თ. წერეთელმა გააკეთა დასკვნა, რომ საბჭოთა კრიმინალისტები სწორედ ჰიპერაქცესორულ თეორიას აკრიტიკებდნენ,[1] თუმცა ეს კრიტიკა შეცდომით ლოგიკურ აქცესორობაზეც გაავრცელეს.

ამრიგად, ლოგიკური აქცესორობის აღიარების გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობის ლოგიკური დაფუძნება შეუძლებელია. კერძოდ, არ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე. ვიმეორებთ: თუ ამსრულებელმა ხელი აიღო საერთოდ ჩანაფიქრის განხორციელებისაგან, მაშინ დანაშაულში თანამონაწილეობაც არ არსებობს, ხოლო თანამონაწილის მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულისათვის მომზადებად (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დასჯადია მძიმე ან განსკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება). თუ ამსრულებელი დანაშაულის ხადენის მცდელობის სტადიაზე შეწერდა, თანამონაწილე პასუხს აგებს მცდელობისათვის. მაშასადამე, თანამონაწილე სრული მოცულობით პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი ჩაიდენს დამთავრებულ დანაშაულს.

თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათზე მეტყველებს ე.წ. უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების შემთხვევებიც, როდესაც ნავარაუდევი უშუალო ამსრულებელი თავის თავზე არ იღებს წამქეზებლის ან დამხმარის ზემოქმედებას. ამ შემთხვევაში არ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობა, რადგან არ არსებობს ამსრულებელი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას.

თანამონაწილეობის აქცესორობას ადასტურებს აგრეთვე შეალობითი ამსრულებლობაც.[2] რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულის ხასადენად გამოყენებული პირი „დანაშაულის იარადია", და, მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილედ არ შეიძლება ჩაითვალოს. იგივე ითქმის იმ პირზეც, რომელიც განგებ შეცდომაში შეიყვანეს, როგორც გაუფრთხილებლობის სუბიექტი. ეს უკანასკნელი თანამონაწილედ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, ჯერ ერთი, გაუფრთხილებლობით თა-

[1] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 74.

[2] ი. გამყრელიძე, დანაშაულის შეალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 10.

ნამონაწილეობა შეუძლებელია; მეორეც, შეალობითი ამსრულებლის მოქმედება (შეცდომაში შეყვანა) განსრახია.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, ე.ი. თანამონაწილის ცნება ამსრულებლის ცნებაზეა დამოკიდებული. ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ან მისი განხორციელების მცდელობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს. არ არსებობს ამსრულებლის გარეშე შეალობითი ამსრულებლობაც. ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში ამსრულებლის ცნება ცალკეა გათვალისწინებული. იგულისხმება, რომ ამსრულებელი დანაშაულის თანამონაწილედ არ ითვლება. დანაშაულში თანამონაწილეა ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. მხედველობაშია თანამონაწილეობა ვიწრო აზრით, ე.ი. როლების განაწილებით, რადგან თანაამსრულებლობის შემთხვევაში ამსრულებელიც თანამონაწილეა.

თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებასთან დაკავშირებით შეიძლება დადგეს სხვა საკითხიც. კერძოდ, რა ვუყოთ იმას, რომ ამსრულებლის თანხმობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა ვერ შედგება? მართლაც, უშუალო ამსრულებლის ცნება იმას ნიშნავს, რომ იგი მონაწილეობს საერთო შეთანხმებაში, თავის თავზე იღებს ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ზემოქმედებას. ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ ამსრულებელი დანაშაულისათვის მზადების მონაწილეა. თუ ადგილი ჰქონდა მძიმე ან განსაკითრებით მძიმე დანაშაულის მზადებას, რაც ამსრულებელს ბოლომდე უნდა მიეყვანა, მაგრამ მას ხელი შეუშალა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში, მაშინ ამსრულებელი არ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის. უფრო მეტიც, მომზადებისათვის ან მცდელობისათვის ამსრულებელთან ერთად პასუხს აგებენ თანამონაწილენიც.

§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმები

დანაშაულში თანამონაწილეობა ფართო აზრით არის ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი კავშირი, რომელიც ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებით გამოიხატება. ამ თვალსაზრისით იგულისხმება ფართო აზრით დანაშაულში თანამონაწილეობის შინაარსი. მართლაც, ცნობილია, რომ „შინაარსი“ არის საგნის, მოვლენის, შემადგენელი ელემენტების კავშირი. ისიც ცნობილია, რომ შინაარსი სათანადო ფორმის გარეშე არ არსებობს.“ფორმა“ არის საგნის, მოვლენის, შემადგენელი ელემენტების კავშირის წესი. მაშასადამე, ფართო მნიშვნელობით დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმა ესაა ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი კავშირის წესი. სამწუხაროდ სპეციალურ ლიტერატურაში ხშირია „ფორმის“ და „სახის“ კატეგორიათა აღრევები, რის გამოც დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმების საკითხი დღემდე სადავოა. მეორე მხრივ, დანაშაულში თანამონაწილეობის კლასიფიკაციისას ცდილობენ ერთი საკლასიფიკაციო ნიშნიდან ამოვიდნენ. ძირითადად გულისხმობენ სუბიექტური კავშირის სხვადასხვაობას. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ყოველი სოციალური მოვლენა, მათ შორის დანაშაულში თანამონაწილეობაც, ობიექტურ-სუბიექტურია. დანაშაულში თანამონაწილეობა, როგორც ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი კავშირი, ამ კავშირის წესის ანუ ფორმის მიხედვით, არ არის მხოლოდ ობიექტური ან მხოლოდ სუბიექტური. მაგალითად, ვიწრო აზრით ანუ როლების განაწილებით თანამონაწილეობა შესაძლებელია ამსრულებლის მიერ სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელების შემთხვევაში. აქ, უპირველეს ყოვლისა, არსებობს ობიექტური კავშირი, რაც, თავის მხრივ, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირშიც გამოიხატება. მაგრამ ისიც გასაგებია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ეს ფორმა თანამონაწილეთა, მათ შორის, ამსრულებლის, სუბიექტური კავშირის გარეშე შეუძლებელია. სუბიექტური კავშირის ცნება ამ შემთხვევაში გულისხმობს არა განზრახვის ერთიანობას, რაც თანამონაწილეობის ნებისმიერი ფორმისათვის საერთოა, არამედ სუბიექტური კავშირის იმ წესს, რომელსაც შეთანხმება ქვია. დანაშაულის ჩადენაში ამსრულებლის თანხმობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა (ვიწრო აზრით) შეუძლებელია.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობა ვიწრო მნიშვნელობით ანუ როლების განაწილებით თანამონაწილეობის ერ-ერთი ფორმაა,

როგორც თანამონაწილეთა და ამსრულებლის დანაშაულებრივი კავშირის წესის ობიექტური და სუბიექტური ნიშნის ერთიანობა.

ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ თანაამსრულებლობა ანუ მარტივი თანამონაწილეობა თანამონაწილეობის მეორე ფორმას წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი კავშირის ისეთი წესი, როდესაც ყველა თანაამსრულებელი მეტ-ნაკლები ხარისხით უშუალოდ ახორციელებს ხისხლისსამართლებრივ უმართლობას. ეს არის ამ აზრით თანაამსრულებელთა ობიექტური კავშირი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ არსებობს თანაამსრულებელთა შორის სუბიექტური კავშირიც. ეს სუბიექტური კავშირი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც წინასწარი შეთანხმების გარეშე, ისე წინასწარი შეთანხმებით. მაშასადამე, დანაშაულის თანაამსრულებლობაში თანაამსრულებელთა შორის სუბიექტური კავშირის ორი წესი ანუ ფორმა არსებობს: წინასწარ შეუთანხმებლად და წინასწარი შეთანხმებით.

ამრიგად, დანაშაულში მარტივი თანამონაწილეობა ანუ თანაამსრულებლობა ობიექტური კავშირის წესის მიხედვით აშკარად განსხვავდება როლების განაწილებით თანამონაწილეობისაგან, რის გამოც თანაამსრულებლობა ამ თვალსაზრისით თანამონაწილეობის დამოუკიდებელი ფორმაა. მაგრამ რამდენადაც თანამონაწილეობა ფართო მნიშვნელობით სუბიექტური კავშირის გარეშე შეუძლებელია. ამდენად, სუბიექტური კავშირის წესის მიხედვით თანაამსრულებლობა, თავის მხრივ, ორი ფორმით გამოიხატება.

ბოლოს, დავას არ იწვევს ორგანიზებული ჯგუფის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კავშირის წესის თავისებურება. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, ორგანიზებულია, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური კავშირის წესით, ჯგუფის წევრთა შორის როლების მეტ-ნაკლები განაწილებით. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში აშკარად იკვეთება დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორი, ხელმძღვანელიც. მეორე მხრივ, ორგანიზებული ჯგუფის წევრთა შორის სუბიექტური კავშირი საკმაოდ მყარია, მტკიცეა, რომელიც ობიექტური კავშირის თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა ფართო მნიშვნელობით, ობიექტური კავშირის წესის მიხედვით, სამი ფორმით ვლინდება: როლური თანამონაწილეობა ანუ თანამონაწილეობა როლების განაწილებით; მარტივი თანამონაწილეობა ანუ თანაამსრულებლობა; ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. მაგრამ რამდენადაც დანაშაულში თანამონაწილეობა თანამონაწილეთა შორის

სუბიექტური კავშირის გარეშე შეუძლებელია. ამდენად თანაამსრულებლობა, თავის მხრივ, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: წინასწარი შეთანხმების გარეშე და წინასწარი შეთანხმებით. მაშასადამე, არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის ხუთი ფორმა.

§4. დანაშაულის ამსრულებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში გათვალისწინებულია დანაშაულის ამსრულებლობის ცნება და სახეები. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხყოფის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

როგორც ვხედავთ, ჩვენებულ მუხლში ლაპარაკია სამი სახის ამსრულებელზე: ესაა დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, თანაამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი.

არსებობს დანაშაულის ერთპიროვნული, ინდივიდუალური, ამსრულებელი, რომელსაც დანაშაულში თანამონაწილეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს ბუნებრივია, რადგან ხოგჯერ დანაშაულის ჩადენა ხდება ინდივიდუალურად, ერთპიროვნულად. ამიტომ არსებობს აზრი, რომ „ამსრულებლობის" ცნება მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობასთან კავშირში უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ ეს პირობითი დათქმა საქმეს ვერ შველის, რადგან ამსრულებლის ცნება ბუნებრივად ითხოვს ერთპიროვნული, ინდივიდუალური ამსრულებლისაგან გამიჯვნას. აქედან გამომდინარე, დანაშაულში თანამონაწილეობასთან კავშირში იგულისხმება არა ყოველგვარი ამსრულებელი, არამედ უშუალო ამსრულებელი, რადგან სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას (სისხლისსამართლებრივ უმართლობას) მხოლოდ ამსრულებელი ახორციელებს უშუალოდ, მაშინ როდესაც დანაშაულში თანამონაწილენი ამ მიზანს მხოლოდ ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით აღწევენ, კერძოდ, ისინი იყარგლებიან ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის ფუნქციით.

ამრიგად, დანაშაულის „უშუალო" ამსრულებლობის ცნება გულისხმობს დანაშაულში თანამონაწილეობას ვიწრო აზრით, ე.ი. როლების განაწილებით. კერძოდ, ორგანიზატორის ფუნქცია განსხვავდება

წამქეზებლის ფუნქციისაგან, ისევე როგორც დამხმარის ფუნქცია განსხვავდება წინა ორი თანამონაწილის ფუნქციებისაგან. ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია უშუალო ამსრულებლის ფუნქცია, რადგან ეს შკანასკნელი სისხლისსამართლებრივ უმართლობას უშუალოდ, თავისი გონებითა და სხეულებით, თვითონ ახორციელებს.

არსებობს დანაშაულის თანაამსრულებლობაც, როდესაც ორი ან მეტი პირი უშუალოდ, მეტ-ნაკლები აქტივობით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას. ბოლოს, არსებობს შუალობითი ამსრულებლობა, როდესაც პირი, თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, „იარაღად“ იყენებს მცირეწლოვანს ან სულიერად დაავადებულ პირს ანდა იგი განზრახ შეცდომაში შეიყვანს სხვა პირს და ჩაადენინებს გაუფრთხილებლობით დანაშაულს.

ამრიგად, ამსრულებელი აქტიური ფიგურაა, რადგან იგი უშუალოდ ან სხვასთან ერთად, ე.ი. თანაამსრულებლობით ან სხვა პირთა მოქმედების საშუალებით, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას. აქედან გამომდინარე, დგება საკითხი დანაშაულის ამსრულებლობის გამინჯვნისა დანაშაულში თანამონაწილეობისაგან. ამ თვალსაზრისით არსებობს ობიექტური თეორია, რომელიც ამ გამიჯვნის საფუძველს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში ხედავს. ეს, ერთი მხრივ, სწორია, რადგან ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებაში ყველა თანამონაწილისა და ამსრულებლის ობიექტური როლი განსხვავებულია, რომელიც მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ობიექტური საფუძველია, მაგრამ მხოლოდ ობიექტური ასპექტი საკმარისი არ არის. მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობისას სუბიექტმა იცის, რომ იყენებს „იარაღს“, აგრეთვე შეცდომაში შეჰყავს სხვა პირი, როგორც გაუფრთხილებლობის სუბიექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა პირი ფიქრობს, რომ მის მიერ წაქეზებული პირი შეურაცხადია, ხოლო სინამდვილეში იგი შერაცხადია, შუალობითი ამსრულებლობა გამორიცხულია.

არსებობს თანამონაწილისა და ამსრულებლის ფუნქციათა გამიჯვნის სუბიექტური თეორიაც, ე.წ. ინტერესის ცნებაზე აგებული კონცეფცია, რომლის თანახმად, ამ გამიჯვნის საფუძველია დანაშაულებრივი შედეგით დაინტერესება. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ დანაშაულებრივი შედეგით ყველაზე მეტად დაინტერესებული დამხმარე აღმოჩნდეს. გარდა ამისა, სუბიექტური თეორია უძლურია დაასაბუთოს საკუთარი ხელით ნასაღები დელიქტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაგალითად, ქრთამის ამღები მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია, ხოლო ქრთამით გაბიროებული ქმედების შედეგით ქრთამის მიმცემია დაინტერესებული და მაშინ ქრთამის მიმ-

ცემი ამ დანაშაულის ამსრულებლად უნდა მოგვევლინოს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.[1]

გარდა ამისა, სუბიექტური მხრივ დანაშაულში ყველა თანამონაწილე მოქმედებს განზრახ და, მაშასადამე, ამ მხრივ აღნიშნული გამიჯვნა შეუძლებელია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილეებმა და ამსრულებელმა არ იცოდნენ ერთმანეთის მოქმედების მოტივები, შეიძლება დადგეს ამ მოტივების მიხედვით ქმედების განსხვავებული კვალიფიკაციის საკითხი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ მიუხედავად ამისა, მაინც ერთობლივადაა განხორციელებული სისხლისსამართლებრივი უმართლობა.

§5. დანაშაულის თანაამსრულებლობა

დანაშაულის თანაამსრულებლობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის მიერ სისხლისსამართლებრივი უმართლობის მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ, მეტი თუ ნაკლები აქტივობით, განხორციელებას. ამ შემთხვევაში თანაამსრულებელთა შორის როლები წინასწარ არაა განაწილებული, მაგრამ დანაშაულებრივი აქტივობა მაინც განსხვავებულია. მაგალითად, ერთი პირი ხელებს უკავებს მსხვერპლს, მეორე ოქროს სამაჯურს ხსნის მაჯიდან, მესამე ჯიბიდან აცლის საფულეს. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა ძარცვის თანაამსრულებლობა.

დანაშაულში თანაამსრულებლობა ხშირად ხდება წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ იგი შესაძლებელია წინასწარი შეთანხმების გარეშეც. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთპიროვნული, ინდივიდუალური, ამსრულებელი იწყებს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას, მაგრამ ამ შემადგენლობის განხორციელებამდე მას შეუერთდებიან შემთხვევით შესწრებული პირები და ეს დანაშაული (მაგალითად, ქურდობა) საბოლოოდ თანაამსრულებლობის ფორმით იქნება ნადენილი.

დანაშაულში თანაამსრულებლობა შესაძლებელია დენად დანაშაულშიც. მაგალითად, არაა გამორიცხული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა ჯგუფურად (საქ. სს 379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტი). იგი შესაძლებელია გაგრძნობად დანაშაულშიც, თუნდაც ერთიანი მიზნისა და განზრახვის განსახორციელებლად უკანასკნელი აქტის თანაამსრულებლობით, თუმცა პასუხისმგებლობის დადგენისას მხედველობაში უნდა

[1] ო. გამყრელიძე, დანაშაულის შეთანხმებით ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974 წ.

ქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ თანაამსრულებელს წინარე აქტებში
ონაწილეობა არ მიუღია.

ამ მხრივ თავისებურება ახასიათებს შენადგენი დანაშაულის თა-
აამსრულებლობას. მაგალითად, შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც
ანალური თავდასხმა ერთმა პირმა განახორციელა, ხოლო ამ თავ-
ასხმის შემდეგ დანაშაულს შემთხვევით შემოსწრებულმა პირმა და-
არალებულს საფულე წაართვა. ამ უკანასკნელის ქმედება დაკვა-
ლიფიცირდება ძარცვად და არა ყაჩაღობად, მაგრამ სხვისი ნივთის
ართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზანი მაინც თანაამსრულე-
ლობის ფორმითაა განხორციელებული.

დანაშაულის თანაამსრულებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს
ორაქტიან დანაშაულშიც. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობა ნიშნავს
ამ უკანასკნელის ყიდვა-გაყიდვას, ხოლო ეს შესაძლებელია არა მარ-
ო ინდივიდუალურად, არამედ ორგანიზებული ჯგუფის მიერაც (საქ.
სსკ 143[1] მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ პუნქტი). შესაძლებელია თა-
ამონაწილეობა ამ დანაშაულის ცალ-ცალკე აქტებშიც.

დანაშაულის თანაამსრულებლობა, როგორც წესი, აქტიური მოქმე-
დებით ხორციელდება, მაგრამ არაა გამორიცხული შეუსრულებლობის
ქმედების შემთხვევაში. ცნობილია, რომ მცირეწლოვნის მკვლელობა
შესაძლებელია აქტიური მოქმედებით, მაგრამ შესაძლებელია მშო-
ბლების უმოქმედობითაც, როდესაც ისინი შეგნებულად არ კვებავენ
ბავშვს, რათა იგი შიმშილისაგან დაიღუპოს.

თანაამსრულებლობა გამორიცხულია წმინდა უმოქმედობის დე-
ლიქტებში, რომელთა ჩადენა პირს პირადად შეუძლია. მაგალითად,
სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო ან სამხედრო შეკრებისა-
გან თავის არიდება (საქ. სსკ 357-ე მუხლი) ხორციელდება პირადი
უმოქმედობით და მისი თანაამსრულებლობა შეუძლებელია. ცხადია,
არაა გამორიცხული წინასწარი შეთანხმება, რომ ამ მოვალეობას თა-
ი აარიდონ, მაგრამ ამის მიუხედავად, პასუხისმგებლობა აქ მაინც
პერსონალურია, რადგან აღნიშნული შემადგენლობის განხორციელება
მხოლოდ პირადი უმოქმედობის გზითაა შესაძლებელი.

თავისებურება ახასიათებს თანაამსრულებლობას სპეციალურ
სუბიექტთან დაკავშირებით. მაგალითად, ქრთამის აღების თანაამსრუ-
ლებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებუ-
ლი პირი (საქ. სსკ 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი) ანუ
ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. იგივე ითქმის
სამხედრო დანაშაულის თანაამსრულებლობის /ახებაც. მაგალი-
თად, დეზერტირობის თანაამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამ-
ხედრო მოსამსახურე. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 389-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დეზერტირობას ჯგუფურად. აქედან გამომდინარე, არასპეციალური სუბიექტი ამ და სხვა მსგავს დანაშაულთა თანაამსრულებელი ვერ იქნება. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამონაწილე (ორგანიზატორი, წაქეზებული ან დამხმარე).

დანაშაულის თანაამსრულებლობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მაგრამ შესაძლებელია განსხვავება შემადგენლობის ცალკეული ელემენტის შეგნების მხრივ. მაგალითად, არაა გამორიცხული, რომ ერთს შეგნებული ჰქონდეს ორსულობა ქალისა, რომელსაც სიცოცხლეს უსპობენ, ხოლო მეორეს ეს ფაქტი შეგნებული არა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში მკვლელობის უმართლობა მაინც განხორციელებულია, ხოლო შემადგენლობის მიხედვით ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქ. სსკ 108-ე და 109-ე მუხლებით.

უკვე ითქვა, რომ შესაძლებელია შემთხვევაც, როდესაც ორი ან მეტი პირი განსხვავებული მიზნებით მოქმედებენ. მაგალითად, ერთი პირი მოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების ძირის გამოთხრის მიზნით, ხოლო მეორე – პირადი შურისძიების მოტივით, თუმცა ობიექტური მხრივ ორივე ასრულებს დანაშაულს აფეთქებით ან ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საშიში საშუალებით. ამ შემთხვევაში თანაამსრულებლობა შეუძლებელია, რადგან პირველი პირის ქმედება კვალიფიცირდება, როგორც საბოტაჟი (საქ. სსკ 318-ე მუხლის მესამე ნაწილი), მაშინ როდესაც მეორეს ქმედება კვალიფიცირდება როგორც სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება (საქ. სსკ 187-ე მუხლი).

§6. დანაშაულის შეალობითი ამსრულებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს „სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“. ამ დებულებაში გამოხატულია შეალობითი ამსრულებლობა, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე ხორციელდება „იარაღად“ გამოყენებული პირის მოქმედების მეშვეობით. კერძოდ, პირი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის განსახორციელებლად აქცევს მცირელწლოვანს ან სულიერად დაავადებულ პირს, რომელიც შეურაცხადობის გამო

ვისი ქმედებისათვის პასუხისმგებელი არ არის. ამ შემთხვევაში ნიშნული პირი დანაშაულის ჩადენის ბრმა იარაღია, რომელიც ამ-ამ ამ დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე ვერ იქნება. ამ შემ-ვევაში არსებობს ფაქტობრივი თანამონაწილეობა, რადგან შუალო-თი ამსრულებელი ფაქტობრივად წამქეზებელია, ხოლო წაქეზებული ცირელწლოვანი ან სულიერად დაავადებული პირი) ფაქტობრივად სრულებელი. მაგრამ იურიდიულად საქმის ვითარება სხვაგვარია: აქტობრივად წამქეზებელი იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო აქტობრივად ამსრულებელი იურიდიულად დანაშაულის „იარაღია", ადგან ეს უკანასკნელი წაქეზებული ქმედების ჩადენისათვის პასუხს ერ აგებს.

ამრიგად, პირი, რომელიც თავისი დანაშაულებრივი მიზნის მის-ღწევად მცირეწლოვანს ან სულიერად დაავადებულ პირს იყენებს, ოქმედებს განზრახ და, მაშასადამე, დანაშაულის შეალლობითი ამ-რულებელია, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე „იარაღად" გამოყენებული პირის მოქმედების მე-შვეობით სრულდება. ცხადია, დანაშაულის ამ ხერხით ჩადენისათ-ვის პასუხისმგებელია მხოლოდ შეალლობითი ამსრულებელი, რადგან დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული „ცოცხალი იარაღი", როგორც შკვე ითქვა, დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება.

რამდენადმე სხვაგვარია საკითხი მაშინ, როდესაც პირი წინასწარი შეცნობით შეზღუდული შერაცხადობის პირს აქეზებს დანაშაულის ჩასადენად. რამდენადაც შეზღუდული შერაცხადობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, არ გამორიც-ხავს შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირის ბრალს. ამდენად, აქ გამორიცხული არ არის დანაშაულში თანამონაწილეობა. სხვა სა-კითხია, თუ შეზღუდული შერაცხადობის არასრულწლოვანი თავისუ-ფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ხოლო ამ კატეგორიის სრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლდეს მისთვის სამე-დიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების პირობით.

შეალლობითი ამსრულებლობა შესაძლებელია სხვა პირის შეცდომა-ში განზრახ შეცვანით, როდესაც ეს შეცდომა მისატევებელია. მაგრამ შესაძლებელია სხვა პირის განზრახ შეცვანა მიუტევებელ შეცდომაში, როდესაც ეს უკანასკნელი არდევს წინდახედულობის ნორმის მოთხოვ-ნას და, მაშასადამე, მოქმედებს გაუფრთხილებლობით. მაგალითად, პირი, იმაში დარწმუნებით, რომ ბუჩქებში ადამიანია, მეორე პირს აძლევს წი-ნადადებას, რომ ცრილის „დათვს", ხოლო შეცდომაში შეცვანილი პირი, წინდახედულობის ნორმის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, სიცოცხლეს უსპობს ადამიანს, ე.ი. მოქმედებს გაუფრთხილებლობით. ამ შემთხვევა-

ში სახეზეა არა დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა, რადგან გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია დანაშაულში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა.

სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში გამორჩენილია მიუტევებელ შეცდომაში განზრახ შეცვანის გზით დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის შესაძლებლობა. ამიტომ აღნიშნული მუხლი ამ მხრივ უნდა შეიცვალოს.

გამორიცხული არ არის შეცდომა იმ პირის მხრივაც, ვისაც ჰგონია, რომ დანაშაულის ჩასადენად იყენებს შეურაცხად პირს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი შერაცხადია. ამ შემთხვევაში სახეზეა შუალობითი ამსრულებლობის მცდელობა.

შუალობითი ამსრულებლობა შესაძლებელია სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით, როდესაც ამ უკანასკნელს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა. ამგვარი ამსრულებლობა შესაძლებელია თვითმკვლელობისაკენ შეურაცხადი პირის შეგულიანების შემთხვევაშიც, რადგან აქ მკვლელობა ხორციელდება დაზარალებულის „იარაღის“ გამოყენების გზით.

შუალობითი ამსრულებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც უფროსი გასცემს წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივ ბრძანებას, ხოლო ხელქვეითს ეს შეგნებული არა აქვს და არც შეიძლება შეგნებული ჰქონდეს, ან ხელქვეითი მოქმედებს დაუდევრად ანდა უფროსი მას აყენებს უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში.

შუალობითი ამსრულებლობა შესაძლებელია დახმარების ფორმითაც, როდესაც, მაგალითად, ადგილი აქვს აუცილებელი მოგერიების პროვოცირებას და ვითომ მომგერიებელს აწვდიან იარაღს, რომელსაც ფაქტობრივად იყენებენ კიდეც. შუალობითი ამსრულებლობა არაა გამორიცხული იმ შემთხვევაშიც, როდესაც შუალობითი ამსრულებელი იყენებს „იარაღად“ პათოლოგიურ სიმთვრალეს.

შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია მაშინ, როდესაც საქმე ეხება საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტს (მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა); წმინდა უმოქმედობის დელიქტებს, როდესაც სუბიექტმა მოვალეობა პირადად უნდა შეასრულოს (მაგალითად, გადასახადისაგან თავის არიდება). წმინდა მოქმედების დელიქტებს (მაგალითად, დეზერტირობა); სპეციალური სუბიექტის შემთხვევაში, რადგან არასპეციალურ პირს არ შეუძლია სამოხელეო, სამხედრო ან სხვა ანალოგიური დანაშაულის ჩადენა.

თუ წამქეზებელი სპეციალური სუბიექტია, ხოლო წაქეზებული არასპეციალური, მაშინ პირველი შუალობითი ამსრულებელია, ხო-

ლი მეორე – თანამონაწილე, როგორც დანაშაულის ფიზიკური ამსრულებელი.

ამრიგად, შეალიბითი ამსრულებლობა დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს. შეალიბითი ამსრულებელი ერთპიროვნულად მოქმედი პირია, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი, შეავიცი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, იყენებს „იარაღად“ შეურაცხადობას, მიუტევებელ შეცდომას ან პათოლოგიურ სიმთვრალეს და ამ გზით ახორციელებს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

ცხადია, არაა გამორიცხული შეალიბითი თანაამსრულებლობაც, როდესაც ორი ან მეტი პირი განზრახ იყენებს შერაცხად პირს ან შერაცხადი პირის შეცდომას და ამ გზით აღწევს დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას, მაგრამ ეს მაინც არ ცვლის შეალიბითი ამსრულებლობის ბუნებას.

§7. დანაშაულში თანამონაწილეთა სახეები

ორგანიზატორი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა, ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზაციული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელს ორგანიზატორის ცნება განმარტებული აქვს ფართო გაგებით. ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულის ორგანიზატორი მხოლოდ რთულ თანამონაწილეობაში როდი არსებობს. ეს უკანასკნელი შესაძლებელია ორგანიზატორის გარეშეც, მაშინ როდესაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ორგანიზატორის გარეშე შეუძლებელია.

გასაგებია, რომ დანაშაულის ორგანიზატორი თანამონაწილეთა და თანაამსრულებელთა შორის უმთავრესი ფიგურაა. მართალია, ამსრულებელი ამ მსრივ შეუცვლელია, რაკი მის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს, მაშინ როდესაც ორგანიზატორი ყოველთვის აუცილებელი არ არის, მაგრამ სადაც და როდესაც ორგანიზატორი არსებობს, – იგი ყოველთვის გამოირჩევა თავისი ორგანიზატორული, წარმმართველი, ხელმძღვანელობითი ფუნქციით. ცხადია, არ არის აუცილებელი, რომ ერთი და იგივე პირი ერთროულად ახორციელებდეს დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის, ისე ხელმძღვანელობის ფუნქ-

ციას. არ არის გამორიცხული როდესაც დანაშაულებრივ ჯგუფს ქმნის ერთი პირი, მას შემდეგ უხელმძღვანელოს მეორემ, ხოლო დანაშაულის ჩადენა მოაწყოს მესამემ, მაგრამ ამით ორგანიზატორის ფუნქცია, სახელდობრ ის, რომ იგი დანაშაულებრივი ქმედების სულისჩამდგმელია, – არსებითად არ იცვლება. კერძოდ, ორგანიზატორი შემოიკრებს და დანაშაულებრივ ჯგუფში ჩააბამს ცალკეულ პირებს, ანაწილებს მათ შორის როლებს, სიმკაცრეს ანიჭებს დანაშაულებრივ ჯგუფს იმგვარად, რომ ეს ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად სრულ მზადყოფნაში იყოს.

ორგანიზატორს ეკუთვნის დანაშაულებრივი გეგმის შემუშავების ფუნქციაც. ჯგუფის წევრის ინდივიდუალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, აძლევს მათ შესაბამის დავალებას, იღებს ზომებს დანაშაულის ჩადენის გზაზე დაბრკოლებათა მოსახსნელად, დანაშაულის კვალის მოსახპობად და კონსპირაციის მიზნით. ამის გამო ორგანიზატორი, როგორც წესი, ძნელად მოსახელთებელი ხდება.

ორგანიზებული ჯგუფის სათავეში კი, როგორც, წესი, დგას რამდენიმე ორგანიზატორი, რომელთა შორისაც შეიძლება განაწილდეს როლები. მაგალითად, ერთი ქმნის დანაშაულებრივ ჯგუფს, ხოლო მეორე ცდილობს დანაშაულებრივ ქსელში გააბას სახელმწიფო მოხელე, პოლიციელი და ა.შ, რათა ამ მხრივ მიაღწიოს უსაფრთხოების გარანტიას. უფრო მეტიც, არაა გამორიცხული ლობისტი ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან, კორუფციის გზით მიაღწიონ დიდი ოდენობით კონტრაბანდას, ნარკობიზნესის, ფულის უკანონო გათეთრების ორგანიზებას, ორგანიზებულ ეკონომიკურ დანაშაულში მეწარმეთა ჩაბმას და ა.შ.

არც ისაა გამორიცხული, რომ ორგანიზატორი უშუალოდ მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ამის გამო იგი ამსრულებლად ვერ გადაიქცევა, რადგან დანაშაულში უშუალო მონაწილეობა მისი ორგანიზატორული ფუნქციის შემადგენელი ნაწილია, უფრო მეტიც, არც ისაა გამორიცხული, რომ ორგანიზატორმა ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს წამქეზებლის ფუნქციაც. მაგალითად, ორგანიზატორის მიერ წამქეზებლად შერჩეულმა პირმა სავარაუდო ამსრულებელი ვერ დაიყოლია დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ორგანიზატორის უშუალო ჩარევით, მისი კრიმინალური ავტორიტეტის ან დამაჯერებელი მუქარის ზეგავლენით იგი იღებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ორგანიზატორი წამქეზებლად ვერ გადაიქცევა, რადგან წამქეზებლობაც ორგანიზატორული ფუნქციის შემადგენელი ნაწილია. ბოლოს, არაა გამორიცხული ისიც, როდესაც ორგანიზატორი კონკრეტულ შემთხვევაში ასრულებდეს დამხმარის ფუნქციასაც. მაგ-

ალითად, ორგანიზატორი თავისი ჯგუფის წევრს სათადარიგო იარაღიდან უფრო საიმედო იარაღს მიაწვდის, მაგრამ ამის გამო ორგანიზატორი, ცხადია, დამხმარედ ვერ გადაიქცევა.

ამრიგად, ორგანიზატორი დანაშაულებრივი ჯგუფის შემქმნელი, დანაშაულის ჩადენაში ამ ჯგუფის ხელმძღვანელი და წარმმართველია. ამიტომაა, რომ ორგანიზატორი ყველაზე უფრო საშიში ფიგურაა სხვა თანამონაწილეთა თუ თანაამსრულებელთა შორის. ორგანიზატორი, როგორც წესი, ფიზიკურადაც უფრო ძლიერია, გამოირჩევა ძლიერი ნებისყოფით, კრიმინალური ავტორიტეტით. მათ შორის ი შვიათია არაა ფრიად განათლებული, რაფინირებული არამზადაც, რომელიც ხელისუფლების კორუმპირებულ წარმომადგენლებთან დანაშაულებრივი კავშირის დამყარებას ოსტად ახერხებს. ცხადია, მათ შორის არიან სასტიკნიც და დაუნდობელნიც, რომელთა წინაშე შიში აიძულებს საზოგადოების მრავალ ელემენტებს დაჭვნენ მათ ნებას და მონაწილეობა მიიღონ დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში.

დანაშაულის ორგანიზატორი, როგორც წესი, მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, რადგან მისი ორგანიზატორული საქმიანობა ეჭვგარეშეა ინტელექტუალური განზრახვით შეუძლებელია, მაგრამ გამონაკლისის სახით შესაძლებელია იგი მოქმედებდეს ეჭვგარეშეა ინტელექტუალური განზრახვით, როდესაც ამ უკანასკნელს არაა აქვს დაზუსტებული საბარაუდო ამსრულებლის მოქმედების ფარგლები და იგი შეგნებულად უშვებს ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი პასუხისმგებელია ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს ამსრულებლის თვისებრივ ექსცესს.

ის ფაქტი, რომ ორგანიზატორი, როგორც წესი, მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ნიშნავს ორგანიზატორის ფსიქიკურ კავშირს თავისი ჯგუფის წევრებთანაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჯგუფის ყველა წევრის პირდაპირ კავშირს ორგანიზატორთან. პირიქითაც, აუცილებელი არ არის, რომ ორგანიზატორი ჯგუფის ყველა წევრს პირადად იცნობდეს. მითუმეტეს, რომ კონსპირაციის მიზნით ჯგუფის აქტიური წევრები საგანგებოდ მალავენ ორგანიზატორის ვინაობას.

ორგანიზატორის მოქმედების მოტივის საკითხი კი ბრალის პრინციპის შესაბამისად გადაწყდება.

წამქეზებელი. დანაშაულის ორგანიზატორის შემდეგ მოდის წამქეზებელი, რომელიც დანაშაულის ჩადენის უშუალო ინიციატორია და ამ მხრივ უახლოვდება ორგანიზატორის ფუნქციას, მაგრამ მაინც განსხვავდება მისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად“.

დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიება ნიშნავს სავარაუდო ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების გამოწვევას. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ნებისყოფითი საქციელის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველია მოტივი, რომელიც სუბიექტის ქმედების ფსიქიკური საზრისი. მაშასადამე, სავარაუდო ამსრულებელი დანაშაულის ჩასადენად წამქეზებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მან, წამქეზებლის ზემოქმედების შედეგად, უკვე მიიღო დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც წესი, სრულდება კიდეც. ამიტომაა, რომ დანაშაულის ჩადენაზე წაქეზებული პირის შემდგომი გადარწმუნება ითლი საქმე არაა. ვიდრე სავარაუდო ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება არ მიუღია, იგი წაქეზებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და მაშინ სახეზეა უშედეგო წაქეზება, რომელიც დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირდება, თუ წამქეზებელი ცდილობდა ნავარაუდევ ამსრულებელში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება გამოეწვია.

დანაშაულის ჩასადენად წაქეზების ხერხი მრავალგვარია და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, მათ შორის სავარაუდო ამსრულებლის პიროვნებაზეც და მისდამი წამქეზებლის პირად დამოკიდებულებაზეც. ჩვეულებრივ მიღებულია წაქეზება თხოვნით, მუდარით, მოსყიდვით, მუქარით, შანტაჟით და ა.შ წაქეზება შეიძლება ხატვირად, წერილობით, ტელეფონით, მაგრამ ყველა შემთხვევაში კონკრეტული პირისადმი კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ წინადადების მიცემით და არა ზოგადი მოწოდებით ან პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ და ა.შ.

წამქეზებლის ეფექტურობა დამოკიდებულია წამქეზებლის პიროვნებაზეც. შემთხვევითი არ არის, რომ წამქეზებლები, როგორც წესი, გამოირჩევიან ადამიანთა ფსიქიკის სუსტი მხარეების ოსტატური გამოყენების ხელოვნებით, დანაშაულის ჩასადენად ისეთი პირის შერჩევით, რომლისთვისაც დანაშაულის ჩადენის შესახებ წინადადება, შესაძლოა, მოულოდნელიც კი იყოს, მაგრამ პრინციპულად მიუღებელი არ იქნება. ამიტომაა, რომ წამქეზებლები, როგორც წესი, წინასწარვე სწავლობენ მომავალი ამსრულებლის პიროვნებას, დანაშაულის მომავალ მსხვერპლთან მისი დამოკიდებულების ხასიათს და მოხერხებულად იყენებენ მას წამქეზებლური საქმიანობის ეფექტურობისათვის.

დანაშაულის ჩადენისათვის წაქეზება უნდა განვასხვაოთ დანაშაულის პროვოკაციისაგან. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართ-

ლის კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის პროვოკაცია არის სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ცხადია, რომ პროვოკატორი არ შეიძლება პროვოცირებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილედ ჩაითვალოს, რადგან პროვოკაცია დამოუკიდებელი დანაშაულია. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ჯ.წ აგენტ-პროვოკატორის მოქმედება სისხლისსამართლებრივი ასრის ისტორიაში ყოველთვის განიხილებოდა, როგორც შეალამებითი ამსრულებლობა, რადგან ამ შემთხვევაში პროვოცირებული პირი აგენტ-პროვოკატორის თავისებური იარაღია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს „იარაღი“ პასუხს აგებს პროვოცირებული დანაშაულისათვის.

წამქეზებლობას ყოველთვის ახასიათებს კონკრეტულობა რამდენიმე მიმართულებით. ჯერ ერთი, დანაშაულის ჩადენის შესახებ წინადადება უნდა იყოს კონკრეტული, ე.ი. უნდა ეხებოდეს კონკრეტულად ქურდობის, ყაჩაღობის, მკვლელობის და ა.შ დანაშაულის ჩადენას. მეორეც, დანაშაულის ჩასადენად წინადადება უნდა იყოს მიმართული კონკრეტული პირის ან პირების მიმართ, როგორც სავარაუდო ამსრულებლებზე. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის წამქეზებლად არ ჩაითვლება, მაგალითად, ზოგადი მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, რომელიც სახელმწიფო ღალატის სისტემაში დამოუკიდებელი დანაშაულია (საქ. სსკ 317-ე მუხლი).

წამქეზებლობად არ ჩაითვლება აგრეთვე არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (საქ. სსკ 171-ე მუხლი), რომელიც დამოკიდებული დანაშაულია, რადგან ანტისაზოგადოებრივი ქმედება (მათხოვრობა, პროსტიტუცია) დანაშაულად არ ითვლება და მაშასადამე 14 წელს მიღწეული პირი არარსებული დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება. თუ მოხდება არასრულწლოვანის შეძენა-ყიდვა და მისი ჩაბმა დანაშაულში, თუ არასრულწლოვანი მიღწეულია 14 წლის ასაკს, მაშინ სახეზეა, ერთი მხრივ, არასრულწლოვანის მიმართ უკანონო გარიგება, (სსკ 172-ე მუხლი) და შესაბამისად დანაშაულში თანამონაწილეობა.

წამქეზებლობად არ შეიძლება ჩაითვალოს პროსტიტუციაში ჩაბმაც (სსკ 253-ე მუხლი), რომელიც დამოუკიდებელი დანაშაულია. წამქეზებლობად არ ჩაითვლება აგრეთვე მასობრივი არეულობის ორგანიზება (სსკ 225-ე მუხლი) და ჯგუფური მოქმედების ორგანიზება (სსკ 226-ე მუხლი), რადგან აქ საქმე ეხება დამოუკიდებელ დანაშაულს და პირი პასუხს აგებს როგორც ორგანიზატორი, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება ფაქტობრივად წამქეზებელი იყოს. მაშასადამე, წამქე-

ზებელი ყოველთვის იაზრება, როგორც დანაშაულის თანამონაწილე, რომელიც დანაშაულის ამსრულებელზე ზემოქმედების გზით აღწევს დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, უმოქმედობის გზით წამქეზებლობა შეუძლებელია. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირი ხელს არ უშლის სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში, მაშინ სახეზეა არა წაქეზება, არამედ შემხებლობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მზადების ან ჩადენის შესახებ შეუტყობინებლობის სახით (სსკ 376-ე მუხლი).

არ შეიძლება წამქეზებლად ჩაითვალოს პირის მიერ თავისი პირადი შეხედულებებისა და შეფასებების საჯარო დემონსტრაცია კონკრეტულ პიროვნებაში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღძრის განზრახვის გარეშე. მაგალითად, პირი ამბობს, რომ „მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებდი“ ან „ის მამაძაღლი სიცოცხლის ღირსი არ არის“ და ა.შ, რაც მისი გულწრფელი, პირადი შეფასებაა და არა წაქეზება დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, წაქეზება ხორციელდება პირდაპირი განზრახვით. ცხადია, იგულისხმება წაქეზება განზრახი დანაშაულის ჩასადენად. თუ წამქეზებელს მიუტევებელ შეცდომაში შეჰყავს მეორე პირი, მაშინ სახეზეა შუალობითი ამსრულებლობა და არა დანაშაულში თანამონაწილეობა.

დამხმარე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას“.

როგორც ჩანს, კანონში დახმარება განმარტებულია ზოგადად, მისი გამოვლენის სპეციფიკისა და სახეების მიუხედავად, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არსებითად სწორია, რადგან დანაშაულის ჩადენაში დახმარება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურია.

დანაშაულის ჩადენაში დახმარება განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორული საქმიანობისაგან. თუ ორგანიზატორი დანაშაულის ჩადენის ინიციატორია, დახმარების როლი ამ მხრივ მეორეხარისხოვანია. მას არც დანაშაულის ჩადენის იდეა ეკუთვნის და არც ამ იდეის გავრცელება და სხვებისათვის ჩანერგვა. ეს უკანასკნელი წამქეზებლობის ნიშანია. ისიც ცხადია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია დახმარების გარეშეც, წამქეზებლისა და ამსრულებლის ერთობლივი მოქმედებით. მაგრამ, სადაც დამხმარეც არსებობს, მას თავისი წვლილი შეაქვს ერთიანი მართლობის განხორციელებაში. მაშასადამე, დახმარება მიზეზობრივ კავშირშია ერთიან დანაშაულებრივ შედეგთან, ცხადია, ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით. ეს ბუნებრივია, რადგან დამხმარე სწორედ ამსრულებელს უწევს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ დახმარებას. ფიზიკური

დახმარება შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის იარაღის თუ სხვა საშუალების გადაცემით, დანაშაულის ჩადენის გზაზე ფიზიკური დაბრკოლებების მოხსნით, მორგებული გასაღების დამზადებით და ამსრულებელზე მისი გადაცემით, დანაშაულის ჩადენის ადგილის წინასწარი შემზადებით, და ა.შ. ცხადია, რომ ეს და სხვა ამგვარი დახმარება ამსრულებელთან წინასწარ, დანაშაულის ჩადენამდე, უნდა იყოს შეპირებული. წინასწარ შეუპირებელი დახმარება შემხვედრობად, კერძოდ დაფარვად ითვლება (სსკ 375-ე მუხლი) და არა თანამონაწილეობად.

არსებობს დანაშაულის ამსრულებლისათვის ფსიქიკური დახმარების გაწევაც. თუ წამქეზებელი დანაშაულის უშუალო ამსრულებელში აღძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ფსიქიკური დახმარება ამ გადაწყვეტილებას კი არ აღძრავს, არამედ განამტკიცებს, რის შედეგადაც ამსრულებელი უფრო თავდაჯერებული და უფიქმანი ხდება. ფსიქიკური დახმარება შეიძლება გამოიხატოს რჩევა-დარიგებით, მითითებით, თავისი კრიმინალური გამოცდილების გაზიარებით, ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მხარდაჭერით, იმის წინასწარი შეპირებით, რომ დაეხმარება მას დანაშაულის ჩადენაში, დაფარავს ამ დანაშაულს და თვით უშუალო ამსრულებელს, დაეხმარება მას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების რეალიზაციაში და ა.შ.

არაა გამორიცხული შემთხვევა, როდესაც ერთ პირს „აწუხებს" დანაშაულის ჩადენის იდეა, თუმცა მისი ჩადენის გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუ პირი ამ იდეას უზიარებს მეორეს, რომელიც უწონებს ამ იდეას. თუ ამ მოწონებას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მოჰყვა, მაშინ სახეზეა წამქეზებლობა და არა დახმარება.

ფსიქიკური დახმარება შეიძლება გადაეჯაჭვოს ფიზიკურ დახმარებას. მაგალითად, ე.წ. "საქმის მიმცემი", რომელიც ფლობს ინფორმაციას, რომ ამა თუ იმ ობიექტში დიდძალი ფულია, ამსრულებლისათვის პირველადი ინფორმაცია არ უნდა იყოს. წინაადმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება წამქეზებლობას.

დახმარება, როგორც წესი, შეიძლება აქტიური მოქმედებით, თუმცა იგი შესაძლებელია უმოქმედობის გზითაც, როდესაც სპეციალური მოვალეობის მქონე პირი ხელს არ უშლის ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, პოლიციელი ხელს არ უშლის აშკარა ხელიგნურ მოქმედებას, დარაჯი ხელს არ უშლის სახელმწიფო დაწესებულების გაძარცვას, მეურვე ხელს არ უშლის თავის მეურვეობაში მყოფი პირისათვის ჯანმრთელობის დაზიანებას და ა.შ. ასეთ და სხვა ამგვარ შემთხვევებში პირის უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია და-

ნაშაულებრივ შედეგთან, რადგან ამ პირის აქტიური მოქმედებით ეს შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული (საქ. სსკ მუ-8 მუხლის მე-3 ნაწილი).

სხვა საკითხია შერეული უმოქმედობისას დახმარების აღმოჩენა, რადგან ამ შემთხვევაში სუბიექტს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია არ ეკისრება და, მაშასადამე, მის უმოქმედობას არ შეუძლია ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას. პირიქით, ამგვარ ვითარებაში დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობა აქტიური მოქმედებით გამოიხატება.

დახმარებად არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელმა დამხმარის მიერ გადაცემული იარაღი არ გამოიყენა, რადგან ამ შემთხვევაში იარაღის გადაცემა დანაშაულებრივ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში არ არის.

სხვაგვარად წყდება დახმარების საკითხი ამა თუ იმ დანაშაულის ბუნების შესაბამისად. მაგალითად, განგრძობად დანაშაულში დახმარება შეიძლება წინასწარი შეპირების წესით და მაშინ დამხმარე თანამონაწილეა ყველა იმ ქმედებისა, რომელსაც უშუალო ამსრულებელი ნაწილ-ნაწილ ახორციელებს, მაგრამ თუ დამხმარე მონაწილეობდა მხოლოდ უკანასკნელ აქტში, მაშინ იგი წინანდელი აქტებისათვის პასუხს არ აგებს. დანაშაულში დახმარება შეიძლება განხორციელდეს შეწყვეტად, ვიდრე იგი შეწყვეტილი არ იქნება. შენადგენი დანაშაულის დროს, თუ პირი არ იღებდა მონაწილეობას ყანაღურ თავდასხმაში, მაშინ მისი ქმედება ძარცვად დაკვალიფიცირდება.

დამხმარის მოქმედების მოტივი შეიძლება არ დაემთხვეს სხვა თანამონაწილის ან ამსრულებლის მოქმედების მოტივს, მაგრამ ეს საკითხი წყდება ბრალის პრინციპის შესაბამისად. ცხადია, დახმარებაც თანამონაწილეთა მიზნის ერთიანობის გარეშე შეუძლებელია.

დანაშაულის ჩადენაში დახმარება შეიძლება, როგორც წესი, პირდაპირი განზრახვით, მაგრამ იგი არაა გამორიცხული ეკვენტუალური განზრახვისას, როდესაც დამხმარე ვარაუდობს, რომ ამსრულებელი გამოიყენებს სწორედ იმ იარაღს, რომელიც ბანდეროლით გაუგზავნა, ხოლო ამსრულებელმა სწორედ ეს იარაღი გამოიყენა. არაა გამორიცხული ეკვენტუალური განზრახვა იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამხმარე უშვებს ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, მაშინ დამხმარე პასუხს აგებს ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად ჩადენილ დანაშაულში დახმარებისათვის.

§8. ამსრულებლის ექსცესი

„ექსცესი“ უცხო სიტყვაა და ნიშნავს მოქმედებიდან გადახრას. იგულისხმება, რომ შესაძლებელია ამსრულებელი გასცდეს საერთო დანაშაულებრივი ჩანაფიქრის ფარგლებს და მან განახორციელოს უფრო მძიმე ან თვისებრივად სხვა დანაშაულის შემადგენლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ბუნებრივია, თუ ამსრულებელს ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება (ხსენებული მუხლის მეორე ნაწილი).

უნდა აღინიშნოს, რომ ადრე მოქმედი (1960 წ.) სისხლის სამართლის კოდექსი ექსცესის საკითხს არ აწესრიგებდა. ეს საკითხი წყდებოდა პრაქტიკისა და თეორიის მიხედვით. გარდა ამისა, როგორც წესი, ლაპარაკი იყო ამსრულებლის ექსცესზე, მაშინ როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლი თანაამსრულებლის ექსცესსაც ითვალისწინებს.

ამრიგად, როგორც ამსრულებელმა, ისე თანაამსრულებელმა შეიძლება გადაუხვიოს საერთო დანაშაულებრივი ჩანაფიქრის ფარგლებს და ჩაიდინოს უფრო მძიმე ან საერთო ჩანაფიქრისაგან თვისებრივად განსხვავებული დანაშაული. ამის შესაბამისად განასხვავებენ ექსცესის ორ სახეს: რაოდენობრივ და თვისებრივ ექსცესს. რაოდენობრივია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი ან თანაამსრულებელი ჩაიდენს უფრო მძიმე დანაშაულს, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ თანამონაწილეს ან სხვა თანაამსრულებელს. მაგალითად, ჩაფიქრებული იყო ქურდობის ჩადენა, ხოლო ფაქტობრივად ჩადენილი იქნა ძარცვა. გასაგებია, რომ ძარცვა ქურდობისაგან თვისებრივად არ განსხვავდება, მაგრამ ქმედების ზუსტი კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ფარგლების დასადგენად აუცილებელია სწორედ ამ განსხვავების დადგენა. კერძოდ, რაოდენობრივი ექსცესისათვის თანამონაწილე ან სხვა თანაამსრულებელი პასუხს არ აგებს, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ქურდობისა და ძარცვისათვის სანქციებს შორის დიდი სხვაობა არ არის (იხ. 177-ე და 178-ე მუხლები). გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც თანამონაწილეს ან თანაამსრულებელს ჩაფიქრებული აქვს ძარცვა, ხოლო ამსრულებელი ან თანაამსრულებელი ჩაიდენს ყაჩაღობას. აქაც რაოდენობრივი ექსცესია, მაგრამ პა-

სუხისმგებლობა მაინც ექსცესის სუბიექტს ეკისრება. ამ შემთხვევაში თანამონაწილე ან თანაამსრულებელი, რომელსაც ექსცესი არ შეეხება, პასუხს აგებს უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის.

თვისებრივია ექსცესი, როდესაც ამსრულებელი ან თანაამსრულებელი ჩადენს ისეთ დანაშაულს, რომელიც თვისებრივადაა განსხვავებული საერთო ჩანაფიქრის დანაშაულისაგან. მაგალითად, განზრახული იყო ქურდობის ჩადენა, ხოლო ფაქტობრივად ჩადენილ იქნა მკვლელობა ან გაუპატიურება. გასაგებია, რომ თვისებრივი ექსცესისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ექსცესის სუბიექტი, ხოლო სხვა თანამონაწილე ან სხვა თანაამსრულებელი პასუხს აგებს საერთო ჩანაფიქრის ფარგლებში, თუ ეს დანაშაულიც იქნა ჩადენილი ექსცესის სუბიექტის მიერ ან მკვლელობისათვის, თუ ეს დანაშაული არ იქნა ჩადენილი და ექსცესის სუბიექტი პირდაპირ შეუდგა თვისებრივად ახალი დანაშაულის ჩადენას.

არ არის გამორიცხული შემთხვევა, როდესაც ორგანიზატორის დავალებით მომქმედი წამქეზებელი გადაუხვევს ორგანიზატორის განსრახვას და ამსრულებელს მიადებინებს უფრო მძიმე ან თვისებრივად განსხვავებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. ცხადია, ამ შემთხვევაში ორგანიზატორი პასუხს აგებს უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენის მკვლელობისათვის. არც ისაა გამორიცხული, როდესაც ამსრულებელი გადაუხვევს ორგანიზატორის ჩანაფიქრს, რისთვისაც პასუხი უნდა აგოს ამსრულებელმა, ხოლო ორგანიზატორმა პასუხი უნდა აგოს თავისი ჩანაფიქრის ფარგლებში (უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის ან დანაშაულის ჩადენის მკვლელობისათვის).

არ არის გამორიცხული შემთხვევაც, როდესაც ამსრულებელს აქვს ბრალი, მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის, ხოლო ამ ქმედების დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა. რამდენადაც წამქეზებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ამ მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ამდენად იგი პასუხს აგებს ამ მძიმე შედეგისათვის გაუფრთხილებლობით. ცხადია, ამ მძიმე შედეგისათვის გაუფრთხილებლობით გამოწვევისათვის პასუხს აგებს ამსრულებელიც, მაგრამ ამ ნაწილში თანამონაწილეობა გამორიცხულია და თითოეული მათგანი პასუხს აგებს დამოუკიდებლად.

შესაძლებელია ექსცესი შეალობითი ამსრულებლობის შემთხვევაშიც, როდესაც „იარაღი“ ან შეცდომაში შეყვანილი პირი ჩაიდენს უფრო მძიმე ან თავდაპირველი ჩანაფიქრისაგან თვისებრივად განსხვავებულ ქმედებას. მაგრამ ამ შემთხვევაში შეალობითი ამსრულებელი ამ ექსცესისათვის პასუხს არ აგებს, თუ იგი შეგნებულად არ უშვებდა ამ ექსცესის შესაძლებლობას. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს,

რომ ექსცესი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილე ან თანაამსრულებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. თუ ისინი შეგნებულად უშვებენ ამსრულებლის ან თანაამსრულებლის მიერ უფრო მძიმე ან თვისებრივად სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, მაშინ ექსცესი გამორიცხულია და თანამონაწილე ან თანაამსრულებელი პასუხს აგებს ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის.

§9. ჯგუფური დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, ამა თუ იმ შემადგენლობის აღწერისას, გათვალისწინებულია ჯგუფური დანაშაულის სამი სახე: წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ეს პოზიცია განზოგადებულია ზოგადი ნაწილის 27-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. იგულისხმება მარტივი თანამონაწილეობის ისეთი სახე, როდესაც დანაშაულის ჩადენას იწყებს ერთპიროვნული ამსრულებელი, ხოლო ამ დანაშაულის დამთავრებამდე მას წინასწარი შეთანხმების გარეშე შემოუერთდებიან სხვა პირები (თუნდაც ერთი პირიც) და ერთობლივად დაამთავრებენ მას, თუმცა არაა გამორიცხული შეთანხმება უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რაკი ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩასადენად წინასწარი შეთანხმება გამორიცხულია.

როგორც უკვე ითქვა, შესაძლებელია წინასწარი შეთანხმების გარეშე ორი ან მეტი ამსრულებლის მოქმედება განგრძობად დანაშაულშიც, როდესაც ერთიანი მიზნითა და განზრახვით მოქმედი პირი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ახორციელებს ნაწილ-ნაწილ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მეტ-ნაკლები ინტენსივობით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია სხვა პირის ან პირების შემოერთება განგრძობადი დანაშაულის თუნდაც უკანასკნელი აქტის შესასრულებლად. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მატერიალური ხასიათის დანაშაულზეც, რომლის სრულ დამთავრებამდე მონაწილეობას მიიღებენ სხვა პირები ამ დანაშაულის დამთავრებაში.

ორი ან მეტი პირის წინასწარი შეთანხმებული ქმედება შესაძლებელია შენადგენ დანაშაულშიც, როდესაც, მაგალითად, ყაჩაღური თავ-

დასხმას ახორციელებს ერთი პირი, ხოლო ამ თავდასხმაში უეცრად მიიღებენ მონაწილეობას შემთხვევით შემოსწრებული პირებიც.

არ არის გამორიცხული წინასწარ შეთანხმებულად ორი ან მეტი ამსრულებლის მოქმედება, მაგალითად, მკვლელობის (სსკ 108-ე მუხლი) განსაკუთრებით ჩხუბში ჩადენილი მკვლელობისას, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების (სსკ 117-ე მუხლი), გაუპატიურების (სსკ 137-ე მუხლი) და სხვა ამგვარი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში. მართალია, ამ და სხვა მუხლებში პირდაპირ არ არის მითითება, რომ საქმე ეხება წინასწარ შეთანხმებულად ორი ან მეტი ამსრულებლის მოქმედებას, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებში, სადაც მითითებულია დანაშაულის ჩადენაზე „ჯგუფურად", ე.ი. წინასწარი შეთანხმების ან ორგანიზებული ჯგუფის დაჭმის გარეშე, იგულისხმება სწორედ ჯგუფური დანაშაული წინასწარ შეუთანხმებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულიც, რომლის ჩადენა მხოლოდ ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედების გარეშე შეუძლებელია. კერძოდ, იგულისხმება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (სსკ 223-ე მუხლი), ბანდიტიზმი (მუხლი 224-ე), მასობრივი არეულობა (სსკ 225-ე მუხლი), ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს სახელგადებრივ წესრიგს ან მასში აქტიური მონაწილეობა (სსკ 226-ე მუხლი).

ამ დანაშაულთაგან წინასწარი შეთანხმების გარეშე ხორციელდება მასობრივი არეულობის ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რადგან ამგვარ ქმედებას სპონტანური ხასიათი აქვს და იგი იქმნება დანაშაულის ჩადენის ადგილას ამა თუ იმ საბაბით (მაგალითად, სპორტული ან სხვა სანახაობითი ღონისძიების ხელმძღვანელთა მიკერძოებული მოქმედება, რომელიც დამსწრეთა უკმაყოფილებას, პროტესტს იწვევს). მართალია, ამ შემთხვევაში კანონმდებელი ლაპარაკობს მასობრივი არეულობის „ორგანიზებაზე", მაგრამ ამ შემთხვევაში ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი მაინც არ არსებობს, რაკი არ არსებობს წინასწარი შეთანხმება, თანაც მყარი დანაშაულებრივი ორგანიზაციის სახით.

რაც შეეხება ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, მას შეიძლება ჰქონდეს წინასწარი შეთანხმების ხასიათიც, თუმცა იგი შესაძლებელია წინასწარი შეთანხმების გარეშეც, დანაშაულის ჩადენის ადგილზე ამა თუ იმ სოციალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა და ბანდიტიზმი კი წინასწარი შეთანხმების გარეშე შეუძლებელია.

ცხადია, წინასწარი შეთანხმების გარეშე ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი კავშირი გულისხმობს ამ პირთა უნარს პასუხი აგონ ჩადენილი დანაშაულისათვის. შეურაცხადი პირის ფაქტობრივი მონაწილეობა არაა გამორიცხული, მაგრამ იგი იურიდიულად ჯგუფის წევრად არ შეიძლება ჩაითვალოს. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი პირი იყენებს წინასწარი შეცნობით შეურაცხადი პირის დახმარებას უშუალოდ, დანაშაულის ჩადენის ადგილას, ქმედება დაკვალიფიცირდება შუალობითი ამსრულებლობის წესით. ისიც ცხადია, რომ ორი ან მეტი პირის წინასწარ შეთანხმებული დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ განსხვავებულია.

ჯგუფური დანაშაულის მეორე სახეა ორი ან მეტი პირის წინასწარი შეთანხმება [1] შეკავშირება დანაშაულის ჩასადენად (საქართველოს სსკ 27-ე მუხლის მეორე ნაწილი). ჯგუფური დანაშაულის ეს სახე უფრო საშიშია, ვიდრე პირთა ჯგუფის მოქმედება წინასწარი შეთანხმების გარეშე. ეს ბუნებრივია, რადგან იგულისხმება, რომ ორი ან მეტი პირის წინასწარი შეთანხმება შესაძლო დანაშაულის ჩადენის შედარებით მყარ პირობას წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ სახის ჯგუფურ დანაშაულს კანონმდებელი „წინასწარი შეკავშირების“ ნიშნითაც ახასიათებს. კერძოდ, შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის წინასწარი დაგეგმვა, მისი ჩადენის მექანიზმისა და ხერხების შერჩევა, სუბიექტთა შორის როლების წინასწარი განაწილება და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი იმის შესახებ, შედის თუ არა „ჯგუფური დანაშაულის“ ცნებაში თანამონაწილეობა ვიწრო აზრით ანუ როლების განაწილებით? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილი არ გამორიცხავს „ჯგუფის“ ცნებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაულში მონაწილეობს ორგანიზატორი, რომელიც ქმნის დანაშაულებრივ ჯგუფს, ანაწილებს როლებს ამ ჯგუფის წევრებს შორის, წარმართავს მათ დანაშაულს ჩასადენად და ა.შ. მართლაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია არა ორ ან მეტ ამსრულებელზე, არამედ ჯგუფში მონაწილე პირებზე. აქედან გამომდინარე, ჯგუფურ დანაშაულში შეიძლება ვიგულისხმოთ დანაშაულში თანამონაწილეობა ვიწრო აზრითაც, როდესაც დანაშაულში მონაწილეობს ორგანიზატორი.

მიუხედავად ამისა, წინასწარი შეთანხმებით მოქმედ პირთა ჯგუფში როლების განაწილება ყოველთვის არ გულისხმობს დანაშაულში თანამონაწილეობას ვიწრო აზრით, რადგან ამგვარი განაწილება შეიძლება მოხდეს თანაამსრულებელთა შორისაც. მაგალითად, მძევლად ხელში ჩაგდებისას შეიძლება ერთი პირი დარაჯობდეს მძევალს, მეორე

იღებდეს ზომებს უსაფრთხო ადგილის შესარჩევად, მესამე ქწეოდეს მოლაპარაკებას მძევლის გათავისუფლების პირობებზე და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ხშირია მითითება წინასწარი შეთანხმებით ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედების შესახებ. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის (სსკ 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი), მძევლად ხელში ჩაგდების (144-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი), ქურდობის (177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ პუნქტი) და სხვა ამგვარ დანაშაულთა განხორციელებისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლობის უკანონოდ მიღება.

ამ დებულების გასაგებად მოკლედ გავეცნოთ საქ. სსკ 27-ე მუხლის შენიშვნას, რომლის თანახმად, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

როგორც ვხედავთ, ორგანიზებული ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად აშკარად განსხვავდება წინა ორი დანაშაულებრივი ჯგუფისაგან. ჯერ ერთი, იგულისხმება, რომ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზეა პირთა ჯგუფის ორგანიზებული კავშირი. ეს ორგანიზებული კავშირი აგებულია მკაცრ საშემსრულებლო დისციპლინაზე, მეტ-ნაკლები ხარისხის როლების მკვეთრ განაწილებაზე, თუმცა ეს ყოველთვის აუცილებელი არ არის: მასში მონაწილე პირთა სუბორდინაციაზე ჯგუფის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფი შექმნას ერთმა პირმა, ყოველნაირად მოამზადოს იგი დანაშაულის ჩასადენად, ხოლო დანაშაულის ჩადენას უშუალოდ უხელმძღვანელოს მეორემ. გარდა ამისა, შესაძლებელია ჯგუფის შიგნითაც გამოიყოს პირი ან პირები, რომელნიც ამა თუ იმ ხერხით განამტკიცებენ ჯგუფის წევრთა შორის კავშირს და ამ გზით ორგანიზებულ ხასიათს ანიჭებენ მას. მეორეც, ორგანიზებულ ჯგუფში პირთა კავშირი არა მარტო წინასწარია, ე.ი. დანაშაულის ჩადენამდეა

ორგანიზებული, არამედ განსაკუთრებით მყარია, იმდენად მტკიცეა, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენას წინ არაფერი უდგას. მესამე, ჯგუფის ორგანიზება დროში წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას. რამდენადაც ჯგუფის შექმნა და ორგანიზება ერთბაშად, როგორც წესი, შეუძლებელია. ცხადია, ჯგუფის შექმნიდან და ორგანიზებიდან ამ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენამდე არსებული დროის მონაკვეთი ფარდობითია და დამოკიდებულია მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებაზე, მათ შორის იმ დანაშაულზე ან დანაშაულებზე, რომელთა ჩადენას ეს ორგანიზებული ჯგუფი აპირებს. იგულისხმება, რომ ორგანიზებული ჯგუფი იქმნება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად. ეს ბუნებრივია, რადგან ყოველი დანაშაული და მისი შემადგენლობა ინდივიდუალურია და, მაშასადამე, მისი განხორციელებაც შესაბამისი ხერხების შერჩევას მოითხოვს. მესამეც, ორგანიზებული ჯგუფი, როგორც წესი, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო გარემოებისაგან მკაცრად გამიჯნულია, რათა ამ ჯგუფის საქმიანობა სხვა, შემთხვევითი პირებისათვის, უცნობი დარჩეს ან მასში არ შემთხვევით შემოხვედრილმა პირებმა, რომლებმაც ჯგუფის დეზორგანიზაცია შეიძლება გამოიწვიონ. ეს კიდევ მკაცრი კონსპირაციის მიზნითაც, რათა ჯგუფის დანაშაულებრივი ქმედება უსაფრთხო აღმოჩნდეს, თუმცა ორგანიზებული ჯგუფი შესაძლოა გარკვეულწილად დინამიურიც აღმოჩნდეს იმ თვალსაზრისით, რომ მისი ზოგიერთი წევრი შეიცვალოს. მეოთხეც, ორგანიზებული ჯგუფი, როგორც წესი, იქმნება რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ არაა გამორიცხული ამგვარი ორგანიზაციის შექმნა ერთი დანაშაულის ჩასადენადაც. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტზე, სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირზე ან მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა (საქ. სსკ 325-ე მუხლი) შეიძლება მტკიცედ იყოს ორგანიზებული, იმის მიუხედავად, რომ არსებითად ერთი დანაშაულის ჩადენა იყოს გამიზნული. ამ დანაშაულის ჩადენა ამგვარი მტკიცე ორგანიზაციის გარეშე არც დაიგეგმება, რამდენადაც პრეზიდენტს დაცვის საკმაოდ ძლიერი სამსახური ახლავს თან.

თავისთავად ცხადია, რომ ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც შექმნილია ერთი ან რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად, განსაკუთრებული საშიშროებით გამოირჩევა. მით უმეტეს, თუ ორგანიზებულმა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმილი დანაშაული შეძლო ჩაიდინა. ამიტომაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ხშირადაა მითითებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. მაგალითად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ შეიძლება ჩადენილი იქნეს მძეობლად ხელში ჩაგდება (სსკ 144-ე მუხლის მესამე

ნაწილის „ა“ პუნქტი), ქურდობა (სსკ 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ პუნქტი), ყაჩაღობა (სსკ 179-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ პუნქტი), თაღლითობა (180-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ პუნქტი; მითვისება ან გაფლანგვა (სსკ 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი) და ა.შ.

როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართლის კვრძო ნაწილში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულიც, რომლის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედებით (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ბანდიტიზმი, მასობრივი არეულობის ორგანიზება, ჯგუფური მოქმედების ორგანიზება). ითქვა ისიც, რომ მასობრივი არეულობის ორგანიზება ხდება წინასწარი შეთანხმების გარეშე, მაშინ როდესაც ჯგუფური მოქმედების ორგანიზება შეიძლება მოხდეს როგორც წინასწარი შეთანხმებით, ისე წინასწარი შეთანხმების გარეშე. უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა და ბანდიტიზმი დამთავრებულია თვით ამ ჯგუფის ან ბანდის შექმნის მომენტიდან. ცხადია ისიც, რომ ბანდიტიზმი მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ნაირსახეობაა, რომელიც იქმნება რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის თანამედროვე კანონმდებლობა და თეორია იცნობს ჯგუფური დანაშაულის ისეთ სახეს, რომელსაც დანაშაულებრივ გაერთიანებას ანუ დანაშაულებრივ ორგანიზაციას უწოდებენ. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ სახის ჯგუფურ დანაშაულს არ ითვალისწინებს. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულებრივი გაერთიანება ანუ დანაშაულებრივი ორგანიზაცია (დანაშაულებრივი დაჯგუფება) კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა, რადგან ამ შემთხვევაში საქმე შეეხება ყველაზე უფრო „ავტორიტეტული“ კრიმინალების გაერთიანებას განუწყვეტელი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, განსაკუთრებით ბიზნესის ნიღბით, როდესაც სახეზეა ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებთან დანაშაულებრივი კავშირი, საკუთარი დაფინანსება, დაცვა, დაზვერვაც კი. ეს იმდენად საშიში დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ინტერესებს, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში საზღვარგარეთის ბანკებში უკანონოდ გაედინება დიდძალი ფულადი სახსრები. საქმე დანაშაულებრივი ოლიგარქიამდეც და მაფიამდეც მიდის.

ყოველივე ეს შესაძლებელია რუსეთის სინამდვილეში, რადგან რუსეთი დიდი ქვეყანაა და ამ მხრივაც დანაშაულებრივ ორგანიზაციას-

აც ჯარიმა გასაქანი აქვს. ცხადია, დანაშაულებრივი ორგანიზაციის
სოგიერთი ნიშანი არც საქართველოშია გამორიცხული (მაგალითად,
ნარკობიზნესი, ჯულის გაოყორება და სხვა), მაგრამ საქმე ისაა, რომ
ამ მხრივ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება
მაინც რთული და სარისკოა. მართლაც, კონკრეტული სისხლისსა-
მართლებრივი უმართლობის განხორციელების გარეშე სისხლისსა-
მართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია. დანაშაულებრივი
ორგანიზაციის თუ გაერთიანების შემთხვევაში კი ამგვარი კონკრეტუ-
ლობა, როგორც წესი, გამორიცხულია. მით უმეტეს, რომ შესაძლებელია
შემთხვევაც, როდესაც წარსულში ნასამართლევი პირები, რომლებიც
სათავეში უდგანან ამგვარ დანაშაულებრივ გაერთიანებებს, ამჯერად
კონკრეტულ დანაშაულს უშუალოდ არ ჩადიან. აქედან გამომდინარე,
ამგვარი შემთხვევებისათვის თანამონაწილეობის წესით სისხლისსა-
მართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება საკმაოდ რთულია, თუ
არ გავიხიარებთ თანამონაწილეობის იმ საბჭოთა თეორიას, რომელიც
უკანონო რეპრესიების თეორიული საფუძველი გახდა (ა. ვიშინსკის
თეორია, რომელიც სამართლიანადაა დაგმობილი).

მიუხედავად ამისა, ამ საკითხის უფრო ღრმა თეორიული და სოცი-
ოლოგიური შესწავლა საქართველოს სინამდვილეშიც ზედმეტი არ
იქნება.

§10. პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცალ-ცალკეა გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისათვის (სსკ 25-ე მუხლი) და ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის (სსკ 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველი,რომელიც გრცელდება ფაროთ აზრით დანაშაულში თანამონაწილეობაზეც. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ამრიგად, დანაშაული სამი ელემენტისაგან შედგება: დანაშაულის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. დანაშაულის ჩადენა კი შესაძლებელია ამა თუ იმ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების გზით. მაგალითად, პრაქტიკულად ხორციელდება არა მკვლელობა საზოგადოდ, არამედ მკვლელობის რომელიმე კონკრეტული შემადგენლობა (მარტივი, კვალიფიციური და პრივილეგიური). ამასთან, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ტიპურად მართლსაწინააღმდეგოა, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება). დანაშაულის შემადგენლობისა და ქმედების მართლწინააღმდეგობის ერთიანობა ქმნის სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნებას. სწორედ სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი. ეს ეხება დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობასაც. ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის სხვა რაიმე განსაკუთრებული საფუძველი არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ დანაშაულში თანამონაწილეობას თავისებურება არ ახასიათებს. პირიქით, არსებობს ამ მხრივ მთელი რიგი თავისებურება, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ბრალის პრობლემას, რადგან ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია. გასაგებია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა ფაროთ აზრით შესაძლებელია მხოლოდ განზრახ და ისიც განზრახ დანაშაულში. როგორც წესი, იგუ-

ლისხმება პირდაპირი განსრახვა, თუმცა არაა გამორიცხული ეგენტუალური განსრახვაც. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი უმართლობა ერთიანი განსრახვის პირობებში ხორციელდება. თუ განსრახვა არის ბრალის ერთ-ერთი ფორმა, მაშინ ცხადია, რომ დანაშაულში თანამონაწილეთა ბრალის ერთიანობაც სახეზეა. იგულისხმება, რომ დანაშაულში თანამონაწილე ყართოდ გაგებით, ამაგე დროს თანაბრალეულია. თანაბრალეულობა ეხება არა მარტო თანაამსრულებლობას, არამედ თანამონაწილეობას ყართოდ გაგებითაც. ეს ბუნებრივია, რადგან ორი ან მეტი პირის დანაშაულებრივი ქმედება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა, რაც თანაბრალეულობის გარეშე ობიექტური შერაცხვა იქნებოდა, ცხადია თანაბრალეულობის ცნება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა სოლიდარულია ან კოლექტიური, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის გარეშე. პირიქით, თანამონაწილეობის არც ერთ ფორმაში არ არსებობს თანამონაწილეთა იდენტური მოქმედება. თვით თანაამსრულებლობაშიც ხდება პირთა მეტ-ნაკლები აქტივობის გამოვლენა, რაც მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პირობაა.

ამრიგად, ბრალის პერსონალური ბუნება სრულიადაც არ გამორიცხავს თანაბრალეულობის ცნებას დანაშაულში თანამონაწილეობის შემთხვევაში, რადგან თანაბრალეულობის გარეშე არ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობა. ბრალის პერსონიფიკაცია ხდება ერთიანი თანაბრალეულობის ფარგლებში საერთო დანაშაულში თითოეული თანამონაწილის ობიექტური როლის, წვლილის შესაბამისად, ერთიანი ბრალის ფარგლებში საკუთარი ბრალისათვის და არა სხვისი ქმედებისა და ბრალისათვის. თუ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობა ერთიანი უმართლობის განხორციელებაში ობიექტური მხრივ მეტ-ნაკლები ხარისხით, მაშინ ცხადია, რომ არსებობს თანაბრალეულობის ფარგლებში თითოეული თანამონაწილის (ყართოდ გაგებით) ბრალის ხარისხიც, რომელიც პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ერთერთი არსებითი პირობაა.

დანაშაულში თანამონაწილეობა ვიწრო აზრით ანუ როლების განაწილებით, როგორც შეკვე ითქვა, თავისი ბუნებით აქცესორულია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა (ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის) პასუხისმგებლობა ამსრულებლის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. ამსრულებელი სწორედ ის ფიგურაა, რომელიც უშუალოდ, თავისი საკუთარი ბრძანებითა და ხელებით, ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, მაშინ როდესაც თანამონაწილენი თავიანთი როლებით (ორგანიზაციული საქმიანობით, წამქეზებლობით ან დამხმარის ფუნქციით) იყარგლებიან და, მაშასადამე, ქმნიან საერთო

ჩანაფიქრის განხორციელების განსხვავებულ პირობებს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სწორედ ამსრულებელზეა დამოკიდებული, ბოლომდე განახორციელებს თუ არა იგი საერთო ჩანაფიქრს. თუ ამსრულებელმა საერთო ჩანაფიქრი განახორციელა (მაგალითად, მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა), მაშინ ამსრულებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით, ხოლო თანამონაწილეთა მოქმედება, ამ მუხლზე მითითების გარდა, მოითხოვს აგრეთვე ზოგადი ნაწილის იმ მუხლს, რომელიც ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის მოქმედებას ითვალისწინებს (სსკ 24-ე მუხლი). ეს წესი ირღვევა მაშინ, როდესაც დანაშაულში თანამონაწილენი, ორგანიზაციული, წამქეზებლური ან დამხმარის როლის შესრულებისას იმავდროულად დანაშაულის თანაამსრულებელნი იყვნენ. თანაამსრულებლობის შემთხვევაში 24-ე მუხლზე მითითება საჭირო არ არის.

თუ ამსრულებელმა ნებაყოფლობით აიღო ხელი საერთო ჩანაფიქრის განხორციელებაზე, მაშინ ეს უკანასკნელი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ისჯება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება). იგივე ვითარება იქმნება ე.წ. უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარებისათვის, როდესაც ნავარაუდევმა ამსრულებელმა თავის თავზე არ მიიღო წამქეზებლის ან დამხმარის ზემოქმედება.

თუ თანამონაწილეებმა ხელი აიღეს დანაშაულის ჩადენაზე, ე.ი. თუ ორგანიზატორმა დაშალა მის მიერ დანაშაულის ჩასადენად შექმნილი ჯგუფი, წამქეზებელმა გადაარწმუნა ნავარაუდევი ამსრულებელი, ხოლო დამხმარემ უარი თქვა შეპირებულ დახმარებაზე ან უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩადენის იარაღი, მაშინ ისინი თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (საქ. სსკ 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ თანამონაწილეებმა, მათი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, მაშინ ისინი პასუხს აგებენ უფრო მსუბუქად, ვიდრე სხვა პირობებში, როდესაც ამსრულებელს ბოლომდე მიჰყავს თანამონაწილეთა ჩანაფიქრი. ბოლოს, თუ ამსრულებელი შეწერდა მცდელობის სტადიაზე, მაშინ თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულის მცდელობისათვის (საქ. სსკ მე-19 მუხლი).

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, რადგან ამსრულებ-

ლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებ-
ის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია. ამიტომ
თანამონაწილეთა ე.წ. დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორ-
ია დანაშაულში თანამონაწილეობას შეუძლებელს ხდის, რაკი იგი
ემყარება იმას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას თითქოს
აქვს ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან დამოუკიდებელი ხასი-
ათი. სინამდვილეში ეს თეორია იძულებულია ამტკიცოს საწინააღ-
მდეგო, რაც მისი შინაგანი წინააღმდეგობის მაჩვენებელია. ცხადია,
თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ბუნება სრულიად-
აც არ ნიშნავს იმას, რომ აქ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია
გამორიცხულია. სრულიად პირიქით, როგორც ამსრულებლის, ისე თანა-
მონაწილეთა პასუხისმგებლობის დადგენისას მხედველობაში მიიღება
მათი მოქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები.
ცხადია, რომ დანაშაულის ორგანიზატორს უფრო მკაცრი პასუხისმგე-
ბლობა ეკისრება, ვიდრე ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს. მა-
გრამ არ არის გამორიცხული წაძღვნებლის შედარებით მკაცრი პასუხ-
ისმგებლობაც, როდესაც ამ უკანასკნელმა წაქეზების განსაკუთრებით
ვერაგი ხერხი გამოიყენა და საბოლოოდ გატეხა შედარებით უფრო
ნაკლებად მერყეკი ამსრულებელი. ამსრულებლის პასუხისმგებლობის
დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ამ-
სრულებლის თანხმობის გარეშე თანამონაწილეობა ვერ შედგებოდა.
ამ თვალსაზრისით, ამსრულებელი ამ შეთანხმების თანამონაწილეა
და ამდენად, თანაბრალეულიც. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები
ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების
ხერხი, მის მიერ გამოყენებული ძალადობის ხასიათი, დანაშაულის
მსხვერპლისადმი დამოკიდებულება. ხომ არ ჰქონდა ადგილი განსა-
კუთრებულ სისასტიკეს, რაც თანაამსრულებელთან ან თანამონაწილეს-
თან შეთანხმებული არ იყო. თავისთავად ცხადია, რომ ექსცესისათვის
პასუხს აგებს მხოლოდ ამსრულებელი ან თანაამსრულებელი. თუ
ამსრულებელს ან თანაამსრულებელს ეძლეოდა მოქმედების თავისუ-
ფლება, ე.ი. თანამონაწილე ან თანაამსრულებელი არ გამორიცხავდა
ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, მაშინ ექსცესი
გამორიცხულია და ყველა თანამონაწილე ან თანაამსრულებელი პა-
სუხს აგებს ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის (სუბიექტური
მხრივ ეგენტუალური განსრახვით). არ არის გამორიცხული შემთხ-
ვევა, როდესაც თანამონაწილეობით ჩადენილ ქმედებას გაუფრთხილე-
ბლობით მოჰყვება უფრო მძიმე შედეგი. ამ შედეგისათვის პასუხს
აგებს მხოლოდ ამსრულებელი ან თანაამსრულებელი.

ამრიგად, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის ექცესორული ხასიათი კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს როგორც თანამონაწილის, ისე ამსრულებლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. ამ დებულებაში გამოხატულია ბრალის ხარისხის ცნებაც, რადგან იგულისხმება, რომ თანამონაწილეთა (მათ შორის ამსრულებლის) ობიექტური როლი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურიცაა, რაც თავის მხრივ, გამოხატულებას ბრალის ხარისხშიც პოულობს. ერთიანი თანაბრალეულობა სრულიად არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ყოველი თანამონაწილის, ამსრულებლის თუ თანაამსრულებლის ბრალის განსხვავებულ ხარისხებს.

ამ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებლის ან თანაამსრულებლის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეეხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარეს იგი არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა (საქ. სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი). აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. არ არის გამორიცხული, როდესაც თანამონაწილენი, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ განსხვავებული მოტივებით. მაგალითად, წამქეზებელი ანგარებით, დამხმარე შურისძიებით, ხოლო ამსრულებელი მოქმედებდეს ეჭვიანობის ნიადაგზე. ანგარებითი ქმედება ბრალად შეეხება მხოლოდ იმას, ვისაც ეს მოტივი პირადად ამოძრავებდა. მაგალითად, მკვლელობა ანგარებით (სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტი), ხოლო დანარჩენებს შეეხება სხვა მოტივი (სსკ 108-ე მუხლი). მიუხედავად ამისა, აქ თანამონაწილეობა არაა გამორიცხული, რადგან ორივე შემთხვევაში განხორციელებულია მკვლელობის უმართლობა.

დანაშაულში თანამონაწილეებს და ამსრულებლებს, როგორც წესი, ამოძრავებთ ერთიანი მიზანი, ხოლო ამ მიზნის განსხვავების შემთხვევაში თანამონაწილეობა შეუძლებელია.

არ არის გამორიცხული, როდესაც თანამონაწილეს ან ამსრულებელს ახასიათებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი, რომელიც სხვას არ ახასიათებს. მაგალითად, დანაშაულის

ჩადენა არაერთგზის ან ნასამართლობა არ შეერაცხება სხვა პირებს, რომელთაც ეს ნიშნები არ ახასიათებთ. იგივე ითქმის ბრალის ხარისხის შესახებაც, რადგან ეს ნიშანიც მკაცრად პერსონალურია. მართალია, ყველა თანამონაწილე მოქმედებს განზრახ, ცხადია, ამსრულებელიც, მაგრამ შესაძლებელია თანამონაწილეობა ეგნტუალური განზრახვით, მაშინ როდესაც ამსრულებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.

თავისებურებაა ახასიათებს პასუხისმგებლობას სპეციალური სუბიექტის შემთხვევაში. მართლაც, მთელი რიგი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი (მაგალითად, ქრთამის აღება შეუძლია მხოლოდ მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს, ისევე როგორც სამხედრო დანაშაულის თანაამსრულებელია სამხედრო მოსამსახურე). მხედველობაში მიიღება მოხელის ან სამხედრო მოსამსახურის თანამდებობრივი მდგომარეობა. ამ თანამდებობის პასუხსაგები ხასიათი, მოვალეობა, რომელიც სპეციალურ სუბიექტს ეკისრებოდა. ამ შემთხვევაში სპეციალური სუბიექტის პასუხისმგებლობა უფრო მკაცრია, ვიდრე, მაგალითად, წამქეზებლის პასუხისმგებლობა.

უკვე ითქვა, რომ დანაშაულის ორგანიზატორს უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე სხვა თანამონაწილეს, მათ შორის ამსრულებელსაც კი. ეს აიხსნება ორგანიზატორის განსაკუთრებული როლით დანაშაულებრივი მიზნის განხორციელების ორგანიზაციული საქმიანობის მეტი საშიშროებით. მაგრამ კანონმდებელი განსაკუთრებით გამოჰყოფს ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობას (საბ. სსკ 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი). გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს ქმნის ერთი, ხოლო ამ ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს მეორე. გასაგებია, რომ პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მკაცრია, ძით უმეტეს, თუ ორგანიზებულმა ჯგუფმა (მაგალითად, ბანდიტურმა ორგანიზაციამ), კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა. ორგანიზატორს ან ხელმძღვანელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მას მოიცავდა ჯგუფის ორგანიზატორის ან მისი ხელმძღვანელის განზრახვა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის რიგითი წევრები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ან მომზადებისათვის, თუ ეს უკანასკნელი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია.

ცხადია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია აქაც აუცილებელია. კერძოდ, ორგანიზებული ჯგუფის რი-

გით წევრებს შორისაც არსებობს გარკვეული განსხვავება სისხლის-
სამართლებრივი უმართლობის განხორციელების მეტ-ნაკლებ ხარისხ-
ში, მათ შორის შესაძლებელია შედარებით მეორეხარისხოვანი როლის
შემსრულებელიც, რომელიც თავისთავად დახმარებაა, მაგრამ იგი მაინც
ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრია და, მაშასადამე, რო-
გორც წესი, ატარებს ამ ჯგუფის პასუხისმგებლობას ამ ჯგუფში ჩა-
დენილი დანაშაულისათვის. ცხადია, ორგანიზებული ჯგუფის წევრთა
შორისაც შეიძლება აღმოჩნდეს პერსონალური ნიშანი, (მაგალითად,
ნასამართლობა), რომელიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარე-
მოებად მხოლოდ მას შეეხება.

ამრიგად, პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათ-
ვის, ამსრულებლის, თანაამსრულებლობის და ორგანიზებული ჯგუფ-
ის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის მკაცრად პერსონალუ-
რია თითოეული პირის მიერ საერთო დანაშაულებრივი ქმედების
განხორციელებაში შეტანილი ობიექტური წვლილისა და ბრალის
ხარისხის შესაბამისად. აშკარაა, რომ თანამონაწილეთა შორის დამ-
ხმარის როლის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უფრო მსუ-
ბუქია. მართალია, შეალბითი ამსრულებლის მიერ შეურაცხადი ან
შეცდომაში შეყვანილი პირის გამოყენების ხასიათს შესაბამისი შეფა-
სება უნდა მიეცეს. იგივე ითქმის იმ პირებზეც, რომლებმაც არასრუ-
ლწლოვანები ჩააბეს ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათხოვრობაში
ან პროსტიტუციაში), რომლებიც დანაშაულში თანამონაწილეობის
წესით არ დაისჯებიან, მაგრამ ფაქტობრივი მონაწილეობის წესით
უფრო მეტ ამორალურობას ამჟღავნებენ, ვიდრე ერთპიროვნულად მო-
ქმედი ამსრულებლები.

§11. დანაშაულის შემხებლობა

დანაშაულში თანამონაწილეობის პირობლრმასთან მჭიდროდაა დაკავშირებული დანაშაულის შემხებლობა,რადგან არსებობს დანაშაულის დფარვა,როგროც დანაშაულის შემხებლობის ერთ-ერთი სახე,თუ ეს დაფარვა წინასწარ არ იყო შეპირებული. წინასწარი შეპირება იმისა, რომ პირი დაფარავს სავარაუდო უშუალო ამსრულებლის მერ მომავლში ჩასადენ დანაშაულს, დანაშაულის ჩამდენ პირს, დანაშაულებივი გზით მოპოვებულ საგნებს, დანაშაულის კვალს, დანაშაულის იარაღს თუ საშუალებას,- მიზეზობრივ კავშირშია უშუალო ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან და, მაშასადამე, წარმოადგენს დანაშაულში თანამონაწილეობას დახმარების ფორმით. აქედან გამომდინარე, დანაშაულის წინასწარი შეუპირებელი დაფარვა არის დამოუკიდებელი დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ (საქ. სსკ 375-ე მუხლი). იგულისხმება, რომ დანაშაული უკვე ჩადენილია და ამ დანაშაულს ან მის ჩამდენს შემთხვევით გადაყრილი პირი იღებს ზომებს მის დასაფარავად. გასაგებია,რომ დანაშაულის დფარვა ზიანს აყენებს დანაშაულის დროულად გახსნისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს (ისჯება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა).

დანაშაულის დაფარვის სუბიექტია ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელსაც თანამდებობრივად ან სამსახურებრივად არ ევალება დანაშაულთან ბრძოლა. მაშასადამე, თუ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი (რომელთა მოვალეობაა დანაშაულთან ბრძოლა) დაფარავს დანაშაულს, მაშინ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა (დაფარვა და სამახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). სუბიექტური მხრივ დაფარვა განსრახია, ესე იგი სუბიექტს კარგად აქვს შეგნებული დაფარვის არა მარტო მართლწინააღმდეგობა, არამედ მისი სოციალური საშიშროებაც. ცხადია, სუბიექტი დანაშაულს იმიტომ კი არ ფარავს, რომ ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს, როგორც ეს ყოფილ საბჭოთა კავშირში გაბატონებული პირდაპირი განსრახვის ცნებიდან გამომდინარეობდა (საზოგადოებრივად საშიში შედეგის უპირობო სურვილიდან), არამედ რაიმე პირადი მოტივით (ანგარებით, დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის ან მისი ნათესავების მხრივ შურისძიების შიშით, ნათესაური ან ახლობლური გრძნობის კარნახით და ა. შ.). შემთხვევითი არ არის საქ. სსკ 375-ე მუხლის შენიშვნა, რომლის თანახმად, ის, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული (მაგალითად, შვილის მიერ ჩადენილი) თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუნდაც ეს პირი იყოს ტრფიკინგის

მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების პასუხისმგებელი პირი. იგულისხმება, რომ ახლო ნათესაობასთან დაკავშირებული მორალური ვალდებულება უფრო მაღლა დგას, ვიდრე დანაშაულის დაფარვისა-განთავშეკავების ვალდებულება.

დანაშაულის შემხებლობის მეორე სახეა შეუტყობინებლობა იმისა, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. (საქ. სკ 376-ე მუხლი). გასაგებია, რომ მზადების სტადიაზე მყოფი დანაშაულის სათანადო ორგანოში შეტყობინებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის, ხოლო შემდგ ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თაობაზე შეტყობინება ამ დანაშაულის მიმართ მართლმსაჯულების დროული განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ისიც გასაგებია, რომ აღნიშნულის შეუტყობინებლობა ხორციელდება პირის უმოქმედობით, განზრახ, რაიმე პირადი მოტივით (მაგალითად, „აუტკივარი თავის" სინდრომის) მდბალი გრძნობით.

დანაშაულის შემხებლობის მესამე სახეა მიმნებებლობა, რომლისაც ჩვეულებრივი მოქალაქე (არათანამდებობის პირი) არ იღებს ზომებს. რათა აღკვეთოს ის დანაშაული, რომლის ჩადენასაც იგი შემთხვევით შეესწრო. საზოგადოების წევრთა ამგვარი გულგრილობა-მიმნებებლობა ხელს უწყობს ზოგიერთი ამორალური პირის დანაშაულებრივ ბოროტებას, ადამიანთა აბუჩად აგდებას, სხვა ძალადრი დანაშაულის საზოგადოებრიობის თავლწინ ჩადენის უსირცხვილობას და სხვა.

განსაგებია, რომ მიმნებებლობა გარკვეულწილად ამორალურია, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქე (არათანამდებობის პირი) იურდიულად არაა ვალდებული აღკვეთოს დანაშაული. ცხადია, მას უფლება აქვს შეიყროს დანაშაულის ჩამდენი პირი და მიჰგვაროს იგი ხელისუფლებას მის მიმართ კანონით გათვალწინებული ზომების გასატარებლად (საქ. სსკ 29-ე მუხლი), მაგრამ ეს მის იურიდიულ მოვალეობას არ წარმოადგენს. ამიტომაა, რომ მიმნებებლობა დანაშაულად არ ითვლება, თუმცა კი ამორალურია.

ამრიგად, დანაშაულთან კავშირი ანუ შემხებლობა არის შეძლ ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინაწარშეუპირებელი დაფარვა ან ამგვარივე დანაშაულის მზადებაში ცოდნის ან რამდენად ჩადენის შესახებ შეუტყობინებლობა და ნებისმიერი დანაშაულის მიმნებებლობის ფორმით გამოხატული მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ან ამორალური ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხიანს აყენებს დანაშაულთა თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების ეფექტურად და დროული განხორციელების ინტერესებს.

XIII თავი

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ზოგადი დახასიათება

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლებს შორის ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. გამართლებულად უნდა ჩაითვალოს კანონმდებლის პოზიცია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებებისგან.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე VIII თავი ეძღვნება. იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის კოდექსი სახელდებით მოიხსენიებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ოთხ გარემოებას (აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი), ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება და პრაქტიკა არ იცნობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა გარემოებებს. სწორედ ამიტომაა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლი კანონშემფარდებელს უფლებას აძლევს მიმართოს ანალოგიას და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ისეთი გარემოების საფუძველზე გაათავისუფლოს პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელიც სპეციალური ნორმით საკანონმდებლო დონეზე დეტალურად არ არის დარეგულირებული. მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად: *პირველი*, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც სახელდებითაა მოხსენებული სისხლის სამართლის კოდექსში; *მეორე*, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დეტალურად აღწერილი არ არის და ანალოგიით დაიშვება მათი გამოყენება.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას პასუხი: რატომ სჭირდება

კანონმდებელს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების შემოღება?

თუკი პირი სისხლის სამართლით დაცულ რომელიმე სამართლებრივ სიკეთეს არ ხელყოფს, ბუნებრივია, არც წარმოიშობა მისი ქმედების შეფასების საკითხიც. მაგალითად, როდესაც პირი საკუთარ სახლს ანგრევს, ამით არც ერთ სამართლებრივ სიკეთეს არ ადგება ზიანი. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხოვრება აღსავსეა წინააღმდეგობებით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ბუნებრივი მოვლენებით, კოლიზიური ვითარებით და ა.შ. ეს კი ხშირად დაკავშირებულია სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთან, რომლის გადარჩენაც მხოლოდ სხვა სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე შეიძლება ან სხვა პირის მიერ ისეთ ვითარებაშია დაზიანებული სამართლით დაცული სიკეთე, რომ შეუძლებელია მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევა (მაგალითად, დაზარალებულის თანხმობისას). ასეთ ვითარებაში დგება საბოლოო შედეგის შეფასების პრობლემა ანუ ყოველი კონკრეტული სიტუაცია აქსიოლოგიური კუთხით უნდა გაანალიზდეს და გადაწყდეს რა აუცილებლობით, რა მიზეზებით იყო გამოწვეული ამა თუ იმ პირის მხრიდან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების გახილვისას უმეტესწილად სასწორზე დევს ორი სისხლის სამართლით დაცული ობიექტი, რომლიდანაც ერთერთი უნდა გადარჩეს. თუმცა არსებობს მცირეოდენი გამონაკლისებიც, როდესაც, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, არც ერთ სამართლებრივ სიკეთეს არ ექმნება საფრთხე და შესაბამისი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების განუხორციელებლობა არანაირ ზიანს არ გამოიწვევს. მაგალითად, დაზარალებულის თანხმობა და დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა. უფრო კონკრეტულად ამგვარ შემთხვევებს ქვევით განვიხილავთ.

დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის I-ლი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა." ბუნებრივია, სამართალდამცავ ორგანოებს მარტო არ ძალუძთ ამ მიზნის მიღწევა, რის გამოც სახელმწიფო მოქალაქეებს უფლებას აძლევს თვითონ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ საქმიანობაში. ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ორი გარემოება არსებობს. ესენია: აუცილებელი მოგერიება და დამნაშავის

შეპყრობა. თუმცა, შესაძლებელია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა გარემოება მიმართული იყოს როგორც დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, ისე სხვა სასარგებლო საქმიანობის განსახორციელებლად. ასეთებია: უკიდურესი აუცილებლობა, მართლსმიერი რისკი და მოვალეობათა კოლიზია. მაგალითად, თუკი შენობა დანაღმულია, რომელიც წამებში უნდა აფეთქდეს და გამნაღმავმა ორი სადენიდან ერთ-ერთი უნდა გადაჭრას, რათა თავიდან იქნეს აცილებული აფეთქება, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი სადენის გადაჭრა მართლსმიერ რისკად ჩაითვლება და მაინც დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად უნდა შეფასდეს. რა თქმა უნდა, მართლსმიერი რისკი შეიძლება განხორციელებული იყოს მედიცინის დარგში, კომერციული საქმიანობისას და ა.შ.

პრაქტიკაში სრულიად შესაძლებელია, აღნიშნული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების განხორციელების უფლება ადამიანს ერთდროულად წარმოეშვას. მაგალითად, ა. ხედავს, რომ ბ-ს თავს დაესხა მოსაკლავად მანიაკი. ა-მ იქვე მდგომ უცნობ მოქალაქეს იძულებით ავტომანქანა წააროვა და მანიაკს დააჯახა. ა-ს მიერ მანიაკის დაზიანება იქნე მდგარი უცხო ადამიანის მანქანით უცილებელ მოგერიებად შეფასდება, ხოლო უცნობი მოქალაქის მანქანით სარგებლობა უკიდურეს აუცილებლობად.

რთული წარმოსადგენია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზოგიერთი გარემოება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ასეთია, მაგალითად, დაზარალებულის თანხმობა და დაზარალებულის საგარაუდო თანხმობა.

ვინაიდან სახელმწიფოს ქვეყანაში ერთიანი მართლწესრიგის დამკვიდრებაში ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია აკისრია, ამიტომ მანვე უნდა დაადგინოს ის პრიორიტეტული კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ყოველ კონკრეტულ ვითარებაში სამართლით დაცულ სიკეთეთა კონფლიქტისას ადამიანის ქმედება მართლსმიერად მიიჩნიოს თუ მართლსაწინააღმდეგოდ. ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს: სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება, სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები დანაშაულობათა თავიდან აცილების სფეროში და სხვ.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლსმიერი ქცევის ფარგლებს სახელმწიფო ადგენს, ამიტომ მისი მონოპოლიური უფლებაა ამ ფარგლების გაფართოება თუ შევიწროვება. სახელმწიფო ამით თითოეულ ადამიანს უწესებს ამ ფარგლებში ქცევის მოვალეობას. ამასთან, ადამიანს თვითონ შეუძლია განსაზღვროს, სახელმწიფოს მიერ

დადგენილი მართლზომიერი ქცევის ფარგლებში რომელი ქმედება გა-
ნახორციელოს. მაშასადამე, ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ მართლწი-
ნააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების გამოყენება ან
გამოუყენებლობა ადამიანის უფლებაა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ თუკი ადამიანი ამ უფლებას იყენებს იქვე მას წარმოეშობა ამ
უფლების გამოყენების მართლზომიერების პირობების დაცვის მოვა-
ლეობა.

ცნობილია,რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოე-
ბის განხორციელება ადამიანის უფლებას წარმოადგენს და არა მოვა-
ლეობას. რაც შეეხება ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს (მაგალი-
თად,ბრძანების ან განკარგულების შესრულება,შეცდომა,ტრაგიკურლი
კოლიზია და სხვ.), მოქალაქეთა არც უფლებაა და არც მოვალეობა,
რამეთუ უფლების მიცემა ან მოვალეობის დაკისრება მხოლოდ მარ-
თლზომიერი ქცევის ფარგლებში შეიძლება. სწორედ ამიტომ, მართლ-
წინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებისგან განსხვავებით
ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ფარგლებში მოქმედი პირის
მიმართ დაიშვება მართლზომიერი მოქმედება. მაგალითად, საპატიო
შეიდურესი აუცილებლობის წინააღმდეგ შესაძლებელია აუცილებელი
მოგერიების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი
გარემოებების გამოყენება ან გამოუყენებლობა ადამიანის უფლებაა,
თუკი სახელმწიფოს სურს სამართლებრივ სიკეთეთა კონფლიქტისას
გარკვეულ მიზანს მიაღწიოს, მაშინ ამ უფლების გამოყენება სახელმ-
წიფომ შეიძლება გარკვეულ პირთა სამსახურებრივ მოვალეობად აქ-
ციოს. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ, მაგალითად, პოლიციელები, მეხ-
ანძრეები, ექიმები და სხვ.

თუკი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოე-
ბის განმხორციელებლის ქმედებას პირი რამენაირად ხელს შეუწყობს
(ამ სიტყვის ფართო გაგებით) ან რამენაირ კავშირს დაამყარებს, მაშინ
ეს პირიც გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-
ბისგან თუ მან იცოდა, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ
გარემოებას აქვს ადგილი. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს მ. ტურავა,
რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობი-
სას „თანამონაწილე არ შეიძლება დაისაჯოს, რადგან დასჯადი თანა-
მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ განსრახი მართლსაწინააღმდეგო
ქმედების ნადენაში (თანამონაწილეობის ე.წ. აქცესორული თეორია).“[1]

[1] ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შევსე-
ბული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 91.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების განხილვა, ბუნებრივია, არ იქნება სრულყოფილი, თუ თავიდანვე არ განისაზღვრება მართლწინააღმდეგობის რაობა. მართლწინააღმდეგობის არსი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო დონეზე დამუშავებული არ არის. იგი ცალკე ფართო მსჯელობის საგანია და ამიტომ ნაშრომის ამ ნაწილში მართლწინააღმდეგობის ბუნების სრული მოცულობით ახსნა შეუძლებელია. აქ მხოლოდ შევეცდები სათრიენტაციით სახით წარმოვაჩინო მართლწინააღმდეგობის ძირითადი შტრიხები, რომლებიც შემდგომში სამუშაო ჰიპოთეზად მაინც გამოდგება.[1]

სამართლის სხვადასხვა დარგის არსებობის მიუხედავად, სამართლის ყოველი დარგი სამართლის ერთიან სისტემას შეადგენს. ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ სამართლის სხვადასხვა დარგთა ერთ სისტემაში არსებობა შეუძლებელი იქნებოდა თუ სამართლის თითოეული დარგის ნორმები ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს გაითვალისწინებდა. მართებულად მიუთითებენ ვესსელსი და ბოლკე, რომ „სხვისი უფლებების ისეთი ხელყოფა, რომელიც სამოქალაქო ან საჯარო სამართლის ნორმების თანახმად, გამონაკლისის სახით ნებადართულია, აქედან გამომდინარე მართლსამიერიც, ამ თვალსაზრისით, არც სისხლის სამართლის სფეროში უნდა შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ, არამართლსამიერად. ბასეთ შემთხვევაში სამართლებრივი სისტემის ერთიანობისა და ურთიერთშეთანხმებულობის პრინციპი მოქმედებს."[2] მაშასადამე, სამართლის ყველა დარგი ქვეყანაში მართლწესრგის შექმნისათვის ადგენს ურთიერთშეთანხმებულ პირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლის ერთი დარგით ნებადართული ქმედება არ შეიძლება სამართლის სხვა დარგმა აკრძალოს.

საერთოდ, მართლწინააღმდეგობა თავის იმანენტურ თვისებად გულისხმობს ისეთი ქცევის აკრძალვას, რომელიც მოქმედი სამართლისათვის მიუღებელია. როგორ უყურებს სისხლის სამართალი მართლწინააღმდეგობას? სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ადრესატები არიან ზოგადობის წევრები. აქვე ისმის კითხვა: ეხება თუ არა ასეთი სისხლისსამართლებრივი ხასიათის აკრძალვა ზოგადობის ყველა წევრს? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ნორმა, როგორც ქცევის ზოგადი წესი, იქმნება არა ცალკეულ პირთა

---

[1] მართლწინააღმდეგობის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით იხ: ყოველწლიური საჯარო მოსმენები ადამიანის უფლებათა სფეროში (სტატიათა კრებული). ფლეტნერ ი. დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების რიგი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. თბ., 2005, გვ. 5-17.

[2] Wessels/Beulke. Strafrecht. Allgemeiner Teil. Die Straftat und ihr Aufbau. 2002 . C . F . Müler Verlag Heidelberg, S. 91, Ab. 274.

შესაძლებლობების გათვალისწინებით, არამედ საშუალო შესაძლებლობების მქონე ადამიანის გათვალისწინებით, რამდენადაც ნორმა ზოგადი ხასიათის ქცევის წესია და მისი ადრესატებიც განყენებული თვალსაზრისით წარმოიდგინება. რაც შეეხება ცალკეულ ინდივიდთა თავისებურებებს, მათი განხილვა ხდება არა აკრძალვის შემსუბუქების გარკვევისას (ე.ი. მართლწინააღმდეგობის დადგენისას), არამედ ბრალის დადგენისას, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პერსონალური ხასიათისაა. სწორედ ამიტომაა, რომ ნორმა ყველასათვის ერთნაირი სავალდებულოა და აკრძალვა ეხება ყველას.

მართლწინააღმდეგობის სხვაგვარი გააზრება შეუძლებელს გახდიდა: 1) შეალახვითი ამსრულებლობის დასაბუთებას; 2) შეურაცხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ მართლზომიერი ქმედების განხორციელებას; 3) ფსიქიკურად შეურაცხის მიმართ სამედიცინო ჩასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას.

ცნობილია, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოა. ვინაიდან ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, ე.ი. როდესაც სამართლებრივი სიკეთე ზიანდება, მაგრამ ამგვარი დაზიანება სახელმწიფოს მიერ მართლზომიერად ცხადდება, მაშინ კანონშემფარდებელმა დეტალურად უნდა გაანალიზოს განხორციელებული ქმედების შემადგენლობა და უნდა შეაფასოს იგი მართლზომიერება-არამართლზომიერების კუთხით. ისმის კითხვა: როგორ უნდა განახორციელოს პრაქტიკულად ეს კანონგამომყენებელმა? ქმედების შემადგენლობის დადგენის შემდეგ მან უნდა დასვას კითხვა: ხომ არ არის სახეზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება? თუ ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა, მაშინ ლოგიკურად ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ე.ი. "ქმედება მართლსაწინააღმდეგოა თუ მასში უმართლობის რომელიმე შემადგენლობაა განხორციელებული და იგი გამამართლებელი გარემოებით არაა გადაფარული."[1] ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს გ. ნაჭყებიაც: – „თუ განხორციელებულია რომელიმე კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), მაშინ ვიარაუდებთ, რომ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა."[2]

---

[1] Wessels/Beulke. Strafrecht. დასახ. ნაშრ., გვ. 90, აბ. 270.

[2] ნაჭყებია გ. ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხის დადგენისათვის. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი," საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2006, №1, გვ. 69.

მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობისას ბაუმანი აღნიშნავს: – „ქმედების მართლწინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ არის გამორიცხული, როდესაც პირის ქმედება (არა მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ნორმას) გამამართლებელ ნორმას მთლიანად ასრულებს. თუ გამამართლებელი გარემოება გულისხმობს სუბიექტურ მომენტებსაც, მაშინ მართლწინააღმდეგობა გამორიცხება ასევე სუბიექტური მომენტების არსებობით (მაგალითად, დაცვის ნება (Verteidigungswille) აუცილებელი მოგერიებისას). არც ერთ შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ გამართლება ნებისმიერი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობისას მხოლოდ მათი შეცნობით. თუ მოქმედი პირი ვარაუდობს გამამართლებელი გარემოების არსებობას და სინამდვილეში არ არსებობს, მაშინ მისი ქმედება არ გამართლდება მაგრამ განუზრახველ (vorsatzlosem) ქმედებას გაუტოლდება.“[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ სიტუაციებში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივი შეცდომის გაანალიზების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ბუნებას. კერძოდ, ცნობილია, რომ არის დანაშაულები, რომელთა დასჯადობის ერთ-ერთ წინაპირობას არ წარმოადგენს სამართლის სხვა დარგში მოქმედი წესების დარღვევა (მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა და სხვ.) და დანაშაულები, რომელთა დასჯადობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს სამართლის სხვა დარგში მოქმედი წესების დარღვევა (მაგალითად, სსკ-ის 240-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სამოთ. სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის და სხვ.)

ო. გამყრელიძე პირველ ჯგუფში გაერთიანებულ დანაშაულების (კლასიკური დელიქტების) შემადგენლობათა განხილველობისას, მართლწინააღმდეგობის დადგენას შესაძლებლად მიიჩნევს ნეგატიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ არსებობს (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, მაშინ დასტურდება ვარაუდი, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. მეორე ჯგუფში გაერთიანებულ დანაშაულთა შემადგენლობების განხორციელებისას, რომელთა დისპოზიციები ბლანკეტური ხასიათის ნორმებშია ასახული, მართლწინააღმდეგობა უნდა დადგინდეს პოზიტიურად, რაც იმას ნიშ-

[1] Jurgen Baumann. Grundbegriffe und System des Strafrechts. Eine Einführung an Hand von Fällen. W. Kohlhammer verlag. Stuttgart, 1962, S. 85.

ნაგს, რომ უნდა გაირკვეს დაირღვა თუ არა სამართლის სხვა დარგში მოქცეული წესები.[1]

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სახელდებით მოხსენიებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

§1. აუცილებელი მოგერიება

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს შორის, აუცილებელი მოგერიება და შეპყრობა აუცილებლობა უძველესი, ე.წ. კლასიკური სახეობის ინსტიტუტებია, რომლებიც მეცნიერთა დიდ ყურადღებას იპყრობდა ყოველთვის.

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ აუცილებელი მოგერიების ორ სახეს: 1) აუცილებელი მოგერიება, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს და 2) აუცილებელი მოგერიება, რომელმაც ბრალს გამორიცხავს ან ამსუბუქებს. იურიდიულ ლიტერატურაში მას მოხვენებით (პუტატიურ) აუცილებელ მოგერიებას უწოდებენ. ამ უკანასკნელს პირობითად ეწოდება აუცილებელი მოგერიება, რამეთუ ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ფაქტობრივ შეცდომას, რაც შექმნილი ვითარების შესახებ სუბიექტის მცდარი წარმოდგენის შედეგია და ობიექტურად არც აუცილებელ მოგერიებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ცნობილია, რომ დანაშაულობის თავიდან აცილების სფეროში სისხლის სამართლის რეგულირების მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უფლებაადმჭურველი მეთოდი, რომელიც მოქალაქეებს უფლებას აძლევს აქტიურად ჩაერთონ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ უფლების გამოყენება, გარკვეული პირობების დაცვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ცხადდება. დანაშაულის აღკვეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებას აუცილებელი მოგერიება წარმოადგენს, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა ადამიანის უფლებაა. ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ადამიანის უფლება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი აუცილებელი მოგერიებაა და არა ბრალის

[1] გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. გამოიცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქციის მიერ, თბ., 2005, გვ. 81-83.

გამომრიცხველი აუცილებელი მოგერიება, რადგან სახელმწიფო მხოლოდ მართლზომიერი მოქმედების უფლებას იძლევა. მაშასადამე, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ბრალის გამომრიცხველ აუცილებელი მოგერიება ადამიანის უფლება ვერ იქნება.

მართლზომიერი აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება ყოველთვის ნიშნავს მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედის სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას. პრაქტიკაში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის თავიდან აცილება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშეც შეიძლება. ამგვარი შესაძლებლობა აუცილებელი მოგერიების უფლებას არ ხდუდავს, რაზედაც სსკ-ის 28-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს: – „აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას." თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირს სამართლებრივად ევალება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე თავიდან აიცილოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაშინ აუცილებელია პირმა ჯერ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე იმოქმედოს და შემდეგ გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება. მაგალითად, სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მუშაკს შეუძლია პატიმრების გაქცევა აღკვეთოს ან კარების დაკეტვით ან პატიმრებისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, პატიმრებისთვის ჯანმრთელობის დაზიანება გაუმართლებელი იქნება.

აუცილებელი მოგერიებით შესაძლებელია როგორც საკუთარი, ისე სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა, რაზედაც სსკ-ის 28-ე მუხლის პირველ ნაწილში პირადაპირაა მითითებული. კანონის ამ მითითებაზე, ვფიქრობ, მცირეოდენ დაზუსტებას მოითხოვს ო. გამყრელიძის მოსაზრება, რომელიც საკმაოდ ფართო განმარტებას იძლევა და აღნიშნავს, რომ სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვა აუცილებელი დახმარებაა.[1] მართალია, არის შემთხვევები, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვა აუცილებელ დახმარებას წარმოადგენს, მაგრამ ყოველთვის აუცილებელ დახმარებასთან არ გვაქვს საქმე. აუცილებელი დახმარებაა, მაგალითად, როდესაც მშობელი შვილს გადაარჩენს მანიაკის სასიკვდილო თავდასხმისაგან, რადგან მშობლის შვილის მიმართ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია ეკისრება. სულ სხვაგვარი სიტუაცია იქნება, როდე-

[1] გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი ნაწილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, გვ. 213-214.

საც,დაუშვათ,ა. ისეთი ადამიანის სამართლებრივ სიკეთეს გადაარჩენს, რომლის მიმართაც მას სამართლებრივი გარანტის ფუნქცია არ გააჩნია და ეს ადამიანი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში არ იმყოფება. მაგალითად, ბ-ს სახლში საქურდლად შესული დამნაშავე, ბ-ს მეზობელმა ა-მ ცემით მიაგერია,რითაც ბ-ს საკუთრება გადაარჩინა.

იმისათვის,რომ სამართლებრივ სიკეთეთა კონფლიქტისას,რომელსაც ადგილი აქვს აუცილებელი მოგერიებისას,მომგერიებლის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება მართლზომიერად ჩაითვალოს აუცილებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვროს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები.

„ქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დაზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.“ კანონის ამ ტექსტიდან ლოგიკურად შეიძლება გამოვყოთ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების რამოდენიმე ობიექტური პირობა:

პირველი, საკმარისია ხელყოფა იყოს მართლსაწინააღმდეგო და სრულებით არაა საჭიროდებულო სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი ბრალეულად მოქმედებდეს, რადგან სამართლით დაცულ სიკეთეს ისეთივე საფრთხე ემუქრება მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არაბრალეული ხელყოფისაგან, როგორც დანაშაულებრივი ხელყოფისას. მაგალითად, შესაძლებელია აუცილებელი მოგერიების განხორციელება იმ თავდამსხმელის მიმართ, ვისაც 13 წელი არ შესრულებია ან ფსიქიკურად დაავადებულია.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა ყოველთვის საფრთხეს უნდა უქმნიდეს სისხლის სამართლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. ამასთან, ასეთი ხელყოფა ისეთი საფრთხის შემცველი უნდა იყოს, რომ ეს ქმედება არ უნდა მოექცეს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის ფარგლებში. მაგალითად, თუ პირი გაზეთის მოპარვას ცდილობს, გაზეთის მფლობელს არ წარმოუშობა აუცილებელი მოგერიების სისხლისსამართლებრივი უფლება.

ოურიდიულ ლიტერატურაში ხელყოფისათვის დამახასიათებელ დამოუკიდებელ ნიშნად ასახელებენ რეალურობას (ნამდვილობას), რაც იმას ნიშნავს, რომ ხელყოფა ობიექტურად უნდა არსებობდეს და არა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში. მაგრამ, ვფიქრობ, ხელყოფის რეალურობის დამოუკიდებელ ნიშნად გამოყოფა არ უნდა იყოს გამართლებული. ეს უკანასკნელი თავისთავად იგულისხმება პირველ

ნიშანში, რადგან თუკი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, იგი ამასთანავე რეალურიცხაა. ქმედება თუ რეალურად არ ეწინააღმდეგება სამართალს, მაშინ არც ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე შეიძლება საუბარი. შეუძლებელია ვინმემ მოიყვანოს ისეთი მაგალითი, რომელსაც ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა და ამავდროულად არარეალურია. აქ ტრადიციულად იგულისხმება ე.წ. მოსვენებითი აუცილებელი მოგერიება, როდესაც პირს ჰგონია, რომ ადგილი აქვს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას, მაგრამ ობიექტურად ასეთ ქმედებას ადგილი არა აქვს. ასეთ ვითარებაში ფაქტობრივი შეცდომის გამო სამართლებრივი სიკეთის დამზიანებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალთან მიმართებით, რა დროსაც ბრალი შეიძლება სრულებით გამოირიცხოს ან შემსუბუქდეს. ასეთ ვითარებაში დეტალურად უნდა იქნეს გაანალიზებული შემთხვევის ადგილი, დრო, ქვეყანაში არსებული ვითარება, სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა, ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილება და სხვ.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა უმეტეს შემთხვევაში მოქმედებით ხორციელდება, მაგრამ გამორიცხული არაა უმოქმედობამაც საფრთხე შეუქმნას სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი არ უდებს შენობის კარებს მუშებს, რომელთაც დაღუპვის საფრთხე ემუქრებათ გაუთხილი გახის გამო. შექმნილ ვითარებაში ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად ერთ-ერთი მუშა დირექტორს ჯანმრთელობის დაზიანებას მიაყენებს.

მართალია, არ არსებობს უობიექტო დანაშაული, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება ნებისმიერი დანაშაულის შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებისას წარმოიშობა. მართებულად, აღნიშნავს ო. გამყრელიძე, რომ „აუცილებელი მოგერიების უფლებას, ყაჩაღობისაგან განსხვავებით, არ წარმოშობს გამოძალვა (სსკ-ის 181-ე მუხლი), სადაც მუქარა არის, მაგრამ არა ამწუთიერი. მუქარის აღსრულება გამოძალვის დროს ამ წუთში არ არის მოსალოდნელი. აქ გამომძალველი დროს აძლევს მსხვერპლს. ამიტომ ქონების გადაცემის მოთხოვნა სსკ-ის 181-ე მუხლის მიხედვით მომთხოვნის დაზიანებას ვერ გააამართლებს."[1]

მეორე, რადგან კანონი მოითხოვს, რომ ხელყოფა მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს, ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, აუცილებელი მოგერიებისას საფრთხის წყაროდ ყოველთვის ადამიანი გვევლინება, რადგან სამართლებრივად

[1] გამყრელიძე ო. დასახ. ნაშრ. გვ. 217.

მხოლოდ ადამიანის ქცევა შეიძლება შეფასდეს. მართლსაწინააღმდეგო ხელყოფაც მხოლოდ ადამიანმა შეიძლება განახორციელოს. ამიტომ, აუცილებელი მოგერიებისას ზიანი საფრთხის წყაროს უნდა მიადგეს ანუ ისეთი სამართლებრივი სიკეთე უნდა დაზიანდეს, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის განმახორციელებელს უკავშირდება. ასეთი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება იყოს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და სხვ.

სწორედ ამიტომაა, რომ თუ ცხოველი ადამიანის ნების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ცხოველის მოკვლა აუცილებელ მოგერიებად განიხილება, რადგან ცხოველი იარაღადაა გამოყენებული. თუკი ცხოველი ადამიანის ჩარევის გარეშე მოქმედებს, მაშინ მისი მოგერიება უკიდურეს აუცილებლობად განიხილება, რადგან აქ უკვე საფრთხის წყარო თვითონ ცხოველია. მაგალითად, თუ ბოროტმოქმედი გაწვრთნილ ძაღლს ყანაღობისთვის იყენებს, ძაღლის მოკვლა ან დაზიანება თავდასხმისას აუცილებელ მოგერიებად უნდა შეფასდეს.

მართლსაწინააღმდეგო ხელმყოფის განმახორციელებლის დაზიანება მოქმედებითაც შეიძლება და უმოქმედობითაც. უმოქმედობით მოგერიება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც პირი თავისი სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით აზიანებს ხელმყოფს. მაგალითად, ბორნის დარაჯი ხედავს, რომ მისკენ მოემართებიან მის მოსაკლავად რამოდენიმე შეიარაღებული პირი. იგი თავდაცვის მიზნით არ გააფრთხილებს მათ, რომ ბორანი დაზიანებულია, რასაც შედეგად ბოროტმოქმედთა წყალში დახრჩობა მოჰყვება. ამით კი დარაჯი სიკვდილს გადარჩება.

მესამე, აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა ამწუთიერია, რაც, ერთის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ხელყოფა რეალურ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს დროის უმცირეს მონაკვეთში და არა მომავალში და, მეორე მხრივ, ამგვარი ხელყოფა დასრულებული არ უნდა იყოს. მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შეწყვეტის სამი მიზეზი უნდა აღინიშნოს: 1) თავდამსხმელმა ნებაყოფლობით აიღო ხელი ხელყოფის შემდგომ განხორციელებაზე; 2) თავდამსხმელის ქმედება აღკვეთილი იქნა პირთა დროული ქმედებით; 3) დასაცავი სამართლებრივი სიკეთე უკვე დაზიანებულია და მოგერიებას აზრი აღარ აქვს, რადგან სამართლებრივი სიკეთის ბუნებიდან გამომდინარე მისი დაზიანების შემდეგ ხელყოფაც წყდება და ყოველგვარი დაცვითი ქმედება საფუძველს მოკლებულია. მაგალითად, თუ კაცი მოკლულია აუცილებელი, მოგერიების განხორციელება აბსოლუტურად შეუძლებელია, მაგრამ თუ ჯანაღური თავდასხმაა განხორციელებული, მიუხედავად იმისა, რომ

სამართლებრივი სიკეთე დაზიანებულია, აუცილებელი მოგერიების განხორციელება მაინც შეიძლება, რადგან ხელყოფა გრძელდება და სამართლებრივი სიკეთის გადარჩენაც შეიძლება. უკანასკნელი ორი მიზეზის შესახებ თითქმის მსგავსი მოსაზრებაა გამოთქმული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.[1]

მაშასადამე, სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად განხორციელებული ქმედება ამგვარი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის თანადროული უნდა იყოს. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ხელყოფა დამთავრებულად ითვლება არა დანაშაულის იურიდიულად დამთავრების, არამედ ხელყოფის ფაქტიურად დამთავრების მომენტიდან. მაგალითად, მძევლად ხელში ნაგდება (სსკ-ის 144-ე მუხლი) დენადი დანაშაულია, რის გამოც ამ დანაშაულის იურიდიული და ფაქტობრივი დამთავრების მომენტები ერთმანეთს არ ემთხვევა. მძევლად ხელში ჩაგდებისას სამართლებრივი სიკეთე მანამდე განიცდის ხელყოფას ვიდრე ფაქტობრივად არ დამთავრდება აღნიშნული დანაშაული. მაშასადამე, ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს დანაშაულის ფაქტობრივად დამთავრების მომენტამდე.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შეწყვეტის მომენტის განსაზღვრისას საყურადღებოა სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სადაც აღნიშნულია: „ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლსმიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ შეკან დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია." კანონმდებელმა ამ დათქმით ნათლად დაადგინა აუცილებელი მოგერიების დამთავრების მომენტი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სამართლებრივი სიკეთე (დანაშაულის ობიექტი) დაზიანებულია, მაგრამ დანაშაულის საგნის ან ადამიანის მიმართ არსებული საფრთხის აღკვეთა ჯერ კიდევ შეიძლება. თუ კარგად დაუკვირდებით აქ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფები იგულისხმება, რომელსაც საგანი გაანიავა და ხელმყოფის დაზიანებით ამ უკანასკნელთ შემდგომი საფრთხე მოუხსნებათ. ეს იმითაც დასტურდება, რომ კანონმდებელი საუბრობს ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის „წართმევასა" და „დაბრუნებაზე." ლოგიკურად ეს იმას ნიშნავს, რომ წართმევა და დაბრუნება მხოლოდ ისეთი სამართლებრივი სიკეთეების შეიძლება, რომლებიც

[1] სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2002, გვ. 76.

ალწერილობითი ნიშნებით ხასიათდებიან. ასეთია, მაგალითად, ოქროს საათი, ფული, ავტომანქანა, დოკუმენტი და ა.შ.

ასეთ ვითარებაში ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლსაწინააღმდეგოდ მიმქმედის დაზიანება მხოლოდ მაშინ ითვლება მართლზომიერად თუ დაცულია კიდევ ორი პირობა: 1) თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფისთვის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე. მაგალითად, თუ ა-მ ფული ამოაცალა ბ-ს ჯიბიდან, ხოლო ბ. გაჰყოლებია ა-ს ფულის დასაბრუნებლად და დევნისას ა-მ ფული გადააგდო ბ-ს აუცილებელი მოგერიების უფლება ა-ს მიმართ შეწყვეტილად ითვლება. 2) თუ სამართლებრივი სიკეთის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა. სიტყვა „დაუყოვნებლივ“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს უცვლად, დროის უმცირეს მონაკვეთში მოქმედებას ყოველთვის. აქ კანონმდებლის ნამდვილი ნების დასადგენად კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. პირველი მაგალითი: ქალაქური თავდასხმით წართმეული ქონების დასაბრუნებლად დამნაშავეთა დევნა შეიძლება ერთი საათიც გასტანოს. მაგრამ თუ თავდასხმის შეწყვეტიდან დროის დიდი მონაკვეთის შემდეგ მოხდება დამნაშავეთა დაზიანება, ასეთი მოქმედება არ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად.

აუცილებელი მოგერიების სუბიექტური პირობაა (ე.ი. მთლიანობაში მეოთხე პირობა) ის, რომ მომგერიებელი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით უნდა მოქმედებდეს. ამასთან, მომგერიებლის ქცევის მოტივები აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს.

აუცილებელი მოგერიების მეოთხე ობიექტური პირობა (ე.ი. მთლიანობაში მეხუთე) სსკ-ის 28-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან გამომდინარეობს ლოგიკურად. კერძოდ, გადაცილებული არ უნდა იყოს აუცილებელი მოგერიების ფარგლები. „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან“ (სსკ-ის 28-ე მუხლის მეთხე ნაწილი). ვიდრე კანონის ანალიზს შევუდგებით, აღვნიშნავ, რომ უფრო მართებული იქნება თუ კანონმდებელი მიუთითებს არა „თავდასხმის,“ არამედ „ხელყოფის“ ხასიათსა და საშიშროებაზე, რადგან, ჯერ ერთი, აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში საუბარია მართლსაწინააღმდეგო ხელყოფაზე და, მეორე, ისეთ ვითარებაშიც წარმოიშობა აუცილებელი მოგერიების უფლება, რომელსაც თავდასხმა არა გვაქვს სამართლებრივ სიკეთეზე, მაგრამ მის მიმართ ხორციელდება ხელყოფა. მაგალითად, ჭურდობისას.

მართალია, აუცილებელი მოგერიების შესაძლებელია საფრთხეში მყოფ სამართლებრივ სიკეთეზე უფრო მეტი ღირებულების მქონე

სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, თუმცა კანონმდებელი სამართლებრივ სიკეთეთა თანაფარდობას ზედმიწევნით არ ტოვებს. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ სამართლებრივი სიკეთის დასაცავად განხორციელებული ქმედება არაუბრალოდ არ შეესაბამება ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას, არამედ ასეთი შეუსაბამობა უნდა იყოს აშკარა ხასიათის. ეს კი უნდა დადგინდეს კონკრეტული შემთხვევის ყოველი დეტალის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს ხელმყოფისა და მოგერიებლის ასაკს, ფიზიკურ სიძლიერეს, სქესს, მათ რაოდენობას და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოგერიებლის პროფესიას. მაგალითად, პოლიციელს თავის სამსახურებრივი მგომარეობიდან გამომდინარე ევალება შედარებით მეტი რისკი გაწიოს სხვა მოქალაქესთან შედარებით.

მართებულადაა მითითებული სისხლისსამართლებრივი ლიტერატურაში, რომ მოგერიებელმა ყველაზე რბილი (დანდობადი) თავდაცვის საშუალება უნდა აამოქმედოს, ე.ი. კონკრეტულმა პიროვნებამ სხვადასხვა საშუალებებიდან სწორედ ის უნდა ამოარჩიოს, რომელსაც იგივე ეფექტის მიღწევა შეუძლია შედარებით ნაკლები ზიანის თანხლებით.[1] ამ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რომელი საშუალება რამდენად ეფექტურია (ქმედითია) ინტერესთა შელახვის მეისვე დასრულებისა და საშიშროების საბოლოო განეიტრალების უზრუნველყოფისათვის, ხელყოფის ინტენსივობა, მისი განმახორციელებელი პიროვნების საშიშო ხასიათი და ხელმისაწვდომი თავდაცვის საშუალებები უნდა გამოვიკვლიოთ. თუ ცალკეული თავდაცვითი ღონისძიებები არასაიმედოა, მაშინ განსაცდელში ჩავარდნილი პიროვნება ვალდებული არაა მხოლოდ ეს არაეფექტური დაცვითი საშუალება გამოიყენოს და თავისი სამართლებრივი სიკეთეების მნიშვნელოვანი დაზიანების რისკს შეურიგდეს.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც მისი მართლსაზომიერების ყველა პირობაა დაცული გარდა ამ უკანასკნელისა. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას (ინტენსიური ექსცესი) მომგერიებელი ხვდება სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნის მიღწევის საშუალებაში, რომელიც „აშკარად" და არა უმნიშვნელოდ შეუსაბამოა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ხასიათთან და საშიშროებასთან. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში უნდა გადაწყდეს თუ შეეძლო თუ არა მომგერიებელს ემოქმედა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ამიტომ სრულიად შესაძლებელია აუცილებელი მოგერების უფლების

[1] Wessels/Beulke. დასახ. ნაშრ. აბ. 336.

გამოყენებით უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, ვიდრე გადარჩენილია. მართლსამიერად ჩაითვლება ქმედება თუ, მაგალითად, 1) ა. ყაჩაღური თავდასხმისას ბ-ს მოკლავს; 2) ამ გაუპატიურებისაგან თავდაცვის მიზნით მოკლა მასზე გაცილებით ფიზიკურად ძლიერი დამნაშავე.

ვინაიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება მომგერიებლის შეცდომის შედეგია და შეცდომის ბუნებიდან გამომდინარე პირმა არ შეიძლება იცოდეს იმის შესახებ, რომ იგი შეცდომით მოქმედებს, ამიტომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება პირდაპირი განზრახვით შეუძლებელია, რადგანაც პირს გაცნობიერებული აქვს და სურს, რომ აცილებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.[1] ეს კი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ცნობილია, რომ დანაშაულის მომზადება და მცდელობა, ასევე თანამონაწილეობა დანაშაულში მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას მომზადება და მცდელობა, აგრეთვე თანამონაწილეობა გამორიცხულია.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არა გვაქვს ასევე „მოჩვენებითი" თავდასხმისას და „არადროული მოგერიებისას" (ექსტენსიური ექსცესი), ვინაიდან თვით აუცილებელი მოგერიების ვითარება არ არსებობს.

---

[1] ამგვარი აზრი გამოთქმულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. იხ: თ. შავგულიძე. ლ. სურგულაძე, სახელმძღვანელო საშინაო საქმეთა გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 147.

§2. დამნაშავის შეპყრობა

მართლმსაჯულების ინტერესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სისხლის სამართლის კანონმდებლობით მოქალაქეთათავის დამნაშავის შეპყრობის უფლების აღიარება წარმოადგენს, რაც, უფრო კონკრეტულად, გულისხმობს იმას, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი აღნიშნული გარემოება: ემსახურება სასჯელის გარდაუვალობის პრინციპს; მართლმსაჯულების ინტერესებისათვის მოქმედ მოქალაქეებს იცავს დამნაშავეთა შეპყრობისას მიყენებული ზიანისათვის დაუსაბუთებელი პასუხისმგებლობისაგან; დაბოლოს, ხოგჯერ ამ უფლების გამოყენება სისხლის სამართლის კანონის დარღვევებს იცავს ხალხის თვითგასწორებისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად."

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი სიტყვას „დამნაშავეს" პირობითად ხმარობს, რადგან მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა გამამტყუნებელი განაჩენით ადამიანი დამნაშავედ სცნოს. აქ იგულისხმება ისეთი პირის შეპყრობა, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა.

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების ობიექტურ პირობებად უნდა მივიჩნიოთ:

პირველი, შესაპყრობ პირს ნადენილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება. თუ ისეთი სისხლისსამართლებრივი უმართლობა იყო განხორციელებული, რომ შესაძლებელია სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენება, ან თუ შეპყრობილ პირს ამნისტია შეეფარდა, ან შეწყალებულია, ანდა გასულია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, ყველა აღნიშნულ შემთხვევებში ადამიანის შეპყრობა ისევე უნდა გადაწყდეს როგორც „მოჩვენებითი დამნაშავის" შეპყრობა და ფაქტობრივი შეცდომის გამო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალთან მიმართებით. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ასეთ შემთხვევებშიც ყურადღება უნდა მიექცეს შემპყრობის მოქმედების მიზანს, რადგან თუ მისი მიზანი არ იყო შეპყრობილი პირის ხელისუ-

ფლების ორგანოში წარდგენა, მაშინ არც უნდა დაისვას მისი ბრალის შემსუბუქების ან გამორიცხვის საკითხი.

მეორე, გადაცილებული არ უნდა იყოს დამნაშავის შესაპყრობად აუცილებელი ზომა. სსკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,,,დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.“ დამნაშავის შესაპყრობად განხორციელებული ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება აუცილებელი ზომის გადაცილებად თუ იგი აშკარად შეუსაბამო იყო დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან. მაშასადამე, ამ დროს დანაშაულის სიმძიმესთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს დანაშაულის განხორციელების დრო, ადგილი, რაოდენობა, მათი იარაღი, დამნაშავის პიროვნება, ფიზიკური მონაცემები და ა.შ.

დამნაშავის შეპყრობის სუბიექტური პირობაა (მთლიანობაში მესამე პირობა) ის, რომ დამნაშავის შეპყრობისას შემპყრობს უნდა ჰქონდეს დამნაშავის ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზანი (სურვილი).

ცნობილია, რომ არაპირადაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული შედგება დადგომამდე დანაშაულად არ ითვლება, ამიტომ დამნაშავის შეპყრობის უფლება, ასეთ შემთხვევებში, დანაშაულებრივი შედეგის დადგომამდე არ წარმოიშობა. თუკი დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, როდესაც მომხადება და მცდელობა შესაძლებელია, მაშინ დამნაშავის შეპყრობის უფლება წარმოიშობა თუკი სისხლის სამართლის კანონის დარღვევამ დაასრულა დანაშაულებრივი საქმიანობა და არაა აუცილებელი დანაშაული დასრულებული იყოს. კერძოდ, დამნაშავის შეპყრობა შესაძლებელია დანაშაულის როგორც დამთავრების შემდეგ, ისე დანაშაულის დამთავრებული მცდელობის შემდეგ. მაგალითად, თუ ა-მ ტყვია ააცილა ბ-ს, მოქალაქეებს წარმოიშობათ დამნაშავის შეპყრობის უფლება.

განსხვავებულად წყდება საკითხი დენად დანაშაულთან მიმართებით, რომელიც იურიდიულად უფრო ადრე ითვლება დამთავრებულად, ვიდრე ფაქტობრივად. ამგვარი დანაშაულის განხორციელებისას დამნაშავის შეპყრობის უფლება დანაშაულის ფაქტობრივი დამთავრების შემდეგ წარმოიშობა, რადგან მანამდე დამნაშავის მიმართ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება აუცილებელ მოგერიებად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდებისას, ვიდრე მძევალი ბოროტმოქმედთა ხელშია, მანამდე მძევალთა გასათავისუფლებლად დამნაშავეთა მიმართ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება აუცილებელ მოგერიებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ თუ ასეთ

ქმედების შემდეგ მძევლებს საფრთხე აღარ ემუქრებათ,მაშინ დამნაშავის შეპყრობის უფლება წარმოიშობა.

აუცილებელი მოგერიებისა და დამნაშავის შეპყრობის უფლების ურთიერთმიჯნაზე წარმოშობა შესაძლებელია არამარტო დენადი ბუნების მქონე დანაშაულების განხორციელებისას. მაგალითად, მძარცველის მოგერიების შემდეგ, მომგერიებელმა უნდა იმოქმედოს დამნაშავის შეპყრობისათვის დადგენილი მართლზომიერების პირობების დაცვით.

§3. უკიდურესი აუცილებლობა

იურიდიულ ლიტერატურაში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა უკიდურეს აუცილებლობას,რომელიც აუცილებელი მოგერიების მსგავსად სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის და მისი გადამრჩენის გაუმართლებელი დასჯის თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიაა.

სისხლის სამართლის თეორიაში უკიდურესი აუცილებლობის ორი ჯგუფი გამოიყოფა: პირველი, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა, რომლის ორი სახეა ცნობილი. ესენია: ა) თავდასხმითი (აგრესიული) უკიდურესი აუცილებლობა და ბ) თავდაცვითი (დეფენსიური) უკიდურესი აუცილებლობა.

მეორე, ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან ერთად უნდა იქნეს განხილული.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ორ სახედ დაყოფას გარკვეული სამართლებრივი შედეგები აქვს. მართებულადაა მითითებული უახლოეს სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, რომ თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობა თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობისაგან განსხვავებით წარმოშობს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.[1] ამასთან,,,თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობისას, როდესაც დაცვითი მოქმედება მიმართულია საფრთხის წყაროსკენ ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც უფრო ფართო (თავისუფალი) ღონისძიებებია დაშვებული (საჭიროების შემთხვევაში საფრთხის წარმომქმნელის ჯანმრთელობის დაზიანებაც),

[1] ტურავა მ. დასახ. ნაშრ.,2006,გვ. 100.

ვიდრე ნეიტრალური მესამე პირის ხელმყოფი აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს."[1]

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლი უკიდურესი აუცილებლობის დეფინიციას იძლევა, რომლის თანახმადაც: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც სხვას დაუზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე."

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობათა მართლზომიერების ობიექტური პირობებია:

პირველი, სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს საფრთხე უნდა შეექმნას რეალურად, ე.ი. საფრთხე ობიექტურად უნდა არსებობდეს. თუკი აუცილებელი მოგერიებისა და დამნაშავის შებყრობისას სამართლით დაცულ სიკეთეს საფრთხე შეიძლება შეექმნას მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, უკიდურესი აუცილებლობისას საფრთხის წყაროდ ასევე შეიძლება მოგვევლინოს ბუნება, ცხოველი, სხვადასხვა დაავადებანი და ა.შ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია საფრთხე ადამიანის მართლზომიერმა ქმედებამაც წარმოშვას. მაგალითად, დედა საჭმელს აჭმევდა შვილს, რომელსაც ყელზე დაადგა ლუკმა. თუ ბავშვის გადარჩენის სხვა მართლზომიერი საშუალება არ არის და დედა ან სხვა პირი მადაზიის ვიტრინას ჩაამტვრევს, რომელშიც სასმელი წყალია გასაყიდად მოთავსებული და თუ ამ წყლის დალევით ბავშვს გადაარჩენს, მაშინ დედის მოქმედება მართლზომიერია.

მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა არ წარმოიშობა მაშინ, როდესაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის პროვოცირებას აქვს ადგილი. ვფიქრობ ასეთ, შემთხვევებს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „დასჯადი უკიდურესი აუცილებლობა," რადგან ასეთ ვითარებაში, ერთის მხრივ, პროვოკატორს შეუძლებელია აეკრძალოს მისი პროვოკაციული ქმედების შედეგად საფრთხეში ჩაყენებული სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა და, მეორეს მხრივ, ეს პირი უნდა დაისაჯოს პროვოკაციული საქმიანობისათვის. წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია: ა-ს სურდა ბ-ს ძვირადღირებული ქურქის დაზიანება. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ა-მ საკუ-

[1] Wessels/Beulke. Strafrecht . დასახ. ნაშრ.,გვ. 313.

ითარი შვილის აკვანს ცვლილი წაკიდა, რათა შემდეგ იქვე დადებული ქურქით ცვლილი ნაქრო.

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა იქნება თუ პირი საკუთარი განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი ქმედებით დაზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, თუ ა. განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობას დაუზიანებს ბ-ს და შემდეგ დაზარალებულის დასმარების სურვილი გაუჩნდება, მას სრული უფლება აქვს გამოიყენოს მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მისი ავტომანქანა. რადა თქმა უნდა, უკიდურესი აუცილებლობის უფლება წარმოეშობა პირს თუ იგი გაუფრთხილებელი ქმედებით საფრთხეს შეუქმნის საკუთარ ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ცნობილი მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი „ქვევრი," სადაც ხუთეული ისე განვითარდება ქვევრის შემკეთებლის დაუდევარი მოქმედებით, რომ მისი თავისუფლების უზრუნველყოფა შეუძლებელია ქვევრის დაუზიანებლად.

მეორე, საფრთხე უნდა იყოს ამწუთიერი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არა საფრთხის აღმკვეთი მოქმედების დროული განხორციელება, სამართლებრივი სიკეთე გარდაუვლად დაზიანდება. მაროებულადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „ამწუთიერი (gegenwärtig) საფრთხე არ არის ისეთივე, როგორც ამწუთიერი თავდასხმა აუცილებელი მოგერიებისას. ამწუთიერი საფრთხის გარდა, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში მსჯელობაში მიიღება განგრძობადი საფრთხე (Dauergefahr), რომელიც სასამართლო პრაქტიკამ განავითარა საპატიო უკიდურესი აუცილებლობისათვის. ამ შემთხვევაში საფრთხე არ შეიძლება სხვაგვარად იყოს აცილებული (Anders nicht abwendbar). იაკობსის აზრით, უკიდურესი აუცილებლობისას საფრთხის წყაროს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავდასხმის ამწუთიერობას აუცილებელი მოგერიებისას."[1] მაშასადამე, ფუტკარაძე გერმანიის სასამართლო პრაქტიკის წინააღმდეგ იმ ავტორთა აზრს იზიარებს, ვინც განგრძობადი საფრთხის თავიდან ასაცილებლად განხორციელებულ დაცვით მოქმედებას მართლზომიერ თავდაცვით უკიდურეს აუცილებლობად მიიჩნევენ.

თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობით ქმედების მართლზომიერად მიჩნევისათვის „სამოშავლო თავდასხმის კლასიკურ მაგალითად გერმანულ იურიდიულ ლიტერათურაში მოჰყავთ თ. ლენკნერის მიერ აღწერილი შემდეგი შემთხვევა: „სამოკიტნის მეპატრონე ისმენს,

[1] ფუტკარაძე ჯ. უკიდურესი აუცილებლობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში, (დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბ., 2003, გვ. 45-46.

თუ როგორ შეთანხმდნენ მისი სტუმრები, რომ მას თავს დაესხან პილიციის პატრულირების შემდეგ. ვინაიდან, სამიკიტნოს მეპატრონეს სხვაგვარადარ შეუძლია ამ თავდასხმის თავიდან (ჯერ კიდევ არა ამწუთიერის) აცილება, ამიტომ მათ დვინოში უცრის საძინებელ საშუალებას. ამის შედეგია გარკვეული დროით სტუმრების უმტკივნეულოდ გონების დაკარგვა, რითაც მოსალოდნელი თავდასხმა ალიკვეთა მცდელობის სტადიაზე და რაც შესაბამისად ამწუთიერი არ იყო. ეს არის შემთხვევა, როდესაც სამართლებრივი სიკეთის დაცვა მზადდება ნაადრევად, რადგან მისი ხელყოფა მომავალში გარდაუვალია."[1]

ამასთან, თუ განგრძობადი საფრთხე ქოველთვის ვერ გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას, მაშინ შესაძლებელია ვილაპარაკოთ ბრალის არ არსებობაზე, მაგალითად, დაძველიებული სახლის დანგრევა, რომელიც შეიძლება წაიქცეს ქოველწამს ან თვეების შემდეგ. მეორე მაგალითი, რომელიც გერმანულ სისხლის სამართალში ოჯახის მწვალებლის (ტირანის) სახელითაა შესული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზიანი ადგება ოჯახის იმ წევრს, ვინც შეიძლება განახორციელოს იძულება.

მესამე, არ უნდა არსებობდეს ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებით შესაძლებელი იქნება საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა სხვა სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე. ამაზე თვით ამ უფლების დახასიათება მიანიშნებს: ჯერ ერთი, რომ ქმედება უნდა იყოს აუცილებელი შექმნილ ვითარებაში და მეორე, ასეთი აუცილებელი ქმედება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შესადეგი საშუალება. მაგალითად, არ იქნება გამართლებული ცეცხლის ჩაქრობა ძვირადღირებული ქურქის გამოყენებით, თუკი იგივე შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყო იქვე არსებული ონკანით.

მეოთხე, თავდასხმითი შეღწევა აუცილებლობისას ზიანი უნდა მიადგეს მესამე პირს ანუ ისეთ სამართლებრივ სიკეთეს, რომლისდანაც საფრთხე არ წარმოშობილა. მაგალითად, ა-მ მისკენ საკენწად წასული ძალი მოიგერია იქვე მდგარი მოქალაქის ქოლგით. ასეთ შემთხვევაში ქოლგის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს პოლგის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება თავდაცვით შეღწევას აუცილებლობას, აქ ზიანი ადგება სწორედ საფრთხის წყაროს. მაგალითად, დაღმართზე მდგარი

---

[1] ფუტკარაძე ე. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

მანქანა დაგორდა, ხოლო ერთ-ერთმა პირმა მანქანას საკუთარი მანქანა დააჯახა, რომ იქვე სათამაშოდ გამოსული ბავშვები გადაერჩინა.

ეურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სსკ-ის 30-ე მუხლში „სხვის დაზიანებასთან" ერთად ალტერნატიულად მითითებული უნდა იყოს „საფრთხის წყაროს" დაზიანებაზეც, რადგან აღნიშნულმა ნორმამ თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობაც მოიცვას.[1] ეს მოსაზრება მიუღებელია. სიტყვა სხვაში მოიაზრება საფრთხის წყაროც, ვინაიდან საფრთხის წყაროც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მომქმედისათვის სხვაა.

მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობისას ზიანი შეიძლება მიადგეს არამარტო მესამე პირს ანუ ისეთ სამართლებრივ სიკეთეს, რომლიდანაც საფრთხე არ წარმოშობილა, ან საფრთხის წყაროს, არამედ თვით იმ პირსაც, ვისაც საფრთხე დაემუქრა, მაგალითად, ა-მ დაინახა, რომ მეზობლის სახლს მდინარე წაიღებდა. მან მეზობლის სახლიდან საღებავი ნივთები გარეთ გადმოყარა წყიმაში. მიუხედავად იმისა, რომ ნივთები მცირედ დაზიანდა, ეს ნივთები სრულ განადგურებას გადარჩა.

მეხუთე, გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ვიდრე დაზიანებული. თუკი შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელი იყო სამართლით დაცულ სიკეთეთა შეფასება, ე.ი. თუ უფრო მნიშვნელოვანი ან თანაბარი სამართლებრივი სიკეთე დაზიანდა, მაშინ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საპატიო უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში.

კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით, რადგან არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სამართლებრივ სიკეთეთა რანგირება უკანა პლანზე გადაიწევს. მაგალითად, მართლსაწინააღმდეგო იქნება იმის მოქმედება, ვინც ადამიანს აიძულებს თირკმელი ამოიჭრას ან სისხლი გადაუსხას მომკვდავს. თუმცა, თუ პირებს ერთმანეთის ოჯახური ურთიერთობის გამო სამართლებრივი გარანტის ფუნქცია გააჩნიათ, შეიძლება ვაიძულოთ სისხლის გადასხმა.

ადამიანთა სიცოცხლე არის ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის მნიშვნელობაზე საუბრისას არ შეიძლება გამოვიქვეყნოთ რაოდენობრივი ან თვისობრივი მახვენებელი. მაგალითად, არ შეიძლება ერთი ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე რამოდენიმე ადამიანის სიცოცხლე ვიხსნათ, ანდა მუხუცი ადამიანის ან ავადმყოფი ადამიანის სიცოცხლე უფრო

[1] ფუტკარაძე ჯ. დასახ. ნაშრ.-გვ. 135.

ნაკლებღირებულად ჩაითვალოთ ვიდრე ახალგაზრდა ან ჯანმრთელი ადამიანის სიცოცხლე.

პირთა განსაზღვრულ წრეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო გარკვეულ ვითარებაში ცვალებათა საკუთარი სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე გადაარჩინონ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, ასეთი გალდებულება ეკისრებათ პოლიციელებს, სამხედრო მოსამსახურეებს, მეხანძრეებს და ა.შ.

შეიდურესი აუცილებლობის სუბიექტური პირობაა (ე.ი. მთლიანობაში მეექვსე პირობა) ის, რომ სამართლებრივი სიკეთის დამზიანებელი უნდა მოქმედებდეს უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის (დაცვის) მიზანით, რომლის გარეშეც ქმედება მართლზომიერად ვერ ჩაითვლება თუნდაც ობიექტურად უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე გადარჩეს.

§4. მართლზომიერი რისკი

სისხლის სამართლის კანონმდებლობა მართლზომიერ რისკს სახელდებით განსაზღვრავს. სისხლის სამართლის კოდექსი 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დაზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.“

მართლზომიერ რისკის პრობლემა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში შეიძლება წარმოიშვას სადაც კი ეს შესაძლებელია. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს სამედიცინო, სამხედრო, ტექნიკის განვითარების, სამეწარმეო საქმიანობის სფერო და სხვ. ასევე შესაძლებელია მართლზომიერი რისკის გაწევის სიტუაცია შეიქმნას ექტრემალურმა სიტუაციებმა, რომელიც არამარტო ადამიანის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს, არამედ სხვა მოვლენებმაც. მაგალითად, თუ ტერორისტები დანაღმავენ ხალხმრავალ ადგილს და გამნაღმველს არ რჩება დრო ფიქრისათვის, ორი სადენიდან თუ რომელი გადაჭრას, მაშინ მის მიერ ნებისმიერი სადენიდან ერთერთის გადაჭრა ყოველთვის მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი აღნიშნული გარემოების მართლზომიერების სუბიექტური პირობაა:

პირველი, პირი საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად უნდა მოქმედებდეს. საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი

ფართოდ უნდა გავიგოთ, რომელშიც უნდა მოვიაზროთ არამარტო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები, არამედ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე.

მართლზომიერი რისკის მართლზომიერების დანარჩენი პირობები ობიექტური ხასიათისაა.

სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლება მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად." აქედან გამომდინარეობს მეორე პირობა: რისკის გარეშე არ უნდა შეიძლებოდეს საზოგადოებრივად სახარგებლო მიზნის მიღწევა. არაა საკმარისი რისკის გაწევა მაინც და მაინც აუცილებელი და გადაუდებელი იყოს, ანუ ურომლისოდ სამართლებრივი სიკეთე დაიღუპება აუცილებლად. მაგალითად, კოსმოსის ათვისება იმიტომ კი არ დაიწყო, რომ რომელიმე სამართლებრივი სიკეთე კოსმოსური ხომალდის გაშვების გარეშე დაზიანდებოდა, არამედ კოსმოსის უკეთესად შეცნობისა და მისი ამა თუ იმ ინტერესებისათვის გამოყენების სურვილმა აიძულა მეცნიერები გარკვეული სიცოცხლისათვის საშიში რისკი გაეწიათ.

თუმცა, უფრო ხშირად გამართლებული რისკი ხდორციელდება. მაგალითად, თუ პირადება განუკურნებელი სენითაა დაავადებული და თუ იგი დროის მცირე მონაკვეთში უნდა მოკვდეს, მაშინ ექიმმა შეიძლება რისკი გაწიოს და გამოიყენოს ისეთი პრეპარატი, რომლის სარგებლიანობა ნაწილობრივ საეჭვოა. თუკი ამ პრეპარატის გაკეთებით ავადმყოფი უფრო ადრე დაიღუპება, ექიმი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს თუ მართლზომიერი რისკის სხვა პირობებიც სახეზე იქნება.

მეხანძრე, რომის მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ რისკის გამწევმა ყველა ზომა მიიღო, რათა სამართლებრივი სიკეთე არ დაზიანებულიყო ან დაზიანების საფრთხე არ შექმნოდა. თუკი არსებობდა საზოგადოებრივად სახარგებლო მიზნის მიღწევის ისეთი გზა, რომელიც საერთოდ გამორიცხავდა რისკის განხორციელებას, მაშინ რისკი გამართლებული ვერ იქნება. ვთქვათ, დიდი თოვლის გამო სოფლისაკენ მიმავალი ავტობუსი გზაში გაჩერდა. ავტობუსის მძღოლს ორი ალტერნატივა ჰქონდა: ან უმოკლესი გზით წასულიყო, რომელიც მოყინული იყო და მგზავრობაში ხანად ითვლებოდა, ან შორი გზით გაეგრძელებინა მსვლელობა, რომელიც გაცილებით უსაფრთხო გზად ითვლებოდა. ასეთ ვითარებაში ავტობუსის მძღოლმა შეკანასკნელი ვარიანტი უნდა აირჩიოს.

მეოთხე,სამართლებრივი სიკეთის დაზიანება,რაც შეიძლება მოჰყვეს რისკის განხორციელებას, რისკის გამწვევისათვის უნდა იყოს საყარაუდო და არა გარდაუვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირმა პასუხი უნდა აგოს შესაბამისი განზრახი დანაშაულისათვის.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი

§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების სამართლებრივი საფუძველი

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, სხვა ცნობილ პრინციპებთან ერთად, განამტკიცებს სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ცნობილ პრინციპებს: „Nullum crimen sine lege (არ არსებობს დანაშაული სასჯელის გარეშე).“ და „Nulla poena sine lege (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე).“[1] მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულსა და სასჯელთან მიმართებით კატეგორიულად კრძალავს პიროვნების სახიფათოდ ანალოგიის გამოყენებას. ანალოგიის გამოყენება ასევე არ დაიშვება სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებების მიმართ.

მას შემდეგ, რაც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლებმა სპეციალური მითითებით შესაძლებელი გახადა ანალოგიის გამოყენება პიროვნების სასარგებლოდ, ერთობ აქტუალური გახდა თანაბარი მნიშვნელობით როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე იურისპრუდენციაში დაიწყოს მსჯელობა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებზე.[2]

---

[1] ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა სსკ-ის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული სიტყვები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი წინაპირობა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არსებობაა, ხოლო კანონიერების პრინციპი სასჯელთან და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებთან მიმართებით გამომდინარეობს სსკ-ის მე-40, 82-ე, 91-ე და 101-ე მუხლებიდან, რომლებიც შესაბამისად სასჯელთა, აღმზრდელობითი და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების ამომწურავ ნუსხას იძლევა.

[2] ანალოგიის გზით გამოსაყენებელი მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების აღსანიშნავად ტერმინი „ზეკანონური გარემოებანი“ პირველად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იხმარა მერაბ ტურავამ. იხ: ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ., 2000, გვ. 112, 128

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხოვრების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კანონმდებელს არ შეუძლია, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სრულყოფილად გასცეს პასუხი და წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის შემთხვევა თუ სიტუაცია, რომელიც სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებას მოითხოვს. მოსამართლეს კი უფლება არა აქვს კანონმდებლობაში ხარვეზის გამო უარი განაცხადოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე და კანონი განსასჯელის სახიანად გამოიყენოს. სწორედ ამიტომაა, რომ ანალოგია სისხლის სამართალში პიროვნების სასარგებლოდ გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ანალოგია დაიშვება და მოსამართლე რეალურად „ახალ ნორმას ქმნის," ამ „ახალი ნორმის" შექმნა ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ეს ნორმა ნორმატიულ ხასიათს იძენს. ამ „ახალ ნორმას" იურიდიული ძალა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის გადასაწყვეტად გააჩნია და მისი გამოყენება სრულიად არაა საკანონმდებლო რომელიმე მსგავსი შემთხვევისათვის. მაშასადამე, სამოსამართლო სამართლის ნორმა იქმნება, იწყებს მოქმედებას და ასრულებს მოქმედებას კონკრეტული ქმედების სისხლისსამართლებრივად შეფასების ფარგლებში.

გამამართლებელი გარემოებების წყარო ხოგჯერ საკანონმდებლო სამართალია, ხოგჯერ კი ჩვეულებითი სამართალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათი ამომწურავი სახით კანონის ტექსტში ახახვა აუცილებელი არაა.[1] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს სამართლის წყაროდ თუ საზოგადოებაში გავრცელებული ჩვეულებითი ნორმები არ ეწინააღმდეგება პოზიტიური სამართლის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმებიც შეიძლება მოგვეძლინოს სამართლის წყაროდ, მათი გამოყენების არეალი აუცილებლად პოზიტიური სამართლითაა განსაზღვრული, ე.ი. ის რაც აკრძალულია პოზიტიური სამართლით არ შეიძლება გამართლდეს ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმებით.

დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებთან ერთად დასკვნის ერთერთ ძირითად სახედ გვევლინება ტრადუქცია, რომელსაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ფორმები გააჩნია. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ანალოგია (ლათ. სიტყვიდან analogia და ნიშნავს შესაბამისობას, მსგავსებას).[2] „ანალოგია ნიშნავს საგანთა მსგავსებას მათი რაიმე

[1] Wessels/Beulke. Strafrecht . დასახ. ნაშრ., გვ. 91, აბზ. 274.

[2] Иванов Е.А. Логика. Учебник, изд. «БЕК», М., 1996, с. 228.

ნიშან-თვისებების მიხედვით, საგნების გარკვეულ ნიშან-თვისებათა ერთიანობას."[1]

ანალოგიაზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ სამართლის (კანონის) ახსნა-განმარტებას (ინტერპრეტაციას). სამართლის (კანონის) ინტერპრეტაციისას ჩვენ ვკითხულობთ ტექსტს კანონმდებლის ნების შესაბამისად. სამართლის ან კანონის ანალოგიისას სამართალშემფარდებელს სამართლის ამა თუ იმ დარგში კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივად მოსაწესრიგებლად შემოაქვს მის მიერ შექმნილი ისეთი ნორმა, რომელიც თუმცა კანონმდებელს არ „ჩაუწერია" და არც შეშულისხმია, მაგრამ არც მის ნებას ეწინააღმდეგება.

„ანალოგია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხი ვერ წყდება სამართლის ნორმის განმარტების გზით. სამართლის შეფარდების პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნორმის განმარტებას. სამართლის შემფარდებელმა ანალოგიას უნდა მიმართოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმის განმარტების საფუძველზე ვერ ხერხდება საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა."[2] ამის გარდა, ანალოგიას სამართალგამომყენებელმა მხოლოდ მაშინ უნდა მიმართოს თუ კანონმდებლობაში ხარვეზი გამოწვეულია ან იმით, რომ ამა თუ იმ ნორმათა შექმნისას შეუძლებელი იყო კანონმდებელს გაეთვალისწინებინა ის შეხვედრა, რომელიც ნორმათა შექმნის შემდეგ წარმოიშვა და სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს ან ხარვეზი გამოწვეულია კანონმდებლის შეცდომის გამო, რომლის მიზეზი სხვადასხვა გარემოება შეიძლება იყოს.

მაშასადამე, სამართლის (კანონის) ინტერპრეტაცია და სამართლის (და კანონის) ანალოგია იდენტური ცნებები არაა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ზოგჯერ ერთმანეთთან შემხებლობაში არ არიან. სწორედ სამართლის (კანონის) ინტერპრეტაციით დავასკვნით, რომ სამართლის ამა თუ იმ დარგში შესაძლებელია ანალოგიის გამოყენება. სამართლის და კანონის ანალოგია კი, თავის მხრივ, სამართლის (კანონის) ინტერპრეტაციისაკენ კი არ მიუთითებს სამართალგამომყენებელს, არამედ ანალოგია უბიძგებს მას იმოქმედოს შინაგანი რწმენით და განახორციელოს სამოსამართლო სამართალი, თუკი ეს არ შეეწინააღმდეგება შეაბამისი სამართლის დარგის ამოსავალ იდეებსა და პრინციპებს.

მართებულად მიუთითებს ო. წერეთელი, რომ „ანალოგია, საერთოდ, დასკვნის გამოტანის განსაზღვრული სახეა... თუმცა სამართლის

[1] მჭედლიშვილი მ. იანიძე ნ. ლილუაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი," თბ., 1994, გვ. 179.
[2] სუბეთა გ.-დასახ. ნაშრ., გვ. 171.

მეცნიერებაში მას თავისებური მნიშვნელობა აქვს, განსხვავებული იმ მიზნის მიხედვით, რასაც იგი ემსახურება." თუკი ანალოგია გამოყენებულია, როგორც კანონის შინაგანი აზრის გამორკვევის საშუალება, მაშინ ანალოგია ლოგიკური ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახეა და ახსნა-განმარტების წესების შესახებ მოძღვრების კვლევის საგანს წარმოადგენს.[1]

„ანალოგია რაღაცნაირ სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალება, გულისხმობს იმას, რომ ორივე ურთიერთობათა არსებითი თვისებები ერთმანეთის მსგავსია, ხოლო ზოგიერთი არაარსებითი ნიშანი ერთმანეთისგან განსვავდება. თანაც ერთ-ერთი ამ ურთიერთობათაგანი კანონით მოწერიგებული არ არის და საჭიროა მისთვის შესაფერისი ნორმის გამოძებნა."[2]

თუმცა, ეს უკანასკნელი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ანალოგიის გზით გამოძებნილი ნორმის გამოყენება ავტომატურად ნიშნავს ამ ნორმის შემოტანას და ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის მსგავსი სხვა ურთიერთობის დარეგულირების კვალად იგივე ნორმით სავალდებულოების აღიარებას.

§2. დაზარალებულის თანხმობა

თვით სახელწოდება „დაზალებულის თანხმობა" საკმაოდ პირობითია, რადგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი აღნიშნული გარემოების არსი სწორედ ისაა, რომ ადამიანი თანახმაა გარკვეული სამართლებრივი სიკეთე დაზიანდეს სწორედ მისი ნებართვის საფუძველზე. მაშასადამე, თუკი პიროვნება თანახმაა მის განკარგულებაში მყოფი სამართლებრივი სიკეთე დაზიანდეს, მაშინ მისი დაზარალებულად მიჩნევა ლოგიკურად შეუძლებელია.

ჩვენს ქვეყანაში ადამიანს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს საკუთარი ჯანმრთელობის, სქესობრივი თავისუფლების, საკუთრების, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და სხვა უფლებების ბედი და განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებები.

---

[1] იხ: წერეთელი თ. ანალოგია საბჭოთა სისხლის სამართალში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5.

დაზარალებულის თანხმობასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივია თ. შაგბულიძის შეხედულება. იგი აღნიშნავს, რომ დაზარალებულის თანხმობა არ უნდა მიეკუთვნოს საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის. ხაზგასმა ჩემია – ი.დ.) გამომრიცხველ გარემოებებს. ეს გარემოება მხოლოდ მაშინ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც თანხმობა მოქალაქის თავისუფალ განკარგულებაში მყოფ სიკეთეს ეხება. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ ამ დროს „პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს ხშირად (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.) ის კი არ წარმოადგენს, რომ მოქმედება საზიანო არ არის, არამედ ის, რომ დაზარალებულის თანხმობით თავისთავად გამორიცხულია თვითონ შესაძლებლობა ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისა."[1]

როგორც ვხედავთ, თვით თ. შაგბულიძე ვერ უარყოფს იმ აზრს, რომ ზოგჯერ დაზარალებულის თანხმობისას შესაძლებელია ფორმალურად მოცემული იყოს დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ ეს ქმედება არ იყოს მართლწინააღმდეგო (საზოგადოებრივად საშიში). ეს იქიდან ჩანს, რომ იგი მიუთითებს იმაზე, რომ ხშირად მოქმედება საზიანო არისო. მაშასადამე, რადგან ხშირად საზიანო არ არის, სიტყვა ხშირად იმაზე მიუთითებს, რომ ზოგჯერ დაზარალებულის თანხმობისას განხორციელებული ქმედება საზიანოა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირადნება ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ მისი მოქმედება გამორიცხვას ქმედების მართლწინააღმდეგობას.

წარმოდგენილ ნაშრომში უარყოფილია არა ის ფაქტი, რომ დაზარალებულის თანხმობამ შეიძლება გამორიცხოს დანაშაულის შემადგენლობა (ქმედების შემადგენლობა) ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ არც იმის გადაჭრით მტკიცება შეიძლება თითქოს დაზარალებულის თანხმობა არ შეიძლება იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება.

დაზარალებულის თანხმობა მიზანშეწონილია დავყოთ ორ ჯგუფად: დაზარალებულის თანხმობა, რომელიც გამოიცხავს ქმედების შემადგენლობას და დაზარალებულის თანხმობა, რომელიც გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.

ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ დაზარალებულის თანხმობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც განხორციელებულ ქმედებასა

---

[1] იხ: შაგბულიძე თ., სურგულაძე ლ. სახოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. გამომც. „მეცნიერება," თბ., 1988, გვ. 27.

და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას შორის არ არის სრული იდენტურობა, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშნის არაარსებობით (მაგალითად, დანაშაულის ნადენის ხერხი, საშუალება და ა.შ.). მართებულად მიუთითებს ა. ჟალინსკი,რომ თუ ქალი თანახმაა სქესობრივ კავშირზე ან ნივთის მესაკუთრის თანხმობით ხდება ნივთის გამოტანა ბინიდან, რა თქმა უნდა, შესაბამისად არც გაუპატიურების შემადგენლობა და არც ქურდობის ან ძარცვის შემადგენლობა გვაქვს.[1] ასეთ შემთხვევებში ქმედების შემადგენლობის არარსებობას დაზარალებულის ნების შესაბამისი ქმედების არსებობა განსაზღვრავს.[2]

ცხოვრებაში ხშირად წარმოიშობა სიტუაციები, როდესაც ადამიანს ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთეების დაზიანებაში სხვა პირები უწევენ დახმარებას. ასეთ ვითარებაში უსამართლო იქნება, თუ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება დანაშაულად ჩაითვლება.

გარკვეულ შემთხვევებში დაზარალებულის თანხმობით ქმედების შემადგენლობა კი ხორციელდება, მაგრამ სამართლებრივი სიკეთის დამზიანებლის ქმედება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის არარსებობით უნდა გამართლდეს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება, თუნდაც დაზარალებულის თანხმობით, ვერასოდეს გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის იმანენტურ თვისებად გვევლინება ძალადობა.

დაზარალებულის თანხმობამ, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა გამორიცხოს აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

პირველი, დაზარალებულის თანხმობა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ, ასე ვთქვათ, მის „განკარგულებაში“ მყოფი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ. მაგალითად, მუშებმა მესაკუთრის მითითებით სახლი დაანგრიეს, ან ექიმებმა პირს თირკმელი ამოაჭრეს, ანდა პირმა საკუთარი ცხვირისათვის სასაურველი ფორმის მისაცემად ოპერაცია გაიკეთა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულის თანხმობაზე საუბრისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს ანუ უნდა განისაზღვროს

---

[1] Жалинский А.Э. Современное Немецкое уголовное право. Изд. «Проспект», М. 2004, с.207.

[2] არასწორია კანონმდებლის პოზიცია, როდესაც იგი ქურდობის, ძარცვის და სხვა მიზნით დაფუძნებულ ქმედების შემადგენლობებში მხოლოდ მიზანზე კი არ მიუთითებს, არამედ ხაზს უსვამს მის მართლწინააღმდეგობას. მართლწინააღმდეგობა დანაშაულის მეორე ელემენტია და სისტემატიკურად შეუძლებელია იგი ქმედების შემადგენლობაში იყოს მოხსენიებული. სწორედ ამიტომაა,რომ მესაკუთრის (დაზარალებულის) თანხმობით რაიმე ნივთის წაღება ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს და არა მართლწინააღმდეგობას.

დანაშაულებრივი ხელყოფა მიმართულია კერძო თუ საჯარო ინტერესის წინააღმდეგ. კერძო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში (ცალკეული გამონაკლისების გარდა), რა თქმა უნდა, სხვა პირობებთან ერთად, საკმარისია კონკრეტული ინდივიდის თანხმობა. მაგალითად, ნივთის განადგურება მესაკუთრის თანხმობით და ა.შ.

თუ პირი ვინმეს შეცდომაში შეიყვანს და ისეთ სამართლებრივ სიკეთეს დაუხიანებინებს, რომლის ბედის განსაზღვრა მას არ შეუძლია, მაშინ შეცდომაში შეყვანილი პირი „ბრმა იარაღად" მოგვევლინება, ხოლო შეცდომაში შემყვანი პასუხს აგებს შეგნებისა დანაშაულისათვის როგორც შეალობითი ამსრულებელი. აქედან გამომდინარე, მსგავს სიტუაციებში არც დაზარალებულის თანხმობაზე შეიძლება საუბარი.

კერძო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე საუბრისას ნ. ტაგანცევი მართებულად მიუთითებს, რომ „ამგვარი ინტერესის დაზიანებისას მთავარია ზუსტად დადგინდეს, ქმნის თუ არა დამთმობს დათმობილ სიკეთეზე უფლება და რა მოცულობით: მესაკუთრის თანხმობით შეიძლება სახლი დაინგრეს საძირკვლამდე, მაგრამ არ შეიძლება დაიწვას. თუკი ამ სახლის გარშემო სხვა ნაგებობებიც არსებობს."[1]

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის თანხმობით კერძო ან საჯარო ინტერესის ხელყოფა მხოლოდ იმ ფარგლებში შეიძლება, რა ზომამდეც დაზარალებულის თანხმობა სამართლებრივად დაშვებულია ანუ დაზარალებულის თანხმობით არ უნდა მოხდეს სხვის უფლებებში შეჭრა.

საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, თუ სახელმწიფო, როგორც საზოგადოების საერთო ინტერესების გამომხატველი, თანხმობას განაცხადებს ამგვარი ინტერესის ხელყოფაზე. მაგალითად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 397-ე მუხლით დასჯადია სამხედრო ქონების განზრას დაზიანება ან განადგურება. აღნიშნული ქმედების შემადგენლობის განხორციელება მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება, თუ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება სამხედრო ქონების განადგურება.

ცნობილია, რომ არსებობს ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც ერთდროულად ხელყოფს კერძო და საჯარო ინტერესებს. მაგალითად, მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისას (სსკ-ის 370-ე მუხლი) ძირითად

[1] Таганцев Н. С., Русское уголовное право, часть общая, том I, (полное переиздание), изд. «Автограф», Тула, 2001, с. 401.

სამართლებრივ სიკეთედ გვევლინება მართლმსაჯულების ინტერესი, ხოლო დამატებით ობიექტად – ადამიანის პატივი და ღირსება, მისი კანონიერი ინტერესები.[1] ვთქვათ, ბ-მ ა-ს წაქეზებით განაცხადა პროკურატურაში თითქოს ა-მ დანაშაული ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ ა-ს ინტერესები არ დარღვეულა, დაზარალებულის თანხმობა ვერ გაამართლებს მათ მოქმედებას და ორივე პასუხს ცრუ დასმენისათვის, რადგან საჯარო ინტერესს, ამ შემთხვევაში მართლმსაჯულების ინტერესის განკარგვის უფლება კერძო პირს არ შეუძლია.

განსხვავებული მიდგომა არსებობს სიცოცხლის მიმართ. კერძოდ, როგორც წესი, ადამიანს ყოველთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის დაზარალებულის მიერ მოკვლაზე ნამდვილი ნების, თანხმობის გამოხატვის მიუხედავად.

ევთანაზიის ორი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ: ევთანაზია, რომელიც ამსუბუქებს ბრალს გარკვეული პირობების არსებობისას და ევთანაზია, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ევთანაზიის პირველი შემთხვევისათვის ცალკე მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობაა გათვალისწინებული (სსკ-ის 110-ე მუხლი).

დაზარალებულის თანხმობით მკვლელობის განხორციელებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიმხრე იყო ნ. ტაგანცევი: – „მაშინაც კი, როდესაც რაიმე მოსაზრებების გამო დანაშაულებრივი ქმედება, მაგალითად, თანხმობით მკვლელობა კანონით დასჯადია, ამ თანხმობამ მაინც უნდა შეამსუბუქოს პასუხისმგებლობა. არ შეიძლება გავუტოლოთ ანგარების ან შურისძიების გამო ჯარისკაცის მკვლელი იმას, ვინც ბრძოლის ველზე განგმირავს თავის სასიკვდილოდ დაჭრილ ამხანაგს მისი თანხმობით, რათა იხსნას იგი შემდგომი ტანჯვისაგან. ასევე ექიმიც, რომელმაც აღკვეთა მომაკვდავის მტანჯავი აგონია და ა. შ."[2]

ჭართველი კრიმინალისტებიდან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ო. წერეთელი ეხმიანებოდა იმ ქვეყნების პოზიციას, სადაც ევთანაზია შემამსუბუქებელ გარემოებებში ნაფიქრალ მკვლელო-

[1] იხ: Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под общей редакцией Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева, изд. группа «ИНФРА. М-НОРМА», М., 1996, с. 705;

[2] Таганцев Н. С., დასახ. ნაშრ., გვ. 402.

ბათა რიცხვს მიეკუთვნებოდა (მაგ: შვეიცარია,ავსტრია,ნორვეგია,ფინეთი და ა.შ.)[1]

რაც შეეხება ევთანაზიის მეორე შემთხვევას უნდა აღინიშნოს,რომ სამედიცინო ევთანაზიის ერთ-ერთ სახედ მიჩნეულია პასიური ევთანაზია,რომელიც დამსმარე თერაპიის შეწყვეტას გულისხმობს. ეს კი პაციენტის სიკვდილის დაჩქარებას იწვევს.[2] 2005 წლის 5 მაისის საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ,რომ საქართველოში დაშვება პასიური ევთანაზია სამედიცინო პირობებში,თუ აღნიშნული კანონის მოთხოვნებია დაცული.

შედარებით დაწვრილებით შეეხება ვ. ორეხოვის თვალსაზრისს ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ დაზარალებულის თანხმობასთან მიმართებით. იგი ეთანხმება რა იმ მეცნიერთა მოსაზრებას,რომელთაც დაზარალებულის თანხმობა სიცოცხლის მოსპობაზე დასჯად ქმედებად მიაჩნიათ და აკეთებს დასკვნას, რომ „დაზარალებულის თანხმობის მიუხედავად ჯანმრთელობის მძიმე ან საშიშლო სიმძიმის დაზიანება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს... არ შეიძლება პირისათვის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ,რამდენადაც ამგვარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ან შეწყვეტა თვით დაზარალებულზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა,თუკი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაზე თანხმობა მიღებულია სოციალურად სახარგებლო მიზნების მისაღწევად (მაგალითად, ორგანოების ან ქსოვილის გადანერგვა სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩასატარებლად), მაშინ იგი გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.“[3]

ვ. ორეხოვის ასეთი პოზიცია ნაწილობრივ დაუსაბუთებელია იმდენად, რამდენადაც ვ. ორეხოვი დაზარალებულის თანხმობას მართლზომიერად მიიჩნევს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისას და ამის იმით ხსნის, რომ ამგვარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ან შეწყვეტა (ჩვენი ქვეყნის სსსკ-ის მიხედვით გამოძიების დაწყება ან დამთავრება) თვით დაზარალებულზეა დამოკიდებული. ჯერ ერთი, სამართლებრივი სიკეთის დირებულების ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების თავისებურება ვერ განსაზღვრავს და მეორე, არაა გამორიცხული, რომ დანაშაულები, რომლებიც დღეს კერძო ან

---

[1] წერეთელი თ. ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი,“ 1976,№6,გვ. 44.

[2] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ავტ. კოლექტივი, რედაქტორი გ. ბუგიშვილაძე,გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბ.,2005,გვ. 47-48.

[3] Орехов В.В. Необходимая оборона и иные обстоятельства, исключающие преступность деяния. Серия "теория и практика уголовного права и уголовного процесса.~ изд. "Юридицеский центр". Санкт-Петербург. 2000. с. 163-164.

კერძო საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ექვემდებარება, ხვალ საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს. ამასთან, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანებას იგი მხოლოდ მაშინ მიიწევს მართლზომიერად, თუ ჯანმრთელობის დაზიანება სოციალურად სახარგებლო მიზნის მისაღწევად ხდება. მართალია, მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია იმისათვის, რომ დაზარალებულის თანხმობამ გამორიცხოს ქმედების მართლწინააღმდეგობა, მაგრამ ასეთი პირობა დაცული უნდა იყოს არამარტო ჯანმრთელობის მძიმე, არამედ ნებისმიერი ხარისხის დაზიანებისას.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ჯანმრთელობის დაზიანება მხოლოდ მაშინ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას დაზარალებულის თანხმობით, თუ ის არ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გაბატონებულ დადებით ცხოვრების წეს-ჩვეულებებს. მაგალითად, ოპერაცია მკურნალობის მიზნით, კრიზის დროს ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ. სხვა შემთხვევებში დაზარალებულის თანხმობით ჯანმრთელობის დაზიანება (მაგალითად, თირკმელის ამოჭრა), ისევე როგორც სიცოცხლის ხელყოფა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

მეორე, ვინაიდან სამართლებრივად მხოლოდ ისეთი თანხმობაა მართლზომიერი, რომელიც ობიექტურად არსებულ პირობებზე დაყრდნობით გამოხატული თავისუფალი ნების შედეგია, ამიტომ დაზარალებულის თანხმობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. "თანხმობა კარგავს ყოველგვარ ძალას – წერს ნ. ტაგანცევი – თუკი იგი მიღებულია იძულებით ან მოტყუებით. ნივთის წართმევა მაინც ძარცვად ან ყაჩაღობად დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავემ თვითონ კი არ აიღო ნივთი, არამედ პატრონმა გადასცა. მაგრამ ამგვარი თანხმობა უნდა განვასხვავოთ გამოთხოვნით მიღებული თანხმობისაგან. დათმობის ნამდვილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თანხმობა მიღებულია უფლების მესაკუთრის ინიციატივით ან თუ ეს იყო მესამე პირთა დარწმუნების შედეგი ანდა იგი თვით ბრალდებულის (обвеняемый) მიერ იყოს გამოთხოვილი. ასევე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმ მოტივებს, რომლებითაც მოქმედებდნენ როგორც თანხმობის მიმცემი ისე მისი მიმღები. უფრო მეტიც, ქმედების არადანაშაულებრიობისათვის ზოგჯერ სრულიად საკმარისია, რომ დაზარალებული ინდიფერენტულად ეკიდებოდეს წართმეული ნივთის დაკარგვას, არ განიცდიდეს, რომ ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა მის ნებას."[1]

[1] Таганцев Н. С., დასახ. ნაშრ., გვ. 404.

შესაძლებელია თანხმობა იძულებით იყოს მიღებული,მაგრამ გამოქვნებული არ იყოს ის ხერხები,რომლითაც ამა თუ იმ ქმედების შემადგებლობაშია მოცემული. მაგალითად, გამორიცხულია პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის (სსკ-ის 137-ე მუხლი) თუ ბ-მ ა-ს მოთხოვნით მხოლოდ იმიტომ დაამყარა სქესობრივი კავშირი, რომ ა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლად არ შეირთავდა.

პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველთვის უნდა გამოირიცხოს,როდესაც ერთი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად ნებაყოფლობით შეთავაზებულია სხვა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. მაგალითად, ა. შეპირდა ბ-ს გარკვეული თანხის მიცემას იმ პირობით,თუ ბ. მის გაუპატიურებაზე ხელს აიღებდა. ბ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუპატიურების მცდელობისთვის გამოირიცხება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო,რადგან დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში არაფერი არ უშლიდა ხელს და გადაწყვეტილება ნებაყოფლობით და საბოლოო ხასიათს ატარებდა. რაც შეეხება თანხის მიცემის პირობას, მნიშვნელობა არა აქვს, თანხა რეალურად აიღო თუ არა, ბ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება დაზარალებულის თანხმობის გამო, რადგან საკუთრების დაზიანებაზე თანხმობა ნებაყოფლობითი იყო.

მესამე, დაზარალებულის თანხმობა ვერ ჩაითვლება მართლზომიერად, თუ თანხმობის მიმცემს სამართლებრივი სიკეთის ბედის განსაზღვრა არ შეუძლია ასაკის, ფსიქიკური შეურაცხაყობის ან სხვა გარემოების გამო. მაგალითად, თუ 14 წელს მიღწეული საკუთარი ნებასურვილით დაამყარებს სქესობრივ კავშირს შერაცხად პირთან, ეს შეთანხმება დაისჯება გაუპატიურებისათვის, რადგან 14 წელს მიღწევლობა უმწეო მდგომარეობად ითვლება, ხოლო 16 წლამდე პირს გააჩნია არა სქესობრივი თავისუფლება, არამედ სქესობრივი ხელშეუხებლობა. მეორე მაგალითი: დასჯადი იქნება იმ პირის მოქმედება ვინც ფსიქიკურად დაავადებულის თანხმობით მის ნივთს დაზიანებს.

დაზარალებულის თანხმობისას სამართლებრივი სიკეთე შეიძლება დაზიანდეს უმოქმედობითაც. მაგალითად, მშობელს შვილების მიმართ სამართლებრივი გარანტის მოვალეობა აკისრია. თუმცა, შეიძლება დაისვას კითხვა: აქვს თუ არა შვილების პირადებულ მახასიათებლებს მნიშვნელობა სამართლებრივი გარანტის განხორციელებასთან მიმართებით? ვფიქრობ,რომ აქვს. ასეთი შეიძლება იყოს ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა და სხვ. თუკი სრულწლოვანი, ფსიქიკურად ჯანმრთელი შვილი აუკრძალავს თავის მშობელს, რომ ალმოუჩინოს დახმარება, დამდგარი შედეგის მიუხედავად, მშობელი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება, რადგან სამართლებრივი

მოვალეობა იხსნება ამ კონკრეტულ ვითარებაში სწორედ იმიტომ, რომ შვილს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს გარკვეული სამართლებრივ სიკეთე.

გამორიცხული არაა დაზარალებულის თანხმობას სამართლის სხვადასხვა დარგმა სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები დაუკავშიროს. მაგალითად, თუ ა. ასაკის ან სხვა გარემოების გამო ქმედუუნაროა და შეცდომაში შეიყვანს ბ-ს და რაიმე ნივთს მიედის, მაშინ სამოქალაქო კანონმდებლობით შესაძლებელია ა-ს კანონიერი წარმომადგენლების მოთხოვნით სასამართლომ ეს გარიგება ბათილად ცნოს. "ქმედუუნარო პირის დადებული ხელშეკრულების ბათილობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ამ გარიგების შედეგად მას უშუალოდ არ წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო სამართალი არ იცავს იმ პირებს, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება ქმედუუნარო პირთან. აქედან გამომდინარე ქმედუუნარო პირთან დადებული გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებებს განეკუთვნება და იგი დადების მომენტიდან ბათილია."[1]

ასეთ შემთხვევებში ბ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს არა დაზარალებულის თანხმობაზე მითითებით, არამედ პირის ფაქტობრივი შეცდომის მიხედვით. მართებულად მიუთითებს ნ. ტაგანცევი, რომ თანხმობა შეგნებული გადაწყვეტილების შედეგი უნდა იყოს. ამიტომ თანხმობის მიმცემი ქმედუნარიანი უნდა იყოს, რაც ობიექტურად უნდა არსებობდეს და მხოლოდ დამნაშავის ვარაუდი საკმარისი არ არის ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევისათვის. თუკი დამნაშავეს არასწორი წარმოდგენა აქვს თანხმობის მიმცემის ქმედუნარიანობაზე, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს შეცდომის გავლენის და არა დაზარალებულის თანხმობის მიხედვით, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს.[2]

მეოთხე, დაზარალებულის თანხმობა გამოხატული უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებამდე სიტყვიერად, კონკლუდენტურად ან სხვა რაიმე ფორმით. სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შემდგომ გამოთქმული თანხმობა ქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ ვერ გადააქცევს. ამასთან, თანხმობის უარყოფა დაზარალებულის მიერ შეიძლება მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის სრულ დაზიანებამდე.

„თანხმობას განსაზღვრული ხასიათი უნდა ჰქონდეს ანუ უნდა ეხებოდეს გარკვეულ დროს და მოქმედებას, მიუხედავად იმისა, იგი პირობით თუ უპირობოდ იყო მიცემული... თუკი თანხმობა უარყო-

---

[1] ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომც. „სამართალი," თბ., 1997, გვ. 156.

[2] იხ: Таганцев Н. С., დასახ. ნაშრ., გვ. 404.

ფილია, იგი ძალას კარგავს, იმისდა მიუხედავად, უარყოფა ქმედებას წინ უსწრებდა თუ მას შემდეგ მოჰყვა, ოღონდ ვიდრე ქმედება არაა ბოლომდე დასრულებული; თუ პირი მისი ნებით ჩაკეტეს და შემდეგ გათავისუფლებას მოითხოვს, მაშინ მისი შემდგომი დაკავება კანონსაწინააღმდეგო იქნება."[1]

მაშასადამე, ამ პირობის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ბუნებას. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა დენადი და განგრძობადი დანაშაულები, როდესაც ქმედების განხორციელება გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობს და მის სრულ დამთავრებამდე სრულიად შესაძლებელია დაზარალებულმა თანხმობაზე უარი განაცხადოს. მაგალითად, ა-მ განუცხადა თავის შეყვარებულს, რომ იგი კმაყოფილი დარჩებოდა, თუ მას ხალხმრავალ ადგილზე ცოლად შერთვის მიზნით მოიტაცებდნენ. მეორე მაგალითი: ბ-ს თანხმობით მისი მეგობრები მის ბაღში ყოველდღიურად ხეხილს ჭრიან. პირველ მაგალითში ა-ს უარის შემდგომი ქორწილგვარი საქმიანობა დენად დანაშაულს ქმნის, ხოლო მეორე მაგალითში ბ-ს უარის შემდეგ განხორციელებული მოქმედება განგრძობად დანაშაულად უნდა შეფასდეს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზოგჯერ აკეთებს გამონაკლისს, როდესაც დაზარალებლის თანხმობით სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ვერ გაამართლებს იმ პირის მოქმედებას, ვისგანაც წამოვიდა ინიციატივა. მაგალითად, სსკ-ის 272-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება." მართალია, აღნიშნული დანაშაული ხელყოფს პიროვნების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მაგრამ სახელმწიფომ გარკვეული მოსაზრებების გამო თანხმობას მიუხედავად დამყოლიებლის მოქმედება დასჯადად გამოაცხადა.

ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ თუ დაზარალებული საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას გამოიყენებს სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად, მაშინ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ სხვა სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისთვის. მაგალითად, დანაშაულებრივი იქნება იმ პირის მოქმედება, ვინც სამხედრო მოსამსახურის თხოვნით სხეულს დაუზიანებს ამ უკანასკნელსვე იმ მიზნით, რათა სამხედრო მოსამსახურემ სამხედრო სამსახურს თავი აარიდოს (სსკ-ის 390-ე მუხლი). ამგვარ სიტუაციებში საქართველოს სამხედრო ინტერესების ხელყოფისათვის სამხ-

[1]. Таганцев Н. С., დასახ. ნაშრ., გვ. 405.

ედრო მოსამსახურე დაისჯება როგორც დანაშაულის ამსრულებელი, ხოლო ჯანმრთელობის დაზიანებისათვის პასუხს აგებს როგორც დანაშაულში დახმარე.

და ბოლოს, დაზარალებულის თანხმობა უნდა განვასხვავოთ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შემდგომი „პატიებისგან" (ამ სიტყვის ფართო გაგებით), რომელსაც დანაშაულის ყველა ელემენტი სახეზეა, მაგარამ დამნაშავე თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისგან ნაკარნახევი შეცნობიდან გამომდინარე. „პატიების" საფუძველი შეიძლება იყოს: 1) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში კერძო სისხლისსამართლებრივი დევნისას (სსსკ-ის 27-ე მუხლი) და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნისას დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა; 2) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო (სსკ-ის 68-ე მუხლი); 3) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო (სსკ-ის 69-ე მუხლი); 4) ე.წ. პოსტკრიმინალური წამახალისებელი ნორმები, რომლებიც ათავისუფლებენ პირს დანაშაულის დამთავრების შემდგომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ ის შეასრულებს შესაბამისი ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (მაგალითად, სსკ-ის 236-ე, 260-ე და ა.შ. მუხლების შენიშვნები.

§3. დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა

დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა დაზარალებულის თანხმობას გარკვეულწილად ემსგავსება, თუმცა უდავოა, რომ იგი ცალკე განხილვას მოითხოვს, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოებება. მათ შორის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს თანხმობის მიცემის თავისებურებაში: თუ დაზარალებულის თანხმობისას თანხმობის მიცემა და მიღება ხდება ერთმნიშვნელოვნად გასაგები ფორმით და სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ნებართვის გაცემა აღიქმება სამართლებრივი სიკეთის დამზიანებლის მიერ მისი ნების შესაბამისად, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობისას კი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე თანხმობის მიცემის ამგვარ ფორმებს ადგილი არა აქვს და როგორც თვით მისი სახელწოდებიდან ჩანს, არ ხდება დაზარალებულის მიერ თანხმობის გაცემა და სამართლებრივი სიკეთის დამზიანებლის მიერ ამ თანხმობის ად-

მკაცრად აღქმა. მაშასადამე, სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე დაზარალებულის თანხმობა არის არა გარადაუვალი, არამედ საკარაუდო ანუ მოსალოდნელი. სწორედ აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი განსხვავებაც დაზარალებულის თანხმობასა და დაზარალებულის საკარაუდო თანხმობას შორის: თუკი დაზარალებულის თანხმობისას დაზარალებულმა სამართლებრივი სიკეთის დაზიანებამდე იცის, რომ სამართლებრივი სიკეთე დაზიანდება, დაზარალებულის საკარაუდო თანხმობისას, პირიქით, დაზარალებული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას შემდეგ იგებს.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზოგიერთი გარემოებისგან განსხვავებით, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გარკვეულ შემთხვევებში დაზარალებულის თანხმობისას და დაზარალებულის საკარაუდო თანხმობისას „ხასწორზე" არ დევს რომელიმე სამართლებრივი სიკეთე. დაზარალებულის საკარაუდო თანხმობისას შესაძლებელია უკიდურესი აუცილებლობისაგან განსხვავებით საერთოდ არ ემუქრებოდეს სამართლებრივ სიკეთეს საფრთხე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოქმედების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს არანაირი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას. მაგალითად, ა-მ უკითხავად გაიღო 50 ბოთლი ღვინო მეგობრის მაღაზიიდან, რომელიც დროებით მაღაზიის მახლობლად გავიდა. ამ მოქმედების შეუსრულებლობა არანაირ საფრთხეს არ შეუქმნიდა მაღაზიის მფლობელს.

დაზარალებულის საკარაუდო თანხმობამ რომ გამორიცხოს ქმედების მართლწინააღმდეგობა, უნდა არსებობდეს მისი მართლზომიერების შემდეგი პირობები:

პირველი, დაზარალებულის საკარაუდო თანხმობა წარმოიშობა ადამიანთა შორის არსებული იმ ურთიერთობის ფარგლებში, რომელიც თავისთავად გულისხმობს დაზარალებულის თანხმობას განხორციელებული ქმედების *ტიპიურობის* გამო. მაგალითად, ა-მ უკითხავად წაიყვანა მისი მეგობრის ტრაქტორი მიწის დასამუშავებლად;

მეორე, ამ უფლების განმხორციელებელი არ უნდა გასცდეს იმ ურთიერთობის ფარგლებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მას გადაწყვეტს სხვისი სამართლებრივი სიკეთის ბედი სამართლებრივი სიკეთის „განმკარგველის" გარეშე. მაგალითად, შესაძლებელია ნაოსნობის შორის ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთის საცავიდან წაიღონ რაიმე პროდუქტი, მაგრამ ეს ურთიერთობა არ გულისხმობდეს ჭურჭლის უნებართვოდ გამოყენების უფლებას.

მეასამე, დაზარალებულის საკარაუდო თანხმობისას სამართლებრივი სიკეთის დამზიანებელი ვალდებულია სამართლებრივი სიკ-

ეთის ნამდვილ განმკარგველს ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესახებ. აქედან გამომდინარე, მას არ შეიძლება ამოძრავებდეს დანაშაულებრივი მიზანი. მაგალითად, თუ ა. თავიდანვე ბოროტი განზრახვით ფარულად დაეუფლება მისი მეგობრის რაიმე ნივთს და არ შეატყობინებს მას, ქმედება ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

დაზარალებულის საგარაუდო თანხმობისას მნიშვნელობა არა აქვს ამგვარი ქმედებით დაზარალებული კმაყოფილი აღმოჩნდება თუ არა. პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის მთავარია, რომ ეს უკანასკნელი აღინიშნა, ქმედება ტიპიური ხასიათის იყოს. თუ უკმაყოფილო აღმოჩნდება, უკიდურეს შემთხვევაში, ეს შეიძლება სამოქალაქო-სამართლებრივი დავის საგანი გახდეს.

ცხოვრებაში იქმნება ისეთი სიტუაციებიც, რომლებიც ერთი შეხედვით მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, რადგან თვით სამართლებრივი სიკეთე არ საჭიროებს არანაირ დაცვას. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამ საკითხის თაობაზე ამგვარი აზრია გამოთქმული: „მოსალოდნელი თანხმობის დასაბუთებას საფუძვლად არარსებული ინტერესის პრინციპი მაშინ უდევს, როდესაც განსაზღვრული პიროვნების პოზიციისადმი უღრმესი პატივისცემის პირობებშიც კი არ არსებობს დაცვის ღირსი „შენარჩუნების“ ინტერესი. მაგალითად, კურიერი ბ. დავალების შესასრულებლად მისთვის ა-სგან მიცემული ფულის ახალი კუპიურის ნაცვლად, რომელსაც თავისთვის ინახავს, ფოსტაში ანგარიშსწორებას საკუთარი დაჭმუჭნული კუპიურით ახდენს.“[1]

როგორც წესი, დაზარალებულის საგარაუდო თანხმობისას ერთდროულად „სასწორზეა“ არ უნდა დაიდოს ორი სამართლებრივი სიკეთე. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება უნდა შეფასდეს უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც, რომლებიც უკიდურესი აუცილებლობის ყველა პირობა სახეზეა, მაგრამ ქმედების მართლზომიერად მიჩნევა უკიდურეს აუცილებლობაზე მითითებით მაინც არ შეიძლება, რადგან ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გამართლებულად ჩასათვლელად აუცილებელია კიდევ სხვა პირობის არსებობა.

მაშასადამე, არის ისეთი ვითარებაც, რომელიც ერთი შეხედვით უკიდურეს აუცილებლობას ჰგავს, თუმცა რეალურად დაზარალებულის საგარაუდო თანხმობას აქვს ადგილი, ანუ *შექმნილია ისეთი ვითარება,*

[1] Wessels/Beulke. დახახ. ნაშრ., გვ. 120, აბ. 384.

როდესაც შეუძლებელია დაზარალებულის თანხმობის მიღება, ხოლო გარეშე პირთაგან მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება მძიმე შედეგი გამოიწვიოს.

თურიდიულ ლიტერატურაში სწორადაა ხაზგასმული, რომ „უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების დაუსჯელობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული სახის ზიანის მიყენებით."[1] ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს მ. ტურავა: „უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას აქვს ხარისხები. ამა თუ იმ მოქმედების შედეგად შეიძლება გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დაზიანებული, თუ მოქმედებით მოხდა პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებელი სფეროების ხელყოფა, ეს მოქმედება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით."[2]

თავისუფლების ხელშეუხებელი ასეთი სამართლებრივი სიკეთეები შეიძლება იყოს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა. მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, ერთი პირის სიცოცხლის გადასარჩენად სხვისთვის თორმეტლის იძულებით ამოჭრა, თუნდაც სახეზე იყოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა.

თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოში ყოველ ადამიანს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე. მოქალაქის თანხმობის გარეშე ნებისმიერი სახის სამედიცინო ჩარევა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს. „ექიმს არ გააჩნია სპეციალური უფლება ჩაერიოს სხვა პირის პირად ინტერესებში, ისევე როგორც მოქალაქეს არა აქვს მკურნალობის მოვალეობა."[3] თუმცა, კანონმდებლი აკეთებს ზოგჯერ გამონაკლისს და მოქალაქეს მკურნალობის მოვალეობას აკისრებს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, სსკ-ის 274-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა იმ ნარკომანისთვის, ვინც იძულებით მკურნალობას თავს აარიდებს.

---

[1] Шаргородский М. Д. Научный прогресс и уголовное право. «Советское государство и право», 1969, № 12, с. 95. ციტირებულია ა. კრასიკოვის ნაშრომის მიხედვით. იხ: Красиков А. Н. Сущность и значение согласия потерпевшего в советском уголовном праве. Изд. саратовского университета, 1976, с. 92.

[2] ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 102.

[3] Красиков А. Н. Сущность и значение согласия потерпевшего в советском уголовном праве. Изд. саратовского университета, 1976, с. 76.

მ. ტურავას ასეთი მაგალითი მოაქვს: „სააგადმყოფოში მიიყვანეს მძიმედ დაჭრილი,გონდაკარგული ა. ბ-მ ა-ს ნებისაგან დამოუკიდებლად (არ იყო მისი ნების გამოვლენა შესაძლებელი) გააკეთა სასწრაფო ოპერაცია და ა-ს ფეხი მოკვეთა (წინაადმდეგ შემთხვევაში ა. დაღუპებოდა). გამოჯანმრთელების შემდეგ ა-მ უსიტყვა ბ-ს ფეხის მოკვეთისათვის (განაცხადა,რომ უფეხობას სიკვდილი ერჩია). თუ სასამართლო დააგენს,რომ ბ-მ სწორი სამედიცინო მკურნალობა ჩაატარა და მას არ ჰქონდა საშუალება ა-სგან ნებართვა აეღო,ბ-ს ქმედება არ იქნება მართლსაწინააღმდეგო (დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა).“[1]

ერთი შეხედვით აქ უკიდურეს აუცილებლობას აქვს ადგილი, მაგრამ მოყვანილ კაზუსში საქმე ეხება ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებელ სფეროებს, ამიტომ გადამწყვეტი არის დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა. რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ექიმმა ჩაატარა სწორი მკურნალობა და სხვა საშუალება არ იყო უფრო ღირებული სამართლებრივი სიკეთის (სიცოცხლის) გადასარჩენად.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის, რომელიც მიღებულია 1997 წლის 10 დეკემბერს, მე-12 მუხლის თანახმად, „ქმედუუნარო და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტისათვის გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის ან სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით.“

ცოტა მოგვიანებით მიღებული „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის, რომელიც მიღებულია 2000 წლის 5 მაისის, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურებას.“

მაშასადამე,ჯანდაცვის სფეროში მიღებული ამ ორი ნორმატიული მასალიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ვინაიდან სამედიცინო ჩარევას ყოველთვის სჭირდება პაციენტის წინასწარი თანხმობა და ექიმმა გადაუდებელი დახმარების გაწევისას გადაწყვეტილება უნდა

[1] ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა,თბ.,2006,გვ. 104.

მიიღოს პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით, ამდენად თუ შეუძლებელია ავადმყოფისგან თანხმობის მიღება მისი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობით გამოწვეული შეგონო მდგომარეობის გამო, მაშინ ექიმმა უნდა იმოქმედოს უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად. ასეთ ვითარებაში ავადმყოფის თანხმობა ივარაუდება. ვფიქრობ, ანალოგიურ ვითარებაში უნდა გამართლდეს არა მარტო ექიმი, არამედ ნებისმიერი პირი.

მართებულად მიუთითებს ა. კრასიკოვი, რომ, თუ შექმნილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა და უგონო მდგომარეობაში მყოფისაგან თანხმობის მიღება სამედიცინო მოქმედებების განხორციელებაზე შეუძლებელია, მაშინ ექიმს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად შეუძლია პაციენტის ნების გარკვევის მიუხედავად იმოქმედოს.“ *შესაბამისი მოქმედებების მართლზომიერება ნაწილობრივ ეფუძნება პრეზუმფციას, რომ თანხმობა ქმედებაზე მიღებული იქნებოდა მკუნალობას დაქვემდებარებულისგან, ხოლო არასრულწლოვანთა ან ქმედუუნაროთა მიმართ – მათი კანონიერი წარმომადგენლებისგან* (ხაზგასმა ჩემია – ი.დ.).“[1]

სულ სხვა ვითარებაა, თუ საქმე არ ეხება პირადი თავისუფლების ხელშეუვალ სამართლებრივ სიკეთეებს და სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა მისივე ნაკლებმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე მოხდება. მაგალითად, ა-ს გარაჟს მეზობელი გადაურებით დაემუქრა, სადაც ძვირადღირებული მანქანა იდგა. თუ უცხო პირი გარაჟის კარებს გატეხავს და მანქანას გამოიტანს, ქმედება შეიდურეს აუცილებლობად უნდა შეფასდეს.

დაზარალებულის სავარაუდო თანხმობად უნდა შეფასდეს ქმედება, თუ პირი საფრთხეში მყოფ სხვის სამართლებრივ სიკეთეს გადაარჩენს არა სხვა სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე, არამედ ისეთი საშუალებით, რომელიც სრულიად არაა დაკავშირებული სხვა სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთან. მაგალითად, ა-ს ცეცხლმოკიდებული სახლი გადაარჩინა ბ-მ იქიდან არსებული სახანძრო ონკანით. ა. ამ ფაქტით შეიძლება აღმოჩნდა, რადგან მას დიდი ხანია სურდა ამ სახლის განადგურება. მოცემულ შემთხვევაში ბ-ს გამართლება შეიძლება დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის ფარგლებში ვინაიდან, სახლის გადარჩენა არ მომხდარა სხვა სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის ხარჯზე და, მეორეც, ბ-მ განახორციელა *ტიპიურად სოციალურად სასარგებლო მოქმედება.*

---

[1]. Красиков А. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 80-81.

§4. მოვალეობათა კოლიზია და მოვალეობათა კონკურენცია

გაუმართლებელი იქნება, თუ ადამიანის ქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ მივიჩნევთ, როდესაც საფრთხის წინაშე არსებული სამართლით დაცული რამდენიმე თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეთა ერთობლივად გადარჩენა პირს არ შეუძლია მათი გადარჩენის სურვილის მიუხედავად. ამიტომ ადამიანი დგება არჩევანის წინაშე: თანაბარი მოვალეობის პირობებში თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეთაგან დაიცვას ერთ-ერთი. მაგალითად, თუ ცურვის ინსტრუქტორი ხედავს, რომ მისი აღსაზრდელი ორი ბავშვი იხრჩობა წყალში და ორივეს ერთდროულად გადარჩენა შეუძლებელია, მაშინ ერთ-ერთი ბავშვის გადარჩენა მართლზომიერი იქნება.

მოვალეობათა კოლიზიას ადგილი აქვს თუ:

პირველი, საფრთხე ერთდროულად ექმნება ორ ან მეტ სამართლებრივ სიკეთეს.

მეორე, შესასრულებელია ორი ან მეტი თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობა. როგორც წესი, მოვალეობათა მნიშვნელობას სამართლებრივი სიკეთის ღირებულება განსაზღვრავს. თუ სამართლებრივი სიკეთეები სხვადასხვა ღირებულების მქონენი არიან, მაშინ, ადამიანის მოქმედებიდან გამომდინარე, რამდენიმე შემთხვევას ექნება ადგილი: ა) თუ საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთეებიდან შეგნებულად გადარჩენილი იქნება უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე, მაშინ ადგილი ექნება უკიდურეს აუცილებლობას; ბ) თუ საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთეებიდან შეგნებულად გადარჩენილი იქნება ნაკლებღირებული სამართლებრივი სიკეთე, მაშინ ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება; გ) თუ პირი ვერ აფასებს სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულებას და გადაარჩენს ნაკლებღირებულ სამართლებრივ სიკეთეს, ქმედება ყოველთვის შეფასდება მართლსაწინააღმდეგოდ და ადგილი ექნება შეცდომას. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პირი ან გათავისუფლდება საპატიო უკიდურესი აუცილებლობის გამო (სსკ-ის 38-ე მუხლი), ან დაისჯება სამართლებრივი სიკეთის გაუფრთხილებლობით დაზიანებისთვის, თუ ასეთი ქმედება გაუფრთხილებლობით ისჯება.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ მოვალეობათა კოლიზიისას განხორციელებული ქცევის შეფასებისას გასარკვევია, უპირველეს ყოვლისა, ერთ-ერთი პრინციპული ხასიათის საკითხი: რატომ არ იმოქმედა პირმა დაზიანებული სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად? დაბე-

ჯ.ითეებით შეიძლება აღინიშნოს, რომ მოვალეობათა კოლიზიით ადამიანის გამართლებისას ყოველთვის *უმოქმედობით* ხიანდება ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთე. მაშასადამე, მოვალეობათა კოლიზიის შესწავლისას აუცილებლად უნდა გახდეს კვლევის საგანი უმოქმედობის თავისებურებანი სისხლის სამართალში, რათა ზუსტად გაირკვეს, თუ როდის უნდა მოხდეს ადამიანის გამართლება მოვალეობათა კოლიზიაზე მითითებით.

ცნობილია, რომ უმოქმედობის მიზეზობრიობა წმინდა სისხლის-სამართლებრივი ინსტიტუტია. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით (რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილშიც ჰპოვა ასახვა) უმოქმედობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან ან კონკრეტულ საფრთხესთან, თუ სახეზეა სამი პირობა: 1) უმოქმედობის განმხორციელებელს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა; 2) მას ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და 3) სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.[1]

საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნების გამო მოქალაქეებს სხვადასხვა მოვალეობების შესრულება ეკისრებათ. ადამიანებზე დაკისრებული ესა თუ ის სამართლებრივი მოვალეობა თანაბარი მნიშვნელობის არ შეიძლება იყოს. ვინაიდან უმოქმედობის მიზეზობრიობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ეკისრებოდა თუ არა პირს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი ან ზნეობრივი მოვალეობა. ამდენად სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლო პრაქტიკისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მოვალეობათა რანგირება.

ვინაიდან მოვალეობათა მნიშვნელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი სამართლებრივი სიკეთის ღირებულებაა, ამიტომ აუცილებელია გაირკვეს სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა შემდეგი სახის უზუსტობები:

პირველი, მოხდება მოვალეობათა კოლიზიისა და უკიდურესი აუცილებლობის ერთმანეთში აღრევა. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მიხედვით, რომელიც უკიდურეს აუცილებლო-

[1] უმოქმედობის მიზეზობრიობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ, მაგალითად: Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. Гос. изд. «Юридической литературы», изд. второе, исправленное и дополненное, М., 1963, с. 238-282; ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 45-53 და სხვ.

ბას ეხება, სამართლებრივი სიკეთის დამზიანებლის მოქმედებას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს მართლზომიერად (სხვა პირობებთან ერთად) თუ გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე დაზიანებული. ხოლო მოვალეობათა კოლიზიისას, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთდროულად საფრთხე ექმნება ორ ან მეტ თანაბარმნიშვნელოვან მოვალეობას. ვინაიდან მოვალეობის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი სამართლებრივი სიკეთეა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ თუკი ვინმე გადაარჩენს სამართლებრივ სიკეთეს ისეთ პირობებში, როდესაც მას სხვა უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მოვალეობაც ჰქონდა და თუ კანონშემფარდებელი სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულებას თანაბრად მიიჩნევს, მაშინ პირის გამართლება მოხდება მოვალეობათა კოლიზიაზე მითითებით, რაც ეწინააღმდეგება მოვალეობათა კოლიზიის ბუნებას.

მეორე, არათანაბარმნიშვნელოვან მოვალეობათა თანაბარმნიშვნელოვნად შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის ვითარების არასწორი შეფასებისას. ან პირიქით, დამნაშავის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, მოვალეობათა კოლიზით დამნაშავის გამართლება.

ზემოთ აღინიშნა, რომ მოვალეობათა მნიშვნელობას, როგორც წესი, სამართლებრივი სიკეთის ღირებულება განსაზღვრავს. ახლა დასადგენია კიდევ რამ შეიძლება განსაზღვროს სამართლებრივი მოვალეობის მნიშვნელობა.

მაგალითელი ნორმა მიმართულია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ. სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ორი სახის უმოქმედობის დელიქტებს: შერეული და წმინდა უმოქმედობის დელიქტები. შერეული სახის უმოქმედობის დელიქტები ყოველთვის შედეგიან ქმედების შემადგენლობებს გულისხმობს.

უმოქმედობის მიზეზობრიობის ერთ-ერთი პირობაა ის, რომ უმოქმედობის განმხორციელებელს მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა უნდა ჰქონდეს, რაც პირველ რიგში უნდა დადგინდეს. მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს სამართლებრივი აქტიდან, ხელშეკრულებიდან, წინარე მოქმედებიდან ანუ კონკლუდენტური მოქმედებიდან და ჩამოყალიბებული სოციალური ვითარებიდან. თუკი პირს მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება, მაშინ იგი სამართლებრივი გარანტის 'ფუნქციის მატარებლად ანუ შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის სამართლებრივ გარანტად გვევლინება. მოქმედების მოვალეობა აშეიძლება ზნეობრივი მოვალეობიდანაც მომდინარეობდეს. ასეთ შემთხვევაში პირს სამართლებრივი

გარანტის ფუნქცია არ გაკისრება. მაგალითად, დაუხმარებლობისას (სსკ-ის 129-ე მუხლი).

მოვალეობათა მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა, ერთი მხრივ, თვით სამართლებრივი მოვალეობის ყარგლებში რომელ მოვალეობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა და, მეორე მხრივ, სამართლებრივი გარანტის ფუნქციის განსორციელებასა და სოლიდარული მოვალეობის შესრულებას შორის ურთიერთშეპირისპირება.

განვიხილოთ ჯერ სამართლებრივ გარანტთან დაკავშირებული მოვალეობები. მაგალითად, ა. მოვალეა დაიცვას როგორც საკუთარი შვილი, ისე ის ბავშვი, ვისი ძიძაც არის. ორივე ბავშვი ერთროულად იხრჩობა წყალში. საკუთარი შვილი უნდა გადაარჩინოს ა-მ თუ ის ბავშვი, ვისი ძიძაც არის? ვფიქრობ, ა-ს ნებისმიერი ბავშვის თანაბარი გადარჩენის სამართლებრივი უფლება აქვს და ნებისმიერ შემთხვევაში მისი მოქმედება გამართლდება მოვალეობათა კოლიზიის გამო.

როგორც ვიცით, სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს წინარე მოქმედებიდანაც. არავინ დაობს იმაზე, რომ პირს თავისი წინარე დანაშაულებრივი მოქმედების გამო ეკისრება თანაბრად წარმოეშობა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, განსრახვისა და გაუფრთხილებლობის მიუხედავად. მაგარამ სადაოა შემდეგი საკითხი: აქვს თუ არა მნიშვნელობა წინარე მოქმედების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შესრულებისთვის იმ ფაქტს, რომ სამართლებრივი სიკეთე საფრთხეში აღმოჩნდა საკუთარი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან გაუფრთხილებელი ქმედების გამო, როდესაც წინარე მოქმედება მართლზომიერად იყო განხორციელებული?

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამუშავებული არ არის. მ. ტურავას მოსაზრებით, მეცნიერთა ნაწილი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ მართლზომიერი ქმედებისას წინარე მოქმედების გამო პირს არ უნდა წარმოეშვას სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, ხოლო მეცნიერთა ნაწილი საწინააღმდეგო აზრს ავითარებს.[1]

თვით მ. ტურავას ამ საკითხის თაობაზე შეალედური პოზიცია აქვს: – „ვფიქრობთ, აუცილებელი მოგვრიების შემდეგ, როცა წინარე მოქმედება მართლზომიერია, არ შეიძლება მომგვრიებელს იმაზე მეტად მოეთხოვოს პასუხი, ვიდრე დაუხმარებლობისთვის."[2]

---

[1] იხ: ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეექვსე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 50.

[2] იქვე, გვ. 50.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ამ საკითხისადმი ერთმნიშვნელოვანი პოზიციის დაკავება. ამიტომ, ვფიქრობ, მართებულად უნდა ჩაითვალოს მ. ტურავას მოსაზრება, როდესაც იგი დიფერენცირებულ მიდგომას აკეთებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების მიმართ და აუცილებელი მოგერიების შემთხვევაში გამორიცხავს სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობის შესაძლებლობას და მხოლოდ სიცოცხლის, როგორც ყველაზე ღირებული სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მოვალეობას აკისრებს მომგერიებელს.

მ. ტურავა იქვე აღნიშნავს, რომ „სხვა მდგომარეობაა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს, მას შემდეგ, რაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობამ გაიარა. ამ შემთხვევაში პირს წარმოეშობა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია მისი წინარე მოქმედებიდან გამომდინარე."[1]

ვფიქრობ, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს მართლზომიერი რისკის შემთხვევაშიც. აგრესიული უკიდურესი აუცილებლობისა და მართლზომიერი რისკისას ზიანი ადგება იმ პირის სამართლებრივი სიკეთეს, რომლის მხრიდანაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჰქონია ადგილი. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში წინარე მოქმედების განმახორციელებელს აუცილებლად უნდა წარმოეშვას სამართლებრივი გარანტის ფუნქცია.

ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია, როდესაც ვინმე ბ. მართლზომიერად მოქმედებს, მან მოიგერია თავდამსხმელი და იმავდროულად მანქანით დაეხეთა ის პირი, ვინც მანქანით წინდახედულობის ნორმების დარღვევით გზაზე აკრძალულ დროს გაიარა. ორივე დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის თანაბარი ხარისხის დაზიანება. საყურადღებოა ორი თანაბარი ღირებულების სიკეთე. არის თუ არა მოცემულ სიტუაციაში თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობა? რა ოქმა უნდა, არა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მარტო სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება ვერ განსაზღვრავს მოვალეობათა მნიშვნელობას. მაშინ რა განსაზღვრავს კიდევ მოვალეობათა მნიშვნელობას სამართლებრივი სიკეთის ღირებულებითა გარდა? ჩემი აზრით, *მოვალეობათა მნიშვნელობის განსაზღვრისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთობლივად კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე საზოგადოებაში არსებული სამართლებრივი, მორალური და ჩვეულებითი ძალთაბუნება*

[1] ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. შეიქსე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 50.

და დირებულებანი. რატომ სამართლებრივთან ერთად მორალური და ჩვეულებითი დირებულებანი? აქ ხომ სამართლებრივ მოვალეობაზეა საუბარი? აქ მთავარია ის, რომ, ჯერ ერთი, ეს დირებულებანი ერთობლივად უნდა იქნეს გათვალისწინებული და მეორე, ქმედების მართლწინააღმდეგობა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე არ დგინდება. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, აუცილებელი მოგერიებისას პირს არ უნდა წარმოეშვას სამართლებრივი გარანტის ფუნქცია.

აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელ კაზუსში პირი არ იმყოფება მოვალლობათა კოლიზიის ვითარებაში. ამიტომ მან პირველ რიგში უნდა გადაარჩინოს ის პირი, ვინც საკუთარი გაუფრთხილებელი მოქმედების გამო ჩაიგდო თავი საფრთხეში, მაგარამ ამ შემთხვევაში ბ. ვერ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მოვალეობათა კოლიზიაზე მითითებით, რადგან თანაბარი მოვალეობები არ გვაქვს და ვერც უკიდურესი აუცილებლობით გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან აქ ორ თანაბარი მნიშვნელობის სამართლებრივ სიკეთეს ექმნება საფრთხე. მაშასადამე, დარჩა ერთი გზა: აქ ადგილი აქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ღვმდე უცნობ, ახალ გარემოებას, რომლსაც შეიძლება ეწოდოს მოვალეობათა კონკურენცია. როგორი შეფასება უნდა მიეცეს ბ-ს მოქმედებას თუკი იგი გაადაარჩენს იმ პირს ვინც მას თავს დაესხა? ჩემი აზრით, მისი მოქმედება არ შეიძლება მართლზომიერად ჩაითვალოს, მაგრამ უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალის არარსებობის გამო ბრალის გამომრიცხველი ისეთი უცნობი გარემოების საფუძველზე, როგორიცაა საპატიო მოვალეობათა კონკურენცია. ვინაიდან ამ შემთხვევაში თანაბარი სამართლებრივი სიკეთე იქნა გადარჩენილი, პირის გაკიცხვა ფრიად საეჭვოა.

გადასაწყვეტია კიდევ ერთი საკითხი, თუ როგორ უნდა შეფასდეს პირის მოქმედება, როდესაც მას ერთდროულად სამართლებრივი გარანტის ფუნქცია ერთზე მეტი გარემოების გამო ეკისრება. მაგალითად, პოლიციელი ხედავს, რომ თანაბარი საფრთხე ერთდროულად შეექმნათ თავის შვილს და მის მეგობარს. ცხადია, აქ სამართლებრივად თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობებთან გვაქვს საქმე, რის გამოც პოლიციელის ნებისმიერი პირის თანაბარი გადარჩენის მოვალეობა ეკისრება.

ახლა არ უნდა იყოს რთული იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა შეფასდეს პირის მოქმედება, როდესაც მას ერთდროულად სამართლებრივი გარანტის ფუნქციაც აკისრია და სოლიდარული მოვალეობის განხორციელებაც ეკისრება. ამის თაობაზე მ. ტურავა აღნიშნავს: „სა-

დავთა საკითხი, თუ როგორ უნდა გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მოვალეობათა ისეთი კოლიზიის დროს, როცა გარანტი გადაწყვეტს არ შეასრულოს გარანტის ფუნქცია (მაგალითად, არ გადაურჩინოს სიცოცხლე განსაცდელში მყოფ მეუღლეს) და ამის სანაცვლოდ შეასრულოს თავისი ე.წ. სოლიდარული მოვალეობა – სიცოცხლე გადაურჩინოს უცნობს, რომელიც იხრჩობა."[1]

მოცემულ სიტუაციაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოვალეობათა კოლიზიას, რადგან თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობებს არა აქვს ადგილი და ქმედება შესაბამისად უნდა შეფასდეს იმ კაზუსის ანალოგიურად, რომელსაც ქმედება შესაბამისად დაკვალიფიცირდა მოვალეობათა კონკურენციად და საპატიო მოვალეობათა კონკურენციად.

სამართლებრივი გარანტისას, რომ მოვალეობა უფრო მნიშვნელოვანია სოლიდარულ მოვალეობასთან შედარებით ამაზე ქმედების კვალიფიკაცია და შესაბამისად პასუხისმგებლობის სიმკაცრეც მეტყველებს. სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეუსრულებლობისთვის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იგივე მუხლით და იგივე სიმკაცრით ეკისრება როგორც მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისას. მაგალითად, თუ დედა არ შეასრულებს სამართლებრივი გარანტის ფუნქციას და ბავშვი დაიღუპება, დედა პასუხს აგებს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისთვის (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტი), ხოლო თუ იგივე პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში უცნობ პირს არ დაეხმარება, შედეგის მიუხედავად, იგი პასუხს აგებს მხოლოდ დაუხმარებლობისთვის (სსკ-ის 129-ე მუხლი). აღნიშნული მუხლებით დაწესებულ სასჯელებს თუ შევადარებთ დავინახავთ, რომ მკვლელობისთვის უფრო დიდი სანქციაა, ვიდრე დაუხმარებლობისთვის. მაშასადამე, კანონმდებელი სოლიდარულ მოვალეობასთან შედარებით სამართლებრივი გარანტის ფუნქციის განხორციელებას უფრო მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნევს და სწორედ ამიტომაცაა, რომ ამ უკანასკნელის შეუსრულებლობისთვის უფრო დიდ სასჯელს ადგენს, ვიდრე დაუხმარებლობისთვის.

სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შესრულებას რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოლიდარული მოვალეობის შესრულებასთან შედარებით, ისიც ადასტურებს, რომ სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეუსრულებლობით პირი შეიძლება დანაშაულის თანამონაწილედ მოგვევლინოს ანუ უმოქმედობის გამო იგი დამხმარედ მოგვევლინება. სოლიდარული მოვალეობის შეუსრულებლობისას კი თანამონაწილე-

[1] ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეექვსე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 51.

ბა (დახმარება) წარმოუდგენელია. დანაშაულში თანამონაწილეობისას თანამონაწილე იგივე ნორმას არღვევს, რომელსაც ამსრულებელი. მაშასადამე, სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეუსრულებლობას კანონმდებელი უფრო მკაცრად უყურებს, ვიდრე სოლიდარული მოვალეობის შეუსრულებლობას.

ახლა გასარკვევი დარჩა, როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც პირს ერთდროულად წარმოეშობა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის მიმართ და სოლიდარული მოვალება მეტი ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთის მიმართ. მიუხედავად, იმისა, რომ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია უფრო მნიშვნელოვანია სოლიდარულ მოვალეობასთან შედარებით, ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში. ამისათვის წერტილად ქოველთვის სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება უნდა იყოს, რის გამოც უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა შეიძლება აუცილებლობად უნდა შეფასდეს. მაგალითად, ქმარი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც მან უნდა გაარჩინოს მეულლე, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ემუქრება და ამავდროულად უნდა გადაარჩინოს უცნობი ადამიანი, რომელსაც გარდაუვალი სიკვდილი ემუქრება. უცხო ადამიანის გადარჩენა უკიდურეს აუცილებლობად უნდა შეფასდეს, ხოლო თუ ქმარი ცოლს გადაარჩენს მისი მოქმედება გამართლებული არ იქნება, თუმცა, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ბრალის არ არსებობაზე, რადგან ამგვარ სიტუაციაში, ცოლ-ქმრული ურთიერთობიდან გამომდინარე, რთულია ვისაუბროთ პირის გასაკიცხაობაზე.

და ბოლოს, მოვალეობათა კოლიზიისას, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა გარემოებისას, ადამიანის მოქმედება გარკვეული მიზნითა და მოტივითაა წარმართული. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები რომ მართლზომიერად ჩაითვალოს, აუცილებელია სუბიექტური პირობის დადგენაც (მაგალითად, დაცვის მიზანი აუცილებელი მოგერიებისას და ა.შ). მოვალეობათა კოლიზიის მართლზომიერებისათვის სუბიექტურ ნებას, ვფიქრობ, არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს, რადგან მოვალეობათა კოლიზიის მართლზომიერებაზე ვერ მოახდენს გავლენას ადამიანის მოქმედების მოტივი და მიზანი. მოვალეობათა კოლიზიის მართლზომიერებისათვის გადამწყვეტია ობიექტური კრიტერიუმები.

§5. ნივთის ჩამორთმევა

ო. გამყრელიძე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ერთ-ერთ მანამდე უცნობ გარემოებად ასახელებს „დამნაშავის განიარაღებას," თუმცა არ მიუთითებს მისი მართლზომიერების პირობებს. ყურადღებიანი მკითხველი ადვილად თუ ძნელად მაინც უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ დამნაშავის განიარაღებას მართლაც აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ დამოუკიდებელ გარემოებად არსებობის უფლება. ო. გამყრელიძის მიერ მაგალითად მოტანილი საქმიდან ნათელია, რომ იარაღის ჩამორთმევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი მანამდე ცნობილი არც ერთი გარემოებით გათავისუფლება არ შეიძლება. მაგალითად მოტანილი სისხლის სამართლის საქმის ძირითად ფაბულას ო. გამყრელიძე ასე წარმოგვიდგენს: „ვიღაც კაცი ხალხმრავალ ქუჩაში იდგა, რევოლვერი მაღლა აეშვირა და ისროდა. მასთან სწრაფად მოვარდა გამვლელი, წაართვა რევოლვერი და პოლიციას ჩააბარა."[1]

ამ კაზუსის განხილვისას თავიდანვე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხი: იარაღის წართმევით გამოირიცხა მართლწინააღმდეგობა თუ ქმედების შემადგენლობა?

ვფიქრობ, ო. გამყრელიძე განზრახ არ უწოდებს დამნაშავის განიარაღებას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. მართალია, დამნაშავის განიარაღება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების გვერდით არის განხილული, მაგრამ მოცემული კაზუსის მიხედვით გამოირიცხება ქმედების შემადგენლობა, რაც თავისთავად ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის შესაძლებლობას გამორიცხავს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლში (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება) მითითებული არ იყო მითვისების მიზანზე, ამგვარი მიზანი ყოველთვის მოიაზრებოდა, როგორც ქმედების შემადგენლობის იმანენტური ნიშანი. მოცემული კაზუსის მიხედვით კი ირკვევა, რომ იარაღის ჩამომრთმევს მითვისების

[1] გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. გამოიცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" რედაქციის მიერ, თბ., 2005, გვ. 239.

მიზანი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, ამ მიზნის არ არსებობა თავისთავად გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას.

მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა მითვისების მიზანზე პირდაპირ მიუთითა სსკ-ის 237-ე მუხლში (იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა). მაშასადამე, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსითაც დამნაშავის განიარაღება ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ.

არსებობს აგრეთვე ისეთი ნიშნებიც, რომლებიც დამნაშავის განიარაღებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოებებისგან გამოარჩევს. მთავარი აქ მაინც ის ფაქტია, რომ იარაღის ჰაერში სროლით *კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს საფრთხე* არ ემუქრება, თუმცა იარაღის ხალხმრავალ ადგილზე სროლა, რომ საზოგადოდ საფრთხის შემცველია, ამის უარყოფა არავის შეუძლია.

ახლა გასარკვევია,დამნაშავის განიარაღება ხომ არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, უფრო კონკრეტულად, ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების კერძო შემთხვევა? წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც მთვრალი ანდა მართვის უცოდინარი ადამიანი ცდილობს საჭეს მიუჯდეს, რითაც, რა თქმა უნდა, საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს და სახიფათებების წევრებს და სხვა სამართლებრივ სიკეთეებს. თუკი ასეთ ვითარებაში მას ავტომანქანას იძულებით წაართმევენ მაგრე შედეგის თავიდან ასაცილებლად, როგორ უნდა შეფასდეს ავტომანქანის წამრთმევის მოქმედება? ცნობილია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ამგვარი ქმედება ძარცვის (სსკ-ის 178-ე მუხლი) შემადგენლობას ქმნის, თუ პირს მითვისების მიზანი გააჩნია. ვინაიდან, პირს ავტომანქანის ჩამორთმევისას მითვისება მიზანი არ ჰქონდა, ამდენად ძარცვის შემადგენლობაც გამოირიცხება. ვფიქრობ, დამნაშავის განიარაღებისას, ავტომანქანის წართმევისას და სხვა მსგავსი შემთხვევებისას უნდა გამოირიცხოს ქმედების შემადგენლობა და ამ გამომრიცხველ გარემოებას ნივთის ჩამორთმევა უნდა ეწოდოს.

ნივთის ჩამორთმევით პირის გამართლება მაშინ იქნება შესაძლებელი თუ სახეზე იქნება შემდეგი პირობები:

პირველი, ნივთის მფლობელი ნივთს უნდა იყენებდეს არადანიშნულებისამებრ.

მეორე, ნივთის გამოყენებით უნდა იქმნებოდეს აბსტრაქტული საფრთხე და როგორც უკვე აღინიშნა, საფრთხე არ უნდა შეექმნას

კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ სხვა გარემოებას. მაგალითად, თუ იარაღით ვინმე ემუქრება მოქალაქეს, მისთვის იარაღის წართმევა აუცილებელ მოგერიებად უნდა შეფასდეს.

მესამე, ნივთის წამრთმევს უნდა ამოძრავებდეს საზოგადოების უსაფრთხოების, წესრიგის და სიმშვიდის დაცვის მიზანი. თუ ნივთი წართმეულია დანაშაულებრივი მიზნით ქმედება მართლზომიერად ვერ შეფასდება.

XIV თავი

ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი

§1. ზოგადი დახასიათება

საქართველოში 1999 წლის 22 იანვრის ახალი კოდექსის შემოღებამდე 1960 წლის სს კოდექსი ადიარებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ მხოლოდ ერთ გარემოებას. ეს იყო საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი) გარემოება. თუმცა ეს ის არ უნდა გავიგოთ, რომ მაშინ ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში ჩადენილი ქმედებათვის სასამართლო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებდა ფიზიკურ პირს. რა თქმა უნდა, ეს პირები არ ექვემდებარებოდნენ პასუხისმგებლობას, მაგრამ სასამართლო პირის გათავისუფლებისათვის განანენში (ან სხვა გადაწყვეტილებაში) უთითებდა სხვა საფუძველს (მაგალითად, „მცირეწლოვანების გამო არ არსებობს დანაშაულის სუბიექტი„), ანდა ხელმძღვანელობდა იმით, რომ პირის ქმედება არაა ბრალეული (მაგალითად, მისატევებელი შეცდომის დროს). ამ შემთხვევაში სასამართლო, რა თქმა უნდა, ვერ მიუთითებდა სსკ ზოგადი ნაწილის რომელიმე მუხლზე, რაც ერთგვარად ართულებდა პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხს. სადღეისოდ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ადიარა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ორკვალიანი სისტემა: მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი (თავი მე-8) და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი (თავი მე-9). ამგვარი დაყოფა პირდაპირ შეესატყვისება დანაშაულის სანსაფეხურიან სტრუქტურას 1. ქმედების შემადგენლობა, 2.მართლწინააღმდეგობა და 3. ბრალი.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობისას პირის ქმედება ფორმალურად შეესაბამება სსკ გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს, მაგრამ არაა მართლსაწინააღმდეგო (ე.ი. არ ეწინააღმდეგება სამართალს, მართლწესრიგს). რაც შეეხება ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს, ეს ის შემთხვევებია, როცა პირის ქმედება სსკ გათვალისწინებული ქმედების ნიშნებსაც შეიცავს და მართლსაწინააღმდეგოც არის, მაგრამ მას აკლია დანაშაულის მე-3 ნიშანი–ბრალი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი ჩადენილია ისეთ გარემოებებში, რომელიც გამორიცხავს ბრალს.

განსახილველ მე-9 თავში მოცემულია ბრალის როგორც გამომრიცხველი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ამათგან ზოგიერთი არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება, ხოლო ზოგიერთი როგორც ბრალის გამომრიცხველი, ისე შემამსუბუქებელი გარემოება. ესენია:

1. შეურაცხაობა ასაკის გამო (მუხ. 33).
2. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო (მუხ. 34).
3. შეზღუდული შერაცხადობა (ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოება)–მუხ.35-ე.

4.შეცდომა–ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოება (მუხ.36-ე).

5. ბრძანების ან განკარგულების შესრულება (მუხ.37-ე).

6. დაბოლოს, სსკ 38-ე მუხლით გათვალისწინებულია ბრალის გამომრიცხველი ისეთი ანალოგიური (ე.წ. ზეკანონური) ნორმა, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების გამო.

თუ თვალს გადავავლებთ ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა შესაბამის მუხლებს, ვნახავთ, რომ მოქმედ კანონმდებლობაში შეურაცხაობა ფართოდაა გაგებული. ადრე მოქმედი კოდექსით შეურაცხაობა ვიწროდ იყო გაგებული (მასში იგულისხმებოდა მხოლოდ სულიერი ავადმყოფობის გამო შეურაცხაობა), ახლა კი მასში იგულისხმება ასევე ასაკის გამო შეურაცხაობაც. აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში კეთდება ასეთი დასკვნა: „შეურაცხადია ყველა, ვისაც ამა თუ იმ გარემოების გამო მის მიერ ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება.[1] ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეურაცხაობა არსებობს ასაკის, სულიერი ავადმყოფობის, მისატევებელი შეცდომის, ბრძანების ან განკარგულების შესრულების და სხვა გარემოების გამო. ასეთ შემთხვევაში უნდა ვთქვათ, რომ შეურაცხადია სულით ავადმყოფიც და ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელიც; მცირეწლოვანიც და საპატიო შეცდომის ჩამდენიც. მაგრამ კანონმდებელი ბრალის არ შერაცხვაზე საუბრობს მხოლოდ 33-ე და 34-ემუხლში (შეურაცხაობა ასაკის და ფსიქიკური დაავადების გამო). სხვა შემთხვევაში აქ საუბარია ან სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე (35-ე და 37-ე მუხ.) ან იმაზე, რომ პირი არ დაისჯება (მუხ. 36-ე შეცდომა). თუკი საპატიო შეცდომაც ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა, რატომ აქაც არაა ნათქვამი, რომ „ამ კოდექსით გათვალისწი-

[1] იხ. თათარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ. 2005. გვ. 241.

ნებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად არ შეერაცხება იმას, ვინც არ იცის, რომ:" რა შეაშია აქ სიტყვები: „არ დაისჯება"?

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სწავლულ იურისტთა ნაწილი შეურაცხაობაში გულისხმობს მხოლოდ ასაკის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეურაცხაობას.[1]

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის პირობებში ცალსახად ძნელია იმის თქმა, თუ რას გულისხმობს შეურაცხაობის თუნდაც ფართო გაგება–მხოლოდ ასაკის და ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხაობას, თუ ასევე სხვა გარემოებებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ მე-9 თავში.აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაშიც ამ საკითხზე არაა ერთიანი პოზიცია.[2]

მიგვაჩნია რომ საქართველოს სსკ მიხედვით ბრალის გამომრიცხველი გარემოებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. შეურაცხაობა (სადაც შეგა შეურაცხაობა ასაკის გამო, ფსიქიური დაავადების გამო.) და 2. ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოებანი (შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება). ნაწილობრივ შეზღუდული შეურაცხადობა (მე-3 ნაწილი) და რიგ შემთხვევაში ბრალის გამომრიცხველი ანალოგიური ნორმა (სსკ 38-ე მუხ).

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებელი შეურაცხაობად თვლის პირის ისეთ მდგომარეობას, რომელიც ამ პირის ნებაზე არაა დამოკიდებული და არსებობს გარკვეული დროის განმავლობაში (მაგალითად, სანამ არ გახდება კანონით დადგენილი ასაკის) ან შესაძლებელია არსებობდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში (მაგალითად, სულით ავადმყოფობა). რაც შეეხება ბრალის გამომრიცხველ სხვა გარემოებებს, აქ სასამართლომ დეტალურად უნდა შეისწავლოს და შეაფასოს ის ვითარება და გარემოება, რომელიც პირმა ჩაიდინა კონკრეტული ქმედება. მაგალითად, ასრულებდა რა უფროსის ბრძანებას, იცოდა თუ არა ესბრძანება საგანდებულო, ასევე ჰქონდა თუ არა მის შემსრულებელს შეცნობილი ამ ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი და ა.შ. ამდენად, აქ საინტერესოა ფსიქიკური პირის გაცნობიერება მოცემულ ვითარებაში გაცემული კონკრეტული ბრძანების შინაარსის

[1] მ. ტურავა, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2004, გვ. 109.

[2] ჩვენი აზრით, „შეურაცხაობა" კლასიკური, პირდაპირი გაგებით ადამიანის ისეთი მდგომარეობაა, როცა მას ბრალად ვერ შეერაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. „ვერ შეერაცხება" (და არა „არ შეერაცხება"), რადგან ამ პირის ავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა არაძლევა ამის საშუალებას (ვგულისხმობთ საზოგადოებაში. რაც შეეხება ასაკს, აქ პასუხისმგებლობის საწყისი ზღვრის დადგენა რამდენიმე კანონ-მდებლის ნებაზეა დამოკიდებული (იგი ხან 14 წელია, ხან 16 წელი, ხოლო საქართველოს პარლამენტმა უკვე 12 წლიც დააწესა ზოგიერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ეს კანონი ამოქმედდა 2008 წლიდან).

მიმართ და არა მისი ფსიქიკური მდგომარეობა საერთოდ ან მისი ასაკი. აქედან გამომდინარე, შეურაცხადია სულიერად დაავადებული და მცირეწლოვანი. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ შეურაცხადია სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელი. ამდენად, ერთი და იგივე შინაარსი არ დევს სიტყვებში: „შეურაცხადი პირი“ და „პირს ბრალად არ შეერაცხება ესა და ეს კონკრეტული ქმედება“.

რაც შეეხება შერაცხადობას, იგი შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: შერაცხადობა არის პირის ისეთი მდგომარეობა (ინტელექტი, ნება, ასაკი), რომლის მას ჩადენილი უმართლობა შეიძლება ბრალად შეერაცხოს.

§2. შეურაცხაობა ასაკის გამო (მუხლი 33-ე)

ზემოთ უკვე ვნიშნავდით, რომ ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა შეურაცხაობა ასაკის გამო.

სსკ 33-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი. ამით კანონმდებელმა დაადგინა ის მინიმალური ასაკი, საიდანაც შესაძლებელია პირს ბრალად შეერაცხოს მის მიერ ჩადენილი

სსკ გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ანუ უმართლობა). მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასაკი არის არა სუბიექტის ნიშანი, არამედ ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. ასაკი დიახაც რომ არის სუბიექტის ნიშანი, რადგანაც 14 წელს უნდა მიაღწიოს სწორედ სისხლის სამართლის სუბიექტმა (და არა ბრალმა). სხვა საკითხია, რომ ასაკი არის ბრალად შერაცხვის ერთ-ერთი საფუძველი.[1]

საერთოდ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი საკითხი, თუ რა ასაკიდან შეერაცხოს პირს ბრალად ჩადენილი უმართლობა. ამ დროს საყოველთაოა მისაღები მოსარდოთა ინტელექტუალური განვითარების დონე, სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში, აგრეთვე ის, თუ რამდენადაა გაერცელებული მოსარდოთა მიერ ამა თუ იმ უმართლობის ჩადენა, პენიტენციალურ ორგანოთა შესაძლებლობანი, იზრუნონ არასრულწლოვნის გამოსწორებაზე და ა.შ. პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრა ნაწილობრივ

[1] იხ. გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების შეთხლილოგიური ანბანი, თბ. 2006. გვ.171-177.

დამოკიდებულია ასევე თვით სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, მინიმალური ასაკი ცვალებადია მოცემული სახელმწიფოს შიგნითაც. ასე მაგალითად, 1961 წლის საქართველოს სს კოდექსით იგი უმეტესი დანაშაულებისათვის იყო 16 წელი, ხოლო რიგი დანაშაულისსათვის – 14 წელი. შემდეგში საქართველოს კანონმდებელმა დაადგინა საერთო მინიმალური ასაკი– 14 წელი. ამის მიუხედავად, 14 წლის მიღწეულს ყველა სახის უმართლობა არ შეერაცხება ბრალად, არამედ ზოგ შემთხვევაში პირი უნდა იყოს სრულწლოვანი (მაგალითად ქრთამის აღება), ხოლო ზოგ შემთხვევაში–16 წლის მიღწეული (მაგალითად უკანონო სამეწარმეო საქმიანობა). სულ ახლახან კი საქართველოს პარლამენტმა ზოგიერთი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ასაკად დაადგინა 12 წელი. ისმის კითხვა: რატომ განსაზღვრავს თავად კანონმდებელი ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, როგორიცაა ასაკი და რატომ არ ანდობს ამ საკითხს სასამართლოს? იქნებ სჯობდეს მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალისტთა დახმარებით თვად შეისწავლოს მოზარდის ინტელექტუალური და ნებელობითი შესაძლებლობები და გადაწყვიტოს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი უმართლობის ბრალად შერაცხვის საკითხი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ მომენტზე: 1. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ უმართლობის ჩადენისას მისი ინტელექტუალური და ნებელობითი შესაძლებლობის შესწავლა მოითხოვს დიდ დროს, ხარჯებს და პასუხი მაინც შეიძლება არ იყოს ზუსტი. 2. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტას. კერძოდ, პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრისას სახელმწიფო ამოდის იქიდან, თუ რომელი ასაკიდანაა მიზანშეწონილი არასრულწლოვანი მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, რომელ ასაკამდე მიეტევოს მას ჩადენილი უმართლობა და სხვა სახის ღონისძიების გამოყენებით მიეცეს შესაძლებლობა თავად დაფიქრდეს და გამოსწორდეს. ამ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მეტისმეტად ადრეული ასაკიდან სისხლისსამართლებრივმა პასუხისმგებლობამ არასრულწლოვანზე შეიძლება გამოუსწორებელი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს რაღაცნაირ ფიზიკური, ისე მორალური თვალსაზრისით. ამდენად, პასუხისმგებლობის მიზანშეწონილობისას მთავარია არა მარტო იმ ასაკის განსაზღვრა, რომლისაც მოზარდს შეუძლია გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი უმართლობა და თავი შეიკავოს მისგან, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრებისასარგებლო შედეგები.

მიმართ და არა მისი ფსიქიკური მდგომარეობა საერთოდ ან მისი ასაკი. აქედან გამომდინარე, შეურაცხადია სულიერად დაავადებული და მცირეწლოვანი. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ შეურაცხადია სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელი. ამდენად, ერთი და იგივე შინაარსი არ დევს სიტყვებში: „შეურაცხადი პირი" და „პირს ბრალად არ შეერაცხება ესა და ეს კონკრეტული ქმედება".

რაც შეეხება შერაცხადობას, იგი შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: შერაცხადობა არის პირის ისეთი მდგომარეობა (ინტელექტი, ნება, ასაკი), რომლის მას ჩადენილი უმართლობა შეიძლება ბრალად შეერაცხოს.

§2. შეურაცხაობა ასაკის გამო (მუხლი 33-ე)

ზემოთ უკვე ვიხსენიეთ, რომ ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა შეურაცხაობა ასაკის გამო.

სსკ 33-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი. ამით კანონმდებელმა დაადგინა ის მინიმალური ასაკი, საიდანაც შესაძლებელია პირს ბრალად შეერაცხოს მის მიერ ჩადენილი

სსკ გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ანუ უმართლობა). მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასაკი არის არა სუბიექტის ნიშანი, არამედ ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. ასაკი დიახაც რომ არის სუბიექტის ნიშანი, რადგანაც 14 წელს უნდა მიაღწიოს სწორედ სისხლის სამართლის სუბიექტმა (და არა ბრალმა). სხვა საკითხია, რომ ასაკი არის ბრალად შერაცხვის ერთ-ერთი საფუძველი.[1]

საერთოდ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი საკითხი, თუ რა ასაკიდან შეერაცხოს პირს ბრალად ჩადენილი უმართლობა. ამ დროს სათვალავშია მისაღები მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების დონე, სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში, აგრეთვე ის, თუ რამდენადაა გავრცელებული მიზარდთა მიერ ამა თუ იმ უმართლობის ჩადენა, პენიტენციალურ ორგანოთა შესაძლებლობანი, ისჯებუნან არასრულწლოვნის გამოსწორებაზე და ა.შ. პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრა ნაწილობრივ

[1] იხ. გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მოთხრობითი ანბანი, თბ. 2006. გვ.171-177.

დამოკიდებულია ასევე თვით სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, მინიმალური ასაკი ცვალებადია მოცემული სახელმწიფოს შიგნითაც. ასე მაგალითად, 1961 წლის საქართველოს სს კოდექსით იგი შემცირებისათვის იყო 16 წელი, ხოლო რიგი დანაშაულისათვის – 14 წელი. შემდეგში საქართველოს კანონმდებელმა დაადგინა საერთო მინიმალური ასაკი– 14 წელი. ამის მიუხედავად, 14 წლის მიღწეულს ყველა სახის უმართლობა არ შეერაცხება ბრალად, არამედ ზოგ შემთხვევაში პირი უნდა იყოს სრულწლოვანი (მაგალითად ქრთამის აღება), ხოლო ზოგ შემთხვევაში–16 წლის მიღწეული (მაგალითად უკანონო სამწყარმეო საქმიანობა). სულ ახლახან კი საქართველოს პარლამენტმა ზოგიერთი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ასაკად დაადგინა 12 წელი. ისმის კითხვა: რატომ განსაზღვრავს თავად კანონმდებელი ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, როგორიცაა ასაკი და რატომ არ ანდობს ამ საკითხს სასამართლოს? იქნებ სჯობდეს მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალისტთა დახმარებით თვად შეისწავლოს მოზარდის ინტელექტუალური და ნებელობითი შესაძლებლობები და გადაწყვიტოს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი უმართლობის ბრალად შერაცხვის საკითხი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ მომენტზე: 1. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ უმართლობის ჩადენისას მისი ინტელექტუალური და ნებელობითი შესაძლებლობის შესწავლა მოითხოვს დიდ დროს, ხარჯებს და პასუხი მაინც შეიძლება არ იყოს ზუსტი. 2. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტას. კერძოდ, პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრისას სახელმწიფო ამოდის იქიდან, თუ რომელი ასაკიდანაა მიზანშეწონილი არასრულწლოვანი მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, რომელ ასაკამდე მიეტევოს მას ჩადენილი უმართლობა და სხვა სახის ღონისძიების გამოყენებით მიეცეს შესაძლებლობათავად დაფიქრდეს და გამოსწორდეს. ამ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მეტისმეტად ადრეული ასაკიდან სისხლისსამართლებრივმა პასუხისმგებლობამ არასრულწლოვანზე შეიძლება გამოუსწორებელი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს როგორც ფიზიკური, ისე მორალური თვალსაზრისით. ამდენად, პასუხისმგებლობის მიზანშეწონილობისას მთავარია არა მარტო იმ ასაკის განსაზღვრა, როდესაც მოზარდს შეუძლია გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი უმართლობა და თავი შეიკავოს მისგან, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრებისასარგებლო შედეგები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა 14 წელი შეარჩია იმდენად, რამდენადაც ამ ასაკიდან მოზარდი უკვე აღარაა მცირეწლოვანი. უფრო ადრეული ასაკიდან (მაგ. 12 წლიდან) პასუხისმგებლობის დაკისრება ყოვლად გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს. ამდენად მიჩნეულია, რომ 14 წელს მიღწეულის გონება და ნებისყოფა იმ დონეზეა განვითარებული, რომ მას ძალუძს გააცნობიეროს მისი საქციელის სოციალ-სამართლებრივი მნიშვნელობა, დათრგუნოს კონკრეტული სურვილები და თავისი მოქმედება წარმართოს სხვა მოტივების მიხედვით.

ვინაიდან ასაკი არის შეურაცხაბის ერთ–ერთი საფუძველი, სასამართლო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს იგი. არასრულწლოვნის ასაკის დადგენა ხდება სათანადო დოკუმენტით (დაბადების მოწმობა და სხვა). თუმცა ზოგჯერ ხდება ისე, რომ სათანადო დოკუმენტის მოპოვება ვერ ხერხდება (იგი დაკარგულია), ასევე არ არსებობს შესაბამისი ჩანაწერები სახელმწიფო ორგანოებში (მაგალითად, ხანძრის გამო იგი განადგურებულია), ანდა დოკუმენტი სახეზეა, მაგრამ მას ეტყობა გაყალბების ნიშნები. ასეთ შემთხვევაში ასაკის დასადგენად დაუშვებელია პირების დაკითხვა, არამედ უნდა დაინიშნოს სამედიცინო ექსპერტიზა. ეს ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, პირის ზუსტ ასაკის (წელი, თვე, რიცხვი) ვერ განსაზღვრავს. იგი განსაზღვრავს მხოლოდ მიახლოებით ასაკს. თუ ექსპერტიზით დადგენილია არასრულწლოვნის დაბადების წელი (მაგალითად, 2002 წელი), არასრულწლოვნის დაბადების დღედ უნდა ჩაითვალოს ამ წლის ბოლო დღე (ე.ი 31 დეკემბერი). თუკი ექსპერტიზამ დაბადების წელიც ვერ განსაზღვრა ზუსტად, არამედ განსაზღვრა მხოლოდ მიახლოებით (მაგალითად, 13–დან 15–წლამდე), მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ მოზარდი არის 13 წლის, ე.ი მხედველობაში მიიღება განსაზღვრული ასაკის ქვედა ზღვარი, რადგანაც ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბადების დღედ უნდა მივიჩნიოთ დადგენილი წლის (მაგალითად, 2002 წლის) ბოლო დღე–31 დეკემბერი. მაგრამ პირი 14 წელს მიღწეულად ჩაითვლება არა იმ დღეს, როცა მას შეუსრულდა ეს ასაკი (ამ შემთხვევაში 31 დეკემბერს), არამედ მის მომდევნო დღეს–1 იანვარს, ე.ი თუ მან სისხლისსამართლებრივი უმართლობა ჩაიდინა დამის 12 საათის შემდეგ (ვთქვათ 00. სთ და 30 წუთზე). ეს იმიტომ, რომ კანონი (33ე მუხ.) პირდაპირ მიუთითებს, რომ პირს 14 წელი უნდა შეუსრულდეს ქმედების ჩადენამდე ("ჩადენამდე" და არა „ჩადენის დროისათვის").

§3. შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო (მუხლი 34)

სანამ შეურაცხაობას შეეხებოდეთ, მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ რა არის შერაცხადობა, რადგანაც შეურაცხაობა არის შერაცხადობის შებრუნებული ვარიანტი. შერაცხადობა გამოხატავს პირის უნარს გააცნობიეროს მისი საქციელის სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მართოს ეს საქციელი. გონება (ინტელექტი) და ნება ერთიანობაში არის შერაცხადობის პირობა. თუ ამ ორი პირობიდან ერთ-ერთი არ არის სახეზე, საქმე გვაქვს შეურაცხაობასთან. საქართველოს სსკ 34-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, როგორიცაა შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო. ამ მუხლის I ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მარლთსაწინააღმდეგო ქმედება არ შეურაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

როგორც ვხედავთ, აქ მითითებულია ისეთი ფსიქიკურ დაავადებებზე, რომლებიც იწვევენ ადამიანის ფსიქიკის მოშლას და აქედან გამომდინარე, გამორიცხავენ ჩადენილი უმართლობის ბრალად შერაცხვას.

სსკ 34-ე მუხლის I ნაწილში მოცემული შეურაცხაობის განსაზღვრება, თავის თავში მოიცავს ორ კრიტერიუმს (სახეობს). ესენია შეურაცხაობის სამედიცინო-ბიოლოგიური და იურიდიულ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმი. სამედიცინო კრიტერიუმი შეურაცხაობისა ნიშნავს იმას, რომ უნდა დადგინდეს ადამიანის ფსიქიკური დაავადება. ხოლო იურიდიულ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმი იძლევა პასუხს კითხვაზე: იყო კი ეს ფსიქიკური დაავადება იმ ხარისხის, რომელმაც პირს წაართვა ცნობიერება ანდა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის უნარი და ამგვარად გამორიცხა ბრალი. ორივე კრიტერიუმი უნდა დადგინდეს. ერთ-ერთის არ არსებობისას სასამართლო ვერ გამოიყენებს სსკ 34-ე მუხლს.

შეურაცხაობის სამედიცინო-ბიოლოგიური კრიტერიუმი, სსკ 34-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არის შემდეგი: ა) ქრონიკული სულიერი დაავადება. ესაა ფსიქიკის ნორმალური ფუნქციონირების ხანგრძლივი, ხშირად პროგრესირებადი (მზარდი) მოშლა (მაგ., შიზოფრენია). ეს დაავადებები, როგორც წესი, მკურნალობას არ ემორჩილება ანდა ემორჩილება უმნიშვნელოდ ან დროებით. ბ) ფსიქიკის დროებითი

აშლილობა არის ფსიქიკის ნორმალური ფუნქციონირების ხანმოკლე მოშლა, რომელიც მალეგე ქრება ან იოლად ემორჩილება მკურნალობას და, როგორც წესი, ადამიანის ფსიქიკაში უარყოფით კვალს არ ტოვებს (მაგ., პათოლოგიური სიმთვრალე, პათოლოგიური აფექტი და სხვა). გ) ჭკუასუსტობა არის გონებრივი შესაძლებლობის მნიშვნელოვანი და მყარი (ხანგრძლივი, ხშირად უკურნებელი) დაქვეითება. ჭკუასუსტობა არსებობს თანდაყოლილი ან შეძენილი (მაგ., ძლიერი ტრავმის შედეგად აღმოცენებული). ჭკუასუსტობის სახეებია: დებილობა, იმბეცილობა და იდიოტია ანუ იდიოტობა. დ) რაც შეეხება სხვა ფსიქიკურ დაავადებას, ამ შემთხვევაში კანონმდებელი არ აკონკრეტებს მის სახეს. აქ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი, პათოლოგიური გადახრები, რომელიც იწვევს ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის მოშლას. მაგალითად, ფსიქოპათური შეტევები.

იმის განსაზღვრისათვის,იყო თუ არა პირი ქმედების ჩადენის დროს (ან არის თუ არა ამჯამად) სულიერად დაავადებული, აუცილებელია სპეციალური სამედიცინო ცოდნა. ასე ცოდნას ფლობს მედიცინის მუშაკი, რომელიც როგორც წესი, არის საექსპერტო დაწესებულების სპეციალისტი. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი–სხვა დაწესებულების სპეციალისტი ან კერძო პირი (სსსკ 358-ე მუხ II-ე პუნქტი). ამიტომ ფსიქიკური დაავადების დასადგენად უნდა დაინიშნოს სამედიცინო ექსპერტიზა. მან უნდა დაადგინოს, იყო თუ არა პირი (ან არის თუ არა ამჯამად) სულიერად დაავადებული და კერძოდ რომელი დაავადებით. მაგრამ მხოლოდ შეურაცხაობის სამედიცინო-ბიოლოგიური კრიტერიუმით განსაზღვრული ნიშნის დადგენა (სულიერი ავადმყოფობის დადგენა) არაა საკმარისი პირის შეურაცხადად ცნობისათვის. აუცილებელია ასევე იურიდიულ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმით განსაზღვრული ნიშნების დადგენაც. კერძოდ, ფსიქიკური დარღვევა უნდა იყოს იმ სიძლიერის, რომ მთლიანად წაართვას (და არა ნაწილობრივ) პირს თავისი შქმედების ფაქტობრივი ხასიათის ან მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების უნარი ანდა ამ ქმედებისათვის ხელმძღვანელობის უნარი, ე.ი უნდა გამოიწვიოს ადამიანის ფსიქიკის მოშლა. ადამიანის ფსიქიკა კი რამდენიმე სფეროს მოიცავს, რომელთაგანაც შეურაცხადობის დადგენისას საინტერესოა ორი სფეროს გამოკვლევა: 1)ცნობიერება (ინტელექტუალური სფერო) და 2) ნებელობა.[1]

---

[1] ადამიანის ცნობიერების საკითხზე იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1940წ; ვ. კაკაბაძე,განწყობის ფსიქოლოგია და არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა,თბ. 1990წ; შ. ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, თბ 1983წ; Угрехелидзе М.Г. Проблема неосторожной вины в уголовном праве, Т 1976 და სხვა.

შეურაცხადს რომ ცნობიერება (ინტელექტუალური სფერო) მოშლილია, ამაზე მეტყველებს სსკ 34-ე მუხლის I ნაწილის შემდეგი სიტყვები „...არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა". როდესაც პირს სულიერი ავადმყოფობის გამო წართმეული აქვს იმის შესაძლებლობა, გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეუძლია სწორად აღიქვას და გადმოსცეს, თუ ფაქტობრივად რა გააკეთა. მაგალითად ვერ აცნობიერებს იმას, რომ აიღო დანა და ჩასცა ადამიანს. მას არ შეუძლია თუნდაც ფაქტობრივად გადმოგვცეს ეს ქმედება. ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მას ქმედების მართლწინააღმდეგობა არა აქვს გაცნობიერებული. ამდენად ეს საკითხი არც დადგება.

სოგჯერ კი ხდება ისე, რომ სულით ავადმყოფს არა აქვს წართმეული შესაძლებლობა, გააცნობიეროს და აღწეროს მისი ქმედების ფაქტობრივი მხარე (მაგალითად, იგი გადმოსცემს, თუ როგორ ჩაესმოდა ხმები: „მოჰკალი მოჰკალი," შემდეგ როგორ დაწია იგი ქუჩაში მიმავალ „უცნობ მტერს" და გულში ჩასცა დანა), მაგრამ მას წართმეული აქვს უნარი, გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ასეთ შემთხვევაში პირი ვერ აცნობიერებს იმას, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება აკრძალულია კანონით, კულტურის ნორმებით, ხელყოფს მართლწესრიგს. მას არა აქვს უნარი გააცნობიეროს თუ რა არის კანონი, კულტურის ნორმა, რას ნიშნავს აკრძალვა. ამდენად, ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების სოციალურ (საზოგადოებრივ) მნიშვნელობას.

როდესაც ცნობიერება (ინტელექტუალური სფერო) მოშლილია, ზედმეტია საუბარი ნებელობით სფეროს არსებობაზე და ამ შემთხვევაში პირის ნებელობის საკითხი არც დადგება. თუმცა არაა გამორიცხული, მოხდეს პირიქით. პირს ცნობიერება (კერძოდ ინტელექტუალური სფერო) სრულებითაც არ ჰქონდეს მოშლილი (იგი სწორად აცნობიერებს ქმედების ფაქტობრივ ხასიათს და მართლწინააღმდეგობასაც), მაგრამ მოშლილი ჰქონდეს ნებელობითი სფერო, ე.ი არ შეეძლოს უხელმძღვანელოს მის ქმედებას. ნების თავისუფლება ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კვლევის საგანია. სისხლის სამართლისათვის ეს საკითხი საინტერესოა რამდენადაც სწორედ ნებისყოფის თავისუფლება არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი წინაპირობა. პირი ჩადენილი უმართლობისთვის შეიძლება გაიკიცხოს მაშინ, როცა მას ჰქონდა მოქმედების არჩევანის თავისუფლება, ე.ი. შეეძლო ემოქმედა სხვაგვარად. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს არა აქვს უნარი, თავი შეიკავოს ამ ქმედებისაგან.

მას აქვს პათოლოგიური სწრაფვა მარლთსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ და სხვაგვარად ქცევის უნარს მოკლებულია. მაგალითად, კლეპტომანს ახასიათებს პათოლოგიური სწრაფვა ქურდობისაკენ და თავს ვერ იკავებს მისი ჩადენისაგან, თუმცა კარგად ესმის ამ ქმედების ფაქტობრივი ხასიათიც და მარლთწინააღმდეგობაც. ასევეა პირომანი, რომელსაც აქვს პათოლოგიური სწრაფვა ცეცხლის წაკიდებისაკენ და ეს ლტოლვა მოუვლის, მას სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა არა აქვს. პირომანიც კარგად აცნობიერებს ამ ქმედების ფაქტობრივ ხასიათსაც და მარლთწინააღმდეგობასაც. ამდენად, ნებელობითი სფეროს სრული მოშლაც პირის შეურაცხადად ცნობის საფუძველია.

იყო თუ არა დაავადებული ფსიქიკურად პირი და ჰქონდა თუ არა მას წარმოშეული ცნობიერების ან სხვაგვარად ქცევის უნარი – ეს საკითხი უნდა დაადგინოს ექსპერტმა. ექსპერტის დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლოს შეუძლია არ გაიზიაროს ეს დასკვნა, თუკი იგი დაუსაბუთებელია და დანიშნოს განმეორებით ექსპერტიზა, რომლის დასკვნასაც ასევე აფასებს სასამართლო. მაგრამ, როგორც ამას საგანგებით სწორად აღნიშნავს პროფესორი ო. გამყრელიძე, ეს შეფასება არ ნიშნავს შეურაცხაობის იურიდიულ კრიტერიუმს. შეურაცხაობის იურიდიული კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას აფასებს ბრალის თვალსაზრისით. კერძოდ, თუ ექსპერტი თავის დასკვნაში დაასაბუთებს, რომ პირი ფსიქიკურად დაავადებულია და მას მოშლილი აქვს ცნობიერება ან ნება, სასამართლოს მის მიერ ჩადენილ უმართლობას ბრალად ვერ შეურაცხავს.[1]

ასეთ პირს ჩადენილი უმართლობა ბრალად ვერ შეურაცხება იმიტომ, რომ იგი უპასუხისმგებლოდ არ მოქმედებია სს კანონით დადგენილ ვალდებულებას, თავი შეეკავებინ ამ ქმედებისაგან. უპასუხისმგებლოდ არ მოქმედებია, რადგანაც მას სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა არ ჰქონდ ებობს საფუძველი ამ პირის გაკიცხვისათვის.[2]

ამდენად, ექსპერტის საქმეა დაადგინოს პირის ფსიქიკური დაავადება და ამით გამოწვეული ცნობიერებისა და ნების მოშლის ფაქტი. ხოლო სასამართლოს საქმეა შეაფასოს ეს დასკვნა და თუკი მას სარწმუნოდ მიიჩნევს, არ შერაცხოს პირს ბრალად მის მიერ ჩადენილი უმართლობა. ასეთ შემთხვევაში მოცემულ სს საქმეზე განაჩენი არ დადგება, არამედ სასამართლო უფლებამოსილია (და არა ვალდებული) განჩინებით დაადგინოს, რომ პირის მიმართ გამოყენებული იქნას სამედიცინო ხასი-

[1] ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246-247.

[2] ბრალის საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, ბრალი როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ. 2001, გვ. 258-279.

ათის იძულებითი ღონისძიება. კერძოდ, მისი გაგზავნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობისათვის (სოციალური დაცვის ღონისძიება). სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება მაშინ,როცა პირის ფსიქიკური მდგომარეობა საფრთხეს უქმნის თვითონ მას ან სხვას ანდა შეიცავს სხვაგვარი არსებითი ზიანის საშიშროებას. თუკი პირის ფსიქიკური მდგომარეობა არ არის საშიში,მაშინ მის მიმართ არ ხდება იძულებითი მკურნალობის ღონისძიების გამოყენება (იხ. სსკ 101-ე მუხ. II-IV ნაწილები).

სსკ 34-ე მუხ. III-ე ნაწილით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევა, როცა პირმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება[1] თუმცა შერაცხადმა ჩაიდინა,მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დაავადდა ფსიქიკურად, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, ესეიგი წართმეული აქვს ცნობიერება ან ნება. (რაც ასევე უნდა დაადგინოს ექსპერტმა). ასეთი პირის მიმართ სასჯელის გამოყენება დაუშვებელია, რადგან იგი ვერ გაიგებს მის არსს და ასეთი სასჯელი მიზანს დაკარგავს, იგი სამაგიეროს მიზღვევად გადაიქცევა. სწორედ ამიტომ ეს პირები არ დაისჯებიან, მათ მიმართ სასამართლო არ გამოიყენებს სასჯელს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პირები თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ისინი მხოლოდ სასჯელისაგან თავისუფლდებიან, ისიც დროებით. ამგვარი შეურაცხადი პირების მიმართ სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, თუკი პირის ფსიქიკური მდგომარეობა საფრთხეს უქმნის თვითონ მას ან სხვას ან შეიცავს სხვაგვარი არსებითი ზიანის საშიშროებას. თუ ის პირი გამოჯანმრთელდება,იგი შეიძლება დაისაჯოს. როგორც ვხედავთ, გამოჯანმრთელების შემდეგ ამ პირების დასჯის მოვალეობა სასამართლოს არ აკისრია. მან ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მიიღოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, იძულებითი მკურნალობის ხანგრძლივობა და ა.შ. თუკი სასამართლო სასჯელს შეუფარდებს იმ პირს, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იძულებითი მკურნალობის ის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის ერთი დღე-თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

---

[1] აქ უნდა ეწეროს „ქმედება“, რადგანპირმა შეიძლება ჩაიდინოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმოქმედობაც და მერე დაავადდეს ფსიქიკურად.

§4. შეზღუდული შერაცხადობა
(მუხ. 35-ე)

საქართველოს სს კოდექსის ერთ-ერთი სიახლეა ბრალის შემამსუბუქებელ ან გამომრიცხველ გარემოების სახით შეზღუდული შერაცხადობის გათვალისწინება. სსკ 35-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შერაცხადობა სრულწლოვანთან მიმართებით არის შემამსუბუქებელი გარემოება. ამდენად, იგი სრულწლოვანებთან მიმართებაში შერაცხადობის ნაირსახეობაა (ოღონდ ამსუბუქებს ბრალს). მხოლოდ არასრულწლოვნებთან მიმართებაშია შესაძლებელი (შესაძლებელი და არა აუცილებელი) იგი ბრალის გამომრიცხველი გარემოება იყოს.

სსკ 35-ე მუხლი 1 ნაწილში ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ სრულწლოვანი შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. და ეს იმიტომ, რომ შეზღუდული შერაცხადობა არაა შეურაცხადობის ნაირსახეობა, არამედ, როგორც ვთქვით, შერაცხადობის ნაირსახეობაა, ოღონდ რამდენიმე განსხვავებული ნაირსახეობა. კერძოს სსკ 35-ე მუხლის მიხედვით შეზღუდული შერაცხადია პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულიად (ე.ი. სრულყოფილად) გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

როგორც ვხედავთ, სსკ 35-ე მუხლში კანონმდებელს შემოაქვს შეზღუდული შერაცხადობის მხოლოდ ერთი ნაირსახეობა–ფსიქიკური დაავადების გამო შეზღუდული შერაცხადობა. რაც შეეხება შეზღუდული შერაცხადობის სხვა სახეებს, იგი მოცემულია სსკ ზოგადი ნაწილის ან კერძო ნაწილის სხვადასხვა ნორმებში. მაგალითად, არასრულწლოვანება (14-დან 18წ-მდე) შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობაა, რადგან არასრულწლოვანს შეზღუდულად შეერაცხება მის მიერ ჩადენილი უმართლობა. სსკ კერძო ნაწილში გვხვდება მთელი რიგი ნორმები, რომლებიც შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობას წარმოადგენს. მაგალითად, სსკ 111-ე მუხლი- მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ასევე სსკ 112-ე მუხლი-დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა. ასეთ ვითარებაში მკვლელობის ჩამდენთ შეზღუდულად შეერაცხებათ მათ მიერ ჩადენილი უმართლობა, რადგანაც ქმედების ჩადენისას მათი ფსიქიკური მდგომარეობა ისეთია, რომ მათ სრულყოფილად არ შეუძლიათ გააცნობიერონ ამ

ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ან არა აქვთ სრულყოფილი უნარი უხელმძღვანელონ თავიანთ ქმედებას.

ისევე როგორც შეურაცხაობის დადგენისას, შეზღუდული შერაცხაობის დასადგენადაც გამოიყენება ორი კრიტერიუმი (საზომი): სამედიცინო- (ბიოლოგიური) და ფსიქოლოგიურ-იურიდიული. პირველი კრიტერიუმი პასუხობს კითხვაზე: იყო თუ არა პირი დაავადებული ფსიქიკურად ქმედების ჩადენისას და კერძოდ, რა დაავადებით? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს სამედიცინო ექსპერტიზამ.

სსკ 35-ე მუხლში განსხვავებით 34-ე მუხლისაგან, არაა ჩამოთვლილი ფსიქიკური დაავადებების სახეები, მაგრამ ამის მიუხედავად, აქაც იგულისხმება იგივე სახის ფსიქიკური დაავადებები, რაზეც მიუთითებს 34-ე მუხლი (ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, ფსიქიკის დროებით აშლილობა და ა.შ.). მაგალითად, შეზღუდული შერაცხაობის სამედიცინო კრიტერიუმი შეიძლება იყოს ჭკუა სუსტობა, რის შესახებ დასკვნა უნდა მოგვცეს სამედიცინო ექსპერტმა.

რაც შეეხება შეზღუდული შერაცხაობის იურიდიულ-ფსიქოლოგიურ კრიტერიუმს, იგი პასუხობს კითხვაზე, იყო თუ არა ეს ფსიქიკური დაავადება იმ ხარისხის, რომ პირს წაართვა უნარი სრულყოფილად გააცნობიერებინა ქმედების ფაქტობრივი მხარე ან მართლწინააღმდეგობა (ინტელექტუალური სფერო) ან წაართვა უნარი ასევე სრულყოფილად ეხელმძღვანელა თავისი ქმედებისათვის (ნებელობითი სფერო). საბოლოოდ, იყო თუ არა ეს დაავადება იმ ხარისხის, რომელმაც პირს ნაწილობრივ წაართვა ცნობიერება ან ნება, ამ საკითხზეც პასუხს იძლევა სამედიცინო ექსპერტი. სასამართლო კი, თუ კი სარწმუნოდ მიიჩნევს ექსპერტის დასკვნას, სრულწლოვანს, მართალია, არ ათავისუფლებს სს პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ შეზღუდულად შერაცხავს ბრალად მის მიერ ჩადენილ უმართლობას, ე.ი. შეზღუდულ შერაცხაობას ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმაგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას (სსკ 35-ე მუხ. II ნაწ.). ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც სახეზეა შეზღუდული შერაცხაობის კონკრეტული ნორმა სსკ კერძო ნაწილში (მაგ, სსკ III-ე მუხლი), სასჯელის დანიშვნისას შეზღუდული შერაცხაობის ამ კონკრეტული საფუძველის (ფიზიოლოგიური აფექტი) ხელმეორედ გათვალისწინება შემამსუბუქებელ გარემოებად არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან სსკ შესაბამის მუხლში ეს გარემოება უკვე გათვალისწინებულია როგორც ბრალის შეზღუდულად შერაცხვის საფუძველი (რაზეც მიუთითებს შესაბამისი სანქცია).

ამდენად, სსკ 35-ე მუხ II ნაწილით გათვალისწინებული შეღავათები ადამიანზე მაშინ გავრცელდება, თუკი იგი არაა გათვალისწინებუ-

ლი სსკ კერძო ნაწილის რომელიმე მუხლში, როგორც ქმედების შემამ-
ნელობის ნიშანი.

სსკ 35-ე მუხლის II ნაწილის თანახმად შეზღუდული შერაცხადო-
ბა შეიძლება გახდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების
დანიშვნის საფუძველი, ეს იმას ნიშნავს, რომ სასჯელთან ერთად,
განსასჯელს შეიძლება შეეფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულე-
ბითი ღონისძიება. მაგრამ როდის შეიძლება მას ეს სოციალური დაც-
ვის ღონისძიება შეეფარდოს? ამაზე პასუხი მოცემულია სსკ 101-ე
მუხლის II ნაწილში, რომლის ძალითაც შეზღუდული შერაცხადობის
მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენს სამედიცინო ხასიათის იძულე-
ბითი ღონისძიება ენიშნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ფსიქიკური
მდგომარეობა საფრთხეს უქმნის თვითონ მას ან სხვას ანდა შეიცავს
სახვაგვარი არსებითი ზიანის საშიშროებას.

თუკი პირი ფსიქიკური მდგომარეობით საშიში არ არის, მის შეს-
ახებ სათანადო მასალები შეიძლება გადაეცეს ჯანდაცვის ორგანოს,
რომელიც გადაწყვეტს მისი მკურნალობის ან ფსიქონევროლოგიურ
დაწესებულებაში გაგზავნის საკითხს.

სსკ 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრი-
ვი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწ-
ლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზ-
ღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. როგორც ვხედავთ, შეზ-
ღუდული შერაცხადი არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოვალეობა სასამართლოს
არ აკისრია, ეს მისი უფლებაა. როდის უნდა გამოიყენოს სასამართლომ
ეს უფლება? სამწუხაროდ არც კანონმდებლობაში და არც ქართულ
იურიდიულ ლიტერატურაში ამაზე არაფერია ნათქვამი. მართალია,
ამ შემთხვევაში შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვასთან გვაქვს საქმე,
(არასრულწლოვნება და ფსიქიკური დაავადების გამო შეზღუდული
შერაცხადობა)[1] მაგრამ ეს ფაქტი პასუხს იძლევა მხოლოდ იმ კითხვაზე,
თუ რატომ მიანიჭა კანონმდებელმა სასამართლოს არასრულწლოვ-
ნის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უფლება შეზღუდული
შერაცხადობის დროს. თუმცა ეს ფაქტი არ იძლევა პასუხს კითხვაზე,
კერძოდ როდის უნდა გამოიყენოს სასამართლომ ეს უფლება? სხვაგვარ-
ად რომ ვთქვათ, როდის გამოიყენოს სასამართლომ არასრულწლოვნის
შეზღუდული შერაცხადობა როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქე-

[1] ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ. 2005, გვ. 251-252.

ბელი გარემოება და როდის როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება?

მიგვაჩნია, რომ არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს მაშინ, როცა მისი ფსიქიკური დაავადება ისეთი ხასიათისაა, რომელიც მას უბიძგებს ამ კონკრეტული სახის დანაშაულისაკენ. მაგალითად, არასრულწლოვანი დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით, რომლის გამოც იგი სწრაფად აღგზნებადი პიროვნებაა (თუმცა შერაცხადობის უნარი მხოლოდ ნაწილობრივ აქვს შეზღუდული). თუ ასეთი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული მძიმე შეურაცქოფის დროს იგი ჩაიდენს რაიმე ძალადობით დანაშაულს (ვთქვათ, ჯანმრთელობის დაზიანებას), სასამართლოს შეუძლია იგი გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არ არსებობს მაშინ, როცა ეს არასრულწლოვანი ჩაიდენს სულ სხვა ხასიათის დანაშაულს, რომელიც არაა დაკავშირებული მის აფექტურ ბუნებასთან (მაგალითად, ჩაიდენს ქურდობას). ასევე პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ჭკუასუსტი არასრულწლოვანი, რომლის შერაცხადობაც შეზღუდულია, თუკი ჩაიდენს რაიმე არაძალადობით დანაშაულს (ვთქვათ, ქურდობას). მაგრამ თუ ეს ჭკუასუსტი არასრულწლოვანი ჩაიდენს ისეთ ძალადობით დანაშაულს, რომლის ჩადენასაც ხელს არ უწყობს მისი ჭკუასუსტობა (მაგალითად, გაუპატიურება), მაშინ არ არსებობს საფუძველი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის. ამ დროს არასრულწლოვნის შეზღუდული შერაცხადობა უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

შეზღუდული შერაცხადი არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი მკურნალობა იმ წესით, რაც მოცემულია სსკ მეექვსე კარში.

§5. შეცდომა

შეცდომა არის ს კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების ანდა იურიდიული (სამართლებრივი) შეფასების არასწორად წარმოდგენა. იურიდიულ დოქტრინაში განასხვავებენ შეცდომის ორ სახეს: ფაქტობრივ და იურიდიულ შეცდომას. იურიდიული შეცდომა ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოებაა.

ფაქტობრივი შეცდომა სახეზეა მაშინ, როცა პირს არასწორადა აქვს წარმოდგენილი ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნები (შეუძლებელია პირს არასწორად ჰქონდეს წარმოდგენილი მის მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტური ნიშნები).

ფაქტობრივი შეცდომა რამდენიმე სახისაა. ერთ-ერთი მათგანია შეცდომა მსხვერპლის პიროვნებაში. მაგალითად, ვინმის სურს მოკლას „ა“. მან სიბნელეში ა-ს ნაცვლად შეცდომით მოკლა „ბ“. ასეთი შეცდომა ქმედების კვალიფიკაციაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგან კანონით ერთნაირადაა დაცული როგორც ა-ს, ისე ბ-ს სიცოცხლე. ამდენად, ეს შემთხვევა განსრახი მკვლელობის დამთავრებულ შემადგენლობად დაკვალიფიცირდება.

ფაქტობრივი შეცდომის ერთ-ერთი სახეა, როცა პირს არასწორადა აქვს წარმოდგენილი მის მიერ ჩადენილი ქმედება. მაგალითად, მას შეცდომით ჰგონია, რომ იგი სხვის ნივთს ფარულად (სხვებისაგან შეუმჩნეველად) ეუფლება. სინამდვილეში კი მის ქმედებას სხვები ამჩნევენ. ასეთი შეცდომა გავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე და იგი ქურდობად დაკვალიფიცირდება.

ფაქტობრივი შეცდომის კიდევ ერთი სახეა ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არასწორი წარმოდგენა. საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ არაა აუცილებელი ქმედების ჩამდენს გათვალისწინებული ჰქონდეს მიზეზობრიობის მიმდინარეობის ყველა დეტალი, მაგრამ აუცილებელია, მას გათვალისწინებული ჰქონდეს ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრიობის ტიპური, ზოგადი კანონზომიერება და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდეს ამ ტიპური კანონზომიერებიდან არსებით გადახვევას. თუ ადგილი აქვს მიზეზობრიობის ტიპური კანონზომიერებიდან ისეთ არსებით გადახვევას, რომლის გათვალისწინებაც პირს არ შეეძლო, მას ბრალად არ შეერაცხება ეს შედეგი. მაგალითად, ვინმემ მოკვლის მიზნით მძიმედ დაჭრა ადამიანი. იგი სასწრაფო დახმარების მანქანით მოჰყავდათ საავადმყოფოში, რა დროსაც მოხდა ავტო-ავარია და სასწრაფო დახმარების მანქანაში მყოფი დაჭრილი შეჯახების შედეგად გარდაიცვალა. როგორც ვხე-

დაგო, სიკვდილი დადგა მოვლენათა უმეტესად გარეშეულო განვითარების შედეგად (სასწრაფო დახმარების მანქანით დაჭრილის გადაყვანა არაა ტოპურად დაკავშირებული ავტო-ავარიასთან), ამიტომ ეს შედეგი პირს ბრალად არ შეერაცხება იმის მიუხედავად, რომ მას სწორედ ეს შედეგი სურდა. ქმედების ჩამდენი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის, რადგან მას არ შეეძლო მიზეზობრიობის ასეთნაირად განვითარების გაცნობიერება.

ფაქტობრივი შეცდომის ერთ-ერთ სახედ შეიძლება დავასახელოთ შეცდომა დანაშაულის საგნის შეფასებაში, როცა ეს საგანი ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. მაგალითად, ვინმეს ჰგონია, რომ სპეც. აფთიაქიდან იპარავს ნარკოტიკულ ნივთიერებას, სინამდვილეში კი ხელში შერჩა წამალი, რომელიც თავისუფალ ბრუნვაშია. ეს შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მცდელობა.[1]

ფაქტობრივი შეცდომა შეიძლება შეეხებოდეს დანაშაულის ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, როგორიცაა დანაშაულის საშუალება. მაგალითად, პირს ჰგონია, რომ ადამიანის მოსაკლავად იყენებს ისეთ საშუალებას, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით მოკლავს მას (მაგალითად, ნელმოქმედ შხამს, რომელიც წვალებით მოკლავს მსხვერპლს), მაგრამ ეს შხამი აღმოჩნდა ძლიერმოქმედი, რომელმაც მსხვერპლი უმალვე მოკლა. ამ შემთხვევაში ქმედება არ დაკვალიფიცირდება, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ნადენილი მკვლელობა (109-ე მუხ.), არამედ დაკვალიფიცირდება როგორც მარტივი მკვლელობა (108-ე მუხ.), ვინაიდან მკვლელის მიერ არჩეული საშუალება მხოლოდ მის წარმოდგენაში (და არა რეალურად) იყო განსაკუთრებით მტანჯავი.

ასევე ფაქტობრივ შეცდომას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართ, რომელიც ზრდის დაცვის ობიექტის მნიშვნელობას. მაგალითად, მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა. აქ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია იმ ქალის სიცოცხლე, რომელიც ორსულადაა. ამასთან ორსულობის ფაქტი მკვლელს შეცნობილი უნდა ჰქონდეს. როცა პირს შეცდომით ჰგონია, რომ მოკლა ორსული ქალი (სინამდვილეში იგი არ იყო ორსულად), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 108-ე მუხლით და არა 109-ე მუხლით, რადგან მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივად არ არსებობს ის ობიექტი, რომლის დასაცავადაც კანონმდებელმა შემოიღო 109-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ა“ პუნქტი. ეს ობიექტი მხოლოდ დამ-

[1] იურიდიულ ლიტერატურაში ამ სახის შეცდომას აფასებენ, როგორც კანონით აღწერილი შედეგის არასწორ წარმოდგენას. იხ. ი. გამრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

ნაშავის წარმოდგენაში არსებობდა. სიტყვები: „წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა“ ნიშნავს იმას, რომ მსხვერპლი უნდა იყოს აუცილებლად ორსული და მისი ორსულობის ფაქტი წინასწარ (ე.ი. მკვლელობის ჩადენამდე) შეცნობილი უნდა ჰქონდეს დამნაშავეს. „შეცნობილი“ ნიშნავს რეალურად არსებულის სწორად გაცნობიერებას.[1]

ამდენად, ფაქტობრივი შეცდომა არ გამორიცხავს ბრალს, მაგრამ მან შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს ქმედების კვალიფიკაციაზე.

რაც შეეხება იურიდიულ (სამართლებრივ) შეცდომას, იგი კანონით დადგენილ შემთხვევაში ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. სსკ 36-ე მუხლში საუბარია სწორედ იურიდიულ (და არა ფაქტობრივ) შეცდომაზე.

იურიდიულ შეცდომას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირმა, მართალია, ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მან არ იცის, რომ ეს ქმედება აკრძალულია (მართლსაწინააღმდეგოა). მართლწინააღმდეგობის შეგნების არ არსებობა არის ან ბრალის ანდა განსრახვის გამომრიცხველი გარემოება. იურიდიული შეცდომის დროს პირს ჰგონია, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არაა აკრძალული. ამასთანავე, არაა აუცილებელი მან იცოდეს, რომ ეს ქმედება სს კანონითაა აკრძალული, არამედ საკმარისია იცოდეს, რომ იგი აკრძალულია სამართლის ნორმით. მართლწინააღმდეგობის არსი თავად მასში დევს („მართლ“ და „წინააღმდეგობა“), რაც ნიშნავს წინააღმდეგობას სიმართლესთან, სამართალთან. ამიტომ როცა პირს ჰგონია, რომ სჩადის სამართლით ნებადართულ ქმედებას, მაშინ იგი სამართლებრივ სიკეთეს განსრახ არ ხელყოფს, რადგანაც მართლწინააღმდეგობის შეცნობა არის განსრახვის აუცილებელი ელემენტი (იხ. სსკ მე-9 მუხლი).[2]

---

[1] ამაზე მისაზრებას სხვაგვარად ასაბუთებს პროფ. ო. გამყრელიძე. იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 107.

[2] ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ აზრს, რომ სს კანონი კი არ კრძალავს ქმედებას, არამედ სჯის უკვე აკრძალული ქმედების სამდენს. მართალია, რომ სისხლის სამართალი თავდაპირველად არ აწესებს აკრძალვას (თავდაპირველი აკრძალვა დაწესებულია ბიბლიით), მაგრამ ეს ფაქტი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართალი არ კრძალავს ქმედებას. საერთოდ, ქმედების აკრძალვა აუცილებლად გულისხმობს ამ ქმედებისათვის გარკვეული იძულებითი ღონისძიების (სასჯელის) გამოყენების მუქარას. სასჯელის მუქარის გარეშე არ არსებობს აკრძალვა. ბიბლიით აკრძალვა ნიშნავს იმას, რომ უფალი ამ ქმედებისათვის გვიმუქრება სასჯელით, რაც განსორციელდება ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. ქმედების ზნეობრივი აკრძალვა გულისხმობს ამ ქმედებისათვის საზოგადოებრივი გაკიცხვის მუქარას (ეს გაკიცხვა ზნეობრივი სასჯელია), ხოლო სის-ხლისსამართლებრივი აკრძალვა გულისხმობს ამ ქმედებისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მუქარას. ამდენად, ერთი და იგივე ქმედება შეიძლება აკრძალული იყოს ზნეობრივადაც და კანონითაც. სს კანონი ზნეობით აკრძალული ქმედების მხოლოდ ნაწილს კრძალავს. ეს ის ქმედე-

როდისაა შეცდომა აკრძალვაში ბრალის გამომრიცხველი გარემოება და როდის მხოლოდ განზრახვის გამომრიცხველი გარემოება?

სსკ 36-ე მუხლის მიხედვით შეცდომა აკრძალვაში მაშინაა ბრალის გამომრიცხველი გარემოება, როცა ეს შეცდომა მისატევებელია (საპატიოა). მაგრამ როდისაა შეცდომა მისატევებელი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სსკ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც შეცდომა მისატევებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და მას არც შეეძლო სცოდნოდა რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას.

როგორც ვხედავთ, კანონმდებლის ყურადღება მიპყრობილია რამდენიმე მომენტზე; პირმა არ იცოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას; მას არ შეეძლო სცოდნოდა რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას; რომ არ შეეძლო სცოდნოდა, ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა შექმნილი ვითარება. სამივე მომენტი უნდა იქნეს შესწავლილი. დავიწყოთ პირველი პირობის განხილვა. როგორ გავარკვიოთ იცოდა თუ არა პირმა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას? ბრმად დავუჯეროთ მას? ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ის ფაქტი, რომ სს კოდექსი იყოფა ორი სახის დელიქტებად: 1. კლასიკური დელიქტები და 2. ბლანკეტური მუხლები. კლასიკურია ისეთი დელიქტები, რომელთა ჩადენა ბიბლიითაა აკრძალული და შესაბამისად ყველა სახელმწიფოს სამართლით ისჯება (მკვლელობა, ქურდობა და ა.შ.). ასეთი ქმედების ჩამდენი თავს ვერ გაიმართლებს იმით, რომ მან არ იცოდა ამ ქმედების აკრძალვის შესახებ. მის ასეთ ჩვენებას არავინ გაიზიარებს, რადგან ადამიანი დაბადებიდან იღებს ინფორმაციას ამ ქმედების აკრძალვის თაობაზე.

რაც შეეხება ბლანკეტურ მუხლებს, აქ საქმე გვაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში სპეციალურად დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. ეს ის წესებია, რომელთა შესახებ სრული ცოდნა სწორად იურისტებსაც კი

ბებია, რომელთა აკრძალვა აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად და ამდენად, სახელმწიფო ვერ დარჩება იმის იმედად, რომ მას ზნეობრივი ნორმა მოაწესრიგებს. თუმცა არავინ უარყოფს იმას, რომ ქმედების სს აკრძალვისას კანონმდებლისათვის ძირითადი ორიენტირი არის ბიბლია, საიდანაც გამომდინარეობს ყოველგვარი ზნეობრივი ნორმა. ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ნორმებიც ბიბლიიდან გამომდინარეობს. კანონი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოქმედებას არა სამართალს, არამედ უსამართლობას, უზნეობას.

ასევე ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ დამნაშავე სს კანონს კი არ არღვევს, არამედ მოქმედებს კანონის შესაბამისად, ასრულებს მას. ასეთი მსჯელობისას აშკარაა, რომ კანონი გაიგივებულია დისპოზიციასთან. დამნაშავის ქმედება შეესაბამება დისპოზიციას და არა კანონს. დამნაშავის ქმედება ეწინააღმდეგება სს კანონს (იხ. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 253).

არა აქვთ, უფრო მეტიც, ასეთი ცოდნა ზოგჯერ არა აქვთ იმ ორგანიზაციის თანამშრომლებს, რომელთაც ევალებათ ამ წესების გაცნობა სხვა პირებზე.

არის შემთხვევა, როცა ორგანიზაციებს უჭირთ შესაბამისი ნორმატიული მასალის მოძიებაც კი. რაც მთავარია, ეს ესეთი წესებია, რომელიც არანაირ კავშირში არ არის ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ნორმებთან და თუ ადამიანი მას სპეციალურად არ გაეცნო, მის შესახებ ცოდნას ალბრდის პროცესში ვერ მიიღებს. ასეთი წესები ხშირად იცვლება. მსგავს ბლანკეტურ მუხლებს მიეკუთვნება მაგალითად, შრომის დაცვის წესის დარღვევა (მუხ. 170), სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (240 მ.), სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხ.243) და სხვა.

შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ ადამიანმა დაარღვიოს ეს წესი იმიტომ, რომ არ იცოდეს ასეთი წესის არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში უნდა გაირკვეს მეორე საკითხი: შეიძლებოდა თუ არა მას მოცემულ შემთხვევაში სცოდნოდა ეს წესი. მაგალითად, ადამიანი მუშაობს აფეთქებადსაშიშ საწარმოში. ამ საწარმოში მოქმედ უსაფრთხოების წესში შესაბამისმა ორგანომ შეიტანა ცვლილება. ეს სიახლე საწარმოს წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ უნდა გააცნოს საწარმოს მუშაკებს, რაც არ გაკეთდა. საწარმოს მუშაკმა კი საქმიანობა გააგრძელა ადრე მოქმედი წესის მიხედვით, რითაც ფაქტობრივად დაარღვია ახალი წესი და შექმნა მძიმე შედეგის კონკრეტული საფრთხე (242-ე მუხ. I ნაწ.). შექმნილ ვითარებაში ამ მუშაკმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა (რადგან არ გააცნეს), რომ სხვადაგვარად აკრძალულ ქმედებას. ამდენად, მისი შეცდომა მისატევებელია და იგი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს. ამ პირის ქმედებაში არ არსებობს ბრალი, რადგანაც იგი უპასუხისმგებლოდ არ მოქცეულა დაკისრებულ სამართლებრივ მოვალეობას, ამიტომაც არ არსებობს გაკიცხვის საფუძველი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკრძალვაში შეცდომა ზოგჯერ არის არა ბრალის გამომრიცხველი, არამედ განზრახვის გამომრიცხველი გარემოება. ეს ის შემთხვევაა, როცა სამართლებრივი შეცდომა არაა მისატევებელი (საპატიო), ე.ი. როცა პირმა, მართალია, არ იცოდა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში შეეძლო სცოდნოდა, რომ სხვადაგვარად აკრძალულ ქმედებას. მაგალითად, ზემოთხსენებულ შემთხვევაში საწარმოს მუშაკს ადმინისტრაციის წარმომადგენელი უტარებდა ინსტრუქტაჟს ახალი წესის შესასწავლად, მაგრამ იგი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო არ ესწრებოდა სათანადო ტრეინინგებს.

როცა იურიდიული შეცდომა არაა მისატევებელი, პირს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუკი სს კოდექსით ისჯება ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ამ ქმედების ჩადენა დასჯადია მხოლოდ განზრახვისას, მიუტევებელი შეცდომის ჩამდენს სს წესით ვერ დავსჯით.

§6. ბრძანების ან განკარგულების შესრულება (მუხ. 37-ე)

საქართველოს სს კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა ბრძანების ან განკარგულების შესრულება. ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ბრძანების ან განკარგულების შესრულება ბრალის გამომრიცხველ გარემოებად. აქ ნაგულისხმევია ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანი ასრულებს სს კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ ეს ქმედება მას ბრალად არ შეერაცხება, რადგან იგი ასრულებდა უფროსის სავალდებულო ბრძანებას ან განკარგულებას. ამ დროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირს, ვინც გასცა მართლსაწინააღმდეგო ბრძანება (შეალობითი ამსრულებლობა).

ბრძანება ან განკარგულება არის ორი სახის: არაიურიდიული და იურიდიული. არაიურიდიულია ბრძანება, რომელსაც იძლევა ისეთი პირი, ვისაც კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით არა აქვს უფლება, რაიმე უბრძანის სხვას (მორალურ ვალდებულებას მნიშვნელობა არა აქვს).

მაგალითად, მამა უბრძანებს შვილს, მოკლას მათი ოჯახის მტერი. ანდა კრიმინალური ავტორიტეტი უბრძანებს დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრს, გაქურდოს ბანკი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მამაც და კრიმინალური ავტორიტეტიც დანაშაულის წამქეზებლები არიან, ხოლო ქმედების ჩამდენი ამსრულებელია.

რაც შეეხება იურიდიულ ბრძანებას ან განკარგულებას, იგი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ა) გაცემული სამოქალაქო სამსახურში და ბ) გაცემული სამხედრო სამსახურში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ისეთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც უშუალოდ არ მიეკუთვნება სამხედრო სამსახურის სფეროს, მაგრამ დისციპლინის თვალსაზრისით უახლოვდება მას (შს ორგანო).

ამ ორივე სფეროში გაცემული ბრძანება სავალდებულოა შესასრულებლად. ამის მიუხედავად, მაინც უნდა ითქვას, სამხედრო (ან ე.წ. გასამხედროებულ) სამსახურში უფროსის ბრძანება ხელქვეითისათვის (მაგალითად, ოფიცრის ბრძანება ჯარისკაცისათვის) „კანონია.“ თუ ხელქვეითი მას დროზე არ შეასრულებს, იგი დისციპლინური წესით აგებს პასუხს, ხოლო თუ სავალდებულო ბრძანების შეუსრულებლობამ არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი, დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ 383-ე მუხ.). რაც შეეხება სამოქალაქო სამსახურს, აქ სავალდებულო ბრძანების შეუსრულებლობა იწვევს მხოლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას. ამდენად, სამოქალაქო სამსახურში ბრძანების შემსრულებელს მეტი თავისუფლება აქვს ბრძანების შესრულებისას.

საერთოდ,ბრძანება ან განკარგულება სავალდებულოა მაშინ,როცა: ა) ის გაცემულია უფროსის მიერ, ბ) გაცემულია უფლებამოსილების ფარგლებში. გ) იგი არაა აშკარად დანაშაულებრივი ხასიათის, დ) ხელქვეითმა არ იცის ბრძანების ან განკარგულების უკანონობის შესახებ,ე) გაცემულია სათანადო ფორმის დაცვით (მაგალითად,წერილობით),თუ ამას მოითხოვს კანონი.

ამჟამად, სსკ 37-ე მუხლის I ნაწილის თანახმად პირს ბრალად არ შეერაცხება უფროსის მიერ გაცემული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ბრძანების შესრულება,რომელიც წინასწარ შეცნობით არ ატარებს დანაშაულებრივ ხასიათს, ე.ი. მის შემსრულებელს არა აქვს გაცნობიერებული ამ ბრძანების მართლწინააღმდეგობა. სამოქალაქო სამსახურში ბრალის გამომრიცხველ ბრძანებად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როცა ოპერაციის მსვლელობისას ქირურგი,რომელსაც პაციენტისადმი შურისძიება ამოძრავებს, უბრძანებს საოპერაციო მედდას სასწრაფოდ გაუკეთოს ავადმყოფს ინექცია. მედდა ასრულებს ამ ბრძანებას,მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ იმ მომენტში ეს წამალი ავადმყოფისათვის სახიანო იყო და შედეგად მოჰყვა მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ამ შემთხვევაში პასუხს აგებს ქირურგი, როგორც შეალობითი ამსრულებელი. მედდა კი არის „ცოცხალი იარაღი“ მის ხელში. მან შეასრულა სავალდებულო ბრანება (ოპერაციის დრის ქირურგის ბრძანება მედდისათვის სავალდებულოა), ამასთანავე არ ჰქონდა შეცნობილი ამ ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი.

იგივე ვითარებასთან გვექნება საქმე, როცა ქირურგი შეცდომით უბრძანებს მედდას გაუკეთოს პაციენტს წამალი, რომელიც იმ მომენტში სახიანოა მისი ჯანმრთელობისათვის. ამ შემთხვევაში ქირურგი მოქმედებს გაუფრთხილებლობით. მედდა ამ შემთხვევაშიც გათავისუ-

ფლდება პასუხისმგებლობისაგან რაგორც სავალდებულო ბრძანების შემსრულებელი.

შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითიც: მემანქანეს მატარებელი გაუჩერდა ქანობზე. მან უბრძანა თანაშემწეს, შესულიყო სამანქანო განყოფილებაში და გამოეშვა სილა, რაც მისი აზრით, გააადვილებდა მატარებლის დაძვრას. თანაშემწემ შეასრულა ეს ბრძანება. როგორც შემდეგში გაირკვა, შესაბამისი ნორმატიული აქტით ამ დროს სილის გაშვება დაუშვებელია. მართლაც, მატარებელი დაძვრის მცდელობისას შეკან დაგორდა, შეეჯახა მოქალაქეს და მძიმედ დაასახიანა.

მოცემულ შემთხვევაში სსკ 275-ე მუხლით გათვალისწინებული გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის პასუხი უნდა აგოს მემანქანემ და არა მისმა თანაშემწემ, რომელმაც შეასრულა სავალდებულო ბრძანება და არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ არღვევდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესს.

აქედან გამომდინარე, სსკ 37-რ მუხ. I ნაწილით ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა არა მარტო ის შემთხვევა, როცა ბრძანების გამცემი განზრახ გასცემს მართლსაწინააღმდეგო ბრძანებას, არამედ ისეთი შემთხვევაც როცა იგი გაუფრთხილებლობით გასცემს ასეთ ბრძანებას და შედეგად ზიანდება სამართლებრივი სიკეთე. ამდენად, 37-ე მუხლის I ნაწილი ყოველთვის არ გულისხმობს შეალობით ამსრულებლობას. ბრძანების გამცემი მაშინაა შეალობითი ამსრულებელი, როცა ის განზრახ გასცემს მართლსაწინააღმდეგო ბრძანებას, რომლის შესრულებითაც ზიანდება სამართლებრივი სიკეთე.

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ 37-ე მუხ. I ნაწილის თანახმად, სავალდებულო ბრძანების შემსრულებელს არ შეერაცხება ბრალად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მართლსაწინააღმდეგო ბრძანების შესრულებით მიყენებული ზიანი მაშინ, როცა მას არ ჰქონდა გაცნობიერებული ამ ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი. მაგრამ „არ ჰქონდა გაცნობიერებული“ გამორიცხავს მხოლოდ განზრახვას. ამდენად, ისმის კითხვა: როდის გამოიყენება სსკ 37-ე მუხ. I ნაწილი— როცა სავალდებულო ბრძანების შემსრულებელი არ აცნობიერებდა ბრძანების მართლწინააღმდეგობას და არც შეეძლო მისი გაცნობიერება (საპატიო შეცდომა), თუ მაშინაც, როცა შეეძლო და ვალდებული იყო გაეცნობიერებინა იგი (შეცდომა არაა მისატევებელი)? იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არაა ერთიანი მოსაზრება.

ზოგი მიიჩნევს, რომ სსკ 37-ე მუხ. I ნაწილი არის საპატიო შეცდომის კერძო შეცდომა და თუ შეცდომა არაა მისატევებელი, პირმა

გაუფრთხილებლობით უნდა აგოს პასუხი.[1] სხვები კი თვლიან, რომ სსკ 37-ე მუხ. I ნაწილით არ იგულისხმება მისატევებელი შეცდომა, არამედ იგულისხმება ისეთი შეცდომა, რომელიც არაა მისატევებელი, ე.ი. როცა ბრძანების შემსრულებელს, მართალია, არ ჰქონდა გაცნობიერებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი. მისატევებელი შეცდომის დროს გამოიყენება სსკ 36-ე მუხლი და არა 37-ე მუხლი.[2]

მიგვაჩნია, რომ სსკ 37-ე მუხლის I ნაწილით იგულისხმება ორივე შემთხვევა–როგორც საპატიო, ისე არასაპატიო შეცდომა. ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა განსახილველი მუხლის I და II ნაწილის შინაარსის შეჯერება. კერძოდ: 1. განსახილველი მუხლის I ნაწილში ცალსახადაა ნათქვამი: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე.“ როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, პირს შეეძლო თუ არა გაეცნობიერებინა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება; 2. სსკ 37-ე მუხ. II ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბრძანების შემსრულებელს მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ მან შეასრულა წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანება ან განკარგულება.

„წინასწარ შეცნობით“ ნიშნავს იმას, რომ ბრძანების შემსრულებელი განსრახ აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს, ე.ი. მან იცის, რომ გაცემული ბრძანება დანაშაულებრივი ხასიათისაა და მაინც ასრულებს მას.

აქედან უნდა გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა: როდესაც ბრძანების შემსრულებელს არა აქვს გაცნობიერებული გაცემული ბრძანების მართლწინააღმდეგობა, იმის მიუხედავად, შეეძლო თუ არა მისი გაცნობიერება, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არ მიეცემა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანიცაა, რადგან როცა კომპეტენტური პირი ბრძანებას გასცემს ხელქვეითზე (თუ ეს ბრძანება აშკარად არაა დანაშაულებრივი), ხელქვეითს ვერ დავავალდებულებთ, დაიწყოს ფიქრი იმაზე, ხომ არაა შესაძლებელი ამ ბრძანების შესრულებამ დააზიანოს სამართლებრივი სიკეთე.

მაგალითად, ქალაქის პოლიციის უფროსმა უბრძანა რიგით პოლიციელს, დააკავოს მიტინგის ორგანიზატორი, რომლის მოქმედებამაც

---

[1] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2004, გვ. 113, 116.

[2] იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილ. უნივ. გამომც. ავტ. კოლ. თბ. 2004, გვ. 119.

ვითომც უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი (სსკ 226-ე მუხ.). სინამდვილეში პოლიციას უფროსმა იცის, რომ მოცემულ შემთხვევაში ამ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. რიგითი პოლიციელი ვალდებულია შეასრულოს უფროსის ბრძანება. მას არ ეკალება თავად დაიწყოს სიტუაციის შეფასება–მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი მიტინგის მსვლელობისას საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას. ამდენად, აქ საერთოდ არ უნდა დადგეს საკითხი, შეეძლო თუ არა პოლიციელს ამის გაცნობიერება, იგი ასრულებს სავალდებულო ბრძანებას, რომელიც არაა აშკარად დანაშაულებრივი ხასიათის. ამ შემთხვევაში უკანონო დაკავებისათვის პასუხს აგებს პოლიციის უფროსი.

სულ სხვა ვითარებასთან გვექნება საქმე, როცა პოლიციის უფროსი უბრძანებს რიგით პოლიციელს, გაუხსნას ცეცხლი და დახვრიტოს მომიტინგენი, რომლებიც თუნდაც უხეშად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. ეს ბრძანება აშკარად დანაშაულებრივი ხასიათისაა. თუკი რიგითი პოლიციელი შეასრულებს მას, ეჭვგარეშე იქნება, რომ მას წინასწარ ჰქონდა შეცნობილი ამბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი. ამიტომ პოლიციელი თავს ვერ გაიმართლებს იმით, რომ ასრულებდა უფროსის ბრძანებას. ამ შემთხვევაში პოლიციელი პასუხს აგებს, როგორც მკვლელობის ამსრულებელი, ხოლო პოლიციის უფროსი–როგორც მკვლელობის თანამონაწილე (ორგანიზატორი ან წამქეზებელი). უფროსის მიერ რიგითზე ბრძანების გაცემის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს ფსიქიკურ იძულებად და მხედველობაში იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნისას.

ამდენად, სსკ 37-ე მუხ.I ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როცა ბრძანება ან განკარგულება აშკარად არაა უკანონო. ამის შეფასებისათვის არსებობს ორი კრიტერიუმი: 1. ობიექტური (ბრძანება აშკარად არ ეწინააღმდეგება კანონს) და 2. სუბიექტური (ბრძანების შემსრულებელმა არ იცის, რომ ის დანაშაულებრივი ხასიათისაა.). ორივე კრიტერიუმი უნდა იყოს სახეზე.

რაც შეეხება „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანება ან განკარგულება" (37-ე მუხ. II ნაწ.), აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე (მაგალითად, „დახვრიტეთ მომიტინგენი", ანდა „დახოცეთ კრიმინალები" და ა.შ.), იგი აშკარად უკანონო ხასიათისაა. „აშკარად" ნიშნავს იმას, რომ სადავო და საეჭვო არაა მისი უკანონო ხასიათი. გარდა ამისა, „წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანება ან განკარგულება" სახეზეა მაშინაც, როცა ბრძანების გამცემი მის შემსრულებელს გაანდობს მის დანაშაულებრივ ხრახვებს. მაგალითად, ზემოთხსენებულ მაგალითში პოლიციის უფროსი გაანდობს რიგით პოლიციელს თავის ნამდვილ

ზრახვებს, რომ სურს თავიდან მოიშოროს პოლიტიკური ოპონენტები და ამ მიზნით უბრძანებს მას დააკავოს მიტინგის ორგანიზატორი. თუ რიგითი პოლიციელი შეასრულებს ამ ბრძანებას, იგი პასუხს აგებს როგორც უკანონო დაკავების ამსრულებელი. ხოლო პოლიციელს უფროსი–როგორც ამ დანაშაულის თანამონაწილე.

რომის სტატუტის 33-ე მუხლის შენიშვნაში განმარტებულია, რომ აშკარად უკანონოდ ჩაითვლება ბრძანება, რომელიც გამიზნულია გენოციდის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩასადენად.

სავალდებულო ბრძანება ან განკარგულება, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, გათვალისწინებულია ასევე საერთაშორისო სისხლის სამართალშიც.[1]

§7. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების გამო (სსკ 38-ე მუხლი).

როგორც ვიცით, სისხლის სამართალის კერძო ნაწილში ანალოგიის გამოყენება დაუშვებელია. მაგრამ სისხლის სამართალში ზოგადი ნაწილის ნორმის გამოყენება ანალოგიით, ადამიანის ინტერესების შესაბამისად, დასაშვებია. სწორედ ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სს კოდექსში ამომწურავად არაა ჩამოთვლილი. კანონმდებელი მხოლოდ სანიმუშოდ ჩამოთვლის მათ ყველაზე ტიპურ სახეებს. ეს ეხება როგორც მართლწინააღმდეგობის, ისე ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს. კერძოდ, სსკ 38-ე მუხლით გათვალისწინებულია ბრალის გამომრიცხველი ანალოგიური (ე.წ. ზეკანონური) ნორმა. ამ მუხლით კანონმდებელი პირდაპირ არ ასახელებს, თუ რა გარემოებაა აქ ნაგულისხმევი, ამის გადასაწყვეტად ახპარეზი მინდობილი აქვს სასამართლოს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პირს ჩადენილი აქვს ქმედება ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც, მართალია, კოდექსში სახელდებით არაა მოხსენებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს, მას შეუძლია ეს გარემოება ჩათვალოს ბრალის გამომრიცხველად და განაჩენში მიუთითოს სსკ 38-ე მუხლზე. კანონმდებლის ასეთი პოზიცია სავსებით გამართლებულია, რადგან

[1] ამ საკითხზე იხ. მ. ტურავა, დასახ. ნაშრ. გვ. 114-116.

შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინებული იქნეს ბრალის გამომრიცხველი ყველა გარემოება.

ამიტომ სასამართლოს პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას შესაბამისი მუხლის არ არსებობის გამო პრობლემა არ უნდა შეექმნას. სსკ 38-ე მუხლი მოსამართლეს უფლებას აძლევს საკითხი გადაწყვიტოს ანალოგიით.

იურიდიულ ლიტერატურაში ბრალის გამომრიცხველი ანალოგიური ნორმის მაგალითად მიჩნეულია ტრაგიკული კოლიზია. მას სხვანაირად ბრალის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობასაც უწოდებენ. სამწუხაროდ, ტრაგიკული კოლიზიის არსი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვნად და რამდენადმე სქემატურადაა განხილული.

ტრაგიკული კოლიზია უნდა ჩაითვალის ბრალის გამომრიცხველ ანალოგიურ გარემოებად, რადგანაც ამ დროს პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის სამართლებრივი სიკეთის ნაწილის საფრთხისაგან გადასარჩენად მაშინ, როცა ეს სიკეთე მთლიანობაში დასაღუპავად იყო განწირული.[1] იმისათვის, რომ ტრაგიკული კოლიზია ჩაითვალოს ბრალის გამომრიცხველ ანალოგიურ გარემოებად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას:

1. მთლიანი სამართლებრივი სიკეთე დასაღუპად უნდა იყოს განწირული;

2.პირის მიზანი უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის თუნდაც ნაწილის გადარჩენა;

3. საფრთხე, რომელიც ემუქრება მთლიან სამართლებრივ სიკეთეს, უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი;

1.საფრთხე უნდა იყოს იმწუთიერი;

2. საფრთხის ასაცილებლად არ უნდა არსებობდეს სხვა საშუალება, თუ არა სამართლებრივი სიკეთის ნაწილის დაზიანება.

მაგალითად, ორი მთამსვლელი ადის მთაზე. წინ მიმავალი ვერ იმაგრებს თავს, საცაა გადაიჩეხება ხრამში და აუცილებლად წაიყოლიებს მეორესაც. მეორე მთამსვლელს აქვს ორი ალტერნატივა: ან ამხანაგთან ერთად დაიღუპოს, ან გადაჭრას თოკი და თავი გადაარჩინოს. პირველ ვარიანტს ირჩევენ მხოლოდ გმირები და მეგობრისათვის თავდადებულნი. ამას სამართალი ვერ მოსთხოვს ადამი-ანს. ამიტომ ვინც მეორე ვარიანტს აირჩევს და გადაირჩენს თავს, იგი არ მოქმედებს ბრალეულად, რადგან უპასუხისმგებლოდ არ ეკიდება დაკისრებულ

[1] ტრაგიკული კოლიზიის განსხვავებული განმარტება იხ. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 258

სამართლებრივ მოვალეობას და აქედან გამომდინარე, გაკიცხვასაც არ ექვემდებარება.

ტრაგიკულ კოლიზიად არ უნდა ჩაითვალოს ისეთი ვითარება, როცა შექმნილი საფრთხიდან თავის დაღწევის თანაბარი შესაძლებლობა აქვს საფრთხეში აღმოჩენილ პირთაგან თითოეულს (ზემოთხსენებულ მაგალითში თავის გადარჩენის შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ ქვეყით მყოფ მთამსვლელს). ტრაგიკული კოლიზია არ შეიძლება ემყარებოდეს პრინციპს: ვინც მოასწრებს, ის მოიგებს; ანდა—შეუბრალებელი მოიგებს. ასეთ პრინციპებზე სამართლის აგება დაუშვებელია, რადგანაც ისინი ყოვლად ამორალურია.

თუ საფრთხეში აღმოჩენილ პირთაგან თითოეულს თანაბარი შესაძლებლობა აქვს სხვისი სიცოცხლის ხარჯზე გადაარჩინის საკუთარი, ეს ბრალის გამომრიცხველი გარემოება იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი შექმნილი საფრთხის რეალობიდან გამომდინარე ისეა შეშინებული, რომ ამ შიშისაგან წართმეული აქვს ცნობიერება ან ნება.

მაგალითად, ნავზე იმყოფება ორი პიროვნება. ნავს აღმოაჩნდა ისეთი დეფექტი, რომ ორივის ნაპირამდე ვერ მიაცურებს, ჩაიძირება. ამ შემთხვევაში ორივე მათგანს აქვს შესაძლებლობა, ხელი ჰკრას მეორეს და ჩააგდოს წყალში. ერთმა ეს ვერ შესძლო, რადგან შეეცოდა ამხანაგი, ვერ გაიმეტა იგი. მეორე კი უფრო გულგრილი და შეუბრალებელი აღმოჩნდა და ნავიდან გადააგდო ამხანაგი, თავად კი მიაღწია ნაპირამდე. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ტრაგიკული კოლიზია, როგორც ბრალის გამომრიცხველი ანალოგიური გარემოება. საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე თუნდაც მაშინ, როცა ორივეს სიკვდილი ემუქრება, უსნეოაა და იგი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, თუმცა შეიძლება შეფასდეს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

თუ დადგინდება, რომ ამ პიროვნებას სიკვდილის შიშისაგან (ხედავდა, თუ ნელ-ნელა როგორ იძირებოდა ნავი) დაებინდა გონება, იმპულსურად ხელი ჰკრა ამხანაგს და გადააგდო იგი, მისი ქმედება არ ჩაითვლება ბრალეულად ფსიქიკის დროებითი აშლილობის გამო (მუხ. 34-ე).

როგორც აღვნიშნეთ, ტრაგიკული კოლიზიის დროს საფრთხე უნდა იყოს რეალური და იმწუთიერი. თუ იგი მომავლისკენაა მიმართული, თუნდაც რეალური იყოს, ტრაგიკულ კოლიზიად არ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ოფიცერმა უბრძანა ჯარისკაცს, მოკლას მისი (ოფიცრის) პირადი მტერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს მოკლავს. ეს შემთხვევა ტრაგიკულ კოლიზიად ჩაითვლება მაშინ, თუ ოფიცერი იარაღით

ხელში თავზე ადგას ჯარისკაცს და იმწუთიერად მოითხოვს მისი მტრის მოკვლას. ამდენად, ჯარისკაცის ნება პარალიზებულია.

მას არა აქვს საშუალება, საშველად მომართოს სხვებს. თუ დაუყოვნებლივ არ შეასრულა ოფიცრის ბრძანება, მასაც მოკლავენ და მეორე პირსაც. სხვა შემთხვევაში კი ჯარისკაცს საშუალება აქვს საშველად მიმართოს ზემდგომ სამხედრო პირებს და ამდენად, არ არსებობს ტრაგიკული კოლიზია.

ტრაგიკული კოლიზიის დროს აუცილებელი არ არის საფრთხე ემუქრებოდეს სხვადასხვა პირის სამართლებრივ სიკეთეს. ეს საფრთხე შეიძლება მიმართული იყოს ერთი პირის სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ.

მაგალითად, საომარი მოქმედების დასრულების შემდეგ ბრძოლის ველიდან გარბის ორი მეგობარი. მათ მოსდევს მტერი. მეგობრებმა იციან, თუ ისინი მტერს

ხელში ჩაუვარდებათ, წამებით სიკვდილი არ ასცდებათ. როცა ისინი ადიოდნენ მთაზე, ერთი მეგობარი უკან ჩამორჩა, რა დროსაც მას მტერი წამოეწია, ალყაში მოაქცია და წამება დაუწყო. ამ ფაქტს თვალს ადევნებს მთაზე ასული მეორე მეგობარი, ხედავს, რომ მის ამხანაგს მტრები ძლიერი წამებით ამოხდიან სულს. მას სურს წამებით სიკვდილისაგან იხსნას იგი, ამიტომაც დაუმიზნებს იარაღს და ერთი გასროლით მოკლავს.

ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია ტრაგიკული კოლიზიის ვითარებაში, რადგანაც იმ ადამიანს სიკვდილი მაინც არ აცდებოდა და სანამ მოკვდებოდა, უნდა დატანჯულიყო. მეგობარმა მეგობარი ძლიერი ტანჯვისაგან იხსნა, ანუ გადაარჩინა სამართლებრივი სიკეთის ნაწილი.

ტრაგიკულ კოლიზიას ადგილი არა აქვს მაშინ, როცა სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად ხელყოფენ იმ სიკეთეს, რომელსაც დაღუპვა არ ემუქრებოდა. მაგალითად, ტყეში ადამიანს გამოუდგა მტაცებელი ცხოველი. იგი გარბის და უცებ ნახა ხის ძირას მჯდარი მოხუცი. მიუგდო იგი მხეცს და თავად კი გაიქცა.

როცა ხელყოფენ იმ სიკეთეს, რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა, ტრაგიკული კოლიზია გამორიცხულია თუნდაც იმ არგუმენტით, რომ გადარჩენილია მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ერთი ადამიანის და მრავალი ადამიანის სიცოცხლე სამართლებრივად ტოლფასოვანი სიკეთეა.

XV თავი

ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე

§1. ერთიანი დანაშაულის ცნება და სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიაში ერთიანი დანაშაულის და დანაშაულის სიმრავლის სახეები არასდეს ყოფილა საგანგებოდ რეგლამენტირებული, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ყოველთვის იყო გათვალისწინებული სხვადასხვა სტრუქტურის მქონე შემადგენლობები, რომელთა კვალიფიკაცია რიგ სპეციფიკურ საკითხებთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის საჭიროებდა ერთიანი დანაშაულის ცნების განმარტებას და მის გამიჯვნას დანაშაულის სიმრავლისაგან. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ 2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედებულ სისხლის სამართლის ახალ კოდექსში მეოთხე და მეხუთე თავები დაეთმო ადნიშნულ საკითხებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა ამ ინსტიტუტების კვლევას ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას უთმობდა და ამან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთიანი დანაშაულის ცნების გარკვევასა და მისი ფორმების თეორიულ დასაბუთებაში, ერთიანი დანაშაულის მომიჯნავე სისხლისსამართლებრივი კატეგორიებისაგან გამიჯვნაში.[1]

ერთიანი დანაშაულის და დანაშაულის სიმრავლის გამიჯვნის პრობლემა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა. იგი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის შესახებ მოძღვრების ნაწილია და შემთხვევითი არ არის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის იმ კარშია განხილული, რომელსაც დანაშაული ეწოდება, თუმცა ცხადია, ეს ინსტიტუტები მჭიდრო კავშირშია სასჯელის პრობლემასთანაც. უფრო მეტიც, დანაშაულის სიმრავლის პრობლემა ჩვენთან დიდხანს სასჯელის დანიშვნის პრობლემის ფარგლებში განიხილებოდა. მაგრამ, ცხადია, ვერავინ უგულებელყოფდა გვერდს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შემუშავებისას, ამ ინსტიტუტის ცალკეულ სახეებს, რომლებშიც ისინი გათვალისწინებული იყო ან რაღაცრც კონკრე-

[1] ო. წერეთელი, გ. ტყეშელაძე. მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969. გ. ტყეშელაძე. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის. თბ., 1965. გ. შამელაშვილი, ერთიანი დანაშაულის ცნება და ფორმები. საკანდ. დისერტაცია, თბ., 1993.

ტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი, ანდა როგორც ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება.

სისხლის სამართლის თეორიაში აღიარებული თვალსაზრისით ჩადენილი დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით განისაზღვრება.

როდესაც შემადგენლობას დანაშაულის ერთიანობის კრიტერიუმად მივიჩნევთ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ერთიანი დანაშაულის ცნების განსაზღვრისათვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი დანაშაულის ობიექტური ან სუბიექტური შემადგენლობის რომელიმე ცალკე აღებული ელემენტი. ერთიანი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც განხორციელდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. ერთიანი დანაშაულისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, განხორციელდა იგი ერთი თუ რამდენიმე მოქმედებით, ერთი შედეგი დადგა თუ რამდენიმე, ქმედების სუბიექტური მხარე მხოლოდ განზრახვაში გამოიხატა თუ გაუფრთხილებლობაშიც (ე.წ. რთული ბრალი). მთავარია, რომ იგი წარმოადგენდეს ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაციას. დანაშაულის ჩადენა დანაშაულის აბსტრაქტული და ამასთან, ტიპიური შემადგენლობის რეალიზაციაზე მიუთითებს. ამიტომ ერთიანი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც განხორციელდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა.

სისხლის სამართლის კოდექსმა ერთიანი დანაშაულის მხოლოდ ორი სახის ⌜ დენადი და განგრძობადი დანაშაულის დეფინიცია მოგვცა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი შეიცავს ერთიანი დანაშაულის ისეთ სახეებსაც, როგორებიცაა: შენადგენი დანაშაული, ერთიანი დანაშაული ალტერნატიული მოქმედებებით ან ალტერნატიული შედეგებით, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული (ე.წ. ბრალის რთული, ორმაგი ფორმით ჩადენილი დანაშაული).

თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით ერთიანი დანაშაული შეიძლება იყოს მარტივი ან რთული.

რამდენადაც ჩვენი ამოსავალი დებულება ის არის, რომ დანაშაულის ერთიანობა მის საკანონმდებლო განსაზღვრებაზეა დამოკიდებული და ამიტომ ის პირობითია, ამდენად ერთიანი დანაშაულის ცალკეული სახეების კლასიფიკაცია უნდა მოვახდინოთ კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ნიშნების აღწერისას, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნების თანაფარდობისათვის დამახასიათებელი თავისებურებების მიხედვით. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ერთიანი დანაშაულის სახეების კლასიფიკაციის დროს ისევ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციის თავისებურებებიდან უნდა ამოვიდეთ.

ამ თვალსაზრისით, სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, განვასხვავოთ ერთიანი დანაშაულის ორი სახე: 1) ერთიანი დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სპეციალურ კონსტრუქციას შეესაბამება (მას პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ დანაშაული, რომელსაც მარტივი შემადგენლობის კონსტრუქცია აქვს და რთული შემადგენლობის კონსტრუქციის მქონე ისეთი დანაშაულები, როგორიცაა „შენადგენი დანაშაული, ალტერნატიული მოქმედებებისა და ალტერნატიული შედეგებისაგან შედგენილი დანაშაული (ე.წ. ალტერნატიული შემადგენლობა, აგრეთვე, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული) და 2) ერთიანი დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების სპეციალური ფორმაა, მას მიეკუთვნება დენადი და განგრძობადი დანაშაული. ეს უკანასკნელნი დანაშაულის კანონისმიერი შემადგენლობის სპეციალური კონსტრუქციები კი არ არის, არამედ ერთიანი დანაშაულის რეალიზაციის განსაკუთრებული ფორმები.

მარტივია ისეთი ერთიანი დანაშაული, რომელიც ხორციელდება ერთი ქმედებით, ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ერთ ინტერესს (ობიექტს), მხოლოდ განზრახვის ან მხოლოდ გაუფრთხილებლობის ფორმით და შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ერთი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ასეთია მაგალითად: ქურდობა, თაღლითობა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით და სხვ.

მარტივი ერთიანი დანაშაულისაგან განსხვავებით, რთული ერთიანი დანაშაული ხასიათდება ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის სირთულით, სახელდობრ: დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში რამდენიმე ქმედების ან რამდენიმე შედეგის არსებობით ანდა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ერთდროულად განზრახვის და გაუფრთხილებლობის ნიშნების არსებობით და სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გვხვდება რთული ერთიანი დანაშაულის შემდეგი სახეები:

შენადგენი დანაშაული. შენადგენი დანაშაული ისეთი ერთიანი დანაშაულია, რომელიც ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ რამდენიმე ობიექტს (სიკეთეს, ინტერესს), მაგრამ ეს ხელყოფა

სოციალურ სინამდვილეში ისეთ ტიპურ ხასიათს იღებს, რომ კანონმდებელი ქმნის ერთიანი რთული შემადგენლობის კონსტრუქციას და ამგვარი ხელყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ერთი დანაშაულის შემადგენლობით.

პროფ. გ. ტყეშელიაძე თვლის, რომ შენადგენი დანაშაული არსებობს მაშინ, როცა ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედება ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვა მესამე ერთიან დანაშაულს ქმნის.[1]

შენადგენი დანაშაულის კლასიკური მაგალითია ყაჩაღობა. ის სისხლის სამართლის კანონით დაცულ ორ სიკეთეს ხელყოფს [1] საკუთრებას და პიროვნებას. ყაჩაღობის დროს პიროვნებაზე ხელყოფა წარმოადგენს საშუალებას ქონების დაუფლებისათვის. შეუძლებელია ეს ორი ქმედება ერთმანეთს დავაცილოთ იმ ობიექტური და სუბიექტური კავშირის გამო, რომელიც სინამდვილეში მათ შორის არსებობს. სწორედ ამ გარემოებით არის ნაკარნახევი კანონმდებლისათვის მათი ერთიან შენადგენ დანაშაულად ცნობა. შენადგენი დანაშაულის კონსტრუქცია აქვს აგრეთვე ბანდიტიზმს (მ. 224), საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით (მ. 227), მეკობრეობას (მ.228), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით ან იარაღის გამოყენებით (მ. 333) და სხვა.

შენადგენი დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იგი სისხლის სამართლის კანონით დაცულ რამდენიმე სიკეთეს (ინტერესს) ხელყოფს. ამიტომ შენადგენი დელიქტის უპირველესი ობიექტური ნიშანია მისი მრავალობიექტიანობა. აქედან ერთ-ერთი ობიექტი ძირითადია, რაც განსაზღვრავს ამ ნორმის სისტემურ ადგილს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, ხოლო დანარჩენი [1] ასევე საგალდებულო, მაგრამ დამატებითი.

შენადგენი დანაშაული ობიექტური მხრივ შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე მოქმედებით. თავისი კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება იყოს მატერიალურიც და ფორმალურიც. რაც შეეხება შენადგენი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა შესაძლებელია, მთლიანობაში მხოლოდ განზრახვას გულისხმობდეს (მაგალითად, ყაჩაღობა) ანდა ე.წ. ბრალის რთულ (ორმაგ) ფორმას (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით (მ.117-ე) [1] განზრახვას ძირითადი ობიექტის ხელყოფისადმი, სასურველი შედეგისადმი და გაუფრთხილებლობას დამატებითი თან-

[1] გ. ტყეშელიაძე. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, გვ. 48.

მხლები შედეგისადმი. ამგვარად, შენადგენი დანაშაული ხასიათდება ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის რთული სტრუქტურით.

რთული ერთიანი დანაშაულია ასევე ალტერნატიული მოქმედებისა და ალტერნატიული შედეგებისაგან შედგენილი დანაშაული.

ასეთი კონსტრუქციის მქონე დანაშაულთა თავისებურება ის არის, რომ სისხლის სამართლის კანონში მითითებული თითოეული მოქმედების ნაღენა თავისთავად საკმარისია იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს. ამავე დროს, თუ პირი ჩაიდენს შესაბამის შემადგენლობაში ჩამოთვლილ ყველა მოქმედებას, ამით ის ახალ დანაშაულს კი არ ჩადის და დანაშაულთა სიმრავლეს კი არა აქვს ადგილი – არამედ, ერთ რთულ დანაშაულს – მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა (სსკ-ის მ. 236, I ნაწილი), მათი მართლსაწინააღმდეგო დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხ. 236, ნაწილი მესამე). ასეთივე სტრუქტურა აქვს სსკ-ის მე-200 მუხლით აღწერილ შემადგენლობას ' მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა, აგრეთვე სსკ-ის 230-ე, 260-ე, 261-ე, 362-ე, 363-ე და სხვა მუხლებში აღწერილ ქმედების შემადგენლობებს. აქ ყველგან ერთიანი დანაშაულის შემადგენლობებია აღწერილი ალტერნატიული მოქმედებებით. ამ დანაშაულთა დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია კანონში ჩამოთვლილი თუნდაც ერთი მოქმედების ნადენა, მაგრამ თუ პირი განახორციელებს ზემოაღნიშნულ შემადგენლობებში მითითებულ რამდენიმე მოქმედებას, ამით ერთიანი დანაშაული არ გადაიქცევა დანაშაულთა სიმრავლედ (მაგალითად, ჯერ შეძინა იარაღი, შემდეგ კი შეინახა ან ატარა).

როგორც აღვნიშნეთ, ასეთივე ბუნება აქვს რთულ ერთიან დანაშაულს ალტერნატიული შედეგებით. ასეთია მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა და სხვ., აგრეთვე სსკ-ის 192-ე, 238-ე, 342-ე , 407-ე და სხვ. მუხლებით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობებს. ამრიგად, ალტერნატიული შემადგენლობები ხასიათდება იმით, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის საჭიროა კანონში მითითებული ობიექტური შემადგენლობის არა ყველა კლემენტის, არამედ თუნდაც ერთ-ერთის არსებობა. მაშასადამე, ალტერნატიული მოქმედებების ან შედეგებისაგან შედგენილი დანაშაულის სირთულეს განაპირობებს

შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის თავისებურებები. შენადგენი დანაშაულისაგან განსხვავებით, დანაშაულში, რომელიც ალტერნატიულ მოქმედებებს ან შედეგებს მოიცავს, არც ერთი მოქმედება ან შედეგი ცალკე სისხლის სამართლის კანონით არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებელი შემადგენლობის სახით. გარდა ამისა, შენადგენი დანაშაული აუცილებლად გულისხმობს ორი ან მეტი ობიექტის ხელყოფას და შესაბამისად, ორზე მეტ შედეგს, მაშინ როცა ალტერნატიული შემადგენლობის დანაშაულში ერთზე მეტი შედეგი შეიძლება განხორციელდეს ან არ განხორციელდეს.

სისხლის სამართლის თეორიაში აგტორთა ერთი ნაწილი რთული ერთიანი დანაშაულის დამოუკიდებელ სახედ თვლის მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულს. ამის მაგალითებად მოჰყავთ ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით (მუხ. 117), ნივთის დაზიანება ან განადგურება, რასაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა (მუხ. 187, მესამე ნაწილი) და მისთ. ჩვენი შეხედულებით, თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული რთული შენადგენი დანაშაულის ერთ-ერთი ფორმაა და არა რთული დანაშაულის დამოუკიდებელი სახე.[1] მსგავს ქმედებათა კვალიფიკაციის საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის მე-11 მუხლით.

§2. დენადი დანაშაული

დენადი დანაშაულის განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლში. ამ მუხლის მიხედვით, დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

როგორც კანონის განმარტებიდან ჩანს, დენადი დანაშაულის არსებითი თავისებურება ისაა, რომ მოქმედებით ან უმოქმედობით განხორციელებული განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა უბრალოდ კი არ გრძელდება დროში, არამედ განუწყვეტლად ხორციელდება. დანაშაულის რეალიზაციის ნებისმიერ მომენტში, დაწყებიდან დამთავრებამდე, სუბიექტი იმყოფება მისი ნადენის მდგომარეობაში. იგი განუწყვეტლად არღვევს სისხლის სამართლის ნორმას, თანაც

[1] თუმცა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომელიც თვლის, რომ შენადგენი დანაშაული მხოლოდ განზრახვას გულისხმობს.

განუწყვეტლად ხორციელდება ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობა მთლიანად და არა მისი რომელიმე ერთი ელემენტი. ამგვარად, დანაშაულის დენად ხასიათს განსაზღვრავს არა ცალკე მოქმედების (უმოქმედობის) სპეციფიკური ნიშნები ან ცალკე შედეგის თავისებურებანი, არამედ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მთელი ერთობლიობა, რომელშიც კანონმდებელს მრავალი პირობითობა შეაქვს და მთლიანობაში აფასებს ამა თუ იმ ქმედებას როგორც ერთიან დანაშაულს. იმის კონსტატაცია, რომ დენადი დანაშაულის დროს განუწყვეტლივ ხორციელდება ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობა და ამდენად დენადი დანაშაულის ერთიანობის განსაზღვრისას შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციიდან უნდა ამოვიდეთ, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დენადი დანაშაული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის განსაკუთრებული კონსტრუქციაა. სინამდვილეში, დენადი დანაშაული ერთიანი დანაშაულის რეალიზაციის განსაკუთრებული ფორმაა და არა დანაშაულის შემადგენლობის საგანგებო კონსტრუქცია სისხლის სამართლის კანონში. დანაშაული, რომლის რეალიზაცია დენადი ფორმით ხდება, იმავდროულად შესაძლებელია სხვა ფორმითაც განხორციელდეს, ვთქვათ, მარტივი ერთაქტიანი დანაშაულის ფორმით ან რთული განგრძობადი დანაშაულის ფორმით. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქვს კანონმდებელს აგებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქცია. მართალია, დენადი დანაშაულის ობიექტური მხარე უწყვეტობით ხასიათდება, მაგრამ სუბიექტური მხარე შესაძლებელია დისკრეტული (წყვეტილი) იყოს, თუმცა არც მისი უწყვეტობაა გამორიცხული. დენადი დანაშაულის ხანგრძლივობაში შესაძლებელია ქმედების სუბიექტური შემადგენლობა იცვლებოდეს, კერძოდ, იცვლებოდეს დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და მის მიერ გამოწვეული შედეგებისადმი, მაგალითად, შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით დაწყებული ქმედება პირს აღარ სურდეს, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს მის შედეგებს ან გულგრილად ეკიდებოდეს მათ. ერთი სიტყვით, დენადი დანაშაულის ჩადენის სპეციფიკა მის ობიექტურ მხარეშია. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შინაარსი, შესაძლებელია, კიდეც შეიცვალოს, მაგრამ დანაშაული მაინც გაგრძელდეს ობიექტურად და დამნაშავემ არავითარი ზომა არ მიიღოს მის შესაწყვეტად. დენად დანაშაულს ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) პირველი აქტის ჩადენისთანავე ობიექტურადაც და სუბიექტურადაც დასრულებული დანაშაულის სახე აქვს და შემდეგ ამა თუ იმ შემადგენლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უწყვე-

ტად გრძელდება. დენადი დანაშაულის ფორმით შესაძლებელია რეალიზებული იქნეს დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, როგორიცაა: თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ-ის მუხ. 143), მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ-ის მუხ. 144), ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (მუხ. 176), ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა, ტარება (მუხ. 236), სამსახურებრივი გულგრილობა (მუხ. 342), წყვანდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება (მუხ. 356), დეზერტირობა (მუხ. 389) და სხვ.

დენადი დანაშაულის თავისებურება არა მარტო ის არის, რომ იგი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის მანძილზე უწყვეტად ხორციელდება, არამედ ისიც, რომ მას ახასიათებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის სპეციფიკური წესი. სწორედ ეს არის მინიშნებული სსკ-ის მე-13 მუხლის მეორე ნაწილში [1] დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

დენადი დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის კანონის სწორად გამოსაყენებლად აუცილებელია მისი საწყისი და საბოლოო მომენტების ზუსტად დადგენა. რამდენადაც დენადი დანაშაულის სპეციფიკური დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი განუწყვეტლად ხორციელდება, ამიტომ ქვეშა დენადი დანაშაულის ხადენის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დინება გამოანგარიშებული უნდა იქნეს პირის დანაშაულებრივი საქმიანობის, ქმედების სრული შეწყვეტის მომენტიდან, სამი პირობიდან ოუნდაც ერთ-ერთის პირობის არსებობისას: პირველი, როცა დენადი დანაშაული შეწყდა დამნაშავის ნებით (ვალდებულების შესრულება, ბრალის აღიარებით გამოცხადება); მეორე, დენადი დანაშაულის შეწყვეტა დამნაშავის ნების საწინააღმდეგოდ (ხელისუფლების ორგანოების ჩარევის შედეგად) და მესამე [1] მისი ნებისაგან დამოუკიდებლად, თვით მოქმედების იურიდიული მოვალეობის მოსპობის შედეგად, რომლის შეუსრულებლობაც შეადგენდა დენადი დანაშაულის შინაარსს (მაგალითად, დამნაშავეს სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა გაუვიდა ან ავადმყოფობის გამო გაწვევისათვის უვარგისი გახდა, ალიმენტით უზრუნველსაყოფი პირი სრულწლოვანი გახდა ან გარდაიცვალა და სხვ.). სწორედ აქ მთავრდება დენადი დანაშაული და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობაც აქედან უნდა იქნეს გამოთვლილი.

ამრიგად, დენადი დანაშაული, მისი განხორციელების ხანგრძლივობის მიუხედავად, განიხილება როგორც ერთიანი დანაშაული.

რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დენადი დანაშაულის ცნების ზუსტად დადგენას?

1. დენადი დანაშაულის დანაშაულებრიობა და დასჯადობა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, უნდა განისაზღვროს კანონით, რომელიც მოქმედებდა დენადი დანაშაულის განხორციელების ფაქტობრივად დამთავრების დროს (მაგალითად, რომ პირს უკანონოდ ტარებისათვის პირი დააკავეს). სწორედ ეს არის მითითებული სსკ-ის მე-13 მუხლის მეორე ნაწილში – დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან. თუ დენადი დანაშაულის ჩადენის განმავლობაში კანონი გამკაცრდა, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან დენადი დანაშაულის ჩამდენს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დანაშაულის ჩადენა. თუკი მას არ სურს ისარგებლოს ამ შესაძლებლობით და აგრძელებს დანაშაულის ჩადენას მიუხედავად უფრო მკაცრი სისხლისსამართლებრივი სასჯელის მუქარისა, მაშინ არავითარი საფუძველი არ გვაქვს უარი ვთქვათ ამ უფრო მკაცრი კანონის გამოყენებაზე, რომელიც დენადი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა.

2. დენადი დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა გამოთვლილი უნდა იქნეს დანაშაულის განხორციელების ფაქტობრივი შეწყვეტის მომენტიდან.

3. ამნისტია შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ დენად დანაშაულს, რომლის განუწყვეტელი განხორციელება შეწყდა მის გამოცემამდე. თუ დენადი დანაშაულის განხორციელება გაგრძელდება ამნისტიის აქტის გამოცემის შემდეგ, მაშინ ამნისტია არ გამოიყენება.

4. რამდენადაც დენადი დანაშაულის ჩადენის დროს ადგილი აქვს დანაშაულის შემადგენლობის განუწყვეტელ განხორციელებას, ამდენად თანამონაწილეობა დენად დანაშაულში შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეწყდება.

5. დენადი დანაშაული არ გამორიცხავს დანაშაულთა სიმრავლეს. მაგალითად, როცა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იარაღის უკანონოდ ტარებისას პირი ჩაიდენს მკვლელობას, ასეთ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულთა რეალური ერთობლიობის მიხედვით.

§3. განგრძობადი დანაშაული

განგრძობადი დანაშაულის განსაზღვრებას შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, საქართველოს კანონმდებლობამ გაიზიარა განგრძობადი დანაშაულის სუბიექტური თეორია, რომელმაც ასეთი დანაშაულის ერთიანობის კრიტერიუმად წამოაყენა ერთიანი განზრახვის კონცეპტია.

განგრძობადი დანაშაული, დენადი დანაშაულის მსგავსად, ერთიანი დანაშაულის რეალიზაციის განსაკუთრებული ფორმაა და არა დანაშაულის შემადგენლობის საგანგებო კონსტრუქცია სისხლის სამართლის კანონში.

განგრძობადი დანაშაულის ობიექტური მხარის სპეციფიკა იმაშია, რომ მისი შემადგენელი ქმედებები დისკრეტულად ახდენენ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაციას.

განგრძობადი დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი თავისებურება სწორედ ხელყოფის დისკრეტულობაა (წყვეტილობა), მისი შემადგენელი ყოველი ქმედება არის წინა ქმედების გაგრძელება, ე.ი. წარმოადგენს ერთიანი მთელის მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდს, ეტაპს, რგოლს. განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი ქმედებები, მართალია, დროში განცალკევებული არიან, მაგრამ ამავე დროს, მათ შორის არ უნდა იყოს დროის ისეთი ხანგრძლივი, შუალედები, რომ ძნელი იყოს ნამოქმედარის ერთიან დანაშაულად განხილვა. განგრძობადი დანაშაულის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სწორედ მის შემადგენელ ქმედებებს შორის დროში მჭიდრო კავშირია. ამრიგად, განგრძობადი დანაშაულის ობიექტური მხარის არსებითი განმასხვავებელი ნიშნებია: ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების დისკრეტულობა, რაც გამოიხატება ერთი და იმავე დანაშაულის ობიექტური მხარის მრავალგზის განხორციელებაში და ამ ქმედებებს შორის მჭიდრო კავშირით დროში.

განგრძობადი დანაშაულის სუბიექტური მხარის თავისებურება ის არის, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რომელიც ერთი მოტივით არის განპირობებული და ერთი მიზნის მიღწევას ემსახურება. ამასთანავე, განგრძობადი დანაშაულის

დროს ერთიან განზრახვას უწყვეტი ხასიათი აქვს, მისი შემადგენელი თითოეული ქმედება ამ ერთიანი, განუწყვეტელი განზრახვით არის მოცული. მაგალითად, მოლარე, რომელმაც განიზრახა მილიონის მოპარვა, ერთი კვირის მანძილზე ნაწილ-ნაწილ დაეუფლა ამ ქონებას. ანდა, ა-მ საკუთარი ავტომანქანის ასაწყობად გადაწყვიტა ავტოქარხნიდან ავტომანქანის ნაწილების მოპარვა. ყოველდღიურად იგი იპარავდა ავტომანქანის ცალკეულ ნაწილებს. აქ განგრძობადი დანაშაულის არსებობა ეჭვს არ ბადებს. მოტანილ მაგალითებში ხელყოფის საგანი, ადგილი, დრო და ობიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნები მიუთითებენ ერთხელ წარმოშობილი განზრახვის რეალიზაციაზე.

განგრძობადი ფორმით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, როგორებიცაა: საბოტაჟი (მუხ. 318), საბაჟო წესის დარღვევა (მუხ. 214), გამოძალვა (მუხ. 181), მომხმარებლის მოტყუება (მუხ. 319) და სხვა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ განგრძობადი დანაშაულის, როგორც ერთიანი დანაშაულის რეალიზაციის ფორმის სპეციფიკა ისაა, რომ ის პროსპექტულია, მომავლისკენაა მიმართული. ამასთანავე, შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისას მისი ობიექტური მხარე დისკრეტულობით ხასიათდება, სუბიექტური მხარე კი უწყვეტია. კერძოდ, განგრძობადი დანაშაულის დროს ხელყოფა დროში გრძელდება დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებათა დისკრეტული ერთობლიობით, რომლებიც სუბიექტური მხრივ გაერთიანებულია განზრახვის ერთიანობით და განუწყვეტლობით. დანაშაულებრივ ქმედებათა, ხოლო რიგ შემთხვევებში სხვა სამართალდარღვევათა ერთობლიობა ერთიანი განგრძობადი დანაშაულის ხასიათს მიიღებს მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ეს ხელყოფა შეიძენს კანონში მითითებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს. ობიექტური მხრივ დისკრეტულად განხორციელებული, ხოლო სუბიექტური მხრივ ერთიანი და განუწყვეტელი განზრახვით დაკავშირებული ქმედებები მხოლოდ და მხოლოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავენ.

განგრძობადი დანაშაული განსხვავდება დენადი დანაშაულისაგან სუბიექტური მხრით. სახელდობრ, განგრძობადი დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანია განზრახვის ერთიანობა და განუწყვეტლობა, ხოლო მისი ობიექტური მხარე წყვეტილია. დენად დანაშაულში კი პირიქით ობიექტური მხარე უწყვეტია, სუბიექტური მხარე კი, შესაძლებელია დისკრეტული (წყვეტილი) იყოს, თუმცა არც მისი უწყვეტობაა გამორიცხული. ერთი სიტყვით, დენადი დანაშაულის ხადგინის სპეციფიკა მის ობიექტურ მხარეშია, მაშინ როცა განგრძობადი დანაშაული ხასიათ-

დება სუბიექტური მხარის სპეციფიკით. განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი რომელიმე იზოლირებულად აღებული ქმედება არ შეიცავს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას, ის ერთიანი მთლის, ერთიანი განზრახვით მოცული დანაშაულის მხოლოდ ერთი დისკრეტული აქტია, მაშინ როცა დენად დანაშაულში პირველივე ქმედება დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას წარმოადგენს და შემდგომ იგი განუწყვეტლად ხორციელდება. მაშასადამე, დენად დანაშაულს ქმედების პირველი აქტის ნადენისთანავე ობიექტურადაც და სუბიექტურადაც დასრულებული დანაშაულის სახე აქვს. განგრძობადი დანაშაული კი ობიექტური მხრივ, შესაძლებელია, დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავდეს, მაგრამ მისი შემადგენელი ცალკეული ქმედება სუბიექტური მხრივ დაუსრულებელია. გარდა ამისა, განგრძობადი დანაშაულისაგან განსხვავებით, დენადი ფორმით შესაძლებელია გაუფრთხილებელი დანაშაულის განხორციელებაც.

რა იურიდიული და პრაქტიკული შედეგები მოსდევს ამა თუ იმ დანაშაულის განგრძობად დანაშაულად მიჩნევას?

1. განგრძობადი დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა განხორციელდება მისი შემადგენელი უკანასკნელი აქტი. ამაზე პირდაპირ მითითებას სსკ-ის მე-14 მუხლის მეორე ნაწილი[1] განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, თუ შეიცვალა განგრძობადი დანაშაულის განხორციელებისას მოქმედი შესაბამისი სისხლის სამართლის კანონი, მაშინ შეფარდებული უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი შემადგენელი უკანასკნელი აქტის ჩადენისას.

2. განგრძობადი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება უკანასკნელი ქმედების ჩადენის დღიდან.

3. განგრძობადი დანაშაულის სუბიექტს ამნისტია შეეფარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შემადგენელი უკანასკნელი მოქმედება ჩადენილი იქნება ამნისტიის აქტის გამოცემამდე.

4. განგრძობადი დანაშაულის კვალიფიკაცია მცდელობის წესებით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხორციელდებოდა კონკრეტიზებული განზრახვით, ხოლო ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებით დამნაშავის განზრახვა ბოლომდე არ ყოფილა რეალიზებული.

5. განგრძობად დანაშაულში თანამონაწილეობისას პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რომელშიც მან მიიღო უშუალო მონაწილეობა. ამის გამო, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია თანამონაწილის მოქმედება არ დაკვალიფიცირდეს იმავე დანაშაულის შემადგენლობით, რომელსაც ამსრულებლის მოქმედება შეიცავს.

§4. დანაშაულის სიმრავლე

ერთიანი დანაშაულის სახეების დახასიათებისას აღინიშნა, რომ დანაშაულის ერთიანობას განსაზღვრავს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა. ერთიანი დანაშაული დანაშაულთა სიმრავლის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ერთიანი დანაშაულის ცნებამ უნდა მიგვიყვანოს დანაშაულის სიმრავლის სწორ გაგებამდე, რამდენადაც ჩადენილი დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით განისაზღვრება. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ დანაშაულის სიმრავლე გულისხმობს სხვადასხვა ან ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობის რამდენჯერმე განხორციელებას.

ადამიანის მიერ ფაქტობრივად ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა ყოველთვის რადი ნიშნავს სიმრავლის არსებობას. შესაძლებელია არსებობდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო ხასიათის დაბრკოლებები, რომლებიც გამორიცხავენ სიმრავლის არსებობას, როდესაც წინა დანაშაულის ჩადენის სამართლებრივი შედეგები ანულირებულია სხვადასხვა საფუძვლების გამო. ასე მაგალითად, დანაშაულთა სიმრავლეს გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები ქმედითი მონანიების გამო (მუხ. 68), დაზარალებულთან შერიგების გამო (მუხ. 69), ვითარების შეცვლის გამო (მუხ. 70), ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო (მუხ. 71 და 76), შეწყალების ან ამნისტიის აქტის გამო (მუხ. 77, 78) და სხვ. – აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე ქმედებაზე საპროცესო დაბრკოლება არსებობს სისხლის სამართლის გამოძიების დასაწყებად – მაგალითად, კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის სანივრის არარსებობა და მისთ. მაშასადამე, დანაშაულის სიმრავლე გამორიცხულია, თუ ვთქვათ, ჩადენილი ორი ქმედებიდან ერთ-ერთზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (დევნის) დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობს და ამის გამო წინა დანაშაულის ჩადენის იურიდიული შედეგები გაბათილებულია. ამრიგად, დანაშაულის სიმრავლეში იგულისხმება ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, რასაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია მოჰყვება, შემდეგი ნიშნების არსებობის შემთხვევაში: ა) ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული. სიმრავლე გამორიცხულია, თუ ჩადენილი ორი ქმედებიდან ერთ-ერთი არაა დანაშაული, არამედ სხვა სახის სამართალდარღვევაა, მაგალითად, გადაცდომა; ბ) სიმრავლეში შემავალი თითოეული დანაშაული დამოუკიდებელი ერ-

თითანი დანაშაულია და სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლით ან მუხლის ნაწილით უნდა მიეცეს კვალიფიკაცია. სიმრავლეში შემავალი თითოეული დანაშაული შეიძლება იყოს დამთავრებულიც და დაუმთავრებელიც, მათი ხადენის თანმიმდევრობას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობას მოკლებულია ისიც, რომელიმე დანაშაულში ამსრულებლობას ჰქონდა ადგილი თუ თანამონაწილეობას; გ) სიმრავლეში შემავალი თითოეული დანაშაული ინარჩუნებს სამართლებრივ მნიშვნელობას საქმის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის. არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე თავი დანაშაულის სიმრავლის სახეებს მიაკუთვნებს ^ არაერთგზის დანაშაულს, დანაშაულთა ერთობლიობას და დანაშაულის რეციდივს.

დანაშაულის სიმრავლის ყველა სახეს ერთი საერთო მნიშვნელი აქვს, რაც ორი ან მეტი დანაშაულის ხადენით გამოიხატება. განსხვავება დანაშაულის სიმრავლის ფორმებს შორის შემდგომ ასახვას პოვებს დანაშაულის კვალიფიკაციისას, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის, სასჯელის დანიშვნისა და აღსრულებისას.

არაერთგზისი დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსის მუ-15 მუხლის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ხადენას.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის სიმრავლის ეს ფორმა განმეორების ცნებით იყო გამოხატული. მაგრამ ამავე დროს პირის მიერ ორი და მეტი დანაშაულის ხადენა ასახული იყო ისეთი განსხვავებული ტერმინებით, როგორიცაა: დანაშაულის ხადენა სისტემატურად, არაერთგზის, ხელობის სახით და სხვ. ამასთანავე, სისხლის სამართლის კანონში განმეორების ცნება ზოგჯერ ფართოდ გაგებით გამოიყენებოდა და მასში ნებისმიერი ახალი დანაშაულის ხადენა იგულისხმებოდა, ზოგჯერ კი ვიწრო გაგებით, რომელშიც მხოლოდ იდენტური ან ერთგვაროვანი დანაშაულის ხადენა მოიაზრებოდა. განმეორების ზემოაღნიშნული ქვესახეები ერთსა და იმავე დროს წარმოადგენდნენ როგორც ერთიანი რთული დანაშაულის ნიშანს, ისე დანაშაულის სიმრავლის ნიშანს. განვლილმა 40-წლიანმა სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ასეთი ტერმინოლოგიური სიჭრელე ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო, მას პრაქტიკისათვის პრობლემების მეტი არაფერი მოჰქონდა. ამიტომაც სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა კანონის უნიფიცირება მოახდინა, უარყო ასეთი ტერმინოლო-

გიური სიჭრელე და განმეორებისა და მისი ქვესახეების ნაცვლად, ერთი ტერმინი ‹ არაერთგზისობა დატოვა.

დანაშაულის არაერთგზისობის ცნება გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებრივი ნიშნების ერთიანობას. სახელდობრ, არაერთგზისობის რაოდენობრივი ნიშანია ‹ არანაკლებ ორი დანაშაულის ჩადენა, ხოლო თვისებრივი ნიშანია იდენტური ქმედების ჩადენა, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილითაა გათვალისწინებული, ხოლო კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში – ერთგვაროვანი ხასიათის დანაშაულთა ჩადენაც, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული. ამრიგად, როგორც წესი, არაერთგზისი დანაშაული გულისხმობს იდენტური, ე.ი. ერთი და იმავე მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას. მაგრამ, გამონაკლისის შემთხვევაში, როცა ეს კანონით სპეციალურად არის გათვალისწინებული, იგი მოიცავს ერთგვაროვან დანაშაულებსაც. ასე მაგალითად, საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულში არაერთგზისობის ცნება ფართოდ არის გაგებული და იგი მოიცავს არა მარტო იდენტურ დანაშაულს, არამედ ერთგვაროვან დანაშაულთა საკმაოდ ფართო წრეს. კერძოდ, სსკ-ის 177-ე მუხლის (ქურდობა) შენიშვნაში აღნიშნულია, რომ 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ჩაითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე (ბანდიტიზმი), 231-ე (ბირთვული მასალის ხელში ჩაგდება), 237-ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით) და 264-ე (ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. ანალოგიური მაკვალიფიცირებელი ნიშანი გააჩნია ნარკოტიკულ დანაშაულებსაც.

არაერთგზისი დანაშაულის შემთხვევაში პირველ და მომდევნო დანაშაულს შორის დროის დიდი ინტერვალი არ უნდა არსებობდეს. ამ ინტერვალების სახეობა, როგორც წესი, ხანდაზმულობისა და ნასამართლობის მოხსნის ვადები წარმოადგენს. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს მე-15 მუხლის მეორე ნაწილი ‹ „დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი, ან გაქარწყლებული ჰქონდა“.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად პრობლემატურია არაერთგზისი დანაშაულის გამიჯვნა განგრძობადი დანაშაულისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ შეუძლებელია რაიმე მკაფიო კრიტერიუმი მოიძებნოს ამ ორი ცნების გასამიჯნად და, ამიტომ მათ შორის ტოლობის ნიშანს სვამენ (იდენტურ ცნებებად თვლიან). მეორე ნაწილი ადიარებს ამ პრობლემის სირთულეს, მაგრამ მის გადასაჭრელად სხვადასხვა კრიტერიუმებს გვთავაზობენ [1] ძირითად კრიტერიუმად კი განგრძობადი დანაშაულისათვის დამახასიათებელ საერთო განზრახვასა და მიზანს მიიჩნევენ, მაშინ როცა არაერთგზისი დანაშაულის დროს რამდენი ქმედებაც არის, იმდენი დამოუკიდებელი განზრახვა და შესაბამისი შემადგენლობის შინაარსია.

განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულის ანალიზი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ განგრძობადი დანაშაული არაერთგზისი დანაშაულისაგან ორი ძირითადი ნიშნით განსხვავდება, კერძოდ, განგრძობადი დანაშაული გულისხმობს: ა) ერთი და იმავე დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარით მოცული მოქმედების დისკრეტულად (წყვეტილად) განხორციელებას (ობიექტური კრიტერიუმი) და ბ) განზრახვის განუწყვეტლობას და მიზნის ერთიანობას (სუბიექტური კრიტერიუმი). იმის გამო, რომ არაერთგზისობა სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლზე მეტი შემადგენლობით არის გათვალისწინებული, კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა, საგანგებოდ დაედგინა ამგვარი ქმედების კვალიფიკაციის წესი. სახელდობრ, მე-15 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ არაერთგზისი დანაშაული ამ კოდექსით გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზისი დანაშაულისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი გამოყენებული უნდა იქნეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენი დანაშაული იქნა ჩადენილი და რა თანმიმდევრობით. წინა დანაშაული არ საჭიროებს დამოუკიდებელ კვალიფიკაციას, თუ იგი ახლად ჩადენილი დანაშაულის იდენტურია, მაგრამ თუკი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, თუ ქურდობას წინ უსწრებდა არა იდენტური, არამედ 177-ე მუხლის შენიშვნაში მითითებული სხვა რომელიმე დანაშაული, მაშინ მას დამოუკიდებელი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. მსგავს შემთხვევაში სიმრავლის ორ ფორმას აქვს ადგილი [2] დანაშაულის არაერთგზისობას და ერთობლიობას, ამასთანავე, ერთი მეორეს არ გამორიცხავს 177-ე მუხლის შენიშვნაში კანონის ასეთი დაფიქსის გამო. უფრო მეტიც, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტში (იხილე როგორც საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულ-

თა სხვა შესაბამის მუხლებში) არაერთგზისობის ცნება დანაშაულის რეციდივსაც გულისხმობს. ამიტომ მისი შეფარდება შესაძლებელია როგორც ნასამართლობამდე, ისე ნასამართლობის შემდეგ ჩადენილი ქმედებისათვის[1] მსგავს შემთხვევებში დანაშაულის სიმრავლის სამივე სახე შეიძლება დაემთხვეს.

§5. დანაშაულთა ერთობლიობა

დანაშაულთა ერთობლიობის განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლში, რომლის მიხედვითაც „დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს".

დანაშაულთა ერთობლიობის საკანონმდებლო ფორმულა ქმედებათა რიცხვის მიხედვით განასხვავებს დანაშაულთა ერთობლიობის ორ სახეს: რეალურს და იდეალურს, თუმცა კანონმდებელი ამ ტერმინებით არ სარგებლობს.

რეალური ერთობლიობა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც რამდენიმე მოქმედების საშუალებით რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ხდება, ხოლო იდეალური (ფორმალური, ლოგიკური) ერთობლიობა გულისხმობს ერთი მოქმედების საშუალებით რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას.

დანაშაულთა ერთობლიობაში შეიძლება იყოს როგორც თანაბრად ერთგვაროვანი, ისე არაერთგვაროვანი დანაშაულები.

დანაშაულთა ერთობლიობა, ისე როგორც დანაშაულის სიმრავლის სხვა ფორმები, გულისხმობს არანაკლებ ორი დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ეს დანაშაულები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით უნდა იყოს გათვალისწინებული. ამით ის განსხვავდება არაერთგზისი დანაშაულისაგან. დანაშაულთა ერთობლიობას არა მარტო მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა

[1] საზოგადოდ არაერთგზისი დანაშაული ნასამართლობამდე ჩადენილ ქმედებებს გულისხმობს და ამით განსხვავდება ის დანაშაულის რეციდივისაგან, თუმცა მე-15 მუხლი ამის შესახებ მითითებას არ შეიცავს.

მისი შემადგენელი ქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული, არამედ მაშინაც, როცა ისინი ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილით არიან გათვალისწინებული. ამასთანავე,ამ შკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ისეთი შემთხვევა,როცა შესაბამისი მუხლის სხვადასხვა ნაწილით სხვადასხვა შემადგენლობაა აღწერილი.

დანაშაულთა ერთობლიობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ა) ორი ან მეტი დანაშაულის განხორციელება;

ბ) ეს დანაშაულები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით არის გათვალისწინებული;

გ) ამ დანაშაულთაგან პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული;

დ) ეს დანაშაულები განხორციელებული არიან ორი ან მეტი ქმედებით (რეალური ერთობლიობა), ანდა ერთი ქმედებით (იდეალური ერთობლიობა).

ამრიგად, დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს ერთი ან რამდენიმე ქმედებით ორი ან მეტი, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას, რომელთაგან პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული.

ერთობლიობაში შემავალი დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ამასთან, შესაძლებელია ერთი დანაშაული დამთავრებული იყოს, ხოლო მეორე მომზადებასა ან მცდელობაში გამოიხატოს.

დანაშაულთა რეალური ერთობლიობა სიმრავლის უფრო გავრცელებული სახეა. მისი იურიდიული ბუნების ნიშანდობლივი თავისებურებაა სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, შესაბამისად ორი ან მეტი მოქმედებით ან უმოქმედობის აქტით. მაშასადამე, რეალური ერთობლიობის შემადგენელი თითოეული დანაშაული დამოუკიდებელი მოქმედებით ან უმოქმედობით ხორციელდება, რომლებიც დროში დაცილებული არიან ერთმანეთისაგან, ერთი ქმედება დროში ეოველთვის წინ უსწრებს მეორეს. მაგალითად, ვთქვათ, პირი ჯერ ქურდობას სჩადის, შემდეგ კი – განზრახ მკვლელობას.

დანაშაულთა ერთობლიობის მეორე სახეა იდეალური ერთობლიობა. თვით ტერმინი „იდეალური“ (ანუ ფორმალური, სამართლებრივი, ლოგიკური) ერთობლიობა უაღრესად პირობითია. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სინამდვილეში გვაქვს ერთი დანაშაული, ხოლო „იდეა-

ში“ რამდენიმე. დანაშაული ყოველთვის კონკრეტულია, რეალურია და მისი აზრობრივი გაორება ყოველად დაუშვებელია. ერთი დანაშაული ყოველთვის ერთი დანაშაულია და არა რამდენიმე. მაგრამ იდეალური ერთობლიობა რეალურისაგან განსხვავდება იმით, რომ პირველ შემთხვევაში ხორციელდება ერთი მოქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში [1] რამდენიმე მოქმედება.[1]

იდეალური ერთობლიობის ცნების საჭიროება იმითაა განპირობებული, რომ შესაბამის შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის მომარჯვებით არის შესაძლებელი ქმედების სწორი იურიდიული შეფასება. ცხადია, ასეთი შეფასების მასშტაბი თვით კანონმდებელსაც დამოკიდებული, შესაძლებელია, მან იმთავითვე გაითვალისწინოს დანაშაულთა შესაძლებელი კომბინაცია, მაგალითად, შენადგენი დანაშაულის სახით, რომელსაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

იდეალური ერთობლიობის არსებით და კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს ერთი საერთო ქმედებით ორი ან მეტი სხვადასხვა და ამასთან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. იდეალური ერთობლიობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი დანაშაულის ობიექტური მხარის [1] მოქმედების (ან უმოქმედობის) ნაწილობრივი იდენტურობა მაინც. ერთი მოქმედება უნდა წარმოადგენდეს საერთოს, შეთავსებადს თითოეული დანაშაულის ობიექტური მხარისათვის. ამასთანავე, ეს საერთო მოქმედება იმავდროულად ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ობიექტურ მხარეს უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, გაუპატიურების დროს მსხვერპლისათვის განსაკუთრებით სამიში ინფექციური დაავადების შეყრა. აქ ერთი მოქმედება ერთდროულად და ამასთან სრულად მოიცავს ორი სხვადასხვა დანაშაულის ობიექტურ მხარეს; ობიექტური მხარის თვალსაზრისით, ასევე შეთავსებადია იდეალური ერთობლიობის გზით განხორციელებული ისეთი დანაშაული, როგორიცაა ცეცხლის წაკიდება სახლისათვის, სადაც მკვლელის წინასწარი შეცნობით მსხვერპლი იმყოფება. როგორც ვხედავთ, რეალური ერთობლიობისაგან განსხვავებით, იდეალური ერთობლიობის შემადგენელ დანაშაულებს შორის უფრო მჭიდრო კავშირია, რადგან ობიექტური მხარის შემადგენლობის თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთს ნაწილობრივ მაინც ეთავსებიან. თუმცა, ამავე დროს, იდეალურ ერთობლიობაში შემავალი დანაშაულები ხელყოფენ სისხლის სამართლის კანონით დაცულ სხვადასხვა ინტერესებს (ობიექტებს). ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ერთი დანაშაული

[1] იხ. გ. წერეთელი-ძე-დასახ. ნაშრომი. გვ. 85,86.

სქესობრივ თავისუფლებას ხელყოფს, ხოლო მეორე – ჯანმრთელობას, უფრო თვალნათლივაა განსხვავება ამ ინტერესებს შორის მეორე მაგალითში – საკუთრება და სიცოცხლე.

ამრიგად, დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის სპეციფიკა განპირობებულია იმით, რომ ერთი ქმედება ხელყოფს კანონით დაცულ სხვადასხვა ინტერესს (სიკეთეს), რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით, ამიტომაც ისინი საჭიროებენ ერთობლიობით კვალიფიკაციას.

იდეალური ერთობლიობის დამახასიათებელი ნიშნებია: ერთი ქმედებით სისხლისსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ობიექტის ხელყოფა, სხვადასხვა ხასიათის შედეგის განხორციელება, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული და შესაბამისად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის კვალიფიკაციის დროს.

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა უნდა განვასხვაოთ კანონთა კონკურენციისაგან (ანუ ე.წ. მოჩვენებითი ერთობლიობისაგან), რომელზეც საუბარია მე-16 მუხლის მეორე ნაწილში.

ადამიანის ქმედება ხოჯერ რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს დანაშაულთა ერთობლიობის არსებობას. ასეთ ვითარებაში ქმედების კვალიფიკაციის სირთულე განაპირობებს კანონის სწორი არჩევის პრობლემას. ამ დროს სისხლის სამართლის კანონის სწორად შერჩევა და დანაშაულის კვალიფიკაცია ბევრად არის დამოკიდებული კანონთა კონკურენციის საკითხის სწორად გადაწყვეტაზე.

სისხლის სამართალში კანონთა (ნორმების) კონკურენციაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირის მიერ ჩადენილი ქმედება ერთდროულად მოცულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ორი ან მეტი მუხლით, მაგრამ დანაშაულის კვალიფიკაციის დროს გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ის მუხლი, რომელიც ამომწურავად შეიცავს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს. საკონკურენციო ნორმები განზოგადების სხვადასხვა ხარისხით და განსხვავებული სისრულით ითვალისწინებენ ერთი და იმავე დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ რამდენადაც ჩადენილია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთი დანაშაული, ამდენად სწორედ ეს ერთი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კვალიფიკაციის დროს.

დანაშაული სწორად იქნება დაკვალიფიცირებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სწორად იქნება შერჩეული ის კანონი, რომელიც

ყველაზე სრულად და ზუსტად ასახავს ჩადენილი დანაშაულის სოციალურ-სამართლებრივ არსს. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის კვალიფიკაცია საკონკურენციო კანონების ერთობლიობით დაუშვებელია, რადგან ეს გამოიწვევს დანაშაულის სიმრავლის ხელოვნურად შექმნას იქ, სადაც ის არ არის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუსაბუთებელ დამძიმებას. კანონთა კონკურენციის საკითხის არასწორმა გადაწყვეტამ, შესაძლოა, დამნაშავის პასუხისმგებლობის გაუმართლებელი შემსუბუქებაც გამოიწვიოს.

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა პირველად გადაწყვიტა კანონთა კონკურენციის პრობლემა. სახელდობრ, სსკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილით – „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით“.

რა უდევს საფუძვლად ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენციას და როგორ უნდა გადავწყვიტოთ იგი კონკრეტულ შემთხვევაში?

ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს სცემს თვით დასახელებული კანონების ტერმინები. მათი ურთიერთკავშირი განისაზღვრება ზოგადისა და ერთეულის (კერძოს, კონკრეტულის) თანაფარდობით. ზოგადი კანონი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ წრეს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მეტ-ნაკლებად ზოგადი ფორმით აღწერით, სპეციალური კანონი კი [მის მიერ რეგულირებულ გარემოებებს უფრო აკონკრეტებს. ორივე სახის კანონი (როგორც ზოგადი ისე სპეციალური) მოწოდებულია მოაწესრიგოს ერთი და იგივე ურთიერთობები. ამავე დროს, როგორც ზოგად ისე სპეციალურ კანონებს თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები აქვთ. ზოგადი კანონების შექმნა, ერთი მხრივ, მიმართულია კანონმდებლობის უნიფიკაციაზე, ისინი მოიცავენ ქმედებათა ფართო წრეს, უფრო მოხერხებული არიან სამართალშემფარდებლისთვის კვალიფიკაციის პროცესში, მეორე მხრივ, განზოგადებულ კანონებს ყოველთვის არ შეუძლიათ მოიცვან ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზოგჯერ აუცილებელია კონკრეტულად იქნეს მითითებული ამა თუ იმ ქმედების ინდივიდუალური თავისებურებები, ესა თუ ის ფაქტები, დანაშაულის ჩამდენი პირები და ა.შ. ამასთანავე, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს კონკრეტული ფაქტების ჩამონათვალი, მას არ შეუძლია მოიცვას მოცემული ქმედების ყველა ნიშანი.

ცნობილია, რომ სოციალურ ურთიერთობათა სრულყოფა, ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შეცვლა განა-

პირობებს ქმედებათა კრიმინალიზაციის და დეკრიმინალიზაციის. ამისათვის კანონმდებელი სხვადასხვა ხერხს იყენებს, მათ შორის ქმნის სპეციალურ კანონებს, რომლებიც ცვლიან ქმედებათა მართლწინააღმდეგობის ფარგლებს, აფართოებენ ამა თუ იმ ქმედებათა დასჯადობის სფეროს ან პირიქით – ავიწროებენ. კანონმდებელი სპეციალურ კანონებს უმრავლეს შემთხვევაში გამოსცემს ზოგად კანონთან მიმართებაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დიფერენციაციის მიზნით. კერძოდ, იგი ახდენს სისხლისსამართლებრივი რეგულირების დიფერენციაციას, რითაც ცვლის ამა თუ იმ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, მისი რეგულირების ხერხს, კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობების შექმნით, შესაბამისად ამკაცრებს ქმედების დასჯადობას ან პირიქით, ამსუბუქებს მას. სწორედ ამიტომაც აქვთ სპეციალურ კანონებს პრიორიტეტი ზოგად კანონებთან მიმართებაში. კანონთა კონკურენციის საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კანონთა კონკურენცია კონკრეტულია და იგი ყოველთვის წარმოიშობა კონკრეტულ სამართალშეფარდებით პროცესში, კანონის შეფარდების მიღმა კონკურენცია არ არსებობს. ამიტომ მისი გადაჭრის დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი შეფასება შეფარდებითი ხასიათისაა, კერძოდ, ჩვენ ვადგენთ -- კანონი ზოგადია თუ სპეციალური არა საერთოდ (აბსტრაქტულად), არამედ მეორე სისხლის სამართლის კანონთან მიმართებაში. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა (განზრახ მკვლელობა) ზოგადია 110-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ შემადგენლობასთან მიმართებაში (მკვლელობა მხვერპლის თხოვნით); ასევე, 333-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) ზოგადია 335-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ შემადგენლობასთან მიმართებაში (ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) და სხვ. ყველა მსგავს შემთხვევაში სპეციალურ ნორმას პრიორიტეტი აქვს ზოგადთან მიმართებაში.

გარეგნულად, ერთი შეხედვით, კანონთა კონკურენცია ემსგავსება დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობას, რადგან ორივე შემთხვევაში აღგილი აქვს ერთი ქმედების შეფასებას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით არის გათვალისწინებული, მაგრამ ამავე დროს, მათ შორის არსებითი სხვაობაცაა. კერძოდ, დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის დროს დამნაშავე ერთი ქმედებით რამდენიმე დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს, რაც შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით საჭიროებს კვალიფიკაციას, რადგან არც ერთი კანონი არ მოიცავს

ჩადენილ ქმედებას მთლიანობაში და იგი სწორად შეიძლება იქნეს შეფასებული მხოლოდ რამდენიმე მუხლის ერთობლივად გამოყენებით. კანონთა კონკურენციის დროს კი პირიქით, საკონკურენციო კანონების ერთობლივად გამოყენება დაუშვებელია, რადგან ამ დროს მხოლოდ ერთი დანაშაულია ჩადენილი და მოსჭირნებით ერთობლიობასთან გვაქვს საქმე. მართალია, ეს ქმედება რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ კვალიფიკაცია მხოლოდ ერთი მათგანით უნდა მოხდეს, რომელიც ყველაზე სრულად ახასიათებს ჩადენილი ქმედების სოციალურ და იურიდიულ არსს.

§6. დანაშაულის რეციდივი

რეციდივის ცნება განმარტებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში, რომლის მიხედვით დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განსრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განსრახი დანაშაულის ჩადენას.

რეციდივი დანაშაულის სიმრავლის ყველაზე მძიმე ფორმაა. ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლის პირველსავე საბჭოურ კოდიფიკაციებში ვხვდებით რეციდივის ცნებას სხვადასხვა ტერმინოლოგიით და შინაარსობრივი დატვირთვით. კანონმდებლის ყურადღება ამ ინსტიტუტის მიმართ განპირობებული იყო იმით, რომ ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო სადამსჯელო ღონისძიების სერიოზულად შეცვლა, რადგან რეციდივი პიროვნების მახასიათებელ ნიშნად ითვლებოდა და არა ქმედების. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით რეციდივი ახასიათებს არა დამნაშავეს, არამედ დანაშაულს და მისი ცალკეულ სახეებად კლასიფიკაცია ემყარება დანაშაულის კატეგორიებს. რეციდივის ფორმით დანაშაულთა სიმრავლის დროს, რეციდივი ყოველი ახალი დანაშაულის მიმართ ცალკე უნდა დადგინდეს, რადგანაც რეციდივის სახეები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან დანაშაულის კატეგორიების მიხედვით.

რეციდივის ცნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უფრო კონკრეტიზებულია და შეზღუდულია. საკანონმდებლო ფორმულის მიხედვით, რეციდივს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მხოლოდ განზრახ დანაშაულთა ჩადენისას. გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, თუნდაც რამდენიმე ნასამართლობა რეციდივს არ ქმნის. რეციდივად მხოლოდ განზრახი დანაშაულის აღიარება სიახლეა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ამავე დროს, დანაშაულის

რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია კანონით გათვალისწინებული წესით. საკითხის ასე გადაწყვეტა შეესაბამება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის და ჰუმანიზმის პრინციპებს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში გათვალისწინებულია რეციდივის სამი სახე: მარტივი რეციდივი, საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივი.

ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს განზრახი დანაშაულის კატეგორიები და ნასამართლობის (მსჯავრდების) რაოდენობა. რაც უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულია ჩადენილი, მით უფრო ნაკლები რაოდენობის ნასამართლობაა საკმარისი ქმედების საშიში და განსაკუთრებით საშიშ რეციდივად აღიარებისათვის.

1. მარტივ რეციდივად ჩაითვლება ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენა წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ. მაშასადამე, მარტივ რეციდივს ადგილი ექნება მაშინ, როცა პირველი განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლობის შემდეგ, მის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე პირი მინიმუმ მეორე განზრახ დანაშაულს ჩაიდენს. მარტივი რეციდივი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებში იშვიათად არის გათვალისწინებული როგორც დამკვალიფიცირებელი ნიშანი. კერძოდ, ასეთია სსკ-ის 216-ე, 219-ე და 338-ე მუხლებით გათვალისწინებული კვალიფიციური შემადგენლობები. სხვა შემთხვევებში, სახელდობრ, როცა ნასამართლობა მაკვალიფიცირებელ ნიშნად არ არის მითითებული ამა თუ იმ შემადგენლობაში, მაშინ რეციდივი მხედველობაში იქნება მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს. კერძოდ, სასჯელის ვადა დანაშაულის რეციდივის დროს არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადის ნახევარზე ნაკლები.

2. საშიშ რეციდივად ჩაითვლება, როდესაც:

ა) წინათ განზრახი დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას.

ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული;

გ. განსაკუთრებით საშიშ რეციდივად ითვლება, როდესაც:

ა) წინათ განზრახი ნაკლებად მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა

ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული,რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას;

ბ) წინათ განზრახ მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ მსჯავრდებულმა ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული;

გ) წინათ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივი სისხლის სამართლის კოდექსის მოცულ რიგ მუხლებში მითითებულია როგორც დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანი. ასეთია მაგალითად, სსკ 177-186-ე მუხლებით აღწერილი შემადგენლობები. სხვა შემთხვევებში ისინი მხედველობაში მიიღებიან სასჯელის დანიშვნის დროს.

მე-17 მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი. რეციდივის დროს სასჯელის ინდივიდუალიზაციის წესი დადგენილია სსკ-ის 58-ე მუხლით.

ამრიგად,ამა თუ იმ ქმედების რეციდივად აღიარება განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, კერძოდ, ეს არსებით გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე (ამა თუ იმ შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი გარემოების სახით) სასჯელის დანიშვნისა და მისი მოხდის წესისა და პირობების განსაზღვრაზე (სასჯელის დანიშვნის წესი,მისი მოხდის რეჟიმი და სხვ).

დანაშაულის რეციდივი განსხვავდება დანაშაულის სიმრავლის სხვა სახეებისაგან. სახელდობრ,თუ დანაშაულთა ერთობლიობის დროს ქვეშა მასში შემავალი დანაშაული ერთ-ერთი მათგანისათვის განაჩენის გამოტანამდე არის ჩადენილი,რეციდივის დროს იგულისხმება,რომ მეორე დანაშაული ჩადენილია წინა დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ. მაშასადამე, რეციდივის დროს ერთი დანაშაული მეორისაგან გათიშულია მსჯავრდების მომენტით. ნასამართლობის ნიშნით რეციდივი ხოგჯერ არაერთგზისი დანაშაულისგანაც განსხვავდება, თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიმრავლის ეს ორი სახე ერთმანეთს ემთხვევა. გარდა ამისა, რეციდივი მხოლოდ განზრახი დანაშაულის ნიშანია. იგი გულისხმობს ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის არსებობას, მაშინ როცა, დანაშაულთა ერთობლიობაში შეიძლება შედიოდეს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაული. არაერთგზისი დანაშაულისაგან განსხვავებით,რეციდივის დროს შესაძლებელია როგორც ერთგვაროვანი, ისე არაერთგვაროვანი

დანაშაულის რამდენჯერმე განხორციელება. რეციდივი, დანაშაულის სიმრავლის სხვა სახეებისაგან ასევე განსხვავდება სასჯელის დანიშვნის წესით.

იურიდიულ ლიტერატურაში რეციდივის ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის გარდა, ცნობილია სხვა სახეებიც, როგორიცაა: საერთო რეციდივი, სპეციალური რეციდივი, პენიტენციური რეციდივი და სხვ.

§7. რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2004 წლის 24 ივნისს დაემატა 17[1] მუხლი – რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი. აღნიშნული მუხლიდან ირკვევა, რომ რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განსრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც სუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.

როგორც სსკ 17[1] მუხლის შინაარსიდან ირკვევა რეკეტი დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულის ინსტიტუტების მიჯნაზე დგას. სახელდობრ, რეკეტის განმარტების თანახმად დამნაშავე უნდა მოქმედებდეს არაერთჯერადად და ორგანიზებულად. „არაერთჯერადობა“ ამ შემთხვევაში ნიშნავს სულ მცირე ორჯერ მოქმედებას მაინც, ხოლო „ორგანიზებული საქმიანობა“ გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მოქმედებას, რაც განსაზღვრულია სსკ 27-ე მუხლის მესამე ნაწილით. ამრიგად, „არაერთჯერადობა“ და „ორგანიზებულობა“ რეკეტის ცნების თანაბარმნიშვნელოვანი კონსტიტუციური ნიშნებია. ამავე დროს, სსკ კერძო ნაწილი 181-ე და 224[1] მუხლებში რეკეტს ითვალისწინებს, როგორც ორგანიზებული დანაშაულის სახეს. ორივე მუხლში რეკეტი ორგანიზებული დანაშაულის ნიშნით უნდა წავიკითხოთ, თუმცა ეს დანაშაულები სისხლის სამართლის კანონით დაცულ სხვადასხვა ინტერესს ხელყოფენ.

საზოგადოდ რეკეტი გამძიმებულ ნიშნავს, თუმცა ჩვენი კანონმდებლობით ის გამძიმების იდენტური არ არის. მე-17[1] მუხლის მიხედვით ნებისმიერი თუნდაც არაძალმომრეობითი მოქმედების ორჯერ მაინც ჩადენა სარგებლის მიღების მიზნით შეიძლება შეფასდეს რეკეტად, რაც

არ უნდა იყოს მართებული, რამეთუ რეკეტის ბუნება ძალმომრეობითი მოქმედების განხორციელებას გულისხმობს. რეკეტისათვის პასუხისმგებლობის შემოღებით კანონმდებლის მიზანი იყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება. ამის დასტურია 2005 წლის 20 დეკემბრის კანონიც ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ ჩნდება ლოგიკური შეკითხვა, რატომ მოათავსა კანონმდებელმა 17¹ მუხლი დანაშაულის სიმრავლის ფორმებს შორის და არა ჯგუფური დანაშაულის სახეებს შორის?

აშშ რიკოს კანონი საიდანაც ტრანსფორმირებული იქნა მე-17¹ მუხლი, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონის ნაწილს წარმოადგენს. რიკოს კანონი დანაშაულის ახალ შემადგენლობას კი არ ქმნის, არამედ ჩამოთვლის იმ ქმედებებს (35 დანაშაული), რომელთა ჩადენა ორჯერ ან მეტჯერ ათი წლის განმავლობაში შეიძლება შეფასდეს რეკეტულ საქმიანობად და იწვევს ამ კანონის ამოქმედებას. ეს კი ნიშნავს პასუხისმგებლობის გამკაცრებას იმ პირთათვის, რომლებმაც ადრეც ჩაიდინეს დანაშაული და წარმოადგენენ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს. ათი წლის განმავლობაში განმეორებული დანაშაულები უნდა მიეკუთვნებოდეს პრედიკატულ დელიქტების ჯგუფს, უნდა ახასიათებდეთ ურთიერთკავშირი და უწყვეტობა. ამრიგად, რიკოს კანონით განსაზღვრული დელიქტები დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთან და არსებობდეს ამ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება. მაშასადამე, რიკოს კანონი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრების შეზღუდვას პრედიკატული დელიქტების ობიექტური ნიშნების საფუძველზე იწყებს.

ჩვენი კანონმდებლობით რეკეტის პრედიკატულ დანაშაულთა წრე დაკონკრეტებული არ არის, თუმცა შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების მიზანი გარკვეულწილად ზღუდავს ამ ქმედებათა წრეს. კერძოდ, განსახილველ დანაშაულის არაერთგზისი ჩადენა რეკეტად რომ ჩაითვალოს, იგი მიზნად უნდა ისახავდეს სარგებლის მიღებას და უნდა განხორციელდეს ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში. მართალია, ქმედების მიზანი ავიწროებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრებს, რადგან აქ შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღებაა გადამწყვეტი რეკეტის დასაბუთებისათვის, მაგრამ ამ ჩამოთვალში საკმაოდ ბევრი დანაშაული მოხვდება, რომელიც რეკეტის ბუნებას არ შეესაბამება (მაგალითად, ქურდობა, ფულის გათეთრება, ქრთამის აღება და

სხვა). უფრო მეტიც, ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ თუნდაც ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა შეიძლება შეფასდეს რეკიდივად, რაც ორგანიზებული დანაშაულის ბუნებას ნამდვილად არ შეესაბამება. როგორც ვხედავთ, რეკიდივის შემადგენელ ქმედებათა წრეს ნაწილობრივ ზღუდავს „სარგებლის მიზანი", მაგრამ ეს პრობლემას ვერ ხსნის. ამ კანონის თავისუფალი ინტერპრეტაცია მისი ფაროდად გამოყენების წინაპირობას ქმნის. ამიტომ მიზანშეწონილია ჩვენმა კანონმა რეკიდივისათვის პასუხისმგებლობის ფარგლების შეზღუდვა ობიექტური ნიშნებით დაიწყოს, კერძოდ, იმ დანაშაულთა ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთებით, რაც დააფუძნებს რეკიდივისათვის პასუხისმგებლობას. ჩვენი შეხედულებით, რეკიდივის შემადგენელი ქმედებების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთებას უნდა დაემატოს მითითება სასჯელის გამკაცრებაზე, თუ ქმედებას რეკიდივი დაჯგუფების წევრი სჩადის. დღეს არსებული მდგომარეობით რეკიდივი ზოგგან ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანია, ზოგგან კი სასჯელის ინდივიდუალიზაციის საშვალება. ალბათ აჯობებდა ამაზე დათქმა სსკ მუ-17[1] მუხლშივე გაკეთებულიყო. ცალკე პრობლემაა რეკიდივისა და ქურდული სამყაროს წევრის საქმიანობის გამიჯვნა, ასევე პრობლემურია რეკიდივისა და დანაშაულის სიმრავლის ფორმების გამიჯვნა. ამაზე ჩვენს კანონმდებლობაში პასუხი არ არის.

XVI თავი

სასჯელის ცნება და მიზნები

§1. სასჯელის ცნება და ნიშნები

სასჯელი, დანაშაულის მსგავსად, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. ამ ძირითად ცნებებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. სასჯელი სახელმწიფოს რეაქციაა ჩადენილ დანაშაულზე. თუ ქმედება საზოგადოდ არ იწვევს სასჯელის შეფარდებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ქმედება დანაშაული არ არის.

სასჯელი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიებაა. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ იგი იძულებით ხასიათითა და ხარისხით აღემატება სხვა სახის სახელმწიფო იძულების ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, სამოქალაქო-სამართლებრივი სამართალდარღვევისათვის, დისციპლინური გადაცდომისათვის.

სასჯელი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ისეთი ქმედებისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით მიჩნეულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებად, ე.ი. დანაშაულად. ნათელია, თუ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, მას არ შეიძლება შეეფარდოს სასჯელი.

სასჯელი შეიძლება დაინიშნოს სახელმწიფოს სახელით მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სახელმწიფოს სახელითაა გამოტანილი და რომლითაც დამნაშავედ მიჩნეულ პირს სასჯელი განესაზღვრა, ნიშნავს ოფიციალურად სახელმწიფოს შეფასებას დანაშაულისა და დამნაშავისა. აქედან ნათელია, რომ სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის სახელმწიფო გაკიცხვას.

სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებისაგან განსხვავებით, სასჯელი იწვევს განსაკუთრებულ სამართლებრივ შედეგს – ნასამართლობას. ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა დაიშვება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებში და წესებით.

სასჯელს აქვს მკაცრად პერსონალური ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასჯელი შეეფარდება მხოლოდ დამნაშავეს და არა სხვა პირს. სასჯელი,დამნაშავის ნებისმიერ გაკიცხვასთან ერთად,მისთვის ერთგვარი ტანჯვის მიყენებას, მისი პირადი თუ ქონებრივი უფლებების შეზღუდვასაც გულისხმობს (მაგალითად, პირადი თავისუფლების აღკვეთა, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ.). ყოველი სასჯელი,მეტად თუ ნაკლებად,დაკავშირებულია ასეთ ტანჯვასთან,შეზღუდვასთან. თუ დანისძიება,რომელიც ამ მომენტს არ შეიცავს, თავისი არსით სასჯელი არ არის. სწორედ ამის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა სამართლიანად უარი თქვა სასჯელის ისეთ სახეზე, როგორიცაა საზოგადოებრივი გაკიცხვა. საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი გაკიცხვა მდგომარეობდა სასამართლოს მიერ დამნაშავისათვის გაკიცხვის საჯაროდ გამოცხადებაში, რაც საჭირო შემთხვევაში ეცნობებოდა საზოგადოებას პრესის საშუალებით. სამართლიანად აღნიშნავენ ლიტერატურაში,რომ თავისი შინაარსით ეს დანისძიება უფრო მეტად წარმოადგენდა საზოგადოებრივი ზემოქმედების დანისძიებას, რადგან ასეთ შემთხვევაში დამნაშავის უფლებები ფაქტობრივად არაფრით არ იყო შეზღუდული. თუმცა ტანჯვა სასჯელის აუცილებელი ელემენტია,მაგრამ იგი სასჯელის მიზანი არ არის.

ამრიგად, სასჯელის ცნება ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ასე განვსაზღვროთ:

სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული დანისძიება,რომელიც ინიშნება სასამართლოს განაჩენით და შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს და გამოიხატება ამ პირისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლების ჩამორთმევასა ან შეზღუდვაში.

§2. სასჯელის მიზნები

I. სასჯელის დახასიათება მისი არსის დადგენით არ შემოიფარგლება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სასჯელის მიზნების დადგენას, ე.ი. იმ ფაქტობრივი შედეგების განსაზღვრას, რომელთა მიღწევას ცდილობს სახელმწიფო დამნაშავის გაკიცხვისა და სასჯელის შეფარდებით.

მოძღვრება სასჯელის მიზნების შესახებ ერთ-ერთი მეტად სადისკუსიო საკითხია სისხლის სამართლის ისტორიასა და თანამედროვე თეორიაში. რუსი კრიმინალისტი პროფ. ნ. ტაგანცევი ამას იმით ხსნიდა, რომ სასჯელის შეფარდება ყოველთვის წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც პირობადებულია წარსულით და სათავალავში დებულობენ მომავალს. ამის გამო იგი სასჯელს ადიარებდა იანუსად, რომელიც გამოისახებოდა სხვადასხვა მხარეს მიმართული ორი პირსახით. ვინაიდან სასჯელი წარსულს შეეხება, ამიტომ იგი წარმოადგენს შურისძიებას, უმეტესად რეფლექტორულ და არა მიზანშეწონილ აქტს. სახელმწიფოს ამ აქტს აიძულებს თავად პიროვნების თვისებები ან ადამიანთა ყოფაცხოვრების გარკვეული კანონები. სწორედ ამის გამო სასჯელი სახელმწიფოს გარდაუვალი მოვალეობაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასჯელი იმავდროულად მომავლისკენაა მიმართული, იგი განსაზღვრული მიზნების მიღწევის საშუალებაა.

შინაარსის და მიზნების ასეთი გაორმაგების კვალობაზე სასჯელის შესახებ თეორიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. თეორიები, რომლებიც წარსულისკენაა მიმართული და სასჯელს მხოლოდ შურისძიებად მიიჩნევენ, 2. სამაგიეროს მიზღვევის თეორია და თეორიები, რომლებიც მომავალისკენაა მიმართული და აქცენტს აკეთებენ სახელმწიფოს მიზანშეწონილ საქმიანობაზე (სარგებლიანობის თეორია).

სასჯელის შეფასებითი თეორიების კლასიფიკაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაყოფად ითვლება მათი დაყოფა აბსოლუტურ და მიმართებით თეორიებად.

სასჯელის აბსოლუტურ თეორიებს სასჯელის საფუძვლად მიანდათ რაიმე აუცილებელი (აბსოლუტური) საწყისი, რომელიც დამოუკიდებელია პრაქტიკული მიზნებისა და ინტერესებისაგან. ამ თეორიების მიხედვით, დამნაშავის დასჯის საფუძველი მხოლოდ ის გარემოებაა, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და ამით დაარღვია რაც აბსოლუტური საწყისი. სასჯელი თვითმიზანს წარმოადგენს, იგი დანაშაულის აუცილებელი შედეგია. მისი აღსრულება კაცობრიობის უმაღლესი კანონია. სამართალი უნდა აღსრულდეს, თუგინდ ქვეყანაც დაიღუპოს.

მრავალრიცხოვანი აბსოლუტური თეორიებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ თეოლოგიური თეორიები, კერძოდ სასჯელის რელიგიური (კანონიკური) თეორიები, ამ თეორიების წარმომადგენლები დანაშაულებრივ ქმედებას ცოდვად, ღვთაებრივი ნების დარღვევად თვლიდნენ. ასეთი დარღვევის შემდეგ ღმერთთან შესარიგებლად მხოლოდ ერთი საშუალებაა. ეს საშუალება არის სასჯელი. დანაშაული, როგორც ცოდვილი ქმედება, მოითხოვს აუცილებლად დასჯას. ამ

თეორიებით სასჯელი ვერ ჩაითვლება ბოროტებად დამნაშავისათვის, რადგანაც იგი სასჯელის საშუალებით უბრუნდება ტკლესიის წიაღს. სასჯელის საფუძველი ღვთის ნებისყოფაშია, ამ ნებისყოფის გამოსყიდვის აუცილებლობაში.

სასჯელის აბსოლუტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია კანტი, რომლის თვალსაზრისით ბოროტება მოითხოვს ბოროტებით გამოსყიდვას, მხოლოდ თანასწორობის პრინციპით მიზღვას შეუძლია განსაზღვროს სასჯელის ზომა და მოცულობა. მას მიაჩნდა, რომ სისხლის სამართლის კანონი კატეგორიულ იმპერატივს წარმოადგენს. სასჯელის ერთადერთი საფუძველი სამართლიანობის განხორციელებაა. უამისოდ ვერ იარსებებს სახელმწიფო. ცდა იმისა, რომ დაასაბუთონ სასჯელი რაიმე პრაქტიკული, უტილიტარული ამოცანებით, იგი კატეგორიული იმპერატივის მიღწევის საშუალებად გადაიქცევა. ადამიანი კი სინამდვილეში გონიერი არსებაა, რომელიც ნებისყოფის თავისუფლებითაა დაჯილდოებული და ამიტომ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მიზანი თავისთავად. სამართლიანობა კანტს უზენაეს და უმაღლეს ღირებულებად მიაჩნდა. ამის გამო კატეგორიობა რომ დარღვეული ყოფილიყო თავის დაღუპვაში, მას ღღეს უნდა დაესაჯა ყველა დამნაშავე, წინააღმდეგ შემთხვევაში დარღვეული სამართლიანობა აღუდგენელი დარჩებოდა.

აბსოლუტურ თეორიებს მიეკუთვნება აგრეთვე ჰეგელის თეორია. ჰეგელისათვის დანაშაული ნიშნავს სამართლის უარყოფას, ხოლო სასჯელი უარყოფის უარყოფაა, ე.ი. – სამართლის აღდგენა. სასჯელის საფუძვლად შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს საზოგადოების დაცვის ამოცანა ან მომავალ დანაშაულთა წინასწარი აცდენა, ან დამნაშავის გამოსწორება. სასჯელის ამოცანაა დანაშაულის დარღვევით სამართლის აღდგენა.

სასჯელის მიმართებითი თეორიები სწორად არ მიიჩნევენ აბსოლუტური თეორიების ძირეულ ოპისებს. მიმართებითი თეორიის მიმდევართა აზრით, სასჯელის საფუძველი არის არა რაიმე აბსოლუტური საწყისი, არამედ განსაზღვრული პრაქტიკული მიზნები. სასჯელი ხორციელდება არა იმიტომ, რომ ჩადენილია დანაშაული, არამედ იმისათვის, რომ წინასწარ თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა. მათ განსხვავებული აზრი ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ რა მეთოდით უნდა განხორციელებულიყო ახალ დანაშაულთა ჩადენის საწინააღმდეგო ამოცანა (დაშინება, გამოსწორება). გარდა ამისა, სხვადასხვა აზრი არსებობდა იმ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელებულიყო ახალ დანაშაულთა

თავიდან აცდენის ამოცანა. ესენი უნდა ეთვალისწინონ თავად დანაშაულის ჩამდენი თუ სხვა პირები?

დაშინების თეორიებისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. ფსიქოლოგიური იძულების თეორია, ეს თეორია დააყრდნო გერმანელმა კრიმინალისტმა ანსელმ ფოიერბახმა. ამ თეორიის მიხედვით, მოტივებს, რომლებიც ამოძრავებენ ადამიანს დანაშაულის ჩასადენად, სახელმწიფოს უნდა დაუპირისპიროს სხვა, უფრო ძლიერი მოტივები. ამ მოტივებმა შეიძლება შეაჩეროს ის პირი, რომელიც ემზადება დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, რაც უფრო მკაცრია სასჯელი, მით უფრო მეტი შანსი არსებობს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამიტომ ფოიერბახი კანონით განსაზღვრული სანქციების მომხრე იყო. იგი სასჯელთა ფართო ჩარჩოს დაუშვებლად თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ პოტენციურ დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მისთვის მიყენებული ბოროტება. ამასთან, მას მისთვის ხელსაყრელი გაანგარიშების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ფოიერბახის დაშინების თეორიის დებულებები ასახა მის მიერ შედგენილ ბავარიის 1813 წლის სისხლის სამართლის კოდექსში.

წინამდებარე სახელმძღვანელოს შესწავლილი ფარგლები შესაძლებლობას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით გავაშუქოთ სასჯელის მიზნების პრობლემა, ამის გამო შემოვიფარგლებით მიზნების შესახებ იმ საკანონმდებლო დებულებების განხილვით, რომელსაც შეიცავდა საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და შეიცავს საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის რედაქცია საფუძველს იძლეოდა დასკვნისათვის, იმდროინდელი კოდექსი ერთდროულად სასჯელის მიზნად ისახავდა როგორც სამაგიეროს მიზღვას, ისე მსჯავრდებულის აღზრდა-გამოსწორებას. მიზღვის პრინციპის დასადასტურებლად მოუთითებდნენ ხსენებული მუხლის საწყის ფრაზაზე: „სასჯელს როდია მხოლოდ დასჯა დანაშაულისათვის". მოტანილი ეს ფრაზა მრავალ ავტორს საფუძველს აძლევდა ემტკიცებინა, რომ იმდროინდელი კანონმდებლობა სამაგიეროს მიზღვას სასჯელის ერთ-ერთ მიზნად თვლიდა.

საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია".

სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, პირველადაა უშუალოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებული. სამართლიანობის ცნება ეთიკიდან მომდინარეობს. სამარ-

თლიანობას,როგორც ეთიკურ კატეგორიას,ახასიათებს განსაზღვრული თანაფარდობა ადამიანთა შორის სიკეთისა და განაწილების თვალსაზრისით,ახასიათებს თანაფარდობა ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს, მის ქმედებასა და სამაგიეროს მიზღვას შორის, ეს უკანასკნელი კერძო შემთხვევაა თანაფარდობისა დანაშაულსა და სასჯელს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლიანობის აღდგენა გამოიხატება იმაში, რომ დაცულ იქნეს პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო დანაშაულებრივი ქმედებისაგან. ადამიანს, რომელიც საკუთარი ეგოისტური მიზნებისათვის ზიანს აყენებს სხვას, უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მისი ასეთი საქციელი დასჯელი არ დარჩება. დამნაშავეს მოუბრობიან იმ კანონით, რომელიც თავად დაიმსახურა. არსებითად სასჯელი სიკეთეა, რადგანაც ანგუნებს დამნაშავეს მისი უგონო ნებისყოფის არარაობას და მიმართულია გონიერების დაფუძნებისაკენ. სასჯელი თავისებური საშუალებაა, რომელიც სამართლიანობის აღდგენისკენაა მიმართული.

სასჯელის შემდეგ მიზნად კანონში დასახელებულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. დანაშაულის თავიდან აცილება მოიცავს კერძო (სპეციალურ) და ზოგად გაფრთხილებას (პრევენციას). სპეციალური გაფრთხილება გამოიხატება მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში. ეს კი მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, მსჯავრდებულისათვის ისეთი პირობების შექმნით, რაც გამორიცხავს სასჯელის მოხდისას ახალი დანაშაულის ჩადენას. კერძოდ, დამნაშავის იზოლაციაა ხელს უშლის მას ისევ ჩაიდინოს დანაშაული. ამავე მიზანს ემსახურება, მაგალითად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ამ სასჯელს სასამართლო იმ შემთხვევაში ნიშნავს, როდესაც დანაშაული ან თანამდებობასთან დაკავშირებით, ან შესაბამისი საქმიანობის ასრულების დროს არის ჩადენილი. ნათელია, ამ საქმიანობისაგან ჩამოშორება ფაქტობრივად აღუკვეთავს მსჯავრდებულს შესაძლებლობას, განმეორებით ჩაიდინოს ანალოგიური დანაშაული. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სასჯელებზე.

სასჯელის ზოგადი პრევენციის (გაფრთხილების) მიზანია სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის აცდენა. ეს მიზანი ხორციელდება არა მარტო სასჯელის შეფარდებით, არამედ ადრეც, სასჯელის მუქარის დაწესებით. სასჯელის მუქარა თავისთავად აფრთხილებს მოქალაქეს, არ ჩაიდინოს დანაშაული. ოფით გამოქვეყნება სისხლის სამართლის კანონისა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობასა და შესაბამის სასჯელს ითვალისწინებს, მოქალაქეებს უქმნის მართებული ქცევის მოტივებს. ზოგისათვის ის ფაქტიც საკმარისია, რომ კანონმდებელი შესაბამის ქმედებას უარყოფითად აფასებს, ზოგიერთზე

სასჯელის მუქარა დაშინებით ზეგავლენას ახდენს. სასჯელის ზოგადი პრევენციის მიზანი ხორციელდება აგრეთვე სასჯელის შეფარდებისას. ეს კი საზოგადოების წევრებს უწყენებს, რომ კანონმდებლის მიერ გამოცხადებული სასჯელის მუქარა ლიტონი სიტყვა კი არაა, არამედ მუქარა რეალობად იქცევა იმისათვის, ვინც სასჯელის მუქარას საოგალავში არ მიიღებს და კანონს მაინც დაარღვევს.

მსჯავრდებულზე ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელაღსრულების კანონმდებლობით. ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში.

XVII თავი

სასჯელთა სისტემა და სახეები

§1. სასჯელთა სისტემა

სასჯელთა სისტემა არის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სასჯელთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობით.

სასჯელთა სისტემის შედგენა მჭიდროდ უკავშირდება კანონიერების პრინციპს: „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე". ამიტომ სასჯელთა სისტემა შედგება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სასჯელებისაგან. სასჯელთა სისტემაში გათვალისწინებულ სასჯელთა ჩამონათვალი ამომწურავია და სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა აქვს. სასჯელთა სისტემა აგებულია შემდეგი პრინციპით: ჯერ დასახელებულია მსუბუქი სასჯელები, შემდეგ კი უფრო მძიმე სასჯელები. ამით სასამართლოს საშუალება ეძლევა, სწორად მოახდინოს სასჯელის ინდივიდუალიზაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელები ქმნიან სასჯელთა სისტემას:

ა) ჯარიმა;

ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;

ვ) თავისუფლების შეზღუდვა;

ზ.) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ი) ქონების ჩამორთმევა.

რაც შეეხება ოურიდიული პირისათვის გათვალისწინებულ სასჯელებს, ისინი ჩამოთვლილია ხაქ. სსკ 107-ე მესამე პრიმ მუხლში.

სასჯელთა ამგვარი სისტემა ჰუმანიზმის და სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციის დადასტურებაა. ამ პრინციპების გამოხატულებაა აბსოლუტურად განუსაზღვრელი და აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციების, როგორც წესი, გაუქმება. სისხლისსამართლებრივი რეპრესიის განხორციელების პირობებშიც კი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელთა ორ ჯგუფს: ძირითად და დამატებით სასჯელებს. ძირითადი სასჯელი გამოიყენება დამოუკიდებლად და არ შეიძლება მისი სხვა სასჯელებთან შეერთება. ასეთებია: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ამიტომ მათ შეიძლება შეერწყას ტიპის სასჯელებიც გუ წოდოთ.

დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, დანაშაულისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით. იგი დამატებითი სასჯელია, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქონების კონფისკაცია ანტიკონსტიტუციურ სასჯელად იქნა მიჩნეული (თუმცა ქონების ჩამორთმება ამ მხრივ მაინც სხვაა).

სუბიექტის მიხედვით (ანუ იმ პირთა მიხედვით, ვის მიმართაც გამოიყენება სასჯელი) სასჯელები შეიძლება დაიყოს საერთო და სპეციალურ სასჯელებად.

საერთო სასჯელები გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირის მიმართ (მაგალითად, ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა), ხოლო სპეციალური სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მსჯავრდებულთა განსაზღვრული კატეგორიის მიმართ (მაგალითად სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეს).

ფორმისა და შინაარსის მიხედვით სასჯელები პირობით შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

ა) სასჯელები, რომლებიც იწვევენ მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას (მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვა, თავისუფლების ვადიანი და უვადო აღკვეთა).

ბ) სასჯელები, რომლებიც არ უკავშირდება მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას (მაგალითად, ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო).

ხანგრძლივობის მიხედვით სასჯელები შეიძლება ასევე პირობითად ასე დაიყოს:

ა) ვადიანი ანუ რიცხა წინასწარ არის განსაზღვრული სასჯელის სახე და ვადა (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა).

ბ) სასჯელები, რომელთა გამოყენება მოითხოვს სასჯელის სახისა და ზომის დადგენას (მაგალითად, ჯარიმა).

სასჯელთა ამგვარი სისტემა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლოების მიერ კანონიერების პრინციპის განხორციელებას და სასჯელის გამოყენებისას გამორიცხავს თვითნებობის შესაძლებლობას, ამავე დროს ხელს უწყობს სასჯელის ინდივიდუალიზაციას და სამართლიანი პასუხისმგებლობის განხორციელებას.

ქვემოთ დავახასიათებთ სასჯელთა ცალკეულ სახეებს:

ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომელიც ინიშნება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესი (იხ. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლი).

ჯარიმა ისტორიულად კომპოზიციის პრინციპის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს და მას „სახლაური" ეწოდებოდა. ჯარიმა ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სასჯელი, გამოხატავს სახელმწიფოს მხრიდან პირის მიერ ჩადენილი ქმედების უარყოფით შეფასებას და მნიშვნელოვან ქონებრივ ზიანს აყენებს დამნაშავეს. იგი ფარდობად გამოიყენება როგორც ანგარებითი, ასევე არაანგარებითი დანაშაულისათვის. ჯარიმის გამოყენება დაიშვება მაშინ, როცა პირის თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის გარეშე შესაძლებელია მისი გამოსწორება.

ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად. ძირითად სასჯელად იგი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პირდაპირ არის მითითებული მუხლის სანქციაში;

ბ) თუ სასამართლო ნიშნავს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს (სსსკ-ის 55-ე მუხლი);

გ) თუ სასამართლო სასჯელის მოუხდელ ნაწილს ცვლის უფრო მსუბუქი სასჯელით (თავისუფლების აღკვეთას ჯარიმით) (სსსკ-ის 73-ე მუხლი).

ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს როგორც სავალდებულო წესით (კუმულაციურ სანქციებში), ისე ალტერნატიული ფორმით (ალტერნატიულ სანქციებში).

სასამართლომ ჯარიმა უნდა დანიშნოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჯარიმის მიმიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 ლარით. ჯარიმის მაქსიმუმი კი სსკ-ში პირდაპირ არ არის დადგენილი. კანონმდებელი უთითებს, რომ სასამართლო ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას

მხედველობაში იღებს ბადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ბრალეულის მატერიალურ მდგომარეობას, რაც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი გადახდისუუნარობა, მაშინ სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. მსჯავრდებულს, რომელიც ჯერჯერობით არიდებს თავს ჯარიმას, ეს სასჯელი შეეცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამაფრთხილებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით საქ. სსკ 42-ე მუხლის მე-6 ნაწილში გათვალისწინებული წესით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას (იხ. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლი).

მსჯავრდებულს განაჩენში მითითებული ვადით ეკრძალება მხოლოდ დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. კანონი პირდაპირ არ კრძალავს ამ ორგანოებში არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლებას. როგორც წესი, ეს სასჯელი გამოიყენება სპეციალური სუბიექტის მიმართ, როგორიცაა – საჯარო მოხელე და მასთან გათანაბრებული პირი.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ სასამართლო განაჩენში მითითებული ვადის განმავლობაში პირს უკრძალავს გარკვეულ პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. მაგალითად: პედაგოგიური, საექიმო საქმიანობის აკრძალვა.

სხვაგვარი საქმიანობის აკრძალვა სასამართლომ შეიძლება სასჯელად გამოიყენოს, თუ ის პირდაპირ უკავშირდება მსჯავრდებულის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, სამშენებლო უსაფრთხოებით წესის დარღვევისათვის პირს შეიძლება ჩამოერთვას მშენებლობის ხელმძღვანელად მუშაობის უფლება.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ძირითად სასჯელად იგი ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, თუ შე-

საბამისი მუხლით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ, დანაშაულის ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის დაუდეგრად შენახვისათვის სასამართლომ შეიძლება პირს დამატებით სასჯელად ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ან ტარების უფლება ჩამოართვას მიუხედავად იმისა, რომ 238-ე მუხლის სანქციაში იგი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

ამ სასჯელის მოხდის ვადის გამოანგარიშების წესი ასეთია:

ა) თუ ძირითად სასჯელად დანიშნულია საზოგადოებისათვის სახარგებლო შრომა ან გამასწორებელი სამუშაო, მაშინ დამატებით სასჯელად დანიშნული – თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის – ვადა გამოითანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

ბ) პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოითანგარიშება ასევე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

გ) თუ ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების შეზღუდვა, ან თავისუფლების აღკვეთა, მაშინ დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვრცელდება ძირითად სასჯელთა მოხდის მთელ ვადაზე, ხოლო ეს ვადა გამოითანგარიშება მათი მოხდის მომენტიდან;

არასრულწლოვანის მიმართ გამოიყენება მხოლოდ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, იგი ინიშნება 3 წლამდე ვადით.

§2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (იხ. საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლი).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება იყოს მოხუცის ან ინვალიდის მოვლა, ქუჩების და ზოგიერთი სხვა სამუშაო, რომელიც ძირითადად არ მოითხოვს სპეციალური ცოდნის გამოყენებას. თუმცა ზოგჯერ შეიძლება მსჯავრდებულის სპეციალური ცოდნის უსასყიდლო გამოყენებაც საზოგადოებისათვის სასარგებლოდ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ძირითადი სასჯელის სახით იმ შემთხვევაში დაინიშნება, თუ ამ სასჯელის შესახებ პირდაპირაა მითითებული შესაბამისი მუხლის სანქციაში (გამონაკლისია 55-ე, 73-ე მუხლებით გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა და ჯარიმის შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით).

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება 20-დან 400 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. თუ ჯარიმა იცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ის შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სასჯელის სახით არ შეიძლება დაენიშნოთ შემდეგი კატეგორიის პირებს:

1. I და II ჯგუფის ინვალიდებს;
2. ორსულ ქალებს;
3. ქალებს, რომლებსაც ჰყავთ 7 წლამდე შვილი;
4. საპენსიო ასაკის პირებს (ქალებს 60 წლიდან, მამაკაცები 65 წლიდან);
5. გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეებს.

თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს არიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით, ტუსაღობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის, ტუსაღობის, ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი | თავისუფლების შეზღუდვის, ტუსაღობის, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

§3. გამასწორებელი სამუშაო

1. გამასწორებელი სამუშაო სასჯელის ძირითად სახეს წარმოადგენს და გულისხმობს მსჯავრდებულის იძულებით ჩაბმას შრომაში მის ძირითად სამუშაო ადგილზე (იხ. საქართველოს სსკ-ის 45-ე მუხლი).

გამასწორებელი სამუშაოს სასჯელად დანიშვნისას გასათვალისწინებელია შემდეგი: გამასწორებელი სამუშაო არის ძირითადი

სასჯელი (გამონაკლისის სახით დამატებით სასჯელად გამოიყენება 55-ე,42-ე და 73-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

2. გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სახით დანიშვნა გულისხმობს მსჯავრდებულის შრომაში იძულებით ჩაბმას და ეს უნდა განხორციელდეს მის სამუშაო ადგილზე.

3. გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან 2 წლამდე ვადით.

4. გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მას ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში ექვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 20%-ს და არ უნდა იყოს 5%-ზე ნაკლები.

5. გამასწორებელი სამუშაო სასჯელის სახით ენიშნება შრომისუნარიან პირს, რომელსაც აქვს სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებაში მუდმივი სამუშაო ადგილი, საიდანაც უნდა დაიქვითოს განაჩენით დადგენილი თანხა.

თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს არიდებს გამასწორებელ სამუშაოს (მაგალითად თავს ანებებს სამუშაოს, სამსახურში მთვრალი ცხადდება, აგვიანებს ან აცდენს და ა.შ.), სასამართლოს შეუძლია ეს სასჯელი შეუცვალოს თავისუფლების შეზღუდვით, ტუსაღობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის, ტუსაღობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე ⌜ თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე, გამასწორებელი სამუშაოს ორი დღე ⌜ ტუსაღობის ერთი დღე, გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე ⌜ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

§4. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა სპეციალურ სასჯელებს მიეკუთვნება. იგი ინიშნება მხოლოდ ძირითადი სასჯელების სახით. სპეციალურია იმიტომ, რომ იგი შეეფარდება მხოლოდ სამხედრო პირს. ეს სპეციალური სასჯელი ერთდროულად აერთიანებს სასჯელის ორ სახეს ⌜ გამასწორებელ სამუშაოს და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, რომელიც გამოიყენება სპეციალური სუბიექტის მიმართ (იხ. საქართველოს სსკ-ის 46-ე მუხლი).

ეს სასჯელი სიახლეს წარმოადგენს სასჯელთა სისტემაში. იგი სამხედრო პირს შეეფარდება სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენისათვის. აღსანიშნავია ის, რომ თუკი სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს სხვა დანაშაულს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია გამასწორებელი სამუშაო, მას დაენიშნება სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა (და არა გამასწორებელი სამუშაო).

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ინიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.

სამხედრო მოსამსახურედ ჩაითვლება პირი, რომელიც სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე. რეზერვისტების მიმართ ეს სასჯელი არ გამოიყენება.

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 20%-ს. გარდა ამისა, სასჯელის მოხდის დროს არ შეიძლება მსჯავრდებულის დაწინაურება თანამდებობაზე, მისთვის სამხედრო წოდების მინიჭება. სასჯელის ვადა მას არ ჩაეთვლება ნამსახურობის ვადაში მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად.

§5. თავისუფლების შეზღუდვა

თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თოთხმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში – გამასწორებელ ცენტრში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით (იხ. საქ. სსკ-ის 47-ე მუხლი).

თავისუფლების შეზღუდვისას მსჯავრდებული სასჯელს იხდის სპეციალურ დაწესებულებაში – გამასწორებელ ცენტრში, სადაც მასზე ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალური სახელმწიფო ორგანოს მიერ. გამასწორებელ ცენტრში მსჯავრდებულები არ განიცდიან საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას. მათ უფლება აქვთ შეხვდნენ ახლობლებს, იყვნენ სამოქალაქო გარიგების მონაწილეები, დაუსწრებლად მიიღონ საშუალო და უმაღლესი განათლებაც. მსჯავრდებულთა ქცევაზე კი დადგენილია მკაცრი ზედამხედველობის წესები.

თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება მხოლოდ ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, მაგრამ, საზოგადოებისათვის სახარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს თა-

ვისუფლების შეზღუდვით შეცვლის შემთხვევაში, იგი შეიძლება დაინიშნოს ერთ წელზე მეტი ვადითაც.

თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული შესაბამისი მუხლის დისპოზიციაში.

თუ მსჯავრდებული ჯეროვნად თავს აარიდებს თავისუფლების შეზღუდვას (შეხვდება საეჭვო რეპუტაციის პირებს, დაამყარებს მათთან კონტაქტს, მოიხმარს ალკოჰოლს და ა.შ.), ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით ‹ განაჩენით დანიშნული თავისუფლების შეზღუდვის ვადით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით ‹ თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე ‹ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

კანონი ზუსტად ჩამოთვლის იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც არ შეიძლება თავისუფლების შეზღუდვის დანიშვნა:

1. I და II ჯგუფის ინვალიდი,
2. ორსული ქალი,
3. ქალი, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე შვილი,
4. საპენსიო ასაკის პირი,
5. გაწვეული სამხედრო მოსამსახურე.

§6. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებას. ის მსჯავრდებულები, რომლებსაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებიათ 18 წელი, მოთავსდებიან არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.

სისხლის სამართლის კოდექსი არ ჩამოთვლის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების სახეებს. ამ საკითხს არეგულირებს სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა.

თავისუფლების აღკვეთა ძირითადი სასჯელია. მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი მუხლის სანქცია პირდაპირ ითვალისწინებს მას. სასამართლოები თავისუფლების აღკვეთას ნიშნავენ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით. ეს ხდება სასჯელის ინდივიდუალ-

ობაციის დროს, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება უფრო მსუბუქი სასჯელით შეუძლებელია.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით.

ექვს თვეზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს, თუ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით იცვლება სასჯელად ადრე დანიშნული საზოგადოებისათვის სახარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო ან თავისუფლების შეზღუდვა.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, თუ მას არ შესრულებია თვრამეტი წელი, მოთავსდებიან ასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.

დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის შეჯამებისას ‹ ორმოც წელს.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (განსასჯელი, მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს, ახახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ‹ სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში- სასჯელისნახევარი.

თუ განსასჯელი (მსჯავრდებული) არეასრულწლოვანია, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს სასჯელის ნახევრაქმდე მოხდა, ხოლო დანარჩენი სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლა.

§8. უვადო თავისუფლების აღკვეთა

1999 წელს საქართველოში გაუქმდა სიკვდილით დასჯა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა სასჯელის უვადო თავისუფლების აღკვეთა.

უვადო თავისუფლების აღკვეთა არის ძირითადი სასჯელი, რომელიც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის

ჩადენისათვის. უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდა გრძელდება მსჯავრდებულის სიკვდილამდე (იხ. საქ. სსკ-ის 51-ე მუხლი).

უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული სასჯელს იხდის საპყრობილეში. მას ათავსებენ სადღეღამისო დაკავების საკანში, მკაცრი ზედამხედველობის პირობებში და მასზე ხორციელდება მუდმივი ვიზუალური კონტროლი.

სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოთვლილია იმ პირთა წრე, ვის მიმართაც არ შეიძლება ამ სასჯელის გამოყენება, ესენია:

1. პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი;

2. პირი, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი.

საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის ზემდგომი მოხდისაგან, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს სასჯელის მოხდა.

შენიშვნა: ქონების ჩამორთმევის, როგორც დამატებითი სასჯელის, კონსტიტუციურობის საკითხზე სარჩელი შეტანილია საქართველოს საკონტიტუციო სასამართლოში, რომელსაც ამ საკითხზე ჯერ არსებითად არ უმსჯელია.

XVIII თავი

სასჯელის დანიშვნა

§1. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

თანამედროვე ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება ნაციონალურ კანონმდებლობაში გულისხმობს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას იმ საბაზისო პრინციპების გათვალისწინებას, რომელიც ადამიანის უფლებათა 1789 წლის დეკლარაციასა და 1950 წლის ევროპულ კონვენციაშია ასახული. აღნიშნულის შესაბამისად, მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომელი დანაშაულია ინკრიმინირებადი და რა სასჯელია სოციალურად აუცილებელი. სასამართლო სახელმძღვანელოს სასჯელის სახეს, ვადას პირის დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში.

ევროპულ საბაზისო პრინციპებს ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის I ნაწილი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი სასჯელის დანიშვნის წესის განსაზღვრისას. სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ლიბერალური პრინციპიდან გამომდინარე, უარს ამბობს სასტიკ და უჩვეულო სასჯელებზე, არაჰუმანურ და არაადამიანურ მოპყრობაზე და მართლმსაჯულებას სთავაზობს ისეთ სასჯელებს, რომლებიც შეიძლება დაგაჯგუფოთ ორი ნიშნით. ნაწილი სასჯელებისა, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას უკავშირდება (ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა) და მეორე ნაწილი, რომელიც მისგან განსხვავებულია (ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შესწორება).

მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული პენოლოგიური მრავალფეროვნებისა, რაც ტრადიციული სასჯელების (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის, ჯარიმის, გამასწორებელი სამუშაოს) გვერდით მრავალ ალტერნატიულ სახეს (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა) ითვალისწინებს, სასჯელის დანიშვნისას საკანონმდებლო დირექტივის სახით დადგენილია სამართლიანობის, კანონის წინაშე თანასწორო-

ბის, სასჯელის გარდაუვალობის და დამნაშავის პიროვნების ზედმიწევნით ცოდნის პრინციპები.

სასჯელის ბუნების განსაზღვრისას, სასჯელის მიზნიდან გამომდინარე, უნდა გიხელმძღვანელოთ ზოგადი პრევენციის მოთხოვნით. სასჯელმა ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულის სოციალურ ადაპტაციას.[1] სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სასჯელთა მრავალფეროვანი სახეებიდან სასამართლომ უნდა შეარჩიოს ის სასჯელი, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მსჯავრდებულის სოციალურ რეაბილიტაციას, მის ნართვას საზოგადოების ცხოვრებაში. კარგია ის სასჯელი, რომელიც აკმაყოფილებს გაკიცხვას და დანაშაულის პრევენციის მოთხოვნებს.

რაც შეეხება სამართლიანი სასჯელის დანიშვნის პრინციპს, რომელიც, სასჯელის მიზნიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის ზოგადი და მთავარი საწყისია, უფრო ფართოა. სამართლიანობა გულისხმობს სასჯელის გამოყენებას აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში და მის შერჩევას მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით, რეციდივის რისკის შემცირებით. აღნიშნული პრინციპი მოიცავს კანონის წინაშე თანასწორობასა და სამაგიეროს მიზღვას. ვფიქრობთ, სამართლიანობის პრინციპი ყველაზე ნათლად აისახება სასჯელის ზომაში. სამაგიეროს გადახდის მოტივით უნიშნავენ დამნაშავეს განსაზღვრული სასჯელის ზომას. სამართლიანი სასჯელი ის არის, რომელსაც კონკრეტული დამნაშავე იმსახურებს (სასჯელის ინდივიდუალიზაცია). სამართლიანობის პრინციპის სისხლისსამართლებრივი დირებულება, სასჯელის დანიშვნის დროს, სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული არ არის, რაც მოსამართლეს თითქოს მეტ თავისუფლებას აძლევს. მაგრამ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ამა თუ იმ სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე უთითებს მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებებსა და მოტივებს, რაც კოდექსის ზოგად ნაწილშია დახასიათებული და რაც განაპირობებს კონკრეტული დამნაშავის მიმართ აღნიშნული სასჯელის გამოყენებას.

სასჯელის დანიშვნა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლის დადგენილ ფარგლებში ხდება და მოსამართლეს თავისუფლება მხოლოდ ამ ფარგლებში და ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით განესაზღვრება. აღნიშნული გულისხმობს დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას, ე.ი. იმის გარკვევას, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელი მუხლით (მუხ-

[1] ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. თბ., 1999, გვ. 445.

ლის ნაწილით ან პუნქტით) უნდა აგოს პასუხი დამნაშავემ. კვალიფიკაციის შემდეგ, მოსამართლე ხელმძღვანელობს კონკრეტული მუხლის სანქციით, რომელიც სასჯელის სახესა და ზომას ადგენს. სანქციების უმრავლესობა არის შედარებით განსაზღვრული, ალტერნატიული და სხვადასხვა ვარიანტებით წარმოდგენილი. მაგალითად, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხ. 142) ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით — ვადით ორ წლამდე. ამრიგად, მოცემული სანქცია სასჯელის სახის მიხედვით არის ალტერნატიული, ხოლო სასჯელის ოდენობის სახის მიხედვით — შედარებით განსაზღვრული. ამდენად, მოსამართლე შეზღუდულია იმ საკანონმდებლო დათქმებით, რაც კონკრეტული მუხლის სანქციითაა გათვალისწინებული. მოსამართლემ მითითებული სანქციის ლეგალურ ფარგლებში უნდა დანიშნოს სასჯელის სახე და ზომა. შეზღუდვა, რომელიც ამ დროს მოსამართლის არჩევანს უკავშირდება და იმპერატიული არ არის, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველ ნაწილშია გათვალისწინებული. კერძოდ, სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამ შემთხვევაში მოსამართლეს გარდაუვალად უნდა ჰქონდეს მკაცრი სასჯელის არჩევის განმაპირობებელი მოტივაცია, მით უფრო, რომ მზა საკანონმდებლო დირექტივის სახით ადნიშნულზე სისხლის სამართლის კოდექსში არაფერია ნათქვამი. ვფიქრობთ, ეს უკავშირდება სასჯელის ბუნებას და იმ ძირითად მოთხოვნებს, რაც სისხლის სამართლის ჰუმანურ პოლიტიკას ეხმიანება — თავისუფლების აღკვეთის და პატიმრობის სახით სასჯელთა გამოყენების შემცირების ტენდენციით. კანონმდებლის ზემოთ მითითებული პრინციპი უკავშირდება თავისუფლების აღკვეთისა და პატიმრობის სუბსიდიალურობას.[1] აღნიშნული სასჯელები გამოყენებული უნდა იყოს აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში სასჯარო წესრიგის დასაცავად. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება განპირობებული უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმით და სხვა სასჯელის გამოყენებისას სასჯელის მიზნის მიუღწეველობით. ამ პრინციპის დამკვიდრება ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და მართლმსაჯულებაში მიუთითებს თავისუფლების აღკვეთის შემზღუდავი ზოგადი კრიტერიუმის არსებობაზე, რაც სისხლის სამართალში მსოფლიოში მომძლავრებული თანამედროვე ტენდენციების აშკარა გამოხატულებაა. თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა 2001 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2002 წელს შემცირდა 234 პირით,

[1] იხ.: ჟან პრადელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 443.

ანუ 8,6%-ით, ასევე შემცირებულია მათი ხვედრითი წილი მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაშიც –ბ2001 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 30,4%-ს, ხოლო 2002 წელს – 28,8%-ს. გაიზარდა იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ ჯარიმა. 2001 წელს 2344 პირიდან (მსჯავრდებულთა – 26,3%) 2002 წელს – 2394 პირამდე მსჯავრდებულთა – 28,0%[1].

გამონაკლისი ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს შეუძლია გასცდეს კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ სანქციას, განსაზღვრულია სსკ-ის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნული შემთხვევებია დანაშაულთა და განანესთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა. მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საკანონმდებლო რეგლამენტაცია, კერძოდ, სსკ-ის 59-ე (სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განანესთა ერთობლიობის დროს) მუხლი აღგენს სასჯელის სახის, ვადის ან ზომის შეკრების წესს. აქვე უნდა მივუთითოთ იმ გამონაკლისზე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში – დანაშაულის თავშია და დანაშაულის რეციდივს უკავშირდება.

სსკ-ის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. თუმცა, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები უცვლელია და არსებული გამონაკლისები განპირობებულია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის კონკრეტული და ინდივიდუალური გარემოებებით. მითითებული გამონაკლისები შეეხება დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნას ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ამ დროს, რასაკვირველია, სასჯელი თითოეული დანაშაულისათვის დაინიშნება კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით და შემდგომ სასამართლო იხელმძღვანელებს საკანონმდებლო გამონაკლისებით.

სასამართლო, პირველყოვლისა, ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, ე. ი. პირის მიერ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას (სსკ-ის მე-7 – მე-10-ე მუხ.). კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დადგენის შემთხვევაში წყდება: დანაშაულის სტადიების, (სსკ-ის მე-18-21-ე მუხ.), მასში მონაწილეობის ფორმების (სსკ-ის 22-ე – 27-ე მუხ.), ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის (სსკ-ის 28 ე-38-ე მუხ.) და სასჯელის დანიშვნის საკითხები. აღნიშნული გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან

[1] იხ.: მართლმსაჯულება საქართველოში, 2002 წლის სასამართლო სტატისტიკა. თბ., 2003, გვ. 49.

გათავისუფლების პირობების საკითხების (68-ე-76-ე მუხ.), ამნისტიის აქტისა (77-ე მუხ.) და ნასამართლობის (79-ე მუხ.) შემოწმებას.

გამონაკლისი, რომელიც ასევე სსკ-ის 53-ე მუხლის მეორე ნაწილშია გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის ზოგადი წესიდან, უშვებს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას, კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებული (განსაკუთრებული გარემოების –საპროცესო შეთანხმების დადების) საფუძვლით.

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესის შესაბამისად, სასამართლო კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში, დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს კოდექსის ზოგადი ნაწილის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულ დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების მახასიათებელია (მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი), მეორე მხრივ – დამნაშავის პიროვნებისა (წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაურის ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს). 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, კანონმდებელი ცალკე ნორმების სახით არ იძლევა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების სანიმუშო ან ამომწურავ ჩამონათვალს.

ერთადერთი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც სახელდებით მიუთითა კანონმდებელმა სსკ-ის 54-ე მუხლში, არის დანაშაულის ხადენის შემდეგ დამნაშავის ბრალის აღიარებით გამოცხადება და დანაშაულის გახსნაში აქტიური ხელშეწყობა.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ის ზოგადი საკანონმდებლო მახასიათებლები დანაშაულებრივი ქმედებისა და დამნაშავის პიროვნებისა სასჯელის დასანიშნად, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში დადგენილი და დაკონკრეტებული უნდა იქნეს. აღნიშნული, ვფიქრობთ, გამართლებულია და სასამართლოს მეტ თავისუფლებას ანიჭებს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დასანიშნა სასჯელის განმაპირობებელი მოტივაციის დასასაბუთებლად და არ წარმოადგენს მხოლოდ ზემოთ მითითებული გარემოებების ფორმალურ ჩამონათვალს. დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები არსებით გავლენას ახდენენ სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით. შემამსუბუქებელი გარე-

მოქმედების არსებობისას, მაგალითად, როგორიცაა: დანაშაულის ჩადენა პირველად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო, დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანების ასაკში, ორსულობის დროს, გულწრფელი მონანიება და გამოცხადება ბრალის აღიარებით, დანაშაულის გახსნისა და სხვა დამნაშავეთა დასადგენად თანამშრომლობა გამოძიების ორგანოებთან და ხელშეწყობა, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების დაძებნა, დანაშაულით მიყენებული ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება, თუ მიყენებული ზიანის გამოსწორება დამნაშავის მიერ და ა.შ. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი, რაც სანქციის მინიმუმს უახლოვდება, ან სასჯელთა ალტერნატიული სახეებიდან, მსუბუქი სასჯელის სახე, ასევე სასამართლოს შეუძლია საპროცესო შეთანხმების დადებისას დანიშნოს შედარებით მსუბუქი სასჯელი, ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული ან პირობითი მსჯავრი.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების სახელდებით ჩამოუთვლელობამ კოდექსის ზოგად ნაწილში უარყოფითი გავლენა იქონია სასამართლო პრაქტიკაზე. ხშირია სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითება იმის თაობაზე, რომ არ არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, ანდა ზოგადად მიეთითება რომელიმე შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებაზე, რომ დამნაშავეს აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და განაჩენში არ ზუსტდება, რით დასტურდება აღნიშნული და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული სასჯელის დანიშვნის დროს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები უნდა განვასხვაოთ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტისა თუ დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშნებისაგან. (მაგალითად, სსკ-ის 121-ე მუხლი ჯანმრთელობის განსრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უქცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში). აღნიშნული მუხლით დამნაშავის ქმედების კვალიფიკაციისას, სასამართლოს მიერ შემამსუბუქებელ გარემოებად მითითება დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ძალადობაზე, მძიმე შეურაცხყოფაზე ან მის ამორალურ ქცევაზე, ვერ იქნება შემამსუბუქებელი გარემოება, რამდენადაც ის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას ქმნის. აღნიშნული შეეხება იმ მასტიმულირებელ ნორმებს, რომლებიც კონკრეტულ მუხლს უკავშირდება და პირის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლებას ან სასჯელის შემცირებას ით-

ვალისწინებს. სსკ-ის 184-ე მუხლის (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე) შენიშვნა ითვალისწინებს სასჯელის განახევრებას, თუ 24 საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფლობით, დაუზიანებლად დააბრუნებს ავტომობილს ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას. აღნიშნული მასტიმულირებელი ნორმა განმეორებით, შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილება ვერ იქნება მითითებული.

ერთადერთი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც სახელდებით მიუთითა კანონმდებელმა სსკ-ის 54-ე მუხლში, არის დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის ბრალის აღიარებით გამოცხადება და დანაშაულის გახსნაში აქტიური ხელშეწყობა.

სასჯელის დანიშვნის დროს დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები – დანაშაულის არაერთგზისობა, რეციდივი, დანაშაულის ჩადენით მძიმე შედეგების გამოწვევა, დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად, დანაშაულებრივ ქმედებაში იმ პირის ჩართვა, ვინც დაავადებულია მძიმე ფსიქიკური დაავადებით, ან მთვრალია, თუ გათვალისწინებულია კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში ან მუხლის ნაწილში როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი ან მაკვალიფიცირებელი გარემოება, სასჯელის დანიშვნისას არ შეიძლება განმეორებით იქნეს მითითებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. მაგალითად, სსკ-ის 228-ე მუხლის (მკვლელობა) მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად არაერთგზის მკვლელობას, რაც სასამართლოს მიერ გამორიცხავს არაერთგზისობის დამამძიმებელ გარემოებად განმეორებით მითითებას. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას სასამართლოს შეუძლია კონკრეტული ნორმის სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა.

§2. სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას

სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების არსებობა სასამართლოს უფლებას აძლევს დანიშნოს სასჯელი კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლის სანქციის ფარგალში, ზოგადი ნაწილის პრინ-

ცოპების გათვალისწინებით. გამონაკლისი აღნიშნული წესიდან მოცემულია სსკ-ის 54-ე მუხლში.

აღნიშნული ნორმა არ შეიცავს ზოგად წესს შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას სასჯელის დასანიშნად. კანონმდებელი მხოლოდ ისეთ კონკრეტულ შემამსუბუქებელ გარემოებაზე, როგორიცაა: ბრალის აღიარებით გამოცხადება და აქტიური ხელშეწყობა დანაშაულის გახსნაში. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის სასჯელის განსაზღვრისას, კანონის მოთხოვნაა დამამძიმებელი გარემოებების არარსებობა. ბრალის აღიარებით გამოცხადება შესაძლებელია საქმეზე წინასწარი გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე. აღნიშნული ნორმა ითხოვს არა მარტო ბრალის აღიარებით გამოცხადებას სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებში, არამედ აქტიურად ხელის შეწყობას დანაშაულის გახსნაში, რაც გულისხმობს დანაშაულში მონაწილე პირების დადგენას, დანაშაულის საგნისა და საშუალების აღმოჩენას, დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ან შედეგების თავიდან აცილებას, დახმარებას სხვა მტკიცებულებების მოპოვებაში და ა.შ.

აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას სასჯელის დანიშვნის წესი ითვალისწინებს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ყველაზე მკაცრი მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედამდე დანიშვნას. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობისათვის სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ოთხიდან შვიდ წლამდე. სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სასამართლომ დამნაშავეს სასჯელის ზომად უნდა განუსაზღვროს მაქსიმალური სასჯელის სამი მეოთხედი.

§3. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა

სსკ-ის 53-ე მუხლში სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების განსაზღვრისას, კანონმდებელი საერთო წესიდან ითვალისწინებს გამონაკლისს, რაც გულისხმობს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას. სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილი (1999 წლის რედაქციით) ითვალისწინებდა შემთხვევებს, როცა სასამართლოს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას, შეეძლო

დაენიშნა კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან კოდექსით გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, ანდა არ გამოიყენებინა დამატებითი სასჯელი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით არის გათვალისწინებული.

სისხლის სამართლის თეორიაში აზრთა სხვადასხვაობა იყო განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებების ცნების თაობაზე, რომლის დადგენის შემდეგ მოსამართლეს შეეძლო აერჩია ზემოხსენებული შემთხვევიდან ერთ-ერთი. სასამართლო პრაქტიკა, 2004 წლის 13 თებერვლის კანონით სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებამდე, სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან და დამნაშავის პიროვნებიდან გამომდინარე, შემამსუბუქებელ გარემოებებზე აკეთებენ აქცენტს. აღნიშნული სასამართლოს მეტ თავისუფლებას აძლევდა და მოითხოვდა იმის დასაბუთებას, რომ სასჯელის მიზნები შეიძლება განხორციელდეს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 2004 წლის 13 თებერვლის კანონით ასეთ განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებად კანონმდებელმა მხოლოდ საპროცესო შეთანხმება აღიარა. მისმა დამკვიდრებამ სს კოდექსში 55-ე მუხლის არაერთგზისი ცვლილება გამოიწვია. სსკ-ის 55-ე მუხლს დაემატება 11 ნაწილი, რომელიც საქმის არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანის დროს სასჯელის დანიშვნის განსაკუთრებულ წესს ადგენდა. საპროცესო შეთანხმება, კანონის პირველი რედაქციით, გულისხმობდა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ბრალდებულის დამცველისა და პროკურორის შეთანხმებას, მოსამართლეს წარუდგინოს შეამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. შეამდგომლობის წინაპირობები იყო ბრალდებულის თანხმობა, ეთანამშრომლა ბრალდების მხარესთან, ელიარებინა დანაშაულის ჩადენა და საგამძიებო ორგანოებისათვის მიეწოდებინა უტყუარი ინფორმაცია ანდა მტკიცებულებები მძიმე დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულის გახსნას. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება ჰქონდა მოითხოვა ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება. სასამართლო, სსკ-ის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ამოწმებდა სასჯელის სამართლიანობას, მას უფლება ჰქონდა დაენიშნა ამ კოდექ-

სის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის არა უმეტეს ნახევარი.

შემდგომში, 2006 წლის 28 აპრილის კანონით სისხლის სამართლის კოდექსში კვლავ განხორციელებული ცვლილებით კოდექსის 55-ე მუხლი ერთნაწილიანი გახდა. ოკანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის ზოგადი წესი უარყო და ამ საგამონაკლისო ნორმის გამოყენების შესაძლებლობა სასამართლოს მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში მისცა.

დღეისათვის სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმების საფუძველით.

სსკ-ის 55-ე მუხლით გათვალისწინებული კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა გულისხმობს, რომ სასამართლოს შეუძლია იმ სასჯელის სახის დანიშვნა, რომელიც კონკრეტული მუხლის სანქციითაა გათვალისწინებული და დადგენილ მინიმუმზე ნაკლებია. მაგალითად, სსკ-ის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილი (კრედიტის უკანონოდ მიღება), სასჯელად თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე. თუ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი ბრალდებულის მიმართ სასამართლო დაამტკიცებს პროკურორის შუამდგომლობას ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმების საფუძვლით და საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, შეუძლია დანიშნოს სასჯელი ამ მუხლის სანქციით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე – 5 წელზე ნაკლები, სამი ან ოთხი წელი, მაგრამ არა ექვს თვეზე ნაკლები. სასამართლოს არ შეუძლია სასჯელის ზომის შემცირება იმ მინიმუმზე ქვემოთ, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 50-ე მუხლის (ვადიანი თავისუფლების აღკვეთა) მე-2 ნაწილში, სასჯელის ამ სახის, ე.ი. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის. აღნიშნული დებულება ეხება სასჯელის ყველა სახეს. თუ სასამართლო მიცა იმ დასკვნამდე, რომ დამნაშავისათვის აუცილებელია სასჯელის დანიშვნა კოდექსის ზოგად ნაწილში განსაზღვრული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მინიმუმზე ქვემოთ, მაშინ უნდა დაინიშნოს სასჯელის სხვა, უფრო მსუბუქი სახე.

სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ, საპროცესო შეთანხმების დადებისას, უნდა გამოიყენოს სსკ-ის მე-40 მუხლში გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.

კანონმდებელი არ აწესებს შეზღუდვას უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა უნდა იყოს იშვიათი გამონაკლისი. კერძო ნაწილში კონკრეტული მუხლის სანქციით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სასჯელის ნებისმიერი მსუბუქი სახის, თუნდაც მაქსიმუმი ზღვარი (მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსებისას ან დაკავებისას სსკ-ის 149-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, შეიძლება დაინიშნოს ჯარიმა.). ამ მხრივ კანონმდებლობა რაიმე შემზღუდავ წესს არ ითვალისწინებს ერთი გამონაკლისის გარდა.

რაც შეეხება კოდექსის კერძო ნაწილის ნორმის სანქციაში გათვალისწინებულ სასჯელთა ალტერნატიულ სახეებს, ისინი არ შეიძლება დანიშნულ იქნეს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებისას, როგორც უფრო მსუბუქი სასჯელის სახე. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში არსებული ნორმების უმრავლესობა აღჭურვილია ალტერნატიული სანქციებით, რაც სასჯელთა ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელების საუკეთესო საშუალებაა. სასამართლომ, საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების დროს მხარეთა (ბრალმდებელს, ბრალდებულსა და მის დამცველს შორის) შეთანხმების შემდეგ, უნდა იმსჯელოს კონკრეტული მუხლის სანქციით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის ან სანქციის მინიმუმზე დაბალი სასჯელის ზომის დანიშვნაზე.

კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა მოიცავს იმ შემთხვევას, როცა კერძო ნაწილის მუხლის სანქცია, ძირითად სასჯელთან ერთად, დამატებით სასჯელს ითვალისწინებს. მაგალითად, სსკ-ის 221-ე (კომერციული მოსყიდვა) მუხლის სანქცია დამატებითი სასჯელის სახედ და არა ალტერნატივად, ითვალისწინებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ვადით სამ წლამდე. სასამართლოს შეუძლია შეამსუბუქოს სასჯელი და არ გამოიყენოს დამატებითი სასჯელის სახედ თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. თუ დამატებით სასჯელად მითითებულია როგორც ალტერნატივა, სასამართლო მისი გამოყენების საკითხს, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, წყვეტს სსკ-ის 41-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად.

§4. სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის

წინამორბედი სსკ-ისაგან განსხვავებით, მოქმედი სსკ-ით დაუმთავრებელი დანაშაულისათვის განისაზღვრა სასჯელის შემცირება. სსკ-ის 56-ე მუხლის I ნაწილი მოსამართლეს ავალდებულებს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღოს ყველა გარემოება, რამაც დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობა განაპირობა. ასეთი გარემოებანი პრაქტიკაში საკმაოდ მრავალფეროვანია, რომლებიც განპირობებულია, ერთი მხრივ, დამნაშავისაგან დამოუკიდებლად არსებულ პირობებზე, ხოლო მეორე მხრივ, თვით დამნაშავის პიროვნულ თვისებებსა და მის მიერ დანაშაულის ჩასადენად შერჩეულ საშუალებაზე, ხერხსა თუ ვითარებაზე. დანაშაულის ბოლომდე განუხორციელებლობა შეიძლება განაპირობოს, მაგალითად, თვით დამნაშავის გამოუცდელობამ, შერჩეულმა დრომ, სამართლებრივი სიკეთის საიმედოდ დაცულობამ, შერჩეული ვეგმის არაეფექტურობამ და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, ამა თუ იმ გარემოების გათვალისწინებით, შესაძლებელია პირი საერთოდ გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუკი სახეზეა სსკ-ის მე-20 მუხლში მოცემული გარემოებანი. კერძოდ, აღნიშნულ მუხლში ნათქვამია: „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი". კანონმდებელი აქ გულისხმობს აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენებას, რომლის შესახებაც დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი (XI თავი, §4). ამიტომ, ამ მუხლს დეტალურად აღარ განვიხილავთ.

2006 წლის 29 დეკემბრის კანონით სს კოდექსში შეტანილ ცვლილებებამდე, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის ვადა ან ზომის შემცირების იმპერატიული მოთხოვნისას კანონმდებელი ეცრდნობოდა დებულებას, რომლის თანახმად, დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება რაც უფრო შორსაა სამართლით დაცული ობიექტის დაზიანებისაგან, მით უფრო ნაკლებად საშიშია დანაშაული. ამ დებულების საფუძველზე დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა ყოფილიყო დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური

ვადის ან ზომის ნახევარზე, ხოლო მცდელობისათვის – სამ მეოთხედზე მეტი (სსკ-ის 56-ე მუხლის ცოტა მე-2 და მე-3 ნაწ.). 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით სსკ-ის 56-ე მუხლიდან ამოღებული იქნა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დროს სასჯელის ვადის ან ზომის განსაზღვრის სპეციალური წესები, მაგრამ შენარჩუნებული იქნა მუხლის პირველ ნაწილში არსებული ზოგადი მოთხოვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას. (დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.) ვფიქრობთ, მხოლოდ ეს ზოგადი დებულება ბევრ პრობლემას შეუქმნის სასამართლოს და პრაქტიკის არაერთგვაროვნებას გამოიწვევს.

სსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ოქვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის მოსამართლე ვერ გამოიყენებს უვადო თავისუფლების აღკვეთას. ამის შემდეგ, მას უფლება აქვს თავისუფლების აღკვეთა დანიშნოს ოქვსმეტიდან ოცი წლის ჩათვლით საკუთარი შეხედულებისამებრ.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათად არის შემთხვევები, როდესაც განხორციელებული ქმედება ერთდროულად დაუმთავრებელ და რეციდიულ დანაშაულად ფასდება. სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს რეციდიული დანაშაულის ცალკეული სახეებისათვის იმ მინიმალურ ზღვრებს, რომლის ქვეშაც სასჯელის დანიშვნა აკრძალულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ-ის 56-ე მუხლი, პირიქით, შეღავათებს აწესებდა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას.

სსკ-ის 56-ე და 58-ე მუხლების ერთდროულად გამოყენებისას სასჯელის ვადის გამოანგარიშება უნდა დაიწყოს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სსკ-ის 56-ე მუხლში გათვალისწინებული დებულებებით, რადგან კრიმინალიზაციის ობიექტი ქმედებაა, ხოლო სასჯელის დანიშვნისას, უპირველეს ყოვლისა, ქმედება უნდა შეფასდეს, ხოლო შემდეგ მხედველობაში უნდა მივიღოთ დამნაშავის პიროვნული მონაცემები. რეციდიული დანაშაული სწორედ ის ინსტიტუტია, რომელიც დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით შეიქმნა, რათა სასჯელის პრევენციულობამ მისი გამკაცრების კვალობაზე უფრო

ეფექტურად იმოქმედეს. დავუშვათ, ადრე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის (სსკ-ის 109-ე მუხლი) ნასამართლევმა ჩაიდინა შეკვეთით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობა (სსკ-ის მე-19-ე, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილი), რომლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ცხრიდან თორმეტ წლამდე ვადით. უპირველეს ყოვლისა, სსკ-ის 56-ე მუხლზე დაყრდნობით განვსაზღვრავთ სასჯელს 12 წლიდან ქვემოთ. ვთქვათ, 9 წელს. შემდეგ სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით გამოვიანგარიშებთ 12 წლის 2/3, რადგან ადგილი აქვს საშიშ რეციდივს და საბოლოო ჯამში მივიღებთ 6 წელს. მაშასადამე, მოსამართლეს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ფარგლებში შეუძლია დანიშნოს სასჯელი.

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას, რა თქმა უნდა, ასევე გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული სასჯელის დანიშვნის ზოგადი დებულებანი. დანაშაულის მომზადება და დანაშაულის მცდელობა ჩვეულებრივ თვითონ მოიცავენ რამდენიმე მოქმედებას. ამ მოქმედებათა განხორციელების ხარისხი გვიჩვენებს, თუ რამდენად შორსაა განხორციელებული ქმედება დანაშაულებრივ შედეგთან. აქედან გამომდინარე, რაც უფრო შორსაა ჩადენილი ქმედება სამართლით დაცული სიკეთის დაზიანებისაგან, უფრო ნაკლებად საშიშია იგი, რაც აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში სასჯელის დანიშვნისას. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ჩადენისას გამოყენებულ ხერხს, საშუალებასა და სხვა გარემოებებს, რომელიც მიუთითებს ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათისა და დამნაშავის კრიმინალური მისწრაფების სიმყარეზე. ამ მხრივ, საინტერესოა სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები. კერძოდ, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ... მხედველობაში უნდა მიიღოს ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და ა.შ.

დაბოლოს, სამართლებრივი სიკეთის ღირებულების, ქმედების განხორციელებისას ფაქტობრივად მიყენებული ზიანის, ქვეყანაში არსებული ვითარების, ჩადენილი ქმედების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის ადამიანი შეიძლება საერთოდ გავათავისუფლოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობ-

ის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ნამდვილის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე".

§5. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისა და დანაშაულის ამსრულებლობისათვის

2000 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის კონკრეტული წესი არ არსებობდა. სასჯელის დანიშვნა ხდებოდა სისხლის სამართლის კანონში არსებული ზოგადი წესების შესაბამისად. ეს წესები სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებდა თითოეული თანამონაწილის თუ ამსრულებლის დანაშაულში მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს. სსკ-ის 57-ე მუხლი თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას უთითებს შემდეგ ძირითად გარემოებებზე: დანაშაულის ჩადენაში ყოველი მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხზე, დანაშაულის მიზნის მისაღწევად ამ მონაწილეობის მნიშვნელობაზე, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე.

აღნიშნული გარკვევით მიუთითებს თითოეული თანამონაწილის ინდივიდუალურ დასჯას. სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს თანამონაწილის როლი დანაშაულის ჩადენაში, გამოარკვიოს, იყო ის ორგანიზატორი-ხელმძღვანელი, წამქეზებელი, დამხმარე თუ ამსრულებელი და შეაფასოს თითოეული მათგანის როლი. ამასთან, სასამართლო არკვევს თითოეული თანამონაწილის თუ ამსრულებლის ჩადენილ დანაშაულში ფაქტობრივ მონაწილეობის აქტიურობის ხარისხს, მის წვლილს დანაშაულის განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა თანამონაწილეთა მიმართ ერთი, ან სხვადასხვა სახის სანქციები სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლებისა, სასჯელის განსაზღვრის საფუძველი არის ინდივიდუალური მიდგომა. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი თანამონაწილე ასრულებს განსაზღვრულ როლს დანაშაულის ჩადენაში, სასამართლო სასჯელს დანიშნავს თითოეული პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით, გაარკვევს თანამონაწილის ქმედების მნიშვნელობას დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად და გავლენას გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე. ამდენად, რამდენიმე პირის მონაწილეობა ერთი დანაშაულის ჩადენაში არ გამორიცხავს

არა მარტო სხვადასხვა კვალიფიკაციას, არამედ სხადასხვა სახისა თუ ზომის სასჯელსაც კი. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შედარებით მკაცრად ისჯება ამსრულებელი და ორგანიზატორი. წამქეზებლისა და დამხმარის როლი, როგორც წესი, განისაზღვრება ნაკლებად საშიშად, რამდენადაც ისინი არ იღებენ უშუალო მონაწილეობას თვით დანაშაულში. ამდენად, მათ შეიძლება დაენიშნოთ უფრო მსუბუქი სასჯელი ორგანიზატორთან და ამსრულებელთან შედარებით.

სსკ-ის 57-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები მხოლოდ იმ თანამონაწილის ან ამსრულებლის მიმართ, რომელსაც აღნიშნული გარემოება შეეხება. მაგალითად, პირი არასრულწლოვანია ან ჰყავს ხუთ წლამდე ასაკის შვილი, ან წარსულში დანაშაულისათვის არაერთხელ არის ნასამართლევი. ეს გარემოება შეეხება დანაშაულში თანამონაწილე კონკრეტულ პიროვნებას და მხედველობაში ვერ იქნება მიღებული დანარჩენი თანამონაწილეების მიმართ სასჯელის განსაზღვრისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისას და ამსრულებლობისას ეფუძნება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს და შესაძლებელს ხდის, ერთი დანაშაულისათვის ყოველ თანამონაწილეს დაენიშნოს როგორც ერთნაირი, ასევე სხვადასხვა სასჯელი, რაც ყოველთვის უნდა ემყარებოდეს ინდივიდუალურ მიდგომას.

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სასჯელის დანიშვნისას ცალკე შეეხებით ამსრულებლის ექსცესის საკითხს, რომელიც ასახულია დანაშაულში თანამონაწილეობის თავში (26-ე მუხ.). პასუხისმგებლობა და სასჯელი ამსრულებლის ექსცესის დროს ეკისრება მარტო ამსრულებელს, რომელმაც შეასრულა ისეთი ქმედება, რომელიც დანარჩენი თანამონაწილეების ან თანაამსრულებლების განზრახვით არ იყო მოცული. სხვა თანამონაწილენი თუ თანაამსრულებლნი პასუხს აგებენ მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომელიც დაიგეგმა ერთობლივად და მოცული იყო მათი განზრახვით. მაგალითად, ბინაში შეღწევით ქაჯადობისას დამნაშავეთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, დანაშაულის დაფარვის მიზნით, მოკლა სახლში შემთხვევით მყოფი ოჯახის ახლო ნათესავი. მისი ქმედება, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტთან ერთად, დაკვალიფიცირდება სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, დანაშაულთა ერთობლიობით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებისა – სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ე.ი. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებლები არ დაისჯებიან.

§6. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს

დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესი პირველად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დარეგულირდა. სსკ-ის 58-ე მუხლი განსაზღვრავს რეციდივის, საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხებს.

რეციდივის არსებობისას სასჯელის დანიშვნის კონკრეტულ წესს კანონმდებელი არ გვთავაზობს, თუმცა უთითებს, რომ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი (სსკ-ის 17-ე მუხ.). სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი ადგენს ამ საფუძველსა და ფარგლებს. ამ მუხლის I ნაწილი შეიცავს იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელიც მხედველობაში მიიღება რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას. ესენია: წინათ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა და სიმძიმე, გარემოებანი, რომელთა გამოც წინათ დანიშნული სასჯელთა გამაფრთხილებელი ზემოქმედება არასაკმარისი აღმოჩნდა, ასევე ახლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. კანონის აღნიშნული მითითებანი წარმოადგენს საფუძველს სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.

კოდექსმა დაამკვიდრა ფორმალური საზღვრები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ სასჯელის დასანიშნად რეციდივის ყოველი სახის არსებობისას. რაც უფრო საშიშია რეციდივი, მით მეტად მაღალია პირისათვის დასანიშნი სასჯელის ვადა. დანაშაულის რეციდივის დროს, სასჯელის ვადა არ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ნახევარზე ნაკლები, საშიში რეციდივის დროს – ორ მესამედზე ნაკლები, ხოლო განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს – სამ მეოთხედზე ნაკლები.

თუ პირი ერთდროულად რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის სამართლდება, მაშინ საბოლოო სასჯელი დანაშაულთა ერთობლიობით ინიშნება სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, ის არ შეიძლება იყოს იმ ზღვარზე ქვემოთ, რაც დადგენილია სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რეციდივის ნებისმიერი სახისათვის.

§7. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს

1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელი დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესს 59-ე და მე-60 მუხლებში ცალ-ცალკე განსაზღვრავდა. 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით, სისხლის სამართლის კოდექსიდან მე-60 მუხლი ამოღებულ იქნა და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესი კანონმდებელმა 59-ე მუხლით განსაზღვრა. ე უარეყოფილი იქნა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით სასჯელთა შეკრების სპეციალური წესები და როგორც სასჯელთა, ასევე განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელთა დანიშვნის ერთიანი წესი იქნა დამკვიდრებული. ოკერძოდ, დანაშაულთა ერთობლიობის დროს თითოეული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები საბოლოო სასჯელის დასანიშნად იკრიბება, ისევე როგორც განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ემატება წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილი.

სსკ-ის 59-ე მუხლით განსაზღვრულია სასჯელის დანიშვნის წესი დანაშაულთა რეალური ერთობლიობის დროს, როცა სს კოდექსის მუხლით (ან მუხლის ნაწილით) გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენისას, პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა რეალური ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის. აღნიშნული წესი ვრცელდება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე. ეს საშუალებას აძლევს სემდგომი ინსტანციის სასამართლოებს, განაჩენში თითოეულ მუხლთან დაკავშირებული ცვლილების შეტანისა, ასევე, ამნისტიის აქტის გამოყენებისა, როცა ის ვრცელდება განაჩენში მითითებულ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე დანაშაულზე ან როცა ერთი დანაშაულისათვის ხდება სასჯელისაგან გათავისუფლება და სხვა დანაშაულისათვის სასჯელის განახევრება ან შემცირება და სხვა.

სსკ-ის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის ზოგადი წესის შესაბამისად, სასამართლო თითოეული დანაშაულისათვის დამნაშავეს დაუნიშნავს სასჯელს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით, კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგალში. აღნიშნულის შემდეგ, სასამართლო, სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, დანიშნავს საბოლოო სასჯელს დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ-ის 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით დანაშაულთა ერთობლიობისას, დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, დადგენილი სასჯელთა შთანთქმისა და ნაწილობრივი შეკრების პრინციპით საბოლოო სასჯელის გამოთვლის წესი კანონმდებელმა უარყო და მხოლოდ შეკრების წესი გაითვალისწინა.

სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას მაქსიმალური ვადა დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს (სსკ-ის 52-ე მუხ.). სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებისას დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ამ სასჯელის სახის მაქსიმალურ ვადას ან ზომას. მაგალითად, სასამართლომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს დამნაშავეს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით შეუფარდა თავისუფლების შეზღუდვა ორი წლით, ხოლო სსკ-ის 182-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მითვისება გაფლანგვისათვის – თავისუფლების შეზღუდვა სამი წლით. სასამართლომ საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით და თავისუფლების შეზღუდვისათვის განსაზღვრულ მაქსიმალურ ხუთ წელს არ უნდა გადაამეტოს. ამრიგად, ჩვენს მაგალითში საბოლოო სასჯელის ვადა დანაშაულთა ერთობლიობისას გამოყენებული მთლიანი შეკრების წესით იქნება 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგივე წესი გამოიყენება განაჩენთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში.

სასამართლოს მიერ დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელად ჯარიმის დანიშვნისას სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ განსაზღვრავს განსხვავებულ წესს. აღნიშნული კი პრობლემას შექმნის სასამართლო პრაქტიკაში, რამდენადაც სასჯელის ისეთ სახესთან როგორიცაა ჯარიმა კოდექსის 42-ე მუხლში მაქსიმალური ოდენობა მითითებული არ არის. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის სახედ გამოყენებული ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ჯარიმის ოდენობების მთლიანი შეკრებით, რაც სამართლიანი სასჯელის განსაზღვრის პრინციპს ეწინააღმდეგება.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც თითოეული დანაშაულისათვის, ძირითად სასჯელთან ერთად, ინიშნება დამატებითი სასჯელი. დანაშაულთა ერთობლიობის დროს ძირითად

სასჯელთან ერთად დანიშნული დამატებითი სასჯელის შეკრების წესი განსაზღვრულია 59-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმად შეჯამების შემდეგ საბოლოო დამატებითი სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისათვის კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ვადას ან ზომას. დანაშაულთა ერთობლიობის დროს დამატებითი სასჯელი ინიშნება შემდეგნაირად: თუ დამატებითი სასჯელი არ იყო დანიშნული არც ერთი იმ დანაშაულისათვის, რომელსაც მოიცავს ერთობლიობა, მაშინ ის არ დაინიშნება არც საბოლოო სასჯელად. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე სახის დამატებითი სასჯელი ინიშნება დამოუკიდებლად ორი ან მეტი დანაშაულისათვის, მისმა ზომამ ან ვადამ დანაშაულთა ერთობლიობის დროს არ უნდა გადააჭარბოს იმ მაქსიმალურ ზომას ან ვადას, რაც გათვალისწინებულია დამატებითი სასჯელის ამ სახისათვის სსკ-ის ზოგად ნაწილში. დამატებითი სასჯელის სახედ გამოყენებული ჯარიმის შეკრებისას სასამართლო იმავე პრობლემას წააწყდება, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

დანაშაულთა ერთობლიობისას თითოეული დანაშაულისათვის სხვადასხვა სახის დამატებითი სასჯელის (მაგალითად, ერთი დანაშაულისათვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მეორე დანაშაულისათვის ჯარიმა და ა. შ.) დანიშვნისას თითოეული სასჯელი დამოუკიდებლად მიუერთდება ძირითად სასჯელს და აღსრულდება.

ზემოაღნიშნული წესის მიხედვით მოხდება სასჯელის დანიშვნა იმ შემთხვევაშიც, როცა: სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი ედება სხვა დანაშაულის ჩადენაში, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა.

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. ამ პრინციპს გამოიყენებს პირველი განაჩენით მსჯავრდებული პირის მიერ, მისჯილი სასჯელის სრულ მოხდამდე ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საბოლოო სასჯელის დასანიშნად. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ფაქტობრივად მოიხადა მსჯავრდებულმა სასჯელი, თუ თავი აარიდა მის მოხდას, გადაეცადა განაჩენის აღსრულება, თუ განაჩენი არ აღსრულდა მისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ. 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით კოდექსში საბოლოო სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულია მხოლოდ სასჯელის მთლიანი შეკრების პრინციპი. ამასთან,

სასჯელის მთლიანი შეკრების წესი განსხვავებულია. კერძოდ, ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს სასამართლო მთლიანად უმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. აღნიშნული წესის მიხედვით, საბოლოო სასჯელის ვადა ან ზომა, თუ იგი თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქია, არ უნდა აღემატებოდეს სასჯელის მოცემული სახისათვის სსკ-ის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ვადას ან ზომას, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში კი – 40 წელს. (სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 მაწილი). თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები – განაჩენთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის დანიშვნისა შთანთქმის პრინციპით. მაგალითად, რიცა განმეორებითი დანაშაულის ჩადენისას სასამართლო ნიშნავს მაქსიმალურ სასჯელს – უვადო თავისუფლების აღკვეთას, რაც სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციითაა გათვალისწინებული. პირველი განაჩენით მისჯილი სასჯელიდან პირს მოუხდელი აქვს ხუთი წელი. ამ შემთხვევებში სასამართლო ფაქტობრივად იყენებს შთანთქმის პრინციპს, რამდენადაც შეუძლებელია მთლიანი შეკრების პრინციპის გამოყენება, უვადო თავისუფლების აღკვეთა შთანთქავს პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს – ხუთ წელს.

მთავარი დათქმა, რომელიც კანონმდებელმა გააკეთა, არის ახალი დანაშაულის ჩადენა წინა განაჩენის გამოტანის შემდეგ. როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სრულ მოხდამდე, მოუხდელ სასჯელად ითვლება: პატიმრობაში მყოფი პირის მთლიანი მოუხდელი სასჯელის ვადა, წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის მთლიანი ვადა, გადავადებული სასჯელი ორსული ქალისათვის ან ქალისათვის, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი, ვადამდე პირობით გათავისუფლებული პირისათვის შეფარდებული სასჯელის ვადა. მე-59-ე მუ მუხლი არ ვრცელდება სასჯელის მოხდისაგან ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლების შემთხვევებზე (სსკ-ის 607-ე მუხ.), რადგან ასეთი გათავისუფლება უპირობოა. მხოლოდ ახალი დანაშაულისათვის დაინიშნება სასჯელი პირველი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან წინა განაჩენით დანიშნულ სასჯელზე ამნისტიის აქტის გავრცელების შემთხვევებში.

სსკ-ის მე-50 მუხლის მე-4 ნაწილში მოცემული შეზღუდვის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს. მაგალითად, ვ. იხდიდა სასჯელს ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენისთვის (სსკ-ის 260-ე მუხ. III ნაწ. „ბ“ ქვეპუნქტი). მას მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა 8 წელი, რიცა თა-

ართველის ადგილზე ხნებისას მსჯავრდებული ნ. მოკლა (სსკ-ის 108-ე მუხ.), რის შემდეგ ის სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, გაიქცა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან (სსკ-ის 379-ე მუხ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვეპუნქტი) და ჩაიდინა ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხ. მე-3 ნაწ. „ბ“ ქვეპუნქტი). ვ. დააკავეს და გაასამართლეს. მას სასამართლომ სსკ-ის 108-ე მუხლით განუსაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განუსაზღვრა 29 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელს სამართლომ სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპით, დაუმატა პირველი განაჩენით მისჯილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 37 წლით. (საბოლოო სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთა 37 წელი მეტია, როგორც ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ 29 წლით თავისუფლების აღკვეთაზე, ისე წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილზე – 8 წლით თავისუფლების აღკვეთაზე. თუმცა, ამ პრინციპის გამოყენების საჭიროებაზე კანონმდებელი ახალი ცვლილებების შემდეგ არაფერს ამბობს).

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იქო გასული ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის. სასჯელის მოხდის ვადა გამოთვლება მეორე განაჩენის გამოტანის მომენტიდან, ხოლო თუ ბოლო დანაშაულის გამო პირს აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, მაშინ – დაპატიმრების დღიდან. აღნიშნული წესი გრცელდება იმ შემთხვევაზეც, როცა პირი პირველი განაჩენით სხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსით იქნა მსჯავრდებული.

განაჩენთა ერთობლიობისას დამატებითი სასჯელის მიერთება ხდება იმავე წესით, რომელზეც დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის გამოთვლისას მივუთითეთ. კერძოდ, წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი დამატებითი სასჯელი მიეერთდება ახალი განაჩენით დანიშნულ იმავე დამატებით სასჯელს. საბოლოო დამატებითი სასჯელი განისაზღვრება იმ ფარგლებში, რაც ამ სახის

სასჯელისათვის არის კოდექსით დადგენილი. სხვადასხვა სახის დამატებითი სასჯელის აღსრულება მოხდება დამოუკიდებლად.

§9. სასჯელთა შეჯამება

დანაშაულთა ერთობლიობისას ან განაჩენთა ერთობლიობის დროს, სასჯელთა შეჯამებისას სხვადასხვა სახის სასჯელების თავისუფლების აღკვეთასთან შესაბამისობის საკითხი გათვალისწინებულია სსკ-ის 61-ე მუხლში. ამ მუხლიდან ჩანს, რომ კანონმდებელმა სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე – თავისუფლების აღკვეთა- აირჩია სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის სახეების შესაბამისობის განსასაზღვრად. ამდენად, შეჯამებისას მკაცრი სასჯელის სახე ვერ შეიცვლება სასჯელის უფრო მსუბუქი სახით. კანონის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე შეესაბამება თავისუფლების შეზღუდვის ორ და გამასწორებელი სამუშაოს სამ დღეს. მაგალითად, ხულიგნობისათვის პირს (სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწ.) სასამართლომ მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის (სსკ-ის 121-ე მუხლით) – თავისუფლების შეზღუდვა ერთი წლით. დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, მსჯავრდებულს შეიძლება დაენიშნოს ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის ძირითადი სახეები, რომელთა შესაბამისობის წესი თავისუფლების აღკვეთასთან კოდექსით არ არის განსაზღვრული, აღსრულდება დამოუკიდებლად.

სასჯელის სახეები: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა თავისუფლების შეზღუდვასთან ან თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში გამოიყენება დამოუკიდებლად.

რაც შეეხება დამატებით სასჯელს, ერთი სახის დამატებითი სასჯელები მთლიანად ან ნაწილობრივ იკრიბება.

§10. სასჯელთა შჯამება, სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელთა შეცვლა

1. დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება:

ა) თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე;

ბ) გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე;

დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი.

2. ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა თავისუფლების შეზღუდვასთან მიმატების შემთხვევაში გამოთქვენება დამოუკიდებლად.

დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს დგება სხვადასხვა სახის სასჯელის შეჯამების საკითხი. სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ სასჯელთა სისტემით გათვალისწინებული სასჯელის სხვადასხვა სახეები ერთობლიობის დროს არ შეიძლება შეუერთდეს ერთმანეთს ან ერთი სახის სასჯელი შეცვლილ იქნეს სხვა სახის სასჯელით. შესაბამისობის ცნება შემთხვევაში უფრო მკაცრი სასჯელის სახე – თავისუფლების აღკვეთა შეიერთებს ნაკლებად მკაცრ სასჯელებს და არა პირიქით.

კონკრეტულად, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება თავისუფლების შეზღუდვის ორი და გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე; თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 8 საათი. მაგალითად, სასამართლომ სსკ-ის 180-ე მუხლის I ნაწილით (თაღლითობა) ჯ-ს შეუფარდა გამასწორებელი სამუშაო ერთი წლით, ხოლო სსკ-ის 181-ე მუხლის I ნაწილით (გამოძალვა) – თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელთა შეჯამების პრინციპის გამოყენებით, სასამართლომ მსჯავრდებულს განუსაზღვრა სამი წლითა და ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთა.

სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლი არ განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობას ძირითადი სასჯელის ისეთ სახეებთან, როგორიცაა: ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სსკ-ის 42-ე და 43-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება სსკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ წესს ჯარიმის ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თავისუფლების შეზღუდვასთან, თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში, გამოიყენება დამოუკიდებლად.

კოდექსში მოცემული სასჯელთა შეჯამების წესი უნდა განვასხვაოთ დანიშნული სასჯელის ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელთა შეჯამება და სასჯელთა შეცვლა ერთი შეხედვით მსგავსია — მათ აბსოლუტურად განსხვავებული საფუძველი აქვთ. თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობის დადგენა პატიმრობისას, თავისუფლების შეზღუდვასთან, გამასწორებელ სამუშაოებთან ხორციელდება სასჯელის დანიშვნის წესით, განაჩენის გამოტანისას. ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა თავისუფლების შეზღუდვასთან ან თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში, გამოიყენება დამოუკიდებლად.

§11. პირობითი მსჯავრი

პირობითი მსჯავრი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლითაა დარეგულირებული, ფრანკო-ბელგიური ინსტიტუტია და ის განსხვავდება ანგლო-ამერიკული პრობაციისაგან. პრობაციის ინსტიტუტის პრინციპი შემდეგია: სისხლის სამართლის წესით დევნილი პირის მიმართ არ იქნება განაჩენი გამოტანილი, მაგრამ იგი ექვემდებარება სპეციალურ მეთვალყურეობას, ე.ი. მოსამართლეს არ გამოაქვს განაჩენი, იგი კმაყოფილდება ბრალდებულის ბრალის აღიარებით და ზოგიერთი სამართლიანი ვალდებულების მითითებით, რომელთა შესრულება ბრალდებულს თავიდან აცილებს განაჩენის გამოტანას. პრობაცია მოიცავს განაჩენის გამოტანის გადავადებასაც.[1]

პირობითი მსჯავრი ახალი ინსტიტუტია. ის გასული საუკუნის ბოლოსათვის აღმოცენდა. პირობითი სასჯელისას გადავადდება სასჯელის აღსრულება უკვე გამოტანილი განაჩენის მანახმად, ხოლო პრობაცია გადაავადებს სასჯელის გამოტანას (განაჩენი არ იქნება გამოტანილი). პირობითი სასჯელი გავრცელებულია რომანულ-გერმანული ოჯახის თითქმის ყველა ქვეყანაში. პირობითი სასჯელის პრინციპი

[1] იხ. ჟან პრადტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 432.

სასჯელის ინდივიდუალიზაციაა და ქმნის უსამართლო სასჯელების გამოყენების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსში პირობითი მსჯავრი სასჯელის კარშია შეტანილი, თუმცა ცალკე – XII თავად არის გამოყოფილი, რაც გარკვეულწილად სადავოს ხდის საკითხს იმის თაობაზე, რომ პირობითი მსჯავრი განხილულ იქნეს როგორც სასჯელი. აღნიშნული საკითხი ასრთა სხადასხვაობას იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში. ზოგიერთი ავტორის აზრით, პირობითი მსჯავრი განიხილება როგორც სასჯელის მოხდის განსაკუთრებული წესი, რომლის დროსაც განაჩენი არ აღსრულდება. ეს დებულება ვერ უძლებს კრიტიკას სასჯელის აღუსრულებლობის ნაწილში. ოპონენტთა აზრით, თუ პირობითი მსჯავრის დროს განაჩენი არ აღსრულდება, მაშინ რატომ ითვლება პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნასამართლევად. ამასთან, პირობითი მსჯავრის დროს შესაძლებელია დამატებითი სასჯელის დანიშვნა და თუ განაჩენი არ აღსრულდება, როგორ მოხდება დამატებითი სასჯელის რეალიზება? ზემოთქმულ და მრავალ სხვა მიზეზთა გამო, კოდექსში არაფერია ნათქვამი განაჩენის აღუსრულებლობაზე. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი ინერციით ხშირად გამოიყენება.

ავტორთა მეორე ჯგუფის თვალსაზრისით, პირობითი მსჯავრი არის განაჩენის აღსრულების გადავადება, ე.ი. სასჯელი განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ უნდა აღსრულდეს.

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს სისხლის სამართლის კოდექსით აქვს არა მარტო აღმზრდელობითი ხასიათი, არამედ ის კერძო და ზოგადი პრევენციის მიზნის მიღწევის საშუალებაცაა. პირობითი მსჯავრის გამოყენებისას უნდა გამოვიდეთ როგორც მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის, ასევე მისი ან სხვა პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პრინციპიდან. ამასთან, პირობითი მსჯავრის მიზანია სოციალური სამართლიანობის აღდგენა.

ლიტერატურაში დავაა თვით ტერმინთან დაკავშირებითაც. უცხო ქვეყნების იურიდიული ლიტერატურიდან თარგმნის შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინი „პირობითი სასჯელი“, სისხლის სამართლის როგორც ძველი, ისე მოქმედი კოდექსი იყენებს პირობით მსჯავრს. რიგი ავტორების აზრით, უმჯობესია ტერმინი – „სასჯელის პირობით გამოუყენებლობა“.

2006 წლის 29 აპრილის კანონით განხორციელებულ ცვლილებების შესაბამისად, სსკ-ის 63-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის გამოყენების საფუძველია საპროცესო შეთანხმება.

საპროცესო შეთანხმება სისხლი სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, გულისხმობს სასჯელზე ან ბრალზე შეთანხმების საფუძველით სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ბრალდებულის, მისი დამცველისა და პროკურორის მონაწილეობას მოსამართლეს წარუდგინოს შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. ბარც სასჯელზე და არც ბრალზე შეთანხმება კანონის დღეს მოქმედი რედაქციით (სსკ-ის 6791-ე მუხლი) არ საჭიროებს ბრალდებულის მხრიდან საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, მაგრამ თუ საპროცესო კოდექსში მითითებულ ერთ საფუძველს –ბრალის აღიარებას თავისთავად საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობასთან გავაიგივებთ ე.ი. როცა ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და თანამშრომლობს გამოძიებასთან, მაშინ იგულისხმება შეთანხმება მხოლოდ ბრალის აღიარების საფუძველით. ანალოგიურ წესს მიუთითებს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილში კანონი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახედ გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს უფლებას ანიჭებს განაჩენით დადგენილი სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დადასტურების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას შეუძლია დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობითად. (რაც შეეხება საპროცესო გარიგებას სასჯელზე შეთანხმების საფუძველით – საპროცესო კანონმდებლობა არ ითხოვს ბრალის აღიარებას და თამამშრომლობას გამოძიებასთან. აღნიშნული კი ზღუდავს სასჯელზე შეთანხმების საფუძველით დადებული საპროცესო შეთანხმებისას მოსამართლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენისდადგენისას სასჯელის პირობით ჩათვლას. ყოველივე კი იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კანონმდებელმა მეტად ბუნდოვანი ფორმულირებებით ძალზედ შეზღუდა პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის გამოყენება სისხლის სამართალში, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების შედეგია.

სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა ვრცელდება მხოლოდ განსრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენ პირზე. ჟმაგრამ საწინააღმდეგო დებულებას გვთავაზობს კანონმდებელი სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილში, სადაც ადგენს საპროცესო შეთანხმების გარდა განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გამოყენების

წესსა და ვადებს. ადნიშნული ნორმა ეთანხმება 63-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ზოგად წესს საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესახებ, მაგრამ წინააღმდეგობაშია ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან.

2006 წლის 29 აპრილის კანონით განხორციელებულ ცვლილებების შესაბამისად, სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილით ცალკე წესია დადგენილი მსჯავრდებული არასრულწლოვანის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. არასრულწლოვანის მიმართ, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს პირობითი მსჯავრი. თუმცა, კანონმდებელმა არასრულწლოვანის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხა. ადნიშნული ნორმის საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა კანონმდებელმა სსკ-ის 50-ე მუხლის მე-6 ნაწილში და ყველა კატეგორიის (მათ შორის განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლოს მისცა უფლება, განახნინოთ დაადგინოს სასჯელის ნახევრამდე მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა. წარმოდგენილი უამრავი ხარვეზის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკამ უნდა გამოიყენოს ის ყველა ნორმა კოდექსისა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობით.

მსჯავრდებულის გამოსწორება, სასამართლოს მიერ დანიშნული კონკრეტული სასჯელის გამოყენების გარეშე, შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. პირობითი მსჯავრის დანიშვნისას სასამართლომ უნდა შეაფასოს პირობითი მსჯავრის მოსალოდნელი ეფექტი. კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, პირობითი მსჯავრის დანიშვნისათვის სასამართლომ ბრალდებულისა და ბრალმდებლის შორის საპროცესო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ე.ი. თუ მსჯავრდებული აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, უნდა შეაფასოს საქმის გარემოებები და განსასჯელის პიროვნება, და თუ დაასკვნის, რომ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ბრალის ან სასჯელის აღიარების გამო დანიშნული სასჯელის მოხდა მიზანშეწონილია, ჩათვალოს ის პირობით.

სისხლის სამართლის კოდექსი პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობად აწესებს შეზღუდვებს. განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ უნდა იყოს წარსულში ნასამართლევი განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და პირობითი მსჯავრის გამოყენები-

სას დაცული უნდა იქნეს კანონით დადგენილი გამოსაცდელი ვადის ფარგლები. კერძოდ, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას – არანაკლებ ერთი და არა უმეტეს ექვსი წლისა.

პირობითი მსჯავრი გამოიყენება სასჯელის მთელი ვადის მიმართ მხოლოდ განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არის შესაძლებელი სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით. თუმცა, კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას პირობით მსჯავრად ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის ნახევრის ჩათვლას ითვალისწინებს. ასევე, აწესებს შეზღუდვებს განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულის ნადენის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ პირობითი მსჯავრად სასჯელის ჩათვლას. კერძოდ, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ერთი მეოთხედი, ხოლო მძიმე დანაშაულის ნადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი. ოკოდექსის ნორმათა შორის აშკარა წინააღმდეგობა გვაფიქრებინებს, რომ შეზღუდვები პირობითი მსჯავრად დანიშნული სასჯელის მთლიანი ვადის ჩათვლისას, მხოლოდ სასჯელის ერთ სახეს -ვადიანი თავისუფლების აღკვეთას უკავშირდება. ეს შეზღუდვები უკავშირდება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიებსაც, რაც როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სასამართლო პრაქტიკაში ფაქტობრივად გამორიცხავს უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას და გარდაუვალს ხდის სასამართლოს მიერ შესრულდეს სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები პირობით მსჯავრად ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ჩათვლისას.

პირობითი მსჯავრის დანიშვნისას სასამართლოს მიერ გამამტყუნებელ განაჩენში უნდა განისაზღვროს სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს მისი პირობით ჩათვლა და დადგინდეს გამოსაცდელი ვადა.

სსკ-ის 64-ე მუხლში მოცემული წესი გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრის (ერთი წლიდან სამ წლამდე – ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის, ხოლო ერთი წლიდან ექვს წლამდე ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას) შესახებ უპირველესყოვლისა პირობითი მსჯავრის მოსალოდნელ ეფექტს. სასამართლო განსაზღვრავს, თუ რა ვადაში

შეიძლება გამოსწორდეს მსჯავრდებული და რა ვადის განმავლობაში ინარჩუნებს ძალას განაჩენი. ამასთან, დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩაუდენლობა და დაკისრებული მოვალეობების შესრულება, არის ის სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნა, რაც ეწვევა პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის ძალის დაკარგვას.

გამოსაცდელი ვადის განსაზღვრა პირობითი მსჯავრის დროს ასრულებს ორ ფუნქციას: ამ ხნის განმავლობაში ხორციელდება აღმზრდელობითი ზემოქმედება მსჯავრდებულზე, ამასთან, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ხორციელდება კონტროლი მსჯავრდებულის ქცევაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნის მიღწევა პირობითი მსჯავრდების ფორმით.

სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის ათვლა იწყება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტიდან თუ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან – ანრთა სხვადასხაობას იწვევს. ევროპული კანონმდებლობები გამოსაცდელი ვადის ათვლას იწყებენ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან და, ვფიქრობთ, საქართველოც ამ გზით მიდის.

სსკ-ის 65-ე მუხლში ჩამოთვლილია ის მოვალეობები, რომელიც სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. კერძოდ, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი. სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც. მოვალეობების დაკისრების საკითხი სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული, თუ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, არსებობს საამისო საფუძველი. თუ სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ, 65-ე მუხლით ჩამოთვლილი მოვალეობების დაკისრება თითქმის არ ხდება სასამართლოს მიერ. ამჟამად, განაჩენში ვერ ნახავთ ვერც სხვა მოვალეობებს, რ ლებიც კანონში სახელდებით არ არის მითითებული და სასამარ ოლოს, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს. აღნიშნული ტენდენცია არასასურველია და მოითხოვს გამოსწორებას.

პირობითი მსჯავრის მოსალოდნელი ეფექტის უზრუნველსაყოფად, სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ როგორც სსკ-ის 65-ე მუხლში მო-

ცემული მოვალეობების სამაგალითო ჩამონათვალით, ასევე შეიძლება დააკისრონ სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის გამოსწორებას. მაგალითად, სასამართლოს მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და ქონის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის მსჯავრდებულ ე-სათვის სასჯელად დანიშნულ იქნა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობით გამოსაცდელი ვადით – ორი წლით. სასამართლომ განაჩენში ზოგადი მითითებით პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლი და მისი დახმარება დაავალა პრობაციის ბიუროს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საფუძველი – ე. იყო ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, სასამართლომ არ დააკისრა მას გაეცლო ნარკომანიის მკურნალობის კურსი. სააპელაციო სასამართლომ განაჩენში შეიტანა ცვლილება და მსჯავრდებულს პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის დადგენასთან ერთად, სსკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, დააკისრა ნარკომანიის მკურნალობის კურსის გაევლა.

თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაიდინა და შეასრულა კანონის მოთხოვნა, განაჩენი, რომლითაც პირობითი მსჯავრი დაინიშნა, ძალას კარგავს. პირს ნასამართლობა უქარწყლდება სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

პირობითი მსჯავრდებულის კონტროლს და მის დახმარებას ახორციელებს პრობაციის ბიურო. საქართველოს კანონის – „არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ – თანახმად, განსაზღვრულია მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პრობაციის ბიუროთა საქმიანობის წესი.

გამოსაცდელ ვადაში პრობაციის ბიუროს უფლება აქვს წარდგინებით მოითხოვოს მსჯავრდებულზე დაკისრებული მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება ან ახალი მოვალეობის დაკისრება.

სსკ-ის 67-ე მუხლით გათვალისწინებულია პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლები. ამავე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ე.წ. მასტიმულირებელი ღონისძიება ითვალისწინებს სასამართლოს მიერ, პრობაციის ორგანოს წარდგინების საფუძველზე, პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და მსჯავრდებულისათვის ნასამართლობის მოხსნას. აღნიშნული შეღავათის გავრცელება მსჯავრდებულზე შესაძლებელია გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, პრობაციის სამსახურის მიერ მსჯავრდებულის ყოფაქცევის პოზიტიურად შეფასების შემთხვევაში, რაც გულის-

ხმობს, გამოსაცდელი ვადის პერიოდში, სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას ან, თუ აღნიშნული სასამართლოს არ გამოუყენებია – მის საზოგადოებრივ და შრომით მოვალეობებს, ქცევას ოჯახში და გარეთ, მისწრაფებას – აანალიზოს ბიუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს და ა.შ. პრობაციის ბიუროს წარდგინების საფუძველზე, პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხს სასამართლო თვითონ გადაწყვეტს.

თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში თავს აარიდებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ან დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, რის გამოც მას შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი, სასამართლოს შეუძლია პრობაციის ბიუროს წარდგინებით, გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს ერთი წლისა.

გამოსაცდელ ვადაში სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობების სისტემატურად და ჯიუტად შეუსრულებლობა, რაც უნდა დაადიქსირეს პრობაციის სამსახურმა, იწვევს პირობითი მსჯავრის გაუქმებას. პირობით მსჯავრდებულის მიმართ კონტროლის განმახორციელებელი პრობაციის ბიუროს წარდგინებით, სასამართლო გადაწყვეტს განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების საკითხს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოების მიერ ითქმის არ ხდება მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული მოვალეობების დაკისრება, რაც ართულებს პრობაციის ბიუროს მიერ გამოსაცდელ ვადაში სრულფასოვანი კონტროლისა და დახმარების განხორციელებას, პირობით მსჯავრდებულის მიმართ.

თუ პირი გამოსაცდელ ვადაში ახალ, მაკრამ გაუფრთხილებლობით დანაშაულს ჩაიდენს, პირობითი მსჯავრის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო. თუ პირობით მსჯავრდებული პირის მიმართ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არ დაინიშნა თავისუფლების აღკვეთა, სასამართლომ შეიძლება ძალაში დატოვოს პირობითი მსჯავრი. ამ შემთხვევაში ნასამართლობის გაქარწყლება მოხდება არა გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, არამედ ახალი დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლის შემდეგ. თუ პირობით მსჯავრდებული პირის მიმართ გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლომ გააუქმა პირობითი მსჯავრი, მაშინ სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს სასჯელთა შეკრების წესის გამოყენებით, სსკ-ის 59-ე მუხლზე მითითებით.

თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და

დანიშნავს სასჯელს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე. ახალი განხილვა დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ დაემატება პირობითად დანიშნული სასჯელი. ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გაუქმება კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა სასამართლოების მიმართ, განსხვავებით ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული შემთხვევებისა, როცა სასამართლო ერთ შემთხვევაში პრობაციის ორგანოს წარდგინების საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითონ წყვეტს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხს.

სასამართლოს მიერ ახალი განხილვა დანაშაულისათვის სასჯელის სახედ, თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევაში, ხელმეორედ პირობითი მსჯავრის დანიშვნა არ შეიძლება. ჯამ წესიდან გამონაკლისი დაუშვა კანონმდებელმა კოდექსში 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებით. კერძოდ, გამონაკლის შემთხვევაში, პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყებებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საპროცესო შეთანხმების შესაბამისად, თუ საპროცესო გარიგების დადება მხარეებს შორის და იგი შეთანხმებულია გენერალურ პროკურორთან ან მის მოადგილესთან.

XIX თავი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება, ნასამართლობა

სისხლის სამართლის ქართულ კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ინსტიტუტის არსებობა სისხლისსამართლებრივი რეაგირების, ზემოქმედების სხვადასხვა პრინციპისა და ფორმის არსებობის გამოხატულებაა. რეაგირების ორი ფორმა, რომელიც ნორმიდან გადახრილი, ასოციალური ქცევის დასჯასა და სოციალურად სასარგებლო, გამამართლებელი ქცევის წახალისებას გულისხმობს, ყველა შემთხვევაში სამართლიანი უნდა იყოს. სისხლის სამართლის პოლიტიკის არატრადიციული ფორმა, რომელიც გამართლებული ქცევის წახალისებას გულისხმობს, სტიმულირებასა და მასტიმულირებელ ნორმებს უკავშირდება. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სისხლის სამართლის პოლიტიკა ქცევის დასჯისა თუ წახალისების საკითხს განსაზღვრავს. ვფიქრობთ, აღნიშნული სისხლის სამართლის ლიბერალიზმის განსაკუთრებული გამოხატულებაა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით იჩენს თავს კანონმდებლობაში. მაგალითად, ისეთი ვარიანტებით, როგორიცაა: დაუსჯელობა და ქმედების დანაშაულად შეურაცხყოფა გარკვეული პირობების დათქმით.

იგულისხმება სამი ეტაპი (1. დანაშაულის ჩადენიდან სასჯელის დანიშვნამდე; 2. სასჯელის დანიშვნიდან მოხდამდე; 3. სასჯელის მოხდიდან ნასამართლობის მოხსნამდე) სისტემიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად და მართლწესრიგის დასაცავად განსხვავებული მიზნების არსებობა განაპირობებს წამახალისებელი ნორმების სხვადასხვა სახის კლასიფიკაციას, რომელთაგან ზოგი წინარე პენიტენციალური სტადიის მარეგულირებელ ნორმებში გამოიხატება (დანაშაულის გახსნა, იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის კერძო ნაწილში და რომლის მიზანია საშიში შედეგების ლიკვიდაცია, შემცირება ან ნეიტრალიზება, ანდა განპირობებულია გარკვეული დანაშაულის გახსნის სიძნელით, მათი მაღალი ლატენტურობით); ზოგი თავად ამ სტადიის (დამნაშავეზე გარკვეული სახით ზემოქმედება) და ზოგიც პოსტპენიტენციალური (დამნაშავის რესოციალიზაცია) სტადიის მარეგულირებელ ნორმებს მოიცავს. სისხლის სამართლის კოდექსზე მუშაობისას კანონმდებელი აღნიშნულ კლასიფიკაციას ეყრდნობა და სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების კლასიკურ ინსტიტუტებში, ტრადიციული მასტიმულირებელი ნორმების გვერდით, ახალ წამახალისებელ ღონისძიებას გვთავაზობს (მაგალითად, სსკ-ის 69-ე მუხლი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის ჩამდენის განთავისუფლების სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საფუძვლებია: ქმედითი მოხანიება, დაზარალებულთან შერიგება, ვითარების შეცვლა, ხანდაზმულობის ვადის გასვლა. რაც შეეხება ამნისტიის აქტს, ის სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელისაგან გათავისუფლების თავშია მოცემული, ხოლო არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალების ღონისძიების გამოყენებით (სსკ-ის 90), რეგლამენტირებულია კოდექსის ცალკე თავში. აღნიშნული წარმოადგენს ერთადერთ შემთხვევას პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლებისას.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება წარმოადგენს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების (დისკრეციულ) უფლებას და არა ვალდებულებას (სსკ-ის 68-ე, 69-ე, 70-ე, 70[1], 72-ე, 73-ე, 75-ე მუხლები), მეორე შემთხვევაში – ვალდებულებას (იმპერატიული) – სსკ-ის 71-ე, 74-ე, 76-ე მუხლები.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მრავალი სახე, მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროებს სისტემატიზაციას. კოდექსში მოცემულია ამ სახეების კლასიფიკაცია ზოგად და კერძო ნაწილებში.

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მოხანიების გამო

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მოხანიების გამო ითვალისწინებს ნებაყოფლობით გამოცხადებას ბრალის აღიარებით, ხელის შეწყობას დანაშაულის გახსნაში და, რაც მთავარია, დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

ქმედითი მონანიება უნდა განვასხვაოთ ნებაყოფლობით ხელის აღებისაგან. ქმედითი მონანიება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაშინ, როცა ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მოხდეს დანაშაულის დამთავრებამდე, თუ ჩადენილი ქმედება არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი ამ შემთხვევაში არის შემდეგი: დანაშაულის პირველად ჩადენა და ჩადენილი დანაშაულისათვის მაქსიმალური სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა, ე.ი. არამძიმე დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულს მიეკუთვნება განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული. ამ კატეგორიის დანაშაულთათვის, გარდა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთისა, შეიძლება კოდექსით გათვალისწინებული იყოს ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაოები და ა.შ.

ადრე ნასამართლევის მიერ, რომელსაც ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს, ანდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა გავიდა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა ითვლება დანაშაულის პირველად ჩადენად. თუ წინათ დანაშაულის ჩამდენი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული იყო, მაგალითად, დაზარალებულთან შერიგების, ქმედითი მონანიების, ვითარების შეცვლის გამო, ახალი დანაშაულის ჩადენა ითვლება პირველად. ამდენად, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული, შესაძლებელია ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

ბრალის აღიარებით გამოცხადება კანონმდებლის მიერ განმარტებული არ არის. სისხლის სამართალში იგი ზოგადად მოიაზრება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. ის უფრო მეტად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ინსტიტუტია და განმარტებულია სსსკ-ის 28-ე, 115-ე, 263-ე, 472-ე მუხლებში.

ბრალის აღიარებით გამოცხადება ნიშნავს დანაშაულის ჩამდენის უშუალო გამოცხადებას სამართალდამცავ ორგანოებში ან სასამართლოში. თუ დანაშაულის ჩამდენს უშუალოდ არ შეუძლია (ავადმყოფობა, ტრანსპორტის უქონლობა და ა.შ.) შესაბამის ორგანოებში გამოცხადება, დანაშაულის შესახებ შეტყობინება შესაძლებელია ტელეფონით, ტელეგრაფით, ელექტრონული ფოსტით, წერილით ან მესამე პირის მეშვეობით.

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები და სახელმწიფო დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ბრალის

ადიარებით გამოცხადება და, რაც მთავარია, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე. ბრალის ადიარებით გამოცხადების მოტივს რაიმე მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა გამოცხადება უნდა იყოს ნებაყოფლობითი. ბრალის ადიარებით გამოცხადებად არ ითვლება დაპატიმრების მერე ბრალის ადიარება, ან, თუ დანაშაულის ჩამდენი იძულებულია ცნოს წარდგენილი ბრალი და მტკიცებულება. თუ დანაშაულისათვის დაპატიმრებული ძიების პროცესში განცხადებით მიმართავს წინასწარი გამოძიების ორგანოს მის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი არ იყო ან დანაშაული არ იყო გახსნილი, ეს ითვლება ბრალის ადიარებად. ბრალის ადიარებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ისეთი შემთხვევა, როცა დადგენილი დამნაშავე მიმალული იყო და შემდეგ გამოცხადდა ბრალის ადიარებით, თუმცა მას ჰქონდა შესაძლებლობა მიმალვაში ყოფნისა. ბრალის ადიარებით გამოცხადება კანონმდებლობით მინიჭებული უფლებაა, რაც გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისათვის ნებაყოფლობით მიმართვას ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუ პირს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, არიდებოდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელს.

დანაშაულის გახსნაში ხელის შეწყობა არის ერთ-ერთი სავალდებულო პირობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად. ეს ნიშნავს ნებაყოფლობით, დანაშაულის ჩამდენის აქტიურ დახმარებას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისათვის დანაშაულის იარაღის, საგნისა და დანაშაულის კვალის დასადგენად, ფაქტობრივი გარემოებებისა და თანამონაწილეთა დასადგენად და დასაკავებლად იმისდა მიუხედავად, წარმატებული და შედეგიანი იყო თუ არა მისი ინიციატივა და აქტიურობა სხვადასხვა საპროცესო მოქმედების ჩატარებისა და მტკიცებულებების დამაგრების პროცესში.

ზიანის ანაზღაურება არის ის აუცილებელი საფუძველი, რომელიც კანონმდებელმა ქმედითი მოხანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის დააწესა. აღნიშნული გამოიხატება ნებაყოფლობით ზიანის სრულ ანაზღაურებაში, თუ ობიექტურად ეს შესაძლებელია. ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია რაგორც ბრალის ადიარებით გამოცხადებამდე, ისე, მის შემდეგაც. თუმცა, ჩადენილი დანაშაულის მიხედვით ზიანის ანაზღაურება ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

ზიანის ანაზღაურების საკითხი ყოველ კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებაში უნდა შეფასდეს. ეს შეიძლება იყოს ფულადი კომპენსაცია ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განადგურების ან და-

ზიანებისას, თუმცა ზიანის ანაზღაურება პირდაპირი მნიშვნელობით ყოველთვის გულისხმობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა სახეს, მაგალითად – დაზიანებულის ჯანმრთელობის აღსადგენად სტაციონარულ-საკურორტო მკურნალობის ან სხვა მიმდინარე ხარჯების ანაზღაურებას და სხვა.

მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, კოდექსის 68-ე მუხლში მითითებული ყველა საფუძვლის ერთდროულად არსებობა სავალდებულოა აღნიშნული ნორმის გამოყენებისას. თუმცა, აღნიშნული ყოველ დანაშაულთან მიმართებაში დაკონკრეტებას მოითხოვს. გასათვალისწინებელია დამნაშავის მხრიდან პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დადგენილი სავალდებულო რომელიმე საფუძვლის შეუსრულებლობა ობიექტური გარემოების არსებობისას. (მაგალითად, დაზარალებულის სიკვდილი და სხვა). თუ სსკ-ის 68-ე მუხლში მითითებული მხოლოდ ერთი საფუძველი არსებობს, მაშინ შეიძლება იგი განხილულ იქნეს როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი 68-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო საფუძვლების არსებობისას გადაწყდება დაზარალებულის თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში დაზარალებულს აქვს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების უფლება.

სსკ-ის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას სხვა კატეგორიის დანაშაულთან მიმართებაში, თუ ეს კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში სპეციალურადაა მითითებული. ქმედითი მონანიებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გათვალისწინებულია სსკ-ის 221-ე (კომერციული მოსყიდვა), 223-ე (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა), 236-ე, 260-ე, 332-ე, 323-ე, 370-ე და სხვა მუხლებში.

§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო

საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა პირველმა გაითვალისწინა დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ინსტიტუტი. შედარებით მოგვიანებით, 2003 წლის 20

ივნისს, სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი დამატებით სპეციალური ნორმა შეიქმნა არასრულწლოვანი დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის (სსკ-ის 89^1-ე მუხლი).

კანონმდებელმა სსკ-ის 69-ე მუხლში ამომწურავად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომელიც ქმნის საფუძველს ამ მუხლის გამოსაყენებლად. ესენია: 1. დანაშაულის პირველად ჩადენა; 2. ჩადენილი დანაშაულისათვის კანონი უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე; 3. დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება.

შერიგების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს ნებაყოფლობითი. შერიგების შესახებ ოფიციალურად უნდა ეცნობოს სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს ან მოკვლევის ორგანოს. სისხლისსამართლებრივი დევნისა და სამართალწარმოების ორგანოებმა უნდა დაადგინონ შერიგების ინიციატორის ნამდვილი ნება. ინიციატივა შერიგების შესახებ შეიძლება მოდიოდეს დანაშაულის ჩამდენისაგან, დაზარალებულისაგან ან სხვა პირებისაგან (ახლობლები, სამართალდამცავი ორგანოები).

ადნიშნული ნორმა დაზარალებულთან შერიგების მოტივს არ გამოკვეთავს და განსხვავებით სხვა ქვეყნის კანონმდებლობისაგან არ ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ სჯერდება სიმბოლურ რეპარაციას. შერიგების მოტივი დაზარალებულის მხრიდან შეიძლება იყოს ნებისმიერი: სიბრალული, ახლო ნათესაური კავშირი, ერთობლივი საქმიანობა, ზიანის ანაზღაურება, ხოლო დანაშაულის ჩამდენის მხრიდან: მოხიბვლა, სინანულის გრძნობა, მოსალოდნელი სასჯელის შიში და ა.შ.

§3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვითარების შეცვლის გამო

დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ საფუძვლით, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის ვითარება შეიცვალა. ამ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ ვითარების შეცვლის გამო, მიზანშეწონილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

ვითარების შეცვლა გულისხმობს ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებასთან, ან კონკრეტულ დამნაშავესთან მიმართებაში ვითარების შეცვლას. ვითარების შეცვლად, როდესაც ქმედება აღარ არის საშიში, შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ნაომარი მოქმედების შეწყვეტის შედეგად გარკვეული დანაშაულებრივი ქმედების ან დამნაშავის, რომელიც ომის პირობებში საშიში იყო, ასეთი საშიშროების დაკარგვა. დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის, დამნაშავის არასწორი ცხოვრების წესის (სისტემატური ლოთობა, დაახლოება ბოროტმოქმედთა წრესთან), გამოძიების ან საქმის სასამართლოში განხილვისას შეცვლა და გამოსწორება (ლოთობისათვის თავის დანებება, ბოროტმოქმედთა წრესთან ჩამოშორება) ან შეცვლილ პირობებში მძიმედ დაავადება, რაც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას და ა.შ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოხსნა-შეწყვეტილობის საკითხის გადაწყვეტა, კონკრეტულ საქმესთან და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენთან მიმართებაში, შეცვლილი ვითარების შეფასებას უნდა ემყარებოდეს.

სსკ-ის 70-ე მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე, არაერთგზისი, ანდა დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის მიმართ ამ მუხლის გამოყენებისათვის. თუმცა, ამ ნორმის გამოყენება აღნიშნულ შემთხვევებში მხოლოდ ოჩვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება.

სსკ-ის 70-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს. საქმის შეწყვეტისას საგანგებულია ბრალდებულის თანხმობა. თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია, სამართალწარმოება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენით და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით.

თუ აღნიშნული გარემოება გამოვლინდა სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, იგი განსასჯელს ათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში აღნიშნული გარემოების გამოვლენისას საქმე უნდა შეწყდეს.

თუ სსკ-ის 70-ე მუხლში აღნიშნული გარემოებანი გამოირკვა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს სსკ-ის 71-ე მუხლის საფუძველზე.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, სსკ-ის 70-ე მუხლში გათვალისწინებული საფუძვლით (ვითარების შეცვლის გამო) დანაშაულებრი-

ვი ქმედების ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები ძალზე იშვიათია.

§4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო

2004 წლის 13 თებერვლის კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" – შემოტანილ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი საფუძველი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად თანამდებობის პირის ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის გამოვლენის შემთხვევაში, ან მისი უშუალო ხელშეწყობით დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნისას, საქართველოს გენერალურ პროკურორს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო, უკავშირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „საპროცესო შეთანხმების" (სსკ-ის XIV თავი) ინსტიტუტის დამკვიდრებას. საპროცესო შეთანხმება გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ბრალდებულის დამცველის და პროკურორის შეთანხმებას, მოსამართლეს წარუდგინოს შუამდგომლობა განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობის წინაპირობებია ბრალდებულის თანხმობა, ითანამშრომლოს ბრალდებულის მხარესთან, აღიარებს დანაშაულის ჩადენა და საგამოძიებო ორგანოებს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია ანდა მტკიცებულებები მძიმე დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ამ დანაშაულის გახსნას. 2004 წლის 24 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილება სსსკ-ის 6791-ე მე-9 ნაწილში სახელზე გარიგების საფუძვლით (ე.ი. როცა ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს, თანამშრომლობდა გამოძიებასთან და ყოანსმებოდა სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას) შესაძლებლობას აძლევდა გენერალურ პროკურორს მოეთხოვა სასამართლოსათვის სასჯელისაგან გათავისუფლება. თუმ-

ცა, საპროცესო კანონმდებლობის ამ ცვლილების მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსში 701-ე მუხლი არ შეცვლილა.

შემდგომში, 2005 წლის 25 მარტის კანონით, სახეცვლილი იქნა სსსკ-ის 6791-ე მუხლის მეორე და მეცხრე ნაწილები და ახალი ნორმის – სსსკ-ის 6799-ე მუხლის სახით, მიეცეთ ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ დამოუკიდებელი ნორმა. კერძოდ: „განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია პირი სრულად გაათავისუფლოს სასჯელისაგან.

სსკ-ის 701-ე მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომელიც მითითებას არ აკეთებს საპროცესო შეთანხმების პროცესუალურ ნორმებზე, იძლევა საქართველოს გენერალური პროკურორის მოთხოვნის გარეშე, სასამართლოს მიერ დამოუკიდებლად ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძველით, მისი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, რაც კანონმდებლის ისტორიულ ნებას ეწინააღმდეგება და მატერიალური ნორმის დაზუსტების საჭიროებაზე მიუთითებს.

§5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გულისხმობს კანონით განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ, ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის დაუშვებლობას.

სსკ-ის 71-ე მუხლის შესაბამისად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხდება, თუ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა შემდეგი ვადები:

- ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
- ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

- ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.
- თხუთმეტი წელი სსკ-ის 332-ე – 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნებაგანსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.
- ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა არ უნდა იყოს იმ სასჯელის ვადაზე ნაკლები, რომელიც შეიძლება დაინიშნოს დანაშაულისათვის. ეს არა მარტო თავისუფლების აღკვეთას, არამედ სხვა სასჯელებსაც, მათ შორის, ისეთ დამატებით სასჯელსაც ეხება, როგორიცაა – თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა – ოცდახუთი წელი რაიმე პრობლემას არ ქმნის, გარდა განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელად თავისუფლების აღკვეთის 40 წლით დანიშვნისას. უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია დანაშაულისათვის დასანიშნი სასჯელის ზომა იყოს მცირე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადაზე.

რაც უფრო ცოტა დროა დანაშაულსა და სასჯელს შორის, მით უფრო ეფექტურია მისი მოქმედება. პირიქით, სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, დამნაშავის დასჯა დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება გახდეს მიზანშეუწონელი. ამავდროულად, ძნელდება დანაშაულის გამოძიება, რიგ შემთხვევებში ქრება ან ძალას კარგავენ გადაწყვეტილებები, მოწმეებს ავიწყდებათ დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტები. აღნიშნულის გამო, სასამართლოში საქმის სწორად გადაწყვეტა ძნელდება ან შეუძლებელი ხდება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება დანაშაულის ჩადენის დღიდან. სსკ-ის მე-2 მუხლით, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე, ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება დენად დანაშაულს, სსკ-ის მე-13 მუხლის შესაბამისად, იგი დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო განგრძობადი დანაშაული კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად „უკანასკნელი მოქმედების ჩადენის მომენტიდან.

სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა გამოითანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ხანდაზმულობის ვადა გამოითანგარიშება

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე. აღნიშნული რუსეთის სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის გავლენითაა განპირობებული. თუ ხანდაზმულობის ვადის დინებისას ახალი დანაშაული იქნა ჩადენილი, ვადა გამოითვლება თითოეული დანაშაულისათვის. ხანდაზმულობის ვადის დინება წყდება, თუ დანაშაულის ჩამდენი დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. აღნიშნული წარმოადგენს განზრახ ქმედებას, რათა არიდებულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგება. დამალული დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან შეწერებული ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება.

ხანდაზმულობის ვადის შეწერების მეორე, არაორდინალური საფუძველია კანონმდებლობით გათვალისწინებული იმუნიტეტის ინსტიტუტი. სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, იმუნიტეტის ვადის განმავლობაში ხანდაზმულობის ვადის დინების შეწერება, ეჭვგარეშეა, გაუმართლებელია, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების, ისე სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე და იგი უფრო მეტად წმინდა პოლიტიკას უკავშირდება.

განსაკუთრებული წესი ხანდაზმულობის ვადის გამოყენებისა უკავშირდება ისეთი დანაშაულის ჩამდენს, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა. უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენთა მიმართ. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად ჩათვლის პირის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მაშინ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ შეიძლება და ის შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. თუმცა, კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ოცდახუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ხანდაზმულობის ვადის დინება განსაკუთრებულია. მისი გამოყენების საკითხი ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს გადასაწყვეტია. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ის, რომ იმ დანაშაულის ჩამდენი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნებისმიერ დროს.

სსკ-ის 71-ე მუხლის მე-5 ნაწილით ხანდაზმულობა არ გამოყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულების მაგალითია 1998 წლის 17 ივლისის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. წესდების 29-ე მუხლის შესაბამისად, სა-

სამართლის ურიხდიქციაში შემავალ დანაშაულებზე (გენოციდი, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაული და აგრესია) არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. ასეთივე აკრძალვაა ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით 1948 წლის კონვენციაში გენოციდის შესახებ (ორივე ხელშეკრულებას საქართველო მიერთებულია და ისინი რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ).

1968 წლის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დაეწესებინა ომის დანაშაულისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევებზე ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობა, რომელიც შეეხებოდა, როგორც სისხლისსამართლებრივ, ისე გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობას. ორივე შემთხვევაში კანონი წარმოდგენილია შემდეგი ფორმულირებით: „ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში". თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველომ 2003 წლის 16 ივლისს რატიფიცირება გაუკეთა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებას და კოდექსში რაიმე დამატებითი ფორმულირება საჭირო არ არის.

§6. სასჯელისაგან გათავისუფლება, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ სახეებს:

1. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება (72-ე მუხლი);

2. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (73-ე მუხლი);

3. სასჯელისაგან განთავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო (74-ე მუხლი);

4. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის, ან ქალისათვის, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი (75-ე მუხლი);

5. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო (76-ე მუხლი);

6. სასჯელისაგან გათავისუფლება ამნისტიის ან შეწყალების აქტით (77-ე და 78-ე მუხლი).

პირობით გათავისუფლება 1847 წელს ფრანგი ა. ბონვილ დე მარსანჟის მიერ შემოტანილი ინსტიტუტია, რომელიც ნიშნავს პატიმრის გათავისუფლებას, სასჯელის მოხდის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იმ პირობით, რომ მისი ქცევა დამაკმაყოფილებელი იყო პატიმრობის პერიოდში. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დაბრუნებას ან სხვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულებას განაპირობებს მსჯავრდებულის არასწორი ქცევა და დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა. აღნიშნული დეფინიციაა მცირეოდენი ცვლილებებით თითქმის ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია. ამ ინსტიტუტს შემდეგი უპირატესობები გააჩნია: მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში კარგი ქცევა, რაც გრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებას და ზედამხედველობას. ამგვარი პირობით გათავისუფლება განსხვავდება ავტომატური გათავისუფლებისაგან, რომელიც მოხდება სასჯელის მოხდას და მიმართულია მსჯავრდებულთა რიცხვის შემცირებისაკენ.[1]

ჩვენს კანონმდებლობაში არსებული პირობით გათავისუფლების სისტემა ავტომატური არ არის. ჩვენი კანონმდებლობა ერთმანეთს უხამებს ავტომატიზმს და დისკრეციულ პირობითობას. სსკ-ის 72-ე მუხლით მსჯავრდებულს შეუძლია ისარგებლოს პირობით ვადამდე გათავისუფლებით, მაგრამ კანონმდებელი აწესებს განთავისუფლების დროს და საკითხის გადაწყვეტას აკისრებს სასამართლოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ორგანოს წარდგინებისა და დახასიათების საფუძველზე. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის პირადი საქმის მეშვეობით მისი ქცევის შესწავლის შედეგად სასამართლო თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, შეუძლია მსჯავრდებული გაათავისუფლოს პირობით ვადამდე. ამასთან, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან. პრაქტიკაში საკითხის გარკვევა, დაადგა თუ არა მსჯავრდებული გამოსწორების გზას, ხდება სარეჟიმო მოთხოვნების შესრულების, მსჯავრდებულის ქცევის, მისი შრომისადმი, ახლობლებისადმი, გარე სამყაროსადმი დამოკიდებულებისუსაკითხის გარკვევით. სასამართლო ამ შემთხვევაში ადასტურებს, რომ მსჯავრდებული დაადგა გამოსწორების გზას, არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, არ-

[1] იხ. ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართლით. 1999, გვ. 468.

სებობს შესაბამისი გარემო, საცხოვრებელი ადგილი მისი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის და საჭირო აღარ არის დარჩენილი სასჯელის მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელისაგან პირობით გათავისუფლების ინსტიტუტი პატიმრობიდან გათავისუფლების საშუალებას წარმოადგენდა და რიგი ქვეყნის კანონმდებლობაში დღესაც მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სასჯელებზე ვრცელდება, ჩვენი კანონმდებლობით ეს წრე გაფართოებულია და იგი შეეხო სასჯელის ისეთ სახეებსაც, რომელიც თავისუფლების აღკვეთას არ უკავშირდება. მაგალითად, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა.

პირობით ვადამდე გათავისუფლება სასჯელისაგან გათავისუფლების ერთი სახეა. მისი არსი მდგომარეობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებაში იმ პირობით, რომ მისთვის სავალდებულოა კანონით განსაზღვრული და სასამართლოს მიერ დაკისრებული მთელი რიგი მოვალეობების შესრულება. თუმცა, სასამართლომ შეიძლება სსკ-ის 65-ე მუხლში ჩამოთვლილი მოვალეობების დაკისრების გარეშე გადაწყვიტოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხები. აღნიშნულის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 610-ე მუხლის მე-4 ნაწილში.

სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ პირობით ვადამდე განთავისუფლების გამოყენებისას სასამართლოთა 98 პროცენტი არ უთითებს მსჯავრდებულისათვის კანონით გათვალისწინებული მოვალეობების დაკისრებაზე. აღნიშნული კი კრიტიკის საგანი ხდება საალმსრულებლო ბიუროს და სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელსაც საკითხი ეხება პირობით ვადამდე განთავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლსა და, დარღვევების არსებობის შემთხვევაში, პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების საკითხს.

სსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს შეუძლია გააუქმოს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი. კანონით გათვალისწინებულია სამი შემთხვევა: თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, ამ შემთხვევაში სასამართლო საკითხს გადაწყვეტს მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლის განმახორციელებელი საალმსრულებლო ბიუროს წარდგინების საფუძველზე. რაც შეეხება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებას ან

ძალაში დატოვებას, საკითხს წყვეტს თავითონ სასამართლო. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების შესახებ, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის განაჩენით დაკისრებულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად დაუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

განსრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს პირობით ვადამდე გათავისუფლებას და სასჯელს დანიშნავს განაჩენთა ერთობლიობის პრინციპით — სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად.

სსკ-ის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილი განსაზღვრავს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების შესაძლებლობას. კანონმდებელი სასამართლოს უფლებას აძლევს, იმსჯელოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე მის მიერ თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულების ორგანოს წარდგინებისა და დახასიათების საფუძველზე. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს სასჯელის მოხდა, შეუძლია მსჯავრდებული გაათავისუფლოს პირობით ვადამდე.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ შეიძლება მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

§7. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით.

სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მსჯავრდებულის ქცევა, რომლითაც დგინდება, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში იგი საბოლოოდ დაადგა გამოსწორების გზას. სასამართლოს ამ შემთხვევაში შეუძლია დაასაბუთოს, რომ მსჯავრდებულის სრული გამოსწორებისათვის შესაძლებელია თავისუ-

ფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენება. სასჯელისაგან გათავისუფლების მოცემული სახის გამოყენებისათვის კანონი აწესებს ორ აუცილებელ პირობას: მსჯავრდებულის მიერ ნადენილი დანაშაული, რომლისთვისაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, უნდა იყოს ნაკლებად მძიმე და მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ 1/3. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, აგრეთვე, გაათავისუფლოს მსჯავრდებული დამატებითი სასჯელის მოხდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ. შესხლის სამართლის კოდექსში 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებით კანონმდებელი აღნიშნული წესში აკეთებს შეზღუდვად და კრძალავს დამატებით სასჯელად სასამართლოს მიერ ქონების ჩამორთმევისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესაძლებლობას.

იმ პირთა მიმართ, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, დასაშვებია შემდგომში ამ ახალი, უფრო მსუბუქი სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების წესის გამოყენება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 611-ე მუხლით დადგენილია სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის პროცესუალური წესი, რაც მსჯავრდებულს ან მის დამცველს უფლებას აძლევს, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების თაობაზე. თუ სასამართლო გამოიყენებს სასჯელისაგან გათავისუფლების აღნიშნულ სახეს და მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთას შეუცვლის ნებისმიერი სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, აღარ იარსებებს რაიმე საფუძველი და სამართლებრივი მექანიზმი იმისათვის, რომ მსჯავრდებულს თავდაპირველად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდა კვლავ დაეკისროს, თუნდაც ახალი დანაშაული ჩაიდინოს.

§8. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, ის, ვინც დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, რის გამოც ალარ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა უხელმძღვანელოს მას, თავისუფლდება სასჯელისაგან, ხოლო ის, ვინც სასჯელს იხდის, თავისუფლდება მისი შემდგომი მოხდისაგან. მათ შეიძლება დაენიშნოთ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია სასჯელისაგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა სხვა მძიმე დაავადებით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის ფსიქიკურად დაავადება (რაღესაც ის ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების ფაქტობრივ ხასიათს ან მართლწინააღმდეგობას), სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, აზრს შეარგავს მის გამოყენებას. კანონმდებლის მოთხოვნა სასჯელისაგან გათავისუფლებაზე იმპერატიულია სასამართლოსათვის და არ არის დამოკიდებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, სასჯელის სახესა თუ დამნაშავის პიროვნებაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც დგება სასჯელისაგან პირის გათავისუფლების საკითხი, დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ მისი სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადების გამო, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, კანონის თანახმად, სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. ასეთ დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ავადმყოფობის ფაქტი, არამედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის პიროვნება და სხვა გარემოებები, რომელიც სასამართლოს შეუქმნის რწმენას, რომ სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევაში ალარ იქნება დამნაშავის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

კანონი ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის ფსიქიკური დაავადების ორ შესაძლო შემთხვევას: 1. განაჩენის გამოტანამდე ან მის აღსასრულებლად მიქცევამდე. ასეთ დროს დანაშაულის ჩამდენი პირი თავისუფლდება ან სასჯელის დანიშვნისაგან, ან სასჯელის მოხდისაგან. 2. სასჯელის მოხდისას. ამ დროს მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. ორივე შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

სასჯელისაგან გათავისუფლება დანაშაულის ჩამდენის ფსიქიკური ან სხვა მძიმე დაავადებისას არ არის საბოლოო, სსკ-ის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გამოჯანმრთელების შემთხვევაში მათ შეიძლება დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოთ სასჯელი, თუ არ გასულა 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები.

სსკ-ის 74-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ ხანდაზმულობის ასაკს – 65 წელს მიღწეული მსჯავრდებული ქალი, ხოლო 70 წლიდან მამაკაცი – თუ მათ მოეხადეს სასჯელის არანაკლებ ნახევარი. აღნიშნული არ ვრცელდება უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებზე.

როგორც ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული, ისე მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების დროს, გარდა კანონით გათვალისწინებული პირობებისა, საჭიროა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი პირობების არსებობა, როგორიცაა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მიმართვა სასამართლოსადმი. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის გათავისუფლებისას მხედველობაში მიიღება: ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ნასამართლობა, სასჯელის მოხდის ადგილში მისი ქცევა, შრომისადმი დამოკიდებულება, ოჯახური პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისას არაფერს ამბობს დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლებაზე, ეს საკითხი დავას არ იწვევს. საპროცესო კანონმდებლობის 608-ე მუხლის მეორე ნაწილი სასამართლოს ანიჭებს დამატებითი სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების უფლებას ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტის პარალელურად.

სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით 74-ე მუხლს დაემატა მე-6 ნაწილი, რომელიც სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლების გავრცელებას კრძალავს კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ისეთი სახის დამატებით სასჯელზე როგორიცაა ქონების ჩამორთმევა.

§9. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის ან ქალისათვის,რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი ადგენს სასჯელისაგან გათავისუფლების განსაკუთრებულ სახეს – სასჯელის მოხდის გადავადებას ორსული ქალისათვის ან ქალისათვის,რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი.

სასჯელის მოხდის გადავადებისათვის კანონი ადგენს ერთადერთ სავალდებულო პირობას – ქალის ორსულობის ფაქტი ან იმ გარემოების დადგენა, რომ მას ჰყავს ხუთ წლამდე ასაკის შვილი. თუმცა, სასჯელის მოხდის გადავადება სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება.

სსკ-ის 75-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე,თუ ორსულობის რა პერიოდში შეიძლება სასჯელის გადავადების გამოყენება. აღნიშნულზე მითითებულია საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლში. აღნიშნული მუხლი განაჩენის აღსრულების გადავადების შესაძლებლობას იძლევა ქალისათვის, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა და მშობიარობის შემდეგ ერთ წლამდე,რაც დოკუმენტურად უნდა იქნეს დადასტურებული. ასევე უნდა იქნეს სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვის არსებობაზეც. ორსულობის შეწყვეტის ან ბავშვის გარდაცვალების ფაქტი გამოიწვევს ქალისათვის განაჩენის გადავადების გაუქმების საკითხის დაყენებას.

კრიმინალისტთა აზრით,კანონის არსიდან გამომდინარე,სასჯელის მოხდის გადავადება შეიძლება მოხდეს როგორც განაჩენის გამოტანის დროს, ისე ქალის მიერ სასჯელის მოხდისას. პირველ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს თუ არა განაჩენს, იმავდროულად დაადგენს, რომ გადაიდოს სასჯელის აღსრულება ბავშვის ხუთი წლის ასაკის მიღწევამდე. მეორე შემთხვევაში, საამისოდ უფლებამოსილი სამსახურის მიერ სასამართლოს წარედგინება მასალები სასჯელის მოხდის გადავადების თაობაზე,რომელთა შორის სავალდებულოა ქალის ორსულობის დამადასტურებელი სამედიცინო დასკვნის ან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა. სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად ასევე წარედგინება მსჯავრდებულის პირადი საქმე,დახასიათება და სხვა. აღნიშნული საკითხი სადავოა იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლით დადგენილია განაჩენის აღსრულების გადავადების წესი, სადაც მოხსენიებულია ორსულობის ან მცირეწლოვანი შვილის ყოლისას სა-

სამართლის მიერ განაჩენით ან მისი გამოტანის შემდეგ განჩინებით განაჩენის აღსრულების გადავადება და არა სასჯელის გადავადება. რაც შეეხება იმავე კოდექსის 608-ე მუხლის ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას წესს, იქ არაფერია ნათქვამი სასჯელის მოხდის პერიოდში ორსულობის და მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე.

თუმცა ეფიქრობთ, მატერიალურ კანონში არსებული ნორმა მოქმედებს როგორც სასჯელის აღსრულებამდე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, ისე – სასჯელის მოხდის პერიოდში.

სასჯელის მოხდის გადავადება ავტომატურად არ ეწევა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდისაგან საბოლოო გათავისუფლებას. სს კოდექსის 75-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებასა და, შესაბამისად, მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად განაჩენით დანიშნულ ადგილას გაგზავნას სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდის ვალდებულებას. ამასთან, სავალდებულოა, რომ მსჯავრდებულის მიერ შვილზე ან მის აღზრდაზე უარის თქმა განმეორდეს მას შემდეგ, რაც პრობაციის სამსახური, რომელსაც სასჯელგადავადებულ პირზე კონტროლი ევალება, გააფრთხილებს მას სასჯელის მოხდის გადავადების პირობათა დარღვევის დაუშვებლობის თაობაზე.

ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს შვილის ხუთი წლის ასაკამდე მიუდწეველობის ფაქტი. მას შემდეგ, რაც სასჯელგადავადებულის შვილი ხუთი წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო ვალდებულია, სსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიუბრუნდეს სასჯელის მოხდის გადავადების საკითხს. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში, მსჯავრდებულის ქცევის გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. გაათავისუფლოს მსჯავრდებული ქალი სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან;

2. სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვალოს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით;

3. განაჩენის შესაბამისად, მსჯავრდებული გააგზავნოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად, თუ გასული არ არის ხანდაზმულობის ვადები.

მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში ახალი დანაშაულის ჩადენისას,სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს განაჩენთა ერთობლიობის წესით.

§10. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

სსკ-ის 76-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადებს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის აღუსრულებლობისას. რკანონმდებელი განაჩენის აღუსრულებლობის ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებს (მსჯავრდებულის ხანგრძლივი ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო მოხელეთა უპასუხისმგებლობა, საქმის მასალების განადგურება, სასჯელის მოხდის გადავადება და სხვა) არ გამოყოფს და დანაშაულის კატეგორიების მიხედვით სხვადასხვა ვადას ადგენს, რაც სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობასა და მისი მიზნების განხორციელებას უკავშირდება. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში არ მოიყვანება და მსჯავრდებული უპირობოდ თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად,მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულდა შემდეგ ვადებში:

ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

კანონმდებელმა გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების გამოანგარიშება დაუკავშირა იმ სასჯელის მაქსიმუმს, რაც გათვალისწინებულია კანონით ამა თუ იმ დანაშაულისათვის. კანონმდებელი უშვებს ხანდაზმულობის ვადის დინების შენერე-

ბას მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევაში.

მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისათვის თავის არიდებისას ხანდაზმულობის დინების შეწერება თავის არიდების მთელი ვადის განმავლობაში და მისი განახლება მოხდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის ადიარებით გამოცხადების მომენტიდან. აქასთან, აღსანიშნავია, რომ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო ჩაითვლება ხანდაზმულობის ვადაში. კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს ხანდაზმულობის ვადის შეწერებას განუსაზღვრელი დროით, ანუ გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულება მოხდება ხანდაზმულობის ვადის განახლების შემთხვევაში იმისდა მიუხედავად, თუ რა დრო გავიდა მისი შეწერების დროიდან.

გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლა წარმოადგენს სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველს. ეს სახამართლოს მოვალეობაა და არა მისი უფლება. აქასთან, კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში და საკითხს გადაწყვეტად სახამართლოს ანდობს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახამართლო, დანაშაულის ხასიათიდან, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, თუ შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთას ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეუცვლის (76-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით სასჯელისაგან გათავისუფლება საბოლოოა.

გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობა,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მსგავსად, არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ეს გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით სსკ-ის 71-ე მუხლში.

სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება შეწერდება იმ ვადით, რა ვადითაც პირს იცავს იმუნიტეტი.

ხანდაზმულობის ვადები არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევაში განსაკუთრებულია (სსკ-ის 99-ე მუხლი), მისი გამოყენების წესი და პირობები კი საერთოა.

XX თავი

ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

§1. ამნისტია

ამნისტია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „პატიებას“. ამნისტიის აქტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიზმის გამოვლენაა დანაშაულის ჩამდენ ან მსჯავრდებულ პირთა მიმართ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი კანონით ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტიის აქტით, დამნაშავეც შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

ამნისტია წარმოადგენს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ისე სასჯელისაგან გათავისუფლების სახეს. ამდენად, იგი გამოიყენება როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის, ისე უკვე მსჯავრდებული პირის მიმართაც. როგორც წესი, ესენი არიან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩამდენი პირები, აგრეთვე, ისინი, ვის მიმართაც წინათ უკვე იყო გამოყენებული ამნისტიის ან შეწყალების აქტი და მაინც არ დაადგნენ გამოსწორების გზას და ა.შ.

ისეთ შემთხვევაში, როცა ამნისტიის აქტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს დანაშაულის ჩამდენ პირთა გარკვეულ კატეგორიას, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძვრება, ხოლო სისხლის სამართლის ის საქმეები, რომლებიც წინასწარი გამოძიების ორგანოების წარმოებაშია, აგრეთვე, საქმეები, რომლებიც სასამართლოებს ჯერ არ განუხილავთ, უნდა შეწყდეს. ეს მოწესრიგებულია საპროცესო კანონმდებლობის 28-ე მუხლით. ყველა შემთხვევაში საჭიროა იმ პირის თანხმობა, რომელსაც ამნისტია ეხება. თუ პირი წინააღმდეგია ამისა, რადგან თვლის, რომ უდანაშაულოა და მოითხოვს გამართლებას, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესი ჩვეულებრივად გრძელდება და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით.

საერთო წესისამებრ, ამნისტიის აქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ ის პირი, რომელმაც ამნისტიის აქტში მითითებული დანაშა-

ული ჩაიდინა თვით ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე. დენადი ან განგრძობადი დანაშაული შეიძლება დაიწყოს ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე და დამთავრდეს აღნიშნული პროცესის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ამგვარ დანაშაულთა ჩამდენი პირების მიმართ ამნისტიის აქტი არ გამოიყენება.

ამნისტიის აქტის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლდება მხოლოდ ის პირი, რომლის მიმართაც განაჩენი გამოტანილ იქნა ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ამნისტიის აქტში მითითებულ დანაშაულთა ჩადენისათვის მსჯავრდებული პირების განთავისუფლება შეიძლება გამოიხატოს:

ა) მთლიანად სასჯელისაგან ან მისი მოუხდელი ნაწილისაგან გათავისუფლებაში;

ბ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემცირებაში;

გ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაში;

დ) დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლებაში, თუ ეს უკანასკნელი უკვე არ არის მოხდილი.

ამნისტიის აქტით სასჯელმოხდილს შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

§2. შეწყალება

შეწყალება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლების თანახმად, შეწყალებას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პრეზიდენტს უფლება აქვს შეიწყალოს ნებისმიერი მსჯავრდებული, ანუ ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, პრეზიდენტის მიერ შეიძლება შეწყალებულ იქნეს ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლში გათვალისწინებულია მსჯავრდებულის შეწყალება, რაც ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი პრეზიდენტის მიერ დამნაშავე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის, ანუ მანამ, სანამ სასამართლო არ გამოიტანს ამ პირის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს.

შეწყალების აქტით საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია:

გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან; შეუმციროს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; შეუცვალოს მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით; სასჯელმოხდილს მოუხსნას ნასამართლობა.

შეწყალების აქტით პირი შეიძლება ასევე გაათავისუფლდეს დამატებითი სასჯელისაგან, თუ დამატებითი სასჯელი შეწყალების მიმენტისათვის ჯერ არ აღსრულებულა.

შეწყალება და ამნისტია არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემდეგი ნიშნებით:

ამნისტიის აქტი არის კანონი, რომელიც გრცელდება პირთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე, ხოლო შეწყალება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულების საფუძველზე.

შეწყალების თაობაზე ინიციატივა მოდის: თვით მსჯავრდებულისაგან, მისი ნათესავებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ან სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციისაგან და ა.შ. მაშინ, როცა ამნისტიის აქტი ყოველთვის გამოიცემა მხოლოდ მისი მიღების უფლების მქონე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინიციატივით.

შეწყალება ერთჯერადი აქტია, რომლის შესრულებაც დაუყოვნებლივ ხდება, ამნისტიის აქტის შესრულებას კი ესაჭიროება გარკვეული დრო, რაც თვით ამნისტიის აქტით განისაზღვრება.

§3. ნასამართლობა

ნასამართლობა არის სასამართლოს განაჩენით დამნაშავის მსჯავრდების სამართლებრივი შედეგი, რომელიც მსჯავრდებულის ზოგიერთი უფლების შეზღუდვაში გამოიხატება.

ნასამართლობას უკავშირდება საერთო-სამართლებრივი და წმინდა სისხლისსამართლებრივი შედეგები. ნასამართლობის საერთო-სამართლებრივი შედეგები აისახება სახელმწიფო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სამართლის სხვა დარგების ნორმებში (მაგალითად, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ნამორომევა, საარჩევნო უფლების შეზღუდვა და სხვა.).

ნასამართლობის სისხლისსამართლებრივი შედეგებია: დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნევა და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მთელ რიგ ნორმებში მითითება არა-

ერთგზის დანაშაულის ჩადენაზე ან პირდაპირ მითითება გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლობაზე. ასევე, დამამძიმებელ გარემოებად მისი ჩათვლა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში (დანაშაულის რეციდივისას) სასჯელის დანიშვნის განსაკუთრებული წესის გამოყენება (53-ე, 58-ე მუხლები);

ნასამართლობის შემთხვევაში შეუძლებელია სასჯელის ისეთი სახის გამოყენება, როგორიცაა თავისუფლების შეზღუდვა (47-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

ნასამართლობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემზღუდველ გარემოებას სსკ-ის 68-ე და 69-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ნასამართლობა გამორიცხავს არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით (90-ე მუხლი);

გარკვეული კატეგორიის დანაშაულისათვის ნასამართლობა გავლენას ახდენს გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაზე (76-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);

ნასამართლობის სამართლებრივი შედეგები არსებითად ზღუდავს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებას სასჯელის მოხდის შემდეგაც. ამიტომ კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის პირობები. სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლმა დაადგინა ვადა, რომლის განმავლობაშიც პირი ითვლება ნასამართლევად. გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე პირი ითვლება ნასამართლევად. აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა გამამტყუნებელი განაჩენით პირს დაენიშნა სასჯელი (რეალური ან პირობითი).

როგორც აღვნიშნეთ, ნასამართლობა გრძელდება სასჯელის მოხდის შემდგომაც, რომლის ვადაც კანონით ზუსტადაა განსაზღვრული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დანიშნული სასჯელის სახის შესაბამისად და მთავრდება ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტისათვის.

ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა იწვევს ნასამართლობის შეწყვეტის კანონით განსაზღვრული შედეგების ლიკვიდაციას.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ (63-ე მუხლი);

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის, როგორც ძირითადის, ისე დამატებითის, – მოხდის მომენტიდან.

კოდექსის 79-ე მუხლის მე-4 ნაწილში განსაზღვრულია შემთხვევები, როცა მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა ან, თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით ეცვლება. ასეთ დროს ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შემცირებულია თვრამეტი წლის ასაკამდე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. მათი ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება, თუ გავიდა:

ა) ერთი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მოხდიდან;

ბ) სამი წელი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მოხდიდან (სსკ-ის მუ-100 მუხლი).

ნასამართლობის მოხსნა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული პირობების არსებობისას მსჯავრდებულის თხოვნის საფუძველზე. სასამართლოს შეუძლია მოუხსნას პირს ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე, თუ დადგინდება, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა.

აქ კანონი რაიმე ვადებს ან შეზღუდვას მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენის მიმართ არ ადგენს.

ნასამართლობის გაქარწყლება ავტომატურად ხდება და სავალდებულო ხასიათისაა, ხოლო ნასამართლობის მოხსნა სასამართლოს გადასაწყვეტია. ერთიც და მეორეც (ამ უკანასკნელის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში) საბოლოო და უპირობოა.

ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადის გასვლამდე ნასამართლობა შეიძლება მოიხსნას ასევე ამნისტიისა და შეწყალების აქტის საფუძველზე.

გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

XXI თავი

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

§1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯის თავისებურებები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გათვალისწინებულია კოდექსის მე-5 კარში. ეს კარი ორი თავისაგან შედგება (XVI და XVII თავი). თავი XVI ეხება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებას, ხოლო თავი XVII – არასრულწლოვნის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

რაც შეეხება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეთა წარმოების პროცესუალურ თავისებურებებს, ისინი ახასიათებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეექვსე თავში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასხუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი, ე.ი. არასრულწლოვან დამნაშავედ ჩაითვლება არა ის პირი, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის შეუსრულდა 14 წელი, არამედ ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე გახდა 14 წლის[1]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ პირი 14 წლის გახდა დანაშაულის ჩადენის დღეს, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნის ასაკის ზუსტად განსაზღვრას. ამიტომ, თუ არ მოიპოვება არასრულწლოვნის ასაკის განმსაზღვრელი დოკუმენტი ან ჩანაწერი, უნდა დაინიშნოს სახამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზა. თუ ექსპერტიზამ ვერ განსაზღვრა არასრულწლოვნის დაბადების ზუსტი თარიღი, მაგრამ დაადგინა დაბადების წელი და თვე, დაბადების დღედ ჩაითვლება ამ

[1] 2008 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი დანაშაულისათვის (მაგალითად, მკვლელობა) პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრება 12 წლიდან

თის ბოლო რიცხვი. თუ ექსპერტიზამ დაადგინა მხოლოდ დაბადების წელი,მაშინ დაბადების დღედ ჩაითვლება ამ წლის ბოლო დღე – 31 დეკემბერი,ხოლო როცა ზუსტად ვერ დადგინდა დაბადების წელი,არამედ დადგენილია მისი ქვედა და ზედა ზღვარი (მაგალითად, არასრულწლოვანი დაბადებულია 1988-90 წლებში),მაშინ დაბადების წლად ჩაითვლება დასკვნაში მოცემული წლების ზედა ზღვარი (ამ შემთხვევაში 1990 წელი).

როგორც მე-80 მუხლის რედაქციიდან ჩანს, კანონმდებელი არასრულწლოვანი დამნაშავის ასაკის განმარტებას მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ან მისგან გათავისუფლების საკითხთან აკავშირებს,რაც კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით შეღავათები დადგენილია არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისას, არამედ სასჯელის დანიშვნის დროსაც. აქედან გამომდინარე,ჩვენი აზრით, უფრო მართებულად უნდა ჩაითვალოს სს კოდექსის მე-80 მუხლის რედაქციის ჩამოყალიბება შემდეგნაირად: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას,მისგან გათავისუფლებისას ან სასჯელის დანიშვნისას თუ მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი,მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სს კოდექსის მე-5 კარით მოწესრიგებულია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული არა ყველა საკითხი, არამედ მხოლოდ ის თავისებურებანი, რაც თან ახლავს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელის დანიშვნას. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სხვა ძირითადი ინსტიტუტები კი თანაბრად ეხება არა მარტო სრულწლოვან, არამედ არასრულწლოვან დამნაშავეებსაც (მაგალითად, სისხლის სამართლის კანონის უკუძალა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები და სხვ.).

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის,რომ საქართველოს სს კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების სახით შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. მართალია, ეს ღონისძიება, ფაქტობრივად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ალტერნატივაა, მაგრამ მისი გამ-

ოყენება, როგორც ამას შემდეგში ვნახავთ, მხოლოდ სასამართლოს მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია ის ვინაობრობა, რაცა სასამართლოს შეუძლია ამ ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ.

სსკ 82-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი დამნაშავისათვის დასანიშნი სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) თავისუფლების შეზღუდვა;

ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელთა ამ სახეებიდან კანონმდებელი არ აკონკრეტებს რომელია ძირითადი და რომელი დამატებითი, მაგრამ ძირითადი და დამატებითი სასჯელები განსაზღვრულია სს კოდექსის 41-ე მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

აქედან გამომდინარე, 82-ე მუხლში ჩამოთვლილი სასჯელებიდან ჯარიმა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. დანარჩენი კი ძირითადი სასჯელია.

თუ აღნიშნულ ჩამონათვალს შევადარებთ სს კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ სასჯელთა სახეებს, ვნახავთ, რომ არასრულწლოვანთა მიმართ არ გამოიყენება ისეთი სასჯელები, როგორიცაა:

ა) თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა;

ბ) სამხედრო პირის თანამდებობრივი შეზღუდვა;

გ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;

გარდა ამისა, არასრულწლოვანი პირებისათვის დაწესებულ სასჯელთა ზომებთან შედარებით, არსებითად შემცირებულია არასრულწლოვანთათვის დაწესებული სასჯელთა ზომა. განვიხილოთ სასჯელთა ეს სახეები ცალ-ცალკე.

ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი,რომელიც არასრულწლოვანს ენიშნება დღიური ანაზღაურების სისტემით. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ხუთი დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური – ორასი დღიური ანაზღაურება. სასჯელთა შეკრებისას ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხას დღიურ ანაზღაურებას. სს კოდექსის 83-ე მუხლი არ აწესრიგებს არასრულწლოვანის მიერ ჯარიმის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდების შემთხვევას. ამდენად, ასეთი შემთხვევების მიმართ ვრცელდება სს კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნები.

კერძოდ, თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს ჯარიმას, ეს სასჯელი შეიცვლება სახოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების შეზღუდვით შემდეგი გაანგარიშებით: ჯარიმის ერთი დღიური ანაზღაურება სახოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი,გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე,თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე.

ჯარიმის დანიშვნის ზოგადი წესი მოცემულია სსკ-ის 42-ე მუხლში, რომელმაც ბოლო დროს მთელი რიგი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, თუ სრულწლოვანთათვისაც ჯარიმა ინიშნებოდა დღიური ანაზღაურების სისტემით, დღეისათვის სსკ-ის 42-ე მუხლი პირდაპირ ლარებში განსაზღვრავს ჯარიმის მინიმალურ ოდენობას (2000 ლარი) და არაფერია ნათქვამი მის მაქსიმალურ ოდენობაზე. სრულწლოვანთათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები მაშინ, როდესაც შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით. ამდენად, გამოვიდა,რომ ჯარიმის დანიშვნა სრულწლოვანთათვის ხდება ჯარიმის პირდაპირ ლარებში განსაზღვრით, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ დარჩა ძველი წესი – ჯარიმის განსაზღვრა დღიური ანაზღაურების სისტემით, რაც სასამართლომ უნდა გადაიყვანოს ლარებში. ასეთი შეუსაბამობა სსკ-ის 42-ე და სსკ-ის 83-ე მუხლებს შორის კანონმდებლის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. ამ ხარვეზიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკაში აუცილებლად წარმოიშობა გარკვეული პრობლემა. კერძოდ, რა თანხა იანგარიშოს სასამართლომ დღიურ ანაზღაურებაში და საბოლოოდ როგორ განსაზღვროს ჯარიმისოდენობა ლარებში? ადრე ეს საკითხი მოგვარებული იყო სსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სადაც განსაზღვრული იყო დღიური ანაზღაურების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა ლარებში (მინიმალური – 2 ლარი,მაქსიმალური – 10000 ლარი). დღეისათვის ეს საკითხი მოუგვარებელია.

ამის გარდა, 2006 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე არასრულწლოვანის ჯარიმა ეწოდებოდა მხოლოდ, მაშინ როცა მას ჰქონდა დამოუკიდებელი ხელფასი ან ქონება. ამჟამად ასეთი დაწესება სსკ-ის 83-ე მუხლში აღარ არის. უფრო მეტიც, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის თანახმად: „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გაძახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.“ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს.

§3. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთიდან სამ წლამდე ვადით. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულს ეკრძალება ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მართვას, ვაჭრობის სისტემაში საქმიანობას. ამასთან, განაჩენში უნდა მიეთითოს, თუ კონკრეტულად რომელი საქმიანობის უფლება უნდა ჩამოერთვას მსჯავრდებულს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ხშირად განაჩენში არაა დაკონკრეტებული, თუ რა საქმიანობის უფლება ჩამოართვა სასამართლომ პირს. მაგალითად, 2002 წლის 28 იანვარს ფოთის საქალაქო სასამართლომ ე.კ. დამნაშავედ ცნო სს კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწ.“ბ“ პუნქტით იმისათვის, რომ მან მითვისება ამ თანხის ნაწილი, რომლითაც უნდა აეშენებინა კერამიკის სუვენირების ფაბრიკა, რადგან იყო ამ საქმის სპეციალისტი. დამატებითი სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მიუთითა: „მასვე ჩამოერთვას საქმიანობის უფლება ორი წლის ვადით“[1]. როგორც ვხედავთ, განაჩენში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რა საქმიანობის უფლება ჩამოერთვა ამ პირს.

როგორც ვხედავთ, სასჯელის ამ სახით არაა გათვალისწინებული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა (სსკ-ის 43-ე მუხ.). ეს გასაგებიცაა, რადგანაც თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში. სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დასაკავებლად, როგორც ცნობილია, პირი უნდა იყოს არანაკლებ 21 წლისა, ხოლო

[1] ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმ. №7401843.

ადგილობრივ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში არანაკლებ 18 წლისა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა გამოიყენება როგორც ძირითად, ისე დამატებით სახეულად.

დამატებით სახეულად საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი პირდაპირაა გათვალისწინებული კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციაში, არამედ მაშინაც, როცა დანაშაულის ჩადენის ხასიათის, გარემოებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუფარდოს მას კონკრეტული საქმიანობის უფლება. ამასთან დაკავშირებით, სწორად მიგვაჩნია ეურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ სახეულის სასამართლოს მიერ დამატებით სახეულად გამოყენებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებას არ უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ განაჩენის გამოტანის დროისათვის მსჯავრდებული არ ეწეოდა იმ საქმიანობას, რომელთანაც დაკავშირებული იყო წარსულში დანაშაულის ჩადენა.[1]

§4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

არასრულწლოვანის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება ოცდან ასსამოც საათამდე ვადით, რომელსაც ის მოიხდის სწავლისაგან ან ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. მის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. თუ არასრულწლოვანი, ძირითად სამუშაოსთან ერთად, დამატებით ეწევა არაძირითად, სეზონურ მუშაობას, ეს არაძირითადი სამუშაო დრო განსახილველი სახეულის მოხდისას მხედველობაში არ მიიღება.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა სახეულის სახით შედარებით გართულებულია მაშინ, როცა არასრულწლოვანი შრომას უთავსებს სწავლას, ე.ი. კიდევ სწავლობს საშუალო სკოლაში და თან მუშაობს რომელიმე ორგანიზაციაში.

ეს სახეული გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ძალუძს არასრულწლოვანს. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია არასრულწლოვნისათვის მძიმე, მავნე პირობებიანი ან საშიშპირობებიანი სამუშაოს დაკისრება, ასევე მიწისქვეშა სამუშაოების შესრულება. ამ

[1] ზურაბ გოთუა, ხისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი, სახეულები, თბ., 2001, გვ. 19.

სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანის ფიზიკური მონაცემებიც. განსახილველი ნორმა არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ აკრძალულია ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც ზიანს მიაყენებს არასრულწლოვანის ზნეობრივ განვითარებას, მაგრამ მიგვაჩნია, ამ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია ამგვარი სამუშაოს დაკისრება, თუნდაც მისი შესრულება ადვილად შეეძლოს არასრულწლოვანს, მაგალითად: მუშაობა სათამაშოების ბიზნესის სახლებში (სამორინეებში), ბარებში, სპირტიანი სასმელების ან თამბაქოს წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე და ა.შ.

ამ სასჯელის ვადა თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ორ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის – დღეში სამ საათს.

თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სახარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებრივად სახარგებლო შრომის რვა საათი – ჩვენ მიერ ნამოთვლილ სასჯელთა ერთი დღე.

საზოგადოებრივად სახარგებლო შრომა არ დაენიშნებათ არასრულწლოვნებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი.

საზოგადოებისათვის სახარგებლო შრომა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო განუსაზღვრავს არასრულწლოვანს, შეიძლება გამოიხატოს ქუჩებისა და პარკების დასუფთავებაში, სკვერების გამწვანებაში და ა.შ.

§5. გამასწორებელი სამუშაოები

არასრულწლოვანს გამასწორებელი სამუშაო ენიშნება ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით, ე.ი. სრულწლოვანებისაგან განსხვავებით, გამასწორებელი სამუშაოს მაქსიმალური ვადა აქ ორჯერ ნაკლებია, მაგრამ მინიმალური ვადა კი, პირიქით, ორჯერ მეტი.

არასრულწლოვანს სასჯელის ეს სახე დაენიშნება იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ძირითადი სამუშაო. მისი ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა იმ ოდენობით, რასაც დაადგენს სასამართლო: 5-დან 20 პროცენტამდე ოდენობით.

ხელფასიდან დასაქვითი თანხის პროცენტის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, არამედ არასრულწლოვანის მატერიალური მდგომარეობა – სომ არ იმოქმედებს უარყოფითად არასრულწლოვნის ჯანმრთელობასა და აღზრდაზე მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.

საქართველოს შრომის კანონმდებლობით, არასრულწლოვანმა შრომითი საქმიანობა შეიძლება დაიწყოს 16 წლიდან. მაგრამ 15 და 14 წლის ახალგაზრდობასაც, კანონით დადგენილი პირობების დაცვით, შეუძლია დაიწყოს საქმიანობა ამა თუ იმ დაწესებულებაში. ამდენად, გამორიცხული არ არის, გამასწორებელი სამუშაო შეეფარდოს სასჯელის სახით 14 წლის არასრულწლოვანსაც.

§6. თავისუფლების შეზღუდვა

არასრულწლოვანის თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში – გამასწორებელ ცენტრში მასზე ხელამძღვანელობის განხორციელებით.

არასრულწლოვნებს თავისუფლების შეზღუდვა ენიშნებათ ოთხ წლამდე, ხოლო სრულწლოვან მსჯავრდებულებს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

თუ არასრულწლოვანი ჯეროვნად თავს არიდებს თავისუფლების შეზღუდვას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით იმ ვადით, რა ვადითაცაა დანიშნული თავისუფლების შეზღუდვა. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც არასრულწლოვანი მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

ჯეროვნად თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ გამასწორებელ ცენტრში დადგენილი რეჟიმისადმი სისტემატურ დაუმორჩილებლობაში, ამ ცენტრიდან უნებართვოდ სისტემატურად გამოქცევაში და ა.შ.

§7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის სახელგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებას. არასრულწლოვანისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთის შემცირებული ვადები. თუ სრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ენიშნება ექვსი თვიდან 20 წლამდე ვადით, არასრულწლოვანს არა უმეტეს 10 წლის ვადით. გამონაკლის შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს 10 წელზე მეტი ვადითაც. კერძოდ, თექვსმეტიდან 18 წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

სს კოდექსის 88-ე მუხლში არაა მითითებული სხვა რაიმე შემთხვევა, რომლის შესაძლებელი გახდება არა სრულწლოვანს დაენიშნოს უფრო გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულწლოვანი პირებისაგან განსხვავებით, კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს არასრულწლოვანთათვის დადგენილი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის გაზრდას დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში. თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა კი არის ექვსი თვე გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელგადოებრივად სახარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო ან თავისუფლების შეზღუდვა იცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავისუფლების ვადიან აღკვეთას სრულწლოვანებამდე მოიხდის არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, არამედ აღმზრდელობით დაწესებულებაში. სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულების შექმნა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ გამოირიცხოს სრულწლოვანი მსჯავრდებულების უარყოფითი ზეგავლენა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის განხორციელების პროცესში.

არასრულწლოვანთა მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დაწესებისას კანონმდებლობით დადგენილი ამგვარი შეღავათები განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის მიღწევა შესაძლებელია უფრო ხანმოკლე დროის განმავლობაშიც და, გარდა ამისა, თავისუფლების აღკვეთის მეტისმეტად ხანგრძლივმა დრომ არასრულწლოვნის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე შეიძლება გამოუსწორებელი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს.

§8. სასჯელის დანიშვნა

სს კოდექსის 89-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, ამ კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა.

როგორც განსახილველი ნორმის შინაარსიდან ორკეცად, არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები (მუხ. 53), ისე 89-ე მუხლში მითითებული გარემოებები. ეს გარემოებებია: ა) არასრულწლოვანის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები. ცხოვრების პირობებში იგულისხმება, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მატერიალურად ის ოჯახი, სადაც იზრდება არასრულწლოვანი; ჰყავს თუ არა მას მშობლები; როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება; როგორი დამოკიდებულება აქვთ მშობლებს არასრულწლოვანთან; ზრუნავენ თუ არა მის ჯანმრთელობაზე და სხვა. რაც შეეხება აღზრდის პირობებს, აქ იგულისხმება ის, თუ როგორ ზნეობრივ გარემოში იზრდება არასრულწლოვანი; ზრუნავენ თუ არა მის განათლებასა და პროფესიონალიზმზე და ა.შ.

აქედან გამომდინარე, თუ არასრულწლოვანს აქვს ცხოვრებისა და აღზრდის ცუდი პირობები, მშობლებს ერთმანეთში აქვთ არაჯანსაღი დამოკიდებულება ან თუ ობოლია და ზრდიან ნათესავები, ანდა მშობლებს მიტოვებული ჰყავთ მეთვალყურეობის გარეშე, გაძევებული ჰყავთ ოჯახიდან და ქუჩა მაწანწალურ ცხოვრებას, ითითოეული ეს გარემოება სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

ბ) ფსიქიკური განვითარების დონეში იგულისხმება ის, თუ რამდენად შეუძლია არასრულწლოვანს, გააცნობიეროს თავისი ქმედება და უხელმძღვანელოს მას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნის ასაკს, ინტელექტისა და განათლების დონეს. 14-დან 18 წლამდე პერიოდი, მართალია, არასრულწლოვანების ასაკია, მაგრამ დიდი განსხვავებაა ფსიქიკური განვითარების დონის მიხედვით 14 წლისა და 17 წლის არასრულწლოვანს შორის. ამიტომ სასამართლომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს არასრულწლოვანის ზუსტი ასაკის განსაზღვრას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სრულიად ახლებურადაა გადაწყვეტილი არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის საკითხი შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებისათვის. კერძოდ, სს კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი,რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ე.ი. სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არასრულწლოვანი, თუ მას ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა უხელმძღვანელოს მას.

გ) სასჯელის დანიშვნისას მხედველობაშია მისაღები პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კერძოდ, თუ არასრულწლოვანის ჯანმრთელობა სერიოზულადაა შერყეული, ან იგი ავადაა ისეთი ავადმყოფობით, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, სასამართლოს უფლება აქვს, ჯანმრთელობის ასეთი მდგომარეობა ჩათვალოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

დ) სხვა პიროვნულ თვისებებში იგულისხმება არასრულწლოვანის ხასიათობრივი თავისებურებანი. კერძოდ, თავშეკავებულია თუ აფექტური, პესიმისტია თუ ოპტიმისტი და ა.შ.

ე) ასაკით უფროსი პირის ზეგავლენის ფაქტი სასჯელის დანიშვნის დროს ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოებაა. საქმე ისაა, რომ არასრულწლოვნებს, ასაკით მათზე უფროსებთან ურთიერთობის დამყარება პრესტიჟულ საქმედ მიაჩნიათ. ამიტომ ისინი ადვილად ექცევიან მათი გავლენის ქვეშ, რასაც მოზრდილები ბოროტად იყენებენ ხოლმე. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნის მონაწილეობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში არ უნდა შეფასდეს როგორც დამამძიმებელი გარემოება მაშინ, როდესაც იგი მოზრდილმა ჩაიბა ამ დანაშაულში და ამასთანავე, ასრულებდა მეორეხარისხოვან ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ არასრულწლოვანს უნდა შეუმსუბუქოს სასჯელი.

არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით, სწორად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შეფასებისას თითოეული შემამსუბუქებელი გარემოება უფრო მეტად ამცირებს სასჯელს, ხოლო დამამძიმებელი

გარემოება, პირიქით, უფრო ნაკლებად ხრდის მას, ვიდრე სრულწლოვნის მიმართ. ეს იმიტომ, რომ არასრულწლოვანის ქმედზე ნებისმიერი შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას, უკვე ქმედში სულ მცირე ორი შემამსუბუქებელი გარემოებაა, საიდანაც ერთი არის პირის არასრულწლოვანება.

საქართველოს სს კოდექსის 89[1] მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული და შეურიგდა დაზარალებულს. ეს ორივე პირობა სახეზე უნდა იყოს.

§9. არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილია არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საერთო და სპეციალური საფუძვლები. სპეციალური საფუძვლები გათვალისწინებულია კოდექსის XVII თავში. ამ თავის 90-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებით.

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა გამოძიების ორგანოებს არ ანიჭებს ამგვარ უფლებას. ეს გასაგებიცაა, რადგან საქართველოს კონსტიტუციით, მხოლოდ სასამართლოა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო.

ჩვეულებრივ, აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისათვის საჭიროა გარკვეული პირობების არსებობა:

1. დანაშაული ნადენილი უნდა იყოს არასრულწლოვანის მიერ;
2. მან დანაშაული უნდა ჩაიდინოს პირველად;
3. ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს ნაკლებად მძიმე;

4. სასამართლომ არასრულწლოვანის გამოსწორება მიზანშეწონილად უნდა მიიჩნიოს ადმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით.

არასრულწლოვანის გამოსწორება ადმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როცა არასრულწლოვანის მხარეს არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებები, არამედ პირიქით, მას დანაშაული ნაღწილი აქვს შემამსუბუქებელ გარემოებებში, ე.ი. პიროვნული მონაცემები, წარსული ცხოვრების წესი და მისი ეფექტიანი ქმედების შემდეგ, ადასტურებენ იმას, რომ ამ არასრულწლოვანის გამოსწორებისათვის არაა მიზანშეწონილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს შემდეგი ადმზრდელობითი ზემოქმედების იძულების ღონისძიება:

ა) გაფრთხილება;

ბ) საზედამხედველოდ გადაცემა;

გ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება;

დ) ქცევის შეზღუდვა;

ე) სპეციალურ ადმზრდელობით ან სამკურნალო-ადმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

არასრულწლოვანს ერთდროულად შეიძლება დაენიშნოს ადმზრდელობითი ზემოქმედების რამდენიმე იძულებითი ღონისძიება. მაგალითად, გაფრთხილება და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება.

თუ არასრულწლოვანი სისტემატურად არღვევს ადმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით გაუქმდება და მასალები გადაეგზავნება არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად.

დარღვევა სისტემატურად რომ ჩაითვალოს, საჭიროა არასრულწლოვანმა დროის მცირე მონაკვეთის ინტერვალით სამჯერ და მეტად არ შეასრულოს ადმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებული პირობები.

91-ე მუხლის მე-3 ნაწილში რატომღაც არაა მითითებული, თუ რომელი ორგანო გააუქმებს ამ ღონისძიებას და გადაგზავნის მასალებს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ეს ორგანო სასამართლოა.

სსკ 91-ე მუხლის I ნაწილში ჩამოთვლილი ღონისძიებები სასჯელის სახეებს არ წარმოადგენენ, ისინი თავისი შინაარსით ადმზრდელობითი ხასიათის არიან. ამავე დროს წარმოადგენენ სახელმწიფო

იძულებით ღონისძიებებს, რადგან, როგორც მათი დანიშნა, ისე აღსრულებაზე კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ და იგი დამოკიდებული არ არის არც არასრულწლოვანზე და არც მის კანონიერ წარმომადგენელზე. მათი ძირითადი განსხვავება სასჯელისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ეს ღონისძიებები არ იწვევენ ნასამართლობას. აქედან გამომდინარე, სწორად უნდა ვიაზროვნოთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ღონისძიებები აღმზრდელობითი არიან თავისი შინაარსით და იძულებით – აღსრულების სახეობის მიხედვით.

სს კოდექსის 90-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ სასამართლომ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება შეიძლება დაუნიშნოს მხოლოდ არასრულწლოვანს, ე.ი. პირს, ვისაც შესრულებული აქვს 14 წელი, მაგრამ ჯერ არ არის 18 წლის. თუკი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის დამნაშავემ მიაღწია 18 წლის ასაკს, მის მიმართ უკვე არ შეიძლება ზემოთ ხსენებული ღონისძიებების გამოყენება.

განვიხილოთ ამ ღონისძიებათა ცალკეული სახეები:

ა) გაფრთხილება

გაფრთხილება ნიშნავს არასრულწლოვნისათვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის განმეორებით ჩადენას. კერძოდ, არასრულწლოვანს განემარტება, რომ, თუკი იგი განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს, ამას შედეგად მოჰყვება მისი მსჯავრდება, რადგან განმეორებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირის მიმართ არ შეიძლება გავრცელდეს სს კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გაფრთხილება ერთჯერად მოქმედებაში გამოიხატება, მისი აღსრულება არ გრძელდება დროის რაიმე მონაკვეთში (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, სახელმწიფო გადაცემის ან ქცევის შესწორების) და ამდენად, შეუძლებელია არასრულწლოვანმა სისტემატურად დაარღვიოს გაფრთხილების პირობები. გაფრთხილება დამთავრდება მაშინ, როცა არასრულწლოვანს მისცემენ სათანადო განმარტებას. ამდენად, იგი აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების ყველაზე მსუბუქი სახეა.

ბ) სახელმწიფო გადაცემა

სახელმწიფო გადაცემა ნიშნავს მშობლისათვის ან მისი შემცვლელი პირისათვის, ანდა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოსათვის იმ მოვალეობის დაკისრებას, რომ მან აღმზრდელობითი ზეგავ-

ლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე და კონტროლი გაუწიოს მის ყოფაქცევას.

სასამართლო განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოეკიდოს არასრულწლოვნის მშობელზე საზედამხედველოდ გადაცემის საკითხს. ამგვარი გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო მშობლის პიროვნების შესწავლის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ მას შეუძლია დადებითი ზეგავლენის მოხდენა არასრულწლოვანზე, რომ იგი არ იქნება სუბიექტური და მიკერძოებული მის მიმართ და არ შეეცდება მიზნად ისახოს არასრულწლოვნის მიერ ადნიშნული ღონისძიებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის ფაქტი.

მშობლის შემცვლელი პირისათვის არასრულწლოვნის გადაცემა მოხდება მაშინ, როცა არასრულწლოვანს არა ჰყავს მშობლები ან მის მშობლებს სასამართლო არ მიიჩნევს ისეთ პიროვნებებად, რომლებსაც შეუძლიათ აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა არასრულწლოვანზე. ხოლო სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანოსათვის არასრულწლოვანის საზედამხედველოდ გადაცემა მოხდება მაშინ, როცა მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს არ შესწევთ უნარი, დადებითი ზეგავლენა მოახდინონ დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანზე და გააკონტროლონ მისი ყოფაქცევა.

მართალია, კანონი არასრულწლოვანის გადაცემისათვის არ მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა წინასწარ თანხმობას, მაგრამ იგულისხმება, რომ თუ მშობელი ან მისი შემცვლელი პირი უარს აცხადებს არასრულწლოვნისათვის ზედამხედველობის გაწევაზე, სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს ამგვარი გადაცემისაგან. ეს იმიტომ, რომ, თუ კერძო პირს არ გააჩნია სურვილი, შეასრულოს ეს არცთუ იოლი ვალდებულება, მაშინ არ არსებობს საფუძველი იმის ვარაუდისათვის, რომ საზედამხედველოდ გადაცემა რაიმე დადებით შედეგს გამოიღებს. რაც შეეხება სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანოს, ვინაიდან იგი სპეციალურად შექმნილია არასრულწლოვანზე აღმზრდელობითი ზეგავლენის მოსახდენად, მის თანხმობას სასამართლოსათვის რაიმე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

სს კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საზედამხედველოდ გადაცემის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ამ ღონისძიების დამნიშნავი ორგანო, ე.ი. სასამართლო.

გ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება.

არასრულწლოვანისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისას სასამართლო ითვალისწინებს მის ქონებრივ მდგომარეობას და შესაბამის შრომით ჩვევებს. სასამართლო ამ სახის იძულებითი ღონისძიებების დაკისრებისას ავალდებულებს არასრულწლოვანს,

დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ქონებრივი ზიანი. მაგალითად, გადასცეს დაზარალებულს მოპარულის ან განადგურებულის ანალოგიური ნივთი, მისცეს მას ფულადი კომპენსაცია, დაზიანებული ნივთი ადადგინოს თავისი შრომით.

სასამართლო არასრულწლოვნის ქონებრივ მდგომარეობას ითვალისწინებს მაშინ, როცა მას აკისრებს მოვალეობას, ფულადი თანხით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, ან გადასცეს ანალოგიური ნივთი, ანდა თავისი ხარჯებით აღადგინოს დაზიანებული ქონება. ამგვარი მოვალეობის დაკისრება არასრულწლოვანზე შეიძლება მაშინ, როცა მას გააჩნია საკუთარი ქონება (მაგალითად, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ფული), ან იღებს ხელფასს, ან სტიპენდიას კანონიერი გზით.

არასრულწლოვნის შრომით ჩვევებს კი სასამართლო ითვალისწინებს მაშინ, როცა აკისრებს მას მოვალეობას, თავისი შრომით გამოასწოროს მიყენებული ზიანი. ამასთან დაკავშირებით, სწორად მიგვაჩნია ოურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ არასრულწლოვანს შეიძლება დააკისროს ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც ან ორივე ერთად.[1] თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას შრომითი ჩვევები არ სჭირდება. მაგრამ როცა ადგილი აქვს როგორც მორალური, ისე ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, მაშინ შრომითი ჩვევების გათვალისწინება აუცილებელია (მაგალითად, არასრულწლოვანს დაეკისრა დაზარალებულისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ამასთან ერთად,– დაზიანებული ნივთის შეკეთება).

დ) ქცევის შეზღუდვა.

სს კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს: ა) განსაზღვრული ადგილის მონახულება. ასეთი აკრძალვა არასრულწლოვანს დაეკისრება მაშინ, როცა ამ ადგილის მონახულებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი დანაშაულებრივი განზრახვის ჩამოყალიბებას. მაგალითად, აეკრძალოს კლუბებსა და ბარებში მისვლა და სხვა; ბ) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა. მაგალითად, საღამოს ან დამის საათებში არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს შინიდან გასვლა, თუნდაც ქუჩაში; გ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე სადმე წასვლა. ასეთი აკრძალვის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს სურს წავიდეს სხვა დასახლებულ პუნქტში ან სხვა ქვეყანაში, მან ნებართვა უნდა აიღოს სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოდან; დ) თავისუფალი

[1] ზ. გოთუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება. მაგალითად, აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა სასამართლო არასრულწლოვანს დააკისრებს მოვალეობას, თავისუფალი დროის მონაკვეთში არ მიიღოს ალკოჰოლური სასმელი, არ ითამაშოს აზარტული თამაშები, არ მართოს ავტომანქანა და ა.შ.

მართალია, განსახილველ ნორმაში არაა პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანს ერთდროულად შეიძლება დაენიშნოს რამდენიმე აკრძალვა, მაგრამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოს ასეთი უფლება უნდა მიენიჭოს. მაგალითად, არასრულწლოვანს აეკრძალოს განსაზღვრული ადგილის მონახულება და ასევე აეკრძალოს სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე სადმე წასვლა.

95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლომ არასრულწლოვანს შეიძლება დააკისროს:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის განახლება. აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა არასრულწლოვანმა მიატოვა სასწავლებელი და არ სურს სწავლის განახლება; ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით, მუშაობის დაწყება. ამ ორგანომ არასრულწლოვანის სამუშაოზე მოწყობისას უნდა გაითვალისწინოს მისი შესაძლებლობა და შრომითი ნეგეები. ამასთანავე, არ შეიძლება ისეთი სამუშაოს შეთავაზება, რომელიც შრომითი კანონმდებლობით აკრძალულია არასრულწლოვანთათვის (მიწისქვეშა, მავნებიანობებიანი, საშიშპირობებიანი სამუშაო და ა.შ).

არასრულწლოვანს უფლება არა აქვს უარი თქვას მუშაობის დაწყებაზე იმ მოტივით, რომ ეს სამუშაო მას არ მოსწონს ან არაპრესტიჟულია. სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანოს არა აქვს უფლება არასრულწლოვანი მოაწყოს ისეთ სამუშაოზე, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მის მორალურ აღზრდაზე.

როგორც ვხედავთ, განსახილველი ნორმით ქცევის შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს რაიმე ქმედების ჩადენა (95-ე მუხ. I ნაწ.), ან პირიქით, დაევალოს იგი (ამ მუხ. II ნაწ.). 95-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვების გარდა, საკუთარი შეხედულებისამებრ სხვაგვარად შეზღუდოს არასრულწლოვნის ქცევა. ქცევის შეზღუდვის ნებისმიერი ფორმის გამოყენებისას, ზოგადი წესებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს მისი ხანგრძლივობა.

როგორც ვხედავთ, სს კოდექსის 95-ე მუხლით გათვალისწინებული ქცევის შეზღუდვის სახეები არაა ამომწურავი. კანონმდებელი

სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, დანაშაულებრივი ქმედების განსორციელების ხერხის, საშუალების, არასრულწლოვნის პიროვნული მონაცემებისა და სხვა გარემოების გათვალისწინებით, დანიშნოს ქცევის შეხედულად სხვა სახე, რომელიც არასრულწლოვნის გამოსწორებისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მეტ გარანტიას იძლევა.

ვ) სპეციალურ-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

საქართველოს სს კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღმზრდელობითი ხემოქმედების იძულებითი ღონისძიების ეს სახე გამოიყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვნის მიმართ, როგორც სასჯელისაგან მისი გათავისუფლების სახე. ე.ი. ზემოქმედების ეს ღონისძიება არ არის არასრულწლოვანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახე, იგი სასჯელისაგან თავისუფლების სახეა. ამდენად, გამოიყენება იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც უკვე გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი. მიგვაჩნია, რომ 96-ე მუხლის პირველი ნაწილის ამგვარი ფორმულირება პირდაპირ ეწინააღმდეგება 90-91-ე მუხლების შინაარსს. გარდა ამისა, 91-ე მუხლის მე-3 ნაწილში პირდაპირაა ნათქვამი, რომ, თუ არასრულწლოვანი სისტემატურად არღვევს დადგენილ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება გაუქმდება და მასალები გადაიგზავნება არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად (ხაზგასმა ჩემია, ნ.თ.) ე.ი., 91-ე მუხლი აწესრიგებს არა სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევებს, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხს. არადა 91-ე მუხლით, იძულებითი ღონისძიებების ნამონათვალში ნახსენებია სპეციალურ-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება (პუნქტი „ე"). გამოდის, რომ თუკი ვიხელმძღვანელებთ 90-91-ე მუხლების მოთხოვნით, ჩვენ მიერ განსახილველი იძულებითი ღონისძიების სახე არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ნაირსახეობა, ხოლო 96-ე მუხლის მიხედვით კი, იგი მხოლოდ სასჯელისაგან გათავისუფლების ნაირსახეობაა. თუ კანონის ეს ნაკლი დროულად არ გამოსწორდა, იგი სასამართლო პრაქტიკას გარკვეულ პრობლემას შეუქმნის.

96-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად, აღმზრდელობითი ხემოქმედების იძულებითი ღონისძიების ეს სახე შეიძლება დაინიშნოს მაშინ, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ არასრულწლოვანზე დასანიშნი სასჯელის მიზნები მიიღწევა მისი სპეციალურ-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზ-

რდელობით დაწესებულებაში მოთავსებით. ამასთანავე, ამ დაწესებულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ვადას.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალის გამოყენების ეს ღონისძიება სხვა ღონისძიებებთან შედარებით მეტად მკაცრია, რადგანაც იგი დაკავშირებულია არასრულწლოვნის ოჯახისაგან მოწყვეტასა და გარკვეული ვადით მის მოთავსებასთან სპეციალური რეჟიმის დაწესებულებაში.

სპეციალურ-ამმხრდელობით დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს სპეციალური რეჟიმის დაწესებულება ძნელად აღსაზრდელი მოზარდებისათვის, ხოლო სპეციალური სამკურნალო-ამმხრდელობითი დაწესებულება იქმნება ასევე იმ არასრულწლოვნისათვის, ვინც ფიზიკური ან ფსიქიკური არასრულფასოვანებით ხასიათდება. თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს არასრულწლოვნის გონებრივ და ფსიქიკურ მდგომარეობას, მან უნდა დანიშნოს სათანადო ექსპერტიზა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არასრულწლოვნის გონებრივი თუ ფსიქიკური არასრულფასოვნობა არ უნდა იყოს იმ ხარისხის, რომ მან გამოიწვიოს პირის შეურაცხყოფა, რადგანაც შეურაცხის მიმართ 96-ე მუხლის გამოყენება არ შეიძლება. შეურაცხი პირი საერთოდ არ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

არასრულწლოვანის სპეციალურ-ამმხრდელობით ან სამკურნალო-ამმხრდელობით დაწესებულებაში ყოფნა შეიძლება შეწყდეს 96-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, თუ სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დასკვნით, მისი გამოსწორებისათვის საჭირო არ არის ამ ღონისძიების შემდგომი გამოყენება.

რაც შეეხება სპეციალურ დაწესებულებაში ყოფნის ვადის გაგრძელებას კანონის შესაბამისად დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია არასრულწლოვნის ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული მომზადების დასამთავრებლად. ამ ნაწილში გათვალისწინებული ძალის ეს ღონისძიება აშკარად განსხვავდება სასჯელისაგან. დაუშვებელია პირმა მოიხადოს სასჯელი დანიშნულზე მეტი ხანგრძლივობით იმ მოტივით, რომ ეს საჭიროა მისი პროფესიული მომზადების დასამთავრებლად.

ვინაიდან 96-ე მუხლი წარმოადგენს არასრულწლოვანის სასჯელისაგან გათავისუფლების მომწესრიგებელ ნორმას, მასზე არ უნდა გავრცელდეს სს კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, ეს იმიტომ, რომ 91-ე მუხლი არეგულირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხს. ამგვარად, გამოდ-

ის, რომ 96-ე მუხლი არ ითვალისწინებს სასჯელისაგან გათავისუფლებული არასრულწლოვანის მიერ სპეციალურ-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნის პირობების სისტემატურად დარღვევის თურიდიულ შედეგებს. მართალია, სს კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩამონათვალში (პუნ."ე") ძეულებითი ღონისძიების ეს სახეცაა ნახსენები, მაგრამ ეს პრობლემას მაინც ვერ მოხსნის. ამდენად, სანამ სს კოდექსის 96-ე მუხლში არ იქნება შეტანილი შესაბამისი ცვლილებანი, ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. კერძოდ, ეს ცვლილებანი შეტანილ უნდა იქნეს იმ მიმართებით, რომ 96-ე მუხლმა მოაწესრიგოს არასრულწლოვანის გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და არა სასჯელისაგან. თუ ამგვარი ცვლილება დროულად არ მოხდა, ასეთ ვითარებაში ყოველგვარ ეჭვს კარგავს სს კოდექსის 91-ე მუხლის „ე" პუნქტის არსებობა.

რაც შეეხება არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საერთო საფუძვლებს, იგი ასახულია სს კოდექსის XIII თავში. ეს საფუძვლებია:

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედებითი მოწანიების გამო (მუხ. 68).
2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო (მუხ. §1).
3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვითარების შეცვლის გამო (მუხ. 70).
4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო (მუხ.70[1])
5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (მუხ. 71).
6. ამნისტიის აქტის გამო (თავი XV, მუხ. 77).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები, რომელიც მოცემულია სს კოდექსის 68-ე, 69-ე, 70-ე და 77-ე მუხლებში, მთლიანად და უცვლელად ვრცელდება არასრულწლოვანებზეც. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არასრულწლოვანთათვის სსკ 99-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის შემცირებული ვადები, რასაც ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ 99-ე მუხლის ანალიზისას. ხოლო 71-ე მუხლის მეორე, მეხამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილის მოთხოვნები უცვლელად ვრცელდება არასრულწლოვანებზეც.

§10. არასრულწლოვნის სასჯელისაგან გათავისუფლება

სს კოდექსის XVII თავში გათვალისწინებულია არასრულწლოვნის სასჯელისაგან გათავისუფლების სპეციალური საფუძვლები. კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სასჯელისაგან ამ კოდექსის 91-ე მუხლით გათვალისწინებული აღმზრდელობითი ზემოქმედებით იძულებითი ღონისძიების გამოყენებით.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანის სასჯელისაგან გათავისუფლების ერთადერთი პირობაა მის მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა.

აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, დანაშაული ჩადენილია პირველად თუ განმეორებით. განსხვავებით 90-ე მუხლისაგან, 97-ე მუხლში არაა დათქმული, რომ სასამართლომ სასჯელისაგან შეიძლება გაათავისუფლოს არასრულწლოვანი, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ რაც არასრულწლოვანს ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, მისი სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა მთლიანად სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული, რაც, არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. სს კოდექსის 97-ე მუხლის რედაქცია იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ სასამართლოს არ ავალდებულებს დაიხაბუთოს განაჩენში, თუ რატომ ათავისუფლებს არასრულწლოვანს სასჯელისაგან. არადა, არასრულწლოვნის სასჯელისაგან გათავისუფლება აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებით უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მოსარდს არ გაუჩნდეს ჩადენილი დანაშაულისათვის დაუსჯელობის გრძნობა. ამისათვის კი საჭიროა, სასჯელისაგან გათავისუფლებისათვის დაწესდეს მთელი რიგი სხვა პირობებიც.

სასჯელისაგან გათავისუფლებულ არასრულწლოვანს დაენიშნება 91-ე მუხლით გათვალისწინებული აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებანი, რომლებსაც ზემოთ უკვე გაეცნო საუბარი. ამასთან, 91-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ერთდროულად შეიძლება დაენიშნოს რამდენიმე იძულებითი ღონისძება.

§11. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საერთო საფუძვლები მოცემულია სს კოდექსის 72-ე მუხლში, ხოლო 98-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ამ სახეობის კერძო შემთხვევებს, რაც დადგენილია არასრულწლოვანთათვის. კერძოდ: 1) პირობით ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს ის არასრულწლოვანი, რომელიც მსჯავრდებულია გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების აღკვეთით. ე.ი., თუ პირს მისჯილი აქვს სასჯელის სხვა სახე, მის მიმართ 98-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები არ გავრცელდება; 2) პირობით ვადამდე არასრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სხვა მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია 72-ე მუხლის შესაბამის ნაწილებში, უცვლელად ეხება არასრულწლოვანსაც.

§12. ხანდაზმულობის ვადები

ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლების სპეციალური საფუძვლები გადმოცემულია სს კოდექსის 99-ე მუხლში. აქ ნათქვამია: არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლებისას ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები განახევრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება, თუ გავიდა:

ა) ერთი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ამ მუხლის ნაწილით გათვალ-

ისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) სამი წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ხუთი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) თორმეტი წელი და ექვსი თვე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

ასევე გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო არასრულწლოვანი სასჯელისაგან გათავისუფლდება თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

ა) ერთი წლის განმავლობაში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) სამი წლის განმავლობაში სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ხუთ წელიწადში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) შვიდ წელსა და ექვს თვეში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

სს კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლების სხვა მოთხოვნები კი შეცვლელად ვრცელდება არასრულწლოვნებზეც (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც აწესრიგებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა ხანდაზმულობის ვადის საკითხს).

რაც შეეხება სასჯელისაგან გათავისუფლების საერთო საფუძვლებს, როგორიცაა: სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (მუხ. 73-ე), სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო (მუხ. 74-ე), სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის ან ქალისათვის, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი (მუხ. 75-ე), მათი მოთხოვნები შეცვლელად ვრცელდება არასრულწლოვანებზეც.

კანონმდებლობით დადგენილია არასრულწლოვანთათვის ნასამართლობის გაქარწყლების შემცირებული ვადები. სს კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა თვრამეტ წლამდე, ნასამართლობა გაუქარწყლდება, თუ გავიდა:

ა) ერთი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მოხდიდან;

ბ) სამი წელი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მოხდიდან.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი არ აწესებს ნასამართლობის გაქარწყლების შემცირებულ ვადებს იმ არასრულწლოვანთათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან პირობით, ან თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიმართ გამოიყენება სს კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ვადები.

XXII თავი

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინეს შეურაცხაობის, შეზღუდული შერაცხაობის მდგომარეობაში ან ამგვარი ქმედების ჩადენის შემდეგ განუვითარდათ ისეთი ფსიქიკური დარღვევები, რაც შეუძლებელს ხდის სასჯელის დანიშნას ან აღსრულებას, ან რომლებიც დაავადებულნი არიან ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით და აუცილებელია ამ დაავადებებისაგან მათი განკურნება.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების საფუძვლად გვევლინება სამედიცინო და იურიდიული მახვენებლები. კერძოდ, კომპეტენტური სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის მიერ დადგენილი უნდა იყოს, რომ პირს აღენიშნება ქრონიკული სულიერი ავადმყოფობა, სულიერი მოქმედების დროებითი მოშლილობა, ჭკუასუსტობა ან სხვა ფსიქიკური დარღვევები, რაც მას საშუალებას არ აძლევდა მთლიანად ან ნაწილობრივ ანგარიში მიეცა თავისი თავისათვის საკუთარ მოქმედებაში ან ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ან საქმის გამოძიების თუ სასამართლო განხილვის პროცესში, ან რომ პირი დაავადებულია ქრონიკული ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით და მას სასჯელის მოხდის პროცესში ესაჭიროება იძულებითი მკურნალობა, რაც უნდა ჩატარდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, როგორც დამატებითი ღონისძიება.

მაგრამ მხოლოდ სამედიცინო მახვენებლების არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 თავის მოთხოვნათა შესაბამისად, პირს დაენიშნოს იძულებითი მკურნალობა. ამასთან ერთად, აუცილებელია დადგინდეს, რომ მან ჩაიდინა ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადად არის გამოცხადებული. უნდა დადგინდეს, რომ ფსიქიკური დარღვევების შედეგად პირის შეგნება და ნება იმგვარადაა შეცვლილი, რომ იგი წარმოადგენს რეალურ საფრთხეს როგორც გარშემომყოფთათვის, ისე საკუთარი თავისათვის, ან საშიშროებას უქმნის კანონით დაცულ რაიმე სხვა სიკეთეს.

რაც შეეხება თვით სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს, ისინი აერთიანებენ როგორც იურიდიულ, ისე სამედიცინო შინაარსის ზომებს, რომელთა ურთიერთშერწყმა უნდა უზრუნველყოფდეს მათ კანონიერებასა და ეფექტურობას.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები სამართლებრივი ხასიათისაა იმის გამო, რომ მათი გამოყენების საფუძვლები, მიზნები, დანიშვნისა და შეწყვეტის წესი განსაზღვრულია სისხლის სამართლის კანონით, ინიშნება სასამართლოს მიერ, რომელიც აგრეთვე წყვეტს მისი გაგრძელების, შეცვლის ან შეწყვეტის საკითხს და ა.შ.

ამავე დროს ეს იძულებითი ღონისძიებები თავისი შინაარსით მედიცინის სფეროს განეკუთვნებიან, რადგან მათი დანიშვნისას გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენ პირთა ფსიქიკური მდგომარეობა. ამ ღონისძიებების დანიშვნისას სასამართლო ეყრდნობა კომპეტენტური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც უნდა პასუხობდეს კითხვებს იმის შესახებ, იმყოფებოდა თუ არა პირი შეურაცხაობის მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის მომენტში ან ხომ არ იყო იგი ამ დროს შემცირებულად შეურაცხი, რა სახის მკურნალობა უნდა დაენიშნოს მას და რომელი ტიპის სამკურნალო თუ სახელმძღვანელებით დაწესებულებაში და ა.შ. ამასთან ერთად, იძულებით მკურნალობას, სადაც არ უნდა ტარდებოდეს იგი, ახორციელებენ ექიმი-ფსიქიატრები, რომელთა დასკვნის საფუძველზეც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენ იმ პირთა შემდგომი ბედი, რომელთაც ამა თუ იმ სახის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება შეეფარდათ.

საქართველოს სსკ 101-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისია დაასკვნის, რომ ის პირი, ვინც ზოგადოებრივად საშიში ქმედება შეურაცხაობის მდგომარეობაში ჩაიდინა, აღარ არის საშიში და ამ თვალსაზრისს სასამართლო გაიზიარებს, იგი (სასამართლო) უფლებამოსილია ასეთი პირის შესახებ მასალები გადასცეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს, რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტს მისი შემდგომი მკურნალობის საკითხს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების დანიშვნისას, სახელის დანიშვნისაგან განსხვავებით, ვადა არ განისაზღვრება. იგი საერთო ჯამში გრძელდება ზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის სრულ ან ნაწილობრივ განკურნებამდე, რაც სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის დასკვნის გაცნობის

შემდეგ, საფუძველს მისცემს სახამართლოს, მიიჩნიოს, რომ მოცემული პირი ალარ წარმოადგენს საშიშროებას და მის მიმართ იძულებითი მკურნალობის დანიშნების შემდგომი გაგრძელება მიზანშეწონილია.

თუ იძულებითი მკურნალობა სასჯელთან ერთად ენიშნება დანაშაულის ჩამდენ ალკოჰოლიკს ან ნარკომანს, იგი მკურნალობის კურსს გაივლის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პროცესში. ასეთ შემთხვევაში სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში უნდა იყოს შექმნილი იმის პირობები, რომ ალკოჰოლიკებმა და ნარკომანებმა იძულებითი მკურნალობის კურსით გათვალისწინებული სამკურნალო პროცედურები გაიარონ სასჯელის მოხდის პარალელურად და ეს პროცედურები მათ უნდა ნაუტაროს კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა, რომელმაც ალკოჰოლიკის ან ნარკომანის იძულებითი მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ, თუ იგი წარმატებით ჩატარდა და მიღწეულია ავადმყოფის განკურნებამდე, სათანადო შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს იმის შესახებ, რომ მოცემული პირის მიმართ იძულებითი მკურნალობის დანიშნების შემდგომი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს შესაბამისი დადგენილება ამ ალკოჰოლიკის ან ნარკომანის მიმართ იძულებითი მკურნალობის დანიშნების შეწყვეტის შესახებ, რის შემდეგაც მსჯავრდებული გააგრძელებს სასჯელის მოხდას საერთო საფუძველზე.

საქართველოს სსკ 103-ე მუხლი ადგენს, რომ დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება დაენიშნოს სახოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენ ისეთ პირს, რომელსაც არ ესაჭიროება ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, იძულებითი დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა სასამართლომ უნდა შეუფარდოს სახოგადოებრივად საშიში ქმედების შეურაცხაობის, შემცირებული შერაცხაობის მდგომარეობაში ჩამდენ ისეთ პირს, რომელსაც, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა, ფსიქიკური დარღვევების მძიმე და მყარი ფორმები არ ახლავს. ამიტომ მის მიმართ საკმარისია იძულებითი დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშნების გამოყენება, რასაკვირველია, სათანადო სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 103-ე მუხლში, ისევე როგორც საქართველოს კანონში ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა წესით უნდა ხორციელდებოდეს სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი დისპანსერული

ფსიქიატრიული მკურნალობა, რაც უდავოდ, მათ სერიოზულ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ.

თუ მოკლედ შევეხებით დისპანსერული იძულებითი მკურნალობის განხორციელების წესს, უნდა ვიგარაუდოთ, რომ იგი ძირითადად უნდა ჩატარდეს საქართველოს რაიონებსა და რეგიონებში არსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის რომელიმე ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში, ალბათ, სასურველია – იძულებით მკურნალობამისჯილი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შემდეგ, ამ სახის იძულებითი მკურნალობა, ალბათ, შეიძლება შეეფარდოს ძირითადად ისეთი დანაშაულის ჩამდენ პირებს, რომლებიც ჩაიდინეს შედარებით მსუბუქი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რისთვისაც ინიშნება ისეთი სასჯელი, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული. იშვიათ შემთხვევებში ამ სახის იძულებითი მკურნალობა შეიძლება შეეფარდოს იმ პირებსაც, რომლებიც შეურაცხაყოფის მდგომარეობაში ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, მაგრამ იძულებითი მკურნალობის დანიშვნის დროისათვის მათი ფსიქიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ გამოიყენოს იძულებითი მკურნალობის სხვა, უფრო მკაცრი სახეობა, რაც პიროვნების თავისუფლების მეტ შეზღუდვასთან იქნება დაკავშირებული, მაგალითად, სტაციონარული იძულებითი მკურნალობის ესა თუ ის ფორმა. ბუნებრივია, რომ სასამართლომ ეს, ისევე, როგორც ყველა სხვა სახის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის შეხედულების დასკვნის საფუძველზე.

პირი, რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა იძულებითი დისპანსერული მკურნალობა, გარკვეულ, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში, დანიშნულ დროს უნდა ცხადდებოდეს ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში და ზუსტად ასრულებდეს ექიმის დანიშნულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში დისპანსერმა უნდა მიმართოს პოლიციის აღგილობრივ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს იძულებით მკურნალობამისჯილის დროულ გამოცხადებასა და მის მიერ მკურნალობის სრული კურსის გავლას.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების ამ სახის შეცვლა ან შეწყვეტა წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, რომელმაც უნდა ახელმძღვანელოს იმ ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მიერ გაცემული საოანადო დასკვნით, სადაც მოცემული პირი გადის იძულებითი მკურნალობის კურსს.

საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენ პირს, რომელსაც ფსიქიკური მოქმედების მოშლის უფრო მძიმე ფორმები აღენიშ-

ნება, რაც შეუთავსებელია იძულებით დისპანსერულ ფსიქიატრიულ მკურნალობასთან, სასამართლო სათანადო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე უნიშნავს სტაციონარულ მკურნალობას, რაც, დაავადების სიმძიმიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი მეთვალყურეობით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით (საქართველოს სსკ 102-ე მუხლი). სტაციონარული იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშვნის აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს ფსიქიკურად დაავადებული პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და არისხი. კერძოდ, კომპეტენტურმა სასამართლო-ფსიქიატრიულმა საექსპერტო კომისიამ უნდა დაადგინოს, რომ ფსიქიკური მოქმედების მოშლილობის ინტენსივობა და ხასიათი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოცემული პირი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს გარშემომყოფებისა და თავისი პერსონისათვის, მისგან მოსალოდნელია ისეთი მოქმედებები, რომელთა აღკვეთა შეუძლებელია ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლების გარეთ და რომ ამ მდგომარეობიდან გამოყვანა, აგრეთვე მისი რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია ისეთი სამკურნალო პროცედურებისა და რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფას მოითხოვს, რაც შესაძლებელია მხოლოდ მეტ-ნაკლებად მკაცრი იზოლაციის პირობებში სწორედ ფსიქიატრიულ სტაციონარში.

სტაციონარული იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს იგი ხელმძღვანელობს არა მარტო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით, არამედ მისგან მოსალოდნელი ასოციალური ქცევის ხასიათის და სიმძიმის ალბათობით, რაც დაფიქსირებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნაში. ამიტომ მან თავის გადაწყვეტილებაში ზუსტად უნდა მიუთითოს, თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების ზემოხსენებული სახეებიდან კონკრეტულად რომელს ირჩევს და რატომ.

სტაციონარული ფსიქიატრიული იძულებითი მკურნალობის საჭიროებები, მოცემულია საქართველოს სსკ 104-ე მუხლში. ისინი ერთმანეთისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, თუ როგორი უნდა იყოს იქ იძულებით სამკურნალოდ მოთავსებული პირის მიმართ ზედამხედველობის ღონისძიებების გამოყენების ინტენსივობა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მკურნალობას ჩვეულებრივი მეთვალყურეობით სასამართლო ნიშნავს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოცემული პირის მკურნალობა და რეაბილიტაცია არ მოითხოვს

სიფრთხილის განსაკუთრებულ ზომებს და იგი შეიძლება განხორციელდეს ჩვეულებრივ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ავადმყოფებისათვის დადგენილ რეჟიმში. თუ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომისიის დასკვნის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გაზრდილი ალბათობა მოცემული პირის მიერ რეჟიმის დარღვევისა და სხვა ნეგატიური ქცევისა, მას შეუძლია გამოიყენოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა გაძლიერებული მთვალყურეობის პირობებში. დასასრულ, თუ არსებობს იმის საშიშროება, რომ იძულებითი მკურნალობის კურსის გავლის პროცესში პირმა შეიძლება რეალური საფრთხე შეუქმნას გარშემომყოფებსა და საკუთარ თავს და ამიტომ მიზანშეწონილია განხორციელდეს ინტენსიური მეთვალყურეობა, უმჯობესია სასამართლომ მას შეუფარდოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა მკაცრი მეთვალყურეობით.

საქართველოს სსკ (მუხლი 105) არეგულირებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გაგრძელების, შეცვლის ან შეწყვეტის საკითხებს. საქმე ისაა რომ, როგორც უკვე ითქვა, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების დანიშვნისას ვადა არ განისაზღვრება და იგი უნდა გაგრძელდეს პირის სრულ გამოჯანმრთელებამდე ან მისი ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებამდე, რაც საფუძველს მოგვცემს დავასკვნათ, რომ იგი აღარ წარმოადგენს საშიშროებას არც გარშემომყოფთათვის და არც თავისი თავისათვის. აქედან გამომდინარე, იძულებითი მკურნალობის განხორციელების პროცესში, პირის ჯანმრთელობის გაუმჯობესების კვალობაზე, საჭიროა მისი მკურნალობის პროცესში გატარებული სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების კორექტირება. ამასთან ერთად, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ვინაიდან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების დანიშვნისას სასამართლო ვადას არ განსაზღვრავს, არ შეიძლება მისი უსასრულოდ გაგრძელება, რადგან ეს ადამიანის თავისუფლების სერიოზულ შეზღუდვასთან არის დაკავშირებული აქედან გამომდინარე კვლა შედგით.

ამიტომ, იძულებითი მკურნალობის განხორციელების პროცესში დგება ისეთი მომენტი, როდესაც არსებითად იცვლება პიროვნების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც გვიკარნახებს მისთვის შეფარდებული მკურნალობის ღონისძიებების შეცვლის ან შეწყვეტის აუცილებლობას. ხშირ შემთხვევაში ისიც არის შესაძლებელი, რომ მიუხედავად მკურნალობის კურსის სწორად განხორციელებისა, არ მოხდეს პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზული გაუმჯობე-

სება. ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება მის მიმართ იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების გაგრძელება.

ყოველივე ამის გამო სსკ 105-ე მუხლი ადგენს, რომ იძულებითი მკურნალობის დანიშვნიდან ექვსი თვის განმავლობაში სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის მიერ პირის სამედიცინო შემოწმებას, რათა დადგინდეს, ხომ არ მოხდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება და ხომ არ არის მიზანშეწონილი, აღიძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე მოცემული პირის მიმართ იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შემდგომი განხორციელების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ. თუ აღნიშნული ექიმ-ფსიქიატრთა კომისია ვერ მიჰა დასკვნამდე მოცემული პირის მიმართ იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შეწყვეტის ან შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ, მაშინ იძულებითი მკურნალობის დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს სასამართლოს იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შემდგომი გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული პროცედურა კვლავ მეორდება ყოველი ერთი წლის განმავლობაში შემდეგ მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული წარმატებები პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში.

მას შემდეგ, რაც ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება, სამკურნალო დაწესებულება მიმართავს სასამართლოს სათანადო შუამდგომლობით იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შეცვლის ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომელმაც თავის მხრივ უნდა იხელმძღვანელოს როგორც სამედიცინო დასკვნით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით.

თუ იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს დადგენილება შეეხება ისეთ პირს, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეურაცხათობის მდგომარეობაში ჩაიდინა, მას შეუძლია მასალები ასეთი პირის მიმართ გადასცეს ჯანმრთელობის დაცვის სათანადო ორგანოებს, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, გადაწყვეტენ საკითხს იმის შესახებ, ესაჭიროება თუ არა მას შემდგომი მკურნალობა და ზედამხედველობა და თუ ესაჭიროება, რომელ სამკურნალო დაწესებულებაში უნდა გაგრძელდეს იგი.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები ეფარდება არა მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც შეურაცხათობის მდგომარეობაში ჩაიდინეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ამიტომ არ აგებენ პასუხს სისხლის სამართლის წესით. აღნიშნული

ღონისძიებები შეიძლება შეეფარდოს აგრეთვე იმათ, ვინც ბრალეულად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ესა თუ ის ქმედება, მაგრამ შემდგომ, გამოძიების, სასამართლოში საქმის განხილვის ან სასჯელის მოხდის პროცესში დაავადდნენ ფსიქიკური ავადმყოფობით და ამიტომ მათ სათანადო სახამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე სასამართლომ შეუფარდა იძულებითი მკურნალობის ესა თუ ის ღონისძიება. თუ ასეთი პირის მიმართ იქნება მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის შესახებ და ეს მოხდება მის მიმართ შეფარდებული სასჯელის ვადის გასვლამდე, სასამართლო ვალდებულია, განაახლოს მის მიმართ სასჯელის ღონისძიებების აღსრულება, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტისას სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დრო ჩაუთვალოს სასჯელის ვადაში იმ გაანგარიშებით, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გატარებული ყოველი ერთი დღე გაუთანაბროს სასჯელის მოხდის ერთ დღეს (საქართველოს სსკ 106-ე მუხლი).

რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებით მკურნალობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი იძულებითი მკურნალობის კურსს გაივლიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის პროცესში. მათ მიმართაც მოქმედებს იგივე წესი, რომ იძულებითი მკურნალობის დანიშვნიდან ექვსი თვის განმავლობაში აუცილებელია ექიმ-ფსიქიატრთა კომისიამ იმსჯელოს და გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, შეწყდეს თუ გაგრძელდეს მის მიმართ იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შემდგომი განხორციელება, გამომდინარე ჯანმთელობის მდგომარეობიდან. თუ სასამართლო გაუგრძელებს ასეთ პირს იძულებით მკურნალობას, აუცილებელია ყოველი ერთი წლის განმავლობაში მოხდეს მისი სამედიცინო შემოწმება და არსებული დასკვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ იმ საკითხის გადაწყვეტა, რამდენად მიზანშეწონილია იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შემდგომი გაგრძელება.

იძულებით მკურნალობამისჯილი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების განკურნების შემთხვევაში, სასამართლომ, ისევე როგორც სულით ავადმყოფებთან მიმართებაში, სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე მათ უნდა შეუწყვიტოს იძულებითი მკურნალობა. თუ სასამართლოს მიერ იძულებითი მკურნალობის ღონისძიებების შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიღებულ იქნა სასჯელის ვადის გასვლამდე, მათ მიმართ სასჯელის ღონისძიებების აღსრულება უნდა გაგრძელდეს იმავე ან რომელიმე სხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

XXIII თავი

უცხოური სისხლისსამართლებრივი თეორიები და სკოლები

დანაშაულისა და სასჯელის შესახებ კაცობრიობამ ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ადამიანს გაუჩნდა შეფასებითი მსჯელობის უნარი, ერთმანეთისაგან განასხვავა სიკეთე და ბოროტება და დაიწყო სასურველი გზების ძიება უარყოფით მოვლენებთან საბრძოლველად. რელიგიური დოგმების თვალთახედვით დანაშაულისა და სასჯელის ახსნა თანდათან ნაკლებად აქტუალური გახდა მეცნიერულად დასაბუთებული კვლევა-ძიების ფონზე.

მრავალი დირებული სისხლისსამართლებრივი აზრი შეიძლება მოვძებნოთ ძველ ბერძენ, რომაელ და ა.შ. მოაზროვნეთა ნაშრომებში. თუმცა, თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზროვნებისათვის დანაშაულსა და სასჯელთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით საინტერესო ხდება XVI-XVII საუკუნეებიდან მოყოლებული, როდესაც სისხლისსამართლებრივ იდეებს საკუთარ ნაშრომებს უთმობდნენ არა მარტო იურისტები, არამედ მრავალი ფილოსოფოსი თუ სახელგადო მოღვაწე. მათ მიერ წამოყენებული დებულებების შესაბამისად სისხლის სამართლის მეცნიერებაში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი მიმართულება (სკოლა): განმანათლებლურ-ჰუმანისტური, კლასიკური, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური.

§1. განმანათლებლურ-ჰუმანისტური სკოლა

განმანათლებლურ-ჰუმანისტური და კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა მოძღვრება გამოხატავდა ფეოდალური ბატონების წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიის ინტერესებს.

განმანათლებლურ-ჰუმანისტური მიმართულება სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. XVIII საუკუნის განმანათლებლები და მატერიალისტები გამოდიოდნენ არაადამიანობისა და შუა საუკუნეების ბარბაროსული კანონების წინააღმდეგ. მათი იდეები საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის იდეური პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ჩეზარე ბეკარიას ფილოსოფიურ შეხედულებებზე გავლენა იქონია ბეკონისა და ლოკის ნაშრომებმა, მის პო-

ლიტერატურა და სისხლისსამართლებრივ აზროვნებაზე გავლენა შარლ მონტესკიეს იდეებმა მოახდინა.

ნებისმიერი მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობის, სისხლის სამართლის კანონთა სიცხადისა და თანმიმდევრულობის მოთხოვნა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში წამოაყენა ცნობილმა ინგლისელმა ჰასოგადო მოღვაწემ და მატერიალისტმა ფრენსის ბეკონმა (1561-1626). ბეკონი ილაშქრებდა მოძველებული სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების წინააღმდეგ, რასაც გლობალური სოციალურ-სამართლებრივი რეფორმები ესაჭიროებოდა.

შემეცნების სენსუალისტური თეორიის ერთ-ერთი შემქმნელის, ცნობილი ინგლისელი სენსუალისტის ჯონ ლოკის (1632-1704) მთელი მოძღვრება მიმართული იყო იდეისა და წარმოდგენის თანდაყოლილობის შესახებ დეკარტეს თეორიის წინააღმდეგ. ლოკის აზრით, ჩვენი შემეცნებისა და წარმოდგენის წყარო შეგრძნებაა. საერთოდ, მატერიალისტების: ბეკონის, ჰობსის, დეკარტის და ა.შ. დამსახურებაა, რომ ადამიანის ქცევის ახსნა ბუნებისმეტყველო-მეცნიერული და არა რელიგიური პოზიციებიდან ხდებოდა. დანაშაულის ბუნების რელიგიური ახსნა გარკვეულწილად ფატალისტურია, რაც ბრალის დასაბუთებას აძნელებს, რადგან სადაც ნების თავისუფლება არაა, იქ არც ალტერნატიული ქცევის შესაძლებლობაზე შეიძლება საუბარი.

შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) მისი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი განმანათლებელია. მონტესკიე ცნობილია როგორც ფილოსოფოსი, მწერალი, ეკონომისტი და იურისტი. მისი ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებებით იგი შეზღუდული მონარქიისა და ხელისუფლების დანაწილების მომხრეა. წიგნში „სპარსული წერილები" (1721) მოცემულია ფეოდალური სისხლის სამართლისა და მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების კრიტიკა.

ფეოდალური წყაროს განსაკუთრებული კრიტიკა მონტესკიეს მოცემული აქვს „კანონთა გონში", რომელზეც ოცი წლის განმავლობაში იმუშავა და 1748 წელს ჟენევაში ორ ტომად გამოაქვეყნა. სისხლისსამართლებრივი პროგრამა წარმოდგენილია „კანონთა გონის" VI წიგნის შესაბამის თავებში.[1]

მონტესკიე, ისევე როგორც XVIII საუკუნის ყველა განმანათლებელი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კანონს. მისი აზრით, მოქალაქეთა თავისუფლება და მოვალეობა უადრესადაა დამოკიდებული სისხლის სამართლის კანონთა ხასიათსა და ხარისხზე. ხალხმა, უპირველეს

1 იხ. მონტესკიე შ.ლ. „კანონთა გონი", დ. ლაბუჩიძის თარგმანი ფრანგულიდან. თბ., 1994.

ყოველისა, უნდა ითრუნოს მართლმსაჯულების გაუმჯობესებისათვის. მონტესკიე დაჟინებით მოითხოვდა, რომ სისხლის სამართლის კანონით უნდა ისჯებოდეს „მხოლოდ გარეგანი ქმედება“.

მონტესკიეს აზრით, კანონი ერთხელ და სამუდამოდ კი არ უნდა იყოს მოცემული, არამედ კანონმდებელმა იგი უნდა შეუსაბამოს ამა თუ იმ ხალხის გონს, ქვეყნის ბუნებას, კლიმატს, მიწის ოდენობას, ნაადაგის ხარისხს, მოსახლეობის ცხოვრების წესს, ზნეობასა და ჩვეულებას და ა.შ. ყოველი დანაშაული ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში და მოსამართლემ არ უნდა აუქცილოს გვერდი კანონის სიტყვას.

ნებისმიერი სასჯელი, რომელიც აუცილებლობით არაა ნაკარნახევი, ერის აზრის საწინააღმდეგოა. მონტესკიე მოითხოვდა დასჯად ქმედებათა და განსაკუთრებით რელიგიური და ე.წ. უდიდებულესობის ანუ მონარქის შეურაცხმყოფელ დანაშაულთა წრის შეზღუდვას.

მონტესკიემ წამოაყენა დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერების პრინციპი. იგი დამნაშავის წვალებისა და წამების წინააღმდეგი იყო. მართალია, მონტესკიე სიკვდილით დასჯის გაუქმებას არ მოითხოვდა, მაგრამ აღნიშნული სასჯელით დასჯად ქმედებათა შემცირებისა და საერთოდ ჰუმანურ სასჯელთა შემოღების მომხრედ გვევლინებოდა. მისი დამსახურებაა, რომ სისხლის სამართლის ამოცანათა შორის წინა ადგილზეა დაყენებული დანაშაულთა თავიდან აცილება და არა მათი დასჯა. დანაშაულობის მიზეზს იგი სწინდა მისი ზოგადმეთოდოლოგიური კონცეფციის მიხედვით, რომლის თანახმადაც მმართველობის ფორმები, კანონები და სამართალი (მათ შორის დანაშაულობა) უპირატესად კლიმატზეა დამოკიდებული. მისი აზრით, ვნებები და დანაშაულის რაოდენობა ითრდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაშორების შესაბამისად.

ჩეზარე ბეკარიამ (1738-1794) არა მარტო დიდი წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის განმანათლებლურ-ჰუმანისტური მიმართულების განვითარებაში, არამედ მოამზადა საფუძველი კლასიკური სკოლის ჩამოყალიბებისათვის. მისი სისხლისსამართლებრივი იდეები ფორმულირებულია წიგნში „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, რომელიც 1764 წელს გამოსცა.[1]

ბეკარიას თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით მჭიდრო კავშირშია ინგლისურ და ფრანგულ მატერიალიზმთან. იგი განიცდის ბუნებით სამართალზე მოძღვრების ძლიერ ზეგავლენას. კერძოდ, რუსოს

[1] ის. ბეკარია ჩ. „დანაშაულისა და სასჯელისათვის“. ი. სულიაშვილის თარგმანი იტალიურიდან. თ. 2003.

ხელშეკრულების თეორია განსახღვრავს მის ობიექტს. ბეკარიამ მონტესკიეს გაუსწრო საკუთარი მოსაზრებებით და მიემხრო ჰელვეციუსის შეხედულებებს, რომელიც ფრანგი მატერიალისტებიდან თავისი რადიკალურობით გამოირჩეოდა.[1]

ბეკარია ქმედების კრიმინალიზაციისა და მისთვის სასჯელის დადგენის უფლებას კანონმდებლის, ხოლო დანაშაულის ჩადენის ფაქტის დამტკიცებისა და შესაბამისი სასჯელის გამოყენების უფლებას მოსამართლის კომპეტენციას აკუთვნებს.[2]

სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად ბეკარია დაუშვებლად მიიჩნევს, რომ მოსამართლემ განმარტოს კანონი მისი გონის შესაბამისად, რადგან იგი კანონმდებელი არ არის. ამიტომ მან არ უნდა გადაუხვიოს სიტყვასიტყვით გაგებას.

ბეკარიას აზრით, დანაშაულობის თავიდან აცილება შესაძლებელია სახოგადოების განათლებისა და აღზრდის დონის ამაღლების კვალობაზე. თუ სახოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მათთვის გასაგებ ენაზე დაწერილი კანონები, „რაც უფრო მეტი პიროვნება გაიგებს კანონის წმინდა დებულებას და მას გაითავისებს, მით ნაკლები იქნება დანაშაული: უცოდინარობა და დანაშაულზე არაზუსტი წარმოდგენა, უეჭველად, აძლიერებს ვნებათა მჭერმეტყველებას“.[3]

ბეკარია მოითხოვდა კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას, დანაშაულისა და სასჯელის სიმძიმეთა შორის თანაფარდობას, რისთვისაც მოითხოვდა დანაშაულთა და სასჯელთა ზუსტი და საყოველთაო კიბის შექმნას. რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, ბეკარია პირველი იყო, რომელმაც დაბეჯითებული არგუმენტებით მიუთითა ამ უსახიფათესი და ბოროტების მომტან სასჯელზე.“შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბეკარიას იდეის ზეგავლენით საფუძველი ჩაეყარა ამ ბარბაროსული სასჯელის გაუქმების მიმართულებას (აბოლიციონისტების) მოძრაობას“.[4]

ბეკარია სიკვდილით დასჯას აუცილებლად თვლიდა, თუ მის გამოყენებას მოითხოვს ერის თავისუფლება, მართლწესრიგი ან სხვა დანაშაულთა თავიდან აცილება.

ფეოდალური იუსტიციის წინააღმდეგ იყო მიმართული კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის, მოსამართლის თვითნებო-

---

[1] იხ. Уголовное право. Редак: **А.А. Герцензон. Б.С. Ошерович, А.А. Пионтовский.**, М., 1939, с. 62.

[2] იხ. დახას. ნაშრ. ბეკარია,გვ. 36-38.

[3] იქვე,გვ. 44-45.

[4] См: **Наумов А.В.** Уголовное право. Общая часть. Курс лекции, М., 1996, с. 532.

ბის აღკვეთის მოთხოვნა და ცნობილი პრინციპის: „არავითარი დანაშაული, არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“ ფორმულირება, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი დემოკრატიული სისხლისსამართლებრივი პრინციპია.

ბეკარია მოითხოვდა, რომ სასჯელები ყოფილიყო ჰუმანური, რადგან ადამიანის სულზე ქვეშეცნეულ მეტ შთაბეჭდილებას ახდენს არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდაუვალობა და სანგრძლივობა.

მოსამართლეთა მხრიდან პირადი ინტერესების აღმოსაფხვრელად, ბეკარიას აზრით, აუცილებელია სასამართლოში საქმეთა სწორად განხილვა. რამდენადაც სასამართლოზე მოქმედი საზოგადოებრივი აზრი ადვირს ამოსდებს ადამიანის ვნებებს და სასამართლოს სამართლიან გზაზე აყენებს. ბეკარია წინააღმდეგი იყო განსასჯელის რელიგიური, განმწმენდი ფიცისა და წამების. იგი ამტკიცებდა, რომ უსამართლობაა ადამიანის მიწიერი დამნაშავედ სასამართლო განაჩენამდე, როგორც ამას ადგილი აქვს წამების გამოყენებისას.

ვოლტერი (1694-1778) სახელგანთქმული ფრანგი მწერლის პამფლეტისტისა და ფილოსოფოსის ფრანსუა მარი არუეს ერთ-ერთი ფსევდონიმია. მართალია, ვოლტერი თვითონ არ იყო ათეისტი, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდა, რომლის ტრიბუნალებს უსახიჩრებელი სასჯელების გამოყენებაში ხდებდა ბრალს. ვოლტერი ფრიად გავლენიან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ „ვოლტერიანობა ძლიერი კულტურული და პოლიტიკური მიმდინარეობა იყო, რომლის გავლენამ რუსეთის გავლით საქართველომდეც მიაღწია (დავით და ილიკო ბატონიშვილები)“.[1]

ვოლტერის შეხედულებანი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის შესახებ ნათლადაა გადმოცემული მის ორ წიგნში: „დანაშაულებისა და სასჯელების წიგნის კომენტარები“ (1766) და „ჯილდო სამართლიანობისა და ჰუმანიზმისათვის“ (1777).

მონტესკიესა და ბეკარიას ძლიერი ზეგავლენით, ვოლტერის მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასჯელი ჰუმანურობის პრინციპის შესაბამისად უნდა გამოიყენებოდეს. იგი, სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, ბეკარიას აზრს იზიარებდა.

ჟან პოლ მარატი (1743-1793) საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის ერთ-ერთი გამოსჩენილი წარმომადგენელი იყო. დიდ მეცნიერსა და პუბლიცისტს თავისი იდეები გამოთქმული აქვს არა მარტო ფიზიკისა და მედიცინის, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზეც.

---

[1] იხ. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრა, რ. გორდეზიანი, გ. თევზაძე, მ. ნემსაძე, მ. ჭელიძე. თბ. 1993. გვ. 239.

სისხლისსამართლებრივი ასპექტით საყურადღებოა მისი ნაშრომი: „სისხლის სამართლის კანონმდებლობა“, რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული სისხლის სამართლის კანონის ტექნიკაზე. მარატის აზრით, სამართლიანი კანონები არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი, რადგან ყველა მოქალაქეს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. სისხლის სამართლის კანონი უნდა იყოს ზუსტი და მარტივი. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსი იმდენად იაფი უნდა იყოს, რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს მისი შეძენა.[1]

ჟან პოლ მარატმა დაამუშავა სისხლის სამართლის კანონმდებლობის კერძო ნაწილი, რომელიც, ობიექტის მიხედვით, რვა ნაწილად იყო დაყოფილი.

მარატი იზიარებდა მონტესკიესა და ბეკარიას შეხედულებებს დანაშაულობის თავიდან აცილების, დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის, სასჯელის გარდაუვალობის შესახებ. თუმცა, მისი რევოლუციური მოღვაწეობა აისახა მის შეხედულებებში, როგორც რადიკალური ფრთის იაკობინელების ერთ-ერთ ძლიერ ძალას, დანაშაულებად მიაჩნდა რევოლუციის პერიოდში შეუპოვარი ტერორის გამოყენება პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. მარატის აზრით, უსამართლო კანონები შესაძლებელია დაირღვეს.“იმ ხელისუფლებას, რომელიც ამ დარღვევებისათვის პირისუნებას დასჯის, იგი ტირანულს უწოდებდა, ხოლო მოსამართლეს, რომელიც ამისათვის სიკვდილით დასჯიდა - სახიზარ მკვლელს“.[2]

§2. კლასიკური სკოლა

თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია კლასიკური სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა არაერთმა საკანონმდებლო იდეამ. სისხლის სამართლის მოძღვრებაში კლასიკური სკოლა სათავეს იღებს საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შემდეგ, XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური სკოლა გერმანული პოლიტიკურ-სამართლებრივი და ფილოსოფიური აზროვნების წიაღში ჩამოყალიბდა.

---

1 См: **Марат Ж.П.** План уголовного законодательства. М., 1951.

2 См: **Наумов А.В.** დახას. ნაშრ. გვ. 535.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მამამთავრის [1] იმანუელ კანტის (1724-1804) შეხედულებანი. კანტის ფილოსოფიას საფუძვლად უდევს მოძღვრება ტრანსცენდენტალურ იდეალიზმზე. იგი თვლიდა, რომ ჩვენი გრძნობითი გამოცდილება სამყაროს გვაწვნევნებს არა ისეთს, როგორიც იგი სინამდვილეშია, არამედ ისეთს, როგორიც იგი წარმოგვიდგენია ჩვენი შემეცნებითი შესაძლებლობების წყალობით. კანტთან პრაქტიკულ გონს უპირატესობა ენიჭება თეორიულის მიმართ.[2] კანტთან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დასაბუთებას საფუძვლად უდევს მოძღვრება ზნეობრიობაზე. მან დასაბამი მისცა სრულიად ახალი ტიპის [3] მოვალეობის ეთიკას. ამ მოძღვრების მიხედვით, ეთიკური მხოლოდ ისეთი ქცევაა, რომელიც სრულდება მორალური კანონის შესაბამისად. მაგალითად, დანაგრუნს უნდა დაეხმარო არა სიყვარულის ან სიბრალულის გამო, არამედ კანონის პატივისცემის გამო, თუ გინდა, რომ ეს ქცევა ზნეობრივად ჩაითვალოს, რადგან სიყვარული და სიბრალული სუბიექტური გრძნობებია, რომელიც შეიძლება გვქონდეს ერთის მიმართ, მაგრამ არ გვქონდეს მეორის მიმართ. ზნეობრივი კანონის მიხედვით, მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად უნდა დაეხმარო.[2]

კანტის მიხედვით, ეთიკური მოქმედების მოტივი თავად ამ მოქმედების ღირებულება უნდა იყოს და არა ის შედეგი, რაც მისგან შეიძლება გამომდინარეობდეს.[3]

კანტის მოძღვრების მიხედვით, ადამიანის ქცევა ზნეობრივია, თუ იგი შესრულებულია „კატეგორიული იმპერატივისადმი“ მორჩილების გამო. კატეგორიული იმპერატივიდან ყველაზე გავრცელებული ფორმულირებაა შემდეგი: „მოიქეცი ისე, რომ შენი ნების მაქსიმა, ამავე დროს მუდამ საყოველთაო პრინციპად გამოდგებოდეს.“[4] კატეგორიული იმპერატივიდან კანტი აყალიბებს „პრაქტიკულ იმპერატივს“: „მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობას, გინდ შენი, გინდ ნებისმიერი სხვა ადამიანის სახით, მეპყრო როგორც მიზანს და არასოდეს მხოლოდ როგორც საშუალებას“.[5]

მეცნიერული შემეცნების საგანში არის მხოლოდ ის, რაც ჩვენ გვეძლევა გამოცდილებით. კანტისთვის ეს თეორიული გონის სფეროა. ამასთან ერთად, კანტი ამტკიცებდა მიღმური სამყაროს არსებობას,

---

[1] დაწვრ.: იხ. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან. დახახ. ნაშრ. გვ. 276-290.

[2] იხ. ურქომაიშვილი ვ. ფილოსოფია. გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბ., გვ. 251.

[3] იხ. ნარკვევები, ფილოსოფიის ისტორიაში, დახახ. ნაშრომი, გვ. 286-287.

[4] იხ. ციტ. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, დახახ. ნაშრომი, გვ. 286.

[5] ციტ.: См: **Наумов А.В.** Уголовное право. დახახ. ნაშრ., გვ. 536.

რომელიც ჩვენი გამოცდილების ფარგლებს ¹ იმ სამყაროს ¹ გარეთაა, რომელიც შეუძლებელია მეცნიერულად შეეიმეცნოთ,მაგრამ შეიძლება მისი მოაზრებაც და არსებობის რწმენაც. ამ სამყაროს კანტი აკუთვნებს ნების თავისუფლებასაც,რომლის არსებობის მეცნიერულად დასაბუთება არ შეიძლება,მაგრამ უნდა მიეცეთ პოსტულატის სახით ადამიანის მთლიანი პრაქტიკული საქმიანობის შეფასებისას. პრაქტიკული გონის სფეროს, ნების თავისუფლებასთან ერთად, მიეკუთვნება ზნეობრიობის და სამართლის, კერძოდ, სისხლის სამართლის სფერო. იდეალისტური განსაზღვრება ნების თავისუფლების შესახებ, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია გრძნობითი სამყაროს განსაზღვრულობისაგან, საფუძვლად უდევს კანტის სისხლისსამართლებრივ თეორიას.

კანტი დანაშაულს განსაზღვრავდა როგორც კანონების საჯარო დარღვევას, რომელიც ადამიანს უშუალოდ ხდის, იყოს სახელმწიფოს მოქალაქე. კანტი განსაკუთრებით ეხება საკუთრებისა და ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. აქ იგი გამოყოფს საჯარო და კერძო ხასიათის დანაშაულებს, რომელთაგან უკანასკნელი სახის დანაშაულები ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის სანამართლოებს.

სასჯელის გამოყენებისათვის, კანტის აზრით, აუცილებელია დადგინდეს ადამიანის თავისუფალი ნება, რაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვას ნიშნავს. თუ სუბიექტი მოქმედებდა ცხოველური ინსტინქტებით, მაშინ მისთვის ჩადენილი ქმედების ბრალად შერაცხვა შეუძლებელია. კანტი განასხვავებს ორი სახის შერაცხვას: მორალურს და სამართლებრივს. თუ ქმედება გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს, მაშინ სახეზეა სამართლებრივი შერაცხვა, რომელსაც სასამართლო ახორციელებს. თუ ქმედება მხოლოდ გაკიცხვას იწვევს,მაშინ ადგილი აქვს მორალურ შერაცხვას.

სისხლის სამართლის კანონი არის კატეგორიული იმპერატივის მოთხოვნა. ამიტომ მისი დარღვევა არის დანაშაული, რომელმაც უნდა გამოიწვიოს სასჯელი, როგორც კატეგორიული იმპერატივის მოთხოვნა. სასჯელი ბრალეულობის ის სამართლებრივი შედეგია, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულისათვის ტანჯვის მიყენებაში. სასჯელი გვევლინება სამართლიანობის მხრივ შერისძიების, ზღვევინების აქტად. ზღვევინება უნდა გამოიხატოს სასჯელისა და დანაშაულის თანასწორობის პრინციპით, ე.ი. ტალიონის პრინციპით („თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ"). აქედან გამომდინარე, კანტი თვლიდა, რომ მკვლელი უნდა დაისაჯოს სიკვდილით, გაუპატიურების ჩამდენი – კასტრაციით. ქურდს უნდა ჩამოერთვას ქონება, რითაც იგი კარგავს არსებობის საშუალებას და ამის გამო სახელმ-

წიფომ ქურდს უნდა დაუნიშნოს საკეთილდღეო სამუშაოები არსებობისათვის.

კანტი მოითხოვდა სიკვდილით დასჯის გამოყენებას არა მარტო მკვლელობისათვის, არამედ სახელმწიფო დანაშაულისათვისაც. ამასთან, ამსრულებელთან ერთად სიკვდილით უნდა დაისაჯონ თანამონაწილეებიც.

გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის (1770-1831) სისხლისსამართლებრივ შეხედულებებს განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის თეორიის კლასიკურ სკოლაში. იგი გვევლინება ფილოსოფიაში აზროვნების იდეალისტური დიალექტიკის ფუძემდებლად.

ჰეგელის ფილოსოფია ობიექტური იდეალიზმის შეხედულებას ეფრდნობა. ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემასა და ლოგიკას საფუძვლად უდევს აბსოლუტური გონის დიალექტიკური განვითარება. ჰეგელისთვის დიალექტიკური მეთოდი საერთოდ არსებულის, ე.ი. აზრის არსებითი კანონზომიერებაა. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი არსებული საპირისპირო მხარეთა თუ ძალთა ერთიანობაა. ე.ი. დაპირისპირებულთა ერთიანობაა. დაპირისპირებულთა წინააღმდეგობა ქმნის მოძრაობას, რომელსაც განვითარების სასიათი აქვს. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი თავის თავში შეიცავს უარყოფის უარყოფის კანონის ფორმას, რაც შინაარსს უსახღვრავს მას დაპირისპირებულთა ერთიანობაში. დაპირისპირებულები თავისებურ თეზისს და ანტითეზისს წარმოადგენენ, ხოლო მათი ერთიანობა სინთეზია.[1] დიალექტიკური განვითარება ტრიადის ფორმით ხდება: თეზისი, რომლის უარყოფაა ანტითეზისი, ხოლო ამ უარყოფილის უარყოფა სინთეზია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჰეგელმა ამ ტრიადის, ანუ სამსაფეხურიანი სქემის მიხედვით დაასაბუთა. თეზისი არის მოქმედი სამართალი, რომლის უარყოფა ხდება დანაშაულის ჩადენით, ე.ი. ანტითეზისით. დანაშაულის უარყოფა ხდება დამნაშავისათვის სასჯელის დაწესებით. მაშასადამე, დამნაშავისთვის სასჯელის დანიშნა არის სინთეზი ე.ი. დარღვეული სამართლის აღდგენა.

ჰეგელის სისხლისსამართლებრივ მოძღვრებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასჯელის პრობლემას. ჰეგელი კანტთან ერთად სასჯელს შეხედა აბსოლუტური თეორიის მიმხრივ განვითარება. ჰეგელის თვალსაზრისით, სასჯელი არა მარტო სამართლიანობის აღდგენაა სახელმწიფოს ხელში, არამედ ამასთანავე თვით დამნაშავის

[1] იხ. ნარკვევი ფილოსოფიის ისტორიაში. დასახ. ნაშრომი, გვ. 322,323.

უფლებაცაა. ამ უფლების მიცემით, ჰეგელის აზრით, ჩვენ პატივს ვცემთ მას, როგორც გონიერ არსებას. ჰეგელის კონცეფციიდან ნათელი ხდება, რომ იგი უარყოფს სასჯელის უტილიტარულ მიზნებს, რადგან გაუგებრობის, დაშინებისა და გამოსწორების განხორციელებით ჩვენ გონიერ არსებას განვიხილავთ როგორც მაგნე მხეცს. ეს კი ლახავს დამნაშავის ღირსებას.[1]

ჰეგელი სასჯელს განიხილავს როგორც სამაგიეროს მიხდას, მაგრამ ამავე დროს იგი აკრიტიკებს კანტის მატერიალური ტალიონის თეორიას. ჰეგელი თვლიდა, რომ ეს თეორია მისაღები იყო განვითარების დაბალ საფეხურებზე, რადგანაც იდეალური საწყისები ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი მატერიალურისაგან.

ჰეგელი ობიექტური შერაცხვის წინააღმდეგი იყო, რადგან მხოლოდ ნება უარყოფს სამართალს. ამიტომ, ფსიქიკურად დაავადებულების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს სამედიცინო მკურნალობა. ჰეგელი უარყოფდა დანაშაულებრივი ქმედების გარეშე მხოლოდ აზრისათვის დასჯის შესაძლებლობას. ჰეგელი მხარს უჭერდა სისხლის სამართლის კოდიფიცირებულ კანონმდებლობას, როგორც სამართლის უფრო განვითარებულ ფორმას ინგლისური მართლმსაჯულების სისტემის შესაბამისად არსებულ ჩვეულებითი სამართლის ნორმებსა და სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულთან შედარებით. ჰეგელი მოითხოვდა მოსამართლეთა შეხედულებების ფარგლების კანონით შეზღუდვას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაარსებას.

თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონია XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტის ანსელმ ფოიერბახის (1775-1833) სისხლისსამართლებრივმა შეხედულებებმა. ანსელმ ფოიერბახის სამეცნიერო მემკვიდრეობა შესაძლებლობას იძლევა ხუთრედ იგი მივიჩნიოთ კლასიკური სკოლის ფლაგმანად.

ფოიერბახის მიხედვით, სახელმწიფოს მიზანი სამართლებრივი მდგომარეობის შექმნა, ანუ კანონისა და სამართლის საფუძველზე ხალხის ერთობლივი არსებობის ფორმირებაა. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა და ცალკეული მოქალაქეების თავისუფლების უზრუნველყოფა. სამართლის დარღვევა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს წინაშე დასახულ მიზანს, ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფოში ამგვარ დარღვევებს არ ჰქონდეს ადგილი. სახელმწიფოს უფლება აქვს და ვალდებულიცაა მიიღოს ზომები, რომელთა მეშვეობითაც სამართლის დარღვევა შეუძლებელი იქნება. ეს ღონისძიებები საჯაროების მიხედ-

---

[1] См. Гегель, Философия права, соч., т. VII, 1934, стр. 118.

ვით უნდა იყოს იძულებითი. სამართლის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად, ფიზიკურ იძულებასთან ერთად, აუცილებელია ფსიქიკური იძულებაც.

ფოიერბახი თავისი ფილოსოფიური სისტემით კანტის შეხედულებებს ეხმიანება. თუმცა, გარკვეულ საკითხებში აშკარა განსხვავება არსებობს ფოიერბახისა და კანტის პოზიციებს შორის. კანტისათვის ადამიანის ნებისყოფის თავისუფლება, როგორც ზნეობრივი, ისე სამართლებრივი, პასუხისმგებლობის ხოგადი საფუძველია. ფოიერბახი მკვეთრად მოჭრილად ერთმანეთისაგან სამართალსა და ზნეობას. იგი განასხვავებდა იურიდიულ შერაცხვას ზნეობისაგან. ადამიანის ნება თავისუფალი კი არ არის, არამედ მიზეზობრივად განპირობებულია. მაშასადამე, ფოიერბახი უარყოფს ნებისყოფის თავისუფლებას სამართლებრივ სფეროში. ამ საკითხში იგი თანმიმდევრული დეტერმინისტია და სასჯელის მისეულ ფსიქოლოგიური იძულების თეორიას დეტერმინიზმის საწყისებზე აგებს."ფოიერბახი ამავე დროს მტკიცედ ილაშქრებს სამაგიეროს მიზღვის (vergeltung) საწყისის წინააღმდეგ. მისი აზრით, მორალური სამაგიეროს მიზღვა ითვალისწინებს ბრალსა და სასჯელს შორის პროპორციულობის გამორკვევას, ხოლო ამ პროპორციულობის დადგენა შეუძლებელია ადამიანის შეხედულებათა მეშვეობით."[1]

ამრიგად, ფოიერბახის ფსიქოლოგიური იძულების თეორიით აღიარებულია ზოგადი პრევენციის იდეა. მისი აზრით, დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ყველამ კარგად იცოდეს, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენას გარდაუვალად მოჰყვება სასჯელი, რომელიც უფრო მეტი ბოროტებაა, ვიდრე დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განუხორციელებლობით გამოწვეული უკმაყოფილება. მაშასადამე, სახელმწიფომ სასჯელის გამოყენების მუქარით უნდა შეაკავოს მოქალაქეები დანაშაულის ჩადენისაგან.

ფოიერბახის მოძღვრებაში დანაშაულის ცნება ემყარება ზოგადობრივი ხელშეკრულების შესახებ მოძღვრებას. მოქალაქეთა თავისუფლების დარღვევა, რომელიც განმტკიცებულია ზოგადობრივი ხელშეკრულებითა და უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის კანონით, არის დანაშაული ანუ სამართლის დარღვევა. ფოიერბახის აზრით, დანაშაულის სიმძიმე ხელყოფის ობიექტის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ფოიერბახი მოითხოვდა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულიყო ქმედების და არა აზრისათვის.

[1] იხ. ალ. გაწეიშვილი, სასჯელი და პოლიციური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 39.

სწორედ ფოიერბახის დამსახურებაა ჩეზარე ბეკარიას მიერ წამოყენებული თანამედროვე სისხლისსამართლებრივი პრინციპების ლათინური ფორმულებით ჩამოყალიბება, რომელიც სასჯელისა და დანაშაულის მხოლოდ კანონით განსაზღვრას ეხება. დღესდღეობით ეს ფორმულები ჩამოყალიბდა კომბინირებული პრინციპით: „nullum crimen, nulla poena sine lege“ („არავითარი დანაშაული, არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“).

ფოიერბახის მიერ დამუშავებულია მრავალი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი. დანაშაულის შემადგენლობა, თანამონაწილეობა, ბრალი და მისი ფორმები, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მცდელობა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოიერბახმა დიდი წვლილი შეიტანა ბავარიის 1813 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენაში.

კლასიკურ სკოლასთან მრავალი ცნობილი გერმანელი იურისტის სახელია დაკავშირებული: ბირკმაიერი, ბინდინგი, ბელინგი და სხვ.

კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა იურიდიული მსოფლმხედველობით დანაშაული და სასჯელი განიხილება წმინდა ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით. მართალია, დოგმატური (ფორმალურ-იურიდიული) კვლევის მეთოდი უმნიშვნელოვანესია სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის, მაგრამ საზოგადოების მოწყვეტით სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პირობებისგან დანაშაულისა და დანაშაულობის განხილვა მართებულად ვერ ხსნის დანაშაულობის მიზეზებს. ეს კარგად შეინიშნეს სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლებმა. თუ რამდენად დახაბუთებული იყო მათი კრიტიკა, ეს უკვე ცალკე კვლევის საკითხს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური მიმართულება გავრცელდა რევოლუციამდელ რუსეთში (ნ. ტაგანცევი, ნ. სერგეევსკი და სხვ). განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. ტაგანცევის (1843-1923) ნაშრომები. მისი სისხლისსამართლებრივი შეხედულებანი შეიძლება შევაფასოთ როგორც ლიბერალურ-ჰუმანისტური. ტაგანცევი ეზიარებდა სოციოლოგიური სკოლის მიღწევებს დანაშაულობის კვლევის სფეროში, მაგრამ მკაცრად უარყოფდა „დამნაშავის საშიშ მდგომარეობის“ კონცეფციას და პრეზენციული „უსაფრთხოების ღონისძიებათა“ გამოყენებას სისხლისსამართლებრივი სასჯელის ნაცვლად. მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს და არა განსრახვა. ტაგანცევი სიკვდილით დასჯის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ხასხლის სამართლის თეორიაში გამოიყოფა აგრეთვე ნეოკლასიკური მიმართულება. ნეოკლასიკური მიმართულების ფარგლებში დიდი ყურადღება მიექცა ნების თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრობლემებს. კერძოდ, შერაცხადობაზე გავლენა შეიძლება იქონიოს პათოლოგიამ, გონებრივი განვითარების დონემ და ა.შ. პასუხისმგებლობისა და სასჯელის განსაზღვრისას ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ექსპერტთა დასკვნა.

ნეოკლასიკური სკოლის მიერ მართებულად დარჩა ხელშეუხებელი კლასიკური მიმართულების მიერ ჩამოყალიბებული ფუძემდებლური პრინციპები. მაგალითად, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, დანაშაულისა და სასჯელის მხოლოდ კანონით განსაზღვრის მოთხოვნა და სხვ.

ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლები (მაგალითად, ჟ. ხაუერი, ჟ. შეცგერი, ვ. გალასი და სხვ.) დანაშაულის, მისი ელემენტების, სასჯელისა და სხვა ხასხლისსამართლებრივი ინსტიტუტების შესახებ არაერთ საგულისხმო შეხედულებებს იძლევიან, რომელიც ამ მიმართულების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

§3. ანთროპოლოგიური სკოლა

დანაშაულის ხრდის, მისი მიზეზების ახსნისა და თავიდან აცილების წინადადებით ანთროპოლოგიური სკოლა შეეცადა დაესაბუთებინა ხასხლის სამართალში კლასიკური სკოლის უსუსურობა.

ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებელია იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი ჩეზარე ლომბროზო (1835-1909).

ლომბროზოს მიხედვით, დამნაშავე არის ადამიანის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელსაც აშკარად გამოხატული სპეციფიკური ბიოლოგიური ნიშნების ერთობლიობა გააჩნია. აქედან ლომბროზო აკეთებდა დასკვნას დანაშაულის ბუნებრივი აუცილებლობის შესახებ. მან ჩამოაყალიბა აზრი, რომ დანაშაული ბუნებრივად იხვეწე აუცილებელია, როგორც დაბადება, სიკვდილი, განაყოფიერება, ფსიქიკური დაავადება.

ლომბროზოს სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური მიძღვრების ძირითადი იდეები გადმოცემულია მის ნაშრომში „დამნაშავე ადამიანი" (1871). ამ ნაშრომში ლომბროზო ცდება დამნაშავეთა ანთმალიებს და დამნაშავეთა თავის ქალისა და არადამნაშავეთა თავის ქალის ერთეულშედარებით მიდის დასკვნამდე, რომ დამნაშავეებს

უფრო დიდი თავის ქალა აქვთ. ლომბროზო ირწმუნებოდა, რომ დამნაშავეთა თავის ქალის წონა უახლოვდება სულიერად დაავადებულთა თავის ქალას. ჩვეულებრივ დამნაშავეთა ტვინი ფორმით ჰგავს დაბალი განვითარების ცხოველთა ტვინს. მძარცველებს, მკვლელებს, ცეცხლის წამკიდებლებს სხეულის დიდი აგებულება გააჩნიათ, კერძოდ, დიდი ყბები და ეშვები, გრძელი კბილები, არეული ცხვირი და ა.შ. დამნაშავეებს, ხშირად ხანაშალის შესაბამისად, განსაკუთრებული ფიზიონომია ახასიათებთ. ქურდებისათვის დამახასიათებელია სახისა და ხელების სიმარდე, მორბენალი თვალები, მეჩხერი წვერი. სქესობრივ დამნაშავეებს [1] მოელვარე თვალები, განაზებული სახის ნაკვთები, მსხვილი ტუჩები, გრძელი თმები და ა.შ.

ლომბროზო აღნიშნავს, რომ დამნაშავეები უზნეო და უგრძნობი არსებანი არიან. დამნაშავეები გამოირჩევიან პატივმოყვარეობით, სისასტიკით, შურისძიებით, ახასიათებთ მიდრეკილება ღვინისა და ბანქოსაკენ, ტკბობის, ცეკვის, სანახაობისაკენ და ა.შ.

ლომბროზოს ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია კლიმატური პირობებისა და რასობრივი ნიშნებისადმი ადამიანის მიკუთვნებას. მაგალითად, დამნაშავეები განსაკუთრებული დაბალი რასის სალხია, რომელთა გამოსწორება შეუძლებელია.

ჩეზარე ლომბროზო, რომელიც ცხის ექიმად მუშაობდა, საკუთარი ექსპერიმენტების საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ დამნაშავე განსაკუთრებული ბიოლოგიური ტიპია და მისი გამოსწორება შეუძლებელია. ამიტომ ლომბროზო და მისი მიმდევრები (რ. გაროფალო, ე. ფერი) მოითხოვდნენ სასამართლოების გაუქმებასა და მის შეცვლას სპეციალური ადმინისტრაციული ორგანოებით. ეს ორგანოები სასჯელის ნაცვლად გამოიყენებდნენ უსაფრთხოების ღონისძიებებს: იძულებით დასჯას, თავისუფლების აღკვეთას, კასტრაციას, სტერილიზაციას და ა.შ.

ანთროპოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია ე. ფერი (1856-1929), რომელიც დანაშაულობის კვლევისას, ანთროპოლოგიურთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ ფაქტორებსაც. მისი აზრით, მაგალითად, დანაშაულობის სოციალური მიზეზები უფრო დიდ გავლენას ახდენს ქურდობაზე, ვიდრე მკვლელობაზე ან გაუპატიურებაზე. მკვლელობა და გაუპატიურება, უწინარეს ყოვლისა, დამნაშავის პირადი თავისებურებების ნაყოფია.

ე. ფერის აზრით, ზოგადად დანაშაულზე ზეგავლენას ახდენს: ინდივიდუალური, ფიზიკური და სოციალური.

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე ანთროპოლოგიურმა იდეებმა რუსეთშიც გაიჩინა მომხრეები. მათგან აღსანიშნავია პროფ. ვ. ნიკი,

პროფ. ვ. ტარნოვსკაია და პროფ. დრილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ანთროპოლოგიური იდეები პრაქტიკულად არ განხორციელებულა.

„დაბადებით დამნაშავის“ თეორია,რაღაცრც ანტიმეცნიერული,მკაცრად იქნა გაკრიტიკებული,რადგან შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ დამნაშავის არავითარი განსაკუთრებული ბიოლოგიური ტიპი არ არსებობს. სინამდვილეში არ არსებობს არანაირი ანთროპოლოგიური ნიშნები ¦ დანაშაულობის სტიგმატები ¦ რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კანონმორჩილებისაგან დამნაშავის გამორჩევა.

შემთხვევითი არ იყო,რომ ანთროპოლოგიური სკოლის იდეები,ხშვა რასობრივ თეორიებთან ერთად, ფართოდ გამოიყენებოდა ფაშისტურ იტალიასა და გერმანიაში. საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ტყვეები არაადამიანური ექსპერიმენტების მსხვერპლი ხდებოდნენ. რასობრივი და პოლიტიკური ნიშნის მიხედვით ხალხთა მასობრივი განადგურების ფაქტები ნათლადაა აღწერილი და დადასტურებული სპეციალურად შექმნილი ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულისა და დანაშაულობის მიზეზების ახსნისათვის ანთროპოლოგიური მიდგომა მიუღებელია, შეუძლებელია ადამიანის სულიერი, ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური მდგომარეობის სრული გაუთვალისწინებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. ადამიანის სამედიცინო-ბიოლოგიურ თავისებურებებს დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. კერძოდ,საქართველოს სსკ-ის 34-ე მუხლით (შეურაცხაყობა ფსიქიკური დაავადების გამო) შეურაცხად ისიც ითვლება, ვისაც ინტელექტუალური სფერო დაზიანებული არა აქვს, მაგრამ დაზიანებული აქვს ნებელობითი სფერო. ამგვარი ფსიქიკური ანომალია გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან შეუძლებელია სუბიექტის გაკიცხვა ჩადენილი უმართლობისათვის. ამგვარი ანომალიაა, მაგალითად, კლეპტომანია (დაუძლეველი სწრაფვა ქურდობისაკენ), პირომანია (დაუძლეველი სწრაფვა ცეცხლის წაკიდებისაკენ) და ა.შ.

§4. სოციოლოგიური სკოლა

ანთროპოლოგიური სკოლის მიმდევრებმა, როგორც შემდგომმა კვლევებმა ნათელყო, დანაშაულის ბუნების, დანაშაულობის ხარისხი და მისი თავიდან აცილების არამეცნიერული თეორიული დახასიათება მოგვცა. ანთროპოლოგიური სკოლის შემდეგ სისხლის სამართლის მეცნიერებაში წარმოიშვა ახალი მიმართულება, რომელიც სოციოლოგიური სკოლის სახელწოდებითაა ცნობილი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიური სკოლა განსაკუთრებული კლექტივიზმით გამოირჩევა. ეს მიმართულება ცდილობდა ერთმანეთისათვის შეეთავსებინა ანთროპოლოგიური და კლასიკური სკოლის ელემენტები საკუთარ თეორიასთან. სოციოლოგიური სკოლა დანაშაულობის მიზეზებს ეძებდა არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ ფაქტორებში. რაც შეეხება სასჯელს, აქ სოციოლოგიური სკოლა, ერთი მხრივ, იზიარებს კლასიკური სკოლის მიერ ნამოყალიბებულ შერისძიების თეორიას, მეორე მხრივ, ლომბროზოსა და მისი მიმდევრობის სოციალური დაცვის თეორიას აქცენტებს სასჯელის გვერდით.

სოციოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები სამაგიერის მიზნის ადიარებით კომპრომისზე მიდიან და სიმძიმის ცენტრი გადააქვთ სპეციალურ პრევენციაზე, რომლის ცალკეული მიზნები შეკავშირდება დამნაშავეთა ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილებას: თუ დამნაშავეთა კლასი შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც ვარგისნი არიან სოციალური შეგუებისათვის, სასჯელს მიზნად უნდა ჰქონდეს გამოსწორება; თუ კლასი შედგება გამოუსწორებელ დამნაშავეთაგან, სასჯელმა უნდა მიიღოს ელიმინაციის, გაუვნებელყოფის ხასიათი. შესაძლოა ისეთი მდგომარეობაც, როცა დანაშაული ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევით ეპიზოდს წარმოადგენდა, გამოწვეული იქნ მძიმე, ტრაგიკული გარემოებებით, ამიტომ არაა მისგან მოსალოდნელი ახალი დანაშაული. მაშასადამე, არაა საჭირო არც მისი გამოსწორება და არც მით უფრო ელიმინაცია; სასჯელს აქ შეიძლება მიზნად ჰქონდეს ან კანონჩამორი ყოფაქცევის სტიმულების გამაგრება ან საერთო პრევენცია და სამაგიერის მიზნება.[1]

სოციოლოგიური სკოლა დანაშაულობის მიზეზებს ხსნის ე.წ. ფაქტორთა თეორიის საფუძველზე. დანაშაულობის წარმომშობი სამი ჯგუფის ფაქტორი გამოიყოფა სოციოლოგიური მიმართულების ფარგლებში:

[1] იხ.: ალ. ვახვიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115-117.

1) სოციალურ-კონომიკური (უმუშევრობა, სიღარიბე, პროსტიტუცია და ა.შ.); 2) ფიზიკური და კოსმიური (დრო, წელიწადი, დღე-ღამე, კლიმატი, ამინდის მდგომარეობაა და ა.შ.); 3) ინდივიდუალური ანუ ბიოლოგიური (სქესი, ასაკი, ტემპერამენტი, დამნაშავის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებანი და ა.შ.).

სოციოლოგიური სკოლის მამამთავრად და თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება გერმანელი კრიმინალისტი ფრანც ლისტი (1851-1919) — ლისტი, ისევე როგორც სოციოლოგიური სკოლის ყოველი წარმომადგენელი, გულგრილად ეკიდებოდა ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საკითხებს. ლისტი თვლიდა, რომ ფილოსოფია და სისხლის სამართლის მეცნიერება არავითარ კავშირში არ იმყოფება. ლისტის მიერ ფილოსოფიის მნიშვნელობის უარყოფა სისხლის სამართლისათვის შეიძლება ითქვას, რომ თავისებური ფილოსოფიის ქადაგებაა, სოციოლოგიური კონცეფცია საერთოდ და ფაქტორთა თეორიაა კერძოდ, სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიაში პოზიტივიზმის ქადაგება.

ლისტი დანაშაულს განიხილავს ტექნიკურ-იურიდიული და ბუნებრივ-მეცნიერული თვალსაზრისით. კვლევის შედეგად იგი მიდის დასკვნამდე, რომ დანაშაული არის ერთი ინდივიდუალური ფაქტორისა და საზოგადოებრივ ფაქტორთა ურიცხვი რაოდენობის პროდუქტი. ლისტის თქმით, ეს დებულება მისი სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური მრწამსის ქვაკუთხედია.

დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით, სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები სასჯელთან ერთად მოითხოვდნენ უსაფრთხოების ღონისძიებების ანუ სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემოღებას, რომელთა დანიშნის საფუძვლად მიჩნეულია არა დანაშაული, როგორც სასჯელის განსაზღვრისას ხდება, არამედ ადამიანის მავნეობა, საშიშროების ხარისხი. სწორედ ეს დებულებაა სოციოლოგიური სკოლის მიერ განვითარებული „პირთვების საშიშის მდგომარეობის“ თეორიის ძირითადი დერძი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად სამართალი კონკრეტული დანაშაულის ჩადენას კი არ უნდა ელოდეს, არამედ დანაშაულის ჩადენამდე სოციალური დაცვის ღონისძიებების გამოყენებით უნდა ადიკვეთოს საზოგადოებისათვის საშიშ პირთა საქმიანობა.

„დაცვის ღონისძიებათა“ მუშავებით ხორციელდება ან ცალკეულ პირთა შეცვება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან (ამშრდელობითი ან გამასწორებელი ღონისძიებანი), ან შეცვების უნარს მოკლებულ პირთა გამოთიშვა საზოგადოებიდან (დაცვის ღონისძიებანი ვიწრო მნიშვნელობით). ეს ღონისძიებანი, ლისტის თქმით, სუსტად იყო დამუშავებული და შეტანილი გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის სისხლის

სამართლის კოდექსების პროექტებში. ამას წერდა ლისტი 1912 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში. მას შემდეგ „დაცვის ღონისძიებების" ცნება შეტანილი იყო სხვადასხვა ქვეყნების კოდექსებში და მოქმედი კანონის ძალა მითმო.[1]

სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემოღება თავისთავად ნიშნავს სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების უგულებელყოფას. სოციოლოგიური სკოლის იდეები აისახა იტალიის 1931 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელსაც ქვეყანაში დამყარებული ფაშისტური რეჟიმი. უსაფრთხოების ღონისძიებანი უცხო არ იყო საბჭოთა კანონმდებლობისათვის. მაგალითად, რუსეთის 1922 წლის საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა არა მარტო დამნაშავეთა, არამედ „მოცემულ ადგილზე დანაშაულებრივ გარემოსთან დაკავშირებით" სახოგადოებისათვის საშიში პირების გადახალისებას და გახახლებას. სხრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1924 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძვლებში სასჯელი საერთოდ შეცვალა „სოციალური დაცვის ღონისძიებებმა" და ა.შ."პიროვნების საშიშის მდგომარეობის" თეორია იდეოლოგიურ საფუძველს უქმნიდა 20-30-იანი წლების საბჭოთა კავშირის სელისუფლებას, არახასამართლო წესით გახწორებდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.

სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლებთან აღსანიშნავია პრინსისა და გან ჰამელის შეხედულებანი. ახლაც დიდ ყურადღებას იპყრობს რეფორტიამდელი რუსი კრიმინალისტის ფოინიცკის ნაშრომები.[2]

უსაფრთხოების ღონისძიებანი თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ცივილიზებული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც გვხვდება სასჯელთა სისტემის გვერდით. ამ მხრივ აღსანიშნავია ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიისა და სხვ. ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობანი.

დღევანდელი გადასახედიდან სოციოლოგიური სკოლა მრავალ კრიტიკულ შენიშვნას იმსახურებს."პიროვნების საშიში მდგომარეობის" თეორიამ უგულებელყო სისხლის სამართლის ისეთი ფუძემდებლური საწყისები, როგორიცაა: კანონიერების, დანაშაულისა და სასჯელის პროპორციულობის, ბრალეულობის და სხვა პრინციპები. მრავალი ნაკლის მიუხედავად, სოციოლოგიური სკოლის ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება. კერძოდ, სოციოლოგიურმა მიმართულებამ მეცნიერებს სა-

[1] ის.: ალ. ვანეშტელი,დასახ. ნაშრომი,გვ. 208.

[2] См.: 1.**Фойницкий.** Учение о наказании в связи с тюрьмоведением. 1889.

[3] **Фойницкий.** Учение о наказании, 1889.

შეიძლება მისცა შეისწავლონ დანაშაული, დანაშაულობა და დამნაშავე სტატისტიკური და სოციოლოგიური კვლევის მეთოდებით: სასჯელის ეფექტურობის გაძლიერების მიზნით, დამნაშავის პიროვნული საშიშროების გათვალისწინება ხდება სასჯელის დანიშვნისას (მაგალითად, დანაშაულის რეციდივის დროს) და სხვ.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან საფუძველი ეყრება სოციალური დაცვის ახალ თეორიას, რომელიც სასჯელის პრობლემებთან დაკავშირებით, ნეოკლასიკურ მიმართულებას უპირისპირდება. ნეოკლასიკური კონცეფციის მიხედვით, სასჯელს ორი მიზანი აქვს: სამაგიეროს მიზღვა და დაშინება, ხოლო ახალი სოციალური დაცვის თეორია სასჯელის მიზნებად აცხადებს დამნაშავის გამოსწორებას და რესოციალიზაციას.

ახალი სოციალური დაცვის თეორიის ძირითადი დებულებების დამუშავება მარკ ანსელის სახელთანაა დაკავშირებული.[1] ახალი სოციალური დაცვის თეორიის მიმდევრები დანაშაულობისა და დამნაშავეთა შემცირების ალტერნატიულ საშუალებად დეიურისდიქციას ასახელებენ. დეიურისდიქცია გულისხმობს როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისე არაიურიდიული ბუნების სოციალურად არჩევითი ორგანოების (მაგალითად, საწარმოში, სადაც დამნაშავე მუშაობს, შექმნილი კომიტეტი) მიერ არასასამართლო წესით დამნაშავის ხადენილი ქმედების განხილვას და მის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. დეიურისდიქციით, რა თქმა უნდა, ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, შეჯიბრებითობის პრინციპი და სხვა დემოკრატიული მართლმსაჯულების საწყისები. თუმცა, ცნობილი ფრანგი კომპარატივისტის ჟან პრადელის აზრით: „ყველა ეს უხერხულობა და რისკი შემცირებულია იმ ფაქტით, რომ დეიურისდიქცია გამოყენებულ უნდა იქნეს და კიდეც გამოიყენება, მხოლოდ ნაკლებად სერიოზული დანაშაულებისათვის."[2]

სისხლის სამართლის ძირითადი მიმართულებების შემდგომმა კვლევებმა ნათელყო, რომ მათგან თანამედროვე სისხლის სამართლის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი კლასიკურ სკოლას მიუძღვის, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებული იდეების უდიდესი ნაწილი დღესაც მისაღებია. უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, რომ კრიმინალიზაციის ობიექტად კლასიკურმა სკოლამ მხოლოდ ქმედება გამოაცხადა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ

---

[1] См: **Ансель М.** Новая социальная защита (Гуманистическое движение в уголовной политике). М., 1970.

[2] იხ. პრადელი ჟ. შედარებითი სისხლის სამართალი (ტატერინე ხუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან). გამომც. „სანი", 1999, გვ. 112-118.

ნების თავისუფლების მქონე, შერაცხადს დაუკავშირა. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა სწორედ კლასიკურ სკოლაში შემუშავებულ ძირითად პოსტულატებზე დაყრდნობით შეიქმნა, რომლის შემადგენელი ელემენტები დროთა განმავლობაში, მართალია, შინაარსობრივ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ სტრუქტურულად ხელუხლებელი რჩება. დანაშაულის ცნების შესახებ სამი მოძღვრება გამოიყოფა: კლასიკური (ფონ ლისტი, ე. ბელინგი და სხვ.). ნეოკლასიკური, ანუ მოძღვრება სუბიექტურ ელემენტთა შესახებ (ე. მეცგერი, მ.ე. მაიერი და სხვ.) და ფინალური (ჰ. ველცელი, ჰ. ვებერი და სხვ.).[1] თუმცა, ზემოაღნიშნულ სკოლებს, დადებითთან ერთად, უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება განვავითაროთ ცივილიზებულ ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებული მოთხოვნებისადმი შესაბამისი სისხლისსამართლებრივი აზროვნება.

[1] იხ. თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დახასიათების საფუძვლები. თბ., 1989; კუტალია ლაშა-გიორგი: 1) ბრალის ნორმატივისტული მოდელი (დოგმატურ-სისტემატიკური თავისებურებანი), თბ., 1999; 2) ბრალი სისხლის სამართალში (ბრალის გენეზისი), ტომი პირველი, თბ., 2000; **Янсс Н.В.** Нормативная теория в современном буржуазном уголовном праве. изд. Ленинградского университета, 1963.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

I თავი

სისხლის სამართლის ცნება, მეთოდი, სისტემა, მიზნები, სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში 5

II თავი

სისხლის სამართლის პრინციპები 14

§1. ზოგადი დებულებანი 14
§2. კანონიერების პრინციპი 17
§3. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი 21
§4. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი 23
§5. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი 27
§6. პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპი 28
§7. სახჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი 29
§8. სამართლიანობის პრინციპი 31
§9. ჰუმანიზმის პრინციპი 33

III თავი

პოლიტიკა სისხლის სამართალში და სისხლის სამართლის თეორია 38

§1. პოლიტიკა სისხლის სამართალში 38
§2. სისხლის სამართლის თეორია 42

IV თავი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისსაფუძველი – დანაშაული 48

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება 48
§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაული 50
§3. ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია 56
§4. დანაშაულის კლასიფიკაცია 58
§5. დანაშაული, არადანაშაულებრივისამართალდარღვევა და ამორალური ქცევა 60
§6. ფსიქიკურად პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 62

V თავი

სისხლის სამართლის კანონი 69

§1. სისხლის სამართლის კანონის ცნება და მისი ნიშნები 69
§2. სისხლის სამართლის წყაროები 70
§3. სისხლის სამართლის კოდექსის სტრუქტურა 73
§4. სისხლისსამართლებრივი ნორმის სტრუქტურა 74
§5. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში 78
§6. სისხლისსამართლებრივი კანონის მოქმედება სივრცეში 83
§7. სისხლის სამართლის კანონის განმარტება 90

VI თავი

საქართველოს სისხლის სამართლის ისტორია 93

VII თავი

დანაშაულის შემადგენლობა 102

§1. დანაშაულის შემადგენლობის ცნება და მნიშვნელობა 102
§2. დანაშაულის შემადგენლობის სახეები 105
§3. დანაშაულის შემადგენლობის აღწერილობითი და შეფასებითი ნიშნები 106
§4. დანაშაულის კვალიფიკაცია 108

VIII თავი

დანაშაულის ობიექტი 110

IX თავი

დანაშაულის ობიექტური მხარე 115

§1. დანაშაულის ობიექტური მხარის ცნება და მნიშვნელობა 115
§2. მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) 117
§3. დანაშაულის შედეგი 120
§4. მიზეზობრივი კავშირი 122
§5. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, საშუალება, იარაღი, ხერხი 125

X თავი

დანაშაულის სუბიექტური მხარე 127

§1. დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნება და მნიშვნელობა 127
§2. განზრახვა და მისი სახეები 129
§3. გაუფრთხილებლობა და მისი სახეები 135

§4. დანაშაული ბრალის ორი ფორმით 140
§5. დანაშაულის მოტივი და მიზანი, ემოცია 142

XI თავი

დაუმთავრებელი დანაშაული 145

§1. დანაშაულის ცნების სტადიისზოგადი ცნება და სახეები 145
§2. დამთავრებული დანაშაული 149
§3. დანაშაულის მომზადება 156
§4. დანაშაულის მცდელობა 159
§5. ზოგიერთი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის თავისებურებანი 169
§6. დანაშაულზე ნაბაყოფლობით ხელის აღება 175

XII თავი

დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, დანაშაულის შემხებლობა 186

§1. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება 186
§2. დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება 198
§3. დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმები 202
§4. დანაშაულის ამსრულებლობა 204
§5. დანაშაულის თანაამსრულებლობა 206
§6. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა 208
§7. დანაშაულში თანამონაწილეთა სახეები 211
§8. ამსრულებლის ექსცესი 219
§9. ჯგუფური დანაშაული 221
§10. პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის 228
§11. დანაშაულის შემხებლობა 235

XIII თავი

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი 237

§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ზოგადი დახასიათება 237

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სახელდებით მოხსენიებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი 244

§1. აუცილებელი მოგერიება 244
§2. დამნაშავის შეპყრობა 253
§3. უკიდურესი აუცილებლობა 255

§4. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი 260
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი 262
§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების სამართლებრივი საფუძველი 262
§2. დაზარალებულის თანხმობა 265
§3. დაზარალებულის საგარაუდო თანხმობა 275
§4. მოვალეობათა კოლიზია და მოვალეობათა კონკურენცია 281
§5. ნივთის ჩამორთმევა 289
XIV თავი
ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი 292
§1. ზოგადი დახასიათება 292
§2. შეურაცხაობა ახაკის გამო (მუხლი 33-ე) 295
§3. შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო (მუხლი 34) 298
§4. შეზღუდული შერაცხადობა (მუხ. 35-ე) 303
§5. შეცდომა 307
§6. ბრძანების ან განკარგულების შესრულება (მუხ. 37-ე) 312
§7. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების გამო (სსკ 38-ე მუხლი) 317
XV თავი
ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე 321
§1. ერთიანი დანაშაულის ცნება და სახეები 321
§2. დასრული დანაშაული 326
§3. განგრძობადი დანაშაული 330
§4. დანაშაულის სიმრავლე 333
§5. დანაშაულთა ერთობლიობა 337
§6. დანაშაულის რეციდივი 343
§7. რეკვიზიტი, რეკვიზიტული დაჯგუფება, რეკვიზიტი 346
XVI თავი
სასჯელის ცნება და მიზნები 349
§1. სასჯელის ცნება და ნიშნები 349
§2. სასჯელის მიზნები 350

XVII თავი

სასჯელთა სისტემა და სახეები 356

§1. სასჯელთა სისტემა 356
§2. საზოგადოებისათვის სახარგებლო შრომა 360
§3. გამასწორებელი სამუშაო 361
§4. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა 362
§5. თავისუფლების შეზღუდვა 363
§6. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 364
§8. უვადო თავისუფლების აღკვეთა 365

XVIII თავი

სასჯელის დანიშვნა 367

§1. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები 367
§2. სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას 373
§3. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა 374
§4. სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის 378
§5. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისა და დანაშაულის ამსრულებლობისათვის 381
§6. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს 383
§7. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს 384
§9. სასჯელთა შეჯამება 389
§10. სასჯელთა შეჯამება, სასჯელის ვადისგამოთანგარიშება და სასჯელთა შეცვლა 390
§11. პირობითი მსჯავრი 391

XIX თავი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება, ნასამართლობა 400

§1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო 401
§2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო 404
§3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვითარების შეცვლის გამო 405

§4. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებოორგანოებთან თანამშრომლობის გამო 407
§5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო 408
§6. სასჯელისაგან გათავისუფლება. სასჯელისმოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 411
§7. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით 414
§8. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო 416
§9. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვისან ქალისათვის, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი 418
§10. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაგამამტყუნებელი განაჩენის სახდაზმულობის გამო 420

XX თავი

ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა 422

§1. ამნისტია 422
§2. შეწყალება 423
§3. ნასამართლობა 424

XXI თავი

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 428

§1. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯის თავისებურებები 428
§2. ჯარიმა 431
§3. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 432
§4. პატიმრობისათვის სასარგებლო შრომა 433
§5. გამასწორებელი სამუშაოები 434
§6. თავისუფლების შეზღუდვა 435
§7. პატიმრობა თავისუფლების აღკვეთა 436
§8. სასჯელის დანიშვნა 437
§9. არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან 439
§10. არასრულწლოვნის სასჯელისაგან გათავისუფლება 448
§11. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 449
§12. სახდაზმულობის ვადები 449

XXII თავი

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება 452

XXIII თავი

შეხორცი სისხლისსამართლებრივითეორიები და სკოლები 460

§1. განმანათლებლურ-უმანისტური სკოლა 460
§2. კლასიკური სკოლა 465
§3. ანთროპოლოგიური სკოლა 472
§4. სოციოლოგიური სკოლა 475